მურად ლომინაშვილი

# კატასტროფები ტერაქტები ტრაგედიები

საქართველოს მაცნე
თბილისი
2006

# პროლოგი

წიგნი შედგენილია მკითხველისთვის საინტერესო და პოპულარულ თემაზე. მასში მოთხრობილია კაცობრიობის ისტორიულ პერიოდში, დედამიწის ბუნებრივი სეისმური, სტიქიური, ენდოგენური და ეგზოგენური მნიშვნელოვანი კატასტროფები (მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევები, მეწყერები, ზვავები, სამდინარო და საზღვაო წყალდიდობები, ცუნამები, ციკლონები, ქარბორბალები, მეტეორიტები) და ადამიანების დანაშაულობებით, ბოროტებით, უცოდინრობით, დაუდევარი ქმედებებით ბუნებისთვის და კაცობრიობისთვის მიყენებული ტექნოგენური კატასტროფები (აფეთქებები, ხანძრები, ჩაძირული გემები და წყალქვეშა ნავები, ჩამოვარდნილი თვითმფრინავები და კოსმოსური ხომალდები, ავარიები რკინიგზაზე და მეტროში, ეკოლოგიური კატასტროფები, ტერორისტული აქტები, ტრაგედიები).

წიგნში აღწერილია ბუნების სტიქიური მოვლენების წინასწარ გამოცნობის და პროგნოზირების ხერხები, ასევე მათგან თავის დაცვის ღონისძიებები.

წიგნში აღწერილი 500-მდე შემთხვევა ხელს შეუწყობს ბუნების დაცვას დედამიწაზე და ადამიანების სიცოცხლის უსაფრთხოებას.

ავტორი მურად ლომინაშვილი

რედაქტორი ნათელა ჭყოიძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა ირმა ლიპარტელიანი

© მურად ლომინაშვილი
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე"

ISBN 99940-43-47-1

# შესავალი

მზის სისტემაში დედამიწა მესამე პლანეტაა, ის მზისგან დაშორებულია 149,6 მილიონი კილომეტრი მანძილით. მზის გარშემო ელიფსურ ორბიტაზე დედამიწა ბრუნავს 29,765 კმ/წმ სიჩქარით. ორბიტის შემოვლას ანდომებს 365,24 მზიურ დღე-ღამეს. დედამიწის ღერძი ეკლიპტიკის (ცის სფეროს დიდი წრის) სიბრტყისაგან დახრილია 66°33'22''-ით. დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვის პერიოდი არის 23 ს 54 წ 4,1 წამი. ღერძის გარშემო ბრუნვა იწვევს დღის და ღამის ცვლას, ხოლო ღერძის დახრა და მზის გარშემო ბრუნვა კი, წლის დროების ცვლას. დედამიწის საშუალო რადიუსი არის 6371,032 კმ, მისი ზედაპირის ფართობი კი 510,2 მილ.კმ².

თანამედროვე კოსმოგენური წარმოდგენით, დედამიწა წარმოიქმნა 4,7 მილიარდი წლის წინათ, მზის სისტემაში გაფანტული გაზის და მტვერის ნივთიერებებისაგან. დედამიწის ნივთიერებების დიფერენციაციის შედეგად, მისი გრავიტაციული ველის მოქმედებით დედამიწის წიაღის გავარვარების პირობებში წარმოიქმნენ და განვითარდნენ ქიმიური შემადგენლობით, აგრეგატული მდგომარეობით და ფიზიკური თვისებებით განსხვავებული გეოსფეროს გარსები: ბირთვი (ცენტრში), მანტია, დედამიწის ქერქი, ჰიდროსფერო, ატმოსფერო, მაგნიტოსფერო. დედამიწის შემადგენლობაში ჭარბობს: რკინა (34,6%), ჟანგბადი (29,5%), სილიციუმი (15,2%), მაგნიუმი (12,7%). დედამიწის ქერქი, მანტია და ბირთვის შიგნითა ნაწილი არის მაგარი (ბირთვის გარეთა ნაწილი თხევადად ითვლება). დედამიწის ზედაპირიდან ცენტრისაკენ მატულობს წნევა, სიმკვრივე და ტემპერატურა. დედამიწის ცენტრის ტემპერატურა არის 5000-6000°C. დედამიწის ქერქის ძირითადი ტიპებია — კონტინენტური და ოკეანური.

დედამიწას გააჩნია მაგნიტური და ელექტრო ველები, ხოლო მისი გრავიტაციული ველი განაპირობებს დედამიწის სფეროსებურ ფორმას და ატმოსფეროს არსებობას.

დედამიწის უმთავრესი ნაწილი დაკავებულია ოკეანეებით და ზღვებით (361,1 მილიონ კმ², 70,8%); დანარჩენი ნაწილი უკავია ხმელეთს 149,1 მილიონ კმ² (29,2%); აქედან მთებს უკავია 1/3 ნაწილი, უდაბნოებს 20%, სავანებს და მეჩხერ ტყეებს 20%, ტყეებს 30%, ყინულებს 10%, სავარგულ სახნავ-სათეს ველებს 10%.

დედამიწაზე სიცოცხლე წარმოიშვა 3-3,5 მილიარდი წლის წინათ, მატერიის კანონზომიერი ევოლუციის შედეგად. ადამიანებმა ძალზე სწრაფი ტემპით იწყეს გამრავლება (275 მილიონი იყო 1000 წელს, 1,6

მილიარდი 1900 წელს, 4 მილიარდი 1976 წელს, 6 მილიარდი 1999 წელს). მოსახლეობის გაზრდამ დიდი გავლენა მოახდინა დედამიწის ბუნებაზე და წამოაყენა პრობლემები დედამიწის ყველა რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ბუნების დაცვის შესახებ.

მიწა როგორც წარმოების საშუალება შრომის პროცესის აუცილებელი მატერიალური წინაპირობაა. მიწა განეკუთვნება არაკვლავწარმოებულ წარმოების საშუალებას. სოფლის და სატყეო მეურნეობებში მიწა არის წარმოების მთავარი საშუალება, რაც მოცემულია თვითონ ბუნებისაგან. მიწის ძირითადი საწარმოო თვისებაა მისი მოსავლიანობა (ნაყოფიერება). ადამიანებმა გამოიყენეს დედამიწის ბუნებრივი თვისებები და წიაღისეული თავის სასარგებლოდ, საკუთარი საქმიანობით კი ბუნებას შეუწყეს ხელი გახარებაში.

დედამიწა — ნამდვილად სწორად აქვს დარქმეული სახელი ამ პლანეტას, მსოფლიოში ერთ-ერთ ლამაზ და მოხერხებულ ქართულ ენაზე. დედამიწა მართლა დედაა, საშოა მრავალი სიცოცხლისა. მიწაში ხდება თესლის გაღვივება, სიცოცხლის წარმოშობა და ზრდა. ბუნებაში მამის როლს ზეცა ასრულებს, საიდანაც მომდინარე მზის სხივები ათბობს ნიადაგს, წვიმა კი ხელს უწყობს ბუნების გახარებას. ლამაზია დედამიწა მისი მინდვრებით, მთებით, მწვერვალებით, ოკეანეებით, ზღვებით, მდინარეებით, უდაბნოებით, ტყეებით, ჩანჩქერებით, ყინულებით. თვალწარმტაცია მისი ცხოველთა, ფრინველთა და თევზთა სამყარო. განსაკუთრებით ლამაზი დასანახავია დედამიწა 10 კილომეტრზე მეტი სიმაღლიდან, ხოლო ულამაზესია ის კოსმოსიდან, რასაც ადასტურებენ ხელოვნური თანამგზავრებიდან და კოსმოსური ხომალდებიდან გადაღებული სურათები.



ადამიანი ღვთიური, გონიერი არსებაა და მას ღვთისნიერი მოპყრობა სჭირდება. მაგრამ დედამიწა ადამიანების მიმართ ყოველთვის არ იყო

კეთილად განწყობილი და თავისი სეისმური სტიქიური მოვლენებით მრავალი უბედურება მიაყენა კაცობრიობას. თავის მხრივ ადამიანების ბოროტმა და დაუდევარმა ქმედებებმა (ტყეების გაჩეხვამ, წყალსაცავების აგებამ, წყლის და ნიადაგის ეკოლოგიურმა დაბინძურებამ, ომებმა, აფეთქებებმა, ქიმიური იარაღის გამოყენებამ, ხანძრებმა, ტერორისტულმა აქტებმა, გენოციდმა, ავარიებმა, ტრაგედიებმა, კატასტროფებმა, ეპიდემიებმა) ბუნებრივ სტიქიებზე არანაკლები უბედურება, ზიანი და ზარალი მიაყენა კაცობრიობას და ბუნებას.

თავდაპირველად დედამიწას არ ჰქონდა მიღებული ახლანდელი ფორმა. დედამიწის ზედაპირი ზოგან იძირებოდა წყალში, ხოლო ზოგან თავს ამოყოფდა წყლიდან, ამის შედეგად დედამიწაზე წარმოიქმნა მრავალი კუნძული, ნახევარკუნძული, ტბა და ზღვა. მაგალითად, ადრე შავი და კასპიის ზღვა გაერთიანებული იყო, შემდეგ ამოიწია დედამიწამ და იმ ადგილზე მდებარეობს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ხშირად ხდებოდა მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა, ცუნამები, ციკლონები, წყალდიდობები, რის შედეგადაც ინგრეოდა, ფერფლში, ლავაში და წყალში იძირებოდა სოფლები და ქალაქები, კულტურის, ხელოვნების და ისტორიის ძეგლები, ასობით და ათასობით იღუპებოდნენ ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, თევზები, ნადგურდებოდა ბუნება. ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები ტოვებდნენ სტიქიური უბედურებების ადგილებს და ეძებდნენ ახალ საცხოვრებელ ადგილებს. კაცობრიობისათვის ცნობილ სამყაროს 7 საოცრებიდან, პირვანდელ მდგომარეობაში შემორჩენილია მხოლოდ ეგვიპტის პირამიდები, დანარჩენი საოცრებანი (ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში, სემირამიდას კიდული ბაღები ბაბილონში, არტემიდას ტაძარი ეფესში, მავზოლეუმი გალიკარნასში, ჰელიოსი როდოსში, შუქურა ალექსანდრიაში) დანგრეულია მიწისძვრებისაგან. საუბედუროდ, დედამიწის სეისმური სტიქიური მოვლენები ახლაც ხდება.

კაცობრიობისათვის ცნობილი ბუნებრივი სტიქიური უბედურების, სხვადასხვა სახის კატასტროფების და ტრაგედიების შესახებ, მრავალ სახელმწიფოში გამოცემულია სათანადო ლიტერატურა. ამ წიგნის ავტორმა შეაგროვა მასალები, თავი მოუყარა ერთ წიგნში და ქართულ ენაზე მიაწოდა საქართველოს მოსახლეობას. წიგნის მიზანია ასევე მკითხველს მოუთხროს სტიქიური უბედურების წინასწარმეტყველების და პროგნოზირების ხერხებზე, მათგან თავდაცვის თანამედროვე შესაძლებლობებზე.

სტატისტიკური გაანგარიშებით გაითვლილია, რომ დედამიწაზე ყოველი მეასიათასე ადამიანი იღუპება ბუნებრივი კატასტროფები-

საგან. სხვა მონაცემებით ბოლო 100 წლის მანძილზე, ყოველ ერთ წელიწადში სტიქიური უბედურებების მსხვერპლთა რაოდენობა შეადგენს 16 ათასს. მართალია საავტომობილო კატასტროფებში ყოველ ერთ წელიწადში იღუპება უფრო მეტი (250 ათასი ადამიანი), მაგრამ ბუნებრივი კატასტროფები ხდება მოულოდნელად, უეცრად, ისინი მთლიანად აოხრებენ ტერიტორიას, ანადგურებენ საცხოვრებლებს, ქონებას, კომუნიკაციებს, კვების წყაროებს. ასეთ კატასტროფებს მოჰყვება სხვა უბედურებაც: შიმშილი, ავადმყოფობა, ინფექციები, უსახლკარობა, ლტოლვილობა, მატერიალური ზარალი.

ბუნებრივი კატასტროფები წარმოიქმნებიან მიწის ზედაპირის ქვეშ, ასევე მიწის ზედაპირზე, წყალში (ჰიდროსფეროში), ჰაერში (ატმოსფეროში). ერთი კატასტროფა გავლენას ახდენს მეორეზე, ხდება ისე, რომ პირველი კატასტროფა ასრულებს სხვების ჩამრთველი მექანიზმის როლს. მაგალითად, ყველაზე მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს მიწისძვრებს და ცუნამებს შორის. ტროპიკული ციკლონები კი თითქმის ყოველთვის გამოიწვევს წყალდიდობას. მიწისძვრებმა შეიძლება გამოიწვიოს მეწყერები, ვულკანების ამოფრქვევა, ანდა პირიქით. ატმოსფერულმა მოვლენებმა და ხანგრძლივმა თავსხმა წვიმებმა შეიძლება გამოიწვიოს ფერდობების დაცურება (მეწყერები). მტვერის გრიგალებს აუცილებლად მოჰყვება ატმოსფერის მოვლენები. მიწისძვრებს და ვულკანების ამოფრქვევას ეწოდება ენდოგენური კატასტროფები, დანარჩენს კი ეწოდება ეგზოგენური, ადამიანების მიერ გამოწვეულ კატასტროფებს კი – ტექნოგენური.

სწრაფ სტიქიურ ბუნებრივ პროცესებს ძირითადად განაპირობებს: გრავიტაციის მოქმედება, დედამიწის ბრუნვა და ტემპერატურების სხვაობა. საერთაშორისო მაშველი ორგანიზაციის **იუნესკოს** მიხედვით, უბედურებად ითვლება 1 ათასიდან 1 მილიონამდე ადამიანების დაღუპვა, ხოლო კატასტროფული უბედურებად ითვლება 1 მილიონზე მეტი ადამიანის დაღუპვა, რომელიც იშვიათად ხდება. იმავე **იუნესკოს** მონაცემებით ბოლო ას წელიწადში მომხდარ წყალდიდობებში დაიღუპა 9 მილიონზე მეტი ადამიანი, ხოლო მიწისძვრებში, ურაგანებში, ციკლონებში და ტაიფუნებში თით-თითო მილიონი. ბუნებრივი პროცესების საწინააღმდეგოდ მიმართული ნებისმიერი ქმედებები მოითხოვს მათ კარგად ცოდნას. ზოგიერთი სტიქიური მოვლენები კი, კვლავაც რჩება გამოუცნობი. კატასტროფები ხმელეთის გარდა აზიანებენ ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს. კატასტროფა არის უბედურების, მსხვერპლის, ზიანის, ზარალის, ტრაგიკული შედეგების მომტანი მოვლენა.

# ნაწილი I

# ბუნებრივი კატასტროფები

## 1. მიწისძვრები



მიწისძვრა არის მიწისქვეშა ბიძგები და დედამიწის ზედაპირის რყევები. წარმოქმნილი დედამიწის ქერქში ან მანტიის ზედა ნაწილში მასიური ფენების უეცარი გადაადგილებების და გარღვევების შედეგად, რაც გადაიცემა დიდ მანძილებზე დრეკადი რყევების სახით. მიწისძვრის ინტენსივობა იზომება სეისმურ ბალებში, ხოლო ენერგეტიკული კლასიფიკაციისათვის მაგნიტუდებში. ჩვენში გამოყენებულია 12-ბალიანი სეისმური სკალა MSK-64 და რიხტერის სკალა. ცნობილია ორი მთავარი სეისმური სარტყელი: I.წყნარი ოკეანის, რომელიც რგოლივით შემოუვლის წყნარი ოკეანის სანაპიროებს და II. ხმელთაშუა ზღვის, რომელიც გადაჭიმულია ევრაზიაში, პირინეის ნახევარკუნძულიდან დასავლეთში, მალაის არქიპელაგამდე აღმოსავლეთში.

დედამიწის სეისმური სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე დიდი უბედურება კაცობრიობისათვის (მსხვერპლი, ნგრევა, ზიანი, ზარალი) მოაქვს მიწისძვრას. ის საშინელია, რადგან ხდება მოულოდნელად, სწრაფად, რამდენიმე წამში. რთულია მისი წინასწარი პროგნოზირება, ეპიცენტრის და ძალის დადგენა. ადამიანები ვერ ასწრებენ შენობებიდან გარეთ გამოსვლას, ან გაქცევით თავის შველას. ვარაუდობენ, რომ ცივილიზაციის დაწყებიდან მიწისძვრებისაგან არის დაღუპული 150 მილიონი ადამიანი. ვისაც ეს ციფრი გადამეტებულად მოეჩვენება, შემიძლია შევახსენო, რომ „კატასტროფული მიწისძვრების წელს“ (1976 წ.) ადამიანთა მსხვერპლი იყო ნახევარ მილიონზე მეტი. მიწისძვრა ეს არის ტრაგედია, რომლის შედეგების გამოსწორება-აღდგენას ესაჭიროება მრავალი წელი.

ისტორიულად დადგენილია, რომ მიწისძვრის შედეგად ყველაზე მეტი რაოდენობის მსხვერპლი მოაქვს მეწყერებს, ქვების ზვავებს და ტალახიან ნიაღვრებს, რაც დამტკიცებულია მაგალითად ჩინეთში და

პერუში მომხდარი მიწისძვრებით. მეორე ადგილი უკავია ცუნამებს, რომლებიც ტბორავენ სანაპიროებს. ამას ადასტურებენ ლისაბონის (1755 წ.) და მესინის (1908 წ.) მიწისძვრები. მესამე ადგილზე მოდის მსხვერპლი, რომელიც გამოწვეულია სახლების დანგრევით, კედლების და საგნების ჩამოყარდნით. მეოთხეზეა მიწისძვრისაგან გამოწვეული ხანძრები, გაზის აფეთქებები, ეპიდემიები, შიმშილი და სხვა.



ყველაზე ძველი მონაცემები მიწისძვრების შესახებ ნანახია მესოპოტამიაში თიხის ცხრილებზე, რომელიც დათარიღებულია ჩვენ წელთაღრიცხვამდე 2000 წლით. წარწერები გვატყობინებს, რომ კატასტროფა მოხდა ახლანდელ „მოსულასთან“ ახლოს. ბიბლიაშიც საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი პალესტინაში იორდანიის ხეობაში არსებული ქალაქების სოდომის და გომორის განადგურების (მიწაში დამარხვის) შესახებ, რაც რა თქმა უნდა მოახდინა მიწისძვრამ.

საქართველოს მეცნიერებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. თბილისში ფუნქციონირებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომელსაც რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში აქვს ობსერვატორიები და ლაბორატორიები. კერძოდ, თბილისში მოქმედებს სეისმოლოგიური სადგური უნიკალური მიწისქვეშა ლაბორატორიით, რომლის პერსონალის ძირითადი დანიშნულებაა მიწისძვრების წინასწარი პროგნოზირება, ეპიცენტრის და ძალის განსაზღვრა. ამ ლაბორატორიების კომპლექსის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ამ წიგნის ავტორს, როგორც ობიექტის მშენებლობის უფროსს.

დედამიწაზე ათასობით მცირე და დიდი ძალის მქონე მიწისძვრა მოხდა. კაცობრიობის ისტორიული პერიოდში ცნობილი ყველა მიწისძვრის აღწერა შეუძლებელია, ამიტომ წიგნში შეტანილია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

## მიწისძვრები საქართველოში

დედამიწაზე არსებულ ქედებს შორის კავკასიონის ქედი მეცნიერების მტკიცებებით შედარებით უფრო „ახალგაზრდაა“ და მისი დანაოჭება ჯერ არ არის დამთავრებული. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორია სეისმურ ზონაშია მოქცეული. აქ უძველესი დროიდან ადგილი ჰქონდა მიწისძვრებს.

– მაგალითად, 1088 წელს საქართველოში მოხდა საშინელი მიწისძვრა, რომელიც მთელი წელიწადი გაგრძელდა. მიწისძვრამ დაანგრია და მიწასთან გაასწორა მრავალი ქალაქი და სოფელი, მათ შორის ქალაქი თმოგვი. დაინგრა ასევე ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები. ათასობით ადამიანი დაიღუპა და დარჩა უსახლკაროდ. მიწისძვრას მოჰყვა მკაცრი ზამთარი და გაზაფხულის საშინელი წყალდიდობა.

– 1991 წლის 29 აპრილს საქართველოს რაჭა-იმერეთის რეგიონში, ამბროლაურის, ონის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ჭიათურის და საჩხერის რაიონებში მოხდა 6.9 ამპლიტუდის ძალის მქონე მიწისძვრა. მიწისძვრა გაგრძელდა დიდი ხნის მანძილზე. დაინგრა ათასობით საცხოვრებელი სახლი, სკოლები, საავადმყოფოები, ფერმები, ადმინისტრაციული შენობები. რაჭაში დააზიანა ნიკორწმინდის ეკლესია. საჩხერეში სერიოზულად დააზიანა მოდი-ნახეს ციხე-სიმაგრე და რკინიგზის სადგური, მთლიანად დაანგრია რამდენიმე მრავალსართულიანი აგურისკედლებიანი შენობა. ჩამოწვა მეწყერები და მიწაში ჩაიფლო საცხოვრებელი სახლები. დაიღუპა ასობით ადამიანი და ათასობით კი დარჩა უსახლკაროდ.

## შანსი (ჩინეთი)

– თითქმის ყველა სამეცნიერო და პოპულარულ წიგნებში მოთხრობილია ჩინეთის პროვინცია შანსის 1556 წლის 23 იანვრის მიწისძვრის შესახებ.

შანსის მიწისძვრა ითვლება ერთ-ერთ საშინელ სტიქიურ უბედურებად. მიწისძვრის ეპიცენტრი იმყოფებოდა ქალაქ სიან-თან, რომელიც მდებარეობს მდინარე ხუანხეს ნაპირებზე. აქაური ვაკე ადგილები წარმოქმნილია ფხვიერი ნალექი ქანებისაგან. მათ ენაცვლება დაბალი ბორცვები, რომლებიც შედგება წვრილი ლიოსის (Лесс - რუს.) მასალისაგან. მხილველის მონათხრობით მიწისძვრის ბიძგებისაგან გაიხელებულ (გაფხვიერებულ) მიწაში ეფლობოდა სოფლები და ქალაქები. რამდენიმე წამში ჩაინგრა ფხვიერი ლიოსის ბორცვებში გამოთხრილი ათასობით გამოქვაბული (საცხოვრებელი

ადგილები). ვინაიდან მიწისძვრა რყევები მოხდა დილის 5 საათზე, ოჯახების უმრავლესობა იმყოფებოდა სახლებში, ამიტომ მსხვერპლთა რიცხვმა მიაღწია 830 000 ადამიანს. ცნობილია, ასევე რომ რყევებისგან შიწა ჩამოცურდა ბორცვებიდან და დამარხა საცხოვრებელი ადგილები მდინარე ხუანხეს ხეობაში.

## დვინი (სომხეთი)

– სომხეთი მდებარეობს სეისმურ ზონაში, რის გამოც აქ ხდებოდა მცირე და დიდი ძალის მიწისძვრები, რომელთაგან აღსანიშნავია 893 წლის, ქალაქ დვინის მიწისძვრა, რამაც ქალაქი ნანგრევებად აქცია. კათალიკოსი ოვანესი ამ სტიქიური მოვლენის შესახებ წერს: „ქალაქ დვინში ღამით მოულოდნელად დაიწყო მიწისძვრა, რასაც თან ახლდა უამრავი რყევა, ხმაური და საშინელება, ქალაქი მთლიანად დაინგრა. დაინგრა გალავნები, მმართველების სასახლეები, მეომართა სახლები და ყოველივე ეს უეცრად გადაიქცა უდაბნოდ. დაინგრა ასევე ასტვაცაშენის ეკლესია, კათალიკოსის სამყოფელი. ნანგრევები ცვიოდა სიღრმეში ქვების გროვების სახით. აუარებელი ადამიანი დარჩა დამარხული მიწაში, სახლების ნანგრევების ქვეშ, ნაპრალებში და უფსკრულებში". ისტორიულ მონაცემებში აღნიშნული სტიქიური მოვლენა, ქალაქ ერევნის განაპირა მიდამოებში 894 წელს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა 20 ათასი ადამიანის მსხვერპლი, ალბათ უკავშირდება ქალაქ დვინის მიწისძვრას. ამ დამანგრეველი, ინტენსიური და ხშირად გამეორებული მიწისძვრის შემდეგ სომხეთის დედაქალაქი გადატანილ იქნა ქალაქ ანიში.

## ერევანი (სომხეთი)

– 1679 წლის 4 ივნისს არარატის დაბლობის მიდამოებში მოხდა მიწისძვრა, რის შედეგად დაინგრა ქალაქი ერევანი, სოფლები: კანაკერი, ნორაგავიტი, ნორაგიუხი, ძორაგიუხი, გიამრეში, ასევე ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში აშენებული გარნის ციხის ტრდატაშენის ტაძარი. ამ მიწისძვრას ერთი მხილველი ასე აღწერს: „1679 წელს 4 ივნისს არარატის მიწაზე დაეშვა ღმერთის რისხვა. სამშაბათ დღეს 7 საათზე მოულოდნელად ახმაურდა მიწა და ძლიერად შეირყა არარატის ტერიტორია... ეს მიწისძვრა დაიწყო გარნის მხრიდან. დაინგრა ყველა შენობები, ეკლესიები, მონასტრები, ერევნის ციხესიმაგრე. ზოგიერთ ადგილებში გამოჩნდა ახალი წყაროები, ხოლო მრავალი მოქმედი წყარო დაიფარა. დაინგრა მრავალი სოფელი, ხოლო კანაკერში საქათმეც არ გადარჩა. ...მიწისძვრამ მიაღწია კარბას

დასახლებამდე. მკვდარი ადამიანები უფრო ბევრი იყო, ვიდრე ცოცხლად გადარჩენილები. სოფელ კანაკარში დაითვალეს 1228 მკვდარი ადამიანი"... „დაინგრა ეკლესიები: ახჩუტი, აირიევანკი, ავუცტარი, ხორ-ვირაპი, ჯრვეჟი, ძაგავანკი, ანაპატა"...

P.S. მაგრამ ღმერთმა არ გასწირა სომეხი ხალხი და მე (ავტორი) მოხარული ვარ, რომ ახლა XXI საუკუნის დასაწყისში ქალაქი ერევანი დიდი და ლამაზი ქალაქია 1,5 მილიონი მცხოვრებით, ხოლო მისგან 50 კილომეტრის დაშორებით ამაყად დგას და ფუნქციონირებს ეჩმიაძინის ეკლესიების კომპლექსი, რაც არქიტექტურით, სილამაზით, კულტურით, რელიგიური საქმიანობით, ნამდვილად წარმოადგენს სომეხი ხალხის ეროვნულ სიმდიდრეს და სიამაყეს.

## პორტ-როიალი (იამაიკა)

— იამაიკის კუნძულზე ქალაქ-ნავსადგურ პორტ-როიალში 1692 წლის 7 ივნისს მოხდა მიწისძვრა. უეცრად დედამიწა შეინძრა, ამოვარდა ურაგანი, წამოვიდა თავსხმა წვიმა და სწრაფად აქაფებული ზღვა დაენარცხა ნაპირს. მთებიდან გაისმოდა ყრუ გრუხუნის ხმა, რომელიც წააგავდა ჭექა-ქუხილს. მიწისძვრის შედეგად ნალექი ქანების უზარმაზარი მასა მოწყდა მთას, ჩამოცურდა კლდეზე, დაენარცხა ქალაქს და მასთან ერთად ჩაიძირა ზღვაში 7-15 მეტრის სიღრმეზე. რამდენიმე წამში ქალაქ პორტ-როიალის ზღვის სანაპირო აღმოჩნდა წყალქვეშ. ნავსადგურში მდგარი ზოგიერთი გემი გაქრა, ისე თითქოს არც ყოფილან. თვითმხილველების მონათხრობით მიწა ამოიბურცა და გაიბერა, დაირხა როგორც ზღვის ტალღები და დაანგრია სახლები. აგურის სახლები გადაიქცა ნამსხვრევების გროვებად. ღრმა ნაპრალებმა ჩაყლაპა სახლები და ადამიანები. ცა გაწითლდა როგორც გავარვარებული ღუმელი. ქალაქის ცოცხალი ქუჩები გაქრა ზღვის მორევში. პორტში გემები მოგლიჯა ღუზებიდან, მიახეთქა ერთმანეთს და ჩაძირა. ზოგიერთი მათგანი ტალღებმა შეაგდო სახლების სახურავზე. ჩარეცხილი საფლავებიდან გამოჩენილი გვამები და კატასტროფის მსხვერპლნი გვერდიგვერდ ტივტივებდა ზღვაში.

ყველაზე მაღალი ტალღა წარმოიქმნა ზღვის უკუქცევის შემდეგ, რომელიც მალე დაბრუნდა და გრუხუნით დაენარცხა ქალაქზე და თვალისდახამხამებაში დაფარა ის. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გათავდა. ამ კატასტროფამ იმსხვერპლა 20000 ადამიანი. 1800 შენობა დაიმალა კარიბის ზღვის წყალში, ამის დანახვა კიდევ დიდხანს შეიძლებოდა მცირე სიღრმეში სანაპიროდან ახლო მანძილზე.

## ლისაბონი (პორტუგალია)

– 1755 წლის 1 ნოემბერს დილით, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მოხდა მიწისძვრა. ჩვენამდე მოვიდა მხილველთა ცოტა მონათხრობი, რადგან ამ სტიქიური მოვლენის მომსწრეთა უმრავლესობა დაიღუპა. ბერი ნოელ პორტალის მონათხრობის მიხედვით: „დილის 9 საათსა და 45 წუთზე გაისმა მიწისქვეშა გრგვინვა და დედამიწა შეტორტმანდა. ის უცბად გადახტა სარკმელიდან ქუჩაში. ბიძგები გაგრძელდა რამოდენიმე ხანს, ბოლო ყველაზე ძლიერი ბიძგის შედეგად დაინგრა ყველა შენობა. დადგა მტვრის ღრუბელი. მიწისძვრა შეწყდა, მაგრამ ქუჩა უკვე აღარ იყო. ქუჩის ორივე მხარეზე სახლების ნაცვლად ეყარა ქვების გროვები, რომლებიდანაც ამოშვერილი იყო კედლების ნარჩენები: პანიკით მოცული დასისხლიანებული ადამიანები გარბოდნენ აქეთ-იქით ამტვერებულ სიბნელეში და ეძებდნენ საშველს. მზიანი დღე უეცრად შეცვალა სიბნელემ, და ამ საშინელებაში ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები გაგიჟებულ მოლანდებებს ჰგავდნენ“. – 300-ზე მეტი ქუჩა და 5 ათასამდე სახლი გასწორდა მიწასთან, მათგან კეალიც კი არ დარჩა. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გაჩნდა ხანძარი, დაიწვა წმინდა ფრანცისკას მონასტერი მისი 9000-ტომიანი ბიბლიოთეკით, წმინდა კლარას მონასტრისაგან, სადაც იმყოფებოდა 600 ბერი, მთელი დარჩა მხოლოდ ალტარის ნაწილი და კათედრა. დაიწვა წმინდა იულიანას ეკლესია, რომელშიც მაშინ იმყოფებოდა 400 მონაზონი“...

სახლების დანგრევისაგან ცოცხლად გადარჩენილი და შეშინებული ადამიანები თავის საშველად გაიქცნენ ზღვისაკენ, რადგან იმათთვის მიწა აღარ იყო საიმედო დასაყრდენი. მაგრამ მათ ზღვამ მოუტანა მეორე უბედურება. მიწისძვრის ბიძგების დამთავრების შემდეგ ზღვამ გააკეთა გიგანტური მიქცევა, უკან დაიხია წყალმა, გააშიშვლა პორტი, თავისი ძირი და ნაპირები. მაგრამ უეცრად დიდი სისწრაფით ჯოჯოხეთური ხმაურით ზღვა წამოვიდა შეტევაზე 12 მეტრი სიმაღლის ტალღებით. ხალხი გამოიქცა უკან, მაგრამ უკვე გვიან იყო, ტალღა დაენარცხა სანაპიროს და სიღრმეში ჩაითრია ყველაფერი. შემდეგ ზღვა კვლავ უკან მიიქცა და კვლავ ახალი ძალით დაენარცხა სანაპიროს და ასე გამეორდა რამდენჯერმე, სანამ ზღვა არ დაწყნარდა და არ ჩადგა თავის ყოფილ ნაპირებში. ზღვიდან მოშორებით მყოფმა ადამიანებმა დაინახეს: როგორ გაქრა მარმარილოს ფართო სანაპირო, მასზე მყოფ მოსახლეობასთან ერთად, რომელიც ცდილობდა მიწისძვრისაგან გადარჩენას, როგორ ჩაყლაპა ზღვამ სანაპიროზე მდგომი მიწისძვრისაგან გადარჩენილი სახლები, როგორ ჩაითრია, ჩაძირა და ნაფლეთებად აქცია გემები.

ლისაბონის ამ მიწისძვრის შესახებ ცნობილია ასევე, რომ იმავე დღეს 11 საათზე და მეორე დღის გამთენიაზე კვლავ მოხდა ბიძგები.

10-12 დღის მანძილზე ხან მოქცევა გრძელდებოდა 7-8 საათი, ხან უკუქცევა 3-4 საათი. ნოემბრის 8, 15, 17 და 18 რიცხვებში და 11 დეკემბერს კვლავ განმეორდა მიწისძვრის ბიძგები. ამ სეისმურმა ტალღებმა გაანადგურა პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპირო. ალგარვა-ში ტალღის სიმაღლემ მიაღწია 11 მეტრს, ხოლო კადდიე-ში აეიდა 20 მეტრამდე. კარეუეირუს და როკას კონცხებს შორის და გვადიანის შესართავსა და სან-ვინსენტის კონცხს შორის, სანაპირო მთლიანად იყო დანგრეული. ლისაბონის განაპირას სერა-და-ეშტრელას მთებმა ვერ გაუძლო ბიძგებს და ჩაინგრა სანაპიროსკენ. ადამიანების მსხვერპლის შესახებ არსებობს სხვადასხვა ვერსიები. პერეირა და სოუზას ვარაუდით დაიღუპა 10 ათასი, პოლ ლემუანი თვლის, რომ დაღუპულია 30 ათასი, ამერიკელი სეისმოლოგი ჩარლზ რიხტერის გაანგარიშებით დაიღუპა 60 ათასი ადამიანი. კაცობრიობისათვის ასევე ცნობილია, რომ ადრე ქალაქ ლისაბონში 1531 წელს მომხდარმა მიწისძვრამ დაანგრია 1,5 ათასი სახლი და ყველა ეკლესია.

## მესინა (იტალია)

— 1783 წლის 5 თებერვალს იტალიის ქალაქ მესინაში მოხდა მიწისძვრა, რომელიც 2 წუთს გაგრძელდა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თითქმის მთლიანად დაანგრია ქალაქი მესინა, მიწასთან გაასწორა სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთის და ქალაქ კალაბრიას დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი. სიცილიის სანაპიროზე მიწის ფართო მასივები ჩაინგრა ზღვაში. მესინაში ზღვის ნაპირი ჩაცურდა ზღვაში, რის შედეგად სანაპირო აღმოჩნდა წყალში 4 მეტრის სიღრმეზე. მიწისძვრამ იმსხვერპლა 30 ათასი ადამიანის სიცოცხლე, აქედან უმრავლესობა დაიღუპა ქალაქ მესინაში.

იტალიის მაშინდელმა მთავრობამ გამოჰყო სპეციალური კომისია, ადამიანების დიდი რაოდენობით დაღუპვის მიზეზების დასადგენად, საქმეში ჩაერთო საზღვარგარეთელი მეცნიერებიც. საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ დაღუპული ადამიენიბს უმრავლესობა იყო გაჭყლეტილი თავიანთი საცხოვრებელი სახლების ნამსხვრევებისაგან. სახლები იყო არასწორად აგებული, რადგან მათი ზედა ნაწილი გაცილებით უფრო მძიმე იყო ქვედასთან შედარებით. ქვის კედლების წყობა გაკეთებული იყო დაუდევრად და სამშენებლო ხსნარის გამოყენების გარეშე. კომისიამ შეადგინა მშენებლობის წესები, რომლითაც აქ უნდა ესარგებლათ მომავალში ახალი შენობების

აგების დროს. ზოგიერთმა გაითვალისწინა, დაიცვა წესები და ამ შენობებმა გაუძლო შემდგომში მომხდარ მიწისძვრებს. მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობამ სახლები ააშენა კვლავ ძველი შეჩვეული მეთოდებით, რის შედეგადაც 1908 წელს მესინაში მომხდარი მიწისძვრისაგან დაიღუპა 100 ათასამდე ადამიანი.

მესინა და კალაბრია იტალიაში (აპენინის ნახევარკუნძულსა და სიცილიის კუნძულს შორის მდებარე ტერიტორიაზე) საუკუნეების მანძილზე ითვლება უბედურ ადგილად. ძველ დროში 2 ათასი წლის მანძილზე მას არჩანაგებდა პერიოდული ომები, მათ შორის პერიოდში კი მძვინვარებდა მიწისძვრები. 1740 წელს ჩუმამ შეიწირა 40 ათასი ადამიანის სიცოცხლე. ზემოთ აღწერილი მიწისძვრის შემდეგ, 1823 წელს ბობოქრობდა „ცუნამი", 1848 წელს კი განიცადა დაბომბვა, 1854 წელს ხოლერისაგან დაიღუპა 16 ათასი ადამიანი, 1894, 1896 და 1908 წლებში კვლავ მოხდა კატასტროფული მიწისძვრები.

## კუჩანი (თურქმენეთი)

– 1893 წლის 17 ნოემბერს თურქმენეთის ქალაქ კუჩან-ში მოხდა მიწისძვრა, რომელმაც მთლიანად დაანგრია ქალაქი და მასთან ახლომდებარე აულები. ერთადერთი ნაგებობა, რომელიც გადაურჩა დანგრევას იყო იმამ-ზადეს გუმბათიანი მეჩეთი. დაიღუპა 18 ათასამდე ადამიანი და 30 ათასზე მეტი საქონელი.

ამ მიწისძვრის თვითმხილველების მონათხრობების შინაარსი ასეთია: „...უეცრად მოისმა მიწისქვეშა გუგუნი, რასაც მოჰყვა ძლიერი დარტყმები, რის შედეგადაც მთლიანად დაინგრა ქალაქი კუჩანი, მის თავზე ავარდა მტვერის ღრუბლები, რამაც დაფარა უღრუბლო ზეცა. გაისმოდა მომაკვდავი ადამიანების კივილი და ცხოველთა ბღავილი. მთელი ღამე ხდებოდა მიწისქვეშა ბიძგები მცირე შესვენებებით. დაუზიანებელ შენობას ვერ ნახავდით. დაინგრა მეჩეთი და ხანი ილხანი კუჩანსკის სასახლეც, სადაც დაიღუპა ხანის 11 ცოლი. თიხით და აგურით აშენებული სახლები ნაგვად იქცა. ვენახის ნარგავები მიწისძვრამდე დაფარული იყო მიწით, მოსალოდნელი ყინვებისაგან დასაცავად, მაგრამ მიწისძვრამ მიწები გადაყარ-გადმოყარა და ვენახის ნარგავები გააშიშვლა. დაჭრილ ადამიანებს იშვიათად ნახავდით, თითქმის ყველა დაიღუპა. კუჩანში და მის მეზობელ აულებში დაინგრა მიწისქვეშა წყალგამტარები. ტყის მასივები დაანაწევრა, დაშალა, ხეები ამოთხარა, წააქცია, მიწა გააპო ნაპრალებად, ღრმულებად. მდინარე გადემაზის ხეობა დაღარული იყო განივი ნაპრალებით".

კუჩანის მიწისძვრა იგრძნობოდა ირანის ტერიტორიაზეც ბოცქნურცში, სებზერვარში, ნიშალურში, თეირანში და სხვა ქალაქებში.

# სან-ფრანცისკო (აშშ)

– 1906 წლის 21 აპრილს დილის 5 საათსა და 12 წუთზე ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში მოხდა 8,3 ბალი სიძლიერის მიწისძვრა, რომელსაც მარტო ამ ქალაქის სახელს ვერ უწოდებ, რადგან ფაქტიურად ის გავრცელდა სან-ანდრეას გაყოლებით 400 კილომეტრის სიგრძეზე და სხვა ბევრი ქალაქებიც იყო დაზიანებული. ეს სტიქიური მოვლენა ამომწურავად იყო შესწავლილი, დედამიწაზე მომხდარი სხვა მიწისძვრებთან შედარებით.

ადრე დილით როცა ადამიანებს ჯერ კიდევ ეძინათ, ისინი გააღვიძა უხეშმა რყევებმა და სახლების ნგრევის ხმაურმა. ყველგან ისმოდა ეკლესიების ზარების არეული რეკვა, რადგან სამრეკლოები ქანაობდა. უამრავი ადამიანი დაიღუპა საკუთარი სახლების და ბინების დანგრევის შედეგად.

მსოფლიოში გამოჩენილი ტენორი ერთ-ერთი იტალიელი ენრიკო კარუზო გასტროლებზე იმყოფებოდა სან-ფრანცისკოში მიწისძვრის დროს და მან აღწერა ეს ტრაგიკული მოვლენები: „მას მაგრად ეძინა როცა 5 საათსა და 12 წუთზე იგრძნო, რომ საწოლი დაიძრა, და გასრიალდა ოთახის მოპირდაპირე მხარეს, ავარდა ზევით თითქოს მაღლა ააგდეს და მძიმედ დავარდა იატაკზე, შეირხა იატაკი, დაიბზარა კედლები, გადმოვარდა და დაიმსხვრა ვაზები, კედლის საათი, ჩამოცვივდა სარკმელის მინები. ჰაერში ისმოდა ძლიერი ყრუ გუგუნი, ნგრევის ხმა. შეშინებულმა კარუზომ გააღო კარი, გავარდა დერეფანში, სადაც იყო თავმოყრილი სხვა მომღერლებიც. ყველა გაიქცა ქვევით შესასვლელ დარბაზში. ისმოდა წამოძახილები „ეს მიწისძვრა არის". კარუზომ მოიკრიფა ძალა შევარდა თავის ნომერში, ჩაიცვა ტანსაცმელი და წამოიღო თეოდორ რუზველტის პორტრეტი, რომელიც მან აჩუქა კარუზოს თავისი ავტოგრაფით. მან ეს მოასწრო სასწაულად, რადგან ყოველ წამში მოსალოდნელი იყო სასტუმროს შენობის დანგრევა. ყველა გაცვივდა გარეთ, სადაც დაინახეს როგორ იბზარებოდა, იშლებოდა ნაწილებად და ინგრეოდა სახლები. უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი იუნიონ-სკვერის მოედანზე, სადაც არ იყო საშიშროება ნანგრევების ქვეშ დამარხვისა. კარუზომ და მასთან მყოფმა მეგობრებმა მოახერხეს ნიუ-იორკში მიმავალ მატარებელში ჩასხდომა. „ჩემი ფეხი აქ არასდროს აღარ იქნება, სჯობს დარჩენილი დღეები გავატაროთ „ვეზუვის" კალთებთან" – იფიცებოდა კარუზო.

ქალაქის ქუჩებში ტროტუარები იყო დახეთქილი, ტრამვაის ლიანდაგი დაგრეხილი, კარნიზები, მილები, სვეტები, არქიტექტურული მორთულობანი ცვიოდა ძირს. იქ, სადაც შენობები იყო აშენებული, მაგარ საფუძველზე შენობების დაზიანება იყო შედარებით მცირე,

დამსხვრეული იყო მინები, დაიმტვრა ავეჯი და ჭურჭელი. რბილ ნიადაგზე აშენებული შენობები უფრო მეტად დაზიანდა, განსაკუთრებით დაინგრა აგურის კედლებიანი შენობები, ბევრი აგურის კედლები წაიქცა ქუჩაში. ყველაზე საწყენი იყო ქალაქის რატუშის, „სიტი-ხოლის“ დანგრევა, რომელიც 6 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. სანაპიროზე მრავალი სახლი დაინგრა 4 სასტუმროს შენობა, სადაც მოხდა დიდი მსხვერპლი. ქალაქში მრავალ ადგილზე გაჩნდა ხანძარი, ვინაიდან წყლის მომარაგების მთავარი არტერია იყო დაზიანებული, მეხანძრეებს წყალი მოჰქონდათ ზღვის ყურედან, მაგრამ ხანძარმა თანდათან იმძლავრა, რადგან ცეცხლი ერთი ადგილიდან მეორეზე სწრაფად გადადიოდა და მეხანძრეები ვერ ასწრებდნენ ჩაქრობას. იმის გამო რომ ჰაერის ტემპერატურამ აიწია, შენობებს მოულოდნელად უჩნდებოდა ხანძარი, რომელიც სწრაფად ვრცელდებოდა. 18 აპრილის შუაღამისათვის სან-ფრანცისკოს საქმიანი ნაწილი მთლიანად იყო განადგურებული. ხანძარი რომ არ გავრცელებულიყო ქალაქის სხვა კვარტალებში მეხანძრეები აკეთებდნენ დამინვას და აფეთქებას, რითაც წყვეტდნენ ცეცხლის გავრცელებას. 21 აპრილის დილისათვის მეხანძრეების გაერთიანებულმა ძალებმა შეძლეს ხანძრების ლიკვიდაცია.

მიწისძვრისაგან დაინგრა 30 სკოლა, 80 ეკლესია-მონასტერი, უბინაოდ დარჩა 250000 ადამიანი, დაიღუპა 950 ადამიანი. შეწყვიტა საქმიანობა ქალაქის ბიბლიოთეკებმა, სასამართლოებმა, ციხეებმა, თეატრებმა, რესტორნებმა და სხვა დაწესებულებებმა. ხანძარისაგან იყო დაზიანებული ქალაქის 490 კვარტალი – 1052 ჰექტარი ტერიტორია. 1937 წელს აქ ააგეს 2730 მეტრი სიგრძის ხიდი 210 მეტრი სიმაღლის, მალე ააგეს 48 სართულიანი ცათამბრჯენი „ტრანსამერიკა“. ამერიკელები ფიქრობენ, რომ ახლად აშენებული ნაგებობები გაუძლებს ნებისმიერი ძალის მიწისძვრას, ქალაქი გაიზარდა და გახდა მრავალმილიონიანი.

## განსუ (ჩინეთი)

1920 წელს ჩინეთის პროვინცია განსუ-ში მომხდარი მიწისძვრა იყო ყველაზე ძლიერი და ყველაზე მეტი მსხვერპლის მომტანი, კაცობრიობისათვის ცნობილ სხვა მიწისძვრებთან შედარებით. ეს სტიქიური მოვლენა გავრცელდა 450X150 კმ. ფართობის მქონე ტერიტორიაზე და იმსხვერპლა 200000-ზე მეტი ადამიანი. ამ მიწისძვრამ გამოიწვია რელიეფის მკვეთრი შეცვლა, ქანების ვეებერთელა მასივები ჩამოცურდა მთების კალთებიდან, როგორც გამდნარი სანთელი,

რომლებიც ეჯახებოდა ერთმანეთს, ქმნიდნენ ბორცვებს, შთანთქავდა მთელ სოფლებს, ახლად წარმოქმნილ ბორცვებს შორის გზააბნეულმა მდინარეებმა წარმოქმნა ტბები. მიწაში გაჩნდა ნაპრალები, ქალაქები წაიშალა მიწისძვრიდან ბოლო აგურამდე, გაჰქრა ქუჩების კვალი. უბედურების ზონამ მოიცვა სხვა პროვინციებიც: შენსი, შანსი, ხუბეი, სიშუანი, ჩჟეცზიანის და მონღოლეთის სამხრეთი ნაწილი. ეპიცენტრი იყო ტკიანი და უხემოსაელიანი ნიადაგის ზონაში, სადაც თავმოყრილი იყო ადამიანების მჭიდრო დასახლება. სწორედ ტყეები აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ადამიანის დაღუპვის მიზეზი, რადგან ტყე მთელი მასიებით მოძრაობდა და ცოცხლად მარხავდა ხალხს. რომლებიც ცხოვრობდა თიხნარ ბორცვებში გამოთხრილ გამოქვაბულებში. ადამიანებისათვის საუბედუროდ, მიწისძვრა მოხდა დაღამებისას, როდესაც ყველა სახლში იმყოფებოდა. ბიძგები ხდებოდა ერთმანეთის მიყოლებით, გაისმოდა დანგრეული სახლების ხმაური, ხალხის ყვირილი და ცხოველების ბღავილი; ბიძგებს თან ერთვოდა მიწისქვეშა გუგუნი. წარმოიქმნა გრანდიოზული მეწყერები, ერთ ადგილზე შეიდმა მეწყერმა ჩამოშალა მთების ფერდობები და მიწის ქვეშ მოაყოლა სოფლები და ფერმები, ამ ადგილმა მიიღო სიკვდილის ხეობის წოდება. გათენების შემდეგ ხალხმა ვეღარ იცნო თავიანთი ადგილსამყოფელი, რადგან მთები გადაადგილებული იყო, ერთ ადგილზე 400 მეტრი სიგრძის გზა ალვის ხეების ხეივანით 1,5 კილომეტრის მანძილზე გადაადგილდა ქვემოთ და შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე, ხოლო მაღალი ხეები გზის ორივე მხარეს ისე იდგა, როგორც მიწისძვრამდე. ბორცვების ადგილას წარმოიშვა ტბები, ხეობების ნაცვლად კი ბორცვები. ერთი თვითმხილველი ასევე იგონებს, რომ ძნელი იყო ფეხზე დგომა, საჭირო იყო ფეხების გაშლა სეისმური ტალღების მიმართულებით. ასეთი უჩვეულო თავბრუდამხვევი რყევები იწვევდა ზღვის ავადმყოფობას ხმელეთზე.

## ტოკიო (იაპონია)

— 1923 წლის 1 სექტემბერს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოსა და ქალაქ იოკოგამაში მოხდა ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრა. მიწისძვრის ფოკუსი იმყოფებოდა საგამის ყურის ქვეშ, რომლის სანაპიროზე მყოფი პატარა ქალაქების 50% მთლიანად დაინგრა. ზოგიერთ ქალაქს ზარალი მიაყენა წყალმა, ზოგს კი ხანძარმა. მოხდა ყურის სიღრმის მნიშვნელოვანი ცვლილება. წარმოიშვა 10 მეტრის სიმაღლის ტალღები, რომლებმაც გამოიწვია მრავალრიცხოვანი ნგრევები. ერთ ადგილზე 700 წლის წინათ ჩარჭობილი ხიმინჯები

ამოისროლა ზედაპირზე. იოკოგამაში დაინგრა შენობების ნახევარი, ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რომელსაც სწრაფად ავრცელებდა ამოვარდნილი ძლიერი ქარი. მიწისძვრისაგან დაიღუპა 27000 ადამიანი და დაიჭრა 40000, 70000 სახლი დაინგრა და დაიწვა. რადგან ტოკიო ეპიცენტრიდან 90 კილომეტრით იყო დაცილებული, მიწისძვრამ შედარებით ნაკლები ზიანი მიაყენა, მაგრამ ხანძრებმა აქ მოიტანა უფრო მეტი უბედურება, ის გაგრძელდა სამი დღე და ღამე და დაანგრია ქალაქის 40%. ხანძრისაგან თავის დასაღწევად ადამიანები გარბოდნენ ამაღლებული ადგილებისაკენ და გაშლილი პარკებისაკენ, მოედნებისაკენ. მილიტერი-კლოზინ-დეპოს ერცელ მოედანზე თავი მოიყარა 40000-მა კაცმა, მაგრამ ხანძარი გაუჩნდა ირგვლივ მდებარე სახლებს და ყველა იქ მყოფი დაიღუპა გახურებული ჰაერით. მიწისძვრის და ხანძრის დამთავრების შემდეგ დაღუპული აღმოჩნდა 100000 ადამიანი, 40000 დაჭრილი, 400000 შენობა დანგრეული და დამწვარი. მთელი სექტემბრის მანძილზე ტოკიოს სეისმოლოგიურმა სადგურმა დააფიქსირა 1256 ბიძგი. საგამის ყურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ტრიანგულიაციის წერტილები გადაადგილებული იყო 5 მეტრით, ყურის ცენტრში ძირი იყო ჩაღრმავებული 100-200 მეტრით, ხოლო ჩრდილოეთით ზღვის ძირმა ამოიწია 250 მეტრით.

## აშხაბადი (თურქმენეთი)

— 1948 წლის 6 ოქტომბერს 1 საათსა და 12 წუთზე თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მოხდა მიწისძვრა, რომელიც დამალა სტალინმა და მისმა მთავრობამ და 1980-იან წლებამდე აკრძალული იყო ამ ტრაგედიის შესახებ რაიმეს გამოქვეყნება. დაღუპულთა რაოდენობა ზუსტად ვერავინ დაასახელა. შუხრად კადიროვმა თავის ნარკვევში თქვა: „მიწისძვრის ზონაში 10 წამში დაიღუპა და სასიკვდილოდ დაიჭრა იმდენი ადამიანი, რამდენი თურქმენიც დარჩა დიდი სამამულო ომის ველებში". კადიროვის ვარაუდის მიხედვით დაიღუპა 35000 ადამიანი.

მიწისძვრის თვითმხილველების მონათხრობიდან ირკვევა, რომ: „5 ოქტომბრის საღამოს ძაღლებმა ატეხეს უჩვეულო ყეფა, სახლებიდან გაიქცა კატები, მაგრამ ამაზე არავინ გაამახვილა ყურადღება და აი შუაღამეზე გაისმა მრისხანე გუგუნი და ხმაური. მიწა აძიგძიგდა და შეირყა, ეს ძალიან ჰგავდა დაბომბვას. გამოვვარდი გარეთ თუ არა ზურგს უკან დაინგრა სახლი. დანგრეული სახლებიდან მაღლა ავარდა მტვერი, ყველაფერი ჯერ უჩვეულო ყვითელი შუქით იყო განათებული, შემდეგ კი ჩამობნელდა. ყოველი მხრიდან ისმოდა კივილი,

ტირილი. გაჩნდა ხანძრები. მიწა კი იძვროდა, ძაგძაგებდა. ჩემი სახლისგან დარჩა აგურის ნანგრევები, თიხის ნაყარი და ფიცრების გროვა"...

„როცა გათენდა, დავინახეთ, რომ ქალაქი აღარ იყო. ცოცხლად გადარჩენილები გარბოდნენ ტრავმირებულების და ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების დასახმარებლად, ზოგი ტვირთავდა მანქანებზე დაღუპულებს. არ მოქმედებდა ტელეგრაფი, ტელეფონი, არ მოძრაობდა მატარებლები. გარე სამყაროსთან ყოველნაირი კავშირი იყო გაწყვეტილი"...

„აღარავინ იყო რომ დაღუპულების გვამები ამოეთხარა. მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა სამხედრო ნაწილები, რომლებმაც დამარხეს ისინი. ნანგრევებში მოყოლილი და ცოცხლად გადარჩენილი ადამიანების დამხმარე აღარავინ იყო. საშინელი იყო ბოთლების დამამზადებელი ქარხნის მუშების სიკვდილი, სამქროს ჩამონგრეული თაღების ქვეშ მოხვედრილები ცოცხლად დაიწვნენ ღუმელებიდან გადმოღვრილი გავარვარებული მინისაგან"...

„სასაზღვრო სამხედრო ნაწილი სასწრაფოდ წაიყვანეს აშხაბადის დასახმარებლად, 300 კილომეტრი გავიარეთ გაუჩერებლად. როცა შევედით ქალაქში, ფარების შუქზე დავინახეთ ქუჩებში დაყრილი მრავალი გვამი. ქალაქი იყო ჩაბნელებული. ზოგან ენთო ცეცხლი, სადაც ღამეს ათევდნენ ცოცხლად გადარჩენილები. გვამები სწრაფად გაიხრწნა და ამიტომ აირწინაღებით ვმუშაობდით. დღისით ვშლიდით ნანგრევებს, ღამით კი ვეწეოდით საყარაულო სამსახურს. გამოჩნდა მარადიორების ჯგუფები. სიტუაცია გაართულა საპატიმროს დანგრევამ, საიდანაც გაიქცნენ დამნაშავეები, რომელთა უმრავლესობა გაემართა საზღვრისაკენ ირანში გადასვლის მიზნით"...

მოგვიანებით სეისმოლოგებმა დაადგინეს, რომ მიწისძვრის ცენტრი იმყოფებოდა აშხაბადიდან სამხრეთ-დასავლეთით 25 კილომეტრის დაშორებით. ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა 170000 ადამიანი, აღარ არსებობდა.

## აგადირი (მაროკო)

— 1960 წლის 29 თებერვალს მაროკოს ქალაქ აგადირში მოხდა მიწისძვრა, რის შედეგადაც ქალაქი თითქმის აღარ არსებობდა. 15 წამში ქალაქის ძველ უბნებში ყველა შენობა მიწასთან გასწორდა. ახალ უბნებში, სადაც აგებული იყო სასტუმროები და ადმინისტრაციული შენობები, დაინგრა 50-70%. ჯერ კედლები დაინგრა და საყრდენის გარეშე დარჩენილი სახურავები ჩამოვარდა, ერთი მეო-

რეშე, ბანქოს ქაღალდებისაგან გაკეთებული სახლებიეით. აგურის კედლებიანი სახლები მთლიანად დაინგრა. ათასობით ადამიანი იყო დამარხული ნანგრევებში. ცნობების მიხედვით დაიღუპა 12000 ადამიანი და დაშავდა 120000. ნანგრევები იყო თავმოყრილი ეპიცენტრის 8-კილომეტრიან რადიუსში, სადაც იმყოფებოდა ქალაქი აგადირი. ადრე 1751 წელს ამ ადგილებში მოსდა მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია ქალაქი, მაგრამ ეს ფაქტი დაივიწყეს და ახალი სახლები ააშენეს სეისმური გამძლეობის გათვალისწინების გარეშე.

ქალაქი აგადირი იყო მშვენიერ ადგილზე ზღვის ყურის გასწვრივ 5 კილომეტრზე გაჭიმული, 33 ათასი მაცხოვრებლით. ქალაქს თავზე დასცქეროდა XVI საუკუნის ციხე-სიმაგრე კასბი. ქალაქი იყო ნარევი ძველის და ახლის, აფრიკის და ევროპის, სადაც გამეფებული იყო გართობა და კომერცია. მისი ქვიშის სანაპიროები და რბილი კლიმატი ხელს უწყობდა ტურიზმის განვითარებას. თანამედროვე სასტუმროები სავსე იყო მზის მოყვარული ევროპელებით. ეს იყო „ჩრდილო აფრიკის მაიამი“.

## არაუკო (ჩილე)

– 1960 წლის 21 მაის ჩილეში მოხდა მიწისძვრების სერია, რომელთა ბიძგები თანდათან შემცირებული ინტენსიურობით და ნაკლები ძალებით გრძელდებოდა წლის ბოლომდე. ცენტრალური ჩილეს სამხრეთ ნაწილმა განიცადა ისეთი ზიანი, რომ ეკონომიკის წინანდელ დონეზე აყვანას დასჭირდა მრავალი ათეული წელი. მიწისძვრის ეპიცენტრი იმყოფებოდა ნახევარკუნძულ არაუკოსთან ახლოს და სერიოზული დაზიანება მიაყენა ქალაქ კონსესონეს და არაუკოს ნახევარკუნძულის ქალაქებს. მიწისძვრას ძალიან დიდი ნგრევები და მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან მიწისძვრის კერა იყო 60 კილომეტრამდე სიღრმეში. მიწისძვრის მაქსიმალური ინტენსიური ბიძგები იგრძნობოდა პუერტო-სააევედრის სანაპიროზე კუნძულ ჩილოემდე. და რელონკავის გასწვრივ ჩილეს ტბების რაიონში. წყლისაგან გაჟღენთილი მიწის ზედაპირი ინტენსიური ბიძგებისაგან გათხელდა და ზოგიერთ ადგილებში მდინარესავით დაიწყო დინება, რამაც გამოიწვია მიწის დონის დაწევა და სახლების ნგრევა. პუერტო-მონტეში ქვიშისა და ტალახის მდინარემ ალყა შემოარტყა ღუზა ჩაშვებულ გემს. გემის მეპატრონემ ვერ შეძლო გემის ადგილიდან დაძვრა და ის გადააკეთა სასტუმროდ.

ჩილე არის ჩამქრალი ვულკანების ქვეყანა. როდესაც მოგზაურობ სანაპიროს გაყოლებით გზატკეცილზე, ხშირად დაინახავთ ვულკანების კონუსებს. ერთმა ასეთმა პიკმა პუეუემ, რომელიც 1905 წლიდან აღარ

მოქმედებდა, მიწისძვრის დაწყებიდან 48 საათის გასვლის შემდეგ დაიწყო ფერფლის და ორთქლის ამოფრქვევა.

ამ მიწისძვრამ გამოიწვეია ცუნამი. მალე მიწისძვრების დაწყნარების შემდეგ, როცა სანაპიროზე მაცხოვრებელმა ადამიანებმა, რომლებიც ჯერ არ იყვნენ დაბრუნებული სახლებში, შეამჩნიეს, რომ ზღვამ დაიწყო სწრაფად უკან დახევა და ძირის გაშიშვლება. სანაპიროს რაიონების მოსახლეობა სწრაფად იქნა ევაკუირებული უფრო მაღალ ადგილებში. 20 წუთის გასვლის შემდეგ ზღვა დაბრუნდა დიდი სიჩქარით 6 მეტრის სიმაღლის ტალღებით. ყველაფერი რაც არ იყო განადგურებული მიწისძვრისაგან, დაანგრია ზღვის ტალღებმა. მაგალითად, პუერტო-სააველრეში ნამსხვრევები ნახეს ზღვის ნაპირიდან 3 კილომეტრის დაშორებით. ზღვა კელავ დაიხევდა და მერე ისევ წამოვიდოდა თავდასხმაზე, ასე გრძელდებოდა დღის მეორე ნახევრის განმავლობაში. მრავალი ადამიანი დაიღუპა, იმის გამო, რადგან ადრე დაბრუნდნენ ნაპირზე. ცუნამმა წაიღო ღოკების ყველა მოწყობილობა, დაიკარგა უამრავი ნავი.

ზღვის თავდასხმისაგან დაზარალდა არა მარტო ჩილე, არამედ ჰავაის და იაპონიის მოსახლეობაც. ტალღებმა 640 კმ/ს სიჩქარით გადასერეს წყნარი ოკეანე და 8 საათის შემდეგ მიაღწიეს იაპონიას და მიასკდნენ ხონსიუს და ხოკკაიდოს სანაპიროს. 180 იაპონელი დაიღუპა და 15000 დაზარალდა. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ნაგებობებს 70 მილიონი დოლარის ზარალი მიადგა.

ჩილეში დაიღუპა 1123 ადამიანი, 588 კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 258 მძიმედ იყო დაჭრილი, 58700 სახლი გახდა უვარგისი საცხოვრებლად, სხვა 100000 შენობა ნაწილობრივ იყო დანგრეული, 380 კვადრატული კილომეტრი მიწა წყალში ჩაიძირა.

ჰავაიზე დაიღუპა 61 და დაიჭრა 282 ადამიანი.

## სკოპლე (იუგოსლავია)

— ცნობილი იყო, რომ ყოფილი იუგოსლავიის ქალაქი სკოპლე გაშენებული იყო სეისმურად საშიშ ზონაში. მისი წინაპარი სკუპი, რომელიც მისგან ახლოს მდებარეობდა, 518 წელს მთლიანად დაანგრია მიწისძვრამ. გაზვიადებული ცნობები იტყობინებოდა, რომ ქალაქი მიწაში ჩაიფლო სახლების სახურავამდე. ცეზარ იუსტინემ გასცა ბრძანება ქალაქის აშენების შესახებ, ახლანდელ ვითომ ნაკლებად საშიშ ადგილზე — ადრე ყოფილ ქალაქის აღმოსავლეთიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. მიუხედავად ამისა გასულ პერიოდში ქალაქი დაზარალდა მიწისძვრებისგან არანაკლებ 25-ჯერ.

1963 წლის 28 ივლისს ქალაქ სკოპლეში დამანგრეველი მიწისძვრა დაიწყო მოულოდნელად, ყოველნაირი წინასწარი ბიძგების გარეშე. ამ დროისათვის ქალაქში ცხოვრობდა 200000 ადამიანი. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, მაგნიტუდა იყო 6,0. დაიღუპა 1200 ადამიანი. შენობების 10% მთლიანად დაინგრა, ხოლო 65% ისე დაზიანდა, რომ მათი გარემონტება შეუძლებელი იყო. მსხვერპლის რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო უფრო საგრძნობი, მაგრამ იღბალზე მიწისძვრა მოხდა დილით ადრე, როცა დაწესებულებები ჯერ არ მუშაობდა. ასევე იღბადზე არ გაჩნდა ხანძრები, რადგან ზაფხულში ღუმელები არ იყო დანთებული.

ქალაქი კვლავ იმავე ადგილზე ააშენეს, ოღონდ 9-10 ბალიანი ძალის ბიძგების გამძლეობის გათვალისწინებით.

## ანკორიჯი (აშშ)

— ალიასკაზე, იქ სადაც გადის ალეუტის კუნძულების რკალი, წყნარი ოკეანის ლითოსფეროს ფილა (მასივი) გადაადგილდა ამერიკის კონტინენტის ქვეშ. ფილის მკვეთრმა გადაადგილებამ გამოიწვია ერთ-ერთი უძლიერესი ცნობილი მიწისძვრა, რომელიც მოხდა 1964 წლის 27 მარტს. ეპიცენტრი მდებარეობდა 130 კილომეტრ მანძილზე ქალაქ ანკორიჯიდან. მსხვერპლი არ იყო დიდი, რადგან ტერიტორია იყო თითქმის დაუსახლებელი. ამ ადგილებში ადრეც ხდებოდა მიწისძვრები, განსაკუთრებით ძლიერი ბიძგები მოხდა 1899 წელს.

1964 წლის მარტის მიწისძვრამ ამ ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირს გაუკეთა დეფორმაცია. ბიძგები გაგრძელდა 3 წამს. მიწის ზედაპირის ტალღისებური მოძრაობა მოჩანდა შეუიარაღებელი თვალით. დაიღუპა 300 ადამიანი, აქედან 130 ქალაქ ანკორიჯში. მიწის რყევების გამო სახლების ფუნდამენტები დაინგრა. მიწისძვრამ წარმოქმნა ასობით დიდი და პატარა მეწყერი. სეისმურმა ტალღებმა გამოიწვია სერიოზული ნგრევა 20 ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე. მატერიალურმა ზარალმა მიაღწია 310 მილიონ დოლარს. დაინგრა ნავსადგურები, დოკები, რკინიგზები, ხიდები, საავტომობილო გზები, ელექტროსადგურები.

## ხონ სიუ (იაპონია)

— 1964 წლის 16 ივნისს იაპონიის კუნძულ ხონსიუზე მოხდა 7,5 მაგნიტუდის ძალის მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი 60 კმ-ით იყო დაშორებული ქალაქ ნიიგატიდან. მიწისძვრამ გამოიწვია

მნიშვნელოვანი ნგრევა ზღვის სანაპიროს 200 კილომეტრ სიგრძეზე. ეპიცენტრიდან 5 კმ-ით დაშორებულმა პატარა კუნძულმა აეასიმამ ამოიწია წყლის დონიდან 80-160 სმ-ით. მიწისძვრამ გამოიწვია ნიადაგის გათხელება, რის შედეგად მრავალი მაღალი სახლი გადაიხარა ან დაჯდა. დაიწვა 3018 სახლი, ხოლო 9750 შენობამ მიიღო მეტნაკლები დაზიანება. 15 ათასი სახლი დაიტბორა დამცველი ჯებირის დანგრევის გამო. დაიღუპა მხოლოდ 26 ადამიანი. მიწისძვრამ გამოიწვია ცუნამი, ზღვის დონემ აიწია 4 მეტრით და დატბორა ზღვის სანაპიროს სოფლები 150 კილომეტრის მანძილზე.

## ინანგახუა (ახალი ზელანდია)

– 1968 წლის 24 მაისს ახალი ზელანდიის ქალაქ ინანგახუადან 15 კმ მანძილზე დაშორებული ეპიცენტრით, მოხდა 7,1 მაგნიტუდის სიძლიერის მიწისძვრა, რომლის კერა დედამიწის სიღრმეში იყო 15 კმ-ით. დიდ ფართობზე დაზიანდა შენობები, რკინიგზა, საავტომობილო გზა, ხიდები. მოხდა ზვავები და მეწყერები. ადამიანთა მსხვერპლი იყო მცირე, რადგან მიწისძვრის ზონა იშვიათად იყო დასახლებული. სამაგიეროდ, მატერიალური ზარალი იყო დიდი. მაგალითად, რკინიგზის აღსადგენად დაიხარჯა 474 ათასი დოლარი, ხოლო გზატკეცილების რემონტზე 515 ათასი დოლარი. სკოლების რემონტზე დაიხარჯა 121 ათასი დოლარი. სახელმწიფო დაზღვევამ მოსახლეობას აუნაზღაურა 2,5 მილიონი დოლარი.

## უასკარანი (პერუ)

– 1970 წლის 31 მაისს პერუში მოხდა 7,1 ამპლიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა, რომელმაც მოიცვა 100 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 60 ათასი ადამიანი, დაზიანდა 50 ათასი და 1 მილიონი ადამიანი დარჩა უბინაოდ. მიწისძვრამ გამოიწვია ზვავები უასკარანის მთებში, სადაც დაიღუპა 18 ათასი ადამიანი. ქალაქ ხუარას-ში შეშინებული ადამიანები გამოვიდნენ გარეთ ვიწრო ქუჩებში და დაიმარხა შენობების ნანგრევებში. ლოდების, თოვლის და ტალახის ზვავში დაიმარხა ჩეხოსლოვაკიის ალპინისტები, რომლებსაც სურდათ ასვლა ანდის მწვერვალზე.

## სან-ფერნანდო (აშშ)

– 1971 წლის 9 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფერნანდოში (კალიფორნია) მოხდა 6,5 ამპლიტუდის ძალის მიწისძვრა. დაიღუპა 65 ადამიანი, ხოლო მატერიალურმა ზარალმა

მიაღწია 500 მილიონ დოლარს. რკინა-ბეტონის კარკასიანმა სახლებმა გაუძლო მიწისძვრას, ხოლო ხისა და აგურის კედლებიანი სახლები ისე დაზიანდა, რომ დაშალეს და ხელახლა ააშენეს. მიწისძვრის შედეგად გასკდა გაზსადენის მილები, რის შედეგადაც შეწყდა წყლის მიწოდება. მნიშვნელოვნად დაზიანდა საავტომობილო გზები, დაზიანდა ქალაქის წყალსაცავები.

## მანაგუა (ნიკარაგუა)

– 1972 წლის 23 დეკემბერს ნიკარაგუის ქალაქ მანაგუაში, ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრში მოხდა 6,2 მაგნიტუდის ძალის მქონე მიწისძვრა, რასაც 1 საათის მანძილზე მოჰყვა შედარებით ნაკლები ძალის ბიძგები. მიწისძვრის კერა აღმოჩნდა ქალაქ მანაგუას ქვეშ 8 კმ სიღრმეზე. მიწისძვრამ გამოიწვია დიდი ნგრევები ქალაქში და ასევე 15 კმ რადიუსის ტერიტორიაზე. მიწისძვრისაგან დაიღუპა 5 ათასი ადამიანი და დაშავდა 20 ათასი, 250 ათასი კი დარჩა უსახლკაროდ. დაინგრა 50 ათასი შენობა, მთლიანად გაანადგურა 11 მსხვილი ფაბრიკა, დაინგრა 4 საავადმყოფო და 740 ადმინისტრაციული ნაგებობა. საერთო ზარალმა გადააჭარბა 1 მილიარდ დოლარს. ქალაქში დასკდა ყველანაირი მილგაყვანილობა. დაზიანდა ასევე სახელმწიფო შენობები, დაანგრია ფედერალური ციხე, სადაც დაიღუპა 39 პატიმარი, გადარჩენილები გაიქცა ციხიდან. რამდენიმე საათის შემდეგ 300 ათასი ადამიანი გახდა ლტოლვილი. ადამიანები გარბოდა ქალაქიდან შორს. გზებზე წარმოიქმნა საცობები. მაღაზიებსა და უნივერსამებში დაიწყეს ძარცვა. მიწისძვრისგან 38 საათის შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გაჩნდა ხანძარი, რომლის ჩაქრობას ებრძოდნენ 7 დღე-ღამის მანძილზე, ადგილობრივი, სხვადასხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან საშველად მოსული მეხანძრეები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფი.

## გვატემალა

– 1976 წლის 4 თებერვალს გვატემალაში მოხდა 7,5-8 მაგნიტუდის ძალის მქონე მიწისძვრა, რომლის კერა იყო მიწისქვეშ 10 კილომეტრ სიღრმეში. მიწისძვრის შედეგად ჰორიზონტალური გადანაცვლება აღწევდა 3 მეტრს, ხოლო ნაპრალების სიგანემ მიაღწია 9 მეტრს. დაზიანდა 9000 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტერიტორია. მიწისძვრამ გამოიწვია მრავალი მეწყერი. დაიღუპა 22 ათასი ადამიანი, ხოლო დაშავდა 70 ათასი. ამ რეგიონში სახლები აშენებული

იყო გამოუმწვარი აგურისაგან, ისინი დაინგრა და ნანგრევებში მოჰყვა ადამიანები. თანამედროვე რკინა-ბეტონის შენობებმა კი გაუძლო მიწისძვრას. ცნობილია, რომ მთლიანად ეს ოლქი მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში. გვატემალას ძველი დედაქალაქი ანტიგუა დანგრეული იყო მიწისძვრებისგან მრავალჯერ: 1568, 1717, 1773, 1874 წლებში. გვატემალას ახლანდელ დედაქალაქში (სიტი) მიწისძვრა მოხდა 1917 წელს, რამაც დაანგრია და ნაწილობრივ დააზიანა ქალაქის შენობების 40%.

## ფრიული (იტალია)

— 1976 წლის 6 მაისს იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთში ფრიულის ოლქში მოხდა 6,5 მაგნიტუდის ძალის მიწისძვრა, რომლის კერა მიწის ზედაპირიდან იყო მცირე მანძილით დაშორებული. ამ მიწისძვრამ დაანგრია 35 ქალაქი და სოფელი, დაიღუპა 935 ადამიანი, ხოლო 2280 იყო დაჭრილი. გადარჩენილი ადამიანები ცხოვრობდნენ კარვებში. ამავე წლის 15 სექტემბერს კვლავ მოხდა 6,0 ამპლიტუდის ძალის მიწისძვრა, რამაც დაანგრია ადრე დაზიანებული სახლები. ამ ადგილებში გადის სამხრეთ ალპების რღვევის ხაზი, რომელიც გადაჭიმულია იტალიიდან ავსტრიის ქალაქ ფილახამდე. ისტორიული მონაცემებით ამ ადგილებში ბოლო 1000 წელიწადში მოხდა 17 ძლიერი მიწისძვრა.

## ტანშანი (ჩინეთი)

— 1976 წლის 28 ივლისს ჩინეთში დედაქალაქ პეკინიდან 150 კმ დაშორებით მოხდა ძლიერი 8,2 ამპლიტუდის ძალის მიწისძვრა, რომელმაც მთლიანად დაანგრია ქალაქი ტანშანი. ეპიცენტრი მდებარეობდა პირდაპირ ამ ქალაქის ქვეშ. დაინგრა ხიდები, რკინიგზები, ავტოტრასები, სოფლები, წყალსაცავები. მსხვერპლი იყო 655237 ადამიანი. ზარალმა შეადგინა 2 მილიარდი დოლარი.

## ლენინაკანი, სპიტაკი (სომხეთი)



— 1988 წლის 7 დეკემბრის 11 საათსა და 41 წუთზე სომეხ ხალხს კვლავ მოულოდნელად თავს დაატყდა უბედურება, მოხდა საშინელი (9,0) ბალიანი მიწისძვრა, რის შედეგად თითქმის მთლიანად დაინგრა ქალაქები ლენინაკანი, სპიტაკი და ახლომდებარე 58 სოფელი, დაზიანდა 21 დასახლებული ადგილი, დაიღუპა 25 ათასი ადამიანი, ამდენივე დაიჭრა ან დაშავდა,

გამოუსადეგარი გახდა 280 სკოლა, 250 სამედიცინო ნაგებობა, ასობით საბავშვო ბაგა-ბაღი. დაახლოებით 200 საწარმო გამოვიდა მწყობრიდან. საჭირო გახდა დაჭრილი ადამიანებისთვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა, ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების გამოყვანა. უსახლკაროდ



დარჩენილი ადამიანებისთვის საჭირო იყო საკვები პროდუქტები და დროებითი საცხოვრებელი ბინები. დასახმარებლად ფეხზე დადგა მაშინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები რუსეთის და ძმური საქართველოს აქტიური მონაწილეობით. მიწისძვრიდან მესამე დღეს სომხეთში ჩამოფრინდა სსრკ ცკ-ის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ რიჟკოვი. ჰუმანიტარული დახმარების მიზნით ჩამოვიდა დედა ტერეზა. დაჭრილების გადარჩენაში, ნანგრევების ალებაში, დროებითი და მუდმივი საცხოვრებელი ბინების აშენებაში და საკვები პროდუქტებით მომარაგებაში. აქტიური დახმარება გაუწია სომეხ ხალხს უცხო ქვეყნებმა: საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ჩეხეთმა, ნორვეგიამ და სხვებმა. სომხური წარმოშობის ფრანგმა მომღერალმა შარლ აზნავურმაც გამოაგზავნა ჰუმანიტარული დახმარების ამანათები.

## გისარი (ტაჯიკეთი)

– 1989 წლის 23 იანვარს 5 საათსა და 2 წუთზე ტაჯიკეთის გისარის რაიონში მოხდა 6 ბალის სიძლიერის მიწისძვრა. დაიღუპა 1000-ზე მეტი ადამიანი. ეპიცენტრი იყო დუშანბედთან 30 კილომეტრზე. ყველაზე მეტად დაზარალდა გისარის რაიონის 3 კიშლაკი. ძლიერმა ბიძგებმა დაშალა წყლით და თოვლით დამბალი ბორცვი სოფელ შაროს ახლოს. მიწის დიდი მასა ჩამოცურდა ქვევით 2 კმ სიგანეზე და მთლიანად დაფარა კიშლაკი ტალახით. ზოგიერთ ადგილებში მეწყერის სისქე იყო 18-20 მეტრი. ასეთივე ბედი ეწვია სხვა სოფლებსაც.

მთლიანად დაინგრა 2 კმ გზა და ფერმა, 300 მეურნეობა, 2 სკოლა, 209 შენობა, განადგურდა სახნავ-სათესის დიდი ფართობი. ზოგიერთი თვითმხილველის და მკვლევარის აზრით, მიწისძვრასთან ერთად მოხდა ვულკანის ამოფრქვევა, რადგან ადგილი ჰქონდა აფეთქებას, ცეცხლის ალებს, ხოლო ამოფრქვეული ტალახი იყო ცხელი.

## კოტორი (იუგოსლავია)

– 1979 წლის 15 აპრილს ყოფილ იუგოსლავიაში ადრიატიკის ზღვის ფსკერზე მოხდა M=6,5 ძალის მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია ქალაქი კოტორი. დააზიანა ქალაქი დუბროვნიკი. დაიღუპა 157 ადამიანი და დაშავდა 1300. დაინგრა მრავალი ტურისტული ნაგებობა. მიწისძვრამ გამოიწვია მეწყერები. მთებიდან ზღვაში ჩამოქცეულმა მიწამ და ლოდებმა დააზიანა სანაპიროზე მდგომი გემები და ნავები.

## ბუქარესტი (რუმინეთი)

– 1977 წლის 4 მარტს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მოხდა 7,2 ბალი ძალის მიწისძვრა. თანამედროვე შენობებმა გაუძლო, მაგრამ აგურის და ბლოკის კედლებიანი შენობები დაინგრა. ნანგრევებში დაიღუპა 2 ათასი ადამიანი, დაშავდა 10 ათასი. მიწისძვრა იგრძნობოდა მოსკოვში და იტალიის ზოგიერთ პუნქტებში. მიწისძვრის შემდეგ ბუქარესტი თითქმის ხელახლა იქნა აშენებული. ახალი შენობები აიგო M=7,5 ძალის გამძლეობის გათვალისწინებით.

## ნიუ-კასლი (ავსტრალია)

– 1989 წლის 28 დეკემბერს 10 საათსა და 28 წუთზე ავსტრალიის ქალაქ ნიუ-კასლში მოხდა 5.5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი იმყოფებოდა 5 კილომეტრის დაშორებით ქალაქ პორტოდან დასავლეთით, მიწისძვრამ გასტანა 10 წამს, დაიღუპა 130 ადამიანი და დასახიჩრდა 120, მატერიალურმა ზარალმა მიაღწია 1,5 მილიარდ დოლარს.

მიწისძვრის შესახებ გახდა ცნობილი, რომ მინები დაიმსხვრა, ავეჯმა დაიწყო აქეთ-იქით გადაადგილება, შექანდა მაღალი სახლები. მუშათა კლუბში, სადაც ამ საშობაო დღესასწაულის დღეებში ყოველთვის თავს იყრიდა ხალხი, წაიქცა საყრდენი კედელი, ორსართულიანი ჩამოინგრა და დამარხა ყველა ვინც ამ დროს იმყოფებოდა დასასვენებელ დარბაზში და ქვემოთ მდებარე ავტოსადგომის ტერიტორიაზე. ქალაქის ცენტრში გამილტონის და კუკხილზის რაიონებში სტიქიამ დაანგრია ძველი შენობები, დაიბზარა სახლების კედლები, ძაფივით გაწყდა მილები და სხვა კომუნიკაციები.

მიწისძვრის პირველი 10 წუთის მანძილზე ქალაქში იყო სიწყნარე. შემდეგ გაისმა სასწრაფო დახმარების მანქანების სირენების ხმები. 1974 წლის შემდეგ, როდესაც ციკლონმა დახვეტა ქალაქი დარვინი, ავსტრალიას არ განუცდია მსგავსი უბედურება, რომელიც სეისმოლოგების აზრით შეიძლება კვლავ განმეორდეს.

## ირანი

– 1990 წლის 21 ივნისს ღამით ირანში მოხდა 7 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა. 12 საათის შემდეგ მოხდა 6,5 ბალის ძალის მეორე ბიძგი. განსაკუთრებით დაზარალდა ირანის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები გილიანი, ზენჯანი და აზერბაიჯანის აღმოსავლეთი ნაწილი. ირანში დაიღუპა 48000 ადამიანი და დასახიჩრდა 100000. სტიქიური უბედურების ზონაში მოყოლილ ქალაქებში და სოფლებში 70%-ზე მეტი სახლი დაინგრა. გზები ჩახერგა მეწყერებმა, დაინგრა ელექტროგადამცემი ხაზები. მიწისძვრის ზონის ტერიტორია იყო მჭიდროდ დასახლებული, ამ ადგილებში ცხოვრობდა 4 მილიონი ადამიანი, ეს მხარე ითვლებოდა ქვეყნის მაცოცხლებელ ადგილად. აქ მოჰყავდათ ბრინჯის, პურის, ჩაის, ხილის, თუთუნის და მარცვლეული კულტურების მოსავალი. მხოლოდ პატარა ქალაქ რუტბარში დაიღუპა და მიიღო ჭრილობები 5 ათასმა ადამიანმა, დაინგრა შენობების 90%. გზები ისე იყო დანგრეული, რომ ავტოტრანსპორტი ვერ იქნა გამოყენებული დასახმარებლად, ამას ხელი შეუწყო ცუდმა ამინდმაც.

ირანის მიწისძვრის შედეგად მოტანილი უბედურება იმდენად დიდი მასშტაბის იყო, რომ ირანის პრეზიდენტმა დასხმარებისათვის მიმართა საერთაშორისო დასხმარების გაერთიანებას. 500 ათასზე მეტი ირანელი დარჩა უბინაოდ.

## კობე (იაპონია)

– 1995 წლის 18 იანვარს 5 საათსა და 46 წუთზე მრავალტანჯულ იაპონიაში კვლავ აბობოქრდა სტიქია. დილით ადრე იაპონიის ზღვაში ძლიერად შეარყია კუნძული ვაძი, რომელიც ტოკიოდან დასავლეთით დაშორებულია 60 კილომეტრით. სპეციალისტების აზრით რიხტერის სკალის მიხედვით მიწისძვრის სიმძლავრე იყო 7,5 ბალი, ხოლო მათივე გაანგარიშებით ეპიცენტრი იყო ამ კუნძულის ქვეშ 20 კილომეტრის სიღრმეზე. აქედან გავრცელდა დაუნდობელი ძლიერი დარტყმების ტალღები მჭიდროდ დასახლებულ ცენტრებში როგორიც არის კობე, კიოტო, ოსაკა, ნარა და ოკაიამა.

განსაკუთრებით ძლიერი ნგრევები განიცადა პორტმა კობემ, სადაც ნანგრევებად იქცა მრავალი ათასი შენობა. სეისმურად მდგრადი შენობები არ დანგრეულა და ჩაიმსხვრა მხოლოდ მინები. ქალაქში თითქმის მთლიანად დაიწვა სავაჭრო ცენტრი, სადაც უმეტესად იყო ხის სახლები და ვიწრო ქუჩები, რის გამოც იქ სახანძრო მანქანები ვერ შევიდა, შეწყდა წყლის მომარაგებაც.

მიწისძვრის შემდეგ 12 საათის მანძილზე დაფიქსირებული იყო

610 ბიძგი, მათ შორის 56 იყო ძალზე საგრძნობი. ამოიბურცა და დაიბზარა ათიობით გზა, მრავალი მატარებელი გადავარდა დაბრეცილი რელსებიდან. 4 ადგილზე ჩამოინგრა სატრანსპორტო მაგისტრალების კონსტრუქციები. გაიჭყლიტა ასობით ავტომობილი. აყირავდა სატრანსპორტო მაგისტრალის ესტაკადა. ასეთი ძლიერი ნგრევები გამოიწვია მან, რომ კობე მდებარეობს რღვევის ხაზზე.

ერთი თვითმხილველი ქალი ასე აღწერს მომხდარ უბედურებას: „სამშაბათ დილას მკვეთრმა ბიძგებმა ამაყენა ფეხზე, თითქოს ვიყავი ქარიშხალში მოქცეულ გემბანზე. ყველაფერი მოძრაობდა, ავეჯი სრიალებდა იატაკზე და მისგან ცვიოდა ყველაფერი. გაგლიჯა წყლის მილი, დადგა გახის სუნი, ჩამოცვივდა მინები, დაიმსხვრა ჭურჭელი. ყველაფერი ეს მოხდა რამდენიმე წამში. ჩავავლე ხელი ბავშვს და გამოვვარდი გარეთ: მიშველეთ, დამეხმარეს ძახილით".

7,2 ბალის ბიძგებმა შეარყია კუნძული ავაჯი. რამდენიმე წამში მთლიანად დაანგრია კუნძულზე ხის სახლები, რომლებიც გადაიქცა ამტვერებულ ჩირაღდნად. დარტყმის ტალღები გავრცელდა კუნძულ ხონსიუზეც, შეეხო ოსაკას და უძველეს დედაქალაქ კიოტოს.

მხოლოდ კობაში მიწისძვრამ იმსხვერპლა 3160-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 800 ადამიანი ჩათვალეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, იაპონიის მაშინდელმა მთავრობამ დაგვიანებით მიიღო საჭირო ზომები და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის გამოყო სამხედროები, ხოლო უცხო ქვეყნების მაშველ რაზმებს უარი განუცხადა დახმარებაზე, რამაც გამოიწვია იაპონელი ხალხის პროტესტი.

## ნეფტეგორსკი (რუსეთი)

– 1995 წლის 28 მაისს 1 საათსა და 5 წუთზე რუსეთში სახალინის ნახევარკუნძულზე ნეფტეგორსკის რაიონში მოხდა 7,5 ბალის ძალის (რიხტერის სკალის მიხედვით) მიწისძვრა. მონაცემების მიხედვით მენავთობეთა ქალაქში დაინგრა 17 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საქვაბე, კლუბი, მაღაზია, სასადილო, პურის საცხობი და სკოლა.

თვითმხილველი ასე აღწერს მომხდარ მოვლენას: „შუაღამეზე გაისმა ბიძგები. თავიდან ვერ გავიგე რა მოხდა, მაგრამ ვიგრძენი რომ საწოლთან ერთად მივფრინავდი ძირს. მე გამიმართლდა, ჭერის გადასახური ორი ფილა ისე გაიჭედა, რომ მათ ქვეშ უვნებელი დავრჩი, მესმოდა როგორ ყვიროდნენ და ტიროდნენ ადამიანები. გავიგონე როგორ ცდილობდნენ ნანგრევების დაშლას და შიგ მოყოლილი ადამიანების გამოყვანას. მეც გამომიყვანეს ნანგრევებიდან"...

ნეფტეგორსკის 3000 მოსახლისაგან ცოცხალი გადარჩა 684 ადამიანი. ნანგრევებიდან ამოიყვანეს 1600-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 227 ბავშვი, დაჭრილი იყო 406. სულ დაიღუპა 1236 ადამიანი.

## ავღანეთი

– 1998 წლის 3 თებერვალს ჩრდილო ავღანეთში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რის შედეგად დაიღუპა 4500 ადამიანი, ხოლო 30 ათასი ოჯახი დარჩა უსახლკაროდ.

## კოლუმბია

– 1999 წლის 25 იანვარს კოლუმბიაში მოხდა მიწისძვრა, რის შედეგად დაიღუპა 450 ადამიანი.

## თურქეთი

– 1999 წლის აგვისტოში თურქეთში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რამაც დაანგრია ქალაქ იზმირის დიდი ნაწილი და ასევე ახლომდებარე სოფლები. მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 17 ათასამდე ადამიანი, დაშავდა 50 ათასზე მეტი.

ამავე წლის 12 ნოემბერს კვლავ თურქეთში სტამბოლიდან 180 კილომეტრის მანძილზე მოხდა 7-ბალიანი მიწისძვრა, რის შედეგადაც დაინგრა ქალაქ დურჩეს ნაწილი და დაიღუპა 500-ზე მეტი ადამიანი. დაზარალდა ანკარას და სტამბოლის ზოგიერთი ნაწილიც.

## მიწისძვრების წინასწარმეტყველება და მისგან დაცვა

„მიწისძვრასთან არ შეიძლება დავა" – წერდა გენიოსი მწერალი იოჰან გოეთე. მაგრამ ჟურნალ „მეცნიერება და ცხოვრებაში", ახლახან დაიბეჭდა, რომ: „მეცნიერების ახლანდელი მიღწევები იძლევა მიწისძვრების წინასწარმეტყველების საშუალებას და ამის მეოხებით ადამიანების სიცოცხლის დანაკარგების აღმოფხვრას".

მიწისძვრის შესაძლებელი პროგნოზის საფუძვლებად მიღებულია მთელი რიგი ნიშნები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი:

1) სტატისტიკური მეთოდები;
2) სეისმურად აქტიური ზონების გამოყოფა, რომლებსაც დიდი ხანი არ განუცდია რყევები;
3) დედამიწის ქერქის გადანაცვლებების სწრაფად შესწავლა;
4) გრძივი და განივი ტალღების სიჩქარის თანაფარდობების ცვლილებების გამოკვლევა;
5) სამთო ქანების მაგნიტური ველის და ელექტროგამტარიანობის ცვლილებების შესწავლა;
6) სიღრმიდან ამოსული გაზების შემადგენლობაში ცვლილებების შესწავლა;
7) წინასწარი ბიძგების (ფორშოკების) რეგისტრაცია;
8) მიწისძვრის კერების დროში და სივრცეში განაწილების გამოკვლევა.

ასევე დიდი მნიშვნელობა ექცევა ცხოველების არაჩვეულებრივ ქცევებს მიწისძვრის წინ. დაკვირვებების შედეგად ცნობილია, რომ თაგვები, ვირთხები, კატები სწრაფად ტოვებენ სოროებს, ძაღლები იწყებენ ყეფას და ყმუილს, ირმების ჯოგი ტოვებს ტყეებს, ფრინველები იწყებენ უჩვეულო ყვირილს, შინაური ცხოველები პანიკაში ვარდებიან, გალიაში მყოფი ფრინველები ცდილობენ გაფრენას, თევზები და ზღვის ცხოველები ნაპირისაკენ მოცურავენ და სხვა.

სეისმურ ადგილებში ადამიანები საცხოვრებელ სახლებს აშენებენ უხარისხო მასალით. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – გამოუწვავი თიხის აგურით და ბლოკით, კალიფორნიაში და ახალ ზელანდიაში ხის კარკასიანი კედლებით, იაპონიაში მსუბუქი ფიცრებით. ხშირად სახლები აშენებულია ნაყარ მიწაზე, მეწყერულ, ჭაობიან, ზედმეტად დაფერდებულ, კლდისპირა, მდინარისპირა, ზღვისპირა ადგილებში.

კაცობრიობისათვის ცნობილ მიწისძვრების შედეგად ადამიანთა უმრავლესობა იყო დაღუპული საცხოვრებელი სახლების მშენებლო-

ბისათვის გამოუსადეგარი, უვარგისი სამშენებლო მასალების გამოყენების და მშენებლობის ცუდი ხარისხის გამო, აგრეთვე სახლებისათვის ადგილის არასწორი შერჩევის და საძირკვლების არასწორად მოწყობის გამო. მაგალითად, ჩინეთში 1556 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად 830000 ადამიანი, ძირითადად, დაიღუპა იმის გამო, რომ საცხოვრებლად გამოყენებული ლიოსის გამოქვაბულები დაინგრა. 1968 წლის 31 აგვისტოს ირანში დაიღუპა 12 ათასი ადამიანი, 60 ათასი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ — ვინაიდან ტიპიური საცხოვრებელი სახლები და სავაჭრო დუქნები აშენებული იყო ნესტიანი თიხისაგან, ყოველნაირი საყრდენების გარეშე და მასიური მძიმე ამოზნექილი სახურავებით. თურქეთის სოფლებში მოსახლეობა დაღუპა სახლების სახურავებზე დალაგებულმა მძიმე ქვებმა, რომლებიც სახურავებს იცავდა ძლიერი ქარებისაგან. კალიფორნიაში 1906 წელს სან-ხოსე ლოს-ბანოსა და სანტა-როზაში ადამიანები დაიღუპა, რადგან აგურის და ქვის სახლები აშენებული ჰქონდათ რკინა-ბეტონის სარტყელების გარეშე. იტალიის ქალაქებში და სოფლებში ადამიანები დაიღუპნენ იმიტომ, რომ საცხოვრებელი სახლების ზედა ნაწილი (სახურავი), გაცილებით უფრო მძიმე იყო ქვედასთან შედარებით, სახურავები დამძიმებული იყო ყოველნაირი მარმარილოს და გრანიტის სკულპტურებით, ქანდაკებებით და ბარელიეფებით.

XX საუკუნის დასასრულს კაცობრიობის ცივილიზაცია ავიდა განვითარების მაღალ დონეზე, როცა ადამიანების სამსახურში გამოყენებულია ატომური ენერგია, კოსმოსური ხომალდები, კომპიუტერები, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ძველი, უვარგისი მეთოდებით და ტრადიციებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, სათანადო პროექტების გარეშე, სამშენებლო ნორმების და წესების დარღვევით, სეისმური პირობების და სეისმომდგრადობის გვედის აელით.

სეისმურად საშიშ ზონებში მიწისძვრისგან თავდაცვის ზომები შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1) მიწისძვრამდე: სახლში უნდა იყოს ბატარეებიანი რადიომიმღები, მობილური, ფანარი და საშინაო აფთიაქი. უნდა შეგეძლოთ პირველადი დახმარების აღმოჩენა. უნდა იცოდეთ გაზის, წყლსი და ელექტროდენის ჩართვის ადგილები. მძიმე საგნები არ უნდა დააწყოთ თაროებზე და კარადებზე. მძიმე ავეჯი უნდა მიამაგროთ კედლებზე.

2) მიწისძვრის დროს: უნდა შეინარჩუნოთ სიმშვიდე, თუ თქვენ იმყოფებით შენობის გარეთ — დარჩით გარეთ, ხოლო თუ იმყოფებით შენობაში, დარჩით იქ. შენობაში ყოფნისას დადექით საყრდენ

კედლებთან ან კარის ღიობში. შედით მაგიდის ქვეშ. ქუჩაში ყოფნისას არ გაჩერდეთ ვიწრო ქუჩაში, არ შეეხოთ ელექტროგადამცემ მავთულებს, გაეცალეთ შორს შენობებს, დალექით თავისუფალ ტერიტორიაზე. არ ისარგებლოთ ღია ცეცხლით. თუ იმყოფებით მანქანაში, გააჩერეთ ის ღია ადგილზე, არ გადმოხვიდეთ მანქანიდან. სამსახურში ყოფნის შემთხვევაში დაიმალეთ მაგიდის ქვეშ. არასდროს არ შეხვიდეთ ლიფტში და კიბის საფეხურებზე.

3) მიწისძვრის შემდეგ: აღმოუჩინეთ პირველადი დახმარება მას, ვისაც ესაჭიროება. შეამოწმეთ გაზი, ელექტრობა და წყალგაყვანილობა. მოერიდეთ დაზიანებულ შენობებს. არ წახვიდეთ ზღვისკენ, რადგან შეიძლება მოხდეს ცუნამი. მოერიდეთ „აფთერშოკებს". შეინარჩუნეთ სიმშვიდე. მოერიდეთ პანიკას.

# მიწისძვრის ინტენსიურობის მერკალის სკალა

I ბალი – ადამიანები შეიგრძნობენ მხოლოდ განსაკუთრებით ხელსაყრელი გარემოების დროს.

II ბალი – შეიგრძნობენ შენობის მაღალ სართულებზე სიწყნარეში მყოფი ადამიანები. თავისუფლად ჩამოკიდებული საგნები ოდნავ გაქანდება.

III ბალი – შენობის ზედა სართულებზე მყოფი ადამიანები საესებით გარკვევით შეიგრძნობენ. გაჩერებული ავტომანქანები მსუბუქად ირხევა. შეიგრძნობა სატვირთო მანქანის გავლის მსგავსი ვიბრაცია. შეიძლება შეაფასო რხევების ხანგრძლივობა.

IV ბალი – დღისით ადვილად იგრძნობა შენობების შიგნით. ღამით ზოგიერთ ადამიანს გამოეღვიძება. ადგილიდან დაიძვრება ჭურჭელი, გაიღება და დაიხურება ფანჯრები და კარებები. კედლები ჭრიალებს. დამდგარი მანქანები შესამჩნევად ირხევა და ხტუნაობს.

V ბალი – შეიგრძნობს ყველა ადამიანი, დაძინებულებს კი გამოეღვიძება. ხანდისხან გაიბზარება მინები, დასკდება გალესილი ადგილები, არამდგრადი საგნები წაიქცევა. ირხევა ხეები, ბოძები და სხვადასხვა მაღალი საგნები.

VI ბალი – ადამიანები გამორბიან გარეთ. გადაადგილდება მძიმე ავეჯი, ჩამოცვივდება ბათქაში, დაზიანდება მილგაყვანილობა, ხდება მცირე ნგრევა.

VII ბალი – ყველა გამორბის სახლიდან. მაგარ კონსტრუქციულ შენობებში ხდება უმნიშვნელო ნგრევა, კარგად აგებულ სახლებში ზომიერი ნგრევა, ცუდად აშენებული სახლები ინგრევა. ზოგიერთი საკვამლე მილი ინგრევა. გრძნობენ მოძრაობაში მყოფი მძღოლები.

VIII ბალი – სეისმურად მდგრად შენობებში ხდება მცირე ნგრევა. ხის და აგურის კედლებიანი ჩვეულებრივი სახლები მნიშვნელოვნად ზიანდება და ნაწილობრივ ინგრევა. ცუდად აშენებული სახლები ინგრევა მთლიანად. პანელები სცილდება კარკასებს. იქცევა საკვამლე და საქარხნო მილები, სვეტები, ძეგლები, კედლები. ბრუნდება მძიმე ავეჯი. იცვლება წყლის დონე ჭებში. მძღოლები გრძნობენ ბიძგებს.

IX ბალი – სპეციალური კონსტრუქციული შენობები განიცდიან მნიშვნელოვან დაზიანებას. კარკასული კარგი კონსტრუქციული შენობები იხრება. ძალიან ზიანდება ჩვეულებრივი მასალებით აშენებული სახლები და ნაწილობრივ ინგრევა. სახლები გადაადგილდება თავისი ფუნდამენტიდან. კარგად მოჩანს ბზარები მიწაზე. წყდება მიწისქვეშა მილგაყვანილობა.

X ბალი – ინგრევა კარგად აშენებული ხის სახლები. აგურის და კარკასული სახლები ინგრევა, ფუნდამენტთან ერთად. მიწა დაბზარულია. იღუნება რკინიგზის ლიანდაგები. ხდება მეწყერები ფერდობებზე და მდინარის ხეობებში.

XI ბალი – ნგრევას გადაურჩება მხოლოდ ერთეული სეისმურად მდგრადი შენობა. ინგრევა ხიდები. მიწაზე წარმოიქმნება ფართო ნაპრალები. მთლიანად გამოდის მწყობრიდან მიწისქვეშა კომუნიკაციები. ხდება ძლიერი მეწყერები და ზვავები. მეტისმეტად იღუნება რკინიგზაზე რელსები.

XII ბალი – მთლიანად ინგრევა ყველაფერი. ინგრევა შენობების ყველა ნაწილები. მიწის ზედაპირი ხდება ტალღისებური. იშლება ლანდშაფტი. საგნები ვარდება ზევით.

# ცნობილი მიწისძვრები

| № | თარიღი | ადგილი | მსხვერპლის რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | XII-856 წ. | საბერძნეთი (კორინფი) | 45 000 | |
| 2. | 893-894 წ.წ. | სომხეთი (დვინი, ერევანი) | 20 000 | სომხეთის დედაქალაქი გადაიტანეს ანიში. |
| 3. | 09-I 1038 წ. | ჩინეთი (შენსი) | 23 000 | |
| 4. | 1057 წ. | ჩინეთი (ჩჟილი) | 25 000 | |
| 5. | 1088 წ. | საქართველო (თმოგვი) | 1 000 | დაინგრა ციხე-სიმაგრეები, სოფლები და ქ. თმოგვი |
| 6. | 1268 წ. | მცირე აზია (სილიჯია) | 60 000 | |
| 7. | 27-IX 1290 წ. | ჩინეთი (ჩჟილი) | 100 000 | |
| 8. | 20-V 1293 წ. | იაპონია (კამაკურა) | 30 000 | |
| 9. | 26-I 1531 წ. | პორტუგალია (ლისაბონი) | 30 000 | |
| 10. | 23-I 1556 წ. | ჩინეთი (შენსი) | 830 000 | |
| 11. | 05-II 1663 წ. | მდინარე წმინდა ლავრენტი) | უცნობია | X ბალის ძალის |
| 12. | XI 1667 წ. | კავკასია (შემახა) | 80 000 | |
| 13. | 04-VI 1679 წ. | სომხეთი (ერევანი) | 1288 | დაინგრა მრ. სოფელი |
| 14. | 11-I 1693 წ. | იტალია (კატანია) | 60 000 | |
| 15. | 07-VI 1692 წ. | იამაიკა (პორტ-როიალი) | 2 000 | 1800 შენობა ჩაიძირა ზღვაში |
| 16. | 11-X 1737 წ. | ინდოეთი (კალკუტა) | 300 000 | |
| 17. | 07-VI 1755 წ. | ირანი | 40 000 | |
| 18. | 01-VI 1755 წ. | პორტუგალია (ლისაბონი) | 70 000 | მიწისძვრამ გამოიწვია უდიდესი ცუნამი |
| 19. | 04-II 1783 წ. | იტალია (კალაბრია) | 50 000 | |
| 20. | 04-II 1797 წ. | ეკვადორი (კიტო) | 40 000 | |
| 21. | 16-XII 1811 წ. | აშშ (ნიუ-მადრიდი) | რამდენიმე | XI ბალის |
| 22. | 21-XII 1812 წ. | ღია ზღვაში (სანტა-ბარბარა) | რამდენიმე | X ბალის |
| 23. | 16-VI 1819 წ. | ინდოეთი (კაჩი) | 1543 | |
| 24. | 05-IX 1822 წ. | მცირე აზია (ალეპო) | 22 000 | |
| 25. | 18-XII 1828 წ. | იაპონია (ეტიგო) | 30 000 | |
| 26. | 09-I 1857 წ. | აშშ (ფორტ-ტეხონი) | უცნობია | X ბალის |
| 27. | 13-VIII 1868 წ. | პერუ და ბოლივია | 25 000 | |
| 28. | 16-VIII 1868 წ. | ეკვადორი და კოლუმბია | 40 000+30 000 | |
| 29. | 26-III 1872 წ. | აშშ (კალიფორნია) | 50 | დიდი გახლეჩები |
| 30. | 31-VIII 1886 წ. | სამხრეთ კაროლინა, ჩარლსტონი | 60 | |
| 31. | 28-X 1891 წ. | იაპონია (მინო-ოვარი) | 7 000 | |
| 32. | 17-XI 1893 წ. | თურქმენეთი (კუჩანი) | 18 000 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 33. 15-VI 1896 წ. | იაპონია | 22 000 | ცუნამი |
| 34. 12-VI 1897 წ. | ინდოეთი (ასამი) | 1 500 | 8,7 ბალი |
| 35. 03 1899 წ. | აშშ (ალიასკა), ზღვაში | - | 8,6 ბალი |
| 36. 10 1905 წ. | მონღოლეთი (ბოლნაი) | 3 000 | 6 ბალი (რიხტერით) |
| 37. 18-IV 1906 წ. | აშშ (სან-ფრანცისკო) | 700 | 8,4 ბალი |
| 38. 28-XII 1908 წ. | იტალია (მესინა) | 120 000 | 7,5 ბალი |
| 39. 13-I 1915 წ. | იტალია (ავეცანო) | 30 000 | 7,0 ბალი |
| 40. 16-XII 1920 წ. | ჩინეთი (განსუ) | 180 000 | 7,5 ბალი |
| 41. 01-IX 1923 წ. | იაპონია (კანტო) | 143 000 | 8,2 ბალი, ხანძარი ტოკიოში |
| 42. 26-XII 1932 წ. | ჩინეთი (განსუ) | 70 000 | 7,6 ბალი |
| 43. 31-V 1935 წ. | ინდოეთი (კვეტა) | 60 000 | 7,5 ბალი |
| 44. 31-V 1935 წ. | კუნძული ტაივანი | 3 000 | 7,3 (რიხტერით) |
| 45. 24-I 1939 წ. | ჩილე (ჩილიან) | 30 000 | 7,5 ბალი |
| 46. 27-XII 1939 წ. | თურქეთი (ერზინჯანი) | 23 000 | 8,0 ბალი |
| 47. 28-VI 1948 წ. | იაპონია (ფუკუი) | 5131 | |
| 48. 06-X 1948 წ. | თურქმენეთი (აშხაბადი) | 35 000 | |
| 49. 05-VIII 1949 წ. | ეკვადორი (პელილეო) | 6 000 | |
| 50. 29-II 1960 წ. | მაროკო (აგადირი) | 14 000 | 5,9 ბალი |
| 51. 21,30-V 1960 წ. | ჩილე | 5 700 | 8,5 ბალი |
| 52. 01-IX 1962 წ. | ირანი | 14 000 | 7,3 ბალი |
| 53. 26-VII 1963 წ. | იუგოსლავია (სკოპლე) | 1 200 | 6,0 ბალი |
| 54. 28-III 1964 წ. | აშშ (ალიასკა) | 131 | 8,6 ბალი |
| 55. 16-VI 1964 წ. | იაპონია (კუნ. ხონსიუ) | 26 | 7,5 ბალი, ცუნამი |
| 56. 31-VIII 1968 წ. | ირანი | 11 600 | 7,4 ბალი, მიწა იყო გარღვეული. |
| 57. 24-V 1968 წ. | ახალი ზელანდია | დაუსახ. ადგილი | |
| 58. 31-V 1970 წ. | პერუ | 66 000 | 7,8 ბალი. დიდი მეწყერი, 530 მლ. დოლ. ზარ. |
| 59. 09-II 1971 წ. | აშშ (სან-ფერნანდო) | 65 | 6,5 ბალი 550 მლ. დოლ. ზარ. |
| 60. 22-XII 1972 წ. | ნიკარაგუა და მანაგუა | 5 000 | 6,2 ბალი |
| 61. 04-II 1975 წ. | ჩინეთი (ლია-ონი) | რამდენიმე | 7,4 ბალი |
| 62. 06-IX 1975 წ. | თურქეთი (ლიჯე) | 2 400 | 6,8 ბალი |
| 63. 04-II 1976 წ. | გვატემალა | 23 000 | 7,9 ბალი |
| 64. 06-V 1976 წ. | იტალია (ფრიული) | 1 000 | 6,5 ბალი |
| 65. 27-VII 1976 წ. | ჩინეთი (ტანშანი) | 600 000 | 7,6 ბალი |
| 66. 04-III 1977 წ. | რუმინეთი (ბუქარესტი) | 1 500 | 7,2 ბალი |
| 67. 15-04 1979 წ. | იუგოსლავია (კოტორი) | 157 | 6,5 ბალი |
| 68. 07-XII 1988 წ. | სომხეთი (ლენინაკანი, სპიტაკი) | 25 000 | 9,0 ბალი |
| 69. 23-I 1989 წ. | ტაჯიკეთი (გიხარი) | 1 000 | 6,0 ბალი |
| 70. 28-XII 1989 წ. | ავსტრალია (ნიუ კასტი) | 13 | 5,5 ბალი. 1,5 მლ. დოლ. ზარ. |
| 71. 21-VI 1990 წ. | ირანი (გილიანი, ზენჯანი) | 48 000 | 7,0 ბალი |
| 72. 29-IV 1991 წ. | საქართველო | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | (რაჭა, იმერეთი) | რამოდენიმე 6.9 ბალი. დაინგრა ათასობით სახ. | |
| 73. 18-I 1995 წ. | იაპონია (კობე, ავაძი) | 3 960 | 7.5 ბალი |
| 74. 28-V 1995 წ. | რუსეთი (ნეფტეგორსკი) | 1 236 | 7,5 ბალი |
| 75. 03-II 1998 წ. | ავღანეთი | 4 500 | 7.5 ბალი |
| 76. 25-I 1999 წ. | კოლუმბია | 450 | 6.0 ბალი |
| 77. VIII 1999 წ. | თურქეთი (იზმირი) | 17 000 | 8.5 ბალი |
| 78. 12-XI 1999 წ. | თურქეთი (დურნე) | 500 | 6.0 ბალი |
| 79. 12-XI 1999 წ. | ქენძელი ტაივანი | 2 000 | 6.8 ბალი |

## მიწისძვრა ირანში

2003 წლის 26 დეკემბერს ირანში მოხდა 7 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა, რასაც მოჰყვა საშინელი ნგრევა, უდიდესი მატერიალური ზარალი და 40000 ადამიანის მსხვერპლი. მიწისძვრის ეპიცენტრი იყო ქალაქი ბამი, რომელიც მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია.

# 2. ვულკანები

ვულკანი (Velcanus – ალი, ცეცხლი – ლათ.) არის დედამიწის ქერქის არხებზე და ნაპრალებზე გაჩენილი გეოლოგიური წარმონაქმნი, რომლითაც დედამიწის ზედაპირზე ამოიფრქვევა ლავა, ფერფლი, ცხელი გაზები, წყლის ორთქლი და სამთო ქანების ნამტვრევები. ვულკანები არსებობს: მოქმედი, დაძინებული და ჩამქრალი, ხოლო ფორმის მიხედვით: ცენტრალური და ნაპრალებიანი. ვულკანის მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მაგმატური კერა (დედამიწის ქერქში ან ზედა მანტიაში), ყელი, კონუსი და კრატერი. ამჟამად აქტიურად მოქმედი ვულკანებია: კლიუჩევსკის და ავაჩინსკის სოპკა (რუსეთი), იზალკო (სალვადორი), მაუნალოა (ჰავაის კუნძულები), ტახუმულკო (გვატემალა), სანტა-ანა (სალვადორი), ირასუ (კოსტა-რიკა), ვეზუვი, ეტნა (იტალია) და სხვები.

მაგმა (Magma – სქელი საცხი – ბერძ.) არის სილიკატური შემადგენლობის გამდნარი მასა, წარმოქმნილი დედამიწის ღრმა ზონებში. მაგმის დედამიწის ქერქიან დანერგვისას ან მისი დედამიწის ზედაპირზე ამონთხევის შემთხვევაში, ფორმირდებიან მაგმატური სამთო ქანები. დედამიწის ზედაპირზე ამონთხეულ მაგმას ეწოდება ლავა. მაგმა მიისწრაფის დედამიწის ზედაპირისაკენ, ამ დროს გამოიყოფა წყლის ორთქლი და გაზები, რომლებიც ფართოვდება როცა გადაელობება წინააღმდეგობას, მათი განთავისუფლება ხდება აფეთქებების გზით. სწორედ ეს არის ვულკანის ამოფრქვევა, რომლის დროს დედამიწის ზედაპირზე ამოტანილია მაგმაც. ის სწრაფი



გაციების შედეგად გადაიქცევა ვულკანურ წიდად. აფეთქება გაარღვევს ლავას და მის გარშემო სამთო ქანებს და ისინი ამოისროლება ატმოსფეროში და ცვივა მიწაზე ფერფლის სახით (სხვაგვარად ეწოდება ვულკანური ტუფი, წიდა).

ვულკანურ გაზებს გამოყოფს ვულკანი როგორც ამოფრქვევის პროცესში, ასევე მისი წყნარი ქმედების პერიოდშიც. ასეთი გაზების შემადგენლობაში დადგენილი ნაერთებია: $H_2O$, $H_2$, HCl, HF, $H_2S$, CO, $CO_2$ და სხვა აირები.

ვულკანური სამთო ქანები, რომლებიც წარმოიქმნება ვულკანების ამოფრქვევის შედეგად გვხვდება ორი სახის: ეფუზიური (ბაზალტი, ანდეზიტი, ტრახიტი, ლიპარიტი, დიაბაზი და სხვა) და ვულკანოგენური (ტუფი, ეშმი, რკინის და მარგანეცის მადანი, ბრექჩიები).

ძირითადად 6 ვულკანურ პროცესს შეუძლია გამოიწვიოს კატასტროფული საშიშროებანი, ესენია: ლავების ნიაღვარი, ფერფლი, ვულკანური ტალახის ნიაღვარი, ვულკანური წყალდიდობა, ალმოდებული ღრუბლები და გამოყოფილი გაზები.

ლავა გაცხელებულია 900-1100$^0$ C, ის ამოიღვრება პირდაპირ ნაპრალებიდან მიწაზე, ან გადმოიღვრება ვულკანის კრატერიდან და მიედინება მთის ძირისაკენ. ლავის ნიაღვრის საშუალო სიჩქარეა 60 კმ-საათში. ის მიედინება უფრო ჩქარა თუ მთას აქვს დიდი დახრა, საშიშროება წარმოიქმნება მაშინ, როცა ლავის ნიაღვარი მიაღწევს დასახლებულ პუნქტს, ნგრევის გარდა, ის იწვევს ხანძარს. თხელ ლავას მოკლე დროში შეუძლია დატბოროს მნიშვნელოვანი ტერიტორია.

ვულკანური ფერფლი არის ვულკანური აფეთქებებისაგან თხელი და მაგარი ლავების დაწვრილმანების და დამტვერიანების პროდუქტი. ყველაზე დიდ ნატეხებს ეწოდება ვულკანური ბომბები, რომლებიც ძირითადად ღებულობენ მრგვალ ან თითისტარის ფორმას. მათი ზომებია რამდენიმე სანტიმეტრიდან 5-7 მეტრამდე. ისინი კრატერიდან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მიფრინავენ. ვულკანურ ბომბებზე უფრო პატარა ზომის ნატეხებს ეწოდება „ლაპილები“, კიდევ უფრო მცირე ზომისას – ვულკანური ქვიშა, ხოლო წვრილ ნაწილაკებს – ფერფლი. ლაპილები და ვულკანური ქვიშა შეიძლება გაერცელდეს ათობით კილომეტრის მანძილზე, ხოლო ფერფლს ატმოსფეროს მაღალ ფენებში შეუძლია გარშემო შემოუაროს დედამიწას. ფერფლს ატმოსფეროში შეუძლია მოახდინოს გავლენა კლიმატზე. ფერფლის მოცულობა ზოგიერთი ვულკანის ამოფრქვევისას აჭარბებს ლავის მოცულობას, ხანდახან მათი მოცულობა აღწევს ათეულ კუბურ კილომეტრს. ფერფლი ანგრევს სახლებს, მარხავს მოსახლეობას

ნანგრევებში, მისგან გამოყოფილი გაზები წამლავენ ცოცხალ არსებებს, ანადგურებს მცენარეულობას, სპობს შინაურ და გარეულ ცხოველებს, იწვევს შიმშილობას.

ვულკანური ტალახის ნიაღვრები ლავაზე უფრო საშიშია და 100-ჯერ მეტი მსხვერპლის მოტანა შეუძლიათ. ვულკანის ფერდობებზე ფერფლის სქელი ფენები იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში. როცა მათ დააწვება ფერფლის ახალი ულუფები, დაცურდება ფერდობზე. უფრო ცუდად არის მდგომარეობა, როდესაც ასეთი ფერფლის მასა დასველდება წვიმით, წყლით, მაშინ ფერფლის მასა გადაიქცევა თხელ ნიაღვრად და დაცურდება ფერდობებიდან საათში 100 კმ სიჩქარით. ვინაიდან ასეთ ნიაღვრებს აქვს მნიშვნელოვანი სიმკვრივე, მათ შეუძლიათ დაამცურონ დიდი ლოდებიც. ვულკანური ტალახის ნიაღვრებს შეუძლიათ დაფარონ და დატბორონ დიდი ფართობის ტერიტორიები, ხოლო თუ ასეთი ნიაღვარი შეიცავს დიდი რაოდენობის მყარ ნაწილაკებს და მცირე რაოდენობით წყალს, მაშინ ის გადაიქცევა მეწყერად. ასეთი ნიაღვრები მოძრაობენ ძალზე სწრაფად, ადამიანები ვერ ასწრებენ ევაკუაციას, ხოლო თავშესაფარში ყოფნა შეიძლება დასრულდეს ცუდად, რადგან თხელი მასა ავსებს მთელ სივრცეს.

ვულკანების ამოფრქვევის დროს, გამდნარი მყინვარებიდან შეიძლება სწრაფად წარმოიქმნას დიდი რაოდენობის წყალი. მყინვარებს გააჩნია მრავალი შიგნითა ღრუები, რომლებიც მუდმივად გავსებულია წყლით. ვულკანის ამოფრქვევის პროცესში თოვლის და ყინულის დნობით წარმოქმნილ წყალს მყინვარი უმატებს თავის ღრუებში არსებულ წყალს.

ვულკანის ალმოდებული ღრუბლები წარმოადგენს გავარვარებული გაზებისა და ფერფლის ნარევს. ვულკანური პროცესებიდან ეს არის ყველაზე საშიში, რადგან მას მოაქვს დიდი რაოდენობის მსხვერპლი. სიკვდილს იწვევს დამწვრობა და გაგუდვა. ასეთი ღრუბლების ტემპერატურა კრატერთან ახლოს 1000$^0$ C-ს აღწევს, ხოლო მისგან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე 700$^0$ C-ს. ის წვავს ხეებს და ადნობს მინას, იწვევს ხანძარს. ფერდობებზე დაშვების დროს ის ანვითარებს 100 კმ/სთ სიჩქარეს.

ვულკანური გაზები მომაკვდინებელია ადამიანებისა და ცხოველებისათვის. ასეთ გაზებს აქვს სუნი, რადგან შეიცავენ გოგირდოვან ქანგს, გოგირდოვან წყალბადს, ქლოროვანწყალბადის და ფტოროვანწყალბადის მჟავებს, რომლებიც იმყოფება გაზის მდგომარეობაში. ასევე ყველგან მონაწილეობს ნახშირორჟანგი და მხუთავი გაზები. ამოფრქვეულ გაზებს თან ახლავს წყლის ორთქლიც.

დედამიწაზე მომხდარი ყველა ვულკანის ამოფრქვევის ჩამოთვლა და აღწერა ყოვლად შეუძლებელია. ამ წიგნში აღწერილია ზოგიერთი მათგანი.

## ვეზუვი (იტალია)

– იტალიის ნეაპოლიტანის ზღვისპირეთის უხვმოსავლიანი მიწები, მზიანი სანაპიროები, საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო გზები, კარგი კლიმატი, საცხოვრებლად იზიდავდა ადამიანებს აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ასე წარმოიშვა ამ ადგილებში ქალაქები ნეაპოლი, გერკულანუმი, პომპეი, სტაბინი და მრავალი სოფელი. ამ წარმტაცი მხარის მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვდა, რომ დაახლოებით 150 წლის წინათ, სომის მთის ტყიან კალთებში თავს აფარებდა აჯანყებული მონების ბელადი სპარტაკი, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ეს მთა იყო ვულკანი. მათ არ გამოიტანეს სათანადო დასკვნები და არ მოახდინეს რეაგირება 16 წლის წინათ (ჩვენი წელთაღრიცხვის 63 წელს) აქ მომხდარ მიწისძვრაზე, რომელმაც გამოიწვია დიდი ნგრევები. მოსახლეობის წარმოდგენით ეს იყო მიწის სიღრმეში დაძინებული გველეშაპი, რომელმაც გაიღვიძა, დაიწყო კლაკვნა და ამან გამოიწვია ბიძგები. მოსახლეობამ არ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი, პირიქით, ენერგიულად შეუდგა დანგრეული სახლების აღდგენას.

79 წლის 24 აგვისტოს დღისით სომის მთიდან ზეცაში ავარდა თეთრი ღრუბელი, რომელიც შემდეგ თანდათან გაშავდა. დაიწყო ამოფრქვევა ვულკანმა, რომლის კრატერიდან დიდი ძალით ამოდიოდა გაზები, ორთქლი, მტვერი, ქვიშა, ქვები და მცირე ნაწილაკებისაგან შემდგარი გავარვარებული ლავა და ფერფლი. ამოფრქვევას თან ახლდა გრგვინვა, გრუხუნი, ელვა, თავსხმა წვიმა. შავი, გავარვარებული ღრუბელი თანდათან იზრდებოდა, მიზენოს კონცხზე სახლები ირყეოდა ხშირი ბიძგებისაგან. ციდან ცვიოდა ფერფლი, პემზის ნაწილაკები.

კაცობრიობამდე მოაღწია თვითმხილველების მონათხრობმა: „მაშინდელი დროით იყო 1 საათი (ახლანდელი დროით დილის 5 საათი)... სახლები ირგვლივ ირყეოდა. ჩამობნელდა. ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეტოვებინა ქალაქი... ჩვენს უკან მოემართებოდა შეშინებული ხალხი. დავინახეთ, თუ როგორ ეხეთქებოდა აქეთ-იქით სწორ ადგილზე მიმავალი ურმები, როგორ დაიხია ზღვამ, თითქოს მიწამ უკუაგდო ის, მრავალი ზღვის ბინადარი დარჩა ზღვის მშრალ ქვიშაზე. ცაში ჭექა-ქუხილით ღრუბლებში გაიელვებდა ხოლმე გრძელი და

ფართო ელვის მსგავსი ალები... რამდენიმე ხნის შემდეგ გაუარესებული ღრუბელი დაეშვა მიწაზე და ზღვის ზედაპირზე დაიწყო ცვენა ფერფლმა. ჩამოწვა სიბნელე, ისმოდა ადამიანების ტირილი, კვნესა, კივილი, ზოგიერთი ლოცულობდა მომავალი სიკვდილის წინ. ფერფლი ცვიოდა ხშირი მძიმე წვიმის მსგავსად. ჩვენ ხშირად ჩამოვიბერტყავდით ხოლმე ფერფლს, თორემ დაგვფარავდა და გაგვჭყლეტდა თავის სიმძიმით... ...სიბნელე თანდათან გაიფანტა და გამოჩნდა ფერფლის სქელი ფენით დაფარული ტერიტორია, თითქოს თოვლის საფარიაო"...

ამავე დროს სომის მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კილომეტრის მანძილზე ქალაქ პომპეიზე ცვიოდა და ცვიოდა ვულკანის ფერფლი. ქალაქის მოსახლეობამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო – გაქცევით ეშველა თავისთვის თუ შინ დარჩენილიყო. უმრავლესობა გაიქცა ზღვისკენ, ნავების და გემების იმედით, სხვები გაიქცნენ გზაზე სამხრეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით. ადამიანები გარბოდნენ, იგუდებოდნენ, ეცემოდნენ და კვდებოდნენ ლავაში, ფერფლში, რაზედაც მეტყველებს ახლანდელი გათხრების შედეგად აღმოჩენილი ადამიანების და ცხოველების ნაშთები. ქალაქში დარჩენილი ადამიანებიც დაიღუპნენ, რადგან ისინი დაფარა 7-8 მეტრის სისქის ფერფლმა, ქვიშამ, მტვერმა და ქვებმა. გავარვარებული ლავის ნაკადებში გაქრა ასევე ქალაქები ჰერკულანუმი და სტაბია. ამ ვულკანმა მიიღო სახელწოდება „ვეზუვი".

ვულკანის ამოფრქვევიდან საუკუნე-ნახევრის შემდეგ, როდესაც გამოყენებული იქნა თანამედროვე ტექნიკა, გაიხსენეს ქალაქი პომპეი, არქეოლოგიური გათხრების საშუალებით აღმოაჩინეს ის და აღადგინეს ბუნების სტიქიის ეს ტრაგიკული მოვლენები. არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1748 წლიდან და გრძელდება დღევანდელ დღემდე. გათხრილია ქალაქ პომპეის 3/4 ნაწილი. ვარაუდობენ, რომ იმ დროისათვის ქალაქში ცხოვრობდა 25 000 ადამიანი. დაღუპულად თვლიან 2 000 ადამიანს, მაგრამ საბოლოოდ ზუსტი ციფრი იქნება დასახელებული არქეოლოგიური გათხრების დამთავრების შემდეგ. ფერფლი ცვიოდა ნელა, ამიტომ ძირითადად დაიღუპა ის, ვინც ვერ მოასწრო გაქცევა, ანდა ვინც ზედმეტად უშიშარი აღმოჩნდა და ქალაქში დარჩა, ასეთი ადამიანები დაიღუპნენ ჩამონგრეული სახურავებით, გაიგუდნენ და მოიწამლენ მხუთავი გაზით. ვეზუვი არ დაწყნარდა, 100 წლის მანძილზე გრძელდება მისი ამოფრქვევები.

1906 წელს „ვეზუვი" კვლავ ამოიფრქვა. ვულკანის კრატერიდან გადმოღვრილი ლავა მთის კალთებზე მოედინებოდა საათში 16 კმ/სთ

სიჩქარით. ლავამ გაანადგურა სოფელი კასაბიანკა და დასახლება ბოსკოტრეკასეს დიდი ნაწილი. ლავამ მიაღწია დასახლება ტორე-ანუნციატამდე. ლავამ სახლები დაფარა მეორე სართულის სიმაღლემდე, მიედინებოდა ქუჩებში და შეაღწია საცხოვრებელ ბინებში. მრავალი სახლის კედელმა ვერ გაუძლო დაწოლას და დაინგრა. რადგან ლავის სიჩქარე არ იყო დიდი, ადამიანებმა თავს უშველეს გაქცევით.

„ვეზუვის" შემდგომი ამოფრქვევები მოხდა 1944, 1957, 1959 წლებში, მაგრამ დიდი ზიანი და ზარალი არ გამოუწვევია.

1999 წლის ოქტომბერში ის კვლავ ამოიფრქვა და მისი ამოფრქვევა გრძელდება.

## ვულკანის ამოფრქვევა კამჩატკაზე.

2004 წლის 17 მაისს რუსეთში კამჩატკის ნახევარკუნძულზე, 40 წლის მიძინების შემდეგ, ამოფრქვევა დაიწყო ვულკანმა „კლუჩევსკაია სოპკამ", რომელიც მდებარეობს 4750 მეტრის სიმაღლეზე. ვულკანის ფერფლი და ლავა ავიდა ცაში 10 კილომეტრის სიმაღლეზე. რუსეთის ვულკანოლოგები ვერტმფრენით ჩაფრინდნენ იქ, რათა მეცნიერული დაკვირვება მოეხდინათ ვულკანის მოქმედებაზე.

## კრაკატაუ (ზონდის არქიპელაგი)

– 1883 წლის 20 მაისს გერმანიის სამხედრო გემიდან („ელისაბედი") ეკიპაჟის წევრებმა დაინახეს სოკოს მსგავსი ღრუბელი, რომელიც ამოდიოდა ვულკანის კრატერიდან და ადიოდა ცაში 11 კილომეტრის სიმაღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ ვულკანი იყო შორს, გემბანზე ცვიოდა ფერფლი. ამ ვულკანის ამოფრქვევა მოხდა წყნარ ოკეანეში, ზონდის სრუტესთან, ამავე სახელწოდების არქიპელაგზე კერძოდ კუნძული კრაკატაუზე. ზონდის არქიპელაგის კუნძულები არის უკაცრიელი, მხოლოდ ხანდახან თუ გაცურავდა მეთევზეები კუნძული სუმატრადან.

27 მაისს კრაკატაუ დაათვალიერეს ბატავიის მცხოვრებლებმა. გაირკვა, რომ შუა კრატერიდან ყოველი 5-10 წუთში მეორდებოდა აფეთქებები, ორთქლის და ფერფლის სვეტები ცაში ადიოდა 3 ათასი მეტრის სიმაღლეზე. ხეები თოვლივით იყო დაფარული პემზით.

რამდენიმე დღის შემდეგ ამოფრქვევის სიმძლავრე შემცირდა, მხოლოდ ხანდახან გაისმოდა აფეთქების ხმა. ივნისის შუა რიცხვებში სტიქიური მოვლენები განახლდა უფრო დიდი ძალით. ფერფლის წვიმა გაძლიერდა, ხოლო 26-27 აგვისტოს მოხდა კატასტროფა, რომლის

დანახვა შეიძლებოდა მხოლოდ ახლო მყოფი გემებიდან და სუმატრა და იავას კუნძულებიდან. ვულკანიდან 20 კილომეტრის მანძილზე დაშორებულ კუნძულ სებესიზე დაიღუპა მთელი მოსახლეობა. ხომალდი „მედეას" გემბანიდან შენიშნეს 20 კილომეტრზე მეტი სიმაღლის ფერფლის სვეტები. 17 საათზე წარმოიქმნა პირველი „ცუნამი", რომელიც გამოიწვია კრატერის ზღვაში ჩანგრევამ. საღამოს კუნძულ სუმატრის სოფელ ლამპონგში მოვიდა ფერფლის წვიმა. კუნძულ იავას სანაპიროზე ჩამობნელდა, ისმოდა ყრუ ხმაური. პატარა გემებს ზღვის ტალღები ავსებდა წყლით, ან ხმელეთზე გამოჰქონდა. ტალღები მრავალჯერ დაენარცხა სანაპიროს და გაანადგურა მრავალი სოფელი. 1 მეტრის სისქის ფერფლით დაიფარა გემბანები. კრაკატაუს მთაზე ისმოდა გრუხუნი და ყოველ წუთში ელავდა კაშკაშა ალები. ფერფლის ვეებერთელა მასები, პემზა, წიდა და ლავა მიცურავდა ზონდის სრუტეში იავასა და სუმატრას კუნძულებისაკენ.

ვულკანის აფეთქებებისაგან წარმოქმნილი ტალღები აღიმართა სიმაღლეში 30 მეტრამდე, ერთი მეორის მიყოლებით ენარცხებოდა ისინი კუნძულებს. კუნძული იავას სანაპიროზე მყოფი ქალაქები ანჟერი, ბენტამი, მერაკი და სხვები დაინგრა. სანაპიროს გასწვრივ მდებარე სოფლები, ტყეები, რკინიგზა, ყველაფერი ტალღებით აღიგავა პირისაგან მიწისა. პირველმა ტალღამ ჩაითრია ზღვაში ადამიანები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, რომლებიც სასწაულით გადაურჩნენ დაღუპვას, შემდეგ უკან გამოისროლა ხმელეთზე უვნებელი.

28 აგვისტოს დილით ცა განათდა. ვულკანის ამოფრქვევა შენელდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. მცირე ძალის აფეთქებები მოხდა სექტემბერ-ოქტომბერში, ხოლო 1884 წლის 20 თებერვალს აღინიშნა ბოლო ამოფრქვევა. სუმატრას და იავას კუნძულების სანაპიროები გახდა უცნაური შესახედი. მდიდარი ტროპიკული მცენარეები უკვალოდ გაქრა. მიწა მთლიანად გაშიშვლდა და მოიფინა ნაცრისფერი ტალახით, ამოფრქვეული პროდუქტებით, ამოთხრილი ხეებით, სახლების ნარჩენებით, ადამიანების და ცხოველების გვამებით. ზონდის სრუტის ზედაპირზე დაცურავდა პემზის მასები. ოფიციალური მონაცემებით დაღუპული ადამიანების რაოდენობამ მიაღწია 40 000-ს. კუნძული კრაკატაუს ადგილი დაიკავა ზღვამ, წყლის ზედაპირზე დარჩა მხოლოდ ვულკანის ორად გაპობილი კონუსი.

კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევისაგან წარმოშობილი „ცუნამი" ისეთი ძლიერი იყო, რომ შემოიარა მთელი პლანეტა. ინდოეთის, ატლანტიკის და წყნარი ოკეანის ნაპირებამდეც მიაღწია ტალღებმა. ხოლო კრაკატაუს აფეთქებების გრუხუნი ისმოდა მისგან 2 000

კილომეტრით დაშორებულ ქალაქ მანილაში, აგრეთვე ცენტრალურ ავსტრალიაში და მადაგასკარის ნახევარკუნძულზეც კი. ამოფრქვეული ფერფლის მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 18 კილომეტრი კუბში, პემზის მასა 2 მეტრის სიმაღლეზე იყო წყლის ზედაპირიდან ამოშვერილი, როგორც მცურავი კუნძულები. კუნძული სუმატრასთან მცურავი პემზის ფენები — ისეთი სისქის იყო, რომ ყველაზე დიდი გემები გაჭირვებით ჭრიდნენ მას, ფერფლმა დაიკავა 750 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი.

## სენ-პიერი (მარტინიკი)

— გამოჩენილმა ესპანელმა მოგზაურმა ქრისტეფორე კოლუმბმა 1502 წელს მცირე ანტილის კუნძულები აღმოაჩინა, ამერიკის კონტინენტის ნაპირებზე, რომელთა შორის ყველაზე დიდია — მარტინიკი. 1635 წელს ამ კუნძულზე შეჩერდა ფრანგი მეზღვაური და მკვლევარი პიერ ბილეინი დე ესნამბუკი, რომელმაც მაღალი მთის ძირას დააარსა დასახლება, რომელსაც ეწოდა სენ-პიერი. 1665 წლიდან მარტინიკა გახდა საფრანგეთის კოლონია და შაქრით ძირითადი მომმარაგებელი. ორი საუკუნის მანძილზე იზრდებოდა და ლამაზდებოდა ქალაქი სენ-პიერი. მაგრამ მისგან 6 კილომეტრით მოცილებული მთა მონ-პელე (რაც ფრანგულად ნიშნავს „შიშველ მთას“), ქალაქისათვის საბედისწერო აღმოჩნდა, რადგან ყოფილა ვულკანი.

1902 წლის 8 მაისს დილით მოხდა ვულკანი მონ-პელეს ამოფრქვევა, რამაც მიწის პირისაგან აღგავა ქალაქი სენ-პიერი. მესამე დღეს, როდესაც ლავა და ფერფლი გაცივდა, კუნძულს მოადგნენ მაშველი რაზმები. მაგრამ მათ წინაშე აღმოჩნდა ვულკანის ლავითა და ფერფლით დაფარული ქალაქის ნანგრევები. ვულკანმა ამოაფრქვია დიდი რაოდენობის გავარვარებული ლავა, ტალახი და ფერფლი, რომელიც ჩამოიღვარა მდინარე უაიტის და ბლანშეს ხეობებში. ლავის მდინარემ მთლიანად წალეკა შაქრის ქარხანა, რომლისგანაც მხოლოდ აგურის მრგვალი კოშკი გადარჩა. ქარხნის 150-ზე მეტი მუშა უკვალოდ გაქრა. როდესაც გავარვარებული ლავის ნაკადი ჩაიქცა ოკეანეში, მან დაიხია 50 მეტრით უკან, შემდეგ მაღალი ტალღებით მიენარცხა ნაპირს და ჩაძირა მეთევზეთა მრავალი გემი და ნავი. სასწაულად გადარჩა ამერიკის გემი „როდამი“, რომელიც კაპიტანმა ფრიგმანმა სიბნელეში და ფერფლის წვიმაში გაიყვანა პორტიდან ოკეანეში.

## კრიტი (ეგეოსის ზღვა)

— მეცნიერების, არქეოლოგების, სეისმოლოგების და ისტორიკოსების მიერ ბოლო 100 წლის მანძილზე ჩატარებული გათხრებით და გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 2 000 წლის წინათ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე მცხოვრებ ადამიანებს გააჩნდათ მაღალგანვითარებული თავისებური კულტურა. ამ კულტურის ცენტრი იმყოფებოდა კუნძულ კრიტზე და ქალაქ მიქენში, რის გამოც მან მიიღო კრიტი-მიქენის სახელწოდება, მას ასევე უწოდებენ ეგეოსის კულტურას (ზღვის მიხედვით). დიდი ხნის მანძილზე ამ კულტურის შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ ძველი ბერძნული მითებიდან და ბერძენი ისტორიკოსების თუკიდიდეს და ჰეროდოტის შრომებით, ასევე ჰომეროსის პოემებით. შესანიშნავმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ეს კულტურა გახადა რეალური და მას მიუჩინა ადგილი ძველი ეგვიპტის და წინა აზიის მაღალგანვითარებული ცივილიზაციის გვერდით. ეგეოსის სამყაროს ხელოვნება ეჭვგარეშე წარმოადგენს ძველი ხალხების შემოქმედების მწვერვალს. ძველი ეგეოსის მოსახლეობამ შექმნა რთული არქიტექტურული გადაწყვეტილების მქონე სასახლეები და ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრობით იყო მორთული. ასევე ფართოდაა ცნობილი ეგეოსის კერამიკა და ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაკეთობები.

მაგრამ ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნის ნახევარში აქ მომხდარი ვულკანების ამოფრქვევა საბედისწერო გახდა ეგეოსის ხალხებისათვის. ოდესღაც აყვავებული ქალაქები და სოფლები აღიგავა მიწის პირისაგან. ლავის და ფერფლის სქელი ფენების ქვეშ მოჰყვა ქალაქები: კნოსი, ფესტა, აგია-ტრიადი, გურნია, მოხლოსა, მალია, პალეკასტრო, ფსირი და სხვა დასახლებანი.

ინგლისელმა მეცნიერმა სპრატმა აღმოაჩინა, რომ კრიტის ბევრი ძველი ქალაქი იმყოფება წყლის ქვეშ, ხოლო იმდროინდელი სხვა პორტები დაშორებულია ზღვიდან. მეცნიერების გამოკვლევების შედეგად, დადგინდა, რომ ანტიკურ ეპოქასთან შედარებით კუნძული თითქოს შებრუნდა თავის ღერძის ირგვლივ: აღმოსავლეთი სანაპირო ჩაღრმავდა, ხოლო დასავლეთმა ამოიწია.

1939 წელს ბერძენი არქეოლოგი სპირიდონ მარინატოსმა ინგლისურ ჟურნალში „ანტიკვიტი" გამოაქვეყნა ნაშრომი საინტერესო ჰიპოთეზით, რომ ეგეოსის ცივილიზაციის დაღუპვის მიზეზი იყო ვულკანის ამოფრქვევა. იგივე დაადასტურა მისმა თანამემამულემ

ანგელის გალანოპულოსმა და ამერიკელმა გეოლოგებმა დრაგოსლავ ნინკოვიჩმა და ბრიუს ხიზენმა.

ლავასა და ფერფლისაგან აღგეილი ადგილები ლაპარაკობენ ოდესღაც აყვავებულ ცხოვრებაზე. აღმოჩენილია 2 და 3 სართულიანი სახლები, რომელთა ჭერი დაყრდნობილი იყო სვეტებზე. ასევე ლოჯიები, დარბაზები ქვის სკამებით, მაღალი დერეფნები, ბუხრები. განსაცვიფრებელია სახლების კედლების ფრესკები, რომლებზეც გამოსახულია კუნძულის პეიზაჟი კატასტროფამდე: ბორცვებით, ქვებით, ველით და მფრინავი მერცხლებით. სხვა ფრესკებზე ნაზად მომავალი ჯეირნები და ნატურალური სიდიდის ქალებია გამოსახული.

ვარაუდობენ, რომ ვულკანის კრატერის გარშემო ადგილებში იმ დროს ცხოვრობდა 30 ათასამდე ადამიანი. ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ დასახლებების ჩრდილო ნაწილი დაინგრა, სამხრეთ ნაწილი დაიფარა ამოფრქვევის პროდუქტების ქვეშ, ხოლო ნაწილი ჩაიძირა წყალში. ქალაქების ნაგებობების ნარჩენები აღმოჩენილია წყლის ქვეშ 20 მეტრის სიღრმეში. ძველ ქალაქ სანტორინის ადგილებში აღმოჩენილია ადამიანის მხოლოდ 2 ჩონჩხი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ვეზუვის ვულკანის ამოფრქვევასთან შედარებით, სანტორინის ვულკანის ამოფრქვევა არ იყო მოულოდნელი და ადამიანებმა მოასწრეს თავის შველა.

ეგეოსის ზღვის ძირის გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, ვულკანური ფერფლის 2 ფენა: ძირა ფენას აქვს 22 სანტიმეტრი სისქე, ხოლო ზედა ფენის სისქე 2 მეტრზე მეტია. სანტორის ფერფლის და პემზის კვალი ნანახია კუნძულებზე: ანაფი, ფსარა, კოს, მილოს, ნაქსოს, აგრეთვე აფრიკის ჩრდილო ნაპირებზე მცირე აზიაში და მაკედონიაშიც კი.

კატასტროფის ადგილები დიდი ხნის მანძილზე იყო უკაცრიელი. მოგვიანებით გაჩნდა დასახლებანი. აღდგენილ იქნა კნოსის სასახლე, რომელმაც იარსება ჩვენი წელთაღრიცხვის 1190 წლამდე, მაგრამ ბერძნების შემოსევამ საბოლოოდ ეგეოსის კულტურა გაანადგურა.

## კატმაი (აშშ)

– 1912 წლის იენისში ალიასკაზე კატმაის მთაზე მოხდა შემზარავი ძალის ვულკანის ამოფრქვევა. ჰაერში იყო ამოფრქვეული 16 $კმ^3$ ფერფლი და პემზა, რომელიც გარშემო მიწაზე და ოკეანეში ჩამოცვივდა ქვების წვიმის სახით. ვულკანის ახლოს ფერფლის ფენის სისქემ მიაღწია 15 მეტრს, ქალაქ კადიაკში, რომელიც დაშორებულია ვულკანიდან 160 კილომეტრით ფერფლის ფენის სისქე იყო 3 მეტრი. ამოფრქვევა გაგრძელდა რამდენიმე კვირის მანძილზე, ხოლო უძლიერესი

აფეთქებების ხმა ისმოდა ჯუნოში 1200 კილომეტრის მანძილზე. სუსტი აფეთქებები ხდებოდა ხანდახან რამდენიმე თვის მანძილზე. ქალაქ კალიაკში ჯერ დაინახეს შავი ღრუბელი, ისმოდა უწყვეტი გრუხუნი, კაშკაშობდა ელვები. ღრუბელი თანდათან მატულობდა და საათ-ნახევარში მთლიანად დააბნელა დღის სინათლე. კალიაკის დოკში მყოფი კატერი „მანნინგის" რადიოგადამცემის ჩართვა გახდა შეუძლებელი უძლიერესი ელექტროსტატიკური განმუხტვის გამო, ხოლო სანაპიროს რადიოსადგური გააფუჭა ელვამ. კატერის კაპიტანი წერდა, რომ სანაპიროზე ყველა ქვები, წყაროები და ნაკადულები იყო დაფარული ფერფლით და მოსახლეობის სასმელ წყალს აძლევდნენ გემებიდან. ცვიოდა ისეთი ხშირი მტვერი, რომ ანთებული ლამპა არ ჩანდა გაშვერილი ხელის მანძილზე, დრო და დრო მოდიოდა გოგირდის სუნი და იგრძნობოდა ხშირი ბიძგები. ქალაქის მოსახლეობა მოიცვა პანიკამ. კალიაკში ჩამოცვენილი ფერფლის სისქე იყო 25 სმ., რომელმაც დაფარა დაბალი მცენარეულობა. ვინაიდან ბალახი მოისპო, საქონელიც გაიყვანეს და უკან მხოლოდ 2 წლის შემდეგ დააბრუნეს, როცა კვლავ გაჩნდა საძოვრები. დიდი ხეები გადარჩა. წიწვოვანი ხეებიდან ცვიოდა, ხოლო ფოთლოვანი ხეები იმტვრეოდა ფერფლის სიმძიმისაგან.

## პარიკუტინი (მექსიკა)



– 1943 წლის 20 თებერვალს მექსიკაში ამოფრქვევა დაიწყო ვულკანმა პარიკუტინმა, რაც გაგრძელდა 9 წელიწადს. პირველ 14 დღეღამეში ყოველდღიურად საშუალოდ იფრქვეოდა 6 მილიონი მეტრ კუბში ფერფლი, შემდეგ შემცირდა დღეში 76 ათას მეტრ კუბამდე. ვულკანის ყელის გარშემო გაიზარდა ვულკანური წიდის კონუსი 370 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო მის კალთებზე ჩამოიღვარა ლავის ნიაღვარები. ფერფლმა მთლიანად დაფარა ახლომახლო სოფლების სახლები. სახლების სახურავებმა ვერ გაუძლო ფერფლის სიმძიმეს და უმრავლესობა

ჩაინგრა. ვულკანის ყელიდან 5 კილომეტრის მანძილზე განადგურდა ყველა მცენარე. უფრო დიდ მანძილზე დიდი ხეები გადარჩა, ხოლო მცირე მცენარეულობა მოისპო. საქონელი გადაიყვანეს სხვა ადგილებში, მაგრამ რამდენიმე ათასი ცხოველი მაინც დაიღუპა. განადგურდა შაქრის პლანტაციები, რადგან ფერფლისაგან მოისპო მტაცებელი მწერები, რომლებიც იკვებებოდნენ მავნებელი მწერებისაგან.

## ტაალი (ფილიპინები)

– 1911 წელს ფილიპინებზე ამოიფრქვა ვულკანი ტაალი, მაშინ დაიღუპა 1300 ადამიანი. იგივე ვულკანი კვლავ ამოიფრქვა 1965 წელს, რომელიც გაცილებით ნაკლებ მსხვერპლიანი იყო. ის მდებარეობს ქალაქ მანილის სამხრეთით 60 კილომეტრის მანძილზე. ორთქლის და ფერფლის უზარმაზარი ღრუბლები ავარდა ცაში 16 კილომეტრის სიმაღლეზე, ხოლო ფერფლი ქარებმა გადაიტანა 80 კილომეტრის სიგრძეზე.

## ეტნა (იტალია)

– იტალიის მოსახლეობას ვულკან ვეზუვზე მეტი ზარალი მიაყენა ვულკანმა ეტნამ ამოფრქვეული ლავების ნიაღვრებით. 1964 წლის ამოფრქვევის შემდეგ მისი სიმაღლე გაიზარდა 50 მეტრით და შეადგინა 3323 მეტრი. ეტნის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე არსებობს ძველი კრატერის ნარჩენი, რომელსაც უწოდებენ „ვალე დელ ბოვერს". ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას უხაროდა, რომ იმ მიმართულებით მიედინებოდა ხოლმე ლავების ნიაღვრები და მათ დასახლებულ პუნქტებს არ ექმნებოდა საშიშროება. მაგრამ 1928 წელს ამოფრქვეული ლავის ნიაღვარი ჩამოედინა ჩრდილოეთისაკენ, თავის გზაზე გაანადგურა ველები, ვენახები, ფორთოხლის და ხურმის ბაღები, დამარხა ქალაქი მასკალი. ეტნას ლავა ვეზუვის ლავასთან შედარებით უფრო ნელა მიედინებოდა. ადამიანმა მოასწრეს გაქცევა, მაგრამ მათი საცხოვრებელი სახლები ლავამ დაანგრია. ეტნას გააჩნია 270 კრატერი. მისი გარშემო ფართობი არის 120 კვადრატული კმ, წრეხაზი მის გარშემო არის 200 კმ.

1669 წელს ეტნას ამოფრქვეულმა ლავამ მიაღწია ქალაქ კატანიამდე. ქალაქის კედლებმა ლავას გაუძლო და ლავის ნიაღვარი გაემართა იონის ზღვისაკენ. განადგურდა მხოლოდ ქალაქის მცირე ნაწილი. დღევანდელ დრომდე მოაღწია ცნობებმა, რომ ლავის ნაკადს კატანიის მოსახლეობამ შეუცვალა მიმართულება, ხელოვნური ღარების დახმარებით. ამის შედეგად ლავის ნიაღვრის ნაკადი გაემართა სოფელ პატერნოსაკენ. გამძვინვარებული პატერნოს

მოსახლეობა შეიარაღდა ყველაფრით, რაც კი ხელში მოჰყვათ და გააძევა კატანიის მაცხოვრებლები. ლავამ ამოავსო გამოტეხილი ხერელი და ნელა კვლავ კატანიისაკენ გაემართა. მოგვიანებით ამ ადგილებში 12 მეტრი სისქის ლავის მასივისაგან დაიწყეს სამშენებლო ქვების დამუშავება. ლავის ქვეშ გამოჩნდა სახლების ნანგრევები, რომელთა პირველი სართული დღესაც გამოყენებულია.

ეტნა კვლავ ამოიფრქვა 1979 წელს. ცნობილია, რომ 10 ტურისტს მოულოდნელად თავზე დააცვივდა „ლაპილები" (ფერფლის მსხვილი ნაწილაკები), მათ ვერ შეძლეს თავის დაცვა და ათივე ტურისტი დაიღუპა. ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყებიდან მოხდა ეტნას 150 ამოფრქვევა. ეტნის ქვედა კალთაზე აგებულია სამლოცველო, ვულკანისაგან დაღუპული ადამიანების მოსაგონებლად და მომავალი თაობის გასაფრთხილებლად.

## კელუდი (იავა)

– 1919 წელს კუნძულ იავაზე ამოიფრქვა ვულკანი კელუდი. მის კრატერში იყო ტბა, რის გამოც წარმოიქმნა თხელი ნიაღვარი, რამაც გაანადგურა 200 კვადრატული კილომეტრი ფართობის სახნავ-სათესი ველები, დაიღუპა 5000 ადამიანი. ასეთი კატასტროფის გამეორების თავიდან ასაცილებლად, ჰოლანდიელმა სპეციალისტებმა გაიყვანეს გვირაბები, რათა დაცემულიყო წყლის დონე ტბაში და შემცირებულიყო წყლის მოცულობა. ეს ჩანაფიქრი აღმოჩნდა ისეთი სასარგებლო, რომ 1951 წელს ასეთივე ამოფრქვევის შედეგად აღარ წარმოშობილა ნიაღვრების დიდი ნაკადები და დაიღუპა მხოლოდ 7 ადამიანი, მაგრამ დაზიანდა გვირაბების სათავე ნაგებობები. ვულკანის კრატერის ტბის ძირი ჩაღრმავდა 10 მეტრით და როცა ტბა გაივსო წყლით, მისმა მოცულობამ მიაღწია 40 მილიონ კუბურ მეტრს, რამაც კვლავ შექმნა კატასტროფული სიტუაცია. ინდონეზიით მთავრობამ გასცა განკარგულება და კვლავ გაიყვანეს გვირაბი უფრო დაბალ დონეზე, მაგრამ ამ გვირაბის გაყვანა ტბამდე არ იყო დასრულებული, როცა 1966 წელს ამოფრქვეულმა ვულკანმა კვლავ წარმოქმნა ტალახის ნიაღვრები, რამაც დაფარა ვეებერთელა ტერიტორია და გამოიწვია ასობით ადამიანის მსხვერპლი. ახალი გვირაბის გაყვანა დასრულდა 1967 წელს, რის შედეგად კრატერის ტბაში წყლის დონემ მნიშვნელოვნად დაიწია.

ცნობილია, რომ 1822 წელს იავაზე ამოიფრქვა ვულკანი „გალუნგუნგი", რომლის კრატერის ტბიდან გადმოიღვარა მდუღარე წყალი, რამაც წარმოქმნა 30 მილიონი $მ^3$ ნიაღვარი, დატბორა 65 კმ სიგრძის ტერიტორია.

## სუფრიერი (ანტილის კუნძული)

– მცირე ანტილის კუნძულ სენ-ვინსენტზე მდებარე ვულკანი სუფრიერი ადრე ამოიფრქვა 1812 წელს. მაშინ მთის კალთაზე ჩამოღვრილ ფერფლის ვეებერთელა ნაკადში დაიღუპა 75 ადამიანი. 1901 წლის აპრილში დაიწყო მიწისძვრები, რომელიც შეწყდა ივლისის თვეში, ხოლო 1902 წლის აპრილამდე იყო სიმშვიდე. მოსახლეობამ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია, მათთვის საუბედუროდ მიწისძვრები კვლავ განახლდა. 1902 წლის 7 მაისს ვულკანმა იწყო ამოფრქვევა, მისი ორთქლის და ფერფლის ღრუბლები ავარდა ცაში 10 კილომეტრის სიმაღლეზე. ვულკანის ერთ მხარეზე მყოფმა მოსახლეობამ ეს დაინახა და გაქცევით უშველა თავს. მაგრამ მეორე მხარეს მყოფმა მოსახლეობამ დროულად ვერ იგრძნო მოსალოდნელი უბედურება. რამდენიმე ადამიანი შეეცადა გადასულიყო დამშრალი მდინარე რაბაკის კალაპოტზე სამხრეთისაკენ, მათ დაინახეს თუ როგორ გადაიქცა ცხელი ტალახი სწრაფად მომდინარე ნიაღვრად, რომელსაც ჰქონდა 15 მეტრის სიმაღლე. ასეთივე ნიაღვრის ნაკადი მიედინებოდა ვულკანის მიერ ამოფრქვეული ლავის, ფერფლის და კრატერის ტბის მასებისაგან.

ვულკანის ამოფრქვევა თანდათან ძლიერდებოდა. 14 საათისათვის მთიდან წამოვიდა გაზის და ფერფლის ნარევის ვეებერთელა ალმოდებული ღრუბლები, რომლებიც კაშკაშებდნენ წითელ-ცეცხლისფერ და მეწამული ფერებით. გვერდიდან ჩანდა, რომ ღრუბლებმა მთლიანად დაფარა მთა. ასეთი მასები მოემართებოდა მთის ყველა კალთაზე, თავის გზაზე ამტვრევდა და თხრიდა ხეებს, აქცევდა კედლებს, ანგრევდა სახლებს და აჩენდა ხანძრებს. კუნძულის მთელი ჩრდილო ნაწილი რამდენიმე წუთში იყო გატიალებული. დაიღუპა 1500-ზე მეტი ადამიანი, მაგრამ ბევრმა შეაფარა თავი სარდაფებს და ვკვიდრად აგებულ ქვის სახლებს. გადარჩენილი ადამიანები ალმოდებული ღრუბლების მოძრაობას აღწერს, როგორც ძლიერი სიცხის უეცარ გრძნობას და აუტანელ სულის ხუთვას, რომელიც საბედნიეროდ გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე წუთს. ეს ღრუბლები წარმოადგენდა გავარვარებული ფერფლის და ლავის ნაწილაკების ნარევის ზვავს.

## ჰეკლა (ისლანდია)

– 1947 წელს ისლანდიაში ვულკანი ჰეკლას ამოფრქვევის შედეგად ნახშირბადის ორჟანგმა დაბლობ ადგილებში შექმნა გაზის „ღრუბლები“ და იქ მოხვედრილი ცხერები გაიგუდნენ, მეცხვარეები კი არ დაშავებულან, რადგან მათი თავები გაცილებით მაღლა იყო მიწის ზედაპირიდან ($CO_2$-ის ფენიდან).

2000 წლის 24 თებერვალს კვლავ ამოიფრქვა ჰეკლა, მისი ფერფლი ცაში ავიდა 12 კილომეტრის სიმაღლეზე, ხოლო ვულკანის ფერფლით დაიფარა ტერიტორია 35 კილომეტრის სიგრძეზე.

## ლაკი (ისლანდია)

– 1783 წელს ისლანდიაში „ლაკის" ნაპრალიდან ამოიფრქვა ბაზალტის შემცველი ლავა, რომელიც ტბებს და მიწისქვეშა წყლებს შეერია. გავარვარებული ლავა აფეთქდა და ამოფრქვეულმა ფერფლმა დაფარა ისლანდიის ტერიტორიის ნაწილი. ფერფლი იმდენად დიდი რაოდენობით იყო ამოფრქვეული, რომ ზღვამ ფერფლი მიიტანა ინგლისის და ნორვეგიის ნაპირებამდე. ფერფლში არსებულმა გაზებმა მასიურად დაღუპა საქონელი. საძოვრები და სახნავ-სათესი ველები მთლიანად იქნა განადგურებული, რამაც გამოიწვია შიმშილობა. ამ უბედურების შედეგად დაიღუპა ისლანდიის მაშინდელი მოსახლეობის 1/5 ნაწილი.

## ჰელგაფელლი (ისლანდია)

– 1973 წელს ისლანდიაში ამოიფრქვა ვულკანი „ჰელგაფელლი", რომლის ლავა გადმოიღვარა 1 კმ სიგრძის ზოლზე. ასევე ამოიფრქვა წიდა და ფერფლი. წარმოიშვა ვულკანის კონუსი, რომელიც 3 დღეში ამაღლდა 200 მეტრით. ვულკანის მიერ ამოსროლილმა ვულკანურმა ბომბებმა დაწვა მრავალი შენობა. ფერფლმა დაანგრია ასობით სახლი.



დადგა ყოფნა-არყოფნის პრობლემა. მოსახლეობამ გამოიჩინა თავდადება, ისინი გამუდმებით ყრიდნენ ფერფლს სახლების სახურავებიდან, რამაც ძირითადად გადაარჩინა საცხოვრებელი ადგილები.

## მასაია-ნინდირი (ნიკარაგუა)

– ნიკარაგუაში 700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ვულკანი მასაია-ნინდირი, რომელსაც აქვს რთული ორმაგი კონუსი რამდენიმე

კრატერით. მისგან დასავლეთით მდებარეობს მაღლობი, ყავის პლანტაციები განლაგებულია ვულკანზე უფრო მაღლა. ბოლო 100 წლის მანძილზე იყო პერიოდები, როცა კრატერის რომელიმე ყელიდან ამოდიოდა წყლის ორთქლი და გოგირდის გაზები, რაც ეკიდა კრატერის თავზე დიდი ღრუბელის სახით. გაზით გაჯღენთილი ღრუბელი ქარებს გადაჰქონდა 5-8 კილომეტრის ზოლზე, რომლის ქვემოთ 150 კვადრატულ კილომეტრზე მდებარე პლანტაციები ათეული მილიონი დოლარით ზარალდებოდა. ზიანდებოდა აგრეთვე ხორბლის და სხვა მარცვლოვანი კულტურის ყანები წყნარი ოკეანის სანაპირომდე. ხოლო მავთულგაყვანილობა, ლითონის მილები და მეტალის მოწყობილობა ზიანდებოდა გამოყოფილი მჟავასაგან.

## „უცუ“ (იაპონია)

– 2000 წლის 30 მარტს იაპონიის კუნძულ ხონსიუზე 6 კონუსიდან ლავის და ფერფლის ამოფრქვევა დაიწყო ვულკანმა „უსუმ“. ამოფრქვეული ფერფლი ცაში ავიდა 3 კილომეტრის სიმაღლეზე. იაპონიის მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები და ვულკანის ახლომდებარე ტერიტორიებიდან წინასწარ გახიზნა 18 ათასი ადამიანი. ისინი დროებით საცხოვრებლად მოათავსეს სპორტულ დარბაზებში, სკოლებსა და კლუბებში. აკრძალეს და შეწყვიტეს ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა. ვულკან „უსუს“ ბოლო ამოფრქვევა მოხდა 1878 წელს, მაშინაც ადამიანები გახიზნეს წინასწარ, ამიტომ დაიღუპა მხოლოდ 3 ადამიანი.

## მონ-ლამინგტონი

– ახალი გვინეის კუნძულზე 1951 წლის 18 იანვარს დილით ამოიფრქვა ვულკანი მონ-ლამინგტონი. მანამდე კრატერში წყალი დუღდა და იგრძნობოდა სისუსტი ბიძგები. ვულკანის კრატერიდან ამოვარდნა მუქი ფერის ორთქლი და ფერფლი. 20 იანვარს ფერფლის ღრუბელი ავარდა 8 კმ სიმაღლეზე. საუბედუროდ ქარმა ღრუბლები გააქანა ჩრდილოეთისაკენ დაუსახლებელი ტერიტორიის თავზე, რის გამოც მოპირდაპირე მხარეზე მცხოვრებმა მოსახლეობამ ყურადღება არ მიაქცია. დილის 10 საათსა და 40 წუთზე ვულკანმა ამოაფრქვია 17 კმ სიმაღლის სოკოსმაგვარი ღრუბელი. სოკოს ქვედა ნაწილი გაფართოვდა და გადაიქცა მცხუნვარე ღრუბლად. მნიშვნელოვან ფართობზე განადგურდა ყველაფერი. ხეები მოთხარა ძირიანად, სახლები მოშალა საძირკვლებიდან და გადაანაცელა. კრატერიდან 3 კმ მანძილზე მიწა იყო ამოთხრილი. სოფელ ნიგატურუში კრატერიდან

8 კილომეტრამდე მსუბუქი ავტომანქანა შეაგდო ხის ტოტებზე. მცხუნვარე ღრუბლის მოძრაობის სიჩქარე 100 კმ/სთ-ზე მეტი იყო; ჰაერის ტემპერატურა იქნებოდა დაახლოებით 200°C. დაიღუპა 2942 ადამიანი, უმრავლესობა მოიგუდა ცხელი ჰაერით და შხამიან ორთქლში. გადარჩა ის, ვინც მოასწრო სარდაფში დამალვა. ეს კატასტროფა მით უფრო ტრაგიკულია, რადგან შეიძლებოდა წინასწარი ევაკუაციით ხალხის გადარჩენა. მონ-ლამინგტონი მოქმედებს ამჟამადაც, მაგრამ ამოფრქვევები არ არის ზიანის მომტანი. მოსახლეობა უბრუნდება განადგურებულ მიწებს, ხელახლა იზრდება მცენარეულობა, ტრაგედიის კვალი რჩება მხოლოდ მეხსიერებაში.

## ტომბორა (ინდონეზია)

— 1815 წელს ინდონეზიით პატარა კუნძულ სუმბავაზე კუნძულ იავადან 400 კილომეტრზე, მოხდა ვულკან ტომბორას ამოფრქვევა, რომელიც ისტორიული პერიოდის მანძილზე ყველაზე ძლიერი იყო. მისი ამოფრქვევის ენერგია 10-ჯერ მეტი იყო ცნობილი კრაკატაუს ვულკანთან შედარებით, მეტი იყო დაღუპულთა რაოდენობაც. დაახლოებით 100 კმ³ ფერფლი იყო ამოფრქვეული 20 კმ სიმაღლეზე. 13 მეტრიანი ვულკანური ბომბები ცვიოდა კრატერიდან 40 კილომეტრის მანძილზე; 150 კმ-ით დაშორებულ კუნძულ ლამბოკზე დაეფინა ნახევარი მეტრი სისქის ფერფლი. კუნძულები სუმბავა და ლამბოკი მთლიანად იყო გატიალებული თავისი ველებით და მოსახლეობით. არ არის ცნობილი რამდენი ადამიანი დაიღუპა. მხოლოდ შიმშილისაგან კუნძულ სუმბავაზე დაიღუპა 48 000 ადამიანი, ხოლო კუნძულ ლამბოკზე 44 000. დაახლოებით 5 000 ადამიანი დაიღუპა კუნძულ ბალზე. დაღუპულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 100 000-მდეა. ამოფრქვევის შედეგად მთლიანად გაქრა ვულკანის კონუსის ზედა ნაწილი და წარმოიქმნა 7 კმ დიამეტრის ღრმული (კალდერა), რომლის სიღრმე იყო 700 მეტრი. ფერფლის ამოფრქვევამ გავლენა მოახდინა ევროპის კლიმატზეც. 1815 წელს უწოდებენ უზაფხულო წელს, ლონდონში ჩვეულებრივთან შედარებით იყო 2-3°C ნაკლები სითბო, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში იმ წელიწადს არ დამწიფდა მოსავალი.

## კამჩატკა (რუსეთი)

კამჩატკის უსახელო სოპკაზე 1955 წლის 29 ოქტომბრის შემდეგ რეგისტრირებული იყო რამდენიმე მიწისძვრა, ხოლო ნოემბერში ვულკანმა გამოიღვიძა, თავდაპირველად ამოვიდა წყლის ორთქლი, შემდეგ ამოიფრქვა ფერფლი. ფერფლის რაოდენობა თანდათან

მატულობდა და 17 ნოემბერს უსახელო სოპკადან 24 კილომეტრის დაშორებით დასახლება კლიუჩში ისე დაბნელდა, რომ მთელი დღე არ გამოურთავთ ელექტროგანათება. მაგრამ ყველაფერი ეს იყო მთავარი ამოფრქვევის წინა მოვლენები. ამოფრქვევა მოხდა 1956 წლის 30 მარტს. ვულკანის კრატერიდან 24 კილომეტრის სიმაღლეზე ცაში ავარდა ფერფლის ღრუბელი. 15 წუთის შემდეგ ამოიფრქვა კიდევ უფრო მეტი გოგირდის ღრუბელი და ცაში ავიდა 43 კილომეტრის სიმაღლეზე. კრატერიდან 24 კილომეტრის დაშორებით ჰაერის ტალღამ მოიხარა ხეები, ხოლო 30 კილომეტრის დაშორებით გაჩნდა ხანძარი. ვულკანიდან 40 კმ დაშორებით მიწა დაფარული იყო 0,5 მ სისქის ფერფლით. ამოფრქვევის დამთავრების შემდეგ ვულკანის წვერმა დაიწია 500 მეტრით. ამ ამოფრქვევის თავისებურება ის იყო, რომ არ ახლდა გრუხუნი და სხვა ხმაურიანი ეფექტები. სამაგიეროდ ჰაერის ტალღები იგრძნობოდა 20 კილომეტრის მანძილზე. საბედნიეროდ, ეს მოხდა უკაცრიელ, დაუსახლებელ ტერიტორიაზე.

## სენტ-ხელენსი (აშშ)

– ამერიკის შეერთებულ შტატებში ვულკანი სენტ-ხელენსი ამოიფრქვა 1979 წელს. ჯერ ამოიფრქვა გაზები, შემდეგ ფერფლი. იანვრის ბოლოს მოხდა მთავარი ამოფრქვევა, რომლის დროს მოგლიჯა ვულკანის კონუსის ნაწილი. მთა დადაბლდა 450 მეტრით. მთის კალთებზე მოედინებოდა ვულკანური ტალახის ნიაღვრები. მოსახლეობა წინასწარ იქნა გახიზნული. 18 მაისსდადგა ჯოჯოხეთი. აფეთქებების ხმა ისმოდა 200 კილომეტრის მანძილზე. ვულკანის კრატერიდან ამოიფრქვა ფერფლის ღრუბელი, მისი ნაწილი ავიდა მაღლა, ნაწილი კი ალმოდებული ღრუბლების სახით ჩამოცურდა კალთებზე. კრატერიდან 20 კილომეტრის მანძილზე მიწა იყო მთლიანად გატიალებული. მიწა იყო დამწვარი და ფერფლით მოფენილი. ცხელი ტალახის ნიაღვრებით დაზიანდა გზები, ჩაიხერგა მდინარეები, რამაც გამოიწვია ტერიტორიების დატბორვა. მდინარე ტოუტლრივერის წყლები გადაიქცა ყავისფერ ფაფისმაგვარ ლაფად. დაიღუპა 50 ადამიანი, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაქცევა და ტალახის ნიაღვარს ემსხვერპლნენ.

## მერაპი (ინდონეზია)

– ინდონეზიაში მრავალი მოქმედი ვულკანია, მათ შორის გამოირჩევა „მერაპი“ (თარგმანში „ცეცხლოვანი ადგილი“). ის მდებარეობს 30 კმ მანძილზე ძველ ქალაქ ჯოკარტიდან, 7 წელიწადში

ერთხელ 3 კილომეტრის სიმაღლეზე ამოიფრქვევა ხოლმე მერაპი. მისი ამოფრქვევები გრძელდება 17 საუკუნის მანძილზე. მან მრავალი უბედურება, ზიანი და ზარალი მიაყენა მოსახლეობას.

ყველაზე დამანგრეველი ამოფრქვევა მოხდა 1672 წელს. მაშინ ვულკანმა 9 მდინარეს შეუცვალა კალაპოტი, მიწის პირისაგან აღიგავა ათობით ქალაქი და სოფელი, მთლიანად შეცვალა ლანდშაფტი უზარმაზარ ტერიტორიაზე. მაშინ ინდონეზიას ფლობდა ჰოლანდია, მათ დაიანგარიშეს, რომ იმ კატასტროფაში დაიღუპა 3 000 ადამიანია.

XIX საუკუნეში დაფიქსირებული იყო „მერაპის" 9 დიდი ამოფრქვევა, ხოლო XX საუკუნის პირველ ნახევარში ვულკანი 13-ჯერ ამოიფრქვა.

ერთ-ერთი საშინელი ამოფრქვევა მოხდა 1906 წელს. მთაში წარმოიშვა ნაპრალი და „მერაპის" კონუსის ერთი ნაწილი ჩაცურდა ხეობაში. შემდეგ მოჰყვა შემზარავი აფეთქება. ამ ამოფრქვევას წედეგად მოჰყვა ინდო-იავას სახელმწიფო „მატარამის" დაღუპვა, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობდა რამდენიმე ქალაქი მრავალი ტაძრითა და დიდებული სასახლით.

XIV საუკუნეში ამ ვულკანმა ფერფლით დაფარა 25 მეტრის სიმაღლის ცნობილი ტაძარი „ბორობოდური", რომელიც კრატერიდან დასავლეთ მხარეზე დაშორებული იყო 20 კილომეტრით. ამ ტაძარს ჰ ქონდა შერქმეული მსოფლიოს მე-8 საოცრების სახელი, ის აგებული იყო VI საუკუნეში. ექვსასი წლის შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო, ის მიატოვეს. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ამის მიზეზი იყო ვულკანი „მერაპი".

## რუისი (კოლუმბია)

– კოლუმბიაში 5398 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ვულკანი „რუისი", რომელიც დედაქალქ ბოგოტადან დაშორებულია 150 კილომეტრით. მისი წინა ამოფრქვევა მოხდა 1595 წელს და სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ იძლეოდა, მას თვლიდნენ ჩამქრალ ვულკანად. მაგრამ 1985 წლის 12 ნოემბერს ვულკანმა უეცრად გაიღვიძა და დაიწყო ფერფლის ამოფრქვევა. მისი აფეთქების სიმძლავრე სპეციალისტების შეფასებით იყო ათი მეგატონა. 8 კილომეტრის სიმაღლეზე ცაში ავარდა ფერფლის სვეტი და სამთო ქანების ნამსხვრევები. ამოფრქვევამ გამოიწვია მუდმივი მყინვარების და თოვლის უეცარი გადნობა. რუისის კალთებზე, მდინარე ლაგუნილის ხეობაში დაეშვა ლავის, თოვლის, ყინულის და ლოდების ნიაღვრის ნაკადი, რამაც სწრაფად მიაღწია ქალაქ არმეროს, რომელიც ამ ხეობიდან 40 კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა.

არმეროსა და მის მახლობელ სოფლებში ცხოვრობდა 50 ათასამდე ადამიანი. ღამის 23 საათზე 5 მეტრის სიმაღლის ნიაღვარმა დაფარა ქალაქი. 20 ათასი ადამიანი უეცრად დაიღუპა აბობოქრებულ ნიაღვარში. გადარჩა ის, ვინც გაიგონა მოახლოებული გრუხუნი, სწრაფად გაიქცა და მოასწრო მახლობელ ბორცვზე ასვლა. იქიდან დაინახეს თუ როგორ შთანთქა ტალახის ნიაღვარმა სახლები, სკოლები, ეკლესიები და თეატრი. მდგომარეობას ართულებდა სიბნელე და აუტანელი სიცხე, რაც გამოიწვია ცხელი ფერფლის ცვენამ.

ვებერთელა ტალახის ნაკადმა მიწის პირისაგან აღგავა ქალაქი არმერო, სადაც გადარჩა მხოლოდ ნახევრად დანგრეული რამოდენიმე შენობა. მისი მოსახლეობის 2/3 დაიღუპა ტალახში და ნანგრევებში. განადგურდა ასევე ახლო-მახლო მდებარე სოფლები. მრავალრიცხოვანი მსხვერპლი იყო დასახლება ჩინჩინოში, რომელიც ვულკანიდან დაშორებული იყო 27 კილომეტრით. ძალიან დაზარალდა დასახლებული პუნქტები ლიბანო, მურილო და კასაბიანკა. წარმოქმნილი წყალდიდობის შედეგად ადიდდა მდინარეები. ჩაირეცხა საავტომობილო გზები, დაინგრა ხიდები და კომუნიკაციები. ვულკანმა „რუისმა“ გაანადგურა ყველაფერი მის გარშემო 150 კილომეტრი რადიუსით. განადგურდა ასევე ყავის პლანტაციები.

ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 23 ათასი ადამიანი. 5 ათასმა კი მიიღო სერიოზული ჭრილობა და დაშავდა. სულ დანგრეული იყო 4500 შენობა. ათი ათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ და საარსებო წყაროს გარეშე.

## ნიოსი (კამერუნი)

— კამერუნის სოფელ ნიოსში მცხოვრები ადამიანები 1984 წლის 21 აგვისტოს დაწვნენ დასაძინებლად. მათ ვერ გაიგონეს ხმაური, რომელიც წარმოადგენდა სასიკვდილო საშიშროებას. საბოლოოდ თავის ცხოვრებაში რაც გაიგონეს, ეს იყო აფეთქება. საიდუმლოებით მოცული უფერული ღრუბელი აეარდა ცაში ტბა ნიოსის სიღრმიდან და გაცურდა სოფლის მიმართულებით.

რამდენიმე წუთში ეს მომწამლავი ღრუბელი გავრცელდა, მიიწევდა მიწის ზედაპირისკენ და ეფინებოდა დაბლა. რამდენიმე წუთის შემდეგ ცოცხალი თითქმის აღარავინ იყო. უმრავლესობა უეცრად გაიგუდა. ზოგიერთმა მათგანმა მიიღო საშინელი კანის დამწვრობა. გაქცევამ ვერ უშველა ვერავის, ვინაიდან ყველგან ერთნაირი სასიკვდილო მდგომარეობა იყო. სულ დაიღუპა 1800 ადამიანი და უამრავი ცხოველი და ფრინველი.

ერთ-ერთი გადარჩენილი თვითმხილველი დევიდ ვანბონგის მონათხრობიდან ცნობილი გახდა შემდეგი: „მე ვიგრძენი ვითომ სიმთვრალე, ადამიანები ახველებდნენ, ზოგიერთს დაეწყო პირღებინება, ყელიდან სისხლი მოსდიოდათ, ირგვლივ ისმოდა კვნესა და ოხვრა“.

ტრაგედიის სურათი ისეთი იყო, თითქოს ნეიტრონის ბომბი აფეთქდა. დაიღუპა ხალხი, ცხოველები, ფრინველები, ხოლო საცხოვრებელი შენობები კი იდგა ხელუხლებელი, თითქოს არაფერი არ მოხდაო. ხის ფოთლები გაშავდა და მოიხუჭა ისე, როგორც ყინვის დროს იცის. ტბის წყალი გახდა ყავისფერი.

კატასტროფის ადგილისაკენ სასწრაფოდ გაემართნენ სეისმოლოგები, გეოლოგები, ექიმები და ვულკანოლოგები სხვადასხვა ქვეყნებიდან. მნახველები ყვებოდნენ, რომ ჰაერში იდგა ლაყე კვერცხის სუნი. დაადგინეს, რომ კატასტროფა გამოიწვია ვულკანის ამოხეთქვამ და მომწამლავი გოგირდწყალბადის და ნახშირორჟანგის გაზის გავრცელებამ.

ტრაგედიის შემდეგ ტბის გარშემო ტერიტორიას ალყა შემოარტყეს ჯარისკაცებმა. საშიში ტერიტორიიდან გაასახლეს 30 000 ადამიანი. მოსახლეობა უკან არ დააბრუნეს, სანამ მკვდარი ცხოველები არ აიღეს. ცოცხლად გადარჩა სამშობიაროს მეორე სართულზე მყოფი ქალები და ბავშვები.

## „აკატენანგოს“ ახალი ამოფრქვევა (გვატემალა)

– სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო გვატემალაში, 2000 წლის 25 იანვარს ამოფრქვევა დაიწყო ვულკანმა „აკატენანგომ“, რომელიც დედაქალაქ გვატემალადან 25 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს ვულკანი 350 წელიწადი იყო ჩამქრალი და მის ამოფრევქევას აღარ მოელოდნენ. ამოფრქვევა დიდხანს გაგრძელდა, ხელისუფლებამ ზომები მიიღო და ახლოს მცხოვრები მოსახლეობა გახიზნა.

## ვულკანის ამოფრქვევის პროგნოზი და გაფრთხილება

ვულკანური ამოფრქვევის პროგნოზი დაფუძნებულია მრავალწლიანი გამოკვლევების მონაცემებზე. საშიში ვულკანები იმყოფება მუდმივი დაკვირვების ქვეშ, ამიტომ მათ ახლო მდებარე ტერიტორიებზე მოქმედებენ ვულკანოლოგიური სადგურები. შედგენილია ვულკანური საშიშროების რუქები.

მომავალი ამოფრქვევის პროგნოზი დამყარებულია ორ მეთოდზე. პირველი არ საჭიროებს რთულ ხელსაწყოებს და დაფუძნებულია თვითონ ვულკანის არსებობის შესწავლაზე. ზოგიერთი ვულკანი ამოიფრქვევა განსაზღვრული ინტერვალებით, ზოგი კი თავის გამოღვიძებას აღნიშნავს ხმაურიანი ეფექტებით. მეორენაირი მეთოდია რთული სტატისტიკური გამოკვლევები და გაანგარიშებები ზუსტი ხელსაწყოების გამოყენებით. ვულკანებთან ახლომდებარე სადგურები აფიქსირებენ ბიძგებს. როდესაც სიღრმეში მაგმა იწყებს გაფართოებას, ნაპრალების შევსებას, მიწის ზედაპირი ირყევა. ვულკანის ქვეშ მიწისძვრის კერა წარმოადგენს ამოფრქვევის სამზადისის საიმედო ნიშანს. ასევე საიმედოა ვულკანის ახლომდებარე დედამიწის ზედაპირის ფორმის, დახრილობის, სიმაღლის ცვლილებები. ახალი მეთოდია ვულკანების აეროფოტოგადაღება ინფრაწითელ სხივებში. ასევე საიმედოა კრატერში წყლის ტემპერატურის გაზომვა. ხანდახან ამოფრქვევის წინ წყალი კრატერში ხდება ყავისფერი ან წითელი ფერის, ხოლო ტემპერატურა მკვეთრად მატულობს. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კრატერში გაზების ცვლილებას. საყურადღებოა მაგნიტური ველის ცვალებადობის შესწავლაც.

ყოველი ვულკანი, რომელმაც ისტორიულ პერიოდში გამოიჩინა აქტიურობა, შესაძლებელია კვლავ ამოიფრქვეს.

ვულკანისაგან თავდაცვის მთავარი ღონისძიებაა მოსახლეობის წინასწარი, დროული გახიზვნა საშიში ადგილებიდან. საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წარმოება ვულკანის მოქმედების არედან უსაფრთხო მანძილზე, ლავის საწინააღმდეგო საყრდენი კედლების აგება.

# მოქმედი და დაძინებული ვულკანების რაოდენობა უახლოეს გეოლოგიურ პერიოდში

| № | რეგიონი | ვულკანების მიახლოებითი რაოდენობა | | |
|---|---|---|---|---|
| | | მოქმედი | დაძინებული | სულ |
| 1. | ანტარქტიდა და სკოშის რკალი | 10 | 6 | 16 |
| 2. | ახალი ზელანდია | 5 | 1 | 6 |
| 3. | ტონგას არქიპელაგი-კერმადეკი | 14 | 1 | 15 |
| 4. | სამოა | 4 | 16 | 20 |
| 5. | გელანეზია და ახალი გვინეა | 30 | 28 | 58 |
| 6. | ინდონეზია | 75 | 58 | 133 |
| 7. | ფილიპინები | 15 | 16 | 31 |
| 8. | ყვითელი, სამხრეთი და აღმოს. ჩინეთის ზღვები | 7 | - | 7 |
| 9. | რიუკიუს კუნძულები | 6 | 7 | 13 |
| 10. | მარიანის და იძუს კუნძულები | 20 | 3 | 23 |
| 11. | იაპონია | 31 | 14 | 45 |
| 12. | კურილიის კუნძულები | 33 | 6 | 39 |
| 13. | კამჩატკა | 19 | 9 | 28 |
| 14. | ალეუტის კუნძულები და ალიასკა | 39 | 21 | 60 |
| 15. | ბრიტანეთის კოლუმბია | 0 | 2 | 2 |
| 16. | აშშ ჩრდილო-დასავლეთი | 7 | 8 | 15 |
| 17. | მექსიკა და ცენტრალური ამერიკა | 42 | 18 | 60 |
| 18. | სამხრეთ ამერიკა (ანდის ქედი) | 47 | 13 | 60 |
| 19. | წყნარი ოკეანე | 15 | - | 15 |
| 20. | აღმოსავლეთ ინდოეთი | 9 | 8 | 17 |
| 21. | ატლანტიკის ოკეანე | 22 | - | 22 |
| 22. | ისლანდია და იან-მაიენის კუნძული | 23 | - | 23 |
| 23. | ხმელთაშუა ზღვის მიდამოები | 13 | 12 | 25 |
| 24. | აფრიკა | 14 | 29 | 43 |
| 25. | მცირე აზია | 8 | 19 | 27 |
| 26. | ინდოეთის ოკეანე | 4 | - | 4 |
| | სულ | 513 | 228 | 741 |

# 3. მეწყერები

მეწყერი არის სიმძიმის ძალის ზეგავლენით სამთო ქანების მასების ფერდობზე ქვემოთ დაცურებული გადაადგილება. ის წარმოიშვება ფერდობის ჩარეცხვის, დანესტიანების, მიწისძვრის და ძირა ნაწილში მიწის გამოცლის შედეგად. მეწყერი შეიძლება გადაადგილდეს ნელა (ათეული სანტიმეტრი წელიწადში), მისი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ის თანდათანობით შეიძლება გადავიდეს სწრაფ გადაადგილებაში, რამაც შეიძლება შემდგომში გამოიწვიოს კატასტროფა. საშუალო სიჩქარის (ერთი მეტრი დღე-ღამეში) მეწყერები ძირითადად წარმოადგენენ ტიპიური მეწყერების უმრავლესობას. სწრაფი მეწყერები (ათეული კილომეტრი საათში) წარმოადგენს ასობით ადამიანის მსხვერპლის მომტან კატასტროფას, ვინაიდან ხალხი ვერ ასწრებს გაქცევას.

მეწყერი შეიძლება შედგებოდეს კლდოვანი ქანებისაგან, მიწის ფენებისაგან, თიხის, ქვების და ყინულის ნარევისაგან. თოვლის მასის მეწყერს ეწოდება ზვავი, ხოლო ჩამოცვენილი ქვების მეწყერს – ჩამონგრევა.

მეწყერი მოძრაობის მიხედვით კლასიფიცირებულია 3 სახეობად: 1. ვარდნილი; 2. დაცურებული; 3. ჩამოდენილი.



ფერდობის ძირში მდებარე ნიადაგი აკავებს მთელი ფერდობის მასას, ამ ძირის ნიადაგის გამოცლა იწვევს ნიადაგის არამდგრადობას და დაცურებას. მრავალი მეწყერის მიზეზი არის ადამიანების საქმიანობა: გზების გაყვანა, ფერდობზე სახლების მშენებლობა, წყალსაცავების და კაშხალების მშენებლობა, მილგაყვანილობის და კაბელების არხების მოწყობა, სადრენაჟო და სხვა საინჟინრო ნაგე-

ბობების აშენება, რომლებიც დაკავშირებულია დიდი რაოდენობის ნიადაგის გადაადგილებასთან და როდესაც მიწის დიდი მასა დამატებულია ფერდობის ზედა ნაწილზე, ანდა პირიქით გამოცლილია ფერდობის ძირიდან. ასეთ შემთხვევაში იზრდება ამ ფერდობის სწრაფი დანგრევის, ჩამოცურების აუცილებლობა. როდესაც ფერდობებს შორის აგებულია კაშხალი, ხეობის კედლებზე ხდება ფერდობების ჩამონგრევა, რაც გამოწვეულია მიწის წყლით გაჟღენთვით. წყალსაცავი და ტბა არღვევს ასევე ნალექების მოსვლის, წყლის შეწოვის და ჩადენის რეჟიმს.

მეწყერს შეუძლია დაანგრიოს სახლები და შეუქმნას საშიშროება დასახლებულ პუნქტებს, სოფლის მეურნეობას, კომუნიკაციებს, გვირაბებს, წყალსაცავებს, გადახეროს ხეობა, წარმოქმნას დროებითი ტბები, ხელი შეუწყოს წყალდიდობას და სხვა ზიანის მოტანა.

## განდლოვე (ჩეხოსლოვაკია)

– ჩეხოსლოვაკიაში ქალაქ განდლოვესთან 1960-1961 წლებში ჩამოწვა 14,5 მილიონი კუბური მეტრი მასის მქონე მიწის მეწყერი, რომელიც ჩამოცურდა 12,6° დახრილობის მთის კალთიდან. თავდაპირველად მეწყერს ჰქონდა 6 მეტრი დღე-ღამეში სიჩქარე. მეწყერის დაწყებამდე ამ ადგილებში მოვიდა ხშირი ხანგრძლივი წვიმები. მეწყერმა გაანადგურა სახლები, დაანგრია საავტომობილო გზა, სატელეფონო და ელექტროხაზები, გაარღვია წყალგაყვანილობა. სასწრაფოდ გასიმნეს ადამიანები. მეწყერმა დაანგრია 150 შენობა და მრავალი სამეურნეო ნაგებობა. ზარალმა მიაღწია რამოდენიმე ათეულ მილიონ დოლარს. მეწყერის სიგანე იყო 300 მეტრი, სიგრძე 1800 მეტრი, სისქე 18-25 მეტრი. ჩამოცურდა წყლით გაჟღენთილი ფხვიერი მიწის მასივი.

## ელმე (შვეიცარია)

– შვეიცარიაში დასახლება ელმესთან 1881 წლის 10 სექტემბერს თიხოვანი ფიქალის მოპოვების ადგილიდან (კარიერიდან) ჩამოცურდა მეწყერი, თითქმის მთელი მთა. მეწყერმა დამარხა სოფელი უნტერალი და ელმეს ნაწილი. დაიღუპა 115 ადამიანი. ჩამოცურებული მთის მასივის ნაკადს ჰქონდა სიგრძე 1,5 კმ, სიგანე 500 მეტრი, სისქე 10 მეტრი. მეწყერის სიჩქარე იყო 180 კმ/საათში.

უფრო ადრე 1618 წელს შვეიცარიაში ჩამოწვა გაცილებით უფრო ძლიერი და საშინელი მეწყერი, კერძოდ, ჩამოინგრა მონტე-კონტის მთის ფერდობი და დამარხა დასახლება პლერი. მაშინ დაიღუპა 2430

ადამიანი. ამ შემთხვევაშიც მიზეზი იყო ადამიანების ჩარევა, რამაც გამოიწვია ფერდობის მდგრადობის დარღვევა.

ასევე შვეიცარიაში ქალაქ ლიუცერნის მახლობლად მდებარე როსბერგის სახელით ცნობილი ბორცვიდან 1806 წელს ჩამოინგრა კონგლომერატის უზარმაზარი ბლოკი, რომელმაც დამარხა სოფელი გოლდაუ, სადაც დაიღუპა 457 ადამიანი.

## იუნგაი, რანრაგირკი (პერუ)



– პერუს ანდის მთებში ნევადის უასკარანი არის მაღალი მთა, რომლის მწვერვალები (5400) დაფარულია ყინულით. მწვერვალის დასავლეთით მდებარეობს საკმაოდ გრძელი მჭიდროდ დასახლებული ხეობა. აქ 1962 წელს მთის კალთიდან ჩამოქცეულმა თოვლის და ქვების მეწყერმა დამარხა 3500 ადამიახი. მაგრამ ადამიანებმა გააგრძელეს ამ ხეობაში ცხოვრება. 1970 წლის 31 მაისს M=7,7 ძალის მიწისძვრის შედეგად ჩამოინგრა მყინვარის მასივი, მას გზაზე დაემატა თოვლის და მიწის მასები, წყალი. მეწყერის მოცულობა იქნებოდა დაახლოებით 100 მილიონი კუბომეტრი. ეს საშინელი სიდიდის მასა ჩამოცურდა 16 კილომეტრით ქვევით, დაახლოებით 2400 მეტრზე ზღვის დონიდან, მდინარე რიო-სანტას ხეობაში. 25° დახრილობის მქონე ფერდობზე მეწყერი ჩამოინგრა 280 კმ/საათში სიჩქარით და დაფარა ორი დასახლება: იუნგაი და ჩან ჩაგირკი, სადაც დაიღუპა 21 000 ადამიანი. როცა მეწყერი ჩამოცურდა მდინარის ხეობაში, მას დაემატა წყალი და ფხვიერი მიწის მასა და გადაიქცა ქვა-ტალახის მეწყერად (ნაკადადა), მისი სიჩქარე შემცირდა 25 კმ/საათამდე, შემდეგ ნაკადი გაჩერდა. სტიქიური უბედურების შედეგად განადგურდა მიწის ზედაპირი 22,5 კვადრატული კილომეტრის ფართობზე.

ოთხი წლის შემდეგ 1974 წლის აპრილში პერუში კვლავ მოხდა მეწყერი, რომელმაც გადახერგა მდინარე მანტარო. 1 კილომეტრი კუბური მეტრი ფხვიერი მიწის მასა მოძრაობდა 130 კმ/საათში სიჩქარით, დაიღუპა 451 ადამიანი.

## აბერფანი (უელსი)



– უელსის მეშახტეების ქალაქ აბერფანში 1966 წლის 10 ოქტომბერს მოხდა უბედურება. შახტიდან ამოტანილი უვარგისი ქანების ნაყარი (ОТВАЛ – რუს.) გაიჟღენთა წვიმით და ჩამოცურდა 32 კმ/საათში სიჩქარით ფერდობზე და თავის გზაზე გაანადგურა ორი ფერმა, საცხოვრებელი სახლები, დაწყებითი სკოლა. დასახლება დამარხული იყო 60 მეტრის სისქეზე. მარტო სკოლაში დაიღუპა 116 ბავშვი და 5 მასწავლებელი.

## სან-მარტინი, ლონგარონე (იტალია)

– 1963 წლის 9 ოქტომბერს იტალიაში ვენეციის ჩრდილოეთით ვაიონტის წყალსაცავში, რომელიც მდებარეობს 265 მეტრის სიმაღლეზე. ხშირი წვიმების შედეგად მთის ფერდობიდან ჩამოინგრა 100 მილიონი კუბომეტრი მოცულობის მიწის და ლოდების მასა, რასაც ჰქონდა დაახლოებით 100 კმ/საათში სიჩქარე. ეს უზარმაზარი მასა მიეხეთქა წყალსაცავის მოპირდაპირე მხარეს 130 მეტრის სიმაღლემდე. აზვირთდა წყლის ტალღა, რომელიც გადმოიღვარა წყალსაცავიდან. ამ ნიაღვარმა წალეკა ჯერ სოფელი სან-მარტინო, შემდეგ სოფელი კასო, ხოლო ის სახლები, რომლებიც მდებარეობდა ჩამოღვრილი ნაკადის დონეზე მაღლა, დაანგრია ჰაერის ტალღამ. წყლის ტალღას ჰქონდა 165 მეტრი სიმაღლე. 40 მილიონი კუბური მეტრი წყალი თქრიალით დაეშვა მდინარე პიავის ხეობაში, სადაც დასახლება ლონგარონე თავისი მოსახლეობით მთლიანად გაანადგურა. ნიაღვარმა ასევე გაანადგურა დასახლება: რივალტე, პირაგო და ვილანოვე. 15 წუთის შემდეგ ნიაღვარი გაიშალა სივანეში და „დაწყნარდა". დაიღუპა 2117 ადამიანი. ამ უბედურების მხილველი არავინ არსებობს, რადგან იმ უბედურების ზონაში მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა.

## მურგაბის ხეობა (რუსეთი)

— ისტორიული პერიოდის უდიდეს მეწყერად ითვლება მეწყერი, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პამირის მთებში, 1911 წელს ჩამოწვა. იგი გამოწვეული იყო ძლიერი მიწისძვრით. ჩატარებული იყო გამოკვლევა. ჩამოწვა 2,5 კუბური კილომეტრი ფხვიერი მიწის მასა. დაიმარხა სოფელი უსოი, მისი 54 მცხოვრებით. მეწყერმა გადაკეტა მდინარე მურგაბის ხეობა და წარმოქმნა ტბა, რომელიც გაიზარდა და დაფარა სოფელი სარეზი. ამ ხელოვნური წყალსაცავის სიმაღლე იყო 301 მეტრი, მაქსიმალური სიღრმე 284 მეტრი, ხოლო სიგრძე 53 კმ.

## განსუ (ჩინეთი)

— ყველაზე დიდი რაოდენობის მსხვერპლი მოიტანა ჩინეთის პროვინცია განსუში 1920 წელს მიწისძვრის შედეგად მომხდარმა მეწყერებმა. ჩაინგრა ლიოსის ბორცვები. ათასობით კუბური მეტრი მოცულობის მიწამ ამოავსო დასახლებული ხეობები, მიწის ქვეშ დაიმარხა ქალაქები და სოფლები. დაიღუპა 200 000 ადამიანი, რომლებიც ძირითადად ცხოვრობდნენ ბორცვებში გამოთხრილ ლიოსის გამოქვაბულებში. ამ ხეობას შეარქვეს „სიკვდილის ხეობა“.

## ალმა-ატა (ყაზახეთი)

— ყაზახეთის დედაქალაქის ალმა-ატის ქუჩებში, 1921 წელს ჩამოწოლილი მეწყერისაგან წარმოქმნილმა ღვარცოფმა შეიტანა 3,5 მილიონი კუბური მეტრი ტალახი და ქვები.

საშიშროება დაემუქრა ამ ქალაქს 1973 წელს, როცა ყინულის და თოვლის დნობისაგან მთებში დაგროვდა დიდი რაოდენობის წყალი, რომელმაც გაარღვია ყინულის ტბა. წარმოიქმნა მეწყერი-ნიაღვარი, რომელიც 50 კმ/საათში სიჩქარით თქრიალით ჩაიქცა მდინარე პატარა ალაატინკის ხეობაში. ნიაღვარის მოცულობა თანდათან მატულობდა. 12-15 მეტრი სიმაღლის ნიაღვრის ტალღა დაენარცხა მედეოს გადამღობ კედელს. ჯებირმა შეაჩერა ნიაღვარი. მის წინ წარმოიქმნა ტბა. ასეთი კატასტროფის მოსალოდნელობა წინასწარ იყო გათვალისწინებული, ამიტომ ჯებირის კედლები ააგეს 150 მეტრის სიმაღლეზე.

1977 წელს ალმა-ატას კვლავ დაემუქრა მეწყერი-ნიაღვარი, რომელიც წარმოიქმნა მდინარე დიდი ალმაატინკის ბასეინში, ყინულოვანი ტბის გარღვევის შედეგად. მოძრაობდა 6 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის ტალახის მასა, მაგრამ ნიაღვრის ფრონტალური ნაწილი გაიშალა და ტალღამ დაკარგა მომაკვდინებელი ძალა.

## მატმარკა (შვეიცარია)

– 1965 წელს შვეიცარიაში მატმარკასთან მყინვარიდან 500 მეტრის დაშორებით მდინარე ზაასის ხეობაში, ქალაქ ცერმატთან ახლოს აშენებდნენ წყალსაცავს. მშენებლებმა გამოიყენეს აფეთქება, რამდენიმე წამში მყინვარს მოტყდა ნაწილი, ჩამოცურდა და დაფარა სამშენებლო უბანი. ჩამოცურდა 1 მილიონი კუბური მეტრი ყინული, მეწყერის ვარდნის სიჩქარე იყო 40 კმ/საათში. დაიღუპა 60 ადამიანი. ხის ნაგებობები ჰაერის ტალღამ მოისროლა ჯერ კიდევ ყინულის მასის ჩამოვარდნამდე.

## მადისონის კანიონი (აშშ)

– 1959 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების მდინარე მადისონის კანიონში მიწისძვრის დროს ჩამოწვა მეწყერი, რომლის მოცულობა იყო 27 მილიონი კუბური მეტრი, მეწყერმა დააგუბა მდინარე და წარმოქმნა ტბა. მეწყერი ჩამოწვა ტურისტულ ბანაკზე, სადაც დაიღუპა 26 ადამიანი. საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფმა მეწყერის მასაში გაიყვანა არხი, რათა ტბიდან გამოდენილიყო წყალი და თავიდან იქნა აცილებული მოძაველი ზიანი და ზარალი.

## შერმან-გლეიშერი (აშშ)

– 1964 წლის მარტში ალიასკაზე მომხდარმა მიწისძვრამ წარმოქმნა მეწყერები, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო მეწყერი „შერმან-გლეიშერი“, რომელიც მიწისძვრის ეპიცენტრიდან 140 კილომეტრით არის დაშორებული ყინულოვან მაღალ მთებში. ერთი ასეთი მთის „შეტერ-პიკს“ მოგლიჯა წვერი. მთის კალთაზე დიდი სიჩქარით ჩაგორებული მასა დაიმსხვრა ნაწილებად, ხეობა განიერი იყო და ამიტომ ჩამოცურებული მასა არაფერმა შეაჩერა. მეწყერის მასა გაიშალა დიდ ფართობზე, მისი მოცულობა დაახლოებით 23 მილიონი კუბური მეტრი იყო.

## წყნეთი (საქართველო)

– 1980 წლის ივლისში კოკისპირული თავსხმა წვიმების შედეგად წყლის დონემ აიწია დაბა წყნეთის ხელოვნურ ტბაში. წყალმა გადმოლახა მიწის ზედაპირი, ჩამორეცხა მიწა, თანდათან გააფართოვა წარმოქმნილი ღარი, შემდეგ მოგლიჯა მიწა დიდ სიგანეზე და დიდი რაოდენობის ტბის წყალი ჩამოიქცა ქვემოთ დაბა წყნეთის დასახლებულ ადგილებში. წყლის და ტალახის ნიაღვარმა მთლიანად დაანგრია რამოდენიმე სახლი, ხოლო 52 სახლის პირველი სართული

სერიოზულად დააზიანა. კატასტროფა მოხდა შუაღამით, ამიტომ ადამიანებს ეძინათ, ვინაიდან ტბა მოულოდნელად გასკდა, ხოლო ნიაღვარი დიდი სიჩქარით დაენარცხა სახლებს, პირველ სართულზე მძინარე რამდენიმე ადამიანი დაიხრჩო, ასევე დაიხრჩო პირუტყვი. ნიაღვარმა მანქანები გადააბრუნა და წაიღო დიდ მანძილზე. დაზარალებულ მაცხოვრებლებს სამშენებლო ორგანიზაციებმა მთავრობის გადაწყვეტილებით გაუწიეს დახმარება. დაზიანებული სახლების გარემონტება-აღდგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის ავტორმაც.

## მეწყერი ფილიპინებზე

სახელმწიფო ფილიპინებზე მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, წყნარ ოკეანეში, სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და ფილიპინების ზღვას შორის. სახელმწიფო განლაგებულია 7100 კუნძულზე და უკავია 300 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობი. კუნძულები მჭიდროდაა დასახლებული, მათზე ცხოვრობს დაახლოებით 50 მილიონი ადამიანი. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია 3 კილომეტრამდე სიმაღლის მთებს. კლიმატი ტროპიკულია და ხშირად მოდის ხანგრძლივი თავსხმა წვიმები. ეს კუნძულები მდებარეობს სეისმურ ზონაში, რის გამოც ხშირად ხდება მიწისძვრები.

2006 წლის 16 თებერვალს ფილიპინების კუნძულ ლეიტზე მიწისძვრის შედეგად მოხდა საშინელი მეწყერი. ჩამოცურდა თავსხმა წვიმების შედეგად დასველებული და დამძიმებული რამდენიმე ათასი კუბომეტრის მოცულობის მთის მიწის მასივი, რომელმაც რამდენიმე წამში ტალახიანი მიწით დაფარა მთის ფერდობის ძირას გაშენებული 2 სოფელი. ჩამოცურებულ მიწაში ჩანდა მხოლოდ სახლების სახურავები. ეს უბედურება მოხდა რამდენიმე წამში, ისე სწრაფად დაიღუპა 2 ათასი ადამიანი, რომ მათ დაყვირებაც ვერ მოასწრეს.

ამ უბედური შემთხვევით, დამაჯერებლად არის დამტკიცებული, რომ მაღალი მთის ფერდობებზე და მთების კალთების ძირთან ახლოს, არ შეიძლება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ადამიანების ცხოვრება. რადგან მოსალოდნელია მეწყერის ან თოვლის ზვავის ჩამოცურება.

ამ წიგნს რომ წერდა ავტორი, საქართველოში, კერძოდ ხარაგაულის რაიონის მაღალმთიან სოფელ ლეღვანში მოხდა მეწყერი, რომელმაც დაანგრია 55 საცხოვრებელი სახლი.

# მეწყერისაგან თავდაცვა

მეწყერისაგან თავდაცვის ყველაზე რეალური ქმედება არის წინასწარი გაფრთხილება. როცა მეწყერი უკვე ჩამოწოლილია პრევენციული სამუშაოების ჩატარება დაგვიანებულია. იდეალური იქნებოდა დაფერდებული მონაკვეთების თავის არიდება, მაგრამ ეს შეუძლებელია. ამიტომ საინჟინრო გეოლოგიის, ქანების მექანიკის და მშენებლობის სპეციალისტებისაგან შემუშავებულია კომპლექსური წინასწარგამაფრთხილებელი ღონისძიებები. ცნობილია, რომ მეწყერის ძირითადი მიზეზი არის წყალი. ამიტომ პირველ რიგში უნდა შესრულდეს ზედაპირული წყლების შეგროვების და გადაყვანის სამუშაოები. მეწყერის საშიშ ადგილებში ჭებიდან უნდა იქნეს ამოქაჩული წყლები. შემდეგ მოდის ამოშრობა მიწისქვეშა დრენაჟების დახმარებით. საყურადღებოა ასევე რელიეფის ხელოვნურად გარდაქმნა. მოწყვეტის ზონაში უნდა შემცირდეს ფერდობზე დატვირთვა, რითაც შემცირდება სიმძიმის ძალა და გაიზრდება სამთო ქანების შეჭიდულობის ძალა. არსებობს რეკომენდირებული ტექნიკური ოპერაციების მთელი კომპლექსი, კერძოდ: ფერდობების ანკერული გამაგრება, დაცურების სიბრტყეების დაშლა, გამამაგრებელი ხსნარების ინექცია, ფერდობის ფიქსაცია ხიმინჯების დახმარებით და საყრდენი კედლების მშენებლობა. მთავარია ასევე მომზადების ხარისხი და მოქმედების სიჩქარეც. უფრო დაგვიანებულ ეტაპებზე მეწყერის პროცესებთან ბრძოლა მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ დანახარჯებს.

# 4. თოვლის ზვავები



თოვლის ზვავი (labina – ლათ.) ეწოდება დახრილი ფერდობებიდან ჩამოცვენილ ან ჩამოცურებულ თოვლის მასას, რაც მეწყერის ანალოგიურია. ზვავის ვარდნას თან ახლავს ზვავისწინა ჰაერის ტალღის წარმოშობა, რასაც მოაქვს უფრო მეტი ნგრევა და ზიანი. თოვლის ზვავი წარმოიქმნება თოვლის კრისტალებისა და ჰაერის შერევით. დიდი მასშტაბის ზვავი წარმოადგენს კატასტროფას, მას შეუძლია ასობით ადამიანის დაღუპვა.

მექანიკის თვალსაზრისით თოვლის ზვავი წარმოიშვება ისევე, როგორც მეწყერის გადაადგილება. თოვლის შეჭიდულობის ძალები გადალახავენ განსაზღვრულ ზღვარს და გრავიტაცია იწვევს თოვლის მასების გადაადგილებას მთის კალთაზე. თოვლი დაცემის შემდეგ იცვლის თვისებას, ესე იგი განიცდის მეტამორფოზს. თოვლის კრისტალები იზრდება, თოვლის მასის ფორები მცირდება. გარკვეულ სიღრმეზე თოვლის ზედაპირიდან კრისტალიზაციის შეცვლას შეუძლია გამოიწვიოს დაცურების ზედაპირის შექმნა, რომელზეც თოვლის ფენა ცურდება. ასეთ ადგილებში თოვლის ფენის დარღვევა გამოიწვევს თოვლის ზვავის წარმოშობას.

თოვლის ზვავის კრიტიკული კუთხე უდრის $22^0$. დიდი მოცულობის ზვავები წარმოიქმნებიან $25\text{-}60^0$ დახრილობის კალთებზე. მათი წარმოქმნა დამოკიდებულია არა მარტო დახრილობაზე, არამედ კალთების პროფილზეც. ჩაზნექილი კალთები ნაკლებად საშიშია ამოზნექილთან შედარებით. კალთის ამოზნექილობა ზრდის გაჭიმვის დაძაბულობას. სწორი ბალახიანი კალთები არის ზვავ საშიში. ბუჩქნარი და დიდი ლოდები ხელს შლიან ზვავის წარმოშობას, ხოლო ტყიან ადგილებში ზვავები ძალიან იშვიათად გვხვდება.

თოვლის ზვავი არის ორი სახის: მტვერისებური ზვავი და ფენოვანი. მტვერისებური ზვავი წარმოიქმნება თოვლის მტვრის უფორმო ნარევისაგან. ფენოვანი ზვავი კი ისე, როგორც მეწყერები, მოწყვეტის ზონის გასწვრივ და დაცურდება ფენის სახით. ფენოვანი ზვავი უფრო საშიშია მტვერისებურთან შედარებით. მტვერისებური ზვავები უფრო ჩქარია. ისეთი ზვავის სიჩქარე, რომელშიც ბევრი ჰაერია, აღწევს 120-360 კმ/საათში, ხოლო დამძიმებულის სიჩქარეა 50-70 კმ/საათში. ფენოვანი ზვავის სიჩქარეა 25-36 კმ/სთ.

სიდიდის მიხედვით თოვლის ზვავები გამორჩეულია, როგორც დიდი, საშუალო და პატარა. დიდი ზვავები თავიანთ გზაზე ანადგურებენ ყველაფერს – სახლებს, ხეებს. საშუალო საშიშია მხოლოდ ადამიანებისათვის, ხოლო პატარა ზვავები პრაქტიკულად არ წარმოადგენენ საშიშროებას.

თოვლის ზვავების წარმოშობის მიზეზებია: კალთის არამდგრადობა, თოვლის კრისტალიზაციის ცვლილება, დაცურების სიბრტყის წარმოქმნა, თოვლის ნამქერი, მიწის ზედაპირის რყევა, თოვლის ველზე დაცემული ლოდი, აფეთქების ხმა და სხვა.

## ტიროლი (ავსტრია)

– პირველი მსოფლიო ომის დროს ტიროლში 1916 წლის დეკემბერში თოვლის ზვავებში დაიღუპა ექვსი ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი. ეს ზვავები გამოიწვია არტილერიის ქვემეხების გრიალმა.

## ველინგტონი (აშშ)

– ამერიკის დასავლეთ ნაწილში 1860-1910 წლებში „ოქროს მოპოვების ციებ-ცხელების" პერიოდში, არაერთხელ მოხდა, რომ თოვლის ზვავებმა დაფარა ოქროს მაძიებელთა ბანაკები და დახოცა ათობით ადამიანი. მაგალითად, 1911 წელს ვაშინგტონის შტატში ველინგტონში თოვლის ზვავმა დამარხა 3 მატარებელი და დაიღუპა 120 ადამიანი.

## უასკარანი (პერუ)

– სამხრეთ ამერიკის ანდის მთებში სახელმწიფო პერუს ტერიტორიაზე მდებარეობს 6700 მეტრის სიმაღლის პიკი უასკარან. 1962 წლის 10 იანვარს მთავარი მყინვარიდან მოწყდავეებერთელა ყინულის და თოვლის მასა, რომელიც შეადგენდა 3 მილიონ კუბურ მეტრს. მთელი ეს მასა ჩამოცურდა 1 კილომეტრ სიმაღლიდან. ამ უძლიერესი დარტყმის შედეგად (თოვლისა და ყინულისაგან) წარმოიშვა ჰაერში ჩამოკიდებული ნაწილაკების მკვრივი ღრუბელი, რო-

მელიც დიდი სიჩქარით და ენერგიით დაექანა მთის ქვედა ხეობაში. თავის გზაზე ამ მასამ ჩაითრია ქვების ლოდები, ქეიშა და თიხა; თოვლის ზვავი ამავე დროს გახდა მეწყერი. ამ მასის ჩამოცურების გზაზე 2700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა ქალაქი რანრაიკა და კიდევ 6 სოფელი. იმ მომენტში როცა ზვავმა მიაღწია ქალაქამდე მან გამოიარა 3500 მეტრი მანძილი და მისი მოცულობა გაიზარდა 13 მილიონ კუბურ მეტრამდე. მთლიანად განადგურდა ქალაქები, სოფლები, ხიდები, გზები, ხოლო იმ ადგილზე, სადაც ზვავმა შეწყვიტა დაცურება, დაგუბდა ადგილობრივი მდინარე და წარმოიქმნა ხელოვნური წყალსაცავი. ეს წყალსაცავი რამდენიმე ხნის შემდეგ გაარღვია მდინარემ და ახლა მოხდა დამანგრეველი წყალდიდობა, რომელმაც ქვედა ხეობაში დაანგრია ყველა ხიდი და დააზიანა გზები. ამ კატასტროფაში დაიღუპა 4 ათასი ადამიანი. 20 კილომეტრი მანძილი ზვავმა განვლო 7 წუთში, ასე რომ მისი სიჩქარე იყო 170 კმ/საათი.

## კემპ-ლედიუკი (კანადა)

– 1965 წლის 18 თებერვალს კანადის კლდოვან მთებში მდებარე სოფელ კემპ-ლედიუკის თავზე ზემოდან ჩამოცურდა თოვლის ვებერთელა ზვავი, რომელმაც გაანადგურა ნახევარი სოფელი და სპილენძის საბადოს მოსაპოვებლად აგებული ნაგებობების სწორ ხერელთან (штольня – რუს.) ზვავმა დაფარა 70 ადამიანი.

## ქდიარი (ჩეხეთი)

– 1956 წლის 8 მარტს ჩეხეთში ტატრის მთის ფერდობზე ქალაქ ქდიართან ახლოს ჩამოწვა თოვლის ზვავი, რის შედეგად დაიღუპა 16 მეტყევე მუშა.

## ჰოპენშტეინი (შვეიცარია)

– 1908 წლის 29 თებერვალს შვეიცარიის ალპების ქალაქ ჰ ოპენშტეინთან ახლოს მდებარე სასტუმროს, მთა ფალდუმის კალთებიდან ჩამოცურებული თოვლის ზვავი დაენარცხა. გაისმა საშინელი ხმაური, უცბად მოგლიჯა სასტუმროს სახურავი, ბილიარდის მძიმე მაგიდა ისროლა ჰაერში. დაიღუპა სასტუმროს 12 ბინადარი, დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

## ალპების მთები

– ბერძენი ისტორიკოსების წყალობით ჩვენამდე მოაღწია, მეტად საინტერესო, დიდი ხნის წინათ მომხდარმა ამბავმა. კერძოდ,

პოლიბეიმ აღწერა კართაგენის მხედართმთავრის ჰანიბალის ალპების მთებში ლაშქრობის შესახებ. პუნიზეს მეორე ომის დროს, ჰანიბალმა გადაწყვიტა მტრისთვის, რომის ლეგიონერებისთვის ზურგიდან მიეყენებინა დარტყმა. ამიტომ მან ლაშქარი წაიყვანა ალპების მთების გაყოლით. მაგრამ მთებიდან ჩამოცურებულმა თოვლის ზვავმა ჰანიბალის იმდენი ჯარისკაცი იმსხვერპლა, რამდენიც მას არც ერთ სისხლისმღვრელ ომში არ დაუკარგავს.

## ზვავები საქართველოში

– საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია მაღალ მთებს, უღელტეხილებს და დამრეც ფერდობებს. ამიტომ ზამთარში ხშირია თოვლის ზვავები. განსაკუთრებით საშიშია ჯვრის, როკის და სურამის გადასასვლელები. მართალია, ამ გადასასვლელებზე აგებულია საავტომობილოლ გვირაბები, თოვლის ზვავის დამჭერი საყრდენი კედლები და სხვა ნაგებობები, მაგრამ მათი უკმარისობის გამო, დიდთოვლობის პერიოდში საავტომობილო მიძრაობა რამდენიმე ხნით ჩერდება, სანამ გზები არ გაიწმინდება ჩამოქცეული ზვავებისაგან. არის შემთხვევები, როცა თოვლის ზვავებთან ერთად ჩამოინგრევა ხოლმე ქვა-ღორღის და ტალახის დიდი მოცულობის ზვავებიც.

მდინარე თერგის, არაგვის და ძირულას ხეობებში ხშირია საავტომობილო კატასტროფები. მაგალითად 1999 წლის ზამთარში ყაზბეგის რაიონის სოფელ კობიდან ვლადიკავკაზში მიმავალ ავტობუსს დაენარცხა ჩამოქცეული ზვავი, ავტობუსი გადავარდა მდინარე თერგში, რის შედეგად დაიღუპა 42 ადამიანი. 2000 წლის იანვარში კი როკის გვირაბის მხრიდან ცხინვალის მიმართულებით მომავალი ავტობუსის წინ ჩამოიქცა თოვლის ზვავი. მძღოლმა გააჩერა ავტობუსი და წავიდა ტრაქტორის მოსაყვანად, მაგრამ უკან დაბრუნებულ მძღოლს ავტობუსი გზაზე აღარ დახვდა, რადგა ახალმა თოვლის ზვავმა დაარტყა გზაზე მდგარ ავტობუსს და გადაჩეხა კლდეში 80 მეტრ სიღრმეში, რის გამოც დაიღუპა ავტობუსში მყოფი 28 მგზავრი.

## დიდი მსხვერპლის მომტანი ზვავები

– 1905 წელს ყარაყუმში უცბად ჩამოწვა ჰასაბადის მყინვარი, რის შედეგადაც დაიღუპა 2500 ადამიანი, დაინგრა ათასობით სახლი და შენობა.

– 1906 წელს ალიასკის მთებიდან ჩამოწვა მყინვარი კარიპეიტედი, დაიღუპა 3500 ადამიანი, დაინგრა 28 000 სახლი.

# თოვლის ზვავებისგან თავდაცვა

როგორც მეწყერებისგან, ასევე ზვავებისგან თავდაცვისათვის მთავარ როლს თამაშობს პრევენციული ზომები. ზვავსაშიში კალთების გამოცნობა არ არის ძნელი. მთავარი მნიშვნელობა ეძლევა წინა ზვავების შესწავლას, რადგან ისინი ჩამოიქცევიან ერთი და იგივე ტრასით.

ზვავის წინასწარი პროგნოზირებისთვის მნიშვნელობა აქვს ქარის მიმართულებას და ნალექების რაოდენობას. როცა თოვლის ნალექების რაოდენობა არის 25 მმ, მას შეიძლება მოჰყვეს ზვავი, ხოლო თუ თოვლი მოდის 55 მმ რაოდენობით, მაშინ ზვავის ჩამოქცევა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ თუ თოვლი მოვიდა 100 მმ რაოდენობით, მაშინ ზვავი აუცილებლად ჩამოიქცევა მოკლე ხანში. ზვავის მოსალოდნელობას ანგარიშობენ თოვლის საფარის გადნობის სიჩქარის მიხედვითაც.

ზვავებისგან თავდაცვა შეიძლება იყოს პასიური და აქტიური. პასიური დაცვის დროს თავის არიდებენ ზვავსაშიშ კალთებს ან აწყობენ ჯებირებს. აქტიური დაცვის შემთხვევაში აწარმოებენ ზვავსაშიში კალთების დაბომბვას, რის გამოც ჩამოიქცევა მცირე მოცულობის ზვავები და წინაამდეგობას უწევენ თოვლის კრიტიკული მასების დაგროვებას.

# 5. სამდინარე წყალდიდობები



წყალდიდობა არის ტერიტორიის მნიშვნელოვანი დატბორვა მდინარეში, ტბაში, ზღვაში, წყლის დონის აწევის შედეგად, რაც გამოწვეულია წყლის უხვი მოდინებით, თოვლის დნობით, თავსხმა წვიმებით ან ქარებისგან წყლის მორეკვით, მდინარის ჩახერგვით და სხვა მოვლენებით. ხმელეთი შეიძლება დაიტბოროს მდინარეებით ან ზღვით, ამიტომ გამოყოფენ სამდინარე და საზღვაო წყალდიდობას. წყალდიდობა საშიშროებას უქმნის დედამიწის 3/4 ნაწილს. წყალდიდობების შედეგად იღუპება ათასობით ადამიანი, ხოლო მისგან მიყენებული მატერიალური ზარალი უფრო მნიშვნელოვანია სხვა კატასტროფებთან შედარებით. კერძოდ: დანგრეული დასახლებული პუნქტები, დამხრჩვალი საქონელი, ეროზირებული და დასილული მიწები, სხვადასხვა სახის ავადმყოფობა და შიმშილი.

ადამიანებს მდინარის კალაპოტი ხშირად ეშლებათ მდინარის ხეობაში. კალაპოტი ეს არის მდინარის ბუნებრივი ღარტაფი, რომელშიც წყალი მიედინება წლის დიდ პერიოდში. მდინარის ხეობაში კი შედის მისი კალაპოტი და ფართო ჭალა. ჭალ ეწოდება მდინარის მიერ დატბორილ ან დაჭაობებულ ხეობის ნაწილს. როცა კალაპოტს აქვს რამდენიმე ათეული ან ასეული მეტრის სიგანე, ხეობის სიგანე აღწევს ათობით კილომეტრს. მდინარის კალაპოტში წყლის დონე იცვლება წელიწადის სეზონის და ამინდის მიხედვით. პერიოდულად მდინარეები გადმოდიან ნაპირებიდან და ტბორავენ ჭალებს, რასაც ეწოდება წყლის მოვარდნა. ეს არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ მოვლენას, არამედ არის მდინარისთვის სასიცოცხლო ელემენტი.

როცა დატბორილ ტერიტორიაზე წყლის სიმაღლე მიაღწევს 1 მეტრს, ხოლო წყლის მოდენის სიჩქარე გადააჭარბებს 1 მ/წამში ადამიანებს ემუქრება საშიშროება. წყლის აწევა 3 მეტრის სიმაღლეზე უკვე იწვევს სახლების ნგრევას. წყალდიდობის დროს წყლის ნაკადის სიჩქარე აღწევს 5 მ/წამში. მდინარეების სათავეებთან ახლოს ნაკადის სიჩქარე გაცილებით მეტია. წყლის დონის დაწარდნის შემდეგ, წყალი ჭალებში ტოვებს ყველაფერს, რაც მას მიჰქონდა.

## დაკოტა (აშშ)

– 1972 წლის ივნისში აშშ სამხრეთ დაკოტაში მოხდა მნიშვნელოვანი კატასტროფა. 6 საათში მოვიდა 400 მმ ნალექი, ჩვეულებრივ წყნარი პატარა მდინარე რაპიდ-კრიკი ისე გადაივსო წყლით, რომ წალეკა 750 სახლი და დაახრჩო 237 ადამიანი. ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად.

## ფრეიზერი (კანადა)

– კანადის ისტორიაში ერთ-ერთი ბუნებრივი კატასტროფა მოხდა მდინარე ფრეიზერზე 1948 წელს. გრძელი ზამთრის შემდეგ მაისის თვეში დადგა ძალიან თბილი ამინდი. მაღალი ტემპერატურა იდგა დიდხანს. მდინარე ფრეიზერი ადიდებული იყო თითქმის ერთი თვე. დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი.

## ტიგროსი და ევფრატი (ერაყი)

– 1954 წლის აპრილში ერაყში მოხდა უდიდესი წყალდიდობა. თურქეთის და ირანის მთებში თოვლის დნობას თან დაერთო ხანგრძლივი თავსხმა წვიმები. ისე ადიდდა მდინარეები ტიგროსი და ევფრატი, რომ წყლის დონემ აიწია 10,5 მეტრით. სამხრეთ ერაყში დაიტბორა მიწები 16 000 კვადრატულ კილომეტრზე.

## ნილოსი (ეგვიპტე)

– ჩვენი ეპოქის 622 წლიდან ეგვიპტეში მდინარე ნილოსის წყლის დონე რეგულირდება ნილოსის საზომით (Нилометр – რუს.), რომელიც დაყენებულია დედაქალაქ კაიროში. ასუანის წყალსაცავის აგებამდე მდინარე ნილოსზე წყალდიდობები ხდებოდა რეგულარულად. ჯერ კიდევ 1874 და 1878 წლებში ქალაქ კაიროსთან წყლის დონემ აიწია 9,16 მ სიმაღლეზე. დატბორილი იყო მრავალი სოფელი დაიყო უზარმაზარი მსხვერპლი.

მდინარე ნილოსზე დაყენებულ ნილომეტრზე წყლის დონის აწევა 864 სმ ნიშნულზე მაღლა, ითვლებოდა წყლის საკმარისი რაოდენობის დასტურად და წარმოადგენდა მოსავლიანობის გარანტიას. ოქტომბრის თვეში ნილოსის საპატივსაცემად ტარდებოდა რიტუალური დღესასწაული. სხვა საჩუქრების გარდა ამ დღესასწაულის დროს მსხვერპლად სწირავდნენ ლამაზ გოგოებს, რომლებსაც აგდებდნენ მდინარეში. მდინარე ნილოსის კალაპოტი 100 წელიწადში მაღლა იწევს 13 სმ-ით, ასევე იწევს მაღლა მისი ველებიც, რადგან მდინარეს მუდმივად მოაქვს ქვიშის ფენა.

## არნო (იტალია)

– მდინარე არნო აპენინის მთებიდან მიედინება იტალიის ქალაქ ფლორენციის ახლოს და იშლება ფართო ხეობაში. ფლორენციამ მრავალჯერ განიცადა წყალდიდობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1966 წლის 3-4 ნოემბრის წყალდიდობა, როდესაც მოვიდა 600 მმ ნალექი, რაც უტოლდება ნახევარი წლის ნორმას. ჩრდილო იტალიაში დაიტბორა 750 დასახლებული პუნქტი, რის შედეგადაც დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი. წყალმა დატბორა ქალაქ ფლორენციის ქუჩები, სადაც როგორც ლოდებს, ისე მიაგორებდა ავტომობილებს. ზოგიერთ ქუჩაში წყლის დონემ 6 მეტრს მიაღწია. როდესაც წყალმა დაიწია, მან დატოვა ნახევარი მეტრი სისქის ნანგრევების და ტალახის ფენა.

## ხუანხე (ჩინეთი)

– ჩინეთის მდინარე ხუანხეს („ყვითელი მდინარე") სინდისზეა მრავალი ასეული ადამიანის სიცოცხლე, ვიდრე მსოფლიოს ყველა მდინარისა. ხუანხეს წყლის აუზს აქვს ვეებერთელა 1 250 000 კვადრატული კილომეტრის ფართობი. მდინარე სათავიდან ჯერ ზეგანზე მიედინება, სადაც რეცხავს ლიოსს, შემდეგ მიედინება ფართო დაბლობზე, სადაც ლექავს წვრილ გამორეცხილ ლამს, რის შედეგად მდინარის კალაპოტი თანდათან მაღლდება და მდებარეობს 12-15 მეტრით მაღლა მის გარშემო ხეობის ზედაპირთან შედარებით. ჯებირის ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში მდინარე მაშინვე დატბორავს ხოლმე ასეულ კვადრატული კილომეტრის ფართობს. უდიდესი წყალდიდობის დროს მდინარე საერთოდ ტოვებს ძველ კალაპოტს და ზოგიერთ მონაკვეთზე იკეთებს ახალს. ხუანხეს დაბლობში ცხოვრობს 80 მილიონი ადამიანი. 1931 წელს მოხდა უდიდესი წყალდიდობა, როცა წყლის ხარჯმა მიაღწია 830 000 კუბურ მეტრს წამში და ხეობაში დალექა დაახლოებით 20 000 მილიონი კუბური მეტრი ლამი და ტალახი. ჯებირებს მუდმივად ამაღლებენ და მათზე გაჰყავთ გზები.

## მისისიპი (აშშ)

– ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის 40%-ს წყლით ქღენთავს მდინარე მისისიპი. 1927 წელს მომხდარი წყალდიდობა იყო ნაციონალური კატასტროფა, სწორედ ამ დროიდან წყალდიდობისგან თავდაცვა გახდა საერთო სახელმწიფო საქმე. ყველაზე უდიდესი წყალდიდობა მოხდა 1973 წელს, როდესაც დაიტბორა 53 000 კვადრატული კილომეტრი ფართობი. ამ წყალდიდობას ხელი შეუწყო მთებში თოვლის სწრაფმა გადნობამ. მდინარეში წყლის დონემ აიწია 16 მეტრის სიმაღლემდე.

## ნევა (რუსეთი)



– რუსეთში მდინარე ნევის მიერ ქალაქ სანკტ-პეტერბურგის დატბორვას აბრალებენ გემებს, რომლებიც ვითომ ხელს უშლიან მდინარის წყლის ჩადინებას ზღვაში. დაკვირვებებმა უჩვენა, რომ წყალდიდობები ხდება იმის გამო, რომ მდინარე ნევას არ შეუძლია თავისუფლად ჩაიღვაროს ზღვაში და მიედინება ძალიან მდორედ. ამჟამად აწარმოებენ 25 კმ სიგრძის ჯებირის მშენებლობას, რომლის კომპლექსში შედის 11 ჯებირი, გემების გასატარებელი ორი ნაგებობა და 6 წყალგამტარი მოწყობილობა 64 ჩამკეტი ხვრელით. ჯებირის სიმაღლე იქნება 8 მეტრი. წყალდიდობის მოსალოდნელი საფრთხის დროს საკამანდო პუნქტიდან ქ. კრონშტადტიდან 5 ათასი ტონა სიმძიმის ფოლადის ფარები გადაკეტავენ გემების სავალ არხებს, ხოლო წყალგამტარი ხვრელები გადაიკეტება ჩამკეტებით. ყველა ამ ღონისძიების შესრულებას დასჭირდება 30 წუთი. ყველაზე დიდი წყალდიდობა მოხდა 1824 წლის 7 ნოემბერს. ნევამ დატბორა მთელი ქალაქის სარდაფები და პირველი სართული, ქუჩები გადაიქცა მდინარეებად. დაიღუპა 3 000 ადამიანი, დაიხრჩო ათასობით სული საქონელი. დაინგრა ბოგირები, ხიდები, წყალმა წალეკა ჯიხურები, ფარდულები, ქოხები, ავეჯი, შეშა და საოჯახო საგნები. ადამიანები იყვნენ სახურავებზე ასული სანამ არ დაეცა წყლის დონე.

*P.S. ამ წიგნის დაწერის დროს 1999 წლის 29 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგში ძლიერმა ქარებმა (32 მ/წმ) ზღვის მხრიდან შემოყარა წყლის ტალღები, რომლის შედეგად მდინარე ნევაში წყლის დონემ აიწია 3 მეტრით. წყალი გადმოვიდა და დატბორა ქალაქის დიდი ნაწილი, წყალი ჩაიღვარა მეტროს გვირაბებშიც.*

## რეინი (გერმანია)

– გერმანიაში მდინარე რეინი მიედინებოდა ფართო ჭალაში. 1818 წლიდან დაიწყეს მდინარის კალაპოტის გასწორება, ააგეს წყალსაცავები, არხები, ჯებირები, ესე იგი მდინარე უნდა გამხდარიყო

ჯემისავალი სატრანსპორტო არტერია. ასეთი ღონისძიებების ჩატარების შედეგად მდინარემ დაკარგა თავისი საკუთარი ჭალა, რომელზეც მას წყალდიდობის დროს შეეძლო გაშლილიყო. რეინის წყალი ახლა მიედინება გაკეთებულ კალაპოტში და ტბორავს ქალაქ კარლსრუეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად დაზარალდა ქალაქი 1955 წელს. მდინარის ბუნებრივი კალაპოტის გასწორებამ და მისი ჭალის გაუქმებამ გამოიწვია ხელოვნური კალაპოტის 35%-ით მაღლა აწევა. ზოგიერთი პროექტი ითვალისწინებს მდინარის კალაპოტის საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას. ჯერჯერობით გაურკვეველია თუ ვინ დათმობს: მდინარე თუ ადამიანი?



## წყალსაცავი (საფრანგეთი)

– საფრანგეთში 1959 წელს მალპასეტში ააგეს წყალსაცავი, მაგრამ წყალსაცავის საყრდენ კედელში წარმოიქმნა ნაპრალი, რამაც გამოიწვია კატასტროფული წყალდიდობა. 1959 წლის 15 ნოემბერს მორიგემ შეამჩნია წყალსაცავის კედლის ქვეშ წყლის გაჟონვა. 1960 წლის 2 დეკემბერს საღამოს 9 საათზე ბეტონის კედელი წაიქცა, ამის მხილველი არავი აღმოჩნდა. მორიგემ, რომელიც წყალსაცავიდან 1,5 კმ მანძილზე იმყოფებოდა, გაიგონა საშინელი ხმაური, უეცრად ჩაიმსხვრა მინები და ჩამოვარდა კარები. წყალსაცავი დაინგრა უეცრად და გადმოიღვარა დიდი რაოდენობის წყალი, რის შედეგადაც დაიღუპა 412 ადამიანი.

## დუბროვენკა (ბელორუსი)

– ბელორუსიში მდინარე დნეპრის მარჯვენა შენაკადი დუბროვენკა მიედინება ქალაქ მოგილოვის გაელით. ერთ ადგილზე, სადაც გადის რკინიგზა, მოწყობილი იყო 10-12 მეტრი სიმაღლის მიწაყრილი. წყლის გასატარებლად მიწაყრილში ჩადებული იყო მილი. სამამულო ომში საბჭოთა ჯარების უკან დახევის დროს ეს მიწაყრილი იყო

აფეთქებული და მილი იყო ამოვსებული. 2 წლის მანძილზე მიწაყრილთან დაგროვდა დიდი რაოდენობის წყალი, წარმოიქმნა საკმაოდ დიდი ტბა. მრავალი სახლი და ქუჩა თანდათან იტბორებოდა ქალაქში. გერმანელებმა გადაწყვიტეს წყლის გაშვება. ჯერ კიდევ ზამთარში მათ მიწაყრილში გააკეთეს 4 ხვრელი, ხოლო გაზაფხულზე გადაწყვიტეს გაეშვათ წყალი. ამ კატასტროფის მხილველი ყვება, რომ: „ერთ მხარეზე წყნარად მიედინებოდა პატარა მდინა რე, ხოლო მეორე მხარეზე გაშლილი იყო ტბა, რომლის ნაპირებზე იყო დატბორილი სახლები, ხეები, მოჩანდა ბუჩქების წვეროები. უეცრად მიწაყრილთან მიწამ დაიწყო დაწევა, რამდენიმე ხნის შემდეგ მიწაყრილმა დაიწყო მოძრაობა წყალთან ერთად. წყალში მყოფი სახლები შეირყა და გაქრა წყალში. ხიდზე მოძრაობდა სამხდრო მანქანა, რომელიც ხიდთან ერთად ჩაყლაპა წყალმა. მდინარის გასწვრივ მდგომი სახლები სწრაფად ინგრეოდა და წყალში იძირებოდა. მდინარის სანაპიროზე მდებარე ბაზარში იმ დროს იმყოფებოდა ასობით ადამიანი. არავინ არ გადარჩა ცოცხალი, ვინც მოჰყვა ამ მორევში. რამდენიმე დღის შემდეგ სოფელ ბუინიჩის ახლოს მდინარე დნეპრმა ნაპირზე გამორიყა 100-ზე მეტი დამხრჩვალი ადამიანი.

## წყალდიდობა ვენესუელაში

2000 წლის იანვარში ვენესუელაში მოვიდა ხანგრძლივი წვიმა, რამაც გამოიწვია ძლიერი წყალდიდობა. ტალახიანი წყლის ნაკადები და ადიდებული მდინარეები თავის გზაზე ანგრევდა ყველაფერს. დაიტბორა დიდი ფართობის ტერიტორიები, სოფლები, ქალაქები, სახნავ-სათესი ველები. ტელევიზიით, თითქმის ორი კვირის მანძილზე უჩვენებდნენ ამ საშინელ სტიქიურ მოვლენას: ოფიციალური წყაროების გადმოცემებით, ვენესელას დედაქალაქ კარაკასში და მის გარეუბნებში დაიღუპა მრავალი ადამიანი, ხოლო ათი-ათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. მატერიალურმა ზარალმა მიაღწია რამდენიმე მილიონ დოლარს.

## წყალდიდობა მოზამბიკში

აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოზამბიკში 2000 წლის 7 თებერვალს დაიწყო თავსხმა წვიმები, რასაც მოჰყვა ამ რეგიონისთვის უდიდესი წყალდიდობა, რამაც რამდენიმე დღეს გასტანა. ადიდდა და ნაპირებზე გადმოვიდა მდინარე ლიმპოპო. წყალდიდობის შედეგად ლამით და ტალახით დაიფარა დიდი ფართობის ტერიტორიები, დაინგრა ხიდები, დაზიანდა საავტომობილო გზები, შეწყდა მოძრაობა

ქალაქების მაპუტუს და მბაბანეს შორის. მარტო დედაქალაქ მაპუტუში დაიღუპა 26 ადამიანი. წყალდიდობამ დაანგრია ასობით საცხოვრებელი სახლი და უსახლკაროდ დატოვა ათასობით ადამიანი.

## წყალდიდობა ჰაიტზე

2004 წლის 20-25 მაისს ჩრდილოეთ ამერიკის ჰაიტის და დომინიკის სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ხანგრძლივი და თავსხმა წვიმების შედეგად ადიდდნენ და კალაპოტი გადალახეს მდინარეებმა. მათ დატბორეს ვრცელი ტერიტორიები, წალეკეს და დაანგრიეს: საცხოვრებელი სახლები, საავტომობილო და სარკინიგზო გზები, ხიდები, ფერმები. წყალდიდობის შედეგად დაიხრჩო 2000-მდე ადამიანი, აურაცხელი პირუტყვი და ფრინველი. მატერიალურმა ზარალმა შეადგინა რამდენიმე მილიარდი დოლარი.

## სამდინარე წყალდიდობისგან თავდაცვა

წყალდიდობის წინასწარმეტყველების საფუძველში ჩადებულია წყალშემკრები აუზების ან ფართო ტერიტორიის მასალების სტატისტიკური დამუშავება. ანგარიშობენ ერთწლიან, ათწლიან და ასწლიან წყალდიდობებს. პროგნოზების დროს ითვალისწინებენ ნალექების რაოდენობას, თოვლის დნობას, მცენარეულ საფარს, მორფოლოგიურ და გეოლოგიურ ფაქტორებს. არსებობს აგრეთვე ემპირიკული პროგნოზი, როდესაც ფორმულების გამოყენებით ანგარიშობენ წყლის მაქსიმალურ დონეს და წყლის ხარჯს. ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი არის გამოყენებული ჰიდროგეოლოგ როსტომოვის ფორმულაში:

$Qm=16,67\ CBSARR_0$.

სადაც Qm არის წყლის მაქსიმალური ხარჯი; C– წყლის მოდენის კოეფიციენტი; B – ატმოსფერული ნალექების განაწილების კოეფიციენტი; S – აუზის ფორმის კოეფიციენტი; A – აუზის ფართობი; R– ნალექების რაოდენობა; $R_0$ – ნალექების მოსელის ხანგრძლივობა.

არსებობს წყალდიდობისგან თავდაცვის უშუალო და პრევენციული ზომები. აქედან მეორე ხორციელდება საერთო-სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, რადგან ითვალისწინებს დასახლებული პუნქტების დაგეგმვას, მიწათსარგებლობის წესების დაცვას, ხანგრძლივი პერიოდის ღონისძიებების გატარებას, მაგალითად – ფერდობებზე ტყის გაშენებას, 3-10 მეტრი სამაღლის ჯებირების მოწყობას, მდინარის კალაპოტის რეგულირებას, მის გაფართოება და დაღრმავებას. არხების მოწყობას, რომელთა საშუალებით ხდება ჭარბის წყლის მოცილება. წყალსაცავების და კაშხალების მოწყობას. ასეთი ნაგებო-

ბების სისტემა პრაქტიკულად გამორიცხავს წყალდიდობის საშიშროებას.

უშუალო ღონისძიებების ჩატარებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს წყალდიდობის ინტენსიურობის გამომწვევი ფაქტორები. ნალექების რაოდენობა, წყალშემკრავი აუზის ზომები, შემდეგ მიწის შეწოვა და შთანთქმა, მცენარეულობა, მორფოლოგიური და გეოლოგიური ფაქტორები, ასევე წყალდიდობის დროსი ფაქტორიც, მოსახლეობის ევაკუაცია, წყლის დაკავების და შეგროვების ფაქტორები, წყლის დონის მარეგულირებელი წყალსაცავის მოცულობა და მრეწველობისთვის და სარწყავისთვის საჭირო წყლის ხარჯიც.

წყალდიდობის დაწყებამდე: საჭიროა სილით სავსე ტომრების, ხეების მომზადება, საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა, ენერგიის სათადარიგო წყაროებით მომარაგება, ასევე პირველადი დახმარების საშუალებების მომარაგება, ავტომანქანების საწვავი ავზების ავსება, დასალევი წყლის და საკვები პროდუქტების მომარაგება, ტრანზისტორული მიმღებების და სასიგნალო ელექტროფარნის მომზადება. ყველაფერი რისი წაღებაც შეუძლია წყალს, უნდა დაამაგროთ. წინასწარ უნდა ამოარჩიოთ თავის გადასარჩენი მშრალი და უსაფრთხო ადგილი.

წყალდიდობის შემდეგ: არ გამოიყენოთ წყლისგან დასველებული საკვები პროდუქტები. არ დალიოთ წყალი შემოწმების გარეშე. ყოველი ჭა უნდა ამოირეცხოს, ხოლო წყალი შემოწმდეს. არ უნდა შეხვიდეთ დატბორილ ადგილებში. ელექტრო ხელსაწყოები უნდა გამოშრეს. არ გამოიყენოთ ღია ცეცხლი. არ უნდა გაიაროთ მდინარეების ნაპირთან ახლოს, შეიძლება ჩაინგრეს ძირგამოთხრილი მიწა, რომელიც ზემოდან არ ჩანს. თუ არ იცით ცურვა, არ უნდა ჩახვიდეთ წყალში საბანაოდ, ასევე არ უნდა ჩაჯდეთ ნავში სასეირნოდ, შეიძლება ნავი ამოტრიალდეს. ასევე საშიშია ზღვის ნაპირზე წყალში შესვლაც.

განსაკუთრებით საშიშია საქართველოს მდინარეები ენგური, რიონი, ჭოროხი, ყვირილა, ლიახვი, არაგვი, ალაზანი. მათ კალაპოტში წყალი სწრაფად მიედინება, ასევე სწრაფად დიდდება წყალი, რადგან ისინი სათავეს იღებენ მაღალ მთაში, სადაც სშირია წვიმები და თოვლი, ხოლო გაზაფხულზე სითბოსაგან თოვლი სწრაფად დნება. აღსანიშნავია მდინარე მტკვრის წყალდიდობა 1982 წლის აპრილში, როდესაც მან გადალახა ჯებირები თბილისში, დატბორა სარდაფები, სანაპირო, ზემოდან გადაევლო ორთაჭალის ხიდს, მაშინ დაიღუპა რამდენიმე ადამიანიც.

# 6. საზღვაო წყალდიდობები



როდესაც ზღვა დატბორავს სანაპიროს ან ზღვისპირა ტერიტორიებს, ლაპარაკია საზღვაო წყალდიდობაზე. ზღვების ასტრონომიული მოქცევა და უკუქცევა დაკავშირებულია მთვარის და მზის მოძრაობასთან. როდესაც მათი მიზიდულობა დაემთხვევა, მაშინ ადგილი აქვს მოქცევას, რასაც ეწოდება სიზიგიური მოქცევა. ასეთი მოვლენები არ წარმოადგენს კატასტროფას, ყველა ზღვისპირა დასახლებული ადგილი შენდება ზღვის მოქცევის გათვალისწინებით. ზღვის მოქცევა უფრო იზრდება ქარების გავლენით, ქარები ზღვის ზედაპირზე წარმოქმნის ტალღებს. როცა ქარი ზღვიდან უბერავს ხმელეთისაკენ ზღვის ტალღები მაღლდება და ტბორავს სანაპირო ტერიტორიებს. თუ ამოვარდება ურაგანი ან ციკლონი, ზღვის ტალღებს სიმაღლე კიდევ უფრო ამაღლდება.

ზღვის მოქცევა ითვლება შტორმულად, როცა ზღვის ნორმალური დონე ამაღლდება არანაკლები 1 მეტრით. შტორმული მოქცევა შეიძლება მოხდეს ნორმალური ასტრონომიული უკუქცევის დროსაც, ასევე მაშინაც კი, როცა არც მოქცევაა და არც უკუქცევა. შტორმული მოქცევა წარმოიქმნება ქარებისაგან და არაფერი საერთო არა აქვს ასტრონომიულ მოქცევასთან. კატასტროფულად ითვლება შტორმული მოქცევა და ცუნამი.

შტორმული მოქცევების ანგარიშზეა მრავალი ადამიანის მსხვერპლი. ისტორიულ პერიოდში იუნესკოს მონაცემებით შტორმული მოქცევების შედეგად არის დაღუპული 1 მილიონი ადამიანი. მრავალი ზღვისპირა ტერიტორიის აბსოლუტური სიმაღლე არის უმნიშვნელო, ზოგიერთ ადგილებში კი ზღვის დონეზე უფრო დაბლა მდებარეობს. მაგალითად, ჰოლანდია, გერმანიის ჩრდილოეთი ნაწილი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის დიდი ნაწილი, ამერიკაში ატლანტიკის ოკეანისპირა სანაპირო, კასპიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო.

## წყალდიდობა ჰოლანდიაში

– მრავალი შტორმული მოქცევა მოხდა ჩრდილოეთის ზღვაში. 1916 წელს მისგან ჰოლანდიაში დაიღუპა 50 000 ადამიანი. 1934 წელს მთლიანად შეიცვალა „ჩრდილო-ფრიზის“ კუნძულების კონტურები, ხოლო 1953 წლის 31 იანვარს მოხდა მნიშვნელოვანი კატასტროფა.

ატლანტიკის ოკეანიდან დაუბერა ურაგანმა, მისი წყლები მოაწვა ჩრდილოეთის ზღვას და მისი დონე აიწია 60 სმ-ით, ინგლისის სანაპიროზე კი 2 მეტრით, ხოლო ჰოლანდიის სანაპიროზე 4 მეტრით. აქ წყალმა დაანგრია ჯებირები და რამდენიმე წუთში ხმელეთი ნაწილი გადააქცია კუნძულებად. ევაკუირებული იქნა 100 000 ადამიანი. გემები ღუზებიდან მოგლიჯა და გამორიყა ნაპირზე. ზღვისპირა საკურორტო ქალაქები დატბორა და დაანგრია. ჰოლანდიაში დაიღუპა 1490 ადამიანი და განადგურდა სახნავ-სათესი მიწების 6%. ადამიანები რამდენიმე დღეღამის მანძილზე იმყოფებოდნენ სახლების სახურავებზე. დატბორილი ტერიტორიების მოსახლეობამ შეადგინა 660 000 ადამიანი.

## წყალდიდობა ბანგლადეშში

– XX საუკუნის ყველაზე საშინელი წყალდიდობა მოხდა 1970 წელს ბანგლადეშში. ბენგალიის ყურეში მოვარდნილმა ციკლონმა წყლის დონე 3 მეტრით აწია. 6-9 მეტრი სიმაღლის ზღვის ტალღებმა დატბორა 7500 კვადრატული კილომეტრი ფართობი. არაოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 50 000 ადამიანი. განადგურდა მრავალი დასახლებული ადგილი. ყველაფერი დაფარა ყავისფერმა ტალახმა. წყალი იდგა რამდენიმე თვე. ადრე 1937 წელს აქ შტორმულმა მოქცევამ 100 000 ადამიანი ჩარეცხა წყალში, ხოლო კიდევ 200 000 დაიღუპა ეპიდემიისა და შიმშილისაგან.

## ვენეცია (იტალია)

– ზღაპრულად ლამაზია იტალიის ქალაქი ვენეცია, მაგრამ ეს უძველესი ქალაქი ყოველწლიურად წყალში იძირება 12 მილიმეტრით. მრავალტონიან გემებს აკრძალული აქვთ ნავსადგურში შესვლა, რადგან მათგან წარმოქმნილი წყლის ტალღები დიდ ზიანს აყენებს ქალაქს. ვენეციის დატბორვის მიზეზია ქარი, რომელიც უბერავს ხმელეთისაკენ. ქალაქის 70% მდებარეობს წყლის დონიდან 120 სმ-ით მაღლა. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ყოველ 5 წელიწადში ხდებოდა ქარების შტორმული მორეკვა, ბოლო დროს კი ყოველ წელიწადს, ხოლო 1960 წელს ვენეცია დაიტბორა 3-ჯერ. ყველაზე საშინელი წყალდიდობა მოხდა 1966 წლის 4 ნოემბერს. წყლის დონემ აიწია 2 მეტრით. წყალი ქალაქში შევიდა არხებიდან და ქუჩებიდან. წმინდა მარკოსის მოედნის წყლით დატბორვა ახლა არაფის უკვირს. წყალმა დატბორა ვენეციის სახლების პირველი სართულის 15 ათასი ბინა. განადგურდა მაღაზიები, სახელოსნოები, წყალში ჩაიქცა აუარებელი ნავთობი, წყალმა წაიღო ათასობით წიგნი, გააფუჭა და წალეკა ავეჯი, გაანადგურა საწარმოთა ტექნიკური დოკუმენტაცია. მწყობრიდან გამოვიდა კომუნიკაციები. სანა-

პიროზე მდებარე მრავალი ნაგებობა აღიგავა მიწის პირისაგან. 1951 წელს ვენეციაში ცხოვრობდა 200 000 მოსახლე. 20 წლის შემდეგ იქ დარჩა თითქმის ნახევარი. ვენეციის შენარჩუნება შეუძლებელია და ის ალბათ ისეთივე უკაცრიელი ქალაქი გახდება, როგორიც პომპეია.

## ჰამბურგი (გერმანია)

– გერმანიის ქალაქი ჰამბურგი დატბორა მდინარე ელბამ 1962 წლის 16 თებერვალს. წყლის დონემ ქალაქის ქუჩებში აიწია 3 მეტრამდე. ბალტიის ზღვიდან უბერავდა ძლიერი ქარები და ზღვის წყალს ერეკებოდა ელბის შესართავისაკენ. ადამიანები აეიდნენ სახლების სახურავებზე და ხეებზე. წყლის დაწოლას ვერ გაუძლო წყალსაცავის კედლებმა, დაინგრა და წყალი გაექანა ქალაქისაკენ. ადამიანების დასახმარებლად გამოიყენეს ბუნდესვერის ჯარისკაცები. ნავებით და შვეულმფრენებით დახმარება გაუწიეს ამერიკელებმაც. ქალაქის ქუჩებში ცურაედა მრავალი გაბერილი რეზინის ნავი. ჯარისკაცებმა სახლების სახურავებიდან და ხეებიდან ჩამოიყვანეს 20 000 ადამიანი. 200 სადესანტო კატერი და 140 გაბერილი ნავი ცურაედა ჰამბურგის ქუჩებში, ხოლო ჰაერში დაფრინავდა 100-ზე მეტი შვეულმფრენი. ჰამბურგი დაემგვანა იტალიის ქალაქ ვენეციას. რამდენიმე დღის შემდეგ დაეარდა წყლის დონე. დაიღუპა 337 ადამიანი, ხოლო 75 000 ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. საერთო ზარალმა მიაღწია 3 მილიარდ გერმანულ მარკას.

## მადაგასკარი

– 1959 წლის გაზაფხულზე მადაგასკარს თავს დაატყდა კატასტროფა. წყლის ქვეშ ობლად ჩანდა გადარჩენილი ხეები და ნახევრად დატბორილი სახლები. ქარმა შემორეკა ზღვიდან წყლის მასები, ქარის სიჩქარე იყო 40 კმ/საათში, ამტვრევდა ხეებს და ანგრევდა მსუბუქ სახლებს. ტალღები ისეთი მძიმე იყო, რომ გეგონებოდათ მთელი ზღვა გადმოიღავარა კუნძულზე. მდინარეები გადმოეიდა ნაპირებიდან. მადაგასკარის 6 პროვინციიდან დაზარალდა 5, დაიღუპა რამდენიმე ათასი ადამიანი, ათი ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

## მადრასი (ინდოეთი)

– 1964 წლის 19 ნოემბერს ინდოეთის სამხრეთ სანაპიროზე მეთევზეთა დასახლება მადრასში წამოვიდა ციევი თავსხმა წვიმა, დაუბერა ზღვიდან ქარმა, ზღვის წყალი მოაწვა მდინარის შესართავს, მდინარე ადიდდა. გეგონებოდათ თითქოს ოკეანე მიიწევს ქალაქისკენ, იქ სადაც მეთევზეთა სოფელი იყო, ტალღები ბობოქრობდა.

# წყალდიდობების ჩამონათვალი

| № | თარიღი | ადგილი | მიყენებული ზარალი |
|---|---|---|---|
| 1. | 1216 წ. | ზღვა (ჰოლანდია) | 50 000 ადამიანი. |
| 2. | 1824 წ. | ნევა (რუსეთი) | სანკტ-პეტერბურგში 3000 ადამიანი. |
| 3. | 1878 წ. | ნილოსი (ეგვიპტე) | დაიტბორა ფართო ტერიტორიები, იყო დიდი მსხვერპლი. |
| 4. | 1927 წ. | მისისიპი (აშშ) | წყალდიდობას დაარქვეს ნაციონალური კატასტროფა. |
| 5. | 1931 წ. | ხუანხე (ჩინეთი) | ხეობაში დაილექა 20 000 მილიონი $მ^3$ ლამი. |
| 6. | 1948 წ. | ფრეიზერი (კანადა) | დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი. |
| 7. | 1953 წ. | ზღვა (ჰოლანდია) | ხმელეთის ნაწილი გადაიქცა კუნძულად. დაიღუპა 1490 ადამიანი. |
| 8. | 1954 წ. | ტიგროსი, ევფრატი (ერაყი) | 16 000 კვადრატულ კილომეტრზე დაიტბორა ტერიტორია. |
| 9. | 1955 წ. | რეინი (გერმანია) | დატბორა ქალაქი კარლსრუე. მდინარემ შეცვალა კალაპოტი. |
| 10. | 1959 წ. | წყალსაცავი (საფრანგეთი) | დაიღუპა 412 ადამიანი. დაინგრა წყალსაცავი. |
| 11. | 1959 წ. | ზღვა (მადაგასკარი) | დაიღუპა რამდენიმე ათავი ადამიანი, დაინგრა ასობით შენობა. |
| 12. | 1962 წ. | ელბა (გერმანია) | დაიღუპა 337 ადამიანი, 75 000 დარჩა უსახლკაროდ. |
| 13. | 1963 წ. | კარიბის რეგიონი | კუბაში და ჰაიტიში დაიღუპა 4 000 ადამიანი. |
| 14. | 1963 წ. | ჰაიტი | წყლის ნაკადებმა და მეწყერებმა დაღუპა 500 ადამიანი. |
| 15. | 1963 წ. | ბელუნი (იტალია) | წყალსაცავი დაინგრა და დაიღუპა 2000 ადამიანი. |
| 16. | 1964 წ. | მადრასი (ინდოეთი) | ზღვის წყალი მოაწვა მდინარის შესართავს, დასახლება ჩაიძირა. |
| 17. | 1964 წ. | მონტანა | წყალდიდობაში დაიღუპა 36 ადამიანი. |
| 18. | 1964 წ. | ლუიზიანი | დაიღუპა 36 ადამიანი. |
| 19. | 1964 წ. | ორიგონი, ვაშინგტონი | წყალდიდობაში დაიღუპა 45 ადამიანი. |
| 20. | 1965 წ. | აშშ, სამხრეთ-აღმ. | წყალდიდობაში დაიღუპა 27 ადამიანი. |
| 21. | 1066 წ. | ვენეცია (იტალია) | დატბორა 15 ათასი ბინა. სანაპირო აღიგავა მიწის პირიდან. |
| 22. | 1966 წ. | რიო-დე-ჟანეირო | წყლის ნიაღვრებში დაიღუპა 300 ადამიანი. |
| 23. | 1966 წ. | კარიბის ზღ. (მექსიკა) | დაიღუპა 200 ადამიანი. |
| 24. | 1966 წ. | არნო (იტალია) | მდინარის დატბორვამ დაღუპა 113 ადამიანი. |
| 25. | 1967 წ. | სან-პაულო (ბრაზილია) | წყალდიდობაში დაიღუპა 600-ზე მეტი ადამიანი. |
| 26. | 1967 წ. | ლისაბონი (პორტუგალია) | წყალდიდობაში დაიღუპა 457 ადამიანი. |
| 27. | 1968 წ. | გუჯარატი (ინდოეთი) | დაიღუპა 1000 ადამიანი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 28. | 1969 წ. | კალიფორნია (აშშ) | დაიღუპა 115, ზარალი 300 მილიონი დოლარი. |
| 29. | 1969 წ. | მიჩიგანი, ოგაიო | დაიღუპა 33 ადამიანი. |
| 30. | 1969 წ. | მისისიპი, ლუიზიანა | დაიღუპა 200 ადამიანი. |
| 31. | 1969 წ. | ვირჯინია (აშშ) | დაიღუპა 100 ადამიანი. |
| 32. | 1970 წ. | ბენგალიის ყურე (ბანგლადეში) | 6-9 მეტრი ზღვის ტალღებმა დატბორა 7500 კვ. კმ. ფართობი, დაიღუპა 50 000 ადამიანი. |
| 33. | 1970 წ. | ფლორიდა, ტეხასი | დაიღუპა 30 ადამიანი, დაინგრა მრავალი შენობა. |
| 34. | 1970 წ. | ინდი (პაკისტანი) (ინდოეთი) | ტაიფუნისგან დაიღუპა 500 000 ადამიანი. საუკუნის უდიდესი სტიქიური უბედურება. |
| 35. | 1970 წ. | ორადია (რუმინეთი) | წყალდიდობამ დააზიანა 25 ქალაქი, დაიღუპა 200 ადამიანი. |
| 36. | 1970 წ. | არიზონა (აშშ) | შტორმი „ნორმა", დაიღუპა 23 ადამიანი. |
| 37. | 1972 წ. | დაკოტა (აშშ) | მდინარე რაპიდ-კრიკიმ წალეკა 750 სახლი, დაიხრჩო 237. |
| 38. | 1972 წ. | ეირჯინია (აშშ) | გაირღვა წყალსაცავი, დაიღუპა 118 ადამიანი. |
| 39. | 1972 წ. | დაკოტა (აშშ) | დაიღუპა 237, ზარალი იყო 120 მლ. დოლარი. |
| 40. | 1972 წ. | ალმ. სანაპირო (აშშ) | ურაგანმა „აგნესამ" დაღუპა 118 ადამიანი, მატერიალური ზარალი იყო, 3 მილიარდი დოლარი. |
| 41. | 1974 წ. | ჩრდ. ავსტრალია | მუსონის და ციკლონისგან დაიღუპა 15 ადამიანი. |
| 42. | 1982 წ. | მტკვარი, თბილისი (საქართველო) | ადიდდა მტკვარი, გადმოლახა ნაპირები, დატბორა სარდაფები, სანაპირო, ხიდებს გადაუარა ზემოდან, დაიხრჩო რამოდენიმე ადამიანი. დიდი მატერიალური ზარალი. |
| 43. | 1997 წ. | რიონი (საქართველო) | მდინარე რიონმა დატბორა დიდი ფართობის სახნავ-სათესი ველები, დაანგრია ხიდები, ზარალი 200 მილიონი დოლარი. |
| 44. | 1999 წ. | კარაკასი (ვენესუელა) | 2 კვირა წვიმდა, დაიღუპა 200-ზე მეტი, 150 ათასი დარჩა უსახლკაროდ. ჩამოწვა მეწყერები და მოვარდა დიდი ნიაღვრები. |
| 45. | 1999 წ. | მექსიკა | მოხდა უდიდესი წყალდიდობა. |
| 46. | 1999 წ. 18.XI | კოლუმბია | ურაგანის მორეკილმა წყალმა დაახრჩო 11 მეზღვაური და 50 მოქალაქე, დაიტბორა დიდი ტერიტორია. |
| 47. | 1999 წ. 15.X | საფრანგეთი | უდიდესი წყალდიდობა, დაიხრჩო 54 ადამიანი, დაიტბორა დიდი ტერიტორია, |
| 48. | 1997 წ. | ბარნაული | დაიტბორა დიდი ტერიტორია, ზარალი 200 მილიონი რუბლი. |

# 7. ცუნამები

ცუნამი არის იაპონური სიტყვა და ეწოდება ზღვის (ოკეანის) დიდ ტალღას, რომელიც წარმოიქმნება ზღვის ძირის ვრცელი მონაკვეთის ზევით ან ქვევით გადაწევის შედეგად, წყალქვეშა ან ზღვისპირა მიწისძვრების დროს. ცუნამის ტალღების გავრცელების სიჩქარე არის 50-დან 1000 კილომეტრამდე საათში. ტალღების სიმაღლე წარმოქმნის ადგილზე არის 1-დან 5 მეტრამდე, ხოლო სანაპიროზე კი 10-დან 50 მეტრამდე და უფრო მეტიც. ცუნამები ხმელეთზე ახდენენ გამანადგურებელ ნგრევას.

ცუნამის შესახებ ბევრს წერენ და ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ხმელეთზე მცხოვრებთათვის მისი წარმოდგენა ძნელია. ცუნამის შემჩნევა ძნელია, მისი სიმაღლე არის რამდენიმე მეტრი, მაგრამ როგორც კი მიცურდება სანაპირომდე, ტალღა ხდება მაღალი, მაღლა აიტაცება და გადაიქცევა მოძრავ კედლად. მცირე სიღრმის ყურეებში ან მდინარეების შესართავებში მისი ტალღები კიდევ უფრო მაღალი ხდება. ამ დროს ის ანელებს სვლას და როგორც გიგანტური ზვირთი, მიეხლება ხმელეთს. ცუნამის სისწრაფე მით უფრო მეტია, რაც უფრო ღრმა არის ოკეანე. ცუნამები ძირითადად წარმოიქმნება წყალქვეშა მიწისძვრების შედეგად. ზღვის ძირის ნაწილის შვეული გადაადგილება გადაეცემა წყლის სვეტს და ოკეანის ზედაპირზე წარმოიქმნება ტალღები. ცნობილია რომ M=7,3-ზე მეტი მაგნიტუდის მქონე მიწისძვრები ყოველთვის იწვევს ცუნამის წარმოქმნას.

ცუნამის წარმოშობის სხვა მიზეზი შეიძლება გახდეს ვულკანის ამოფრქვევა. ოკეანის ზედაპირზე წარმოიშვება ღელვა და ტალღები ცენტრიდან ვრცელდება ყველა მიმართულებით. ცუნამი ასევე შეიძლება წარმოიქმნას დიდი მოცულობის მქონე წყალქვეშა მეწყერისაგან. მაგალითად, 1899 წელს ალიასკაზე მომხდარი მიწისძვრის დროს ლიტუიას ყურეში ჩაცურდა 30 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის მიწა. მეწყერმა ყურეში აწია წყალი და წარმოიქმნა 600 მეტრი სიმაღლის ტალღა, რომელმაც მოპირდაპირე სანაპიროზე გაანადგურა

ყველაფერი 600 მეტრის სიმაღლემდე. დღესაც ამ სიმაღლეზე ეტყობა მისი კატასტროფული მოქმედების კვალი.

ისევე როგორც არსებობს მიწისძვრის ინტენსიურობის სკალა, არსებობს ცუნამის ინტენსიურობის სკალაც. იაპონიაში 7,5 მეტრი სიმაღლის ცუნამი ხდება 15 წელიწადში ერთხელ. ბოლო 1300 წლის მანძილზე იაპონიის სანაპიროები 4-ჯერ იყო განადგურებული 30 მეტრი სიმაღლის ცუნამის ტალღებისგან.

## იავას და სუმატრას სანაპიროები

– ყველაზე შესამჩნევი მაგალითი 1883 წელს ინდონეზიაში კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევის დროს წარმოქმნილი ცუნამი, რომლის 36-40 მეტრი სიმაღლის ტალღამ რამდენიმე წუთში მიაღწია იავას და სუმატრას კუნძულების სანაპირომდე, ჰოლანდიის სამხედრო კატერი აისროლა მაღლა და სანაპიროდან 3,5 კილომეტრის მანძილზე გადააგდო. ტალღა გავრცელდა ყველა ოკეანეში. ის შეამჩნიეს პანამაში 18350 კილომეტრის მანძილზე, იყო დაახლოებით 36 000 მსხვერპლი.

## ჩილეს და ჰავაის კუნძულების სანაპიროები

– 1960 წლის 21 მაისს ჩილეში მოხდა მიწისძვრები. ეპიცენტრიდან ცუნამის ტალღა გავრცელდა წყნარი ოკეანის მეორე მხარეს. მოსახლეობა წინასწარ იყო გაფრთხილებული, მაგრამ ჩილეში და ჰავაის კუნძულზე მაინც დაიღუპა 61 ადამიანი, ხოლო მძიმედ დაშავებულთა რიცხვი იყო 282. ტალღამ მიაღწია იაპონიამდეც და იქაც დაიღუპა 205 ადამიანი. საერთოდ ცუნამის ტალღების მიერ 1233 სახლი იყო მთლიანად განადგურებული, 2576 სახლი დაინგრა ნანახევრად, 977 სახლი იქნა აღებული, 30 000 შენობა იყო დატბორილი, დაანგრია 291 საზოგადოებრივი ობიექტი და 2776 თევზმჭერთა ნავებობა, ჩაძირა 7624 ნავი.

## კალიაო და ლიმა (წყნარი ოკეანე)

– 1746 წლის ოქტომბერში 20-25 მეტრის სიმაღლის ცუნამის ტალღებმა სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე მიწის პირისაგან აღგავა საზღვაო პორტი კალიაო და ქალაქი ლიმა. მეცნიერმა მანუელ ოდრიოსოლამ ასე აღწერა ეს კატასტროფა: „მიწისძვრის შემდეგ ოკეანემ უკან დაიხია. მალე ოკეანის წყალი საშინელი ხმაურით უკან დაბრუნდა, წარმოიქმნა გიგანტური ტალღა, რომელიც დაენარცხა სანაპიროს და ყველაფერი აღგავა. ნავსადგურში მყოფი 23 გემი დაამტვრია და ჩაძირა, ხოლო 4 დიდი სამხედრო გემი ტალღამ აიტაცა მაღლა და გადაისროლა ქვეყნის სიღრმეში, სადაც ისინი ჩარჩა

ტალღის დაეარდნის შემდეგ. ოკეანემ კვლავ დაიხია უკან და ხელახლა დაენარცხა სანაპიროზე, ასე გამეორდა რამდენჯერმე"

## იაპონიის სანაპიროები

— უფრო ხშირად ცუნამისგან იტანჯება იაპონია. აქ დაწესებულია „ცუნამის სამსახური", რომლის დახმარებით შეძლეს მატერიალური ფასეულობების და ადამიანების სიცოცხლის შენარჩუნება, მაგრამ არა ყოველთვის...

1983 წლის მაისში წყალქვეშა მიწისძვრის შედეგად იაპონიის ზღვაში წარმოიქმნა ცუნამი, რომელმაც დაღუპა 105 ადამიანი.

1703 წელს ცუნამის ტალღამ იაპონიის კუნძულებზე დაღუპა 100 000 ადამიანი. მაშინ გიგანტური ზვირთები 4-ჯერ ზედიზედ დაენარცხა სანაპიროს. ყველაზე მეტად დაზარალდა მაშინ საგამის, ოშიმას, მუსასის და კაცუზას მოსახლეობა.

1923 წლის 1 სექტემბერი იაპონიისთვის გახდა ყველაზე ტრაგიკული მის ისტორიაში. მაშინ საგამის ყურეში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რასაც მაშინვე გამოეხმაურა ზღვა, 2 უზარმაზარი ცუნამის ტალღა დაენარცხა ყურეს სანაპიროს. ამ კატასტროფის შედეგად დაიღუპა 143 000 ადამიანი, ჩაიძირა 8 000 გემი. განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქი იტო.

## კამჩატკა, კურილიის კუნძულები (რუსეთი)

— კამჩატკაზე და კურილიის კუნძულებზე 1952 წლის 5 ნოემბერს აბობოქრდა სტიქია, მთლიანად განადგურდა ქალაქი „სევერო-კურილსკი" და სანაპიროს მრავალი სოფელი.

მოსახლეობამ ჯერ იგრძნო ძლიერი მიწისძვრის ბიძგები. შემდეგ ვინც გარეთ იყო, დაინახა, რომ ზღვამ დაიხია უკან 500 მეტრზე. ნახევარი საათის შემდეგ ზღვის მხრიდან გაისმა საშინელი ხმა, სანაპიროსკენ მოისწრაფოდა დიდი სიმაღლის წყლის ზვირთი, ეს იყო ცუნამის ტალღა, რომელიც გადაევლო კუნძულს, დაეჯახა სოპკის კალთას ქალაქის თავზე, დატრიალდა მორევებად და გადაიქცა უკან. შეშინებული ადამიანები გარბოდნენ სოპკებისკენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სანაპიროს მოაწყდა მეორე უფრო ძლიერი ცუნამის ტალღა. თოფების და რევოლვერების სროლით მილიციის მუშაკები ცდილობდნენ ხალხის გაფრთხილებას მეორე ტალღის მოახლოების შესახებ. ამ ტალღას ვერაფერმა გაუწია წინააღმდეგობა, რადგან ნაგებობები ძირითადად დაანგრია პირველმა, ამიტომ ახალი ტალღის სისწრაფე უფრო მეტი იყო და თუ რაიმე იყო დარჩენილი პირველის შემდეგ, მეორემ გაანადგურა. ამ ტალღამ მთლიანად დაანგრია ქალაქი და დაღუპა მისი მო-

სახლეობის უდიდესი ნაწილი. სახლები ასანთის კოლოფებივით გადაატრიალა და წალეკა ტალღამ. მანქანები, ტრაქტორები, დაზგები მოწყვიტა ადგილებიდან და წაიღო ზღვაში. ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები დახმარებას უწევდნენ საფრთხეში ჩავარდნილ ბავშვებს და ქალებს. საუბედუროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ისარგებლეს სტიქიური უბედურებით, კერძოდ, გარნიზონის სამხედრო მოსამსახურეები დათვრნენ არყით და დაიწყეს მაროდიორობა, ხოლო თევზკომბინატის მუშაკებმა გატეხეს სეიფი და გაიტაცეს 280 000 რუბლი. მრავალმა მიითვისა სხვადასხვა სახელმწიფო ფასეულობა, ქონება და პირველივე გემით თავი შეაფარა მატერიკს.

კატასტროფის შემდეგ ქალაქ „სევერო-კურილსკის“ ადგილზე წარმოიშვა თითქმის ცარიელი მოედანი რამდენიმე კვადრატული კილომეტრის ფართობზე. ქალაქის არსებობას ადასტურებდა მხოლოდ სახლების ფუნდამენტები. თვითმფრინავებიდან ჩამოყარეს თბილი ტანსაცმელი, საბნები, კარვები და საკვები პროდუქტები, ცოცხლად გადარჩენილი ადამიანებისთვის, რომლებიც სიცოცხლეს ინარჩუნებდნენ კოცონებთან. ამ კატასტროფამ იმსხვერპლა 2 000 ადამიანი.

## ბანგლადეშის ყურე

— 1991 წლის აპრილის ბოლოს ბენგალიის ყურეში წარმოიქმნა 6-10 მეტრი სიმაღლის ცუნამის ტალღა. ეს იყო მასიური წყლის ზვავი. მისი მოცულობა და სიგრძე ვერავინ ვერ გამოიანგარიშა. რამდენიმე მილიონი ტონა სიმძიმის წყლის ეს მასა დაენარცხა ბანგლადეშის სამხრეთ სანაპიროს და წალეკა ყველაფერი თავის გზაზე. წყლის ქვეშ აღმოჩნდა ათასობით ჰექტარი ტყე, დაიტბორა საცხოვრებელი ადგილები, დაინგრა სოფლის გზები. წყალქვეშ მოექცა ბრინჯის პლანტაციები. ამ ადგილებში მთლიანად განადგურდა 85% საცხოვრებელი და 90% სათესი ადგილები. ყველაზე მეტად დაზარალდა კუნძული კუტუბიდია, სადაც დაიღუპა 45 000 ადამიანი.

კუნძული სანდვიპი, რომელზედაც ცხოვრობდა 300 000 ადამიანი, ნახევრად ჩაიძირა წყალქვეშ. დაიტბორა აგრეთვე ქალაქი-ნავსადგური სიტაგონგი. დაიტბორა აეროდრომი, თვითმფრინავები ცურავდა წყალში. ჩარეცხა 4 000 კილომეტრი გზატკეცილი, დაინგრა 250 ხიდი. ზოგიერთ ადგილებში მისვლა შეიძლებოდა მხოლოდ შვეულმფრენით, ირგვლივ იდგა წყალი. რა თქმა უნდა დახმარებამ დააგვიანა და ასობით ადამიანი დაიღუპა შიმშილისაგან. სულ დაიღუპა 14 000 ადამიანი. მოგვიანებით დაასახლეს 500 000 ადამიანი. კატასტროფამ წარმოქმნა ეპიდემია.

## პაკისტანის სანაპირო

– 1970 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ პაკისტანის სანაპიროზე ამოვარდნილმა ქარებმა წარმოქმნეს 8 მეტრი სიმაღლის ცუნამის ძლიერი ტალღა, რომელმაც გადაუარა მჭიდროდ დასახლებულ კუნძულებს და წალეკა ყველაფერი. ის დაენარცხა სანაპიროს და მიაყენა კატასტროფული ნგრევა. რამდენიმე საათის მანძილზე ეს კუნძულები და მატერიკის ნაწილი წყალქვეშ იმყოფებოდა. როცა წყალმა უკან დაიხია, აღმოჩნდა რომ მან დაშალა ხიდები, დაანგრია საავტომობილო და სარკინიგზო გზები. მთელი რიგი დასახლებული ადგილები მთლიანად განადგურდა თავისი მოსახლეობით. დაღუპულთა რიცხვმა გადააჭარბა 500 000 ადამიანს.

## ცუნამების ქრონოლოგია

– ზემოთ ჩამოთვლილის გარდა ისტორიულ პერიოდში ცნობილია ძლიერი ცუნამები და მათი შედეგები, კერძოდ:

– 1737 წელს კამჩატკაზე, კურილიის კუნძულებზე და სახალინზე მომხდარი მიწისძვრების შედეგად წარმოიქმნა 17-35 მეტრი სიმაღლის ცუნამის ტალღა, ის გავრცელდა 700 კმ/სთ სიჩქარით, დაიღუპა ასობით ადამიანი.

– 1872 წელს ბენგალიის ყურეში წარმოქმნილი ცუნამის ტალღის სიმაღლე იყო 20 მეტრი, დაიღუპა 200 000 ადამიანი.

– 1896 წელს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად წარმოიქმნა 25 მეტრი სიმაღლის ცუნამის ტალღა, დაიღუპა 27 122 ადამიანი.

– 1908 წელს იტალიაში (სიცილია) მესინის ყურეში მოხდა მიწისძვრა, ცუნამის 10 მეტრიანმა ტალღამ მიწისძვრასთან ერთად იმსხვერპლა 80 000 ადამიანი.

– 1937 წელს იაპონიაში მოხდა მიწისძვრა, ცუნამის 8 მეტრიანმა ტალღამ დაღუპა 2986 ადამიანი.

– 1944 წელს კვლავ იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ წარმოქმნა 10 მეტრი სი მაღლის ცუნამი, დაიღუპა 998 ადამიანი.

– 1946 წლის 17 ივლისს ჰავაის კუნძულთან მოხდა მიწისძვრა, 10 მეტრიანმა ცუნამის ტალღამ ლაგუნა სუსანის 156 მცხოვრები ადამიანი გაანადგურა მათივე სახლებითა და შინაური ცხოველებით.

დანართი V

# ცუნამების ქრონოლოგია

| № თარიღი | წარმოქმნის ადგილი | ტალღის სიმაღლე | ცნობის მიწოდების ადგილი | შენიშვნები |
|---|---|---|---|---|
| 1. 1500წ. ძვ. წ. | სანტორინის ამოფრქვევა | 80-100 კრიტი | | გაანადგურა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები. |
| 2. 1703წ. | იაპონიის კუნძულები | | იაპონია | დაიღუპა 100000 ადამიანი. |
| 3. 1737წ. | ალეუტის ღრმული | 19-35 | კამჩატკა, კურილები სახალინი | სიჩქარე 700 კმ/სთ. დაიღუპა ასობით ადამიანი |
| 4. 1746წ. X. | წყნარი ოკ.-ის სანაპირო | 25 10 – | კალიაო, პორტუგალია, | დაამტვრია და ჩაძირა 27 გემი. გავრცელდა ევროპიდან. აღმოსავლეთ ინდოეთამდე |
| 5. 1755წ. 1-XI | აღმოსავლეთ ატლანტიკა | –20 | ლისაბონი | დაიღუპა 70 000 ადამიანი. |
| 6. 1812წ. 21-XII | სანტა-ბარბარას ყურე | 10 | კალიფორნია | – |
| 7. 1837წ. 7-XI | ჩილი | 5 | ჰავაის კუნძ. | – |
| 8. 1837წ. | კურილის კუნძ. სახალინი | 35 | კამჩატკა | ასობით ადამიანი |
| 9. 1841წ. 17-V | კამჩატკა | 10 | ხილო | – |
| 10. 1854წ. | მიწისძვრა იაპონიის ღრმულში | 9 | იაპონია | ტალღამ გადაიარა მთელი წყნარი ოკეანე |
| 11. 1868წ. 02-IV | ჰავაის კუნძ. | 5 | ჰავაის კ. | – |
| 12. 1868წ. 13-VIII | პერუ, ჩილი | 10 | ამერიკა, პერუ | ნგრევები ჰავაიზე |
| 13. 1872წ. | შტორმი ზღვაში | 20 | ბენგალის ყურე | 200000 დაიღუპა |
| 14. 1877წ. 10-V | პერუ, ჩილი | 6 | იაპონია | ნგრევები პერუსა და იკიკეში |
| 15. 1881წ. X | ვიეტნამი | 20 | ხაიფონი | დაიღუპა 700000 ადამიანი |
| 16. 1883წ. 27-VIII | კრაკატაუს ამოფრ. | – | იავა | დაიხრჩო 36000 ადამიანი |
| 17. 1896წ. 15-VI | ხონსიუ | 24 | იაპონია, სანრიკუ | დაიხრჩო 26000 ადამიანი |
| 18. 1908წ. | მიწისძვრა მესინაში | 10 | მესინის ყურე იტალია | 80000 დაიღუპა მიწისძვრასთან ერთად. |
| 19. 1923წ. 03-II | კამჩატკა | 5 | ჰავაის კუნძ. ვაიაკეა | |
| 20. 1923წ. 01-IX | მიწისძვრა საგამის ყურეში | 30 | ქალაქი იტო, იაპონია | დაიღუპა 143000 ადამიანი ჩაიძირა 8000 გემი. |
| 21. 1933წ. 02-III | ხონსიუ | 25 | იაპონია, სანრიკუ | დაიღუპა 3000 ადამიანი. |
| 22. 1937წ. | მიწისძვრა | 8 | იაპონია | 2986 დაღუპული. |
| 23. 1937წ. | | 10 | ბანგლადეში | დაიღუპა 100000. |
| 24. 1944წ. | მიწისძვრა რონანკაიში | 10 | იაპონია | 998 დაიღუპა. |
| 25. 1946წ. 01-IV | ალეუტის კუნძ. | 10 | ვაინაკე, ჰავაის კუნძ. ხილო, ჰავაი | ლაგუნა სუსანა. დაიღუპა 156. |
| 26. 1952წ. 04-XI | კამჩატკა | 8 | ქ. სევეროკუ- | დაიღუპა 3000 ადამიანი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | რილსკი | 700 კმ/ს სიჩქარე. |
| 27. 1953წ. | მიწისძვრა ალიასკაზე | 17 | ალეუტის ღრმული | ათობით დაღუპული |
| 28. 1957წ. 09-III | ალეუტის კუნძ. | 5 | ხილო. ჰავაის კუნძ. | დაკავშირებული იყო 8,3 ბალის მიწისძვრასთან. |
| 29. 1960წ. 23-V | ჩილე | 10 | ვაიაკეა, ჰა- | ასობით დაღუპული. |
| 30. 1964წ. 28-III | ალიასკა | 6 | კალიფორნია | 119 ადამიანი დაიღუპა. |
| 31. 1970წ. XI | აღ. პაკისტანი | 8 | პაკისტანის სან. | ზარალი 104 მილ. დოლარი. |
| 32. 1976წ.17-VIII | მინდანაო | 5 | ფილიპინები | მრავალი მსხვერპლი |
| 33. 1979წ. | მიწისძვრა წყნარ ოკეანეში | 5 | კოლუმბია | დაიღუპა 125 ადამიანი. |
| 34. 1991წ. IV | ბენგალიის ყურე | 10 | ბანგლადეში კუნძულები კუტუბდია, სანდვიპი | 500000 ადამიანი დაიღუპა დაინგრა ასობით სახლი, ხიდი, 4000 კმ. გზა. |

## დიდმსხვერპლიანი ცუნამი

როგორც ცნობილია იაპონურ ენაზე ცუნამი ეწოდება ზღვის გრავიტაციულ ტალღებს, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადად ზღვის ფსკერის ვრცელი ფართობის მონაკვეთების ზევით ან ქვევით გადაწევისას, ასევე წყალქვეშა და ზღვისპირა მიწისძვრის შედეგად. ცუნამის ტალღების გავრცელებას სიჩქარე მერყეობს 50-დან 1000 კილომეტრამდე საათში. მისი ტალღების სიმაღლე წარმოშობის ადგილას არის 5 მეტრამდე, ხოლო ზღვის ან ოკეანის სანაპიროებზე კი 10-დან 50 მეტრამდე. ცუნამის ტალღები ხმელეთზე ანგრევს, ანადგურებს, აოხრებს, სპობს ყველაფერს.

2004 წლის დეკემბერში ინდოეთის ოკეანის ფსკერზე კუნძულ სუმატრასთან ახლოს მოხდა 9 ბალიანი სიმძლავრის მიწისძვრა, რამაც გამოიწვია საშინელი სიმძლავრის ცუნამის ტალღები, რომელთა სიმაღლემ ინდოეთის ოკეანის აუზის ზღვების სანაპიროებზე მიაღწია 50 მეტრს. ცუნამის ტალღები საშინელი სიჩქარით გავრცელდა დიდ ტერიტორიაზე, დატბორა 30-ზე მეტი სახელმწიფოს სანაპიროები და მიაღწია კუნძულ მადაგასკარამდე. განსაკუთრებით დაზარალდნენ სახელმწიფოები: ინდოეთი, ბანგლადეში, ტაილანდი, მალაიზია, ბირმა, კამბოჯა, ვიეტნამი და ინდონეზია. ცუნამის ტალღებში დაიღუპა 230000 ადამიანი, დაინგრა სახლები, ხიდები, საავტომობილო და სარკინიგზო გზები, სანაპიროებზე განადგურდა ტყეები, მთლიანად განადგურდა ნათესები, წალეკა ავტომობილები, შრილანკაში კი რელსებიდან გადააგდო სახალხო მატარებელი, რომეშიც მყოფი ყველა 2000 მგზავრი დაიღუპა.

რამდენიმე ხნის შემდეგ წყალმა უკან დაიხია და ჩაედინა ინდოეთის ოკეანესა და მის მიმდებარე ზღვებში (არაბეთის ზღვა, ბენგალიის

ზღვა, სამხრეთ ჩინეთის ზღვა, კარელიის ზღვა). წყლის უკუქცევის შემდეგ, საშინელი სანახავი იყო ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების ზღვების სანაპიროები, სადაც ტალახში ეყარა ათასობით დამხრჩვალი ადამიანი და ცხოველი. ათასობით ცოცხლად გადარჩენილი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, საკვების გარეშე, განადგურებული სახნავ-სათესით და წლის მოსავალით. წყლით დატბორილ ტერიტორიებზე გაჩნდა მალარია.

ცუნამისგან დაზარალებულ სახელმწიფოებს დახმარება გაუწია ევროპის და ამერიკის ქვეყნებმა. ამ ცუნამს თავისი მასშტაბის მიხედვით შეიძლება ეწოდოს XXI საუკუნის ტრაგედია.

## 8. მსოფლიო წარღვნა

სომხეთის ქალაქ ეჩმიაძინში სომხეთის კათალიკოსის რეზიდენციაში ინახება ხის ნატეხი, რომელიც წარმოადგენს მონასტერის მთავარ რელიკვიას. ეს არის ნოეს კიდობანის ნატეხი, რომელიც ოდესღაც გადასცა მონასტერს ბერმა, რომელიც ავიდა არარატის მწვერვალის ფერდობზე ჯერ კიდევ გიორგი განმანათლებელის პერიოდში.

1876 წელს არარატის მთებში ექსპედიციის დროს, ლორდმა ბრაისმა ერთ ბექობზე აღმოაჩინა დამუშავებული ხის დიდი ნატეხი. ლორდმა მოჭრა პატარა ნიმუში სუვენირის სახით. ამის შემდეგ რამდენიმე ექსპედიცია დაეძებდა აქ კიდობანს, მაგრამ 1974 წელს თურქეთის მთავრობამ აკრძალა ამ მიდამოებში ყოველგვარი საქმიანობა.

კაცობრიობის ცნობიერებაში დამყარებული მითი მსოფლიო წარღვნაზე — ეს არის მთელი სამყაროს მითი. ის გავრცელებულია ევროპის, აზიის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობაში. ახლა ეჭვს არ იწვევს ფაქტი, რომ უხსოვარ დროში ადამიანების შეგნება იყო შერყეული საერთო გლობალური კატასტროფისგან.

მსოფლიო წარღვნის შესახებ პოეტურ მითს შეიცავს ბიბლიაც: „ექვსასი წლისა იყო ნოე, როცა წარღვნა მოხდა ქვეყნად. შევიდნენ ნოე და მისი შვილები, მისი ცოლი და მისი შვილების ცოლები კიდობანში, რომ განრიდებოდნენ წარღვნას. ასევე ცხოველები, ფრინველები და ქვეწარმავლები, წყვილ-წყვილად დედალ-მამალი შევიდნენ კიდობანში. 7 დღის შემდეგ მოვიდა წარღვნა ქვეყნად. აწვიმდა ქვეყანას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. ადიდდა წყალი და ასწია კიდობანი, გაცურდა კიდობანი წყლის ზედაპირზე. წყალმა დაფარა მაღალი მთები, რაც კი იყო მთელს ცისქვეშეთში. თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე აიწია წყალმა მათ ზემოთ და დაიფარა მთები. ფრინველი, პირუტყვი, მხეცი და ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი და ყოველი ადამიანი გადარჩნენ მხოლოდ ნოე და მასთან ერთად კიდობანში მყოფნი. მატულობდა წყალი დედამიწაზე 150 დღე — და იკლო წყალმა ასორმოცდაათი დღის ბოლოს. მეშვიდე თვის მეჩვიდმეტე დღეს არარატის მთებს მიადგა კიდობანი. ექვსასმეერთე წელს პირველი თვის დამდეგს დაშრა წყალი ქვეყნად. მეორე თვის ოცდამევშიდე დღეს გამოშრა დედამიწა. ნოეს უთხრა ღმერთმა კიდობანიდან გარეთ გამოსულიყო ყველა. შემდეგ ღმერთმა თხრა ნოეს, ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა. იცოცხლა ნოემ წარღვნის შემდეგ სამას ორმოცდაათი წელი, სულ ცხრაას ორმოცდაათი (950) წელი და მოკვდა“.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ადამიანები ცოცხლობენ 100 წელიწადს, ადამიანის სიცოცხლე კი 950 წელია, ვისაც წამს იმან დაიჯეროს.

ახლა გავიგოთ თუ რას მოგვითხრობს ისტორიული გადმოცემები მსოფლიო წარღვნის შესახებ სხვა ქვეყნებიდან.

ეგვიპტის მითის მიხედვით „ატუმი" იყო ქალაქ ჰელიპოლისის ადგილობრივი ღმერთი, რომელიც მდებარეობდა მდინარე ნილოსის შესართავში. გაბრაზებული ატუმი იმუქრებოდა რომ დაანგრევს ყოველივე შექმნილს და გადააქცევს სამყაროს წყლის სტიქიად. მაგრამ ატუმის ნებასურვილს არ დაემორჩილა ღმერთი „რა" და წარმოიქმნა მითი წარღვნაზე ღმერთი „რას" მონაწილეობით. მან ასევე გადაწყვიტა დაესაჯა ადამიანების მოდგმა და დახმარებისთვის მიმართა ღმერთებს „ხატორს" და „სოხმეტს". ამ ღმერთებმა ადამიანები გაანადგურეს ისეთი საშინელი სისასტიკით, რომ ღმერთ „რას" გული შეუღონდა (შეუდრკა) და რომ გადაერჩინა კაცობრიობა, ღმერთმა „რამ" დატბორა ყოველივე ლუდით და ლუდის სმით გართულ ღმერთებს დაავიწყდათ შურისძიების შესახებ.

საბერძნეთის უძველესი დროსი მითი კი მოგვეითხრობს, რომ: „ზევსმა დანაშაულობის გამო გადაწყვიტა მოესპო ადამიანების მოდგმა და მოახდინა მსოფლიო წარღვნა. პრომეთეს რჩევით დევკალიონმა ააგო გემი, რომელზეც თავი გადაირჩინეს პირამ და მან – ადამიანთა მოდგმიდან მხოლოდ ორმა. მე-9 დღეს დევკალიონის გემი გაჩერდა პარნასის მწვერვალთან".

უძველესი ირლანდიის ღმერთები კი „ბიტი მისი ცოლით ბირენით და ოჯახის წევრებით, მსოფლიო წარღვნის დროს ჩასხდნენ გემში და თავი გადაირჩინეს დიდი კუნძულის სანაპიროზე".

ძველი ინდოეთის ეპოსი „მახაბხარტი" მოგვეითხრობს ადამიენბის წინაპარის მანუს შესახებ: „მანუმ დაღუპვას გადაარჩინა და გაზარდა შესანიშნავი თევზი, რისთვესიაც თევზმა მადლობა გადაუხადა მას რჩევა-დარიგებით, რომლის მიხედვით თევზის მიერ ნაწინასწარმეტყველ წელს მანუმ ააგო გემი, ჩაჯდა შიგ, ხოლო როდესაც დაიწყო წარღვნა, მოცურდა თევზი, გამოიბა გემი რქაზე ბაწრით და გაემართა ჩრდილოეთის მთისკენ".

ინდიელებს კი აქვთ ასეთი თქმულება: „ცხოვრობდა ქვეყანაზე ჯადოქარი „ტამანდუარე". დიდმა ღმერთმა „ტუპიმ" გაუმხილა მას, რომ მალე დადგება უდიდესი წარღვნა, რომელიც დატბორავს მთელს დედამიწას, ხეებს და მაღალ მთებს. მხოლოდ ერთი მწვერვალი იქნება წყლის ზევით, ხოლო მასზე იდგება დიდი ქოქოსის ხის მსგავსი ხე. ამ

ხეზე ჯალოქარი და მისი ოჯახი გადარჩება საჭიროების დროს. ტმანდუარე თავისი ოჯახით სასწრაფოდ წავიდა ამ მთის მწვერვალისაკენ. და როცა ისინი მივიდნენ იქ, დაიწყო წვიმა, რომელიც გამუდმებით მოდიოდა და მოდიოდა. წყალმა დაფარა მთელი მიწა, დატბორა მთა და ჩარეცხა მისი მწვერვალიც. მაშინ ის კაცი თავისი ოჯახით ავიდა პალმაზე და დარჩნენ იქ, სანამ არ დამთავრდა წარღვნა, ისინი იკვებებოდნენ ხის ნაყოფით. წყლის დონის დაწევის შემდეგ ისინი ჩამოვიდნენ ხიდან და იმდენი ბავშვი შობეს, რომ დროთა განმავლობაში კვლავ მოამრავლეს ადამიანები წარღვნისაგან განადგურებულ სამყაროში“.

რომელს უნდა დაუჯერო: ნოეს კიდობანს, გემს, თევზს, ლუდს, წყალს, კუნძულს, მთას, პალმის ხეს, შეიძლება 150 დღეღამე პალმის ხეზე ცოცხლად გადარჩენა? ანდა შეიძლება ორი ადამიანი ისე გამრავლდეს, რომ ადამიანების რაოდენობამ 6 მილიარდს მიაღწიოს? ზოგიერთს ეს ახლაც სჯერა.

ეს მითები მოგონილია უცოდინარი, გულუბრყვილო ადამიანების მიერ, რომლებმაც არ იცოდნენ ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა გეოგრაფია, კოსმოლოგია, მათემატიკა, არქეოლოგია და სხვა, მაშინდელი ადამიანები ყველაფერს ალმერთებდნენ, ყოველ ბედნიერ თუ უბედურ მოვლენას ღმერთების ნება-სურვილს მიაწერდნენ, მათ არ იცოდნენ, რომ დედამიწაზე სტიქიური მოვლენები: მიწისძვრები, ვულკანები, წყალდიდოებბი, ციკლონები, ცუნამები, გრგალები, მეწყერები და სხვა უბედური შემთხვევები ხდებოდა ღმერთების გარეშე. ზოგიერთი ადამიანი ახლაც ძველებურად მსჯელობს და აზროვნებს.

როგორც მეცნიერებმა გამოიკვლიეს მსოფლიო წარღვნის მითები გავრცელებულია მხოლოდ ზღვის და ოკეანის სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოებში. ეს იმიტომ, რომ დედამიწაზე მართლა ხდებოდა სეისმოლოგიური მოვლენები (და ახლაც ხდება), კერძოდ, დედამიწის სიღრმეში მასიური გიგანტური ფენების გადაადგილება, რის შედეგად წარმოიქმნება მიწისძვრები, ვულკანები, წყალდიდობები. ხშირი იყო ისეთი სეისმოლოგიური კატასტროფა, როცა ოკეანეში და ზღვაში იძირებოდა ხმელეთის ნაწილი და პირიქით ოკეანეში მაღლა ამოიწევდა ხმელეთის ნაწილი კუნძულის სახით. ასეთი მოვლენების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ შავი და კასპიის ზღვები თავდაპირველად იყო გაერთიანებული, შემდეგ ამოიბურცა კავკასიონის მთები და მისი ფერდობები, ზღვები გაიყო და მათ შორის ახლა მდებარეობს აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. ამის შესახებ მე უკვე ვისაუბრე ამ წიგნში.

1922-1929 წლებში ინგლისელმა მეცნიერმა ლეონარდ ვულის ერაყის ჩრდილო-დასავლეთში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები, უძველესი ქალაქის ურას ნანგრევებთან ახლოს. ერთ დღეს მუშები წააწყდნენ აგურის და თიხის ჭურჭლების ნატეხებს და უცნობ ნამარხებს. საფლავები მდებარეობდა ერთმანეთის თავზე ექვს სართულამდე. ასე იქნა აღმოჩენილი ურას სახელმწიფოს მეფეთა საფლავები, სადაც დამარხული იყო განძი (ოქრო და ძვირფასი ქვები). არქეოლოგებმა სიღრმეში აღმოაჩინეს 2,5 მეტრი სისქის ლამი. მის ქვემოთ სიღრმეში კვლავ ადამიანის სიცოცხლის დამადასტურებელი ნივთები: აგურები და თიხის ჭურჭელი. იქ აღმოჩენილი კულტურის ძეგლები განსხვავდებოდა შუმერების კულტურისაგან. ორ კულტურას შორის არსებულმა ლამის სისქემ დაადასტურა, რომ აქ მოხდა საშინელი წყალდიდობა, წყალი დიდხანს იდგა და მისი სიღრმე იყო არანაკლებ 8 მეტრისა. სწორედ ამ წყალდიდობის შესახებ იტყობინება შუმერების ქრონიკები.

მოგვიანებით ფრანგმა მკვლევარმა მორტილიემ დაადგინა, რომ ეს ლამის შრე წარმოიქმნა ბუნების უეცარი კატაკლიზმის შედეგად, როდესაც ხმელეთი მოულოდნელად ჩაიძირა ზღვაში. სხვა მეცნიერების დასკვნებითაც ეს ლამის შრე არის მსოფლიო წარღვნის პირდაპირი მოწმობა, რომელიც უეცრად წარმოიქმნა და ასევე უეცრად დაშრა.

მაშასადამე, გიგანტური ბუნებრივი კატასტროფა, რასაც მოჰყვა ვეებერთელა წყლის ტალღები და თავსხმა წვიმები, თავისუფლად შეიძლება მომხდარიყო რამდენიმე ათასი წლის წინათ სანაპიროს ტერიტორიებზე და მასობრივად გაენადგურებინა ადამიანები და ცხოველები.

მსოფლიო წარღვნის დაახლოებითი თარიღის დასადგენად კაცობრიობას დაეხმარა ჩრდილოეთ ირანში არსებული შანიდარის მღვიმის გამოკვლევები, რომელიც ზღვის დონიდან 750 მეტრზე მდებარეობს. 1950 წელს აქ არქეოლოგიური გათხრები აწარმოეს ამერიკელმა არქეოლოგებმა, რომლის შედეგი იყო გამაოგნებელი. უწინ ეს მღვიმე ყოფილა დასახლებული, რასაც ადასტურებს მის თაღებში აღმოჩენილი კოცონების ჭვარტლი, ხოლო მიწის ფენებში აღმოჩენილ იქნა ადამიანთა ჩონჩხი. შრეების მიხედვით ამოთხარეს მიწა 15 მეტრის სიღრმემდე. გამოკვლეული იქნა, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 10 000 წლის წინათ დედამიწაზე მომხდარა კატასტროფა, წყლის ვეებერთელა ზვირთებს დაუტბორია ასეთი სიმაღლის მღვიმე.

საინტერესო თეორია წამოაყენა ი.გ. პეტრიჩკომ, მისი აზრით, რამდენიმე ათასი წლის წინ, დედამიწა ბრუნავდა თავის ღერძის გარშემო გვერდზე დაწოლილ მდგომარეობაში. პოლუსებზე მაშინ

მეფობდა ნახევრად ტროპიკული კლიმატი, ხოლო ეკვატორის ზონაში მიწის ზედაპირი იყო გაყინული და ეს ყინული თანდათან გაიზარდა, სანამ მათმა მასამ კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწია.

ეს კრიტიკული ზღვარი გამოიხატა იმაში, რომ მთვარის მიზიდულობის ველმა გამოიწვია დედამიწის ამოტრიალება, ესე იგი შეიცვალა ბრუნვის ღერძის მდებარეობა სივრცეში. ასეთი ამოტრიალების შედეგად კლიმატი შეიცვალა დედამიწაზე. ანტარქტიდამ დაიწყო ყინულებით დაფარვა. სამაგიეროდ, ეკვატორის ყინულებმა, მზის მცხუნვარე სხივების ქვეშ სწრაფად იწყო გალღობა. ადამიანებით დასახლებული ადგილები წყლის ქვეშ მოხვდნენ, სხვა ადგილებში დაიწყო დიდი გამყინვარება. ასეთი ცვლილებების შესახებ (კერძოდ, მსოფლიო წარღვნა) ცნობებმა ჩვენს დრომდე მოაღწია.

მსოფლიო წარღვნის მიზეზებზე დავა გრძელდება ამჟამადაც და მას ბოლო არ უჩანს, ხოლო მეცნიერების გაანგარიშებით შემდეგ ამოტრიალებას დედამიწა გააკეთებს 2 მილიარდი წლის შემდეგ, როცა ჩაქრება მზე.

# 9. ციკლონები



ციკლონი (kyklon – ბერძ.) არის ატმოსფეროში დაბალი წნევის არე, ქარების სისტემა, რომელიც გადაადგილდება დიდი მასშტაბის გრიგალებით, ახასიათებს ატმოსფეროს საერთო ცირკულაცია. თან ახლავს ღრუბლიანი და ძლიერი ქარიანი ამინდი. ციკლონის ჰაერი ბრუნავს და მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც გამოწვეულია დედამიწის ბრუნვის ძალით. ციკლონის საშუალო დიამეტრია 3-4 ათასი კილომეტრი. მისი სიჩქარეა 30-60 კმ/საათში.

ტროპიკული ციკლონების წარმოიქმნება ტროპიკულ ზონაში, ასეთი ციკლონების დიამეტრია 200-500 კმ. მათ აქვთ წნევის დიდი სხვაობა (перепад – რუს.) და ქარის დიდი სიჩქარე (100 მ/წმ). მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ტროპიკულ ციკლონებს აქვს სხვადასხვა სახელწოდება: ხურიკანი, ურაგანი, ციკლონი, ტაიფუნი, უილი-უილი და ბაგიო.

ყოველწლიურად დედამიწის ზედაპირზე წარმოიქმნება 70-80 ტროპიკული ციკლონი, მაგრამ მხოლოდ ნაწილი აღწევს დამანგრეველ ძალას, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აღმოჩნდება ხმელეთზე. ტროპიკულმა ციკლონებმა ისტორიულ პერიოდში გამოიწვიეს 1 მილიონამდე ადამიანის მსხვერპლი.

ციკლონების დამღუპველი ძალა გამოისახება მათი ქარების დიდი სისწრაფით, რომელიც ზეგავლენას ახდენს ხმელეთზე, ხოლო ზღვაში იწვევს ღელვას, ასევე დამანგრეველად მოქმედებს მისი ჰაერის ნაწილაკების ქარბორბალური მოძრაობა და მის ცენტრში (თვალში) დაბალი წნევაც. ისინი გამოიწვევენ ასევე დამღუპველ თავსხმა წვიმებს, რასაც მოჰყვება წყალდიდობა.

ციკლონები ხშირად წარმოიქმნება წყნარ და ატლანტიკის ოკეანეების სანაპიროებზე, მაგრამ ხანდახან აღწევენ ევროპამდეც. ხშირად ისინი ატარებენ ქალების სახელს.

## მისისიპის შტატი

– ამერიკის შეერთებულ შტატებში 1959 წელს ამოვარდა ურაგანი, რომელმაც მისისიპის შტატს მიაყენა 12 მილიონი დოლარი ზარალი.

## აღმოსავლეთი ვიეტნამი

– 1881 წელს აღმოსავლეთ ვიეტნამში მოვარდნილმა ტაიფუნმა წაიღო 700 000 ადამიანის სიცოცხლე.

## სანტა-დომინგო (დომინიკა)

– 1930 წლის 3 სექტემბერს დომინიკას რესპუბლიკაში ციკლონმა ქალაქ სანტა-დომინგოში არ დატოვა არც ერთი სახლი დაუნგრეველი.

## ჩეტუმალი (მექსიკა)

– 1955 წლის 27 სექტემბერს ციკლონმა სახელად „ჯანეტმა" მთლიანად დაანგრია მექსიკის ქალაქი ჩეტუმალი.

ციკლონები ცვლიან ბუნებას და პეიზაჟს. მათი მოქმედების შემდეგ ხმელეთზე რჩება ეროზირებული სანაპიროები, ტალახი, მეჩეჩი, ნანგრევები. ყველაფრის აღდგენას კი ჭირდება 50 წელი.

## ჰონკონგი

– 1959 წლის იენისში ჰონკონგს თავს დაატყდა ციკლონი, რომელიც გაგრძელდა 4 დღე-ღამე. მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა მრავალი დიდი შენობა და ათასობით ღარიბული ქოხი. დაიღუპა 40-ზე მეტი ადამიანი, მრავალი უკვალოდ გაქრა, ათი ათასობით ადამიანი დარჩა უსაკლკაროდ, ჰონკონგმა მაშინ განიცადა მილიონობით დოლარის ზარალი.

## „ბონი" (აშშ)

– 1998 წლის აგვისტოს ბოლოს ამერიკაში სინოპტიკოსებმა გაავრცელეს ცნობა, რომ სამხრეთ და აღმოსავლეთ კაროლინას შტატებში გაიელის უძლიერესი ციკლონი სახელად „ბონი". სანაპიროზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობამ დაივიწყა პოლიტიკაზე საუბარი, მონიკა ლევინსკის და ბილი კლინტონის ურთიერთობა, ასევე ერაყის მოსალოდნელი დაბომბვის და რუსეთის მაფიის შესახებ. ურაგანი აგროვებდა ძალებს ცაში 5-10 კილომეტრის სიმაღლეზე, რომ მერე დანარცხებოდა ზღვის სანაპიროს, სადაც კარვებში და სასტუმროებში ნამზეურის (загар – რუს.) მისაღებად იმყოფებოდა ათასობით დამსვენებელი.

ყველაფერი დაიწყო 29 აგვისტოს მექსიკის ყურის მხრიდან მომავალი შავი ღრუბელით. მოსალოდნელი უბედურების ზონიდან წავიდა 800 000 დამსვენებელი, მაგრამ დარჩნენ ისეთები, ვინც არ მოისურვა წასვლა. მათ ფანჯრებზე მიაჭედეს ფიცრები, ავტომანქანები შეიყვანეს ავტოფარეხებში და დაიწყეს ლოდინი. ზღვის მხრიდან დაუბერა ძლიერმა ქარმა, მისი წნევის ქვეშ მოიხარა ხეები. გზები დაცარიელდა, ვინაიდან შეიძლება მანქანები გადაებრუნებინა და გაეთრია ქარს. ქარი თანდათან ძლიერდებოდა. უეცრად წამოვიდა თავსხმა წვიმა. ახლო-მახლო მდინარეების კალაპოტები გაიესო წყლით და გადმოვიდა ნაპირზე. დაიტბორა ქალაქ ნიუ-ბერნის ქუჩები. მეორე დღეს ქარის სისწრაფემ მიაღწია 200 კმ/საათში. შემდეგ დაიწყო ტროპიკული თავსხმა წვიმა. ზღვის ტალღების სიმაღლემ მიაღწია 5 მეტრს. პატარა სანაპიროების სათავსოები უცბად ჩარეცხა, წყალი გაემართა გზებისა და შენობებისაკენ. 2 დღე-ღამეში მოვიდა 40 მმ ნალექი. მთელ რიგ ქალაქებში დაიტბორა სარდაფები და პირველი სართულები. უსახლკაროდ დარჩა 16 000 ადამიანი, რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა. მწყობრიდან გამოვიდა ასობით კილომეტრი საავტომობილო გზა, დაინგრა მრავალი საცხოვრებელი სახლი. საერთო ზარალმა მიაღწია 3 მილიარდ დოლარს.

## „დიდი ურაგანი" (აშშ)

– 1780 წლის ოქტომბერში კუნძულ ბარბადოსთან გამძაფრდა ციკლონი. ის ისტორიაში შევიდა „დიდი ურაგანის" სახელწოდებით. მან დაანგრია ამერიკის ჯორჯიის შტატში ქალაქი სავანა-ლა-მარი. წყლის ძლიერმა ტალღამ მთლიანად გააუკაცრიელა კუნძული სენტ-ლიუსია, სადაც ნანგრევებში დაიღუპა 6 000 ადამიანი. ურაგანმა ერთი გემი შეაგდო საზღვაო ჰოსპიტალზე და დაანგრია შენობა გემის სიმძიმით. შემდეგ ურაგანი გაემართა მარტინიკის კუნძულისაკენ და ჩაძირა იქ მყოფი საფრანგეთის 40 გემი, რომლებსაც გადაჰყავდა 4 000 ჯარისკაცი. ურაგანმა გაანადგურა დასახლებული ადგილები: სენტ-ესტატიუსი, სენტ-ვინსენტი, პუერტო-რიკო.

## „ენდრიუ" (აშშ)

– 1992 წლის 24 აგვისტოს აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე წარმოიქმნა ურაგანი „ენდრიუ". ის გაემართა ამერიკის კონტინენტისაკენ, მიაღწია სამხრეთ ფლორიდამდე, მისმა სიჩქარემ მიაღწია 200 კილომეტრს საათში. დეიდის ოლქში მან შექმნა ნგრევის ზონა, სადაც 80000 შენობა მთლიანად განადგურდა. მიუხედავად იმისა, რომ

მოსახლეობა (335 000) წინასწარ იყო გაფრთხილებული, რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა. ურაგანმა მოთხარა მრავალწლიანი მცენარეები. გაჭყლიტა და დააზიანა ათასამდე ავტომანქანა. „ენდრიუს" მძვინვარება გავრცელდა ფლორიდას შტატის გარეთაც. ის დაეშვა ლუიზიანას სანაპიროზე, მაგრამ უფრო მეტი ზიანი მიაყენა მაიამს. მისი სამხრეთი ნაწილი ურაგანის შემდეგ დაემსგავსა შავ ხვრელს. მაიამის ცენტრში შუქნიშნები იყო მოტეხილი, მაჩვენებლები მოგლეჯილი, ჯიხურები მიწასთან გასწორებული, გაქრა ქოქოსის ბაღები. მრავალსართულიანი სახლებიდან ურაგანმა გარეთ გადმოყარა ავეჯი, კომპიუტერები, საქაღალდეები, მაგიდები, დოკუმენტები და გააქრო ისინი. ერთი მხილველი ამბობდა, რომ ურაგანმა ჩამოაგდო კარებები, დაამსხვრია ფანჯრები, სახლებიდან მოგლიჯა სახურავები, ეს იყო დაბომბვის მსგავსი საშინელება. დაიღუპა ასობით ცხენი, ძაღლი და სხვა ცხოველები. განადგურდა ხეივნები, პლანტაციები, ბაღები.

## „ფლორა" (ანტილის კუნძულები)

– 1963 წლის 30 სექტემბერს პატარა ანტილის კუნძულებთან წარმოიქმნა ურაგანი „ფლორა". უკვე 1 ოქტომბერს მისი დამანგრეველი ძალა გამოცადა კუნძულ ტობაგოს მოსახლეობამ. ურაგანის სიჩქარე იყო 220 კმ/საათში. დაინგრა საცხოვრებელი ადგილები, გაითიშა კავშირი, თავსხმა წვიმისგან განადგურდა ნათესი ველები. დაიღუპა 40 ადამიანი, ხოლო ასობით კი დაშავდა. კუნძული გადაიქცა ნანგრევებად. შემდეგ ციკლონი გავრცელდა კუნძულ ჰაიტზე, სადაც გამოიწვია საშინელი ნგრევები და დაიღუპა 4 000 ადამიანი. ათი ათასობით ოჯახი დარჩა უბინაოდ. დაიღუპა ათასობით საქონელი. დაინგრა გზები.

## „ნოვოი ანგლიის" და „ლონგ-აილენდის" სანაპიროები

– 1938 წლის 21 სექტემბერს ძლიერმა ურაგანმა გაანადგურა კუნძული „ლონგ-აილენდი" და „ნოვოი-ანგლიის" სანაპირო, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ახლოს მისი სიჩქარე იყო 56 კმ საათში. ურაგანმა გაანადგურა 250 მილიონი დიდი ხე. მრავალი ავტომანქანა მოიყოლა ქვეშ წაქცეულმა ხეებმა. გზატკეცილი და რკინიგზა ჩაიხერგა ხეებით და ბოძებით. განადგურდა ვერმონტის ხილის ცნობილი ბაღები. 1-2 საათში ურაგანმა ჩამოყარა 120 ათასი ტონა ვაშლი. განადგურდა ფერმები. სანაპიროზე წყლის დონემ აიწია 8 მეტრამდე. ზოგიერთ ადგილებში ოკეანის წყლებმა შეაღწია ხმელეთზე 35 კილომეტრზე. დაიტბორა კუნძულ ლონგ-აილენდის დიდი ნაწილი. დიდი წყალ-

დიდობა მოხდა ქალაქ ნიუ-ხეივენში, რომლის ახლოს გაიარა ურაგანის ცენტრმა. წყალდიდობა შეეხო ასევე მასაჩუსეტის ყურესაც, სადაც მდებარეობს ქალაქი ბოსტონი.

ვეებერთელა ტალღებმა და შტორმულმა წყლებმა გაანადგურა „ნოეოი-ანგლიის" სანაპირო. ათასობით საზაფხულო საავარაკო სახლი ზღვაში ჩაირეცხა. დაიღუპა 600 ადამიანი. მნიშვნელოვნად დაზიანდა საავტომობილო და სარკინიგზო გზები. სტონინგტონში ურაგანმა სამგზავრო მატარებლის ბოლო სამი ვაგონი ჩააგდო ზღვაში. აქვე ზღვის ტალღებმა რკინიგზის ლიანდაგებზე შეაგდო გემი „რუფი". ურაგანმა შეცვალა სანაპიროს რელიეფი. მრავალ ადგილზე 6 მეტრი სიმაღლის ქვიშის ბორცვები დადაბლდა ოკეანის დონემდე. საერთო ზარმალმა მიაღწია 250-300 მილიონ დოლარს.

## ტაიფუნი კუნძულ ხონსიუზე

2000 წლის 10 სექტემბერს იაპონიის კუნძულ ხონსიუს თავს დაატყდა ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე საათში იყო 160 კილომეტრი. გრიგალს მოჰყვა ხანგრძლივი თავსხმა წვიმა და ზღვის შტორმული ღელვა. სტიქიის მძვინვარების შედეგად განადგურდა მრავალი ნაგებობა, 32 ათასი შენობის პირველი სართული მთლიანად დაიტბორა წყლით, ავტობუსები წყლით იყო დაფარული. 20 საათით შეწყდა სარკინიგზო მოძრაობა ტოკიოსა და ოსაკას შორის, ქალაქების ქუჩებში ადამიანები მხოლოდ ნავების საშუალებით გადაადგილდებოდნენ. ყველაზე მეტად დაზარალდა სიდიდით მესამე ადგილზე მყოფი ქალაქი იაპონიაში ნაგოია, სადაც წყალდიდობის შედეგად დაიხრჩო ასობით ადამიანი, დაინგრა სახლები, ხიდები, რკინიგზის ხაზები, ავტოტრასები, წყალგაყვანილობა, ელექტროგადამცემი ხაზები, ფუნქციონირება შეწყვიტა აეროდრომებმა, ათი ათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, ნახევარი მილიონი კი დროებით იქნა ევაკუირებული. თავსხმა წვიმებმა გამოიწვია მეწყერები. გაჩერდა მრავალი ქარხანა და ფაბრიკა, მათ შორის ცნობილი საავტომობილო ქარხანა „ტოიოტა". შეწყდა ელექტროძაბვის მიწოდება და სატელეფონო კავშირი.

ასეთი საშინელი ბუნებრივი კატასტროფა იაპონიაში არ მომხდარა ბოლო 140 წლის მანძილზე.

# 10. ქარბორბალები



ქარბორბალა არის ჭექა-ქუხილის ღრუბლებში წარმოქმნილი გრიგალი, რომელიც ეშვება დედამიწის ზედაპირამდე. მუქი ძაბრის ან ხორთუმის მსგავსი ღრუბელის სახით, მას აქვს 100 მეტრიდან 1000 მეტრამდე დიამეტრი. მისი მოქმედების პროცესი მოკლეა და მოძრაობს სწრაფად: 100-500 კმ საათში სიჩქარით. ასეთი სიჩქარის გაზომვა რაიმე ხელსაწყოთი შეუძლებელია. ამერიკაში მას უწოდებენ ტორნადოს. სიჩქარისა და ძალის მიხედვით დაყოფილია 5 სახეობად: f-1, f-2, f-3, f-4 და f-5.

ქარბორბალა თავის გზაზე ანგრევს ყველაფერს. მისი წინსვლითი მოძრაობა (გადაადგილება) იმდენად სწრაფია, რომ მისგან გაქცევა შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ მანქანით გასწრება. მისი მოქმედების გზის სიგრძე განსხვავებულია: ზოგჯერ ის გაქრება 1 კმ-ის გავლის შემდეგ, ხოლო სხვა დროს შეიძლება გაიაროს ასობით კილომეტრი. ქარბორბალა წააგავს ციკლონს თავისი ჰაერის ჩახვეული გრიგალისებური მოძრაობით, ანდა ხორთუმის ცენტრში (100-200 мбар-ით) დაბალი წნევით, ვიდრე მის ნაპირებში. ამერიკის უდაბნოებში არსებობს ქარბორბალას ორი სახეობა: კლასიკური და „უდაბნოს ქაჯი“. კლასიკური ქარბორბალა დაკავშირებულია ჭექა-ქუხილის ღრუბლებთან, ხოლო „უდაბნოს ქაჯს“ არ აქვს კავშირი ღრუბლების წარმონაქმნებთან. ქარბორბალას წარმოშობის პროცესი ბოლომდე არ არის გარკვეული. თბილი ჰაერი ისწრაფვის მაღლა, ხოლო ცივი ჰაერი ხორთუმის ფორმის გრიგალით ეშვება ქვემოთ დედამიწის ზედაპირზე.



ძლიერი ქარბორბალა თავის მოქმედების ზოლზე ტოვებს გატიალებულ ადგილებს: სახლებიდან გლეჯს სახურავებს, მთლიანად ანგრევს მსუბუქ სახლებს, ხეებს ფესვებიანად გლეჯს, ჰაერში ისვრის ადამიანებს, ცხოველებს, მანქანებს ათეული მეტრის მანძილზე ისვრის.

ქარბორბალა ყველაზე ხშირად ხდება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, შედარებით იშვიათად ინდოეთში, ბანგლადეშში, იაპონიაში, არგენტინაში, ავსტრალიაში. ევროპაშიც შეიძლება წარმოიქმნას. აშშ-ში ყოველწლიურად ქარბორბალისაგან იღუპება საშუალოდ 80 ადამიანი.

ქარბორბალასგან თავდაცვა ძალიან პრობლემატურია. ის წარმოიქმნება მოულოდნელად. მისი ტრაექტორიის განსაზღვრა შეუძლებელია. დახმარების გაწევა შეიძლება ქალაქიდან ქალაქამდე სატელეფონო შეტყობინებით, ასევე, შეიძლება შეტყობინების გადაცემა ავტომანქანით. ერთადერთი ნაღდი თავდაცვის ხერხი არის შენობის სარდაფში ან მყარად აგებულ შენობაში თავის შეფარება. აშშ-ში მოქმედებს ტორნადოს პროგნოზირების და მოსალოდნელი საშიშროების გადამცემი სპეციალური სამსახურები.

## ფორჰგეიმი (გერმანია)

– 1968 წლის 10 ივლისს გერმანიის ქალაქ ფორჰგეიმთან წარმოქმნილმა ქარბორბალამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. მან გაიარა 125 კილომეტრი ვოგეზიდან (მდინარე რეინთან ახლოს) შავი ტყის ჩრდილოეთ მხარემდე. 1000-2000 მეტრის სიმაღლეზე ჰაერის ტემპერატურა ძალიან დაეცა, ხრახნისებურად დატრიალდა და გაექანა დედამიწის ზედაპირისაკენ. ამ ქარბორბალამ 200 მეტრის ზოლზე გაანადგურა ტყე და ზოგიერთი დასახლებული ადგილი. ქარმა მოხადა სახლებს სახურავები და გარეთ გადმოყარა საოჯახო საგნები, დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი და გერმანიას მიაყენა 50 მილიონი მარკის ზარალი.

## მისური, ილინოისი, ინდიანა (აშშ)

– 1925 წლის 18 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების (მისური, ილინოისი, ინდიანა) ტერიტორიაზე გაიარა საშინელმა ქარბორბალამ (смерч – რუს.), რომლის შავი ღრუბელი საშინელი სიჩქარით ტრიალებდა და ანადგურებდა თავის გზაზე ყველაფერს. მაგალითად, ქვანახშირის შახტის მიწის ზედაპირზე მდგარი ნაგებობიდან გადარჩა მხოლოდ ფოლადის ურნალი (копер – რუს.), ისიც გადაიხარა და გამოუსადეგარი გახდა. იქვე მდებარე ფაბრიკის შენობიდან გადარჩა

მხოლოდ რკინა-ბეტონის კარკასები, ხოლო დანარჩენი ყველაფერი ქარმა წაიღო. მუშათა დასახლებაში კი სახლები, ქუჩები, ბაღები – ყველაფერი აღგავეა პირისაგან მიწისა.

## კანზასის შტატი (აშშ)

– 1897 წლის 30 მაისს კანზასის შტატის ჩრდილოეთით ირეინგის დასახლებასთან წარმოიქმნა საშინელი ქარბორბალა, რომელსაც თან დაერთო ძსხვილი სეტყვა. 3 საათის მანძილზე განადგურდა ყველაფერი 150 კილომეტრის მანძილზე. ხმაური მოაგონებდათ ათასი სატვირთო მატარებლის ხმას. ერთი მეტრი დიამეტრის ხეები წვრილი ტოტებივით გადატეხა. ხის სახლებს აგდებდა მაღლა და ნაწილებად შლიდა. მკვრივად აგებულ ქვის კედლებიან სახლებს მოგლიჯა სახურავები. დასახლება ირეინგისაგან არაფერი დარჩა. დიდი რკინიგზის ხიდი ჩააგდო მდინარეში. ქარბორბალას მოქმედების არე სიგანეში იყო საშუალოდ 300 მეტრი, დაიღუპა 695 ადამიანი, დაშავდა – 2027. ზარალმა შეადგინა 40 მილიონი დოლარი.

## მოსკოვი (რუსეთი)

– 1904 წლის 29 ივნისს ქალაქ მოსკოვს და მის ახლო მდებარე დასახლებებს ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით გადაუარა ქარბორბალამ. მხილველთა მონათხრობით ცნობილია, რომ ქარბორბალამ თავის გზაზე მთლიანად დაანგრია ერთსართულიანი ხის სახლები, აგურის და ქვის კედლებიან სახლებს მოგლიჯა სახურავები, ორსართულიან სახლებს დაუნგრია ზედა სართული. დააწვინა ხეივნები და ბაღები. წააქცია ღობეები და კედლები. ადამიანებს და შინაურ ცხოველებს ჰაერში ისროდა და მიჰქონდა დიდ მანძილზე. მისი მოქმედების სიგანე იყო დაახლოებით 500 მეტრი, ხოლო სიჩქარე 60 კმ საათში. სიბნელეს თან ერთვოდა საშინელი ხმაური, ღრიალი და სტვენა. მოეიდა ქათმის კვერცხისოდენა სეტყვა. სეტყვამ ქალაქის გარეთ დააზიანა ნათესები და დაღუპა ათობით ადამიანი. ჰაერში დაფრინავდა სახლის სახურავები, ხის ნაჭრები, ფიცრები, აგური, ავეჯის საგნები. ქუჩები სავსე იყო ნანგრევებით. მაშინდელი ჟურნალი „ნივა“ აღნიშნავდა, რომ „განსაკუთრებით დაზარალდა ადგილები: ლეფერტოვო, სოკოლნიკი, ბასმანნაია, და იაუზას ნაწილი. დანგრეულია სახლები, დაჭრილი და დახოცილია ადამიანები და საქონელი. მთლიანად განადგურებულია ანნევოფის კორომი“. ამ ქარბორბალამ დატოვა 500 მეტრი სიგანის და 40 კილომეტრი სიგრძის აოხრებული ტერიტორია.

## ივანოვო (რუსეთი)

– 1984 წლის 9 ივნისს რუსეთის ქალაქ ივანოვოსთან წარმოიქმნა ქარბორბალა, რომლის მოძრაობის ზოლში წარმოიქმნა ნგრევის ზონა. ჰაერში აცვივდა სახლების სახურავები და პატარა სახლები. ხეები ამოთხარა ფესვიანად, დაინგრა ელექტროგადამცემი ხაზები, ჰაერში ავარდა მანქანები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, გადაბრუნდა რკინიგზის ვაგონები. ქარბორბალამ გადაუარა ივანოვოს, ტვერს, კოსტრომას, იაროსლაველს და სხვა ქალაქების ტერიტორიას. მას თან ახლდა მსხვილი სეტყვა, ზოგიერთი სეტყვის მარცვალი იწონიდა 1 კგ-ს.

## გეტინგენი (გერმანია)

– 1952 წლის მაისის დასაწყისში გერმანიის ქალაქ გეტინგენთან წარმოიქმნა ქარბორბალა, რომელმაც თავის გზაზე წააქცია 56 ათასი ხე და ასობით შენობა. მისი გრიგალის ბრუნვის სიჩქარემ მიაღწია 200 კმ-ს საათში. საშინელი ძალა ასანთის ღეროებივით ტეხდა ასწლოვან ხეებს. იმ ზოლს, რომელზეც გაიარა ამ ქარბორბალამ, დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა ნახევარუდაბნოს სახე.

## სენტ-ლუისი (აშშ)

– 1959 წლის 10 თებერვალს მისურის შტატში ქალაქ სენტ-ლუისთან წარმოიქმნა ქარბორბალა, რომელიც თავის ხორთუმში ყლაპავდა ყველაფერს რაც გზაზე შეხვდებოდა. 19 ადამიანი დაიღუპა, 265 დაშავდა. განსაკუთრებით განადგურდა ზანგების საცხოვრებელი ძველი სახლები. საჯინიბოები, ფარდულები, საამქროები, ჯიხურები მთლიანად განადგურდა. დაიღუპა მრავალი შინაური ცხოველი და ფრინველი.

## ბრანდენბერგი (აშშ)

– 1974 წლის 3 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების რამოდენიმე შტატს გადაუქროლა ქარბორბალამ. ერთმა ამერიკულმა გაზეთმა ასე აღწერა ეს დამანგრეველი უბედურება: „იმ საშინელ დღეს წინასწარ გააფრთხილეს ადამიანები მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ქარბორბალა მოძრაობდა 50 კმ საათში სიჩქარით და დაენარცხა დასახლება ბრანდენბერგს. წალეკა მისი სახლების ნახევარი, ნაფოტებად აქცია ავეჯი, გაჭყლიტა ავტომანქანები. დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი, ხოლო 200-ზე მეტი დაშავდა. ეს იყო ერთ-ერთი ქარბორბალა იმ მრავალთაგან, რომლებიც მძვინვარებდა მაშინ ამერიკის 11 შტატში".

ჯორჯიას შტატში ქარბორბალას თან მოჰყვა თავსხმა წვიმა და მტრედის კვერცხის ოდენა სეტყვა. ალაბამას შტატში ქალაქი გუინი იყო აღგვილი მიწის პირიდან. აქ დაიღუპა 20 ადამიანი. ინდიანას

შტატში ქარბორბალამ გაიარა ქალაქი მონტისელო. მან ჰაერში აწია რკინიგზის ხიდის 4 სექცია, მოგლიჯა ბეტონის საყრდენებიდან და ჩააგდო ფრიმენის ტბაში. თითოეული სექცია იწონიდა 115 ტონას.

## პარიზი, ბორდო, მარსელი (საფრანგეთი)

– 1999 წლის 26, 27, 28 დეკემბერს გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და საფრანგეთის ტერიტორიაზე პარიზ-ბორდო-მარსელის მიმართულებით, გადაუქროლა ქარბორბალამ, რომლის სიჩქარე საათში იყო 160-200 კილომეტრი. ქარბორბალას მოჰყვა თავსხმა წვიმები და დიდი თოვლიანობა. ქარბორბალამ გადაამტვრია და ამოთხარა ხეები, ბოძები, სარეკლამო მოწყობილობა, დაგლიჯა ელექტრო და კავშირგაბმულობის ხაზები, მთლიანად გაანადგურა ბულონის ტყე, ამოატრიალა და დაჭეჭყა ავტომანქანები, დაანგრია მსუბუქი სახლები. პარიზში გაანადგურა საახალწლო ნაძვის ხეები, რეკლამები, ვერსალის სასახლეში ჩაამტვრია მინები და გადახადა სახურავი. წააქცია ელექტროგადამცემის ბოძები, გაანადგურა ვერსალის პარკი, ნახევარ ქალაქს გადახადა სახურავები. ადიდებულმა მდინარეებმა დატბორა ახლომდებარე ქალაქების ქუჩები, სარდაფები, დაანგრია ხიდები. მთებში დიდთოვლობას მოჰყვა ზვავები, ავსტრიაში ალპების მთებში თოვლის ზვავში დაიღუპა 11 გერმანელი ტურისტი, დროებით შეწყდა საზამთრო დასასვენებელ ადგილებში საკურორტო მომსახურეობა, გაწყდა კავშირი, შეწყდა ელექტროძაბვის მიწოდება და ჩაიკეტა საავტომობილო გზები. სტიქიურ უბედურებას მოჰყვა 100-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა. მატერიალურმა ზარალმა მარტო საფრანგეთში მიაღწია 4 მილიარდ დოლარს.

## ჯორჯიას შტატი (აშშ)

2000 წლის 13 თებერვალს შუაღამეს, ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიას შტატში მოხდა საშინელი ძალის (f-5) ტორნადო, რომლის სიჩქარე იყო 500 კილომეტრი საათში. ქარბორბალამ 8 კილომეტრი სიგანის ზოლზე გაანადგურა ყველაფერი: დაანგრია და მიწასთან გაასწორა 210 სახლი, მოთხარა მცენარეები, ჰაერში ისროლა, მიწაზე დაანარცხა და დაჭეჭყა ავტომანქანები, დაგლიჯა ელექტროგადამცემი ხაზები, უსახლკაროდ დატოვა 5 000 ადამიანი. დაიღუპა 65 ადამიანი და სხეულის ტრავმები მიიღო 200-ზე მეტმა ადამიანმა. ქარბორბალას თან ახლდა საშინელი სეტყვა, რომლის მარცვლები იყო ქათმის კვერცხის ტოლი. მეცნიერების დასკვნით ასეთი საშინელი ქარბორბალა ჯორჯიას შტატში არ მომხდარა 1936 წლის შემდეგ.

# 11. მტვრიანი ქარები



მტვრიანი ქარები არის ატმოსფეროს „აღშფოთება“, რომლის დროსაც ჰაერში ავარდება დიდი ოდენობის მტვრის კორიანტელი, რომელიც ვრცელდება მნიშვნელოვან მანძილზე. ეს ტერმინი სინონიმურია. სინამდვილეში ჰაერში ტრიალებს დიდი რაოდენობის ქვიშა. ქვიშა ეფინება დედამიწის ზედაპირზე, რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე მისგან მაღლა ადის მხოლოდ პატარა ნაწილაკები. მიწისძვრებთან ან ტროპიკულ ციკლონებთან შედარებით, მტვერიანი ქარები არ წარმოადგენენ დიდ კატასტროფას, მაგრამ მათ ზემოქმედებას შეუძლია დიდი ზიანის მოყენება.

ცივი ჰაერის მასა შეიჭრება თბილი ჰაერის ფენებში. მას გააჩნია ტურბოლენტური თვისებები და სწრაფი გადაადგილებით ის ნიადაგს უკეთებს ეროზირებას, რის შედეგად ჰაერში ადის მრავალი მყარი ნაწილაკი. ისინი ილექებიან ჰაერში მრავალი კილომეტრის მანძილზე. მტვრის ცვენას ჩვეულებრივ მოჰყვება წვიმის მოსვლა.

მტვრიანი ქარები ეროზირებას უკეთებს მილიონობით ტონა ნიადაგს ვეებერთელა ფართობის ველები და საძოვრები დაიფარება ხოლმე „უნაყოფო“ მტერით. ისინი იწვევენ მოგუდვას და მოაქვთ ავადმყოფობები, აფუჭებენ ხელსაწყოებს და ტექნიკას, ავრცელებენ საშიშ მავნებლებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი შეიძლება გახდეს კატასტროფის მიზეზი.

მტვერიანი ქარები გავრცელებულია საჰარის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. აქ ისინი მტერით და ქვიშით ფარავს მცენარეულობას. მტვერი აღწევს ატლანტიკის ოკეანემდე. მათი გავრცელების ადგილებია ასევე ჩრდილო აფრიკა, სუდანი, არაბეთის ნახევარკუნძული, ერაყი და სირია. აქ ისინი ატარებენ არაბულ სახელს – „შამალი“. სტატისტიკური მონაცემებით ქალაქ ბაღდადში წელიწადში მტვერიანი



ქარები იცის 15 დღე, ხოლო კუვეიტში 18. მტვრიანი ქარებით არიან შეწუხებული ვოლგისპირეთში, ჩრდილო კავკასიის მთისწინა ადგილებში, შუა აზიაში და ჩინეთში.

მტვრიანი ქარის მოსვლის წინ თავდაპირველად ცხოველები გაქცევით შევლიან თავს ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, შემდეგ ჰორიზონტთან გამოჩნდება შავი ზოლი, რომელიც სწრაფად ფართოვდება. რამდენიმე ათეული წუთის შემდეგ ის მოეფინება მთელ ცაზე. ქარის ზონის შიგნით მხედველობა არის უმნიშვნელო. იგრძნობა ტემპერატურის მკვეთრად დაცემა დაახლოებით 10°C, ხოლო მტვრიანი ქარის დაწყებამდე ჩვეულებრივ იწყება წვიმა.

უდაბნოს წესები ასეთია: თუ მანქანაში იმყოფები, დახურე მინები და დარჩი მანქანაში. როცა გარეთ იმყოფები სწრაფად უნდა მოძებნო საიმედო თავშესაფარი, თავზე დაიფარო მოსახვევი, დაწვე მუცელზე პირით ქვემოთ. როცა ახლოს არ არის თავშესაფარი, უნდა დაწვე თავით ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, პირით ქვემოთ.

## უდაბნოში გამქრალი არმია

– ისტორიული მონაცემებით ცნობილია, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში აქემენიდების დინასტიის წარმომობის სპარსეთის მეფემ კამბიზმა, გადაწყვიტა შური ეძია ეგვიპტის ფარაონ ამაზისზე, მისი მამის შეურაცხყოფისათვის. სპარსეთის არმია შედგებოდა ფეხოსანი და ცხენოსანი ჯარებისაგან. არმია იყო ზედმიწევნით ბრძოლისუნარიანი, კარგად გაწვრთნილი და დიდი ხნის მანძილზე არ განუცდია დამარცხება. ეგვიპტის ფარაონმა ბაბილონს და ლიბიას შესთავაზა შეექმნათ კავშირი. კირ II-მ დაამარცხა სათითაოდ ლიბია და ბაბილონია და ახლა მოისურვა დაეპყრო დიდი და ძლიერი სახელმწიფო ეგვიპტე. მაგრამ ამის შესრულება მოუწია მის შვილს კამბიზს, რომელმაც ჩვენწელთაღრიცხვამდე 527 წელს აიღო ქალაქი მემფისი, ხოლო 524 წელს ამონიელების წინააღმდეგ სამორად გააგზავნა 50 ათასიანი არმია, რათა დაეპყრო და მონებად გადაექცია ისინი. ჯარი გამოვიდა ფივიდან და დაბრკოლების გარეშე მიაღწია ჰარგას ოაზისს. აქედან არმია გაემართა ჩრდილოეთისკენ ამონიაში – მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია – არმია გაქრა უდაბნოში. ჰეროდოტის სიტყვებით გზაში ამოვარდნილმა მტვრიანმა ქარმა ცოცხლად დამარხა კამბიზის არმია.

ამ კატასტროფის ადგილის აღმოჩენა მკვლევარებმა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს. ისინი ფიქრობენ, რომ დაკარგული არმია – არის მილიონობით დოლარის ღირებულების ნამდვილი საგანძურის წყარო. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მშრალ ქვიშაში მშვენივრად

იქნება შენახული არმიის იარაღი, ალჭურვილობა და ჯარისკაცების ნივთები.

## გაუკაცრიელებელი კანზასის შტატი (აშშ)

– ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი კანზასის შტატის მდელოები და საძოვრები იზიდავდა ადამიანებს. XIX საუკუნის დასასრულს ამ მიწების ასათვისებლად გაემართა ათასობით ადამიანი. აშენდა სახლები, გაიყვანეს გზები, მოაწყვეს საფერმერო მეურნეობები და მოკლე დროში მზისგან გადამხმარი ველები გადააქციეს ნაყოფიერ მიწებად. მოიყვანეს ხორბალი, მოამრავლეს ჯიშიანი ცხენები, ძროხები, კამეჩები. აშენდა სოფლები და ქალაქები. მაგრამ ჰარმონიული ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა.

დაიწყო ყოველწლიური გვალვები და მოუსავლიანობა 1930 წლიდან გამოჩნდა ნიადაგის ეროზია. მიწამ დაიწყო დასკდომა, გამოიფიტა დიდ ტერიტორიებზე. 1935 წელს დაიწყო დიდი გვალვა. ერთ დღეს კანზასის კოლორადოს და ტეხასის შტატების მშვენიერი მდელოები და საძოვრები გადაიქცა გამოფიტულ, ქვიშნარ უნაყოფო მიწად. ბუნებაზე გამარჯვებული ადამიანები უძლური აღმოჩნდნენ ასეთი მოვლენების წინაშე.

1935 წელს უთოვლო ზამთარს მოჰყვა ხშირი ქარები. მიწები გამოშრა, აღარ იზრდებოდა ნათესები და ილუპებოდა. მზე და ქარი თითქოს შეთქმულები არიანო, ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც დიდი შრომის შედეგად იყო შექმნილი ადამიანებისაგან. ქარებისაგან მოტანილი ქვიშა აღწევდა საცხოვრებელ ბინებში და ავსებდა ჭებს. ქარებმა გამოაქარეს ყველაზე ფასიანი – სამოსავლო (სანაყოფო) მიწა. ქარებს მიჰქონდათ მიწა ასეული კილომეტრის მანძილზე, ხოლო შავი მიწების ადგილზე მოჰქონდათ ყვითელი უსიცოცხლო ქვიშა. ქვიშამ დაფარა არა მარტო მინდვრები არამედ სახლები ფანჯრების სიმაღლემდე. დაწყებული კატასტროფა იმუქრებოდა არა მარტო შიმშილობით, არამედ სიკვდილითაც.

ამან გამოიწვია მოსახლეობის გადასახლება. კოვბოებმა მიატოვეს თავიანთი ფერმები. მიმავალ ხალხს გზაზე დაეწეოდა ხოლმე მტვრიანი ქარი. ქვიშა იყო ისეთი წვრილი რომ იჭედებოდა ძრავებში და ველარ ქოქავდნენ მანქანებს. მრავალი ადამიანი ვერლა მივიდა სასურველ ადგილებამდე და დაიღუპა გზაში.

კოლორადოს შტატში საავტომობილო ჩქაროსნული ტრასა დაიფარა ქვიშის ბორცვების ქვეშ. სამხრეთ დაკოტის შტატშიც ქვიშის ქვეშ გაქრა საავტომობილო გზა. ჯარისკაცების და მეხანძრეების

მონდომებამ გაეწმინდათ გზები ქვიშისაგან ვერ გამოიღო შედეგი, რადგან ქარებს ერთ დღეში კვლავ შემოჰქონდა ქვიშის მთები. ლტოლვილი ადამიანების დასახმარებლად გაყრენილი შვეულმფრენები იძულებული იყვნენ. უკან დაბრუნებულიყვნენ ცარიელები, რადგან მტვრიანი ქარი არ აძლევდა დაჯდომის საშუალებას.

ხუთ თვეს გაგრძელდა არნახული გვალვა. მან ამერიკელებს მოუტანა დიდი უბედურება: ასობით დაღუპული ადამიანი, გამქრალი სოფლები და დასახლებები, სამი მილიონი ფერმერი დარჩა უსახლკაროდ და უმუშევარი. მხოლოდ ერთი წელიწადში სახელმწიფომ განიცადა 150 მილიონი დოლარის ზარალი. კანზასის შტატი გახდა თითქმის უკაცრიელი. მთავრობის არაერთარმა დაპირებამ საჭირო დახმარების გამოყოფის შესახებ, ვერ შეძლო ადამიანების იქ გაჩერება. შიმშილი და გვალვა აღმოჩნდა მთავრობის დაპირებებზე უფრო ძლიერი.

## 12. გვალვები



გვალვა არის ნალექების ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი უკმარისობა ნიადაგში ჰაერის ტემპერატურის მომატების და ნესტიანობის დაკლების გამო. ის იწვევს ნესტის მარაგის შემცირებას ნიადაგში, მცენარეულობის ზრდის გაუარესებას და დაღუპვას. გვალვის ასაცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული აგროტექნიკური ღონისძიებები (მიწის სპეციალური დამუშავება) და მელიორაციული (მორწყვა), ასევე ველის დამცველი ტყის ზოლების გაშენება.

## ღელედ გადაქცეული ნილოსი

– 1119 წელს ბაღდადის მოსახლეობამ მიაქცია ყურადღება, რომ ეგვიპტიდან მოდიოდა ასობით ლტოლვილი ადამიანი, რომლებიც გამოექცა გვალვას და შიმშილს. ისინი ცდილობდნენ მოხვედრილიყვნენ საუდის არაბეთის, სირიის და იემენის ნაყოფიერ მიწებზე. ლტოლვილები ყვებოდნენ რომ მდინარე ნილოსში დაეცა წყლის დონე, დაშრა მისი კალაპოტი და ჭალა, რასაც მოჰყვა საშინელი გვალვა და ნათესების დაღუპვა. დიდი მდინარე გადაიქცა საცოდავ ღელედ, შეიქმნა დასალევი წყლის უკმარისობა. შიმშილობამ შეაღწია ფარა-

ონის სახახლეშიც. დაიწყო კანიბალობა და ადამიანების მკვლელობა. ცაში არ ჩანდა ღრუბლები, დიდი ხნის მანძილზე არ მოვიდა წვიმა. გახმა მცენარეები და ნათესები, დაიღუპა ათასობით ადამიანი და ცხოველი. გვალვები ეგვიპტეში მძვინვარებდა სამი წელი. ამ წლებში ეგვიპტეში შიმშილით დაიღუპა 100000-მდე ადამიანი.

## შიმშილობა ირანში

– 940 წლის დეკემბრიდან ირანში დაიწყო ხანგრძლივი გვალვა, რასაც მოჰყვა შიმშილობა. ადამიანებმა დაიწყეს მკვდრების ჭამა. შიმშილისაგან ადამიანები გასიედნენ და დაავადმყოფდნენ. ისტორიული ქრონიკის მონაცემებით ათი ათასობით ადამიანი დაიღუპა.

## რუსეთის გვალვები

– ძლიერი გვალვა იყო რუსეთში 1162 წელს. დაშრა ტბები და მდინარეები. ჭაობები და ტყეები დაიწვა. განადგურდა პურის ყანები. დადგა საშინელი შიმშილობა. წყალსაცავებში გაწყდა თევზი.

1921-1922 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში მოხდა დიდი გვალვა, რომელმაც მოიცვა ვოლგისპირეთი, დონი, ჩრდილო კავკასია და უკრაინა. 6 მილიონი გლეხის მეურნეობა განადგურდა. შიმშილისაგან დაიღუპა 8 მილიონი ადამიანი. ათასობით ადამიანი გაიქცა უბედურების ზონიდან.

1932-1933 წლებში კელავ იყო გვალვები, რასაც მოჰყვა შიმშილობა, მაგრამ ეს გარემოებები დამალული იყო. საარქივო დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ უკრაინაში შეიქმნა რთული მდგომარეობა საკვები პროდუქტებზე. გაზაფხულზე სოფლებში დაიწყო შიმშილობა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებზე გაძლიერდა ზეწოლა, პურით მომარაგების გაზრდის მიზნით. დააპატიმრეს და გაასამართლეს ათასობით კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სპეციალისტი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. გლეხებს წაართვეს ოჯახის მარჩენალი და საფურაჟე პირუტყვი, ასევე სათესლე ხორბალი, რამაც გამოიწვია სამი მილიონი ადამიანის დაღუპვა. ოფიციალურად კი ქვეყანაში შიმშილობა არ იყო აღიარებული.. საზოგადოებრივი აზრის დასაწყნარებლად დახვრიტეს მიწის სახალხო კომიტეტის 10 ხელმძღვანელი, ვითომ სახელმწიფოში მოწყობილი შიმშილობის ორგანიზებისათვის.

## შიმშილობა იაპონიაში

– 1180 წელს დასავლეთ იაპონიაში იყო საშინელი გვალვა. ზაფხულში 3 თვის მანძილზე არ მოვიდა წვიმა, რის შედეგად ვერ

აიღეს ბრინჯის მოსავალი. ამას მოჰყვა საშინელი შიმშილობა. ამის შესახებ ცნობილი წიგნის „კოძიკის“ ავტორი წერს, რომ მან ქალაქ კიოტოს ქუჩებში დაითვალა 42300 ადამიანის გვამი.

## 5 წელი წვიმის გარეშე

– 1973 და 1978 წლებში საშინელი სანახავი იყო სამხრეთ საჰარის მოკიერითი ტერიტორია, კერძოდ, საჰელის ზონა: მუცელგაბერილი რახიტიანი ბავშვები, ირგვლივ ყველგან ბუჩქები. აქ მთელი 5 წლის მანძილზე არ მოსულა წვიმა. გვალვამ მოიტანა შიმშილობა. შინაური ცხოველები ვერ პოულობდნენ საკვებს გამხმარ საძოვრებზე და ათასობით იღუპებოდნენ. ეთიოპიის პროვინციაში ყოლოში დღე-ღამეში კვდებოდა 200 მშიერი ადამიანი. ამას გარდა, მოხდა ქვიშის ინტენსიური იერიში უდაბნოდან, ათვისებულ ნაყოფიერ მიწებზე.

## გვალვა ზიმბაბვესა და ზამბიაში

– გვალვა ყოველთვის ემუქრება უდაბნოსთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებს და ცხოველებს. სამხრეთ აფრიკაში 1983 წლამდე 30 წლის მანძილზე არ იყო გვალვები, მაგრამ ამ წელიწადს საძოვრების გახმობისაგან დაიღუპა ათასობით საქონელი, ხოლო მინდვრებში ცეცხლი მოეკიდა ნათესებს. ზიმბაბვე და ზამბია ლამის უდაბნოდ გადაიქცა.

# 13. კალიების შემოსევები



აქ ლაპარაკია კალიების იმ ჯიშზე, რომელსაც ეწოდება „სარანჩა". ისინი განეკუთვნება (გუნდებად) გადამფრენ მავნებელი მწერების ოჯახს. სარანჩა მთლიანად ანადგურებს ნათესებს და მცენარეულობას. ისინი გვხვდება სხვადასხვა ადგილებში, კერძოდ: უდაბნოებში, იტალიაში, მაროკოში, ბრაზილიაში, აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში.

ძველ აღთქმაში წერია, რომ ეგვიპტის 10 სასჯელიდან, რომელიც ღმერთმა მიუსაჯა ფარაონს – მერვე არის სარანჩა: ...„დაესხა სარანჩა ეგვიპტის მიწას და გავრცელდა მთელ ქვეყანაში აუარებელი რაოდენობით. მან დაფარა მთელი მიწის საფარი ისე, რომ მიწა აღარ ჩანდა და შეჭამა მთლიანად ბალახი და ხილის ნაყოფი და აღარ დარჩა არავითარი სიმწვანე არც მიწაზე და არც ხეებზე მთელ ეგვიპტეში".

აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში რკინიგზის სადგურებში ხშირად აცხადებენ, რომ მატარებელი არ წავა, ვინაიდან რკინიგზაზე იმყოფება სარანჩის გუნდი. როცა სარანჩა იმყოფება რელსებზე, ორთქლმავალის ბორბლები სრესს მათ, ცურავს ადგილზე და არ შეუძლია მოძრაობა აღმართზე.

კალახარის უდაბნოდან მდინარე ლიმპოპოსკენ მოემართება არა გაზრდილი სარანჩა, არამედ მათი მორბენალი უფრთო მატლები. მათ რაზმებს ვერ შეაჩერებს ადიდებული მდინარეც, იმიტომ რომ ისინი მოძრაობენ უწყვეტ ნაკადად, რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმული ლენტის სახით. პირველი სარანჩები (მატლები) წყალში იხრჩობა, მაგრამ მათ სხეულებზე გადარბიან და გადადიან მეორე ნაპირზე სხვები. ერთი საათის განმაელობაში მდინარის ჭალაში ხეები იწყებენ ტკაცატკუცს, მათზე დამჯდარი მწერების სიმძიმისაგან.

აფრიკის ზოგიერთი ტომის მოსახლეობა მასიურად იჭერს სარანჩას მატლებს, ჩაიდებენ პირში, წააცლიან თავს, ფეხებს და ფრთების ჩანასახს. ჩაყრიან ტომრებში, გამოაშრობენ მზეზე და მერე ჭამენ მათ როგორც დელიკატესს.

სარანჩის შემოსევას მოსდევს უბედურება. დაფრთიანებულ სარანჩებს შეუძლიათ იფრინონ 40 კმ საათში სიჩქარით. ცნობილია, შემთხვევა, როცა სარანჩის გუნდი დილით გამოფრინდა მაროკოდან, ხოლო საღამოს უკვე დაფრინდა პორტუგალიაში. მფრინავი სარანჩის გუნდი მოგაგონებს მოფუსფუსე მასას, რომლის სისქეა 25-30 სანტიმეტრი. თითოეული სარანჩა არის საჩვენებელი თითის ტოლი. სანამ მზე არ დააცხუნებს ისინი არიან მიძინებულ მდგომარეობაში, ხოლო როდესაც დაცხება, ისინი წამოიშლებიან, გაშლიან ფრთებს და დაადგებიან გზას. მათი გუნდის ფრენის ადგილზე მყარდება სიბნელე, ხოლო იმ ადგილზე, საიდანაც ისინი გაფრინდნენ, რჩება მკვდარი მიწა, სადაც დარჩენილია გაშიშვლებული ღეროები, ვერ დაინახავთ ვერც ერთ ფოთოლს ან ბალახს.

მეცნიერების გაანგარიშებით საშუალოდ ერთ გუნდში არის 2 მილიარდი სარანჩა, რომელიც ფარავს 12 კვადრატულ კილომეტრ ფართობს და იწონის 3 000 ტონას. ასეთი გუნდი დღეში ჭამს 4000 ტონა მწვანე მასას. ამ წონის საკვებით შეიძლება 1 დღის გამოკვებო 1 მილიონი ადამიანი. ერთხელ მაროკოში სარანჩის გუნდმა 1 საათში გაანადგურა 60 ტონა ფორთოხალი.

## სარანჩისგან განადგურებული ნათესები

– ისტორიული მონაცემებით ჩვენ დრომდე მოაღწია ცნობებმა, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 125 წელს, სარანჩამ გაანადგურა ყველა ნათესი ნუმიდიაში და კირენაიკში, ხოლო დამდგარმა შიმშილობამ იმსხვერპლა 800000 ადამიანი.

## შიმშილობა ბაღდადში

– 944 წლის გაზაფხულზე ბაღდადის ცაში გამოჩნდა სარანჩის ვეებერთელა ღრუბლები, რომლებმაც დაფარა მზე. სარანჩის გუნდებმა გაანადგურა ყველაფერი, რისი ჭამაც შეიძლებოდა. ამას მოჰყვა შიმშილობა და ავადმყოფობა.

## სარანჩა ეთიოპიაში

– 1958 წელს ეთიოპიაში სარანჩის გუნდის შემოსევის შედეგად, შიმშილისგან სიკვდილის ზღვრამდე მივიდა 1 მილიონი ადამიანი.

1949 წელს აფრიკის ბევრმა რეგიონმა განიცადა სარანჩის შემოსევა, რასაც მოჰყვა ათასობით ადამიანის დაღუპვა და შიმშილობა, ხოლო მატერიალურმა ზარალმა მიაღწია ათობის მილიონ დოლარს.

# 14. შავი ჭირი



შავი ჭირი (чума – რუს.) არის ადამიანის ეპიდემიური ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია შავი ჭირის ბაქტერიისაგან. ახასიათებს ბუნებრივი კერა. გადაეცემა ავადმყოფობა ცხოველებისგან (რწყილების საშუალებით), საჰაერო წვეთოვანი გზებით, ციებით, ინტოქსიკაციით, ბუბონით, პნევმონიით. შავი ჭირი დაარქვეს შავი ვირთხების გამო, რომლებმაც შემოიტანეს ეს საშიში ეპიდემია სხვა ქვეყნიდან და გაავრცელეს.

შავი ჭირი ერთ-ერთი საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც მკურნალობის გარეშე სიკვდილით მთავრდება. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ პირველად ის გაჩნდა ეგვიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში.

XIV საუკუნემდე შავი ჭირის ეპიდემიები ევროპაში, აზიაში, აფრიკაში წარმოიშობოდა ხოლმე 100 წელიწადში ერთხელ. დაღუპულთა რიცხვი ყოველთვის აღწევდა რამდენიმე ათეულ ათასს. რუსეთში პირველი ეპიდემია დაფიქსირდა 1090 წელს.

XIV საუკუნის ნახევარში ევროპა, აზია და აფრიკა დასნებოვნდა შავი ჭირით, რომელიც გადმოედო ინდოჩინეთიდან, სადაც მისგან დაიღუპა 50 მილიონი ადამიანი. მსოფლიოს ჯერ არ ენახა ასეთი საშინელი ეპიდემია. ევროპაში პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა მარსელის ნავსადგურში 1347 წლის დეკემბერში. შავი ჭირი გავრცელდა სწრაფად. მხოლოდ ევროპის ქვეყნებში დაიღუპა 75 მილიონი ადამიანი. საერთოდ კი გაწყდა 300 მილიონი ადამიანი დედამიწაზე.

ისტორიული ჩანაწერების მიხედვით შავი ჭირის ეპიდემია გაჩნდა 1342 წელს ოქროს ურდოს ყაენის თოგარ-თემურის სამფლობელოში, რომელიც იწყებოდა ჩინეთში და ვრცელდებოდა დიდ ტერიტორიაზე. 6 თვის შემდეგ ეპიდემიამ მიაღწია ქალაქ თაბრიზამდე. ადამიანები იღუპებოდნენ საძოვრებზე, ცხენზე ამხედრებულნი. ძლიერმა ქარებმა ეპიდემიის სიმყრალე სხვა ტერიტორიებზეც გადაიტანა. როცა ასეთ მყრალ სუნს ჩაისუნთქავდა ადამიანი ან ცხოველი, რამდენიმე ხანში იღუპებოდნენ. თვითონ ყაენს აუარებელი ჯარისკაცი დაეღუპა. მოკვდა თვითონ ყაენიც და მისი ექვსი შვილი.

ჩინეთიდან შავი ჭირი გავრცელდა მონღოლეთში, შუა აზიის ქვეყნებში, ირანში, თურქეთში და მიაღწია ბაღდადამდე. 1348 წელს ეპიდემიამ მოიცვა ხალიბის ტერიტორია, გავრცელდა სირიაში. იერუსალიმში, დამასკოში დაიღუპა ათი ათასობით ადამიანი. შავმა ჭირმა არ დაინდო არც არაბები და ბედუინები. ღაზეში მხოლოდ ერთ დღეს, აპრილის თვეში დაიღუპა 22 000 ადამიანი. ხალხი კვდებოდა პირდაპირ მინდორში, მიწის ხვნის დროს, ხელში სათესურით, მათთან ერთად საქონელიც.

ასეთი მკაცრი ეპიდემია ადამიანებს ჯერ არ შეყრია. მან მოიცვა თითქმის მთელი დედამიწა — აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, შეეხო ადამიანთა ყველა რასას და ყველანაირ ცოცხალ არსებას, მათ შორის ზღვის ცხოველებს, ფრინველებს და გარეულ ცხოველებს. შავმა ჭირმა მიაღწია აფრიკამდეც, სადაც მიწაზე ეყარა მიცვალებულთა გვამები და ცხოველები. თუ ვინმე დაკლავდა ავადმყოფ ცხოველს, ხორცი გაშავებული იყო და მყრალი სუნი ასდიოდა. ასეთივე მყრალი სუნი ჰქონდა რძეს და ყველს. ეგვიპტეში ყოველდღიურად კვდებოდა 20 000 ადამიანი. ხალხს ჯგუფებად მარხავდნენ (40-50 ადამიანს) ერთ გათხრილ ორმოში. კვდებოდნენ ზღვაში გასული მეთევზეებიც. ეგვიპტეში წლის მოსავლის ასაღებად აღარ კმაროდა მოსახლეობა. კაიროში დაიღუპა ჯარისკაცთა უმრავლესობა, დაცარიელდა ციხე-სიმაგრეები. ქალაქ ალექსანდრიაში ყოველდღე კვდებოდა 200 ადამიანი, დაცარიელდა სავაჭრო მაღაზიები და ბაზრები.

სხვა ისტორიული მონაცემებითაც შავი ჭირი ევროპის ქვეყნებში გავრცელდა აზიიდან, თათარი დამპყრობელი მეომრების შემოსევის შედეგად. კერძოდ, 1347 წელს შავი ზღვის სავაჭრო ნავსადგურის ქალაქ კაფაში (ახლანდელი ფეოდოსია) დაიწყო შავი ჭირის ეპიდემია, რომელიც თათრების ხანის ჯანიბეკ კიპჩაკის სინდისზეა, ვინაიდან მან ალყა შემოარტყა ქალაქს, ხოლო ქალაქში შეუშვა აზიიდან წამოყვანილი შავი ვირთხები, რომლებმაც გააავრცელეს ეპიდემია მოსახლეობაში. მაგრამ ეპიდემია გავრცელდა ხანის არმიაშიც, გაბოროტებულმა ხანმა გასცა ბრძანება, რომ შავი ჭირით მკვდარი მეომრების სხეული ქალაქის ქუჩებში დაეყარათ. ხანის ათასობით მკვდარი მეომრების სხეული ჩაყარეს ზღვაში. იმ პერიოდში ნავსადგურში იდგა იტალიის გემები, რომლებიც სავაჭროდ იყვნენ აქ, მაგრამ ქალაქში რომ ვერ შევიდნენ, გაცურეს უკან იტალიაში, კერძოდ, გენუაში. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ იტალიის გემებზე წყალში ჩაშვებული ღუზებიდან აცოცდნენ ვირთხები და გააავრცელა ეპიდემია. ეს გემები

შეეიდნენ სიცილიის, სარდინიის და კორსიკის ნავსადგურებში, სადაც გავრცელდა ყირიმის ნახევარკუნძულიდან წამოღებული შავი ჭირი. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ შავი ჭირი მოედო მთელი იტალიის მოსახლეობას. განსაკუთრებით ეპიდემია მძვინვარებდა ფლორენციაში, რაც შესანიშნავად აღწერა ჯოვანი ბოკაჩომ რომანში „დეკამერონი“. ექვს თვეში დაიღუპა ფლორენციის თითქმის ნახევარი მოსახლეობა.

იტალიიდან შავი ჭირი გავრცელდა საფრანგეთში, კერძოდ, სანავსადგურო ქალაქ მარსელიდან, სადაც რამდენიმე თვეში დაიღუპა 56 000 ადამიანი. ეპიდემიამ რამდენიმე ხნით შეაჩერა ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომი, რომელმაც გაცილებით უფრო მეტი მსხვერპლი გამოიწვია, ვიდრე ჯარების პირდაპირმა შეტაკებებმა.

1348 წელს შავმა ჭირმა მიაღწია გერმანიასა და ავსტრიაში. ქალაქ ვენიდან ყოველდღე ქალაქგარეთ გაჰქონდათ ასობით მკვდარი. 1349 წელს ეპიდემია შეეიდა ინგლისის ტერიტორიაზე. მარტო ლონდონში დაიღუპა მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ცნობილმა მეცნიერმა ისაკ ნიუტონმა თავს უშველა სოფელში წასვლით.

მაშინდელმა ექიმებმა და სპეციალისტებმა ვერ გამოიგონეს შავი ჭირის საწინააღმდეგო საშუალებები, პირიქით, თვითონ ექიმებიც იღუპებოდნენ. ხალხში წარმოიშვა აზრი, რომ ეპიდემიის გამავრცელებლები იყვნენ ლტოლვილები და მათი მსგავსი მოხეტიალე უსახლკარო ადამიანები. ამიტომ მოსახლეობის დაუნდობელი რისხვა მათ დაატყდა თავს, სდევნიდნენ, ხოცავდნენ და ორმოებში მარხავდნენ.

მოგვიანებით მოსახლეობაში გავრცელდა ხმები, რომ შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების მიზეზი არიან ებრაელები, რომლებმაც იძიეს შური მათი პალესტინიდან გაძევების გამო, რომ ისინი იყვნენ ანტიქრისტეები, რომ ისინი სვამენ ახალშობილთა სისხლს და წამლავენ ჭებში წყალს. ახლა მოსახლეობა დაერია ებრაელებს. მაგალითად გერმანიაში მათზე დაიწყეს ნადირობა. წვავდნენ ებრაელების სახლებს, მაშინ როცა ისინი შიგნით იყვნენ და გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. მათ ყრიდნენ დიდ კასრებში, ხურავდნენ თავს და აგდებდნენ მდინარე რეინში, აგზავნიდნენ ციხეებში, ტივებზე ყრიდნენ ხელფეხშეკრულებს და ატანდნენ მდინარეს. მაგრამ ასეთი ქმედებებით ეპიდემია არ შენელებულა.

შავი ჭირის ეპიდემია გადაედო პოლონეთს და რუსეთს. საკმარისია გავიხსენოთ ვაგანკოვის სასაფლაო მოსკოვში, რომელიც მაშინდელ სოფელ ვაგანკოვოში გაიხსნა შავი ჭირისაგან დაღუპული ადამიანების დასამარხად. მკვდრებს ჯგუფურად მარხავდნენ, გაიხ-

რილ ორმოებში. რუსეთის მკაცრი ზამთრის კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუშალა ამ საშინელი სენის გავრცელებას ქვეყანაში.

მხოლოდ ახალი ანტისეპტიკური სამკურნალო წამლების და ანტიბაქტერიული საშუალებების გამოგონების შემდეგ (XIX საუკუნის დასაწყისი) ევროპა განთავისუფლდა ამ საშინელი ჭირისაგან. მაგრამ ჩინეთსა და ინდოეთში 1898-1908 წლებში ბუბონის შავი ჭირისაგან დაიღუპა 3 მილიონი ადამიანი, 1909-1918 წლებში 1.5 მილიონი, 1920 წელს 2 მილიონი. 1935 წელს უგანდაში (აფრიკა) დაიღუპა მხოლოდ 2000 ადამიანი.

## 15. მეტეორიტები



კოსმოსიდან დედამიწის ზედაპირზე ცვივა აურებელი რაოდენობის არამიწიერი ნივთიერებები. მარტო კოსმოსური მტვერი ცვივა დედამიწაზე ყოველწლიურად დაახლოებით ერთი მილიონი ტონა, ხოლო მცირე ზომის მეტეორიტები, რამდენიმე გრამიდან ერთ კილოგრამამდე წონის, ვარდება დაახლოებით 1000 ცალი. შორეულ წარსულში ღამ-ღამობით ცაში გაელვებულ და სწრაფად ჩამქრალ საგნებს, ადამიანები უწოდებდნენ „ჩამოვარდნილ ვარსკვლავებს“, „ცის ქვებს“.

ხანდახან ცაში მეტეორიტის უკან მოჩანს არა გრძელი ელვარე ხაზი, არამედ ფართო ცეცხლის კვალი, რომელსაც აქვს ელვარე თავი და მოკლე კუდი. ასეთი მოვლენები ადამიანებში იწვევდა გაკვირვებას, შიშს, ბადებდა მათში ღმერთების მრისხანების წინაშე თავზარდამცემ ცრურწმენას, ვითომ ღმერთები დასასჯელად მიწაზე ყრიდნენ ქვებს. ამიტომ ჩამოვარდნილი მეტეორიტი („ქვა“) ხდებოდა თაყვანსაცემ საგნად. მას უვლიდნენ და ინახავდნენ, როგორც სიმდიდრის და სიძლიერის ნიშანს.

856 წლის დეკემბერში ეგვიპტეში, სუეცში ციდან ჩამოვარდა 5 მეტეორიტი. ერთი მათგანი დაეცა ბედუინის ქოხს და დაწვა ის. ერთი იწონიდა 4 კილოგრამზე მეტს. ოთხი მეტეორიტი მიიტანეს კაიროში, ხოლო ერთი ტინისში.

1946 წელს აშშ არიზონის შტატში ერთ-ერთ ფერმას დაეცა 10 სანტიმეტრი სიდიდის მეტეორიტი, ჩატეხა სახურავი და მოხვდა იქ მყოფ ქალს გვერდზე და დაუტოვა დალურჯებული ადგილი.

1990 წლის აპრილში ჰოლანდიის ქალაქ ენსჰედეში სახლზე დაეცა

მეტეორიტი. ბევრმა გაიგონა ხმა და დაინახა განათებული კვალი. კომისიამ ნახა სახურავზე 30 სანტიმეტრი დიამეტრის ხვრელი, ხოლო მეორე ხვრელი იყო საძინებელი ოთახის ჭერში.

ციდან ჩამოცვენილი ნაწილაკები დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლის მომენტში იწვის... მათ ადამიანები უწოდებენ ვარსკვლავის ვარდნას, ჩაიფიქრებენ სურვილს, სანამ არ ჩაქრება ზეციდან ჩამოვარდნილი სხეული.

კანადაში კვებეკთან ახლოს, 210 მილიონი წლის წინ ჩამოვარდა მეტეორიტი, რომელმაც ჩვენს საუკუნეში მიიღო სახელწოდება „ლიუციფერი“. ამ მეტეორიტმა მაშინ გაანადგურა მთელი ფლორა და ფაუნა ასობით კილომეტრის მანძილზე. ახლაც კარგად არის გამოკვეთილი 64 კილომეტრი დიამეტრის კრატერი.

გერმანიაში არის 25 კმ დიამეტრის კრატერი, რომელიც წარმოქმნა ჩამოვარდნილმა მეტეორიტმა, მან მიიღო სახელწოდება „ნორდიული გიგანტი“. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აქ მრავალი მილიონი წლის წინათ მეტეორის ჩამოვარდნამ გამოიწვია აფეთქება, რომელიც 20000-ჯერ უფრო დამანგრეველი ძალის იყო, ვიდრე 1945 წელს ხიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბი.

1930 წელს ბრაზილიაში მდინარე ამაზონის ჯუნგლებში ჩამოვარდა სამი ცეცხლმოკიდებული სფერო. ამას მოჰყვა სამი აფეთქება და ცაში ავარდა ვეებერთელა მტვრის ღრუბელი.

1947 წლის 12 თებერვალს რუსეთის ზღვისპირეთის მხარეს, კერძოდ, სიხოტე-ალინის ქედის კალთაზე, მხატვარი პ.ი. მედვედევი ხატავდა პეიზაჟს. უეცრად 10 საათსა და 38 წუთზე ჩრდილოეთის მხრიდან ცაში გამოჩნდა ელვარე „ვარსკვლავი“, რომელიც სწრაფად მოძრაობდა ცაზე. შემდეგ ის გარდაიქმნა თვალისმომჭრელ კაშკაშა ცეცხლოვან სფეროდ, შემდეგ დაგრძელდა, დატოვა უკან კვალი და მიიმალა სოპკების იქით. რამდენიმე წუთის შემდეგ, სოპკების მხრიდან გაისმა ძლიერი დარტყმის ხმა. მხატვარი მიხვდა, რომ ის გახდა მეტეორიტის ჩამოვარდნის მოწმე.

მსხვერპლის გარეშე მეტეორიტების ჩამოვარდნა ციდან, არ ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობა მთლიანად დაცულია მეტეორიტების მხრიდან საშიშროებისაგან. 1989 წლის მარტში 70000 კმ საათში სიჩქარით დედამიწას ახლოს ჩაუქროლა ვეებერთელა მეტეორიტმა. მას ჰქონდა სასწაულებრივი დამანგრეველი ძალა. ის რომ დაცემულიყო დედამიწაზე, წარმოიქმნებოდა 15 კმ დიამეტრის კრატერი და გამოიწვევდა საშინელ უბედურებებს.

1908 წლის ზაფხულში რუსეთში მდინარე ენისეის შენაკად მდინარე ტუნგუსის მიდამოებში, ჩამოვარდა დიდი ზომის მეტეორიტი. მას შემდეგ

გაეიდა თითქმის ასი წელი. მაგრამ ამ მოვლენის ინტერესი არ შენელებულა.

ეს მოხდა 30 ივნისს, დილის 7 საათზე. დაახლოებით 30 წამის მანძილზე ადგილობრივი მოსახლეობა აკვირდებოდა თვალისმომჭრელ კაშკაშა ბოლიდს, რომელიც მოძრაობდა ცაზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მისი დანახვა შეიძლებოდა 800 კილომეტრის მანძილიდან. ის ცაზე ტოვებდა ძლიერი მტვრის კვალს, რომელიც შენარჩუნებული იყო რამდენიმე საათის მანძილზე. სინათლის მოვლენების შემდეგ გაისმა უძლიერესი აფეთქების ხმა, რომელიც გაიგონეს ირგვლივ ათასი კილომეტრის მოშორებით. მრავალ დასახლებულ ადგილში იგრძნობოდა ნიადაგის რყევა, დაინგრა შენობა-ნაგებობები, ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები, თაროებიდან ჩამოვარდა საგნები. მრავალი ადამიანი და ცხოველი წააქცია ჰაერის ტალღამ. ირკუტსკში სეისმოგრაფებმა დააფიქსირეს სეისმური ტალღები.

მთელი სამყარო გაოცებული იყო. ყველას აინტერესებდა თუ რა მოხდა. საბედნიეროდ, ეს მოხდა უკაცრიელ ადგილებში და ხალხი არ დაღუპულა. ახლოს მცხოვრები მომთაბარე ევენკის ტომები შეშინდნენ, მათი ზოგიერთი სოფლის სახლები დაინგრა, ტაიგაში გაჩნდა ხანძარი, დაიღუპა ათასობით ცხოველი.

თვითმხილველების მონათხრობით, აფეთქების შედეგად ასი კილომეტრის მანძილზე იგრძნობოდა სიცხე. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს მათ ტანზე ცეცხლი მოეკიდა. თვითმხილველებმა დაინახეს, გიგანტური ცეცხლოვანი ბურთი, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა ჰორიზონტზე, ასევე მოულოდნელად გარდაიქმნა ანთებულ სვეტად, რომელიც შემდეგ გაიჭიმა 20 კილომეტრის სიმაღლეზე და რამდენიმე წამის შემდეგ გაქრა. ამის შემდეგ ამ მიმართულებით დაინახეს კვამლი. ხოლო როცა ის გაიფანტა, მის ადგილზე წარმოიქმნა ვეებერთელა ღრუბელი.

მაშინ ტაიგაში ტყე იყო წაქცეული რამდენიმე ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობზე. იქ გაჩნდა გიგანტური ხანძარი. საშინელი უბედურება მოხდებოდა ეს რომ ყოფილიყო ევროპაში, მჭიდროდ დასახლებულ ადგილზე. მეცნიერების გაანგარიშებით ტუნგუსის მეტეორიტის აფეთქების ენერგია, ტოლი იყო ათეული მეგატონის მქონე წყალბადის ბომბის აფეთქებისა. აფეთქების ტალღამ ტაიგაში ტყე დააწვინა 3885 კვადრატულ კილომეტრის ფართობზე. ხეები დაწოლილი იყო წრიულად 60 კილომეტრის დიამეტრზე. ეს გამოარკვია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციამ ლ.ა. კულიკის ხელმძღვანელობით 1927 წელს.

ტუნგუსის მეტეორიტის შესახებ არსებობს მრავალი ჰიპოთეზა,

მაგრამ სრული ახსნა ამ მოვლენის შესახებ არ არსებობს. რადგომლაც ტუნგუსის ციურ სტუმარს უწოდებენ მეტეორიტს. ხოლო თანამედროვე მეცნიერების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ 1908 წლის 30 ივნისს ჩვენ პლანეტას დაეჯახა კომეტა. აქამდე არ არის ნანახი არც ერთი გრამი კოსმოსური ნივთიერებისა, რომლის მიხედვით შეიძლებოდა დარწმუნებით თქმა, რომ: „აი, ტუნგუსის მეტეორიტის ნატეხი". ათზე მეტმა ექსპედიციამ დაიწყო დაკვირვებები გაფხულობში, მაგრამ ყველა ცარიელი ხელებით დაბრუნდა შემოდგომაზე.

მეტეორიტების ბუნებრივი შემადგენლობა ამჟამად კარგად არის ცნობილი. ისინი დაყოფილია 3 ჯგუფად: რკინის, ქვა-რკინის და ქვის. მათ ზომებით: რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე მეტრამდე. ნაპოვნ მეტეორიტებს შორის ყველაზე დიდი ზომის რკინის მეტეორიტია „გობა", რომელიც აღმოაჩინეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში და იწონის 60 ტონას. ცნობილია ასევე მათი „მოქცევა", დედამიწასთან დაჯახების დროს — ისინი ჯერ გააპობენ პლანეტის ატმოსფეროს, შემდეგ ჩაერჭობიან დედამიწის ზედაპირში და წარმოქმნიან კრატერს.

მაგრამ ტუნგუსის კოსმოსური სხეული მოიქცა სხვანაირად — მან დაასრულა თავისი არსებობა დედამიწიდან 5-10 კილომეტრის მანძილზე, სადაც წარმოიქმნა უდიდესი მიწისზედა აფეთქება, რომელიც გარეგანი პარამეტრებით ძალიან წააგავდა ბირთვულ აფეთქებას, რომელმაც გამოიწვია მაშინ ძლიერი მაგნიტური გრიგალი, რომელიც გაგრძელდა ოთხ საათს.

1986 წელს დედამიწას მიუახლოვდა გალეას კომეტა. კოსმოსურმა ხელსაწყოებმა გონდირება გაუკეთეს კომეტას და კაცობრიობას მიაწოდეს უნიკალური მონაცემები. აღმოჩნდა, რომ კომეტის ბირთვის ნივთიერების შემადგენლობა და ტუნგუსის სხეულის შემადგენლობა მრავალი კომპონენტით ერთმანეთს დაემთხვა. მაგრამ დარწმუნებით არაფრის მტკიცება არ შეიძლება, იმიტომ, რომ კატასტროფის რაიონში ნაპოვნია დიდი რაოდენობით კოსმოსური ნივთიერებების ნაირსახეობა, მაგრამ შეუძლებელია იმის გაგება, განეკუთვნება ისინი ტუნგუსის „მეტეორიტს" თუ არა.

მოპოვებული სამეცნიერო მასალებით შეიძლება იქნეს გამოტანილი დასკვნა, რომ ტუნგუსის კატასტროფის მიზეზი იყო კოსმოსური სხეული, რომელიც აფეთქდა დედამიწის ზედაპირიდან 10 კმ სიმაღლეზე და მისი სიმძლავრე იყო დაახლოებით 10 მეგატონიანი წყალბადის ბომბის ტოლი. აფეთქების მიზეზი, როგორი ბირთვული გარდაქმნის ტიპი იყო და რას წარმოადგენდა ტუნგუსის სხეული, ეს არის მეცნიერების დავის თემა. ერთმნიშვნელოვანი პასუხი დღეისათვის ამ ფენომენის შესახებ არ არსებობს.

# ნაწილი II
# ტექნოგენური კატასტროფები

## 1. გადამწვარი ქალაქები
### ხანძარი ჩიკაგოში



ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჩიკაგოში 1871 წლის 8 ოქტომბერს საღამოს მოხდა უდიდესი ხანძარი. მაშინ ჩიკაგოში ცხოვრობდა 300 000 ადამიანი. ქალაქში ძირითადად აგებული იყო ხის სახლები, ამას გარდა, რესტორნები, კაფეები, მაღაზიები. ჯიხურები ასევე იაფი და მსუბუქი ხის მასალისაგან იყო აგებული. ხანძარი გაჩნდა ქალაქის განაპირა უბანში, რომელიც ამოვარდნილი ქარის საშუალებით სწრაფად გავრცელდა მთელ ქალაქში. ხანძარმა გაანადგურა ქვის კედლებიანი შენობებიც, კერძოდ, ბანკები, სასტუმროები და ქალაქის სიამაყე ოპერის თეატრიც. მეხანძრეებმა ვერ შეძლეს ხანძრის ჩაქრობა ან შეჩერება. ისინი ცდილობდნენ, ხანძრის მოწყვეტას, რომ არ მიეცათ მისთვის გავრცელების საშუალება, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. ცეცხლმოკიდებული შენობიდან სწრაფად გადაჰქონდა ნაპერწკლები, ფერფლი და ალი სხვა შენობებზე და ასე ვრცელდებოდა სახლიდან – სახლზე, ქუჩიდან – ქუჩაზე. გაანგარიშების შედეგად, დაადგინეს, რომ ხანძრის გავრცელების სიჩქარე იყო ადამიანის ფეხით სიარულის სიჩქარის ტოლი. ერთი შენობა მთლიანად იწვოდა 5-10 წუთში. ნაციონალური ბანკი აგებული იყო ქვის, რკინის და მინისაგან, ის ითვლებოდა არა ხანძარ საშიშად, მაგრამ ისიც ხუთ წუთში დაიწვა. ხანძარი გავრცელდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და მიაღწია მიჩიგანის ტბამდე. მართალია დაღუპულთა რიცხვი არ იყო დიდი, მაგრამ 100 000 ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. ცხრა კვადრატული კილომეტრის ფართობზე დარჩა მხოლოდ კვამლში გახვეული გაშავებული ქვის ნანგრევები. საერთო ზარალმა მიაღწია 190 მილიონ დოლარს. დაიღუპა 290 ადამიანი.

საყოველთაოდ ცნობილი ჩიკაგოს ხანძრის შესახებ გამოქვეყნებული იყო პრესაში, დაიწერა წიგნები და გადაიღეს კინოფილმიც

„ძველ ჩიკაგოში". ყველგან ხანძრის გაჩენის მიზეზად ითვლებოდა ქალბატონ პატრიკა ოლირის ფერმის ძროხა, რომელმაც რქები მოახვედრა ნავთის ლამპას, დამსხვრეული ლამპისგან ცეცხლი გაჩნდა ფერმაში, საიდანაც გავრცელდა ქალაქში. ოლირი სასამართლოში უარყოფდა ბრალდებას, მაგრამ მას დააბრალეს იმიტომ, რომ მის სახლს ხანძარი არ გაუჩნდა და გადარჩა დაწვას.

მაგრამ ჩიკაგოს ხანძრის გაჩენის შესახებ არსებობს ნამდვილი მიზეზი, რომელიც ამ წიგნის ავტორმა წაიკითხა, როდესაც წერდა წიგნს აზარტული თამაშების წესებზე. კერძოდ, ამერიკელი მწერლის ალან ვაიკსის წიგნში „აზარტული თამაშების ენციკლოპედია" 104-ე გვერდზე წერია: „1871 წლის 8 ოქტომბერს საღამოს, ლუის კონი მეგობრების კამპანიაში ერთობოდა „კრეპსის" თამაშით ქალბატონ ოლირის ბეღელში. მან აზარტში შესულმა გააქნია ხელი და შემთხვევით მოახვედრა ლამპას. მინა გატყდა და რამდენიმე წამში ბეღელი აღმოჩნდა ცეცხლის ალში, ხოლო შემდეგ გავრცელდა მთელ ქალაქში. პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, „კრეპსის" მოთამაშეები მაშინვე შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ ვითომ ხანძარი გააჩინა ოლირის ფერმის ძროხამ". ასე ითვლებოდა ეს უბედური შემთხვევა 1944 წლამდე, როდესაც ლუის კონის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის დოკუმენტებში წაიკითხეს მისი ხელით დაწერილი წერილი, რომელმაც ნათელი მოჰფინა ჩიკაგოს ხანძრის გამომწვევ ნამდვილ მიზეზს.

*შენიშვნა: „კრეპსი" არის აზარტული საბანკო თამაში კამათლებით. იგი აკრძალული იყო ამერიკაში 1931 წლამდე. ამჟამად „კრეპსს" თამაშობენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის კაზინოებში (ავტორი მ.ლ.).*

## იმპერატორ ნერონის მიერ გადამწვარი რომი

ქრისტეს შობიდან 64 წლის ივლისში ქალაქ რომში 6 დღე-ღამის განმავლობაში მძვინვარებდა ხანძარი. ფერფლად იქცა რომის იმპერიის დედაქალაქი. ცეცხლის ალში დაიწვა სასახლეები, ტაძრები, აბანოები, საჯინიბოები, იმპერატორების და ღმერთების ძეგლები, ღარიბი ადამიანების ქოხები, მხედართმთავრების სახლები, რომაელების ყველა ღირსშესანიშნაობა. რომის 14 ნაწილიდან – 3 მთლიანად დაიფერფლა, 7 ნაწილში გადარჩა მხოლოდ გაშავებული კედლები და მხოლოდ ქალაქის 4 ნაწილი დაინდო ცეცხლმა. მაშინდელი ქრონიკის მონაცემებით არ არის შემონახული დაღუპული ადამიანების რაოდენობა.

არსებობს მრავალი ვერსია, რომ ქალაქს ხანძარი გაუჩინა მაშინდელმა იმპერატორმა ნერონმა. მაგალითად, უძველესი დროის რომაელი მწერალი, ავტორი ცნობილი წიგნის „12 ცეზარის ცხოვრება", გაი სვეტონი ამტკიცებდა, რომ რომს ხანძარი გაუჩინა ნერონმა, რომელსაც არ ეცოდებოდა არც თავისი ხალხი და არც თავისი სამშობლო. ის ავიდა მეცენატების კოშკზე და იქიდან სიამოვნებით უმზერდა ცეცხლმოდებულ ქალაქს. ის ქალაქში დაბრუნდა მაშინ, როცა ხანძარი მიუახლოვდა მის რეზიდენციას. თუ დავუჯერებთ მხილველთა ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს, ნერონი იყო გახარებული, აღფრთოვანებული სანახაობით, გამოეწყო თეატრალურ ტანსაცმელში, თავზე ეხურა გვირგვინი, ხელში ეკავა ქნარი და მღეროდა „ტროის მარცხს". ამავე ვერსიას ეყრდნობიან პოლონელი მწერალი ჰენრიხ სენკევიჩი რომანში „კამო გრიადეში", გერმანელი მწერალი ლიონ ფეიხცვანგერი რომანში „ცრუ ნერონი" და რუსი ისტორიკოსი ა.ვ. ამფითეატროვი ოთხტომეულში „მხეცი უფსკრულიდან".

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ რომაელები აბუნტდნენ, ხანძრის გამჩაღებლებად გამოაცხადეს ახლად წარმოქმნილი რელიგიური სექტა — „ქრისტიანები" და მრავალი მათგანი მოკლეს ცირკის არენაზე.

## ხანძრები მოსკოვში

თავისი არსებობის მანძილზე ქალაქი მოსკოვი მრავალჯერ იყო გახვეული ცეცხლის ალში. ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ 1365 წელს მოსკოვის ახლომახლო ადგილებში იყო საშინელი გვალვა. ამოშრა ყველა ჭაობი, დაშრა წყაროები, მიწა გამაგრდა და დასკდა. კრემლიდან დასავლეთით ყოვლად წმინდას ეკლესიაში დავარდნილი ანთებული სანთელიდან ხანძარი გაჩნდა, რის გამო მთლიანად დაიწვა ეკლესია, ხანძარი სწრაფად მოედო ახლომდებარე ქოხებს, ხის სახლებს, ქარმა ცეცხლი გაავრცელა დიდ მანძილზე. ერთ ადგილზე რომ აქრობდნენ ცეცხლს, ათ სხვა ადგილზე კვლავ ჩნდებოდა. ცეცხლის ალი მოედო კრემლის ხის კედლებს. ორ საათში მთლიანად დაიწვა კრემლი მისი კოშკებით და ბაღით. ასეთი უბედურების შემდეგ მაშინდელმა რუსეთის მეფე დიმიტრიმ გადაწყვიტა კრემლისთვის ქვის ღობე გაეკეთებინა, რომელიც გაუძლებდა ხანძარს. მაგრამ 1493 წელს ხანძარმა კვლავ დაწვა ქალაქ მოსკოვის დიდი ნაწილი, მათ შორის დაიწვა კრემლი და მისი დარბაზები. მაშინ მეფემ რუსეთში პირველად გამოსცა ხანძრის საწინააღმდეგო წესები.

მაგრამ ხანძრები კვლავ ემუქრებოდა მოსკოვს. 1547 წელს აქ

მომხდარმა ხანძარმა გაანადგურა „Китай-город“ (რუს.) მდინარე მოსკოვის სანაპიროდან ნიკოლსკის ქუჩამდე, ხოლო „Гостином дворе“ (რუს.) დაიწვა 2000 სათავსო. მრავალი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. დაიწვა ნიკოლსკის და ბოგოიაველინსკის ტაძრები და სხვა მრავალი ხისგან აშენებული ეკლესიები. ადამიანები ჯერ გონს არ იყვნენ მოსულები, რომ 3 დღის შემდეგ კვლავ გაჩნდა ხანძარი. ამჯერად დაიწვა 800 სახლი და 5000 ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

ამავე წლის 21 ივნისს მოსკოვის ერთ-ერთ ეკლესიაში სანთლისგან კვლავ გაჩნდა ხანძარი. მაშინ იყო საშინელი გვალვა და ქარმა ადვილად გაავრცელა ცეცხლი შორ მანძილზე. ცეცხლი გადაეკვრა კრემლის კედლებს და მეფის საჯინიბოები გაეხვია ცეცხლის ალში. აქედან ცეცხლი გავრცელდა კრემლის დარბაზებშიც. დაიწვა თითქმის მთელი ქალაქი: ტაძრები, ეკლესიები, ეზოები. დაიწვა რუსეთის მეფის მთელი ძვირფასეულობა. დაიწვა მოწყალების ეკლესია თავადების ეზოში, მიტროპოლიტის სახლი, სასწაულების მონასტერი, სადაც გაიგუდა და დაიწვა 56 ადამიანი. მთლიანად დაიწვა ნარგავები. სახლები დაიწვა ვოლხონსკის, არბატის, ვოზდვიჟენსკის, ნიკიტსკის, ლეონტიევსკის და ტვერის ქუჩებზე. არაფერი არ ჩანდა კვამლის, გაშავებული მიწის და მკედრების გარდა.

ცნობილია, ასევე, რომ 1812 წელს როდესაც საფრანგეთის მაშინდელი იმპერატორი ნაპოლეონი თავისი არმიით მიადგა ქალაქ მოსკოვს, რუსეთის არმიის მაშინდელმა სარდალმა მიხეილ კუტუზოვმა ქალაქიდან გაიყვანა მოსახლეობა, დატოვა მოსკოვი და ცეცხლი წაუკიდა ქალაქს, რის შედეგად ქალაქში დაიწვა თითქმის ყველა ხის შენობა. ეს ისტორიული მოვლენა მშვენივრად აღწერა რუსეთის არმიის ყოფილმა ოფიცერმა და შემდეგში მწერალმა დანილევსკიმ რომანში „Ñîææåííàÿ Ìîñêâà (რუს.) უკაცრიელ ქალაქში ნაპოლეონი დიდხანს არ გაჩერებულა, ვინაიდან შეუძლებელი გახდა არმიის გამოკვება, თვითონ ნაპოლეონის დანაყრებაც ვერ შეძლეს, რადგან მთელ ქალაქში ქათამიც კი ვერ ნახეს მისმა მსახურებმა.

## ხაბაზის მიერ დაგამწვარი ლონდონი

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ ლონდონის ცენტრში ბრიჯის და ტაუერს შორის ხაბაზ ჯონი ფარინორს ჰქონდა პურის საცხობი. მისი კულინარიული პროდუქციით კმაყოფილი იყვნენ ლონდონელები. 5 წლის მანძილზე ის იმყოფებოდა მეფე კარლო II-ის სამსახურში და მეფის კარს ამარაგებდა პურით, ფუნთუშით, კრენდელით, კექსით და ლევზელით.



1666 წლის 1 სექტემბერს ის გვიან ღამემდე ემსახურებოდა პურის საცხობის ღუმელს და ძალიან დაიღალა. მას ეხუჭებოდა თვალები, ეძინებოდა. ვერ გაუძლო დაღლილობას და გადაწყვიტა ცოტა წაეძინა, ხოლო დილით ადრე კვლავ გაეგრძელებინა ღუმელთან მუშაობა. ის ავიდა იმავე შენობის მეორე სართულზე თავის ბინაში და მკვდარივით დაეძინა. ღუმელში დარჩენილი ცეცხლის ნაკვერჩხალი დაცვივდა ხმელი ფიცრის იატაკზე და სწრაფად გაჩნდა ხანძარი, რომელიც ასევე სწრაფად მოედო გვერდით ეზოში თივის ზვინს, ხოლო აქედან ქარის მიერ გადაედო სხვა ხის შენობებს. რამდენიმე წუთში პადინგ-ლეინის ქუჩაზე ცეცხლში იწვოდა რამდენიმე სახლი.

ხაბაზი ჯონი ფარინორი გააღვიძეს მსახურებმა, მაგრამ პირველ სართულზე ისეთი ძლიერი ხანძარი იყო გაჩაღებული, რომ მან მხოლოდ ოჯახის წევრების გადარჩენა შეძლო და გარედან შორი მანძილიდან უმზერდა მძვინვარე ხანძარს.

ხანძარი სწრაფად გავრცელდა მეზობელ სახლებზე და სხვა კვარტალებში და შუა დღისთვის მიაღწია მდინარე ტემზამდე. მაშინვე ცეცხლი მოედო სანაპიროზე განლაგებულ ქვანახშირს და ხე-ტყის საწყობებს. აფეთქდა სპირტის, კონიაკის და ღვინის კასრები. ხანძარი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ მისი ჩაქრობა შეუძლებელი გახდა.

ჯოჯოხეთური ხანძარი მძვინვარებდა კვირადღიდან ოთხშაბათამდე. დაიწვა 13200 სახლი, 80 ეკლესია და მრავალი საზოგადოებრივი შენობა, განადგურდა ბაღები და ხეივნები. დაიწვა მაღაზიები და დუქნები ლონდონის ხიდზე, აქედან ნაპერწკალი და ფერფლი ქარმა გადააფრინა მდინარის მეორე ნაპირზე, საიდანაც გავრცელდა ხანძარი ქალაქის სხვა რაიონებში. ფერფლად იქცა რატუშა და სამეფო ბირჟა – ლონდონის საფინანსო ცენტრი. დაიწვა წმინდა პავლეს ტაძარი. კვამლი ფარავდა მზეს. ეს იყო საშინელი სანახაობა.

ოთხშაბათ საღამოს ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. ინგლისის მეფემ მეხანძრეებს უბრძანა ცეცხლის გზაზე დაენგრიათ სახლები, რათა სხვაგან აღარ გავრცელებულიყო. მაგრამ ლონდონი ბოლავდა კიდევ რამდენიმე კვირას, რადგან სარდაფები იწვოდა. 200 000 ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

შემორჩენილია ძველი თქმულება, რომ ხანძარმა მთლიანად მოსპო 1665 წლის შავი ჭირის კვალი ლონდონში. მართალია ამ ხანძარს ადამიანების დიდი მსხვერპლი არ მოუტანია, რადგან მათ გაქცევით უშველეს თავს, მაგრამ ვინაიდან ქალაქს ხანძარმა მიაყენა უდიდესი ზარალი და ზიანი, ამ უბედურების მოსაგონებლად ქალაქში ააგეს 202 ფუტის (1 ფუტი=30 სმ) სიმაღლის სვეტი, რომლის შიგნით მოწყობილია თეთრი მარმარილოს 345 საფეხურიანი კიბე. სვეტზე აღწერილია ამ ხანძრის მონაცემები.

ინგლისელებმა გააუმჯობესეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მაგრამ 1834 წელს კვლავ მოხდა ხანძარი, თანაც ვერ გადაარჩინეს პარლამენტის შენობაც.

## დამწვარი ქალაქების მოკლე მიმოხილვა

1491 წელს ქალაქ დრეზდენში გაჩაღებულმა ხანძარმა გაანადგურა მთელი ქალაქი.

1624 წელს ხანძარმა დაწვა ქალაქი ოსლო.

1728 წელს ხანძრისგან ფერფლად იქცა ქალაქი კოპენჰაგენი.

1835 წელს ქალაქ ნიუ-იორკში დაიწვა 700 შენობა, ზარალმა შეადგინა 20 მილიონი დოლარი.

1842 წელს ხანძარმა გაანადგურა ჰამბურგის უდიდესი ნაწილი – ზარალმა შეადგინა 100 000 მარკა.

1843 წელს ამერიკის ქალაქ პიტსბურგში ხანძარმა ფერფლად აქცია 1000 სახლზე მეტი.

1866 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანძარმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ქალაქი პორტლენდი.

1866 წელს კანადაში ქალაქ კვებეკში ხანძრისგან დაიწვა 2500 შენობა.

1872 წელს ქალაქ ბოსტონში დაიწვა 600-ზე მეტი შენობა. მატერიალურმა ზარალმა მიაღწია 75 მილიონ დოლარს.

1837 წლის 17 დეკემბერს ქალაქ სანკტ-პეტერბურგში დაიწვა ზამთრის სასახლე.

1917 წლის 2 მაისს რუსეთის ქალაქ ბარნაულში დაიწვა 40 კვარტალი. 3120 ოჯახი დარჩა უსახლკაროდ. დაიღუპა 300-ზე მეტი ადამიანი.

XIX საუკუნის დასაწყისში მრავალ სახელმწიფოში დააკანონეს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, გამოიგონეს ხანძრის ჩასაქრობი მოწყობილობები, მანქანა-მექანიზმები, სიგნალიზაცია,

აუცილებელი საშუალებები, შექმნეს მეხანძრეთა რაზმების სამსახური და სხვა. მიღებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა წარმოქმნილი ხანძრის სწრაფი ლოკალიზება და აღარ მომხდარა ქალაქების მთლიანად დაწვის შემთხვევები. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მშენებლობის ახალ პროექტებში, სამშენებლო ნორმებსა და წესებში გაითვალისწინეს ხანძრისგან დაცვის ღონისძიებები.

## ხანძარი ციხეში

ჰონდურასის ციხეში 2004 წლის 17 მაისს გაჩნდა ხანძარი, რომელიც გამოიწვია ელექტროგაყვანილობის მოკლე ჩართვამ. ხანძარი სწრაფად გავრცელდა ციხის საკნებში. ხანძარის სწრაფად ჩაქრობა გახდა შეუძლებელი, ამიტომ დაიღუპა 120-მდე პატიმარი, ხოლო 500-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო სერიოზული დამწერობა. მთლად დაინგრა ციხის შენობა.

## ტრაგედია ფუნიკულიორზე

2000 წლის 11 ნოემბერს ავსტრიაში ქალაქ ზალცბურგთან ახლოს, სამთო-სათხილამურო კურორტ კაპურნში მოხდა საშინელი ტრაგედია. აქ ისვენებდნენ და დროს ატარებდნენ სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარული ტურისტები ამერიკიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ტურისტები მგზავრობდნენ ფუნიკულიორის მატარებლით, როდესაც მატარებელი შევიდა გვირაბში, რომლის სიგრძე არის 3,5 კილომეტრი და მის გავლას სჭირდება მხოლოდ 9 წუთი, გვირაბში გაჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად მოედო ვაგონებს. დაიწვა გვირაბის კედელზე ჩამოკიდებული კაბელებიც. გვირაბი სწრაფად გაივსო მხუთავი და მომწამლავი კვამლით. ტურისტებმა დაამტვრიეს ვაგონების ფანჯრები და გაიქცნენ უკან, ქვევით შემოსასვლელისაკენ. მაგრამ ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 12 ტურისტი, რომლებიც იმყოფებოდნენ შემადგენლობის ბოლო ვაგონში. ხოლო 170 ტურისტი დაიღუპა, ნაწილი დაიწვა ხანძარში, ნაწილი გაიგუდა მომწამლავ კვამლში.

ავსტრიის ხელისუფლებამ მიიღო სასწრაფო ზომები. მაღალმთიან კურორტში შვეულმფრენებით ჩამოსხეს სამთო მაშველები და მეხანძრეები, მაგრამ გვირაბი სავსე იყო მხუთავი კვამლით, ხოლო ჰაერის ტემპერატურა შემთხვევის ადგილზე იყო 1000°C – ამიტომ სასწრაფო დახმარების ალმოჩენა და ტრაგედიის ადგილამდე მისვლა აღმოჩნდა

შეუძლებელი. გაჭიანურდა ხანძრის და კვამლის ჩაქრობა, რის შედეგადაც მოხდა მსოფლიოში უდიდესი ტრაგედია სამთო-სათხილამურო საკურორტო ადგილების ისტორიაში. ავსტრიაში გამოცხადდა ტრაური. საკურორტო ქალაქი თანდათან მიატოვა სხვადასხვა ქვეყნებიდან დროს გასატარებლად ჩამოსულმა ტურისტებმა.

## 300 ადამიანის თვითმკვლელობა უგანდაში

2000 წლის 17 მარტს აფრიკის სახელმწიფო უგანდაში, ერთ-ერთი რელიგიური სექტის ხელმძღვანელმა, აგიტაცია-პროპაგანდით თვითმკვლელობაზე დაითანხმა ასობით ადამიანი, მათ შორის ბავშვებით. მან ეკლესიაში თავი მოუყარა 300-ზე მეტ მორწმუნეს, მათგან მიიღო თვითმკვლელობის თანხმობა თავის დაწვით. მან ეკლესიაში გააჩაღა ხანძარი, თვითონ გამოვიდა გარეთ. ეკლესიაში შესასვლელ-გამოსასვლელი კარებები, ჩაკეტა გარედან, კარებებზე ლურსმნებით მიაჭედა ფიცრები. თვით კი გაქცევით უშველა თავს. ხანძარში დამწვრობისაგან დაიღუპა ეკლესიაში მყოფი 300-ზე მეტი მორწმუნე ადამიანი. დამწვრობა იყო ისეთი საშინელი ძლიერი, რომ გვამების ამოცნობა გახდა შეუძლებელი.

გავრცელდა ხმები, რომ მოქადაგე ეკლესიის მსახურმა, ადვილად მორწმუნე ბრბო დააჯერა, რომ მოახლოებულია მსოფლიოს წარღვნა, სულ ერთია ყველა დაიღუპება, ხოლო ვინც თვითმკვლელობით დაამთავრებს სიცოცხლეს, ის იმ ქვეყანაში (საიქიოში) იარსებებს სამოთხეშიო.

# 2. ჩაძირული გემები

## ტიტანიკის პირველი და ბოლო რეისი



1911 წლის 31 მაისს ქალაქ ბელფასტში წყალში ჩაუშვეს ინგლისის ორთქლმავალი გემი „ტიტანიკი", რომელიც მაშინ ითვლებოდა მსოფლიოში ყველაზე უდიდეს გემად. მისი სიგრძე იყო 268 მეტრი, სიგანე 28,2 მეტრი, წყალში იგი 10,5 მეტრი. სიმძლავრე 55 ათასი ცხენის ძალა. მას ჰქონდა 11 გემბანი, რომლებიც შეერთებული იყო ერთმანეთთან 9 ლიფტით, სიმაღლე წყლიდან კანჯოების გემბანამდე უდრიდა 18,5 მეტრს.

გემზე მოწყობილი იყო ზამთრის ბაღები, ბუსრები, გოლფის სათამაშო მოედანი, ჩოგბურთის მოედანი, სათამაშო დარბაზი, თურქული აბანოები, საცეკვაო დარბაზი და სხვა. სუპერლუქსის კაიუტაში ერთი მიმართულებით მგზავრობა ღირდა ახლანდელი 50 000 დოლარი. „ტიტანიკის" ეკიპაჟი შედგებოდა 900 მოსამსახურე პერსონალისგან. გემს შეეძლო მიეღო 3500 მგზავრი.

ახალი გემის კაპიტნად დანიშნული იყო ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტის ვეტერანი 60 წლის ედვარდ ჯონ სმიტი. გემზე მგზავრობდა ათობით მილიონერი, ნაეთობის, ქვანახშირის, რკინისგზის „მეფეები". გემზე იმყოფებოდა 1316 მგზავრი და 891 ეკიპაჟის წევრი. 1912 წლის 11 აპრილის 14.00 წუთზე გემმა დაიწყო პირველი და საბედისწერო ცურვა. გემს მგზავრები ინგლისიდან უნდა ჩაეყვანა ამერიკაში და წამოეყვანა უკან.

გემი მიცურავდა ატლანტიკის ოკეანეში ისეთ ადგილზე, სადაც მოსალოდნელი იყო აისბერგების გამოჩენა, მაგრამ დაწყებული კაპიტნიდან დამთავრებული მგზავრებამდე ყველა თვლიდა რომ გემი იყო ჩაუძირავი. იმ ღამეს ცა მოწმენდილი იყო, მაგრამ მაინც ბნელოდა, ოკეანის წყალი იყო წყნარი, მგზავრების უმრავლესობა ერთობოდა.

დაახლოებით 23 საათსა და 40 წუთზე ბოცმანმა ფრედერიკ ფლიტმა, გემის წინ დაინახა რაღაც ბნელი. მან სასიგნალო ზარს სამჯერ შემოკრა, აიღო ტელეფონის ყურმილი და ხიდზე მყოფი შეატყობინა: „გემის წინ აისბერგია, სერ". კაპიტნის პირველმა მოადგილემ მაშინვე გასცა ბრძანება „Лево на борт" (რუს.).

დაახლოებით 40 წამში გემმა დაიწყო შებრუნება მარცხნივ. უეცრად გემი შეტორტმანდა და ხიდზე მდგომებმა იგრძნეს გემის კორპუსის უცნაური ვიბრაცია. „ტიტანიკის" მარჯვენა გვერდი 90 მეტრის სიგრძეზე გაკრა უზარმაზარმა აისბერგმა. რამდენიმე წუთის შემდეგ გემის კაპიტანს შეატყობინეს, რომ გემის ქვედა ტრიუმში შემოდის დიდი რაოდენობით ოკეანის წყალი. კაპიტანი სმიტი ჩავიდა ქვევით და დაათვალიერა დაზიანებული გვერდი. კაპიტანი ამოვიდა ზემოთ და მაშინვე ეთერში გაუშვა მორზეს სიგნალი „SOS" (უბედურების სიგნალი). შემდეგ კაპიტანმა გასცა ბრძანება, რომ წყალში ჩაეშვათ მაშველი კანჯოები.

თავდაპირველად კანჯოებში ჩასვეს ბავშვები და ქალები. უპირატესობას აძლევდნენ პირველი კლასის კაიუტის მგზავრებს. რამდენიმე წუთის შემდეგ გემის ცხვირმა დაიწყო წყალში ჩაძირვა, ხოლო გემის კიჩომ, თანდათან მაღლა აიწია. შეიქმნა პანიკა. მგზავრები და ეკიპაჟის წევრები აირია ერთმანეთში. ყველა ცდილობდა მოხვედრილიყო კანჯოში სანამ გემი ჩაიძირებოდა. დადგა კივილ-წივილი და სიტუაცია გახდა უმართავი. „ტიტანიკის" კორპუსი წყალში დადგა თითქმის ვერტიკალურად. ასეთ პოზიციაში გაჩერდა დაახლოებით 5 წუთს, შემდეგ გაისმა შიგნით ქვაბების აფეთქების ხმა და გემი ხმაურით ჩაიძირა ოკეანეში. ამ დროს იყო 02 საათი და 20 წუთი. გემზე მყოფი ადამიანები გადასხტნენ ცივ წყალში და ატეხეს განწირული წივილ-კივილი, მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ნაწილი ადამიანებისა გემთან ერთად ჩაიძირა.

კაპიტანი სმიტი ცურავდა კანჯოების გვერდით. მას მეზღვაურებმა გაუწოდეს ხელი და შესთავაზეს დახმარება, მაგრამ მან უარი თქვა დახმარებაზე, რადგან იგრძნო თავისი დანაშაული გემის დაღუპვაში. ის ამის შემდეგ არავის უნახავს.

იმ აპრილის ღამეს „ტიტანიკის“ 1517 მგზავრის საფლავი გახდა ატლანტიკის ოკეანე.

„ტიტანიკიდან“ გაგზავნილ უბედურების სიგნალზე, კატასტროფის ადგილზე 04 საათსა და 10 წუთზე მიცურდა გემი „კარპატები“, რომლის ბორტზე აიყვანეს ცოცხლად გადარჩენილი მგზავრები. სულ გადარჩენილ იქნა 703 ადამიანი.

1985 წელს 3800 მეტრის სიღრმეზე ამერიკელმა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს ჩაძირული „ტიტანიკი“. ხოლო 1986 წლის ივლისში გემს გადაუღეს სურათები, ზოგიერთი ნივთი ამოიღეს წყლიდან და გამოფინეს ნიუ-იორკის მუზეუმში, ხოლო ნაწილი გაყიდეს „სოტბის: აუქციონზე. ჰოლივუდში 1998 წელს გადაიღეს ამავე სახელწოდების კინოფილმი, რომელმაც მიიღო „ოსკარის“ ჯილდო.

## რატომ ჩაიძირა „ვაზა“?

შვეციის მეფემ გუსტავ II ადოლფმა გასცა განკარგულება აეგოთ იმ დროისათვის ყველაზე სწრაფი სამხედრო გემი. თვითონ მეფემ მიიღო აქტიური მონაწილეობა მის აგებაში, ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ გემის სიგანე არ უნდა ყოფილიყო 12 მეტრზე მეტი, ამის გამო ის იქნებოდა უფრო სწრაფი და მანევრული. რა თქმა უნდა მეფის მოთხოვნები შეასრულეს. „ვაზას“ სიგრძე იყო 48 მეტრი, მას ჰქონდა 4 გემბანი, სამი ანძა, 64 ქვემეხი. თავისი კონსტრუქციულობით და სილამაზით ეს გემი უნდა გამხდარიყო შვეციის სიამაყე, ზღვების რისხვა და შვეციას უნდა დაებრუნებინა თავისი წინაპრების ვიკინგების ყოფილი დიდება. „ვაზას“ გარდა აგებდნენ კიდევ ასეთ 3 გემს. ინგლისი, საფრანგეთი და ირლანდია მრავალი წლის მანძილზე ეომებოდა გერმანიას და მათ სურდათ ომში ჩაეთრიათ შვეციაც. ეს უკანასკნელი კი დიდ იმედებს ამყარებდა ამ ახალ გემზე.

1628 წლის 10 აგვისტოს ქალაქ სტოკჰოლმის მთელი მოსახლეობა გაემართა ნავსადგურისაკენ. ყველას უნდოდა დაენახა საზეიმო ცერემონიალი, გემის პირველი სანაოსნო გამგზავრება. გემზე აუშვეს იალქნები, ორკესტრმა დაუკრა ჰიმნი, სანაპიროდან ისმოდა გამაყრუებელი მისასალმებელი შეძახილები. ძველი ცერემონიალის მიხედვით, როცა გემის წყალში გაცურვის პირველი ნათლობა არის, თავდაპირველად უნდა გაისროლოს ნავსადგურის ქვემეხმა, ხოლო შემდეგ საპასუხო ზალპს აკეთებს ზღვაში მდგომი ახალი გემი.

ყველაფერი ჩატარდა ძველი ტრადიციის მიხედვით. გაისმა სანაპიროს ბატარეის ძლიერი ზალპის ხმა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა „ვაზას“ 64 ქვემეხის ერთდროული ბათქი. მთელი გემი გაეხვია

დენთის კვამლში. შემდეგ მოხდა დაუჯერებელი ამბავი, გემი გადაიხარა მარცხენა მხარეს და მოულოდნელად ხმაურით სწრაფად ჩაიძირა ზღვაში. წყლის ზედაპირზე ჩანდა მხოლოდ მცურავი მეზღვაურების თავები. გაკვირვებული ადამიანები მიაშტერდნენ მეფეს, რომელიც გაფითრებული უყურებდა თავის ახალშობილ სიამაყეს და საუკეთესო მეზღვაურების დაღუპვას.

ჩადენილ იქნა უხეში შეცდომა, მაგრამ რა შეცდომა? არავინ არ იცოდა. დადიოდა ყველანაირი ხმები. ზოგი ამტკიცებდა, რომ გემი ჩაიძირა 64 ქვემეხის ერთდროულად გასროლის გამო. მაგრამ ნამდვილი მიზეზი არავინ იცოდა. გემი წყალში ეგდო 33 მეტრის სიღრმეზე, მაგრამ მისი ამოღება იმ პერიოდში შეუძლებელი იყო. 1664 წელს ზღვიდან ამოიღეს მხოლოდ ქვემეხები.

სამი საუკუნის შემდეგ 1958 წელს „ვაზა“ კი არ ამოიღეს, არამედ გამოათრიეს სანაპიროსაკენ, სადაც შვეციის მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გემის ჩაძირვის მიზეზი იყო თვითონ შვეციის მეფე გუსტავი, რომლის განკარგულებით გემის სიგანე იყო 12 მეტრი. გემის სივიწროვის გამო მოხდა სიმძიმის ცენტრის გადაადგილება: 64 ქვემეხი იწონიდა 80 ტონას – მათი ერთდროული გასროლის შედეგად ადვილი შესაძლებელი იყო გემის გადაბრუნება.

ამჟამად გემი რესტავრირებულია და გადაქცეულია მუზეუმად, ხოლო 25 მეზღვაურის ჩონჩხი დამარხულია სანაპიროზე.

## ტრაგედია ფრეგატა „მედუზაზე“

1816 წლის 17 ივნისს საფრანგეთიდან სენეგალში ზღვით გაემგზავრა ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: ფრეგატა „მედუზა“, იალქნიანი გემები “ეხო:, „ლუარა“ და „არგუსი“. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა „მედუზის“ კაპიტანი ჰუგო დიურუა დე შომარკი.

ღამით ცურვის დროს „მედუზა“ ზღვის ტალღებმა წაიღო სამხრეთისაკენ, მგზავრობის მიმართულების კურსი გამოასწორეს მხოლოდ დილით. „მედუზა“ მიცურავდა სანაპიროდან ახლო მანძილზე, სადაც იყო მეჩეჩის საშიშროება, მაგრამ კაპიტანმა არ გაზომა წყლის სიღრმე და მეზღვაურების შენიშვნებს არ მიაქცია ყურადღება. მალე „მედუზა“ დაჯდა მეჩეჩზე კანარის კუნძულებსა და მწვანე კონცხს შორის. მეზღვაურებმა ვერ შეძლეს გემის მეჩეჩიდან გამოყვანა. საუბედუროდ, გემში შევიდა წყალი და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ გემი. კაპიტანი, ოფიცრები და მაღალი წრის წარმომადგენლები ჩასხდნენ კანჯოებში, ხოლო დანარჩენი 150 მგზავრი მოთავსდა მათ მიერ გაკეთებულ ტივზე.

თავდაპირველად კანჯოები ბუქსირებას უკეთებდა ტივს და მიჰ ყავდა ზღვის ნაპირისაკენ. მაგრამ შეეშინდათ ამოვარდნილი შტორმული ქარისა, ჩაჭრეს ბაგირები და ადამიანები მიატოვეს უმწეო მდგომარეობაში, ვინაიდან ტივი იყო უმართავი. ტივზე არ იყო საკვები პროდუქტები და სასმელი წყალი, ციდან კი აცხუნებდა მზე. შეიქმნა სიკვდილის მაუწყებელი აუტანელი სიტუაცია. ადამიანები დაერივნენ ერთმანეთს. დაიწყო ჩხუბი და მკვლელობა. ცოცხალი დარჩა 28 ადამიანი. ბევრი შეიშალა ჭკუიდან. ცოცხლად გადარჩენილებმა დაიწყეს დაღუპული თანამგზავრების ხორცის ჭამა.

12 დღე-ღამე ტივი დაცურავდა ზღვის ტალღებზე. შემდეგ ტივი დაინახეს „არგუსიდან" და ბორტზე აიყვანეს 15 ნახევრად უაზრო და გამხდარი ადამიანი, აქედან 5 დაიღუპა რამდენიმე ხნის შემდეგ.

52 დღის შემდეგ აღმოაჩინეს ფრეგატა „მედუზაც", რომელიც არ ჩაძირულა. მასზე დარჩენილი 17 მგზავრიდან, რომლებმაც გადაწყვიტეს დარჩენა არ მიეცნენ პანიკას, ცოცხალი იყო მხოლოდ 3 ადამიანი.

ამ უბედურების მიზეზი იყო „მედუზას" კაპიტნის შომარიეს სინდისზე, ის აშკარად არაკომპეტენტური პიროვნება აღმოჩნდა, რომელიც არ შეესაბამებოდა დაკისრებულ თანამდებობას. ის გაასამართლეს და დააპატიმრეს.

## „ლუზიტანიას" დაღუპვა

ორთქლმავალი გემი „ლუზიტანია" იმ დროისათვის ითვლებოდა ყველაზე სწრაფმავალად, მან ლონდონიდან ნიუ-იორკამდე დაახლოებით 6 000 კილომეტრი გაცურა 4 დღეში 19 საათსა და 52 წუთში. მას ჰქონდა ორმაგი ძირი და წყალშეუღწევადი ნაკეთობები.

1915 წლის პირველ მაისს „ლუზიტიანა" გაემართა ლივერპულისაკენ. გემზე სულ იყო 1257 მგზავრი და 702 ეკიპაჟის წევრი. გემის კაპიტანი იყო უილიამ ტერნერი. ცურვის პირველი ექვსი დღე გავიდა მშვიდად, ზღვაც მშვიდი იყო. 7 მაისს 14 საათსა და 10 წუთზე ირლანდიის სანაპიროებთან ახლოს ცურვისას უეცრად გემის გვერდს დაეტაკა გერმანისს წყალქვეშა ნავიდან გასროლილი ტორპედო. გემმა მაშინვე დაიწყო მარჯვენა გვერდზე გადახრა და ამავე დროს იწყო ჩაძირვაც.

მგზავრები გააყრუა აფეთქების ხმამ, მას მოჰყვა მეორე უფრო საშინელი. აფეთქებამ გაგლიჯა გემის გვერდი და მასში შევარდა ზღვის წყალი. მისი 20-მეტრიანი მილები ჩამოვარდა გემბანზე და მოკლა ხალხი. გემის რადისტმა მოასწრო უბედურების სიგნალის „SOS" გადაცემა. სასწრაფოდ ჩასვეს მგზავრები და ჩაუშვეს კანჯოები.

მალე გემი ძალიან გადაიხარა და მგზავრები ჩაცურდნენ ზღვაში. რამდენიმე წუთში გემი მთლიანად ჩაიძირა წყალში.

უბედურების სიგნალის ხმა ბევრმა გემმა გაიგონა, მაგრამ ყველას ეშინოდა გერმანელების წყალქვეშა ნავების (მაშინ გერმანია ეომებოდა ინგლისს) და საშველად არ გაემართნენ. მაგრამ საბერძნეთის სატვირთო თბომავალი გემის „კატარინას" კაპიტანს არ შეეშინდა და მან შეძლო გადაერჩინა რამდენიმე ადამიანი. თავგამოდება გამოიჩინეს ასევე ირლანდიელმა მეთევზეებმაც, გადარჩენილი ადამიანები მიიყვანეს კუინსტაუნის ნავსადგურში.

„ტიტანიკის" დაღუპვის შემდეგ ეს იყო ყველაზე საშინელი და დიდი კატასტროფა ზღვაში, რომელმაც 18 წუთში შეიწირა 1198 ადამიანის სიცოცხლე.

აღსანიშნავია ერთი უცნაური ამბავიც, კერძოდ, 1927 წელს ატლანტიკის ოკეანეში ჩაიძირა გემი „კელტიკი", მის გადარჩენილ მგზავრებს შორის იყო ინგლისელი ქალი მურრეი. აღმოჩნდა რომ ეს ქალბატონი ადრე გადაურჩა „ტიტანიკის" და „ლუზიტანიას" კატასტროფებსაც.

## „მონბლანმა" გაანადგურა გალიფაკსი

საფრანგეთის სატრანსპორტო გემი „მონბლანი" 1917 წლის 5 დეკემბერს ნიუ-იორკიდან მიცურდა კანადის ნავსადგურ გალიფაქსში და დადგა რეიდზე. მის ტრიუმებში და გემბანზე მოთავსებული იყო უძლიერესი ასაფეთქებელი ნივთიერებები: 2300 ტონა პიკრინის მჟავა, 35 ტონა ბენზოლი, 200 ტონა ტრინიტროტოლუოლი, 10 ტონა დენთი. ამის შესახებ იცოდა მხოლოდ გემის ეკიპაჟმა და ნავსადგურის ადმინისტრაციამ. მეზღვაურებს აკრძალული ჰქონდათ მოწევა და მათ ჩამოართვეს სიგარეტი, ასანთი და სანთებელა. ეს ასაფეთქებელი ნივთიერებები უნდა შეეტანათ საფრანგეთის ქალაქ ბორდოში. ტვირთი უნდა გამოეყენებინათ გერმანიასთან საბრძოლველად. ვინაიდან განცალკევებით ცურვა საშიში იყო, გალიფაქსში უნდა დაკომპლექტებულიყო ბადრაგი და გემი გაემართებოდა დაცვის თანხლებით.

1917 წლის 6 დეკემბერს დილით „მონბლანმა" მიიღო ნავსადგურში შესვლის უფლება. იმ დროს გალიფაქსთან რეიდზე იდგა მრავალი გემი, მათ შორის იყო ნორვეგიის სატვირთო თბომავალი „იმო". დილის 10 საათზე „იმო" მოეხსნა ღუზიდან და გავიდა ღია ოკეანეში. ამავე დროს იმავე სრუტეში ამ გემის მოძრაობის საწინააღმდეგო მხრიდან მოცურავდა „მონბლანი", რომელიც უნდა შესულიყო ნავსადგურში.

სრუტეში იყო საკმარისი ადგილი, რომ ამ გემებს ერთმანეთისთვის გვერდი აექციათ უვნებლად, თანაც ჩლეა იყო წყნარი და მხედველობაც კარგი. მაგრამ ორივე გემის კაპიტანმა არ გამოიჩინა სიფრთხილე და არ შეანელა სიჩქარე. „იმო“ და „მონბლანი“ ერთმანეთს შეხვდნენ სრუტის მოსახვევის წინ. „იმოს“ ცხვირი, როგორც ნაჯახი ჩაერჭო „მონბლანის“ მარჯვენა გვერდში და სამი მეტრის სიღრმეზე დაგლიჯა მისი ბორტი. გატეხილი კასრებიდან ბენზოლი დაიღვარა გემბანზე. „იმომ“ მისცა უკან სვლა და როდესაც მისი ცხვირი გამოდიოდა „მონბლანის“ კორპუსიდან ღრჭიალით რკინამ გაყარა ნაპერწკლები, რომლისგან დაღვრილ ბენზოლს გაუჩნდა ცეცხლი. ხოლო შემდეგ ცეცხლი მიედო სხვა კასრებსაც. ვინაიდან ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი იყო, გემის კაპიტანმა უბრძანა გემი გამოეყვანათ სრუტიდან და წყალში ჩაეშვათ კანჯოები. კაპიტანს ეგონა, რომ გემში შესული წყალი ჩაძირავდა გემს და ხანძარსაც ჩააქრობდა, მეზღვაურებმა სასწრაფოდ ჩაუშვეს წყალში კანჯოები, ხოლო ზოგიერთი მათგანი გადახტა წყალში და გაცურა სანაპიროსაკენ. მაგრამ გემი არ ჩაიძირა. იქვე მყოფმა კრეისერ „ხაიფლაიერის“ კაპიტანმა გასცა ბრძანება, რომ „მონბლანისთვის“ გამოებათ ბაგირი და გემი გაეყვანათ ღია ზღვაში, შორს სანაპიროდან. მოეიდნენ მეხანძრეებიც, მაგრამ ხანძარი ვერ ჩააქრეს. უეცრად „მონბლანზე“ ავარდა 100 მეტრი სიმაღლის ალი და გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. ერთ წამში გემი ნაფლეთებად იქცა. რამდენიმე წუთში მთელი ნავსადგური და მისი ახლო-მახლო ტერიტორია გაეხვია სიბნელეში, ქალაქი ჰალიფაქსი დაფარა შავმა კვამლმა, ციდან ცვიოდა გემის ნაწილები. როცა კვამლი გაიფანტა, „მონბლანის“ ადგილზე წარმოიქმნა მდუღარე ძაბრი.

ეს აფეთქება ახლაც ახსოვთ კანადაში. სპეციალისტების აზრით, ატომური ბომბის გამოგონებამდე, ეს აფეთქება იყო ყველაზე ძლიერი. გემის ნამსხვრევები ნახეს აფეთქების ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით.

სანაპიროზე განლაგებული საწყობები, სანავსადგურო ნაგებობები, ფაბრიკები და სახლები აფეთქების ტალღამ ალგავა მიწის პირისაგან. მთლიანად დაინგრა შაქრის ქარხანა, საფეიქრო ფაბრიკა, 3 სკოლა, წყალში ჩავარდა რკინიგზის ხიდი, სატელეგრაფო ბოძები გადატყდა ასანთის ღერებივით. ყველგან გაჩნდა ხანძარი. სულ დაინგრა 1600 შენობა, ხოლო 1500 — დაზიანდა.

გიგანტურმა ტალღებმა ნაპირზე შეაგდო გემები. ნავსადგურში მყოფი 150 გემიდან დაიღუპა თითქმის ნახევარი. დაიღუპა 4 000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 10 000-მდე ადამიანმა მიიღო ტრავმები.

უსახლკაროდ და საარსებო წყაროს გარეშე დარჩა 25000 ადამიანი. დიდი ხნის მანძილზე ზღვის წყალში ტივტივებდა გვამები, ცხოველები და გემების ნამსხვრევები. დანგრეული ქალაქის დახმარებაში მრავალმა სახელმწიფომ მიიღო მონაწილეობა. სასამართლომ დამნაშავედ ცნო „მონბლანის“ კაპიტანი და ლოცმანი. მაგრამ ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ დამნაშავეები იყვნენ ინგლისის საადმირალო სამსახური, რომელმაც გასცა განკარგულება ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული გემის ნავსადგურში შესვლის შესახებ. გემი უნდა მდგარიყო ზღვაში და რეიდზე უნდა შეერთებულიყო საბადრაგო გემებს.

## სამხედრო გემი „ნოვოროსიისკის“ ტრაგედია

1949 წელს იტალიის სამხედრო გემი „ჯულიო ცეზარი“ გადასცეს საბჭოთა კავშირს, იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაყოფის შეთანხმებასთან დაკავშირებით. გემს რუსებმა გადაარქვეს სახელი და უწოდეს „ნოვოროსიისკი“. მასზე დაამონტაჟეს რუსეთის იარაღი. ის მონაწილეობდა მრავალ სასწავლო მანევრებში და ოპერაციებში.

1955 წლის 28 ოქტომბერს ერთ-ერთი სასწავლო ოპერაციის შემდეგ ის შეეიდა სევასტოპოლის ნავსადგურში. საღამოს გემზე მოიყვანეს მეზღვაურების ახალი შევსება, რომელთათვის ეს იყო პირველი და ბოლო დღე სამხედრო-საზღვაო სამსახურში. ღამის 1 საათსა და 30 წუთზე გემის ცხვირში მოხდა აფეთქება. გემი შეზანზარდა, გემბანზე ჩაქრა განათება, გაითიშა სიგნალიზაცია და რადიოხაზი.

გემზე გამოცხადდა ავარიული საომარი განგაში. მეზღვაურებმა დაიწყეს აფეთქების შედეგის ლოკალიზაცია. გვერდზე მდგომ გემებზეც გამოცხადდა განგაში. გემის ცხვირის ნაწილი თანდათან იძირებოდა წყალში. გემის კორპუსში შედიოდა დიდი რაოდენობის წყალი.

აფეთქების შემდეგ გაეიდა 3 საათი, მაგრამ გემში წყლის დენა ვერ შეაჩერეს, რადგან ძლიერი აფეთქების შედეგად გემის დიდი მონაკვეთი შეგლეჯილი იყო ძირიდან ზედა გემბანამდე. მაგრამ იქ მყოფმა ვიცე-ადმირალმა პარხომენკომ არ გასცა ბრძანება ეკიპაჟის ევაკუირების და გადარჩენის შესახებ. გემზე მყოფი მაღალი რანგის ოფიცრები და გენერლები ცდილობდნენ გემის გადარჩენას. მეზღვაურებს უბრძანეს გემბანზე დამდგარიყვნენ სამხედრო მწყობრში. ოფიცრები და მეზღვაურები განლაგდნენ ზედა გემბანზე, მაგრამ უეცრად გემი გადაბრუნდა მარცხენა გვერდზე, რის შედეგად ეკიპაჟის მწკრივები ჩაცვივდა წყალში, ვინაიდან მათ გამოეცალათ ფეხქვეშ სადგომი. გემი ამოტრიალდა ხერხემლით ზემოთ. რამდენიმე მეზღვაური აიყვანეს სხვა გემებზე, ზოგიერთმა მოახერხა და აბობღდა გემის

ხერხემალზე, ზოგიერთმა გაცურა ნაპირამდე, მაგრამ უმრავლესობა – 608 მეზღვაური დაიხრჩო. აფეთქებისთანავე დაიღუპა 170 მეზღვაური, ძირითადად ახალი შევსება, რომლებიც დასაძინებლად მოთავსებული იყვნენ გემის წინა ნაწილში. 130 მეზღვაური დაიჭრა. გემის ქვედა (შიგნითა) მონაკვეთში დარჩნენ ასევე მეზღვაურები, რომლებმაც ვერ მოასწრეს ზემოთ ან გარეთ გამოსვლა. თვითმხილველების მონათხრობით, გემის შიგნიდან ისმოდა კაკუნის ხმა, ბოლოს კი სასიკვდილოდ განწირულმა მეზღვაურებმა სიკვდილის წინ იმღერეს „Варяг" – (რუს.). საშველამოსულებმა ამოჭრეს გემის შიგნითა მონაკვეთი და გამოიყვანეს მხოლოდ 7 ცოცხალი მეზღვაური.

„ნოვოროსიისკის" დაღუპვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ გემზე და მის ახლოს მაშინ იმყოფებოდა 7 ადმირალი და 30-ზე მეტი მაღალი წოდების ოფიცერი. მათ ძირითადად იზრუნეს გემის გადარჩენაზე, რომლის გადარჩენაც შეუძლებელი იყო, ხოლო მეზღვაურების გადარჩენაზე მათ არ უფიქრიათ.

ამ წიგნის ავტორი 1988 წელს უსმენდა და უცქერდა სატელევიზიო გადაცემას მოსკოვიდან, რომელიც ეხებოდა გემის დაღუპვის ნიუანსებს. ტელევიზიაში მოწვეული ჰყავდათ ამ კატასტროფაში გადარჩენილი ადამიანები. აი, რა თქვეს მათ: გემი ნაპირიდან იდგა 100 მეტრის მანძილზე. იმ ღამეს მორიგე კატერი არ იყო დანიშნული და არავითარი მორიგეობა არ იყო. აფეთქების შემდეგ ადმირალებმა და ოფიცრებმა გემის შიგნით მონაკვეთებში (კაიუტებში) მყოფი მეზღვაურები არ ამოიყვანეს ზევით. არ მიიღეს სასწრაფო ზომები ადამიანთა გადასარჩენად. გემი 8 საათის მანძილზე არ იყო ჩაძირული და შეიძლებოდა ხალხის გადარჩენა. მყვინთავებს რამდენიმე დღის მანძილზე დღეში ამოჰყავდათ წყლიდან 40-50 დამხრჩვალი მეზღვაური. მაშინდელმა სახელმწიფო მეთაურმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, სამხედრო მინისტრმა კონსტანტინე ჟუკოვმა და საზღვაო-სამხედრო ჯარების მინისტრმა კუზნოცოვმა, თავდაპირველად არავითარი ღონისძიება არ მიიღეს ხალხის გადასარჩენად, ხოლო კატასტროფის შემდეგ მრავალი წლის მანძილზე ეს უბედურება დაუმალეს მსოფლიოს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, ნათესაევებს. დაღუპულების ოჯახებს არ დაუნიშნეს პენსიები, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები არსად არ მიიღეს სამუშაოდ და დევნიდნენ მათ. გამოყოფილმა სახელმწიფო კომისიამ ვერ დაადგინა კატასტროფის ნამდვილი მიზეზი და დააბრალეს სამამულო ომის დროს გერმანელების მიერ დატოვებლ ყუმბარას, მაგრამ მისი ნამსხვრევები ვერ იქნა ნაპოვნი.

## ხანძარი „ვოლტურნოზე“

სატვირთო-სამგზავრო გემი „ვოლტურნო“ აგებული იყო კანადის დაკვეთით 1913 წლის 2 ოქტომბერს გემზე აეიდა 564 მგზაერი ქ. როტერდამში და გეზი აიღო ნიუ-იორკისაკენ. გემის კაპიტანი იყო ინგლისელი ფრენსის ინჩი. ერთი კვირის ცურვის შემდეგ 9 ოქტომბერს 6 საათსა და 50 წუთზე გემზე გაჩნდა ხანძარი. ცეცხლი გავრცელდა სწრაფად. მგზავრებმა ვერ მოასწრეს თავის შველა და 4 მათგანი მაშინვე დაიღუპა, ხოლო ბევრმა მიიღო სერიოზული დამწვრობა. კაპიტანმა სასწრაფოდ მორზეს ანბანით გადასცა „SOS“-ის სიგნალი. მგზავრების გარდა გემზე იყო საწვავ-საპოხი მასალები, მყავა და ალკოჰოლური სასმელები. თითქმის ყველა მგზავრს დაურიგეს მაშველი ქილეტი და მაშველი რგოლი. ხანძრის ჩაქრობა ვერ შეძლეს, პირიქით ცეცხლი თანდათან გაძლიერდა და გავრცელდა გემის სხვა მონაკვეთებშიც. რამდენიმე ხნის შემდეგ ტრიუმში გაისმა აფეთქების ხმა, რასაც მალე მოჰყვა კიდევ უფრო ძლიერი აფეთქების ხმა, რასაც მალე მოჰყვა კიდევ უფრო ძლიერი აფეთქება. ხანძარის გავრცელებას ხელს უწყობდა შტორმული ქარი.

გემის კაპიტნისათვის ყველაზე საშინელი იყო 600 მგზავრის პანიკა, დაიწყო ჭყლეტა და არეულობა. მგზაერები თვითნებურად ჩასხდნენ კანჯოებში და ცდილობდნენ მათ წყალში ჩაშვებას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ უცოდინარობის გამო. გემის კაპიტანმა გასცა ბრძანება და მეზღვაურებმა დაიწყეს მგზავრებით სავსე კანჯოების ზღვაში ჩაშვება. სიჩქარეში დაშვებულ იქნა შეცდომები და 3 კანჯო ამოყირავდა და მგზავრები ოკეანეის ცივ წყალში აღმოჩნდნენ.

12 საათსა და 30 წუთზე გამოჩნდა პირველი მაშველი გემი „კარმანია“, მას რამდენიმე ხნის შემდეგ მოჰყვა სხვა გემებიც. საერთო ძალებით გადაარჩინეს 523 ადამიანი, ხოლო 100-ზე მეტი დაიღუპა.

## „ექსპრეს ოფ აირლენდის“ შავი პარასკევი

თბომავალი გემი „ემპრეს ოფ აირლენდი“ რომლის ბორტზე იმყოფებოდა 1057 მგზაერი და 420 ეკიპაჟის წევრი მიცურავდა კანადიდან ამერიკაში. გემის სიგრძე იყო 167 მეტრი, სიგანე 20 მეტრი, წყალწყვა 20000 ტონა, მას ჰქონდა 5 გემბანი, კეთილმოწყობილი კაიუტები, დარბაზები და კრიკეტის სათამაშო მოედანიც.

ღამის 2 საათზე კვებეკის სანაპიროს მხრიდან ციდან დაეშვა თეთრი ნისლი და მხედველობა გაუარესდა. გემის კაპიტანმა კენდალმა უბრძანა უფროს შტურმანს შეემცირებინა სიჩქარე და ყურადღებით ემზირა ჰორიზონტისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ კაპიტანს

მოახსენეს, რომ წინ ახლოს მოცურავს გემი. კაპიტანმა უბრძანა კურსის შეცვლა მარჯვნივ 26 გრადუსით, და მისცა 3 მოკლე საყვირის ხმა. საპასუხოდ ნისლიდან გაისმა ერთი გრძელი საყვირის ხმა, რომელიც მისცა ნორვეგიის გემმა „სტორსტადმა“, რომელიც მიემართებოდა მონრეალში, მასზე დატვირთული იყო 11000 ტონა ქვანახშირი. ამ მომენტში ამ გემის კაპიტანი თომას ანდერსონი იმყოფებოდა კაიუტაში თავის მეუღლესთან ერთად. როგორც კი მას შეატყობინეს, რომ ახლო მანძილზე ნისლში წინ გამოჩნდა გემი, ის სასწრაფოდ ამოვიდა ხიდზე, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გემებს შორის მანძილი იქნებოდა დაახლოებით 100 მეტრი. „ემპრეს აირლენდის“ კაპიტანმა კენდელმა სცადა გვერდი აევლო მოპირდაპირე მხრიდან მომავალი გემისათვის, მაგრამ მან ეს ვერ მოასერხა. გემი „სტორსტადის“ ცხვირი 5 მეტრით შეიჭრა მისი გემის მარჯვენა ნაწილში და რამდენიმე მეტრზე გახია მისი რკინის კორპუსი, რის შედეგად რამდენიმე მგზავრი მაშინვე გაიჭყლიტა. ჯავშანის ხვრელის ფართობი იქნებოდა დაახლოებით 30 კვადრატული მეტრი. ყოველ წამში გემში შედიოდა 300 ტონა წყალი. გემმა დაიწყო გადახრა. კაპიტანმა გადასცა „SOS“ სიგნალი და გასცა ბრძანება მგზავრების გადასარჩენად.

თვითმხილველის მონათხრობით 717 მგზავრიდან დაახლოებით 600-მა ადამიანმა ვერ მოასწრო ზემოთ ასვლა. გემმა დაიწყო სწრაფად ჩაძირვა. ზოგი მგზავრი დაიღუპა ისე, რომ გაღვიძებაც ვერ მოასწრო, ზოგი მათგანი დიდხანს მოუნდა ჩაცმას და საგნების ჩალაგებას ჩემოდნებში, ზოგი მათგანი გაიჭყლიტა გამოქცეული ადამიანების გროვაში, ბევრმა მგზავრმა ვერ შეძლო გემის გადახრისგან დეფორმირებული კაიუტის კარებების გაღება და გადაძვრა ილუმინატორებში.

მგზავრები ჩასვეს კანჯოებში და ჩაუშვეს წყალში. გემი ჩაიძირა 17 წუთის შემდეგ. დასახმარებლად მოსული გემები „იურეკა“ და „ლედი ეველინი“ მოცურდა დაგვიანებით. სულ გადაარჩინეს 465 ადამიანი. დაიღუპა 1012 კაცი, აქედან 849 მგზავრი და 172 ეკიპაჟის წევრი.

## „ვესტრისი“ დაზიანებული გავიდა პორტიდან

ინგლისის გემი „ვესტრისი“ ძირითადად ემსახურებოდა ნიუ-იორკ ბუენოს-აირესის ხაზს.

1928 წლის 10 ნოემბრის 14 საათზე გემი გამოვიდა ნიუ-იორკის ნავსადგურიდან. მასზე იმყოფებოდა 128 მგზავრი და 197 ეკიპაჟის წევრი. 2 დღე-ღამის ცურვის შემდეგ ატლანტიკის ოკეანეში გემი ჩაიძირა. ეს მოხდა გემების მიმოსვლის გაცხოველებულ ხაზზე, სადაც თბომავლის გადარჩენაში მრავალმა გემმა მიიღო მონაწილეობა,

მაგრამ ის მაინც ჩაიძირა. ინგლისსა და ამერიკაში დაინიშნა ოფიციალური გამოძიება.

მგზავრების გარდა გემზე დატვირთული იყო ავტომობილები, კონსერვები, მედიკამენტები. ფესხაცმელები და სხვადასხვა საჭირეწველო საქონელი. გეგმით გათვალისწინებული 2770 ტონა ნახშირის ნაცვლად დატვირთული იყო 3019 ტონა. ნავსადგურიდან გამოსვლის წინ გემს უკვე ჰქონდა გადახრა მარჯვენა გვერდზე 5 გრადუსი. იმ დღეს ნახშირის მიმწოდებელი მუშები ყვიროდნენ, რომ ნახშირის საცავში შემოდიოდა წყალი და ასველებდა მას. გემის კაპიტანმა კარეიმ გემი მაინც წაიყვანა.

19 საათსა და 30 წუთზე ძლიერი რწევის შედეგად ცხვირის ტრიუმში მოგლიჯა 15 ტონა სიმძიმის 3 გალია, რომლებიც დაენარცხა მარჯვენა გვერდს, რის შედეგად გემი კიდევ უფრო გადაიხარა. 23 საათზე მექანიკოსმა მოახსენა გემის კაპიტან კარეის, რომ წყალი შედის სამანქანო-საქვაბე განყოფილებაში. ახლა გემი გადაიხარა უკვე 20 გრადუსით. და წყალი იღვრებოდა გვერდიდანაც. გადახრამ მიაღწია 26 გრადუსს. მხოლოდ 8 საათსა და 37 წუთზე გადაწყვიტა კაპიტანმა გადაეცა ეთერში უბედურების სიგნალი. ამ სიგნალს გამოეხმაურა ათობით გემი. ყველაზე ადრე საშველად მიცურდნენ გემები: „ბერლინი", „ეაიომინგი", „კრეოლი" და „სანტა-ბარბარა".

მგზავრები ჩასვეს კანჯოებში და ჩაუშვეს წყალში, მაგრამ ზღვის ტალღებმა კანჯოები ამოატრიალა და ხალხი წყალში ჩაცვივდა. 14 საათსა და 30 წუთზე გემი მთლიანად ჩაიძირა.

საშველად მოსული გემების ეკიპაჟებმა კანჯოებიდან და წყლიდან აიყვანეს ხალხი გემბანზე. წყალში მოცურავე ადამიანებს თავს დაესხნენ ზვიგენები, რის შედეგად დაიღუპა რამდენიმე კაცი. იაპონელ მაიორს ინოიუის ზვიგენმა მოაჭამა ხელი, მართალია ის აიყვანეს გემბანზე, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც გარდაიცვალა. სულ დაიღუპა 159 ადამიანი.

## პატარა გემმა იმსხვერპლა 500 ადამიანი

„სენ-ფილიბერი" იყო საფრანგეთის საექსკურსიო-სასეირნო პატარ თბომავალი, რომლის სიგრძე იყო 32 მეტრი, სიგანე 6 მეტრი. მისი გემბანი მთლიანად დაკავებული იყო სამგზავრო სალონებით. მას ჰქონდა 500 მგზავრის გადაყვანის ნებართვა, რაც სპეციალისტების გაკვირვებას იწვევდა. საფრანგეთში ახლაც კი დუმილს არჩევენ ამ კატასტროფის შესახებ. 8 წლის მანძილზე ეს გემი ემსახურებოდა ნანტი-სენ-ნაზერის სამგზავრო ხაზს.

1931 წლის მაფხულში ნანტის საქსოემა ფაბრიკამ ექსკურსიისათვის დაიქირავა ეს გემი კვირა დღეს ერთ თვალწარმტაც კუნძულზე, რომელიც სანაპიროდან დაშორებული იყო 15 კილომეტრით.

15 ივნისს დილით ნავმისადგომთან თავი მოიყარა 3 000-მა გამცილებელმა, რომლებიც გაიძახოდნენ: „წამოიღეთ მიმოზები". ზუსტად 7 საათზე გემზე აიღეს კიბეები და „სენ-ფილიბერი" შევიდა წყალში. ის მიცურავდა მდინარე ლუარაში. რამდენიმე ხნის შემდეგ გემი მიადგა კუნძულის ნავმისადგომს. მგზავრები გაემართნენ კორომებისკენ საქეიფოდ და მიმოზების მოსაკრეფად. დაახლოებით 30 მგზავრი დარჩა კუნძულზე, მათ გემზე მგზავრობამ აწყინა და გადაწყვიტეს ზღვის უკუქცევის შემდეგ ჯებირზე ფეხით გავლით დაბრუნებულიყვნენ შინ.

გემი მოშორდა კუნძულს და გაცურა მდინარისაკენ. ქარი თანდათან გაძლიერდა და გემს არყევდა, ქარმა გემი გადახარა მარცხენა მხარეზე. დიდმა ტალღამ ჩაამტვრია მინები პირველი კლასის სალონში. იქ მყოფ მგზავრებს შეეშინდათ და გაიქცნენ სალონიდან მოპირდაპირე გემბანისაკენ. ეს საკმარისი აღმოჩნდა ისედაც გადახრილი გემისათვის, ის გადაბრუნდა და მას გადაუარა მოვარდნილმა ტალღამ. გემი ერთ წუთში ჩაიძირა წყალში. იქ სადაც წუთის წინ იყო გემი 500 მგზავრით, სეირნობდა ტალღები და ქარი.

დახმარება მოვიდა ნახევარი საათის შემდეგ, მაგრამ გადარჩა მხოლოდ 7 ადამიანი. ნანტის გემთა მიმოსვლის საზოგადოების შენობასთან მთელი საღამო და ღამე გლოვობდნენ დაღუპულთა ახლო ნათესავები. ისინი მოითხოვდნენ პასუხს კითხვებზე: რატომ იქნა სამდინარო გემი გაშვებული ზღვის ყურეში? რატომ არ იყო გემზე მაშველი კანჯოები და რგოლები? სად არის 500 მგზავრი?

ოფიციალური ცნობებით დაღუპული აღმოჩნდა 462 ადამიანი. მრავალი დღის მანძილზე წყალს ნაპირზე გამოჰქონდა მიმოზის ყვავილები, რომელსაც ხალხი აფენდა საძმო სასაფლაოზე.

## „ნორჯის" კაპიტნის შეცდომა

1904 წლის 22 ივნისს კოპენჰაგენიდან ამერიკაში უნდა წასულიყო სამგზავრო თბომავალი გემი „ნორჯი", მას ნიუ-იორკში უნდა ჩაეყვანა 700-ზე მეტი მგზავრი.

მგზავრობის მეექვსე დღეს 7 საათსა და 45 წუთზე გემი შეღრკა და თითქმის გაჩერდა. რამდენიმე წამის შემდეგ ძირში დარტყმამ შეარყია თბომავალის კორპუსი ისე, რომ ადამიანებმა დაკარგეს წონასწორობა. „ნორჯი" გაჩერდა. მისი ცხვირი აიწია მაღლა წყლის

შედეპირიდან, გემის მანქანა კი განაგრძობდა მუშაობას წინ სვლაზე. გემის კაპიტანმა განდელმა უბრძანა მექანიკოსებს ძრავა გადაერთოთ უკან სვლაზე. მხოლოდ ამის შემდეგ მან გასცა განკარგულება გაეზომათ წყლის სიღრმე. ასე ჩაიდინა მან გამოუსწორებელი შეცდომა. როცა მან უბრძანა მიეცათ უკუ სვლა, მან ჯერ არ იცოდა გემის წყალქვეშა ნაწილის დაზიანების მიზეზი. საზომმა უჩვენა 5 ფუტი, მაშინ კაპიტანი მიხვდა, რომ მისი გემი ერთ-ერთი წყალქვეშა რიფზე შეხტა.

ხუთი წუთის შემდეგ „ნორჯის“ რკინის და გრანიტის კლდის ღრჭიალში გემი კიჩოთი ჩაცურდა წყალში. მგზავრებს ეგონათ, რომ ახლა შეიძლებოდა ცურვის გაგრძელება, მაგრამ გემის ძირიდან შემოდიოდა დიდი რაოდენობის წყალი და გამოგლეჯილი მონაკვეთების შეკეთება შეუძლებელი იყო. მართალია ჩართეს ტუმბოები, მაგრამ წყალი გაცილებით მეტი რაოდენობით შედიოდა გემის კორპუსში. გემმა დაიწყო ჩაძირვა. ამ დროს გემბანზე იმყოფებოდა 703 მგზავრი და ეკიპაჟის 71 წევრი. ოკეანეზე გაისმა ყვირილი, კივილი, ტირილი და კვნესა.

ცოცხლად გადარჩენილი მეზღვაური ჰყვება, რომ წყალში ჩაუშვეს კანჯოები. ზოგიერთი მათგანი ამოყირავდა და ადამიანები ჩაცვივდნენ წყალში. ზოგიერთი მეზღვაური პირველი ჩახდა კანჯოში, მაგრამ ოფიცრები დაემუქრნენ მათ ცეცხლსასროლი იარაღით და მხოლოდ მაშინ ამოვიდნენ ისინი გემბანზე.

გემი იძირებოდა ცხვირის მხრიდან, ხოლო მისი უკანა ნაწილი თანდათან მაღლა იწევდა. მოასწრეს 7 კანჯოს და ყველა ტივის წყალში ჩაშვება, მაგრამ მგზავრთა უმრავლესობა დარჩა გემზე. მგზავრთა ნაწილი გადახტა წყალში და ცურვით გადაწყვიტა თავის შველა. რამდენიმე ათეული მგზავრი დარჩა გემზე იმ იმედით, რომ შეიძლება გემი მთლიანად არ ჩაძირულიყო.

„ნორჯი“ კლდესთან დაჯახების შემდეგ წყალს ზევით დარჩა მხოლოდ 12 წუთი. ის ჩაიძირა ოკეანის წყალში. ხალხით სავსე რამდენიმე კანძო განაგრძობდა ცურვას. ცურვის მე-5 დღეს კანჯოები დაინახეს გერმანიის გემმა „ენერგიამ“ და ინგლისის ტრაულერმა „სილვიამ“ და გემბანზე აიყვანეს გაჭირვებულები. გემზე მყოფი 774 ადამიანიდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 120 ადამიანი. კაპიტანი განდელის შეცდომამ შეიწირა 654 ადამიანის სიცოცხლე.

### კატასტროფა მდინარე მისისიპზე

სამგზავრო ბორბლებიანი თბომავალი „სულტანშა“ იმ დროს ითვლებოდა ყველაზე დიდ გემად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მას ჰქონდა 3 გემბანი, ფართო სალონები, დარბაზები, კაიუტები. ის აყითარებდა 23 კმ/სთ სიჩქარეს და გათვალისწინებული იყო კაიუტის 276 და გემბანის 400 მგზავრისათვის.

1865 წლის აპრილის დასაწყისში სამხედრო შტაბის გენერლების ბრძანების ქალაქ ვიკსბერგში გემზე მოათავსეს 2239 სამხედრო ტყვე. ამ დროს გემზე უკვე იმყოფებოდა 70 მგზავარი და 85 ეკიპაჟის წევრი, ესე იგი დაშვებულ ნორმაზე 3-ჯერ მეტი.

26 აპრილის საღამოს მდინარე მისისიპზე ცურვით „სულტანშა" მიაღწია ქ. მემფისში. აქ დატვირთეს ქვანახშირი, 240 კილოგრამი შაქარი, სავსე 100 კასრი, 100-მდე ცხვარი და 50 ღორი. იმავე ღამეს გემი გავიდა მემფისიდან და გააგრძელა გზა მდინარეზე ზევით.

ღამის 2 საათსა და 40 წუთზე უეცრად აფეთქდა გემის მარჯვენა ორთქლის ქვაბი. არ გასულა ერთი წუთი და გემის შუა ნაწილში გაჩნდა ხანძარი. ვინაიდან გემი აგებული იყო ხისგან, ხანძარი სწრაფად გავრცელდა. აფეთქების ტალღამ დაანგრია გემბანი, დაძინებული ტყვეები და მგზავრები ჩაცვივდნენ ქვევით, ბევრი მათგანი მაშინვე დაიღუპა. გემის მარცხენა მანქანა და ორთქლის ქვაბი არ გაჩერებულა და გემი მიცურავდა მდინარეში. არეულობაში არავის მოაგონდა მანქანის გაჩერება ან ნაპირისაკენ წაყვანა. ტყვეები და მგზავრები ვინც კი თავი დააღწია ცეცხლს, ხტებოდნენ მდინარეში. მდინარე სავსე იყო ხალხით, მაგრამ მათ თავზე ახტებოდნენ სხვები და აზიანებდნენ ერთმანეთს. ისინი, ვინც ცურვა არ იცოდა, ან ეშინოდა ცივ წყალში ჩახტომის, გემის გვერდებზე იყვნენ ბუზებივით შემოფენილი.

მდინარის სიგანე ამ ადგილას იყო 3 კილომეტრი. აფეთქების ხმა გაიგონეს სხვა გემებზე და გაემართნენ მგზავრების გადასარჩენად. ცივი წყლიდან ამოყვანილი ადამიანები იმდენად იყვნენ გაციებულნი, რომ მათი გათბობა და მობრუნება არ მოხერხდა და უმრავლესობა მაინც დაიღუპა.

„სულტანშა" მიცურავდა 1 საათის განმაელობაში, როცა მისი გვერდები დაიწვა, წყალი დიდი რაოდენობით ჩაიღვარა გემში და ის ჩაიძირა მდინარე მისისიპის წყლებში. ის ადამიანები, რომლებმაც ხელი ჩაჭიდეს ფიცრებს, გემის ხის ნაწილებს და შეძლეს წყლის ზედაპირზე თავის შეკავება და გაუძლეს ყინულივით ცივ წყალს, მდინარის დინებას მიჰქონდა ქვევით.

აფეთქებისგან, ხანძრისგან, წყალში დახრჩობისგან სულ დაიღუპა 1653 ადამიანი, გადაარჩინეს 741 ადამიანი. მემფისის საავადმყოფოებში მიყვანილი დაშავებული მგზავრებიდან ერთი კვირის შემდეგ კიდევ გარდაიცვალა 70 ადამიანი.

# ტრაგედია მდინარე ტემზაზე

ლონდონის რკინისთვლებიანი ორთქლმავალი გემი „პრინცესა ალისა" ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო საექსკურსიო გემად მდინარე ტემზაზე, რომელიც 12 წლის მანძილზე რეგულარულად დაცურავდა ლონდონის ხიდსა და ქალაქ შირნესს შორის. მისი სიგრძე იყო 65 მეტრი, სიგანე 6,1 მეტრი. ამ გემს მაშინდელი ნორმების მიხედვით შეეძლო ბორტზე მიეღო 936 მგზავრი, მაგრამ მასზე იყო მხოლოდ 2 მაშველი კანჯო და 12 მაშველი რგოლი.

1878 წლის 3 სექტემბერს 10 საათსა და 30 წუთზე „პრინცესა ალისამ" მისცა გრძელი სიგნალი და გაცურა ქვევით მდინარის დინების მიმართულებით. გემის ბორტზე იყო 700-ზე მეტი მგზავრი, ძირითადად ქალები და ბავშვები. გემის ადმინისტრაციას დაქირავებული ჰყავდა ორკესტრი. ზედა გემბანზე დაიწყეს ცეკვა. მგზავრების ჩამოსასხელებლად და ახალი მგზავრების ასაყვანად გემი აკეთებდა მოკლე გაჩერებებს ქალაქ გრინვიჩში, ვულვიჩში და გრეივსენდში. ქალაქ შირნესამდე ცურვა ჩატარდა ნორმალურად. გემბანიდან მგზავრებმა სიამოვნებით იხილეს ლონდონის სანაპიროები, კენტის და ესსექსის მშვენიერი ნაპირები. ორკესტრი უკრავდა თითქმის შეუსვენებლად.

სამი საათის შესვენების შემდეგ მგზავრები ავიდნენ ბორტზე და გემი გაემართა უკანა რეისში. მგზავრები სვამდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ქალაქ გრეივსენდში გემზე ამოვიდნენ დამატებითი მგზავრები, ასე რომ გემზე მოგროვდა ათასამდე მგზავრი. საღამო იყო თბილი და წყნარი. გემი მიცურავდა ტემზის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ტრიპკოვის კონცხისაკენ, ამ ადგილზე მდინარის კალაპოტი 45 გრადუსით უხვევს სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ვულვიჩამდე დარჩენილი იყო კილომეტრ-ნახევარი.

ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან მოცურავდა გემი „ბაიუელ კასლი", რომელზეც დატვირთული იყო ნახშირი. 19 საათსა და 35 წუთზე „პრინცესა ალისას" კაპიტანმა დაინახა წინიდან მომავალი გემის შუქი. ამ გემების შეხვედრის ადგილზე მდინარის კალაპოტი იყო ვიწრო, დაახლოებით 300 მეტრი. მხედველობა ნორმალური იყო. გემებს თავისუფლად შეეძლოთ გვერდის ავლა. მაგრამ გემების კაპიტნებმა ვერ მოახერხეს სწორი პოზიციების დაკავება, იმის ნაცვლად რომ გემები ერთმანეთს დაშორებოდნენ, ორივე გემი მიცურავდა ერთმანეთისაკენ, ამას ხელი შეუწყო ჩქარმა დინებამაც. „ბაიუელ კასლი" ცხვირით დაეჯახა „პრინცესა ალისას" მარჯვენა გვერდს, შეანგრია გემის კორპუსი და შეიჭრა გემის სიღრმეში, დაანგრია მისი სამანქანო განყოფილება და გემის კორპუსი გახია თითქმის სანახევროდ.

დაჯახების შემდეგ „ბაიელ კასლის" კაპიტანმა თომას ჰარისონმა დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, მან თავის გემს უკან დაახევინა, რის შედეგად დაზიანებული გემის ხვრელში შევარდა მდინარის წყლის ძლიერი ნაკადი. გემის უკან დახევის შემდეგ, „პრინცესა ალისას" კორპუსი გადატყდა ორ ნაწილად და ორივე სწრაფად ჩაიძირა მდინარეში. ეს ყველაფერი მოხდა 4 წუთში.

მდინარის წყალში ფართხალებდა ასობით ადამიანი. ისინი ვშველას ითხოვდნენ ებღაუჭებოდნენ ერთმანეთს და ჯგუფ-ჯგუფად იძირებოდნენ წყალში. ისინი კი ვინც კარგი მოცურავე იყო, მართალია მაშინვე არ ჩაძირულან, მაგრამ მდინარის სწრაფმა დინებამ წაიღო ქვევით ზღვის შესართავისაკენ. „ბაუელ კასლიდან" ჩაუშვეს კანჯოები, ტივები, მაშველი რგოლები, ბაგირები. მაგრამ მხოლოდ 200 ადამიანის გადარჩენა მოასწრეს.

ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა დაღუპულთა გვამების ძებნა. მდინარის სხვადასხვა ადგილებიდან ამოიღეს 630 დამხრჩვალი ადამიანის გვამი. მათ შორის იყო გემის კაპიტანის გრინსტედის ცხედარიც. ამოუცნობი ადამიანების გვამები დამარხეს ლონდონთან ახლოს ძმათა სასაფლაოზე.

### მექანიკოსის მიერ დაღუპული „ისტლენდი"

ამერიკის შეერთებული შტატების საექსკურსიო სწრაფმავალი გემი „ისტლენდი" ემსახურებოდა ჩიკაგოს ნავსადგურს. აქედან ის ყოველდღე გადიოდა საექსკურსიო რეისებში. განსაკუთრებით უყვარდათ ამ გემით სეირნობა ახალგაზრდებს, ვინაიდან გემბანზე აწყობდნენ ცეკვებს. გემს ხელმძღვანელობდა კაპიტანი გარი პეტერსონი.

1915 წლის 24 ივლისს დილის 7 საათზე მდინარე ჩიკაგოს გემთსაყუდელში „ისტლენდზე" თავი მოიყარა მორიგე რეისის ექსკურსანტებმა. თითქმის ყველა მგზავრს თან ჰქონდა სურსათ-სანოვაგე პიკნიკისათვის. გემზე შეიძლებოდა 1000 ადამიანის მოთავსება, იმ დღეს კი გაყიდეს 2500 ბილეთი. მაგრამ ამის შესახებ კაპიტანმა არ იცოდა, რადგან გემზე ასასვლელთან შემმოწმებლებს არ დაუთვლიათ ადამიანთა რაოდენობა, ისინი ჩვეულებრივ ხევდნენ წარმოდგენილ ბილეთებს.

მდინარე ჩიკაგოს ნავსადგურთან „ისტლენდი" იდგა მარჯვენა გვერდით, ის ბაგირით გამობმული იყო საბუქსირო თბომავალზე, რომელსაც ის უნდა გაეყვანა მდინარიდან მიჩიგანის ტბაში.

როგორც კი გემი დაიძრა ადგილიდან, მან მაშინვე დაიწყო მარცხენა გვერდზე გადახრა. თავდაპირველად ამაზე არავინ გაამახ-

ვილა ყურადღება. გადახრა თანდათან მატულობდა. აეჯმა და ჭურჭელმა დაიწყო მარცხენა მხარისაკენ დაცურება. მგზავრები ველარ იკავებდნენ თავს და ცურდებოდნენ მარცხენა გვერდისაკენ. შეშინებული მგზაერები პანიკამ მოიცვა. ასობით ადამიანი სასწრაფოდ აეიდა ზევით. გასასვლელებში, კიბის საფეხურებზე, ღერეფნებში, დაიწყო ჭყლეტვა. ყოველი მხრიდან ისმოდა წივილ-კივილი, ბავშვების ტირილი. ასობით ადამიანი დარჩა ქვედა კაიუტებში და გემბანზე, ვინაიდან ვერ მოასწრეს ზევით ასვლა. თითქმის ყველა ვინც იმყოფებოდა ზედა გემბანზე გადახტა წყალში. წყალში ჩაცვენილ ადამიანებს ზემოდან ეცემოდნენ სხვები. ზოგიერთებმა მოახერხეს ხელის ჩავლება წყალში მოცურავე ფიცრებზე, მერხებზე, ყუთებზე. ვინც ცურვა არ იცოდა ხელს არ უშვებდა სხვას და მასთან ერთად იძირებოდა წყალში.

რამდენიმე ხნის შემდეგ გემი მთლიანად გადაბრუნდა გვერდზე, და დაფარა წყალში მოცურავე ასობით ადამიანი. „ისტლენდი“ დაწვა მდინარის ფსკერზე მარცხენა გვერდით. ეს უბედურება მოხდა სულ 6 წუთში. კიდევ 10 წუთის შემდეგ კატასტროფის ადგილზე მოვიდნენ მაშველი კატარღები, მაგრამ მათ გადაარჩინეს მხოლოდ ის მგზავრები, ვინც თავის იჭერდა წყლის ზედაპირზე.

მრავალი დღის განმავლობაში დაღუპული ადამიანების გვამები გამოჰქონდათ წყლიდან და ჩაძირული გემიდან. კატასტროფიდან სამი დღის შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ დაიღუპა 835 ადამიანი. მაგრამ ეს ციფრი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. რადგან მე-5 დღეს ააყენეს გემი და იქიდან გამოიტანეს ათობით დაღუპული ადამიანის გვამი. ქალაქ ჩიკაგოს საგამოძიებოს ექიმმა ჟურნალისტების პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ქალაქის საცხედრეში მან პირადად დათვალა 1300 გვამი.

„ისტლენდის“ დაღუპვის მიზეზი იყო, რომ გემის მექანიკოსმა დაუდევრობის გამო არასწორად გაავსო გემის ბალასტის (წონასწორობის) ცისტერნები.

## აფეთქება სამხედრო გემ „აიოვაზე“

პუერტო-რიკოდან 530 კილომეტრის დაშორებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემი „აიოვა“ მონაწილეობას იღებდა 1948 წლის სამხედრო-საზღვაო მანევრებში. აფეთქება მოხდა, როცა გემი აწარმოებდა სასწავლო სროლებს. ვარაუდობენ, რომ ქვემეხის ლულაში აფეთქდა ჭურვი. ამ დროს გემზე იმყოფებოდა 1575 მეზღვაური და ოფიცერი.

გემზე აფეთქდა იარაღების კოშკი, რომლის ზომები იყო10X6

მეტრი, სიმაღლე 2,3 მეტრი. 16 დიუმიანი ქვემეხების გასროლის მომენტში, კოშკის შიგნით ცეცხლი გაჩნდა დენთის მუხტს. კოშკში გაჩნდა ჯოჯოხეთი. აფეთქება დაიწყო სხვა დენთიანმა ჭურვებმა. დაიღუპა 47 მეზღვაური, ათობით მეზღვაურმა მიიღო ჭრილობები.

## „ესტონიას" დაღუპვის საიდუმლოება

1994 წლის 28 სექტემბერს ფინეთის ყურეში მოხდა საშინელი კატასტროფა. შვეციის სანაპიროდან 100 კილომეტრის დაშორებით ჩაიძირა სამგზავრო ბორანი „ესტონია", რომელიც ქალაქ ტალინიდან მიცურავდა სტოკჰოლმში. 776 მგზავრი და 189 ეკიპაჟის წევრი თითქმის მომენტალურად აღმოჩნდა წყალში. ტრაგედია ისე სწრაფად მოხდა, რომ უბედურების სიგნალის მიცემა მოასწრეს მხოლოდ ერთხელ.

კატასტროფის ადგილზე პირველი მივიდნენ შვედების თბომავალი „მარიელა", „ეიკინგი" და „სილია ევროპა". სასწრაფოდ გამოფრინდნენ მაშველები ფინეთის ქალაქ ტურკუდან. მთელი დღე მიმდინარეობდა მაშველი სამუშაოები. მაგრამ 8 გრადუსის მქონე ცივ წყალში ადამიანებმა დიდხანს ვერ გაძლეს. გემზე ყველაზე მეტი რაოდენობის შვედები იყვნენ და ესტონელები. გლოვა გამოცხადდა ესტონეთში, შვეციაში და ფინეთში. ქალაქ ტალინში ოფიციალურად გამოაცხადეს რომ გადარჩენილ იქნა 126 მგზავრი.

ბორანი „ესტონიას" ჩაძირვის მიზეზი აღმოჩნდა საავტომობილო ლიუკიდან დიდი რაოდენობით წყლის შესვლა გემში, რის შედეგად გემი ჯერ გადაიხარა, ხოლო შემდეგ სწრაფად ჩაიძირა წყალში. სულ დაიღუპა 800-ზე მეტი ადამიანი.

## ხანძარი ბორან „სკანდინავიან სტარზე"

1990 წლის 8 აპრილს ქალაქ ოსლოდან დანიის ნავსადგურ ფრედერიკსხვანისკენ გაემართა სამგზავრო ბორანი „სკანდინავიან სტარი". ბორანზე ხანძარი გაჩნდა ღამის 2 საათსა და 30 წუთზე. მგზავრებს გამოეღვიძათ მხუთავი კვამლისგან, მაგრამ მათ ვერ გაიგეს რა მოხდა და რა უნდა გაეკეთებინათ. ხანძრისჩამქრობი მოწყობილობა არ აღმოჩნდა წესრიგში. არც საგანგაშო სიგნალი არ ყოფილა მიცემული. დაღუპულთა უმრავლესობა მოიგუდა კაიუტებში. ვერ გამოიყენეს სახანძრო ონკანები, ვინაიდან არ იყო შეერთებული წყალთან. ზოგიერთმა მგზავრმა მოახერხა ნავში ჩაჯდომა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნავებზე არ მუშაობდა ძრავები.

ამ გემის ეკიპაჟი სახელდახელოდ იყო შეკრებილი, მათ ჯერ არ

იცოდნენ სათადარიგო გასასვლელები ადგილები, ასევე არ იცოდნენ როგორ ემოქმედათ ხანძრის შემთხვევაში და როგორ უნდა გადაერჩინათ მგზავრები. კიდევ კარგი, რომ ეს უბედურება მოხდა ხშირი მოძრაობის მონაკვეთზე და უბედურების ადგილზე სწრაფად მოვიდნენ საშველად სხვადასხვა ქვეყნის მეზღვაურები. ასევე სწრაფად მოვრინდა შვეციის და ნორვეგიის შვეულმფრენები.

გემზე იმყოფებოდა 362 მგზავრი და 95 ეკიპაჟის წევრი. შვეციის ნავსადგურ ლიუსიჩილში მიიტანეს 125 გვამი. ხოლო თვითონ გემში ხანძრისგან დაიღუპა 25 ადამიანი. სულ დაფიქსირდა 192 დაღუპული ადამიანი.

## საუკუნის უდიდესი საზღვაო კატასტროფა

ვილჰელმ გუსტლოვი იყო შვეიცარიელი ნაცისტების ლიდერი. გიტლერის ერთ-ერთი თანამზრახველი. ერთხელ მის კაბინეტში (ვითომ კურიერი) შევიდა ებრაელი ბიჭი დავით ფრანკფუტერი, რომელმაც 5 გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა ის.

ეს გემი იყო აგებული ამ ფაშისტის პატივსაცემად ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, როგორც 9 გემბანიანი ჩაუძირავი „სილაღება". მასზე იყო 2 თეატრი, საცეკვაო მოედნები, საცურაო აუზი, ტანვარჯიშის დარბაზი, რესტორნები, კაფეები, გიტლერის პირადი აპარტამენტი. გემის სიგრძე იყო 208 მეტრი. შამპანურის ბოთლი მის ბორტზე გატეხა გუსტლოვის ქვრივმა. რომელსაც თავის დროზე ჯვარი გიტლერმა დასწერა და ბანკეტზე დიადი გერმანიის სადღეგრძელო შესვა. ომის დროს ეს გემი გახდა სასწავლო ბაზა წყალქვეშა მეზღვაურების უმაღლესი სკოლისათვის.

1945 წლის იანვარში, როცა გერმანელები აგებდნენ ომს და უკან იხევდნენ, რკინიგზა გადატვირთული იყო, ამიტომ გიტლერელებს ნაძარცვი გაჰქონდათ ზღვითაც. „ვილჰელმ გუსტლოვის" კაპიტანმა მიიღო ბრძანება გადაეყვანა დასავლეთის ბაზაზე წყალქვეშა ნავების კურსანტები, სულ 3700 მეზღვაური. გემზე ავიდნენ ასევე მაღალი რანგის ოფიცრები, ქალთა ბატალიონის 400 წევრი, დაჭრილები, ლტოლვილები. გემზე იმყოფებოდა დაახლოებით 7000 ადამიანი. 30 იანვარს ბალტიის ზღვის დანციგის ყურეში ბუქსირმა გემი რეიდზე გაიყვანა. გემზე იყო საზენიტო იარაღი, მას აცილებდა სამხედრო ბადრაგი, მისი გამგზავრება მოეწყო საიდუმლოდ.

გემზე მყოფ ოფიცრებს ძირითადად საჰაერო თავდასხმის ეშინოდათ, ხოლო წყალქვეშა ნავების არა, ვინაიდან მაშინ ბალტიის ზღვაში იმყოფებოდა გერმანიის 1300 გემი. მაგრამ ისინი მწარედ

მოტყუვდნენ. საბჭოთა კავშირის წყალქვეშა ნავმა C-13-მა აღმოაჩინა ის და მისი კაპიტანი ალექსანდრე მარინესკო გამოუდგენა. მარინესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გემთან ნაპირის მხრიდან მისულიყო, რადგან ზღვის მხრიდან მას ადვილად აღმოაჩენდა გემის დაცვა. ეს იყო ძალიან რისკიანი გადაწყვეტილება, რადგან მისი აღმოჩენის შემთხვევაში თავის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი იყო.

მარინესკომ ამოარჩია მომენტი და ადგილი თავდასხმისათვის და გემიზედ ესროლა 3 ტორპედო. გემი შეტორტმანდა და დაიწყო ჩაძირვა, რაც 1 საათსა და 10 წუთის გაგრძელდა. სასწრაფოდ მოცურდა სანაპიროს დაცვის გემები. გემზე დატრიალდა საშინელება, ადამიანები ერთმანეთში აირია, მოხდა ჭყლეტა, კაპიტნის განკარგულებებს აღარავინ უსმენდა, ყველა ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად ჩამსხდარიყო მაშველ კანჯოებში. დაღუპულთა რაოდენობა დარჩა საიდუმლოდ.

## თბომავალ „ნახიმოვის" ტრაგედია

„ადმირალ ნახიმოვი" იყო შავი ზღვის ყველაზე დიდი სამგზავრო გემი. ბევრმა არ იცის, რომ ეს თავიდან იყო განთქმული გემი „ბერლინი", ექსტრა-კლასის სამგზავრო გემი, რომელიც აგებული იყო გერმანიაში 1925 წელს. ის ადრე ემსახურებოდა ბრემენ-ნიუ-იორკის ხაზს. 1948 წელს ის გადაეცა საბჭოთა კავშირს რეპარაციის სახით. გემი ძირითადად დაცურავდა ყირიმ-კავკასიის მიდამოებში.

შავი ზღვის რეისები გემებს ისე ჰქონდათ შესწავლილი და დამუშავებული, როგორც მოსკოვ-ლენინგრადის რკინიგზის განრიგი. შავ ზღვაში გემების დაჯახება არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ 1986 წლის 1 სექტემბერს მთელი მსოფლიო მოიარა ცნობამ, რომ ღამით ქალაქ ნოვოროსიისკთან ახლოს სატვირთო გემთან („პეტრე ვასევი") შეჯახების შედეგად ჩაიძირა სამგზავრო გემი „ადმირალ ნახიმოვი".

1986 წლის 31 აგვისტოს 22 საათზე იყო თბილი ღამე, მოწმენდილი ზეცა და წყნარი ზღვა. ნავსადგომიდან ორმა ბუქსირმა ზღვაში გაიყვანა „ადმირალი ნახიმოვი". გემის ყველა მონაკვეთი განათებული იყო, მისი დანახვა ადვილად შეიძლებოდა რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან.

სატვირთო გემი „ვასევი" მთელი სვლით უახლოვდებოდა ნავსადგურს. ის მოდიოდა კანადიდან და მოჰქონდა 28 ათასი ტონა ქერი. ორივე გემის კაპიტანმა იცოდა იქაური სანავიგაციო მდგომარეობა, რომ ამ გემების კურსი გადაიკვეთებოდა. გემების გვერდის ავლის წესების მიხედვით „ნახიმოვს" უნდა გაეტარებია მარჯვენა გვერდიდან

მომავალი „ვასევი", ხოლო შემდეგ უნდა გაეგრძელებია თავისი გზა. ვინაიდან გემის შეჩერება დაკავშირებული იყო სირთულეებთან, სანაპირო პოსტის ლოცმანმა შესთავაზა „ვასევს" გაეტარებია ნავსადგურიდან გამოსული „ნახიმოვი". ამის შესახებ ლოცმანმა რადიოტელეფონით შეატყობინა „ნახიმოვს". ამის შემდეგ დაიწყო გემებს შორის რადიო მოლაპარაკება. კავშირი დამაკმაყოფილებელი იყო. გემების ხიდზე ამ დროს წყნარი ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო. არავინ არ ფიქრობდა, რომ შეიძლება უბედური შემთხვევა მომხდარიყო.

მოახლოებული „ვასევი" რომ დაინახა „ნახიმოვის" კაპიტნის თანაშემწემ ჩუდნოვსკიმ უბრძანა გემის კურსის შეცვლა, ესე იგი გამოიჩინა მერყეობა. თუ „ნახიმოვი" არ შეცვლიდა კურსს, ის გაასწრებდა და „ვასევი" გვერდს აუვლიდა „ნახიმოვს" კიჩოს უკან. მაგრამ „ვასევი" თავისი ცხვირით დაეჯახა „ნახიმოვის" მარჯვენა გვერდს და შეანგრია გემის გვერდი რამდენიმე კვადრატული მეტრის ფართობზე. „ნახიმოვმა" დაიწყო მარჯვენა გვერდზე გადახრა და 8 წუთის შემდეგ ჩაიძირა ზღვაში. სულ დაიღუპა 423 ადამიანი.

ქალაქ ოდესაში შედგა სასამართლო პროცესი. ორივე გემის კაპიტანს გამოუტანეს 15 წლით პატიმრობა.

## მონღოლების დაღუპული ფლოტი

მრავალი საუკუნეების მანძილზე მონღოლები ეწეოდნენ მომთაბარე მწყემსურ ცხოვრებას და ხარკს უხდიდნენ ჩინეთს. მაგრამ მეფე ჩინგის ხანის პერიოდში მონღოლები გახდნენ მეომრები და საშიში ძალა სხვა ქვეყნებისთვის. მათ დაამხეს ჩინეთის უღელი და დაიპყრეს ძველი მბრძანებლები. შემდეგი მმართველების ხელში კი მათ დაიპყრეს აზიის და ევროპის ქვეყნების ნაწილი, XII-XIV საუკუნეებში ყველგან მოჰქონდათ საშინელება.

1260 წელს ხუბილაიმ თვითნებურად ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და თავი გამოაცხადა მონღოლების დიდ ხანად. 1271 წელს მან დედაქალაქი გადაიტანა პეკინში. ახლა მას მადა გაეზარდა და დააპირა იაპონიის დაპყრობა. გაგზავნილი შიკრიკები იაპონელებმა უარით გამოაბრუნეს. მაშინ 1274 წელს ხუბილაი თავს დაესხა იაპონიას და ააოხრა კუნძულები იკი და ცუსიმა. 900 სამხედრო გემი 40000 მეომრით მიადგა კუნძულ კიუსიუს. მთელი დღის ბრძოლების შემდეგ, ღამით დამპყრობლები დაბრუნდნენ თავიანთ გემებზე. ამოვარდა ძლიერი შტორმული ქარი, რომელმაც გაანიავა მონღოლების ფლოტი, 200 გემი ჩაიძირა, არმიიდან ცოცხალი გადარჩა 13500 ადამიანი. მონ-

ღოლების ჯარი იძულებული გახდა დაეტოვებია კუნძული კიუსიუ. მაგრამ ხუბილაიმ არ გაანება თავი იაპონიის დაპყრობას და უფრო ძლიერ ძალებს მოუყარა თავი. იაპონიამ კვლავ უარი განაცხადა მონღოლების ვასალად გახდომასა და ხარკის გადახდაზე.

1281 წელს ხუბილაიმ იაპონიის დასაპყრობად წაიყვანა ორი ფლოტი (4000 გემი) 100000 ჯარისკაცით, რომელშიც შედიოდნენ მონღოლები, ჩინელები და კორეელები. ერთი ფლოტი გაემგზავრა კორეიდან, მეორე ჩინეთიდან, ისინი უნდა შეერთებულიყვნენ კუნძულ კიუსიუსთან ახლოს. მაგრამ ერთმა ფლოტმა დააგვიანა, ამის ისარგებლეს იაპონელებმა და მათ უკუაგდეს მონღოლების იერიში, ისინი იძულებულნი გახდნენ დაეხიათ პატარა კუნძულ ხირადოძიმაზე.

მოვიდა მონღოლების მთავარი არმიაც, მაგრამ მოულოდნელად მოვარდა საშინელი ძალის ტაიფუნი, რის შედეგად წყალში ჩაიძირა მონღოლების ფლოტის ძირითადი ნაწილი. ტაიფუნი საშინელი ძალით აბრუნებდა გემებს, გლეჯდა ჯაჭვებს, ტეხდა ანძებს, ხევდა იალქნებს. გადარჩენილი სამხედრო გემები ტაიფუნმა გაფანტა ზღვაში.

დასუსტებული და გაფანტული მონღოლების ფლოტი ადვილად გაანადგურეს იაპონელმა სამურაებმა. მაშველად მოვლინებულ ტაიფუნს იაპონელებმა შეარქვეს „კამიკაძე".

მონღოლების მხრიდან ჩაიძირა 4000 გემი და დაიღუპა 100000-ზე მეტი ადამიანი. ამის შემდეგ მონღოლებს იაპონიაზე თავდასხმა არც უფიქრიათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს „კამიკაძე" შეარქვეს იაპონელ სასიკვდილოდ განწირულ მფრინავებს, რომლებიც თვითმფრინავთან ერთად პიკირებას უკეთებდნენ ამერიკის სამხედრო გემებს და წყნარ ოკეანეში ძირავდნენ მათ.

## ესპანეთის დაღუპული არმადა

XVI საუკუნის დასაწყისში შედარებით უფრო ძლიერი სახელმწიფოები იყვნენ ესპანეთი და პორტუგალია. მაგრამ როდესაც საეაჭრო გზებმა ხმელთაშუა ზღვიდან გადაინაცვლა ატლანტიკის ოკეანეში, თანდათან გაძლიერდა ინგლისი. ესპანეთის მეფე ფილიპე მეორემ გადაწყვიტა შეევიწროებინა ინგლისი და დაემორჩილებინა იგი. 1588 წელს მან ინგლისის წინააღმდეგ გააგზავნა არმადა, რომელიც შედგებოდა 130 სამხედრო და 30 სატრანსპორტო გემისაგან. არმიაში იყო 30693 ჯარისკაცი. არმიას მეთაურობდა ადმირალი მედინა სიდონი. 27 მაისს არმიამ დაიწყო ზღვაში გასვლა. ორი დღე დასჭირდა არმიის რეიდში გაჭიმვას. ესპანელები არტილერიაზე არ ამყარებდნენ დიდ

იმედებს. მათ აბორდაჟის იმედი უფრო ჰქონდათ, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. ინგლისელები იმყოფებოდნენ არტილერიის ცეცხლის მანძილზე და არტილერიის გამოყენებით ესპანელებს არ აძლევდნენ აბორდაჟის გამოყენების საშუალებას. ესპანელების მრავალი გემი ინგლისელებმა ჩაძირეს პირველივე შეტაკებისთანავე, ხოლო ათობით სხვა გემები სერიოზულად იყო დაზიანებული არტილერიის ჭურვებისაგან. მედინა-სიდონმა გასცა ბრძანება უკან დახევაზე.

უკან გამობრუნებულ გემებზე გაჩნდა სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობა, მეზღვაურები იღუპებოდნენ შიმშილისაგან. შტურმანებს ნისლში გემები მიჰყავდათ ალალბედზე. 18 აგვისტოს ამოვარდა საშინელი შტორმი, რომელმაც ჩაძირა მრავალი გემი. ზოგიერთი გემი ნისლში დაეჯახა წყალქვეშა კლდეებს. დიდი არმადიდან გადარჩა შტორმისგან ნახევრად დალეწილი 65 გემი. ინგლისის დედოფალმა კი ლონდონში მოაწყო მდიდრული ქეიფი. ძველი რომაელების მსგავსად დედოფალმა ტრიუმფალური ეტლით გაიარა მეფის სასახლიდან წმინდა პავლეს ტაძრამდე.

## „პამირის“ უკანასკნელი ცურვა



1957 წლის სექტემბერში გერმანიის იალქნიანი გემი „პამირი“ ბუენოს-აირესიდან მიემართებოდა ჰამბურგისაკენ. მასზე იყო დატვირთული მარცვალი. გემზე იმყოფებოდა 86 ადამიანი. 21 სექტემბერს, გემის კაპიტანმა იოჰანეს დიბიჩმა რომ გაიგო მოსალოდნელი ძლიერი ურაგანის შესახებ, გადაწყვიტა გემის სვლა აეჩქარებინა იალქნებით, რათა გაესწრო და აცილებოდა ურაგანის ზონას. მაგრამ სწორედ ეს მანევრი გახდა საბედისწერო „პამირისთვის“. ურაგანის ცენტრი დაეწია მას. გემს დაენარცხა ქარისაგან ამაღლებული ტალღები, რომლებიც თავისუფლად გადაევლო გემბანს. გემმა თანდათან იწყო ერთ მხარეზე გადახრა. ტრიუმში მარცვალმა გადაინაცვლა მარცხენა გვერდისაკენ, რის შედეგადაც გემი გადაბრუნდა. გემის კაპიტანმა გადასცა „SOS“ სიგნალი. ეკიპაჟის ყველა წევრს დაურიგეს მაშველი ჟილეტები. კანჯოებში ჩაჯდომა

შეუძლებელი აღმოჩნდა, ეინაიდან ისინი ძალიან მაღლა იყო აწეული გემის გადაბრუნების გამო. ზოგიერთი კანჯო და რეზინის ტიეი დაიტბორა. მხოლოდ 3 ტიეზე მოასერხა ზოგიერთმა მეზღვაურმა გაცლოდა დასაღუპად განწირულ „პამირს". დანარჩენი მეზღვაურები კაპიტანთან ერთად გადასტნენ აბობოქრებულ ზღვაში.

რამდენიმე მეზღვაურმა შეძლო კანჯოში ჩაჯდომა, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა ნიჩბები. „პამირი" ჩაიძირა წყალში. მეზღვაურები დიდი ხნის მანძილზე ვერავინ აღმოაჩინა. ახლო მანძილზე გემი არ გამოჩნდა. არ ჰქონდათ არავითარი საკვები, სვამდნენ წვიმის წყალს. სამი დღე-ღამის შემდეგ რომელიღაც გემზე აიყვანეს 6 გადარჩენილი მეზღვაური, დანარჩენი კი დაიღუპა აბობოქრებულ ზღვაში.

## სტამბოლთან ჩაძირული ტანკერი

1999 წლის 28 დეკემბერს მარმარილოს ზღვაში თურქეთის დედაქალაქ სტამბოლთან ახლოს შტორმულმა ტალღებმა ჯერ დააზიანა, ხოლო შემდეგ შუაზე გაგლიჯა რუსეთის ტანკერი, რომელსაც გადაჰქონდა 5 000 ტონა მაზუთი. მეზღვაურები აიყვანეს სხვა გემებზე და არავინ დაღუპულა, მაგრამ თუ დავუჯერებთ მოსკოვის სატელევიზიო საინფორმაციო ცნობებს, ზღვაში დაიქცა მხოლოდ 700 ტონა მაზუთი. როგორც უჩვენეს ტელევიზიით, ტანკერის მეორე ნახევარი ზღვაში არ ჩაძირულა და შეუდგნენ მაშველ სამუშაოებს, რათა მაზუთის დანარჩენი ნაწილი არ ჩაღვრილიყო წყალში.

## „ყირგიზეთის კომკავშირელი" უბედურების ტალღაზე

ბალტიის ზღვის სანაოსნოს გემმა „ყირგიზეთის კომკავშირელმა" 1987 წლის 15 მარტს განიცადა უბედურება, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-ჯერსის შტატის სანაპიროდან 200 კილომეტრის დაშორებით. გემის ეკიპაჟს დახმარება აღმოუჩინა აშშ სანაპიროს სამხედრო სამსახურმა. ეკიპაჟის ყველა 37 წევრი აიყვანეს გემის ბორტიდან და მიიყვანეს ამერიკის ატლანტიკ-სიტის პორტში. ბალტიის საზღვაო სანაოსნომ დიდი მადლობა მოუხადა აშშ სანაპიროს სამსახურს. თბომავალი „ყირგიზეთის კომკავშირელი" დატვირთეს კანადის გალიფაქსის პორტში, 10 000 ტონა ფქვილით და 1987 წლის 12 მარტს აიღო კურსი კუბისაკენ.

ცურვის მეორე დღეს რადიოსადგურის უფროსმა ევგენი შაროვმა მეგობრებს მოუთხრო, რომ 1968 წლის იმავე 13 მარტს, როგორც ამჟამად, მან გადასცა უბედურების სიგნალი თბომავალი „დიდი უსტიუგიდან" ზღვის ამავე მიდამოებიდან, გემი მაშინ მიცურავდა კუბიდან

ლენინგრადში. ღამით შტორმის დროს დიდი ტალღის დარტყმის შედეგად გემი გადაიხარა მარჯვენა მხარეს. გემის გასწორება ვერ მოხერხდა. ჩამძირავ გემთან ყველაზე ადრე მიცურდა რიგაში მიმავალი საბჭოთა დიზელ-ელექტრომავალი „ლედ'ესი", რომლის ბორტზე აიყვანეს ეკიპაჟი.

შაროევის მონაყოლი ამბავის შემდეგ ცუდ ხასიათზე დაიშალნენ, ნამდვილად იმ რაიონს ხატერასის კონცხის ახლოს, სადაც ახლა მიცურავდა თბომავალი გემი, მეზღვა'ურები უწოდებდნენ „გემების სასაფლაოს".

ოკეანე იყო თავის'უფალი, არ ჩანდა შემხვედრი გემები, არც რადიოლოკატორის ეკრანზე არ იყო ნიშნები. არ ისმოდა გემების რადიოსადგურების მოლაპარაკებები.

4 საათსა და 40 წუთზე კაპიტნის მოადგილემ ვალენტინ კოტელნიკოვმა საველ ხიდზე გაიგონა შორე'ული გუგუნი. ხმა ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა, ხოლო როცა მოუახლოვდა გემს, გარდაიქმნა გამძაფრებულ ღრიალში. ოკეანემ დაიკვნესა, აზუზ'უნდა. ტალღები ერთდებოდნენ და აღწევდნენ უზარმაზარ ზომებს. გიგანტური ტალღები მოდიოდნენ ერთიმეორის მიყოლებით.

ევგენი შაროვი გამოაფხიზლა ძლიერი დარტყმის ხმამ და გემის 'უეცარმა გადახრამ მარცხენა მხარეს. პირველ წამებში ვერ მიხვდა რა მოხდა. გააკვირვა უჩვეულო სიწყნარემ. არ ისმოდა ძრავები ვიბრაციის ხმა. მანქანა გაჩერდა. უმართავი გემი ირხეოდა ერთი მხრიდან მეორეზე.

კაპიტანის ხიდზე იდგნენ შტურმანი ვალენტინ კატელნიკოვი და თვითონ კაპიტანი ვიქტორ ხურაშევი მოადგილეებით.

რადიოგადამცემით გადასცეს 'უბედ'ურების სიგნალი, მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა, ახლო-მახლო გემები არ აღმოჩნდნენ.

მექანიკოსებმა დაქოქეს ძრავი, მაგრამ ბრ'უნვები ნელი იყო და გემი არ ემორჩილებოდა საჭეს. გემზე მდგომარეობა გაუარესდა. გემის გადახრა იზრდებოდა. ტალღები ზემოდან გადადიოდა გემბანზე. გემის ერთი მხრივ კანჯოების ჩაშვება წყალში შეუძლებელი იყო, ხოლო მეორე მხრივ, კანჯოში 37 კაცის ჩაჯდომა ასეთი შტორმის დროს სარისკო იქნებოდა, ამიტომ კაპიტანმა ჩათვალა, რომ კანჯოებს მაშინვე დაამსხვრევდა ტალღები გემის კორპუსზე მიხეთქებით.

რადისტები დაუკავშირდნენ ჰავანას. აქედან კი შეატყობინეს მოსკოვს და ლენინგრადს. 8 საათსა და 30 წუთზე რადიოტალღამ მოაღწია ლენინგრადიდან. დილის 9 საათისათვის გემი კიდევ უფრო გადაიხარა გვერდზე და თანდათან უახლოვდებოდა კრიტიკულ

ნიშნულს. რადისტები დაუკავშირდნენ აშშ სანაპიროს სანავიგაციო სამსახურს, გადასცეს, რომ „საბჭოთა თბომავალი „ყირგიზეთის კომკავშირელი" იმყოფება უბედურების ზონაში, გვესაჭიროება შველა". ამერიკელებმა უპასუხეს, რომ „ვაგზავნით შვეულმფრენებს საშველად, მანდ იქნებიან 2,5-3 საათის შემდეგ".

12 საათზე თბომავლის თავზე გამოჩნდა ამერიკელების 3 თვითმფრინავი. ჩამოუშვეს ბაწრები დაკიდებული კალათებით, რომლებშიც ჩასხდნენ ეკიპაჟის წევრები. 20 წუთში ერთმა შვეულმფრენმა აიყვანა 15 ადამიანი და გაფრინდა. მისი ადგილი დაიკავა მეორე შვეულმფრენმა და 2,5 საათის ფრენის შემდეგ დაფრინდნენ ატლანტიკ-სიტის სამხედრო აეროდრომზე. იქ რუს მეზღვაურებს შეხვდნენ თბილად და მეგობრულად. მიართვეს თითოეულს ცხელი ყავა, ბუტერბროდი, ხილი წვენი და ვაშლი.

შემდეგ მეზღვაურები ავტობუსით წაიყვანეს ქალაქ ატლანტიკ-სიტში და მოათავსეს სასტუმროში. მეორე დილით ისინი წაიყვანეს ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოში, ხოლო კიდევ ერთი დღის შემდეგ გაიგეს, რომ მათთან შეხვედრა სურს აშშ პრეზიდენტს.

ვინაიდან მეზღვაურების ტანსაცმელი აღარ ვარგოდა, ისინი მიიყვანეს საზეიმო ცერემონიალების ჩასატარებელ ადგილზე.

აშშ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი სწრაფად ჩამოვიდა კიბის საფეხურებზე მწვანე ველზე, მივიდა მფრინავებთან და თითოეულს მიულოცა ოპერაციის წარმატებით ჩატარება და იქვე დააჯილდოვა ისინი. შემდეგ პრეზიდენტმა ხელი ჩამოართვა რუსეთის ელჩს ოლეგ სოკოლოვს. შემდეგ შეეკითხა რუს მეზღვაურებს ჯანმრთელობის შესახებ და ყველას ხელი ჩამოართვა. მან ტრიბუნიდან წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელიც დააბოლოვა რუსული სიტყვებით „желаю счастливого пути". ოფიციალური ცერემონიის დამთავრების შემდეგ, მეზღვაურები დიდხანს საუბრობდნენ ამერიკელ მფრნავებთან თარჯიმნების დახმარებით.

მოსკოვში მეზღვაურები გაფრინდნენ ილ-62 თვითმფრინავით „დალასის" აეროდრომიდან.

### ბორანი „პრინცესა ვიქტორიას" დაღუპვა

ბორანი „პრინცესა ვიქტორია" ააგეს შოტლანდიაში 1947 წელს. ის იყო საზღვაო სამგზავრო-საავტომობილო დანიშნულების ბორანი. მისი სიგრძე იყო 92,4 მეტრი, სიგანე 14,9 მეტრი, წყალში იყო ჩაძირული 3,9 მეტრით. მას შეეძლო გადაეყვანა 1515 მგზავრი, ეკიპაჟის წევრი და ავტომობილები.

შოტლანდიის სტრანრარის პორტიდან ჩრდილო ირლანდიის

ლარნის პორტამდე სულ 35 კილომეტრის საცურაო გზას მეზღვაურები ხუმრობით ეძახდნენ „ირმის ნახტომს“. ეს იყო ყველაზე მოკლე საზღვაო გზა შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის.

1953 წლის 31 იანვარს „პრინცესა ვიქტორია“ გრაფიკის მიხედვით უნდა გასულიყო მორიგ რეისში. მგზავრთა უმრავლესობა სტრანრარში ჩამოვიდნენ ღამის მატარებლით ლონდონიდან. ბორანის კაპიტანმა ფერგუსონმა მეტეოროლოგებისგან მიიღო ცნობა, რომ მოსალოდნელია შტორმი. მაგრამ კაპიტანს არ უნდოდა გრაფიკის დარღვევა, თანაც ბორანი არ იყო მთლიანად დატვირთული, ამიტომ მან არ გადადო რეისი.

7 საათსა და 45 წუთზე ბორანი გავიდა პორტიდან. მის ბორტზე იმყოფებოდა 127 მგზავრი და 49 ეკიპაჟის წევრი.

გავიდა ზუსტად ორი საათი, როცა ეთერში გაისმა სიგნალი: „ბორანი უმართავია. სასწრაფოდ საჭიროა ბუქსირი“. ყველაზე ახლოს მყოფმა მაშველმა გემმა „სალეედმა“ შეცვალა კურსი და გაემართა დასახმარებლად. 10 საათსა და 32 წუთზე ეთერში გაისმა უბედურების სიგნალი „SOS“ – ბორანზე საავტომობილო გემბანი დაიტბორა, გემი ძალიან გადაიხარა მარჯვენა გვერდზე, საჭიროა სასწრაფო დახმარება, ბორანი უმართავია“.

ზღვაში ამოვარდა შტორმული ქარი, ტალღებმა დატბორეს საავტომობილო გემბანი. ვინაიდან ვერ შეძლეს გემის მიბრუნება პორტისაკენ, დაიწყეს ბუქსირის მოცდა. გემბანზე დიდი რაოდენობით დატბორილმა წყალმა გემი გადახარა გვერდზე. საავტომობილო გემბანიდან სახანძრო კარებების გაღებით წყალი შევიდა მგზავრების სალონშიც.

10 საათსა და 45 წუთზე კაპიტანმა ფერგუსონმა ეთერში გადასცა კიდევ ერთი „SOS“. ყველა მგზავრს დაურიგეს მაშველი ჟილეტები. შტორმი თანდათან ძლიერდებოდა, ქარის ძალამ მიაღწია 12 ბალს, წარმოიქმნა ქარბუქი, მხედველობა თითქმის გაქრა. სამი გემი ეძებდა უბედურებაში ჩავარდნილ ბორანს. „პრინცესა ვიქტორიას“ უბედურების შესახებ გაიგეს მთელ ინგლისში. 13 საათსა და 08 წუთზე კაპიტანმა ფერგუსონმა რადიოთი გადასცა, რომ: „გადაწყვიტეს გემის მიტოვება“. ვინაიდან დახმარება არსაიდან ჩანდა, ხოლო ბორანი შეიძლება გადაბრუნებულიყო, კაპიტანმა გასცა ბრძანება მგზავრები ჩაესვათ კანჯოებში და ჩაეშვათ ზღვაში.

№4 კანჯოში ჩასვეს ქალები და ბავშვები, მაგრამ როგორც კი კანჯო დაჯდა წყალზე, მოვარდნილმა ტალღამ მიანარცხა ის ბორანის გვერდს ისეთი ძალით, რომ ყველა მასში მჯდომი ზღვაში გადაყარა.

„პრინცესა ვიქტორია“ ჩაიძირა ზღვაში მანამდე, სანამ მოვიდოდა

მაშველი გემები. ეს იმიტომ მოხდა, რომ გემის კაპიტანმა არასწორად გადასცა გემის სამყოფელი ადგილის კოორდინატები. მას დაეძებდნენ შოტლანდიის სანაპიროებთან, ხოლო ის კი ამ დროს იძირებოდა ირლანდიის სანაპიროებთან.

სულ გადაარჩინეს 33 მგზავრი და ეკიპაჟის 10 წევრი. დაიღუპა 133 ადამიანი, მათ შორის კაპიტანი და რადისტიც. არც ერთი ქალი და ბავშვი არ გადარჩენილა.

## ფოლადის აკლდამა ჩრდილოეთის ზღვაში

შოტლანდიის სანაპიროდან 320 კილომეტრის დაშორებით ჩრდილოეთის ზღვაში მოწყობილია ორი ნავთობის მომპოვებელი საბურღავი პლატფორმა. ერთი მათგანი „ედნა“ ნავთობს ქაჩავდა, ხოლო მეორე „ალექსანდრე კელანი“ გამოყენებული იყო საცხოვრებელ ადგილად, თუმცა ის შენდებოდა როგორც საექსპლოატაციო პლატფორმა. აქ დატოვეს 80 მეტრი სიმაღლის საბურღავი კოშკი, რომელიც რა თქმა უნდა, არ ვარგოდა საზღვაო სასტუმროდ. „ედნა“ დამაგრებული იყო მიწაზე, ხოლო „კელანი“ შეიძლება გადაადგილებულიყო. კარგ ამინდში ადამიანები დადიოდნენ მათს შემაერთებელ 100 მეტრის სიგრძის ხიდზე.

1980 წლის მარტში ზღვაზე იყო შტორმი. 10 მეტრი სიმაღლის ტალღები ეხეთქებოდა პლატფორმის სვეტებს. 18 საათსა და 45 წუთზე გრინვიჩის დროით ოკეანის ძლიერმა ტალღამ გადატეხა პლატფორმის ერთი სვეტი (ფეხი), სწორედ ის, რომელიც მდებარეობდა საბურღი კოშკის ქვეშ. გადაადგილდა სიმძიმის ცენტრი და „კელანის“ პლატფორმამ დაიწყო გადახრა. რამდენიმე წუთში გადახრამ 45 გრადუსს მიაღწია. ტალღების ახალმა ბიძგებმა სწრაფად დაამთავრეს საქმე — პლატფორმა წაიქცა გვერდზე და გადაბრუნდა. კაპიტანმა მოასწრო განგაშის სიგნალის მიცემა, მაგრამ დაგვიანებით.

იმ დღეს „კელანის“ პლატფორმაზე იმყოფებოდა 228 ადამიანი. კატასტროფის დროს ადამიანების მეოთხედი იმყოფებოდა კინოდარბაზში. ცოცხალი გადარჩა ის, ვინც სწრაფად მოახერხა გარეთ გამოსვლა და გაცურა მეორე პლატფორმა „ედნამდე“.

კატასტროფის ადგილზე ყველაზე ადრე მოფრინდნენ შვეულმფრენები. ზემოდან მოჩანდა საშინელი სურათი: გადაბრუნებული პლატფორმის გარშემო აღელვებულ ზღვაში ცურავდნენ ცოცხლად გადარჩენილები, კანჯოებზე, პნევმატურ ტივებზე და მაშველ ქილეტებზე. ორი საათის შემდეგ მოვიდა რამდენიმე სავაჭრო გემი. ქალაქ სტავანგერიდან გამოაგზავნეს სპეციალური სამედიცინო რაზმი.

თვითმფრინავები, 20 შვეულმფრენი, 47 გემი ჰაერიდან თუ წყლიდან დაეძებდნენ ადამიანებს. საბოლოოდ გადაარჩინეს 89 ადამიანი და დაიჭირეს 42 დამხრჩვალის გვამი. 85 მბურღავი დაიღუპა ზღვაში. ნორვეგიაში 31 მარტი გამოცხადდა ნაციონალური გლოვის დღედ.

გამოყოფილ კომისიას უნდოდა გამოერკვია, რატომ გადაბრუნდა პლატფორმა მხოლოდ ერთი საყრდენი ფეხის მოტეხვის შედეგად. მაგრამ სწორი პასუხი ვერ იქნა მიღებული.

## ლონდონის ცენტრში დაღუპული „მარკიზი“

ლონდონის ცენტრში, მდინარე ტემზაზე 1989 წლის 20 აგვისტოს ღამით, სამდინარე სამგზავრო ორთქლმავალი გემი „მარკიზა“ დაეჯახა ქვიშით დატვირთულ დიდ დრაგერს. დაჯახებისგან „მარკიზა“ გაიხლიჩა ორ ნაწილად და სწრაფად ჩაიძირა მდინარეში.

გემზე მყოფი 150 ადამიანიდან ცოცხალი გადარჩა 78 მგზავრი, რომლებიც იმ მომენტში იმყოფებოდა გემბანზე. ისინი გადაარჩინეს სპეციალური მაშველი ნავებით სწრაფი და ოპერატიული მოქმედებით. ზოგიერთმა მგზავრმა თვითონ გაცურა ნაპირამდე.

სამდინარე სამგზავრო გემი „მარკიზი“ დაქირავებული იყო მდინარე ტემზაზე სასეირნოდ ერთი პიროვნების დაბადების დღის აღსანიშნავად. გამოირკვა, რომ მრავალი მგზავრი, ძირითადად ახალგაზრდები ცეკვავდნენ გემბანზე. შეჯახების შედეგად მოცეკვავეები გადაცვივდნენ მდინარეში. ხოლო ისინი, ვინც ამ მომენტში იმყოფებოდა გემის ქვედა სათავსოებში, ჩაიძირა გემთან ერთად. მგზავრების გადარჩენას ხელი შეუწყო კატასტროფის ადგილიდან 100 მეტრში მომავალმა სხვა გემმაც, რომლის კაპიტანმა უილიამსმა თვითონაც მიიღო აქტიური მონაწილეობა ხალხის გადარჩენაში. მისი თქმით, გემების შეჯახება მოხდა სატბრიჯის ხიდთან. რატომღაც ორივე გემის კაპიტანმა ხიდის ქვეშ გასასვლელად ამოარჩია ცენტრალური თაღი, რაც გახდა ტრაგედიის მიზეზი.

## „გროსვენორის“ ტრაგედია

1782 წლის 13 ივნისს ტრიკომალის პორტიდან (ჩრდილოეთი ინდოეთი) ინგლისისაკენ გაემართა სატვირთო-სამგზავრო გემი „გროსვენორი“, რომელსაც სამშობლოში მიჰყავდა 150 მგზავრი, ძირითადად მაღალი თანამდებობის პირები და ოფიცრები, რომლებმაც ამ კოლონიაში დაამთავრეს სამსახურის ვადა. ბევრი მიემგზავრებოდა ოჯახით.

1782 წლის 4 აგვისტოს „გროსვენორმა“ გადაცურა ინდოეთის

ოკეანე და კაპიტნის გაანგარიშებით იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთის სანაპიროდან 100 კილომეტრის დაშორებით. უეცრად გემზე გაისმა საშინელი ხმაური, გემი დაჯდა რიფზე. მეზღვაურებმა სასწრაფოდ შეკრეს 3 ტივი. ვინც ცურვა იცოდა გაცურა რიფისკენ. ზოგიერთი დაიხრჩო წყალში. ერთი ტივი ტალღებმა ამოატრიალა და მასზე მყოფნი დაიღუპნენ. „გროსვენორი", რომლის ძირი გაიხა დიდ ფართობზე, ჯერ გადაიხარა მარცხენა გვერდზე, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ჩაიძირა.

მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ 220 ეკიპაჟის წევრიდან და 150 მგზავრიდან, ცოცხალი დარჩა 123 ადამიანი, მათ შორის აღმოჩნდა 20 ქალი და ბავშვი.

გადარჩენილი ადამიანები გავიდნენ სანაპიროზე დურბანის და ელიზაბეტის პორტებს შორის. მოკლე თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს ფეხით წასულიყვნენ ჯგუფებად პორტისაკენ. პირველ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა კაპიტნის მოადგილე, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ მეზღვაურები და ოფიცრები. მათ ჰქონდათ მხოლოდ 2 თოფი და ერთი პისტოლეტი. ამ ჯგუფს უნდა გაეკვლია გზა და უზრუნველეყო დანარჩენი ჯგუფების უსაფრთხოება.

მეორე ჯგუფი შედგებოდა ქალების, ბავშვების და მოხუცებისაგან. მესამე ჯგუფში იმყოფებოდნენ მგზავრები და რამდენიმე მეზღვაური, ჯგუფს ხელმძღვანელობდა კაპიტანი, რომელსაც პისტოლეტი ჰქონდა.

გზა რთული აღმოჩნდა, უნდა გაევლოთ გაუვალი ტროპიკული ტყეები. დაიწყო ავადმყოფობა. დაიღუპნენ ბავშვები. კოლონას ელოდებოდა სხვა საშიშროებაც. პორტუგალიელი და ჰოლანდიელი დამპყრობლები სამხრეთ აფრიკაში ცეცხლით და მახვილით იპყრობდნენ ადგილობრივ ტომებს. ისინი წვავდნენ სოფლებს, ხოცავდნენ მოხუცებს, ხოლო ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს მონებად ჰყიდდნენ ევროპის და აზიის ბაზრებზე. ამის გამო ამ ჯგუფებს თავს ესხმოდნენ ხოლმე აბორიგენთა რაზმები. შეტაკებებში დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ზოგიერთი კი დაჭრილი იყო.

ცნობილი გახდა, რომ ადამიანების უმრავლესობა ვერ უძლებდა ძნელ გზას. გადაწყვიტეს 40 ფიზიკურად ძლიერი ადამიანი გაეგზავნათ ელიზაბეტის პორტში დახმარებისთვის, ხოლო დანარჩენები გააკეთებდნენ ბანაკს და დაელოდებოდნენ მაშველს. ბანაკის ხელმძღვანელად დარჩა კაპიტანი კოკსონი, მისმა მოადგილემ წაიყვანა რაზმი პორტისაკენ.

ორთვენახევრის შემდეგ პორტ ელიზაბეტამდე მიაღწია მხოლოდ ერთმა მეზღვაურმა ვილიამ ჰაბერნმა. ორი დღის შემდეგ ბანაკის

მიმართულებით გაემართა 300-კაციანი ექსპედიცია. მათ გაიარეს 300-ზე მეტი კილომეტრი და აღმოაჩინეს ადგილი, რომელიც ჰგავდა ბანაკს. მაგრამ ნახშირის, ჩონჩხების, დახეული და დამპალი ევროპული ტანსაცმლის მეტი ვერაფერი ნახეს.

1790 წელს ჰოლანდიის გუბერნატორმა კეიპტაუნში მიიღო ცნობა, რომ პონდოს დასახლებაში ადგილობრივი ტომების ბელადების ცოლებში არიან თეთრი ქალებიც. ხელახლა შექმნილმა ექსპედიციამ ეს ცნობები დაადასტურა. 5 ქალი მართლაც გემი „გროსვენორიდან“ აღმოჩნდა.

## „სან-ტომეს“ დაღუპვა

აღმოსავლეთ ინდოეთის კოჩინის პორტიდან 1589 წლის იანვარში გამოვიდა გემი „სან-ტომე“, რომლის კაპიტანი იყო ესტევე და ვეიგა. ცურვის დროს გემში იმდენი წყალი შევიდა, რომ კაპიტანმა მიიღო გადაწყვეტილება გემის მიტოვების შესახებ. მაშინ გემზე იმყოფებოდა რამდენიმე ასეული ადამიანი. ერთადერთ კანჯოში ჩასხდნენ ოფიცრები და მაღალი თანამდებობის პირები, სულ 140 ადამიანი. დანარჩენები კი გემზე დარჩნენ.

ცოცხლად გადარჩენილმა დიეგო დე კოუტომ 1611 წელს დაწერა, რომ გემზე დარჩენილმა მგზავრებმა ააგეს ტივები, მაგრამ ისინი წყალში ჩაშვებისთანავე ჩაიძირა. გემი წყლის ზედაპირზე იყო კიდევ 24 საათი და შეიძლებოდა რაიმე ზომის მიღება.

მაგრამ არც კანჯოზე იყო ნორმალური სიტუაცია. ის აღმოჩნდა გადატვირთული – ბორტი თითქმის წყლის პირზე იყო და ტალღებიდან ესხმებოდა წყალი. ოფიცრებმა გადაწყვიტეს, რომ საჭიროა როგორმე კანჯოს შემსუბუქება. მათ 6 მგზავრი უეცრად გადააგდეს ზღვაში, რომლებიც მალე ჩაიძირნენ წყალში. იმავე დღის საღამოს კანჯო დაბრუნდა გემთან, რომელიც ჯერ არ იყო ჩაძირული. მეზღვაურებმა გემიდან კანჯოში გადმოიტანეს სურსათი და სასმელი. მაგრამ ვინაიდან კანჯომ კვლავ ჩაიწია წყალში, მათ კვლავ გადააგდეს ზღვაში რამდენიმე ადამიანი. მხოლოდ ამის შემდეგ აუშვეს იალქნები და გაცურეს სანაპიროსაკენ. სანაპიროს მიაღწიეს მხოლოდ 22 მარტს. ხოლო გემი „სან-ტომე“ ჩაიძირა 17 მარტს მასზე მყოფ ადამიანებთან ერთად.

23 მარტს ცოცხლად გადარჩენილებმა გადაწყვიტეს წასვლა სანაპიროს გასწვრივ (ახლანდელი მოზამბიკის ტერიტორია) ლორენსო მარკიშის პორტისკენ, სადაც იდგა პორტუგალიის გარნიზონი. მიდიოდნენ ნელა, არ ჰქონდათ საკვები, მათ მუდმივად თავს ესხმოდნენ

აბორიგენები. 18 აპრილს მეზღვაურებმა გადაწყვიტეს გაყოფა. ერთი ჯგუფი უნდა დახმარებოდა ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს. მაგრამ სხვებმა გამოიჩინეს უნდობლობა, არ დაეთანხმნენ ამ აზრს და მამაკაცებს შორის მოხდა ჩხუბი. ამის შედეგად რაზმი დაიშალა. აპრილის ბოლოს 45 ყველაზე ძლიერმა მეზღვაურმა მიაღწია სოფალუში პორტუგალიის სიმაგრეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მოახერხეს ექსპედიციის გამოყოფა დანარჩენების გადასარჩენად. მხოლოდ შემოდგომაზე მიაგნეს რამდენიმე ადამიანს ახლანდელ პორტუგალიის კუნძულზე, მდინარე ესპირიტო სანტოს შესართავთან. თვითმხილველი კოუტას თქმით, იქ იმყოფებოდა მხოლოდ 20 მგზავრი.

## „მერი სელისტის“ გამოუცნობი ბედი

1872 წლის 4 დეკემბერს საოკეანო იალქნიანი გემი „დეი გრეიშა“ ნიუ-იორკიდან მიცურავდა იტალიაში. გემის კაპიტანი იყო დევიდ რიდ მორეაუზი. გემი იმყოფებოდა პორტუგალიის ნაპირებიდან 600 მილის დაშორებით, როდესაც მას მოახსენეს, რომ კურსზე გამოჩნდა გემი.

კაპიტანმა გასცა ბრძანება დასწეოდნენ იმ გემს. როდესაც მიუახლოვდნენ ამ გემს, მასზე იყო წარწერა ნიუ-იორკი „მერი სელისტ“. ორი მეზღვაური ავიდა გემზე. შტურვალის ბორბალი არ იყო დამაგრებული. ის ბრუნავდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. გაბმულ თოკზე შრებოდა თეთრეული. სასადილოში მაგიდაზე იდგა ჩაის ფინჯნები. ერთ ქვაბში იყო მოხარშული წიწილა. ტრიუმში იყო კონიაკის კასრები. ხალხი არ ჩანდა. გემის ჟურნალში ბოლო ჩანაწერი გაკეთებული იყო 1872 წლის 24 ნოემბერს. გემი გამართული იყო და არავითარი სერიოზული დაზიანება არ ჰქონდა.

კაპიტნის კაიუტაში იდგა ვარდისფერი როიალი. იქ აღმოჩნდა ფული და ძვირფასეულობა. გემის დოკუმენტები არ აღმოჩნდა. მაგიდაზე ეყარა ჩიბუხები.

როდესაც „დეი გრეიშას“ კაპიტანმა გაიგო ეს ყოველივე, მაშინვე მოიფიქრა, რომ ეს მიტოვებული გემი დაღუპულად ითვლებოდა, ხოლო თუ ის ბუქსირით მიიყვანდა პორტში, მიიღებდა დიდ გასამრჯელოს გემის გადარჩენისათვის. ამიტომ მან გასცა ბრძანება „მერი სელისტი“ აეყვანათ ბუქსირზე. 1972 წლის 13 დეკემბერს ეს გემი ბუქსირით მიიყვანეს გიბრალტარის პორტში.

კაპიტანმა მორჰაუზმა საზღვაოსნოს ხელმძღვანელობას უამბო ყველაფერი და მოითხოვა გასამრჯელო.

ადგილობრივმა პროკურორმა დაიწყო გამოძიება. მას შეატყობინეს, რომ ნიუ-იორკიდან „მერი სელისტი“ გავიდა გენუისაკენ 1872

წლის 4 ნოემბერს, მისი კაპიტანი იყო ბენჯამინ ბრიგზი, გემზე იყო კონიაკის სპირტი. გემი შეამოწმეს მონდომებით, მაგრამ მისი ეკიპაჟის გაქრობის შესახებ ვერაფერი დაადგინეს. პროკურორმა გემზე აღმოაჩინა დაშნა და სისხლის ლაქები. მან დაასკვნა, რომ გემზე მოხდა ამბოხება. მაგრამ ანალიზებით დამტკიცდა, რომ ეს იყო ღვინის ლაქები.

1873 წლის 26 მარტს საზღვაო ტრიბუნალმა განსაზღვრა გასამრჯელოს თანხა 1700 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

„მერი სელისტი“ დაუბრუნეს მეპატრონეს და მან გააგრძელა ნაოსნობა. 1885 წელს ის დაიღუპა მეტად გამოუცნობ გარემოებაში. ჰაიტის კუნძულთან ახლოს, ის წამოეგო წყალქვეშა კლდეს და ჩაიძირა.

ჟურნალისტები, მწერლები, დეტექტივები, სპეციალისტები, გამომძიებლები ყველა ცდილობდა გამოეცნო „მერი სელისტის“ ეკიპაჟის წევრების გაქრობის მიზეზი.

ინგლისელმა მწერალმა მ.ჟ. კიტინგმა 1935 წელს მიაგნო „მერი სელისტის“ ეკიპაჟის ცოცხლად გადარჩენილ წევრს და საბოლოოდ დაადგინა სინამდვილე:

„ვინაიდან პორტიდან ოკეანეში გასული გემების ნაწილი იღუპება და უკან ვეღარ ბრუნდება, ამის გარდა იალქნიან გემზე ეკიპაჟის წევრების სამსახური გაცილებით უფრო მძიმე შრომას მოითხოვდა, შეიქმნა მეზღვაურებით გემების დაკომპლექტების პრობლემა. „მერი სელისტის“ კაპიტანმა ბრიგზმა სთხოვა „დეი გრიშას“ კაპიტანს მორხაუზს ეთხოვებინა მისთვის 3 მეზღვაური, რომლებსაც უკან დაუბრუნებდა აზორის კუნძულებთან ახლოს.

1972 წლის 4 ნოემბერს ნიუ-იორკის პორტიდან გავიდა გემი „მერი სელისტი“, რომელზეც იმყოფებოდა ეკიპაჟის 10 წევრი, მათ შორის კაპიტნის მეუღლე, რომელსაც როიალზე დაკვრა უყვარდა.

24 ნოემბერს ამოვარდა შტორმი. ვიღაცამ აუშვა იატაკზე დამაგრებული როიალის ფეხები, როიალი მოცურდა და კაპიტნის მეუღლე სასიკვდილოდ მიაჭყლიტა კედელზე. მეზღვაურებმა გახსნეს კონიაკის ყუთი და დაიწყეს ლოთობა. ატყდა ჩხუბი, რის შედეგად დაიღუპა ერთი მეზღვაური. მეორე დღეს გაქრა კაპიტანი ბრიგზიც. სამი მეზღვაური ჩასხდა კანჯოში და მიატოვა გემი. გემზე დარჩა 3 მეზღვაური და მზარეული, რომელმაც შეწვა წიწილი.

ამ დროს მათ დაეწია გემი „დეი გრიშა“, ის გემი საიდანაც აქ იყო ნასესხები სამი მეზღვაური.

„დეი გრიშას“ კაპიტანმა მორხაუზმა, მოისყიდა ეს ოთხი

მეზღვაური, გადაიყვანა თავის გემზე. თვითონ მოიგონა ავანტიურა, რომ ვითომ მან იპოვა ქარიშხლისაგან მიტოვებული გემი, რაზედაც მიიღო სოლიდური გასამრჯელო.

„მერი სელისტის" საიდუმლო აღარ არსებობდა, ის ამოიცნეს, მაგრამ საზღვაო ისტორიაში შევიდა, როგორც საინტერესო ტრაგიკული მოვლენა.

## „როზებომის" ბედისწერა

1941 წლის 7 დეკემბერს ავიამზიდებზე ბაზირებულმა იაპონიის თვითმფრინავებმა, წყნარ ოკეანეში ჰავაის კუნძულებთან ამერიკის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას მიაყენეს გამანადგურებელი დარტყმა (დაბომბვა). იაპონია ჩაერთო მსოფლიო ომში. იაპონიის საზღვაო ფლოტის სარდალის ადმირალ იამამოტოს თამამი გეგმა წარმატებით დამთავრდა.

პარლ-ჰარბორის განადგურების შემდეგ იაპონია თავს დაესხა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. სინგაპურში მათ ჩაძირეს ინგლისის 2 გემი, შემდეგ გაანადგურეს ჰოლანდიის ფლოტი ინდოეთთან, ამავე დროს იაპონიამ შეუტია ხმელეთზე სინგაპურის ასაღებად. სინგაპურის აღების შემდეგ საქმეში ჩაერთო იაპონიის წყალქვეშა ნავები, სამხედრო გემები, ჰიდროთვითმფრინავები, რომელთა დავალებას წარმოადგენდა ზღვაში და ოკეანეში მოცურავე ყველა სამხედრო გემების ჩაძირვა. ამის შედეგად ათი ათასობით ადამიანი იქნა დამხრჩვალი ზღვაში ან დამწვარი ცეცხლში. ხოლო ცოცხლად გადარჩენილი სანაპირომდე მისული ადამიანები ტყვედ ვარდებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში.

დაწერილია მრავალი წიგნი სინგაპურიდან გასული გემების დაღუპვის შესახებ. მაგალითისთვის ქვემოთ მოყვანილია ჰოლანდიის ორთქლმავალი გემის „როზებომის" ბედი, რომელიც 1941 წლის მაისის დასაწყისში გავიდა სინგაპურიდან, მის ბორტზე იმყოფებოდა 500 ადამიანი. 9 მაისს ის იმყოფებოდა სუმატრას კუნძულიდან სამი დღის სავალზე. გემზე შუქები იყო ჩამქრალი, მაგრამ ამან არ უშველა, მას მოხვდა ტორპედო ცენტრში, სამანქანო განყოფილებაში. გემი ძლიერად შეტორტმანდა და გემბანზე დაძინებული ადამიანები ისე გადაყარა ზღვაში, რომ მათ გამოღვიძებაც ვერ მოასწრეს. მგზავრთა უმრავლესობამ, რომლებიც იმყოფებოდნენ ტრიუმებში და კაიუტებში, ვერ მოასწრეს გარეთ გამოსვლა.

ცოცხლად გადარჩენილი ადამიანების ნაწილმა მოახერხა კანჯოში ჩაჯდომა, რომელიც გადატვირთული იყო, მასში ადამიანები

ფეხზე იდგნენ, ხელიხელჩაკიდებულები, ხოლო კანჯოს გარშემო მასზე ხელჩაკიდებული ადამიანები ცურავდნენ, ვინაიდან მათ არ ეყოთ ადგილი. კანჯო 30 ადამიანზე იყო გათვალისწინებული, მასში კი 80 ადამიანი იყო, 50 კი კანჯოს ირგვლივ ცურავდა.

ინგლისელმა გენერალმა თავის თავზე აიღო კანჯოს ხელმძღვანელობა. დღეში ერთხელ თითოეულ ადამიანს აძლევდნენ ერთ სუფრის კოვზ შედედებულ რძეს და წყალს. გემის ნატეხებისაგან შეკრეს ტივი, რომელზეც მოთავსდა 20 ადამიანი. კურსი აიღეს სუმატრასაკენ.

ტივზე მყოფი ადამიანები მზემ ისე დაწვა, რომ ისინი დაიღუპნენ 3 დღის შემდეგ. კანჯოზე მყოფ ადამიანებს ტანჯავდა შიმშილი, ხოლო წყურვილისგან ადამიანები კარგავდნენ ჭკუას. გენერალმა აკრძალა ზღვის წყლის დალევა, მაგრამ ღამით მალულად მაინც სვამდნენ.

კანჯოზე თანდათან მოიშალა დისციპლინა. ერთი კვირის შემდეგ იმძლავრა თავის გადარჩენის ინსტინქტმა. კანჯოდან ხტებოდნენ წყალში და იხრჩობოდნენ, რადგან ვეღარ უძლებდნენ ტანჯვას.

ერთმა ჭკუიდან შეშლილმა მგზავრმა დანა დაარტყა გულში რძის დამრიგებელს, გამოსტაცა შედედებული რძის ორი ქილა და გადახტა წყალში, მაგრამ ის მალე დაიხრჩო ქილებით ხელში.

კანჯოზე ცალკე იმყოფებოდნენ ხუთნი კუნძული იავადან. მათ ერთ ღამეს შეუმჩნევლად გადააგდეს წყალში საკვების გამნაწილებელი ინგლისელი ოფიცერი. იმავე ღამეს ინგლისელი ჯარისკაცების ჯგუფმა ხუთივე იავაელი ზღვაში ჩაყარეს, ხოლო როცა ისინი ცდილობდნენ კანჯოზე ხელების ჩავლებას, ხელებში ნიჩბებს ურტყამდნენ და აშორებდნენ კანჯოს.

თერთმეტი დღის შემდეგ კანჯოზე ცოცხალი დარჩა ოცზე ცოტა მეტი ადამიანი. ოცი დღის შემდეგ წამოვიდა თავსხმა წვიმა, რომელიც ადამიანებს შველასავით მოევლინა. კანჯოზე ხანდახან თოლიები ჯდებოდნენ. ხალხი იჭერდა მათ და მაშინვე ჭამდა უმად.

ოცდამეექვსე დღეს კანჯო გარიყა კუნძულ სიპორას ნაპირზე, რომელიც სუმატრადან მდებარეობს 60 კილომეტრის მანძილზე. კანჯოზე დარჩენილი იყო 6 ადამიანი. მათ შორის იყო ინგლისელი ოფიცერი გიბსონი, რომელიც იაპონელებმა მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკში. მაგრამ გიბსონმა გაუძლო ყოველივეს და კაცობრიობას მოუთხრო ამ საშინელების შესახებ.

# გემების დაღუპვის ქრონოლოგია



– 1782 წლის 29 აგვისტოს წყნარ ამინდში (штиль– რუს.) ჰავანაში გადაბრუნდა და ჩაიძირა დიდი ბრიტანეთის სამეფო ფლოტის 108 ქვემეხიანი I რანგის საბრძო გემი „როიალ ჯორჯი". სულ დაიღუპა 1000 ადამიანზე მეტი.

– 1898 წლის 4 ივლისს კუნძულ სეიბლიდან 60 კილომეტრის დაშორებით ერთმანეთს დაეჯახა ინგლისის იალქნიანი გემი „კრომანტიშირი" და საფრანგეთის გემი „ლა ბურგონი". იალქნიან გემზე არავის დაუზარალებულა, ხოლო საფრანგეთის გემი ჩაიძირა. დაიხრჩო 538 მგზავრი და ეკიპაჟის 23 წევრი. გემზე იმყოფებოდა 725 ადამიანი.

– 1900 წლის 30 ივნისს ნიუ-იორკის პორტში ერთ-ერთ საწყობში გაჩენილი ხანძრის გამო, რომელიც მოედო ნაპირსაც, დაიწვა სამგზავრო გემები „საალე", „მეინი", „ბრემენი", „კაიზერ ვილჰელმ დერ გროსე". სულ ამ გემზე დაიღუპა 500-მდე მგზავრი.

– 1914 წლის 29 მაისს ერთმანეთს დაეჯახა სამგზავრო გემი „ემპრეს ოფ აირლენდი" და სატვირთო გემი „სტორსტადი". სამგზავრო გემი ჩაიძირა და დაიღუპა 1012 ადამიანი.

– 1916 წელს ხმელთაშუა ზღვაში ჩაიძირა ფრანგული კრეისერი „პროვანსი". დაიხრჩო 3130 ადამიანი, გადაარჩინეს 870.

– 1921 წელს ჩინეთის თბომავალი გემი „ჰონკონგი" კუნძულ ხვატუასთან წამოეგო წყალქვეშა კლდეს და ჩაიძირა, დაიხრჩო 1094 ადამიანი.

– 1932 წელს ინდოეთის ოკეანეში ცეცხლმა გაანადგურა საფრანგეთის სამგზავრო გემი „ჟორჟ ფილიპარი". საბჭოთა კავშირის ტანკერი „სოვეტსკაია ნეფტის" ეკიპაჟმა გადაარჩინა 437 მგზავრი.

– 1934 წელს უცნობმა მანიაკმა ცეცხლი გაუჩინა ამერიკის გემს „მორგო კასლს". 20 წუთში გემი გადაიქცა რკინის გროვად. ხანძარში დაიღუპა 136 ადამიანი.

– 1942 წლის 9 თებერვალს დაიწვა გემი „ნორმანდია".

– 2000 წლის 1 იანვარს შავ ზღვაში სოჭთან ახლოს ჩაიძირა სატვირთო გემი, რომელსაც ოდესიდან ფოთში მოჰქონდა ხორბალი.

– 1949 წელს შანხაის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩინეთის თბომავალი „ტაიპინგი" შეეჯახა სხვა გემს. ორივე გემი ჩაიძირა, დაიხრჩო 1600 ადამიანი.

– 1987 წელს ფილიპინების საზღვაო ბორანი „დონა პაზ" კუნძულ მარინდუკესთან ტაიფუნის დროს შეეჯახა ტანკერ „ვექტორს". ორივე ბორანზე გაჩნდა ხანძარი და გემები ჩაიძირა. დაიღუპა 4386 ადამიანი.

## 3. ჩაძირული წყალქვეშა ნავები

### „ტრეშერის“ ჩაძირვის საიდუმლო



1963 წლის 10 აპრილს ამერიკის ატომურმა წყალქვეშა ნავმა „ტრეშერმა“ დაიწყო ატლანტიკის ოკეანეში წყალქვეშა ცურვა. წყალში ჩაყვინთვის მიზანი იყო 360 მეტრის სიღრმეში ცდების ჩატარება. მას თან ახლდა მაშველი გემი „სკაილარკი“, რომლის ბორტზე იყვნენ მეცნიერები, რომლებსაც შეეძლოთ მაშველი სამუშაოების შესრულება 30 მეტრის სიღრმეზე.

8 საათზე წყალქვეშა ნავის კაპიტანმა ჰარვეიმ გასცა ბრძანება ღრმად ჩაყვინთვის შესახებ. ის ყოველ 15 წუთში უნდა დაკავშირებოდა მაშველ გემ „სკაილარკს“. 9 საათსა და 30 წუთზე „სკაილარკმა“ მიიღო ბოლო ცნობა, რომლისგან გაარჩიეს მხოლოდ 2: „...უკიდურესი სიღრმე“. შემდეგ გაისმა გაურკვეველი ხმაური. „სკაილარკის“ კაპიტანმა უბრძანა დაკავშირებოდნენ „ტრეშერს“ და გაერკვიათ რა ხდებოდა წყალქვეშა ნავზე, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს.

მთელი საათნახევარი ელოდებოდა „სკაილარკი“ წყალქვეშა ნავის ამოცურებას. საპასუხო კავშირი ან რაიმე სიგნალი არ მიუღიათ. 10 საათსა და 40 წუთზე წყალში გაისროლეს ყუმბარები, რომლის ხმაზე უნდა ეპასუხათ, მაგრამ ამანაც არ გამოიღო შედეგი. შუადღის შემდეგ „ტრეშერის“ წყალქვეშ ჩაყვინთვის ადგილზე მოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემები და თვითმფრინავები, რომლებმაც დაიწყეს ჩაყვინთული წყალქვეშა ნავის ძებნა.

მეორე დღეს წყლის ზედაპირზე გამოჩნდა წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის წევრების ნივთები და ხელსაწყოები. 10 საათსა და 30 წუთზე ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალმა ანდერსონმა გააკეთა განცხადება, რომ ვინაიდან ამდენი ხნის მანძილზე არავითარი სიგნალი არ იქნა მიღებული, ხოლო ამ ადგილებში ოკეანე ძალიან ღრმაა, წყალქვეშა ნავი „ტრეშერი“ საუბედუროდ, ჩაძირულია ოკეანის ფსკერზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ 129 მეზღვაური დაიღუპა.

მაგრამ „ტრეშერის“ ძებნა გაგრძელდა და 1964 წელს ოკეანის ძირზე ნაპოვნი იქნა მისი ნატეხები. წამოყენებულ იქნა მისი დაღუპვის რამდენიმე ვერსია:

1) წყალქვეშა ნავი პირადი შემადგენლობის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად, გასცდა უკიდურეს სიღრმის ზღვარს და გაიჭყლიტა.

2) ნავმა დაკარგა ცურვის შესაძლებლობა მის შიგნით შესული წყლის გამო.

3) ნავი ააფეთქა წყალქვეშა მოწინააღმდეგემ.

მეცნიერების ვარაუდით, წყალქვეშა ნავმა ჩაყვინთა უკიდურეს ზღვარს ქვემოთ, მისმა კორპუსმა ვერ გაუძლო წნევის დაწოლას და ნავი დაიმტვრა – 2800 მეტრის სიღრმეზე.

## მარადისობაში ჩაძირული „კომკავშირელი"

1989 წლის აპრილში საბჭოთა ატომური სარაკეტო წყალქვეშა ნავი „კომკავშირელი" 39 დღის მანძილზე იმყოფებოდა წყალქვეშ ჩრდილოეთი ზღვაში. მის ბორტზე ირიცხებოდა ეკიპაჟის 69 წევრი. ნავის კაპიტანი ევგენი ვანინი ასრულებდა სამხედრო საიდუმლო დავალებას. ნავი ცურავდა 50 მეტრის სიღრმეზე. მას შეეძლო ჩაყვინთვა 900 მეტრზეც.

11 საათსა და 30 წუთზე უფროსმა მეზღვაურმა ნოდარ ბუსნიკაშვილმა უეცრად შენიშნა კვამლი, ცეცხლის ალი და მისცა ნაგნაშის სიგნალი, ხოლო თვითონ შეუდგა ცეცხლის ჩაქრობას. მაგრამ ხანძარი სწრაფად ძლიერდებოდა და მეზღვაურებმა საკუთარი ძალებით ვერ შეძლეს მისი ჩაქრობა. ნავი ამ დროს იმყოფებოდა ნორვეგიასთან ახლოს, რომელიც „ნატოს" წევრია და არ შეიძლებოდა იქ ყოფნა.

ცეცხლი გაუჩნდა ელექტროგაყვანილობას, წარმოიქმნა საშინელი კვამლი, აღარ შეიძლებოდა სუნთქვა, მეზღვაურებმა სასწრაფოდ გაიკეთეს აირწინაღები, ჰაერის ტემპერატურა ნავში ავიდა 70$^0$C. ხანძრის ჩასაქრობად საჭირო გახდა ფრეონის გაზის გამოყენება, მაგრამ მაშინ დაიღუპებოდა ბუსნიკაშვილი. მეზღვაურებმა გაუშვეს გაზი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ბუხნიკაშვილი დაიღუპა, მას მიჰყვა მიჩმანი ვლადიმირ კოლოტილინი. ნავი არ ამოიყვანეს წყლის ზედაპირზე, თვითონ საკუთარი ძალებით ხანძარი ვერ ჩააქრეს, პირიქით ცეცხლი გაუჩნდა ნავის სხვა მონაკვეთებს. ჰაერის ტემპერატურამ აიწია 500$^0$C-მდე. და წყალქვეშა ნავი დაემსგავსა ფოლადის გარსში ჩაკეტილ ჯოჯოხეთს.

12 საათსა და 19 წუთზე გაუშვეს ეთერში უბედურების სიგნალი: „ნავში გამძვინვარდა ხანძარი". ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე შეიძლება გამხდარიყო წყალქვეშა ჩერნობილი. ნავის კაპიტანმა გასცა ბრძანება ამოყვინთვის შესახებ. ნავმა ამოცურა წყლის ზედაპირზე.

მეზღვაურებმა ჩაყლაპეს სუფთა ჰაერი. ექიმი შეუდგა დაზარალებულების მკურნალობას, შიგნით ზოგიერთ მონაკვეთში ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ მე-7 მონაკვეთიდან გამოვარდა ორთქლი და ნავში დაიწყო შესვლა. ჰაერში გამოჩნდა საბჭოთა თვითმფრინავები.

ნავმა დაიწყო გვერდზე გადახრა, რაც ნიშნავდა, რომ მალე ის ჩაიძირებოდა. ამ დროს გაისმა ბრძანება, ყველამ დატოვეთ ნავი, ჩაუშვით წყალში ტივები. მაგრამ ყველა მეზღვაურმა ვერ მოასწრო მაღლა ამოსვლა. ნავმა დაიწყო სწრაფად ჩაძირვა. მან მაღლა აიწია ცხვირი და თითქმის შვეულად ჩაიძირა.

საღამოს შემთხვევის ადგილზე მოცურდა საბჭოთა გემი და ტივზე მყოფი მეზღვაურები აიყვანა ბორტზე. ცოცხლად გადარჩენილებიდან 3 დაიღუპა ჰოსპიტალში გაციებისაგან. სულ დაიღუპა 42 მეზღვაური.

## „K-129“ დაღუპვის საიდუმლოება

1968 წლის 24 თებერვალს კამჩატკის სამხედრო პუნქტიდან გავიდა საბჭოთა წყალქვეშა ნავი „K-129“. ნავზე იყო 3 ბალისტიკური რაკეტა და 2 ატომური ტორპედო. ნავს კაპიტნობდა ვ. კობზარი. 12 დღის განმავლობაში ნავი მალულად ასრულებდა დავალებებს. ის ბაზაში უნდა დაბრუნებულიყო 1968 წლის 5 მაისს, მაგრამ მანამდე 8 მარტს არ გამოვიდა კავშირზე.

სამხედრო განკარგულების თანახმად ვ. კობზარს რეგულარულად უნდა გაეკეთებინა ცნობების მიწოდება ცურვის შესახებ შტაბში. მაგრამ ნავი არავითარ ცნობებს აღარ იძლეოდა. სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი ნავის მოსაძებნად თვითმფრინავები და გემები. ნავი ამ დროს დაშორებული იყო კამჩატკიდან 1230 კილომეტრით, ხოლო ოკეანის ფსკერი იყო 5000-6000 მეტრის სიღრმეზე. მაგრამ ორი თვის ძებნის შემდეგ ვერაფერი ვერ გაიგეს წყალქვეშა ნავის შესახებ.

წარმოიშვა რამდენიმე ვერსია. ერთი მათგანის მიხედვით საბჭოთა წყალქვეშა ნავი ჩაძირა ამერიკის შეერთებული შტატების წყალქვეშა ნავმა. მოსკოვი გაჩუმებული იყო ამ კატასტროფის შესახებ. დაღუპული მეზღვაურების ნათესავებს გაუგზავნეს შეტყობინება, რომ თქვენი (შვილი, ქმარი, მამა) ითვლება როგორც გარდაცვლილი. დაღუპული იყო 98 მეზღვაური.

„K-129“ წყალქვეშა ნავის დაღუპვის შესახბ გაიგო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მათ აღმოაჩინეს ნავის ჩაძირვის ადგილიც. გადაიღეს ნავის სურათები. მაგრამ ნავის ამოღება თავდაპირველად მა ვერ მოახერხეს. ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უნდოდა ხელში ჩაეგდო საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც

მოთავსებული იყო ნავში. ამერიკელებმა გააკეთეს სპეციალური მოწყობილობა და 5 კმ სიღრმეში ჩაუშვეს ტროსები ჩასაბმელით, მაგრამ ნავის ამოღების პროცესში ნავი გადატყდა ორ ნაწილად, ჩაცურდა ჩაბმული ბაგირებიდან და ნავის ნაწილები, რაკეტები და დაღუპული მეზღვაურების გვამები ჩაიძირა ოკეანეში. ამერიკელებმა მაინც მოახერხეს ნავში მდებარე ტორპედოების, სამხედრო მოწყობილობის და რამდენიმე მეზღვაურის გვამის ამოღება. გვამები არ იყო გახრწნილი, ვინაიდან ოკეანის ძირზე არ არის ჟანგბადი. ამერიკელებმა ვერ იპოვეს და ხელში ვერ ჩაიგდეს ნავის საიდუმლო შიფრები. ამოღებული მეზღვაურების გვამები მათ დამარხეს სამხედრო წესების მიხედვით. წყალქვეშა ნავის დაღუპვის მიზეზი კი დარჩა გამოუცნობი. 1998 წელს კამჩატკის სანაპიროზე აგებული იქნა მემორიალი, და 30 წლის შემდეგ პირველად შეამკეს თაიგულებით დაღუპულთა მემორიალი.

## წერილები საიქიოდან

1970 წლის თებერვალში ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის წყალქვეშა ნავი K-8, რომლის კაპიტნად ახლადდანიშნული იყო ე. ბესსონოვი. ვინაიდან ამ ნავს უნდა მიეღო მონაწილეობა ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო მანევრებში, ის აღარ დააბრუნეს ბაზაში და სხვა გემიდან იქვე ჩატვირთეს ნავში საჭირო საკვები პროდუქტები და სხვა აუცილებელი ნივთები. ამით ისარგებლეს მეზღვაურებმა, დაწერეს წერილები და რუსეთში მიმავალ გემს გაატანეს თავიანთ ოჯახებში მისატანად. მაგრამ მოხდა უბედურება, წყალქვეშა ნავი დაიღუპა, ხოლო დაღუპული მეზღვაურების წერილებს დიდი ხნის შემდეგ ღებულობდნენ მათი ოჯახები.

კატასტროფა მოხდა ღამის 10 საათზე, როცა ნავი იმყოფებოდა 40 მეტრის სიღრმეზე. ნავის მე-7 მონაკვეთში გაჩნდა ხანძარი. კაპიტანმა გასცა ბრძანება ამოცურების შესახებ. კაპიტანს მოახსენეს, რომ შიგნით შეიქმნა აუტანელი სიცხე და მოითხოვდნენ ზემოთ ასვლას. მაგრამ ჯერ უნდა ჩაექროთ ნავის რეაქტორი. არეულობაში ყველა მეზღვაურმა ვერ მოასწრო ზემოთ ასვლა, რის შედეგად დაიღუპა 30 მათგანი.

ნავიდან მოასწრეს უბედურების სიგნალის გადაცემა, მაგრამ მშველელი არსად ჩანდა. ზღვა იყო აღელვებული და ტალღები ტბორავდა წყლის ზედაპირზე ამოცურებულ წყალქვეშა ნავის ზედაპირს. ამიტომ მასზე დგომა შეიქმნა შეუძლებელი.

თავდაპირველად საშველად მოცურდა ბულგარეთის გემი და მის მორტზე აიყვანეს მეზღვაურები. ცოტა ხნის შემდეგ მოცურდა საბჭოთა

გემები და მეზღვაურები გადაიყვანეს თავის გემზე. შემდეგ მოცურდა საბჭოთა სამხედრო გემებიც. სასწრაფოდ მიიღეს ზომები წყალში მყოფი მეზღვაურების გადარჩენის შესახებ. წყალქვეშა ნავის ეკიპაჟმა სულ დაკარგა 52 კაცი.

## უცნობი საბჭოთა ნავი

1986 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროსთან ახლოს ოკეანეში დაცურავდა საბჭოთა კავშირის წყალქვეშა ნავი. ის აღმოაჩინეს ამერიკელებმა და თავისი წყალქვეშა ნავიდან ესროლეს რაკეტა. ნავი დაზიანდა, გაუჩნდა ხანძარი. კაპიტანმა ნავი ამოაცურა წყლის ზედაპირზე, მაგრამ ნავის გადარჩენა გახდა შეუძლებელი და ის ჩაიძირა ოკეანეში. წყალქვეშა ნავის ჩაძირვამდე ის დაინახეს ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებმაც გადაარჩინეს საბჭოთა მეზღვაურები. ნაწილი მეზღვაურებისა დაიღუპა ხანძართან ბრძოლის პროცესში.

ამერიკელებმა ამ კატასტროფის შესახებ გადაიღეს კინოფილმი, კასეტა აჩუქეს მეზღვაურებს და ისინი დააბრუნეს სამშობლოში. საბჭოთა კავშირში კი ეს მეზღვაურები გარიცხეს საზღვაო ფლოტიდან და ისინი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

## საკუთარი ტორპედოსგან დაღუპული ნავი

1943 წლის 23 ოქტომბერს თავის მე-5 საბრძოლო გასვლაზე წყალქვეშა ნავმა „ზეონმა“ აღმოაჩინა იაპონიის ბადრაგი, რომელიც შედგებოდა 3 დიდი ტანკერის და 2 სატრანსპორტო გემისაგან. ამ გემებს იცავდა საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც გარშემო უვლიდა ბადრაგს. წყალქვეშა ნავმა თავი ამოყო იაპონიის გემებთან ისე, რომ საესკადრო ნაღმოსანის ლოკატორებმა ის ვერ დააფიქსირა. „ზეონმა“ 5 ტორპედო ესროლა იაპონიის ტანკერებს და სამივე გემი დაზიანდა. შემდეგ წყალქვეშა ნავმა გადაწყვიტა სატრანსპორტო გემის დაზიანება, მაგრამ ამ გემიდან ის დაინახეს და წამოვიდნენ ტარანზე. „ზეონი“ მოექცა ცეცხლმოდებულ ტანკერს და სატრანსპორტო გემს შორის ნავის სიღრმეში ჩაძირვისთვის დრო აღარ რჩებოდა. სატრანსპორტო გემის ცხვირი აღიმართა „ზეონის“ თავზე. შემდეგ რაც მოხდა კაპიტანი ო'კეინი აღწერს შემდეგნაირად – „სატრანსპორტო გემმა გახსნა ცეცხლი ქვემეხებიდან, მაგრამ ჭურვებმა ზემოდან გადაუარა ნავს და არ მოხვდა მას. მე დავინახე რომ სატვირთო გემიც მოდიოდა ტარანზე. მე მარაოსებურად ვესროლე 4 ტორპედო. ამ მომენტში სატვირთო გემი დაეჯახა სატრანსპორტოს, რის შედეგად სატვირთო გემი ჩაიძირა სწრაფად“.

ერთი ბრძოლის შედეგად წყალქვეშა ნავმა შეძლო 5 გემის განადგურება. მაგრამ მისი „ნადირობა“ ამის არ დამთავრებულა. მეორე დღეს კვლავ აღმოაჩინა გზად მიმავალი გემების ბადრაგი. ყოველ გემს ესროლეს ორ-ორი ტორპედო. ყველა მათგანი მიხვდა მიზანს. გაისმა აფეთქებები. ზღვა გაანათა ცეცხლმოდებულმა გემებმა და ისინი ადვილად დაინახეს წყალქვეშა ნავიდან. მაგრამ ამ მომენტში ნავი მოწინააღმდეგეებმა შენიშნეს. ნავიდან მოასწრეს კიდევ 3 ტორპედოს გასროლა. გასროლის შედეგად ხანძარი გაუჩნდა ნავთობის გადამზიდავ გემს და ესკადრილიის ნაღმოსანს. ამ არეულობით ისარგებლა „ზვონმა“ და გამოვიდა ბრძოლის ველიდან. ნავში კიდევ დარჩა 2 ტორპედო და კაპიტანმა გადაწყვიტა გაენადგურებინა ერთი დაუზიანებელი გემიც. ნავი მიუახლოვდა ამ გემს და ესროლა ერთი ტორპედო, რომელიც მოხვდა მიზანში. მაშინ ო'კეინმა უბრძანა ესროლათ ბოლო ტორპედოც. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა: ტორპედო დაიკლაკნა და დატრიალდა. წარმოიქმნა საკუთარი ნავის დაღუპვის საშიშროება. ტორპედო მოხვდა ნავის კორპუსს. გაისმა აფეთქება. ყველა სამივე განყოფილება სწრაფად დაიტბორა და იქ მყოფი მეზღვაურები – მაშინვე დაიღუპნენ. „ზვონი“ ჩაიძირა. მაგრამ ნავის ცხვირის განყოფილებაში წყალი არ შესულა და იქ მყოფმა ცოცხლად გადარჩენილმა მეზღვაურებმა ჩაიცვეს მაშველი ჟილეტები და ჟანგბადის მომსხენის აპარატები. არავინ არ იცოდა თუ რა სიღრმეზე იჯდა ფსკერზე ნავი.

მეზღვაურებმა იწყეს წყლის ზედაპირზე ამოცურვა. სულ გადარჩა ცოცხალი 7 მეზღვაური, მათ შორის კაპიტანი ო'კეინიც. ისინი წყლის ზედაპირზე აღმოაჩინეს იაპონელებმა და ყველანი დააკავეს.

## ატომური წყალქვეშა ნავი „კურსკის“ დაღუპვა

რუსეთის ჩრდილოეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობა 2000 წლის აგვისტოში ბარენცის ზღვაში ატარებდა საომარ სასწავლო მანევრებს. სამხედრო შტაბი იმყოფებოდა მძიმე სარაკეტო კრეისერ „პეტრე დიდზე“. 12 აგვისტოს, შაბათს, დაახლოებით დღის 11 საათზე ატომურ წყალქვეშა ნავ „კურსკზე“ (კ-141) მოხდა აფეთქება, რასაც 2 წამის შემდეგ მოჰყვა გაცილებით უფრო ძლიერი მეორე აფეთქება. აფეთქებები ისეთი ძლიერი იყო, რომ ისინი მაშინვე დააფიქსირეს სკანდინავიის ქვეყნების, ინგლისის და აშშ სამხედრო საზღვაო სანაპიროების რადიოლოკაციურმა საინფორმაციო სამსახურებმა. აფეთქების შედეგად წყალქვეშა ნავი „კურსკის“ კორპუსი დაიბზარა მთელ სიგრძეზე, ნავმა მიიღო დეფორმაცია და ჩაიძირა 108 მეტრის

სიღრმეზე, ხოლო ეკიპაჟის ყველა 118 წევრი დაიღუპა. ნაწილი აფეთქების შედეგად, დანარჩენი კი ნავის ნაკვეთურებში შეკარლნილ ცივ წყალში დაიხრჩო. ნავს გააჩნდა 2 ატომური რეაქტორი.

ეს კატასტროფა მოხდა მოულოდნელად. ალბათ ეკიპაჟი მაშინვე დაიღუპა, რადგან წყალქვეშა ნავიდან არ გამოუშვეს განგაშის სიგნალი „ქერქეჭელა" (Буй – რუს.), რომელიც დამონტაჟებული იყო ნავის დაუზიანებელი კიჩოს ნაწილში. ეკიპაჟის არცერთმა წევრმა არ გამოიყენა გადარჩენის ინდივიდუალური საშუალება, რომელიც მეზღვაურებს ავტომატურად ამოისვრის წყლის ზედაპირზე.

ამ კატასტროფის შესახებ მაშინვე შეიტყო რუსეთის საზღვაო ფლოტის სარდლობამ, მაგრამ მათ არ მიიღეს საჭირო და აუცილებელი ზომები, მომხდარი ფაქტის დასადგენად და ეკიპაჟის ევაკუაციისათვის. მცურავი ჰოსპიტალი გემი „სვირი" 6 დღე-ღამის განმავლობაში არ გავიდა სევეროვმორსკის ნავსადგურიდან უბედურების ადგილისაკენ. ნორვეგიის და ინგლისის სამხედრო გემებს კი, სამხედრო საიდუმლოების შენახვის მოტივით, უარი უთხრეს დახმარების აღმოჩენაზე და როგორც ყოველთვის შეუდგნენ მომხდარი ფაქტის გაყალბებას. სამხედრო ჟურნალისტებმა და მაღალი წოდების ოფიცრებმა წამოაყენეს სხვადასხვა ვერსიები, თითქოს: წყალქვეშა ნავი „კურსკი" ჩაძირა აშშ წყალქვეშა ნავმა, „კურსკს" დაეჯახა ბარენცის ზღვაში მყოფი საავაჭრო გემი, აფეთქდა მეორე სამამულო ომის დროინდელი გერმანელების ნაღმით, ნავი წამოედო გეოლოგების საბურღავ მილს. წყალქვეშა ნავს მოხვდა სარაკეტო კრეისერ „პეტრე დიდიდან" გასროლილი 9 ტონიანი რაკეტა და უკვე დაღუპული ეკიპაჟის წევრების გადასარჩენად, ვითომდა ტარდებოდა სამაშველო ღონისძიებები.



კატასტროფიდან 5 დღის მანძილზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და თავდაცვის მინისტრი იგორ სერგეევი ისვენებდნენ შავი ზღვის კურორტ სოჭში და კანის ნაპირებს იღებდნენ, ხოლო

ჩრდილოეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ადმირალი ვლადიმირ კუროედოვი 6 დღე-ღამე იმალებოდა მოსკოვში, კრემლის კაბინეტებში, კატასტროფის მიზეზების გამოძიების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ილია კლებანოვმა კი, გამოამჟღავნა „სასწაული" ოპერატიულობა: კომისიის პირველი სხდომა ჩაატარა კატასტროფიდან ექვსი დღის შემდეგ.

22 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩაფრინდა სევერომორსკში და დახურული სამხედრო დასახლება „ვიდიაევოში" შეხვდა დაღუპულთა ნათესავებს და დაჰპირდა ცხედრების ზღვის ფსკერიდან ამოღებას და 54 ათასი დოლარის ოდენობით ფულად დახმარებას. 23 აგვისტო გამოცხადდა რუსეთი ნაციონალური გლოვის დღედ. სევერომორსკის გარდა ყველგან დაუშვეს სახელმწიფო დროშები. დაღუპულების ნათესავებმა კატასტროფის ადგილზე ბარენცის ზღვაში ჩაყარეს გვირგვინები. რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეკიპაჟის წევრებს ამოიღებდნენ ზღვის ფსკერიდან ნორვეგიელი სპეციალისტების დახმარებით სექტემბრის ბოლოს, ხოლო წყალქვეშა ნავს ამოიღებდნენ ერთი წლის შემდეგ.

22 აგვისტოს ნორვეგიის და ინგლისის სამხედრო მაშველი გემი „იგლის" მყვინთავებმა გააღეს წყალქვეშა ნავი „კურსკის" მეცხრე (ბოლო) ნაკვეთურის ლიუკი და აღმოაჩინეს, რომ ნავის ყველა ნაკვეთური წყლით იყო სავსე და ეკიპაჟის ყველა წევრი დაღუპული იყო. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო პრესის სამსახურის ჟურნალისტებმა გააერცელეს ცნობა, რომ „კურსკი" ჩაიძირა საკუთარი ტორპედოს (გასროლის ნაცვლად) აფეთქების შედეგად, რამაც გამოიწვია მარაგში არსებული დანარჩენი ტორპედოების აფეთქება.

მოხდა სამარცხვინო, სამწუხარო უბედური შემთხვევა, სისხლის სამართლის დანაშაული, 4 მილიარდი დოლარის ოდენობის მატერიალური ზარალი, 118 ადამიანის დაღუპვა, რისთვისაც რუსეთის პრეზიდენტმა არავინ დასაჯა, პირიქით გმირობის და დიდების ორდენებით დააჯილდოვა ეკიპაჟის წევრები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანებს აჯილდოებენ სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის და არა ზარალის და მსხვერპლის გამო.

2000 წლის 25 აგვისტოს ვლადიმირ პუტინმა გასცა განკარგულება, რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტზე სამაშველო სამსახურების შექმნის შესახებ. მისი რეიტინგი დაეცა 30%-ით. მანამდე რუსეთში ასეთი სამსახური არ ფუნქციონირებდა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის გმირმა, ადმირალმა ედუარდ

ბალტინმა, გაზეთ „არგუმენტი და ფაქტის“ ინტერვიუში, შეკითხვაზე: „რატომ არავინ აღიარებს მომხდარ ფაქტს“? – უპასუხა: „იმიტომ, რომ არავის უნდა ციხეში ჯდომა. ისინი კიდევაც რომ აწამონ, მაინც ჩუმად იქნებიან“. მან ასევე აღიარა, რომ შავ ზღვაში იყო შემთხვევა, როდესაც სამხედრო სწავლების რაიონში რაკეტების სროლაში მოჰყვა უკრაინის გემი, ხოლო 15 წლის წინათ, იმავე ბარენცის ზღვაში ვეებერთელა ტვირთმზიდავი გემი დაეჯახა წყალქვეშა ნავ „კ-475-ს“.

2000 წლის ოქტომბერში წყალქვეშა ნავიდან ამოიღეს მხოლოდ 8 მეზღვაურის ცხედარი, დანარჩენების ამოღება შეწყვიტეს. წყალქვეშა ნავის ირგვლივ ყოველგვარი საქმიანობა შეაჩერეს გაურკვეველი ვადით. სახელმწიფო კომისიამ ვითომ დაადგინა კატასტროფის ნამდვილი მიზეზი და არცერთი სამხედრო მეთაური არ დასაჯა.

## 4. ჩამოვარდნილი თვითმფრინავები

### „მაქსიმ გორკი"



რუსეთში 1935 წელს ააგეს იმ დროისათვის გიგანტური ზომის თვითმფრინავი, რომელსაც უწოდეს „მაქსიმ გორკი". ამ თვითმფრინავის სიგრძე იყო 32,5 მეტრი, ხოლო ფრთების სიგანე 63 მეტრი. შიგნითა სალონების საერთო ფართობი იყო 100 კვადრატული მეტრი. მას ჰქონდა ავტოპილოტი და 8 ძრავი. თვითმფრინავს მართავდა 8 მფრინავი და შტურმანი. მას შეეძლო გადაეყვანა 72 მგზავრი. მაგრამ მისი დანიშნულება არ იყო მგზავრების გადაყვანა, არამედ საჰაერო აგიტაცია, რისთვისაც სალონებში იყო დამონტაჟებული რადიომოწყობილობა, კინოდანადგარი, ტიპოგრაფია (ფურცლების დასაბეჭდად) და ფოტოლაბორატორია. ამ გიგანტურ თვითმფრინავს უწინასწარმეტყველეს დიდი მომავალი, ის უნდა მომსახურებოდა სააგიტაციო ჯგუფს. მის შექმნაზე მუშაობდა კონსტრუქტორი ა.ნ. ტუპოლევი.

18 მაისს მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე ამ თვითმფრინავს უნდა გაეკეთებინა საჩვენებელი ფრენა. აეროდრომზე მოწვეული იყვნენ ჟურნალისტები, პრესის წარმომადგენლები, კინოდოკუმენ-



ტალისტები და ასობით მოსკოველი. თვითმფრინავს ჰაერში ახლდა გამცილებელი გამანადგურებელი (истребитель – რუს.) „И-5“. როცა „მაქსიმ გორკიმ“ აიღო სიმაღლე და შეუდგა აეროდრომის შემოფრენას, მისი გამცილებელი გამანადგურებლის მფრინავმა ბლაგინმა გადაწყვიტა გაეკეთებინა ნესტეროვის წრის შემოვლება (Ïàöëÿ – რუს.) თვითმფრინავის გარშემო. ეს სახიფათო მანევრი მიწის ზედაპირიდან უნდა გადაეღო კინოდოკუმენტალისტებს.

მაგრამ წრის შემოვლების პროცესში გამანადგურებელი „И-5“ დაეჯახა „მაქსიმ გორკის“ ფრთას, რის შედეგად თვითმფრინავები დაიშალა ჰაერში, გაეხვია ცეცხლში და ნაწილ-ნაწილ ჩამოვარდა მიწაზე. ამ კატასტროფის გადაღება და მის შესახებ ლაპარაკი აიკრძალა. სულ დაიღუპა 47 ადამიანი. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ ასეთი ტიპის თვითმფრინავი აღარ აუგიათ და საჰაერო აგიტაციის იდეასაც თავი გაანებეს.

## უკვალოდ გამქრალი ესკადრილია

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ნახევარკუნძულ ფლორიდაზე აქვს სამხედრო ბაზა, სადაც სხვა სამხედრო სამსახურების გვერდით აქ წვრთნას ატარებენ სამხედრო ბომბდამშენი თვითმფრინავები „ევენჯერი“, რომლებიც მაშინდელი პერიოდის ტექნიკის ბოლო სიტყვის მიხედვით იყო აღჭურვილი.

1945 წლის 5 დეკემბერს „ევენჯერის“ ტიპის 5 მფრინავმა მიიღო მარტივი სამხედრო დავალება, მფრინავები უნდა გაფრენილიყვნენ ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ 160 კილომეტრის მანძილზე და შემდეგ უნდა მოფრენილიყვნენ უკან ბაზაში. ფრენის დრო იყო 2 საათი. თვითმფრინავებზე იმყოფებოდა 14 მფრინავი. გაფრენის წინ თვითმფრინავები გულმოდგინეთ იყო შემოწმებული, ხოლო საწვავის ავზები შევსებული იყო 5,5 საათის ფრენაზე გაანგარიშებული. ყოველ თვითმფრინავს 10 არხიანი რადიოსადგური, რადიოკომპასი, მაშველი საგნები: რეზინის ნავები და ტივები, რომლებიც წყალთან შეხებისთანავე ავტომატურად იბერება, ამის გარდა თითოეულ მფრინავს ჰქონდა მაშველი ჟილეტი.

თვითმფრინავები ბაზიდან აფრინდნენ 14 საათსა და 10 წუთზე. 15 საათსა და 15 წუთზე ესკადრილიის მეთაურმა ჩარლზ ტეილორმა ბაზასთან გააკეთა პირველი რადიოკავშირი: „ჩვენ შეგვექმნა ავარიული მდგომარეობა. ალბათ ავცდით ფრენის კურსს. ვერ ვხედავთ დედამიწას“! საპასუხოდ მართვის ცენტრიდან უბრძანეს: „შეგვატყობინეთ თქვენი ადგილსამყოფელი“. პასუხად მიიღეს, რომ – „არ

შეგვეძლია ამის გარკვევა. სად ვიმყოფებით არ ვიცით. ალბათ, გზა აგვერია". მაშინ ბაზიდან გასცეს ბრძანება: „იფრინეთ მკაცრად დასავლეთის მიმართულებით". ამის შემდეგ რადიოკავშირი რამდენიმე ხანს გაწყდა. შემდეგ ტეილორმა გადმოსცა, რომ „არ ვიცით სად არის დასავლეთი. ყველაფერი გამოიყურება ძალიან უცნაურად. ჩვენ დავკარგეთ ორიენტაცია".

ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მფრინავები იმყოფებიან ნერვულ შოკში და ვეღარ აზროვნებენ. შესაძლებელი იყო აგრეთვე მოწყობილობის წესრიგიდან გამოსვლა. ხელმძღვანელობამ საშველად გააგზავნა 300 თვითმფრინავი და 21 გემი. მაგრამ ვერც ჰაერში და ვერც ზღვაში ვერ იქნა აღმოჩენილი 5 თვითმფრინავის და 14 მფრინავის რაიმე ნიშანი.

მოსალოდნელი კატასტროფის მიდამოებში გაგზავნილ იქნა ჰიდროთვითმფრინავი „მარტინ მარინერი", რომელსაც შეეძლო ზღვაში დაჯდომა შტორმის დროსაც. მაგრამ მასთან რადიოკავშირი გაწყდა. ამ თვითმფრინავზე იმყოფებოდა 13 მფრინავი. როდესაც ამოიწურა ფრენის ხანგრძლივობის დრო, ცნობილი გახდა, რომ 6 თვითმფრინავი და 27 მფრინავი დაიღუპა უკვალოდ. „ევენჯერის" ტიპის თვითმფრინავებს და „მარტინ მარინერსაც" შეეძლოთ ზღვაზე დაჯდომა და დიდი ხნის მანძილზე წყლის ზედაპირზე ყოფნა. ასევე განსაცვიფრებელი იყო ის გარემოებაც, რომ არცერთი თვითმფრინავიდან არ გადმოსცეს უბედურების სიგნალი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დანიშნა სპეციალური კომისია, მაგრამ ვერც თვითმფრინავები და ვერც მფრინავები ვერ აღმოაჩინეს. კომისიამ ვერ გაარკვია თუ რა მიზეზის გამო დაიღუპა მფრინავები. ასევე გაურკვეველი დარჩა საკითხები: რატომ დაკარგეს მფრინავებმა ორიენტაცია და გაარჩიეს ერთმანეთისგან ზღვა და დედამიწა, რატომ არ მუშაობდა ხელსაწყოები, რატომ იძლეოდა არასწორ ჩვენებას კომპასები, რატომ ვერ აღმოაჩინეს კატასტროფის რაიმე ნიშანი?

## დაღუპული „ტუ-144"

1960-1970 წლებში ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, ინგლისი და საფრანგეთი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ზესიჩქარის საძგზაერო თვითმფრინავების შექმნაში, რომლის სიჩქარე იქნებოდა 2500-3000 კილომეტრი საათში, ხოლო ფრენის მანძილი 6-8 ათასი კილომეტრი. აშშ ამზადებდა „ბოინგ-2707-ს", ინგლის-საფრანგეთი „კონკორდს". საბჭოთა კავშირი კი „ტუ-144-ს".

1968 წლის 31 დეკემბერს შედგა „ტუ-144-ის“ პირველი გაფრენა მოსკოვიდან ალმა-ატაში. ფრენამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ აღმოჩენილ იქნა ზოგიერთი უზუსტობა. რუსები შეუდგნენ გულმოდგინე მზადებას პარიზის 1973 წლის საერთაშორისო ავიასალონის გამოფენისათვის. ჩქარობდნენ, რათა გაეკვირვებინათ მთელი სამყარო საბჭოთა საოცრებით. ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებებს, რომ თვითმფრინავი ძალიან ხმაურობდა და ძალიან მძიმე იყო.

1973 წლის 3 ივნისს პარიზში რუსმა მფრინავებმა გადაწყვიტეს დაემტკიცებინათ საბჭოთა ტექნიკის უპირატესობა. თვითმფრინავს მართავდა კაპიტანი კოზლოვი. თვითმფრინავმა აეროდრომის თავზე წრე შემოხაზა და დაიწყო დაშვება. ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა საფრანგეთის თვითმფრინავი „მირაჟი“, რომელიც ასრულებდა „ტუ-144-ის“ ფრენის გადაღებას. ქვემოთ დაშვების ნაცვლად, კოზლოვმა მოქაჩა თავისკენ საჭევარი (штурвал–რუს.) თვითმფრინავის ზემოთ აფრენის მიზნით, მაგრამ თვითმფრინავმა ვერ გაუძლო ასეთ სწრაფ ცვლილებებს, ჯერ მოგლიჯა ფრთა, შემდეგ კაბინაში ავარდა ალი, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ „ტუ-144“ გაეხვია ცეცხლის ალში და დაეშვა ქვემოთ.

საშინელი ხმაურით დაენარცხა თვითმფრინავი მიწას პატარა ქალაქგუსენვილის ცენტრალურ ქუჩაში. დაიღუპა ეკიპაჟის ექვსივე წევრი და საფრანგეთის 8 მოქალაქე. დაინგრა ქალაქის რამოდენიმე შენობა და ცეცხლი მოეკიდა ქუჩაში მდგარ მანქანებს.

დასავლეთის პრესა აცხადებდა, რომ თვითმფრინავი ტექნიკურად გაუმართავი იყო და მფრინავები ცუდად იყვნენ მომზადებულნი, ასევე აბრალებდნენ საფრანგეთის თვითმფრინავ „მირაჟს“, რომელმაც ხელი შეუშალა დაჯდომას.

ვინაიდან „ტუ-144“ გამოსცემდა საშინელ ხმაურს და წვავდა დიდი რაოდენობის საწვავს, სულ დაამზადეს 12 თვითმფრინავი, ხოლო 1984 წლიდან აკრძალეს მათი ფრენა.

## ტრაგედია ანდის მთებში

1972 წლის ოქტომბერში რაგბისტების გუნდი მონტევიდეოდან გაფრინდა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში. თვითმფრინავში სულ 45 მგზავრი იმყოფებოდა. ნისლში მფრინავმა ვერ დაინახა არგენტინის

ანდი ქედის მწვერვალები და 5000 მეტრის სიმაღლეზე დაეჯახა ერთერთ მათგანს. თვითმფრინავი ჩავარდა თოვლში. მაშინვე დაიღუპა 17 მგზავრი. ცოცხლად გადარჩენილმა ადამიანებმა თოვლსა და 40 გრადუსიან ყინვაში 2 თვე გაძლეს 4000 მეტრის სიმაღლეზე.

კატასტროფის შემდეგ ცოცხალი დარჩა 28 ადამიანი, მაგრამ თოვლის ზვავმა და შიმშილმა იმსხვერპლა 12 მათგანი. ამ უბედურების შესახებ წერდა ყველა ქვეყნის გაზეთი, ხოლო ამერიკელებმა 1973 წელს გადაიღეს კინოფილმი „ცოცხლები".

ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს თვითმფრინავში არსებული საკვები ეყო რამდენიმე დღეს. 10 დღე-ღამის შემდეგ მათ დაიწყეს გვამების ჭამა. თავდაპირველად ადამიანის ხორცის ჭამა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა რობერტ განესამ. მან სამართებლით მოჭრა ხორცი გვამზე. ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ შიმშილის გრძნობამ დასძლია გონებას. მის ამხანაგებს თავზარი დაეცათ, მაგრამ მან შეაგნებინა მათ, რომ მათი მთავარი ამოცანა იყო როგორმე ეცოცხლათ მაშველის მოსვლამდე.

დიდი ხნის მანძილზე თვითმფრინავებით დაეძებდნენ ანდის მთებში კატასტროფის ადგილს, მაგრამ ვერ აგნებდნენ. უბედურებაში მოხვედრილებმა არ იცოდნენ, რომ მათგან 16 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა არგენტინის პატარა სოფელი. ორი სპორტსმენი განწირულთა ჯგუფიდან გაეშურა დასახლებული პუნქტის მოსაძებნად. დიდი წვალების შემდეგ ისინი შეხვდნენ არგენტინელ მწყემსს, რომელიც მათ დანახვაზე შიშის გამო გაიქცა. 22 დეკემბერს ცოცხლად დარჩენილები შვეულმფრენებმა აიყვანეს.

## „ბოინგების" საბედისწერო შეჯახება

ამერიკულ სამგზავრო თვითმფრინავს „ბოინგ-747-ს" გადაჰყავს 600-მდე მგზავრი, 13 000 კილომეტრის მანძილზე დაუჯდომლად. იმჟამად ეს თვითმფრინავი იყო ყველაზე დიდი და სანდო.

1977 წლის 27 მარტს ჰოლანდიის „კლმ" ავიაკომპანიის კუთვნილი „ბოინგ-747-მა", რომლის ბორტზე იმყოფებოდა 248 მგზავრი, კანარის კუნძულების საკურორტო ქალაქსანტა-კრუსის აეროდრომზე მიიღო აფრენის ნებართვა. იმ დღეს იყო სქელი ნისლი, ამიტომ მფრინავმა ჩართო განათება. ამავე დროს ამერიკის თვითმფრინავმაც მიიღო აფრენის ნებართვა. ჰოლანდიის თვითმფრინავის მფრინავმა შეატყობინა დისპეტჩერს, რომ მან თვითმფრინავი მიიყვანა ასაფრენ ზოლამდე და დაიწყო გაქანება ასაფრენად, ხოლო ამერიკელი მფრინავი ამტკიცებდა, რომ მან გადაუხვია ასაფრენი ზოლიდან.

ჰოლანდიის თვითმფრინავმა უკვე აკრიფა 250 კილომეტრი სიჩქარე და მოემზადა ასაფრენად. უეცრად კაპიტანმა ზანტერმა ასაფრენ ზოლზე დაინახა ამერიკის „ბოინგი", რომელიც ბეტონის ზოლიდან გვერდზე გადასვლას ცდილობდა. კაპიტანმა ვან ზანტერმა თავისკენ მოქაჩა საჭე, შეეცადა თვითმფრინავი სწრაფად აეყვანა ჰაერში, მაგრამ გარბენი მოკლე იყო და სიჩქარე არ ეყო ასაფრენად.

ამერიკის „ბოინგის" მფრინავმა ვიქტორ გრაბემაც დაინახა ნისლში მისკენ მომავალი თვითმფრინავი. ის შეეცადა მიეცა მაქსიმალური გაზი, მაგრამ ასაფრენი ხაზიდან გადასვლა ვერ მოასწრო. ჰოლანდიის „ბოინგი" ოთხივე ბორბალით დაეჯახა ამერიკის თვითმფრინავის სახურავს, აიტაცა. ის და გადაისროლა 150 მეტრის მანძილზე, ხოლო ჰოლანდიის თვითმფრინავმა ვერ შეძლო აფრენა, ჩამოვარდა მიწაზე და მაშინვე გაუჩნდა ცეცხლი. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. თვითმფრინავის ცეცხლმოკიდებული ნაწილები ირგვლივ ეცემოდა ასობით მეტრზე, მისგან ცეცხლი გაუჩნდა ამერიკის „ბოინგსაც".

ჰოლანდიის ბოინგი დაიწვა მთლიანად. არავინ გადარჩა ცოცხალი, არც მფრინავები და არც მგზავრები. ამერიკის თვითმფრინავიდან პირველ წამებში რამდენიმე ადამიანმა მოასწრო თავის დაღწევა. სულ დაიღუპა 582 ადამიანი. ავიაციის ისტორიაში ეს იყო არნახული მასშტაბის ტრაგიკული შემთხვევა.

გამოძიების შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ ამ კატასტროფაში დამნაშავე იყო ჰოლანდიის „ბოინგის" მფრინავი ვან ზანტენი, რომელმაც ბოლომდე არ მოუსმინა აეროდრომის დისპეტჩერს და აფრენა იმ მომენტში დაიწყო, როცა ასაფრენი ბილიკიდან გვერდზე გადასვლას ცდილობდა ნისლში გზააბნეული ამერიკის „ბოინგი".

## რუსების მიერ ჩამოგდებული „ბოინგი"

1983 წლის 31 აგვისტოს ნახევარკუნძული „სახალინის" თავზე ფრენის დროს რუსებმა ჩამოაგდეს კორეის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგ-747", რომელშიც იმყოფებოდა 269 ადამიანი. 11 000 მეტრის სიმაღლიდან 14 წუთის მანძილზე მიწაზე ცვიოდა ადამიანების და თვითმფრინავის ნაწილები.

რადარების ეკრანიდან გაქრა ნიუ-იორკიდან სეულში გაფრენილი სამგზავრო თვითმფრინავი. გავიდა ერთი დღე-ღამე, მაგრამ არსაიდან არავითარი ცნობა არ იყო გადმოცემული. თუ თვითმფრინავმა განიცადა კატასტროფა, რატომ არ იყო გადმოცემული უბედურების სიგნალი? მეორე დილით რადიოთი გამოვიდა აშშ სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი. მან განაცხადა, რომ სამხრეთ კორეის

ავიაკომპანიის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგ-747“ რაკეტის სროლით ჩამოაგდო საბჭოთა გამანადგურებელმა.

მთელი სამყარო შეაშფოთა ამ საზარელმა ამბავმა. ზოგიერთი სახელმწიფოს ჟურნალისტები მოითხოვდნენ წითელი რუსეთის წინააღმდეგ საყოველთაო გალაშქრებას და მოუწოდებდნენ შურისძიებისაკენ. მაგრამ მთავარ კითხვაზე, თუ რატომ გადაუხვია თვითმფრინავმა საჰაერო კურსიდან და რატომ შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე? – ვერავინ პასუხობდა. საბჭოთა მხარე განუმეორებელი იყო, ორი დღის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა.გრომიკომ განაცხადა, რომ უცნობმა თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა კავშირის საზღვარი, შეიჭრა მის ტერიტორიაზე დიდ სიღრმეში, ხოლო გამანადგურებლის გაფრთხილებაზე რეაგირება არ გააკეთა. ყველას, ვინც დაარღვევს საზღვარს ეწევა იგივე ბედი.

დაიწყეს „შავი ყუთის“ ძებნა, მაგრამ ვერ იპოვეს. რვა დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა ნ. ოგარკოვმა აღიარა, რომ საბჭოთა გამანადგურებელმა ესროლა 2 რაკეტა და დაადანაშაულა სამხრეთ კორეის თვითმფრინავი ჯაშუშობაში. მაგრამ ეს ვერსია საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უარყო, როგორც არ შემდგარი. სამგზავრო თვითმფრინავს 11 კილომეტრის სიმაღლიდან ღამით არ შეეძლო მოეპოვებინა რაიმე სასარგებლო ინფორმაცია, რომ ცივილიზებული ქვეყნები თვითმფრინავების კურსიდან გადახვევას არ თვლიან დანაშაულად, რისთვისაც გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოითხოვა საბჭოთა კავშირთან საჰაერო კავშირის შეწყვეტა, რასაც დაეთანხმა დასავლეთის 11 სახელმწიფო. მაგრამ გამწვავებული სიტუაცია თანდათან დაცხრა.

1992 წლის ნოემბერში სეულში ვიზიტის დროს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა აღიარა საბჭოთა სამხედრო მეთაურების შეცდომა და გამოთქვა ღრმა მწუხარება მომხდარი ტრაგედიის გამო.

## ტრაგედია სამხედრო ბაზაზე

ამერიკის შეერთებულ შტატებს გერმანიაში რამშტაინ-მიეზენბახში აქვს სამხედრო ბაზა. 1988 წლის 28 აგვისტოს, თავიანთი სამხედრო სიძლიერის დემონსტრაციის მიზნით, ამერიკელმა სამხედრო მეთაურებმა გადაწყვიტეს სადღესასწაულო ცერემონიალის მოწყობა და მოიწვიეს მოსახლეობა. აქ იმყოფება ნატოს სამხედრო საჰაერო ჯარების მთავარი სარდლობა „ევროპის ცენტრი“ და უდიდესი სამხედრო აეროდრომი ევროპაში. სანახაობის საყურებლად ხალხი მოვიდა

მიუნხენიდან, შტუტგარტიდან და ბერლინიდან. სულ მოგროვდა 350 000 ადამიანი.



ამერიკელებს უნდა ეჩვენებინათ სამხედრო ტექნიკა და ბოლოს სამხედრო რეაქტიული გამანადგურებლების ფრენის ოსტატობა. მონაწილეობა უნდა მიეღოთ იტალიის მფრინავებსაც, მათ უნდა ეჩვენებინათ უმაღლესი პილოტაჟის ხელოვნება, ეგრეთ წოდებული „ფრისსე ტრიკოლორი“. თვითმფრინავები ჰაერში ჯერ ახლოს უნდა დამწკრივებულიყვნენ, შემდეგ კი გაფანტულიყვნენ, ამ დროს თითოეული თვითმფრინავიდან უნდა გამოფრქვეულიყო სხვადასხვა ფერის გაზის ქავლი.

გამოაცხადეს სტარტი და ცაში აფრინდა 15 თვითმფრინავი. ყოველი მათგანი ტოვებდა სხვადასხვა ფერის გაზის კვალს. ჟურნალისტებმა დაიწყეს თავიანთი გადაცემები. ტელეკამერები ცას მიუშვირეს. თვითმფრინავებმა დაიწყეს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების გაკეთება: ისინი დამწკრივდნენ ერთ რიგად, შემდეგ გაიფანტნენ, შექმნეს ორი ჯგუფი და გაემართნენ ერთმანეთის შესახვედრად. თვითმფრინავებს უნდა ეფრინათ სხვადასხვა სიმაღლეზე, მაგრამ ძალიან ახლოს ერთმანეთთან. რაც მთავარია მაყურებელთა თავებიდან ახლო მანძილზე.

თვითმფრინავებმა დაიწყეს ერთმანეთთან მიახლოება. სიჩქარე ითანდათან მატულობდა. გააკეთეს ფორსაჟი და უეცრად სამმა თვითმფრინავმა ვერ დაიცვა დისტანცია და ერთმანეთს შეეხნენ. ერთი მათგანი ამოტრიალდა ჰაერში და დაეშვა მიწისკენ. მაყურებელმა ვერ მოასწრო გონს მოსვლა, რომ თვითმფრინავი მიწაზე დაენარცხა. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. ვარდნის ადგილზე ავარდა ცეცხლის ალი, რომელიც ინერციით მოძრაობდა. მაყურებლები გაიქცნენ სხვადასხვა მხარეს. ხალხს თავზე ეცემოდა ცეცხლის ალი, თვითმფრინავის გავარვარებული ნაწილები. საფრენი ველი დაქცეული ბენზინისგან სწრაფად ეხვეოდა ცეცხლის ალში.

ასეთ უბედურებას არავინ მოელოდა. აეროდრომზე არ იყო არც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები და არც მეხანძრეთა რაზმი. ცეცხლისაგან დამწვარ ადამიანებს ვერავინ აღმოუჩინა

დახმარება. სულ დაიღუპა 70 ადამიანი, ხოლო დამწერობა მიიღო რამოდენიმე ასეულმა ადამიანმა. მეორე გამანადგურებელი დაენარცხა ასაფრენ ზოლზე, ხოლო მესამე ჩამოვარდა ახლომდებარე ტყის მასივში.

## ბავშვის მიერ დაღუპული თვითმფრინავი

1994 წლის 22 მარტს „მეჟდურეჩენსკის" რაიონში კატასტროფა განიცადა რუსეთის სამგზაერო თვითმფრინავმა ა-310-300 „გლინკამ". ის მიფრინავდა მოსკოვიდან ჰონკონგში. თვითმფრინავში იმყოფებოდა 75 მგზავრი.

აერობუსი „გლინკა" უეცრად გაქრა რადარის ეკრანებიდან ისე, რომ არავითარი სიგნალი არ ყოფილა გადაცემული. თვითმფრინავი ჩამოვარდა და რა თქმა უნდა ყველა მგზავრი და ეკიპაჟის წევრი დაიღუპა. გაგზავნილმა სამძებრო ჯგუფმა ადვილად აღმოაჩინა თვითმფრინავის ნაწილები. ასევე იპოვეს ორი „შავი ყუთი". ჩაწერილის მოსმენის შედეგად, კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაბინაში სამართავ საჭესთან იმყოფებოდნენ ბავშვები. სინამდვილეში თვითმფრინავის მეთაურმა კუდრინსკიმ წაიყვანა თავისი ორი შვილი – 12 წლის იანი და 14 წლის ელდარი, მათ არდადეგები უნდა გაეტარებინათ ჰონკონგში.

მამამ შვილი დასვა თვითმფრინავის საჭესთან და ჩართო ავტოპილოტი. მაგრამ როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ ბავშვმა ალბათ გათიშა ავტოპილოტი და თვითონ მართავდა თვითმფრინავს. ეს რომ გაიგო მამამისმა უკვე გვიან იყო. ჩანაწერების მიხედვით მფრინავები ცდილობდნენ ელდარის ამოყვანას სავარძლიდან. ამ არეულობაში ყველას დაავიწყდა რადიოკავშირის შესახებ. ვინაიდან თვითმფრინავი იმყოფებოდა ძალიან ახლოს მიწიდან, მფრინავებმა ვერ მოასწრეს მისი გადარჩენა.

## ავიაკატასტროფა აზორის კუნძულებზე

1989 წლის 10 თებერვალს ამერიკული თვითმფრინავი „ბოინგ-737" იტალიის ქალაქ ბერგამოდან მიფრინავდა დომინიკოს რესპუბლიკაში. აზორის კუნძულებთან სანტა-მარიას კუნძულთან მფრინავმა მოითხოვა მისთვის დაეთმოთ დასაფრენი ზოლი. მაგრამ თვითმფრინავმა ვერ მოასწრო აეროდრომამდე ფრენა, დაეჯახა ბორცვს და აფეთქდა. დაიღუპა 144 მგზავრი და ეკიპაჟის წევრები. სპეციალისტების აზრით ეს თვითმფრინავი აგებული იყო 1968 წელს, მისი ძრავა დაძველებული იყო და ვეღარ გაუძლო დატვირთვას.

## დაჯდომისას დამსხვრეული „ბოინგ-737“

1989 წლის 28 იანვარს ლონდონიდან ბელფასტისკენ გაფრინდა თვითმფრინავი „ბოინგ-737“. თვითმფრინავში სულ 126 ადამიანი იყო. ის ჰაერში იმყოფებოდა მხოლოდ 30 წუთი, რადგან მეთაურმა მოითხოვა ავარიული დაჯდომა ისტ-მიდლენდის აეროდრომზე, ვინაიდან ცეცხლი გაუჩნდა ერთ ძრავას. იმ პროცესში როცა „ბოინგ-737“ შედიოდა იძულებით დასაჯდომ ზოლზე, ცეცხლი გაუჩნდა მეორე ძრავასაც. თვითმფრინავმა ვერ მიაღწია დასაჯდომ ზოლამდე და დაეცა ავტოტრასაზე კეგუორტიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით. მიწაზე დანარცხებისაგან თვითმფრინავი დაიშალა 3 ნაწილად. ამ კატასტროფაში დაიღუპა 36 ადამიანი და 90 სერიოზულად დაშავდა. მფრინავი კეეინ ხანი გადარჩა ცოცხალი. ექსპერტების დასკვნით, მფრინავს რომ არ გამოეჩინა თავისი ცოდნა და გამოცდილება, კატასტროფის შედეგი უფრო საშინელი იქნებოდა.

## დაღუპული „ტუ-134“

1992 წლის 27 აგვისტოს 22 საათსა და 48 წუთზე ქალაქ ივანოვოს დასაფრენ ზოლზე დაშვების წინ, აეროდრომიდან 3 კილომეტრის დაშორებით კატასტროფა განიცადა „ტუ-134-მა“, რომელიც ასრულებდა რეისს მინერალური წყლები—დონეცკი—ივანოვო. დაიღუპა ეკიპაჟის ყველა წევრი და მგზავრი. სულ 83 ადამიანი. საბედნიეროდ, დაინგრა მხოლოდ ერთი ორსართულიანი სახლი. ვ.გრუზდევი გამოცდილი მფრინავი იყო, მას ჰქონდა ნაფრენი 15 000 საათი. თვითმფრინავი ძველი იყო და ჩამოწერას ექვემდებარებოდა. თვითმფრინავი ისე დაიმსხვრა და დაიწვა, რომ მისგან აღარაფერი დარჩა. კილომეტრნახევრის სიგრძეზე და 150 მეტრის სიგანეზე ეყარა თვითმფრინავის ნაწილები, საგნები, ყვავილები და ადამიანის ნაწილები. დაღუპულების ამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. თვითმფრინავი ისე დაიმსხვრა და დაიშალა, რომ ცეცხლი არ გაუჩნდა, მისი ავზებიდან დაიღვარა დაახლოებით ათი ტონა საწვავი.

## მთას შეჯახებული სამი „სუ-27“

1995 წლის 12 დეკემბერს რუსეთის მფრინავეთა ჯგუფი „რუსი რაინდები“, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სატრანსპორტო თვითმფრინავი „ილ-76“ და 5 „სუ-27“ ბრუნდებოდნენ მალაიზიიდან ვიეტნამის ქალაქ კამრანში. თვითმფრინავებს მართავდნენ ეგრეთ წოდებული „ასები“, რომლებმაც თავიანთი ხელოვნებით გააკვირვეს მთელი მსოფლიო. მათ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ავიასალონში.

ეიკტნამის სანაპიროზე ამინდი გაფუჭდა და მხედველობა ნულოვანი გახდა. ასეთ დროს, როცა მოდის თავსხმა წვიმა და ღრუბლების ძირი მიწიდან დაშორებული 50 მეტრით თვითმფრინავის დაჯდომა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ მფრინავებს არ შეეშინდათ და გადაწყვიტეს დაჯდომა.

როცა „რუსი რაინდები" გაემართნენ ქასაჯდომად, მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავი „ილ-76" წავიდა წინ. „სუ-27" თვითმფრინავებმა მოხვევა გააკეთეს, წინ მიფრინავდა ორი „შტურმავიკი", უკან სამი დანარჩენი. თვითმფრინავები მიფრინავდნენ მწყობრად და ლამაზად, ფრთა-ფრთასთან ახლოს. უეცრად 3 თვითმფრინავი ერთდროულად დაეჯახა მთას. კამრანის აეროდრომის წესების მიხედვით ზღვიდან ხმელეთზე დასაჯდომ ზოლთან თვითმფრინავის მინიმალური სიმაღლე უნდა ყოფილიყო 1500 მეტრი, მაგრამ რუსმა მფრინავებმა დაარღვიეს უსაფრთხოების წესები, ისინი მიფრინავდნენ 600 მეტრის სიმაღლეზე. ეს წესები იმიტომ იყო მიღებული, რომ აეროდრომიდან 15 კილომეტრზე იმყოფება მთა „რონგი" (გველეშაპი), რომლის სიმაღლეა 726 მეტრი, ხოლო მისგან სამხრეთ-დასავლეთით 25 კილომეტრზე მდებარეობს მთა „ტიუა" (თავადი), რომლის სიმაღლეა 1040 მეტრი. ამ მთას დაეჯახა 3 თვითმფრინავი და რა თქმა უნდა, ექვსივე მფრინავი დაიღუპა.

თვითმფრინავების ნამსხვრევები აღმოაჩინეს 16 დეკემბერს შვეულმფრენიდან. თვითმფრინავები მთის კალთას დაეჯახა 446 მეტრის სიმაღლეზე. რამ აიძულა მფრინავები ასე დაბლა ეფრინათ, გამოუცნობი რჩება. ზოგიერთი მკვლევარი და სპეციალისტი ფიქრობს, რომ ალბათ მთა დაფარული იყო ღრუბლებით და თავსხმა წვიმაში მფრინავებმა ის ვერ დაინახეს.

## დაკარგული თვითმფრინავი

1995 წლის 7 დეკემბერს დილით რუსეთის ქალაქი ხაბაროვსკი შეაშფოთა „ტუ-154" თვითმფრინავის დაკარგვის ცნობამ. თვითმფრინავში იმყოფებოდა 96 ადამიანი. ის ქალაქ იუჟნო-სახალინსკიდან მიფრინავდა ხაბაროვსკში, შემდეგ კი ქალაქ ულან-უდეში, აქედან კი ქალაქ ნოვოსიბირსკში.

მფრინავებს არ გადაუციათ არანაირი სიგნალი და ცნობა, ისე გაქრა რადარების ეკრანებიდან. თვითმფრინავის ნარჩენები იპოვეს მხოლოდ 18 დეკემბერს შვეულმფრენიდან. სპეციალისტების აზრით, თვითმფრინავი მიწაწე დაეცა ვერტიკალურად, მიწაზე დაცემის მომენტში თვითმფრინავი მთელი იყო.

თვითმფრინავის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი გამოუცნობი დარჩა. არსებობს რამოდენიმე ვერსია: ადგილი ჰქონდა ტერორისტულ აქტს, ჰაერში დაეჯახა უცხო ობიექტს, ჩამოგდებულია საომარი იარაღით, შეცდომა დაუშვა ეკიპაჟმა, თვითმფრინავი ტექნიკურად გაუმართავი იყო, ბუნებრივი ძალების ზემოქმედება.

## „ტუ-154-ის“ სამარცხვინო დაღუპვა

1994 წლის 3 იანვარს ირკუტსკის აეროდრომიდან მოსკოვისაკენ გაფრინდა „ტუ-154“, რომელშიც იმყოფებოდა 124 ადამიანი. 300 მეტრის სიმაღლეზე მფრინავებმა დაიწყეს მარჯვენივ მოხვევა. ამ დროს ეკიპაჟის კაბინაში აინთო სიგნალიზაცია: „მეორე ძრავაში ხანძარია“! მფრინავებმა მაშინვე შეატყობინეს დედამიწაზე. საჭირო იყო აეროდრომზე სასწრაფოდ დაშვება. მაგრამ თვითმფრინავის მობრუნება ვერ მოასწრეს. რამდენიმე წამის შემდეგ გაჩერდა მეორე ძრავი, შემდეგ მესამეც. აღარ მოქმედებდა თვითმფრინავის მთლიანი ჰიდროსისტემა. თვითმფრინავი უმართავი გახდა.

აფრენიდან 12 წუთის შემდეგ თვითმფრინავმა დაიწყო ვარდნა ჩამოშვებული ბორბლებით. თვითმფრინავი დაენარცხა მომონის დასახლების რძის ფერმას, რომელიც ირკუტსკიდან დაშორებულია 3 კილომეტრით, დანარცხების შედეგად თვითმფრინავი დაიშალა ნაწილებად, გაჩნდა ხანძარი. მისი ნაწილები გადაცვივდა 400 მეტრის რადიუსზე. ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა. არცერთი ტანი არ დარჩა მთელი. მორგში ამოცნობა ხდებოდა ფეხსაცმლის, ქამრის და სხვა ნივთების მიხედვით. მგზავრებს შორის იმყოფებოდა უცხო ქვეყნების 16 წარმომადგენელი. კატასტროფის ადგილი ალყაშემორტყმული იყო ჯარისკაცების და პოლიციის მიერ. ასევე დაიღუპა ფერმაში მყოფი 100-ზე მეტი ძროხა და ფერმის მომსახურე პერსონალი.

კომისიამ დაადგინა, რომ თვითმფრინავის ძრავები გაუმართავი იყო, ისინი შეფერხებებით გვიან იქოქებოდა. მფრინავების ერთმანეთთან საუბრიდან (შავი ყუთი) გაირკვა, რომ „საშიში ბრუნვების“ ღილაკი არ ჩაქრა. ეკიპაჟს არ უნდა დაეძრა ადგილიდან თვითმფრინავი, სანამ დეფექტები არ იქნებოდა გასწორებული და ავარიული სიტუაცია ლიკვიდირებული.

## ქარბუქში ჩამოვარდნილი „ან-24“

რუმინეთის ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი „ან-244 იტალიის ქალაქ ვერონის აეროდრომიდან გაფრინდა ბუქარესტისაკენ. მას გადაჰყავდა 49 მგზავრი. იმ საღამოს იტალიაში ქარბუქი იყო.

ავტოსტრადებზე შეჩერებული იყო ავტომობილების მოძრაობა. გაჩერდა მატარებლებიც. აეროდრომები კი მუშაობდა.

თვითმფრინავს ჯერ კიდევ არ ჰქონდა აკეცილი ბორბლები, რომ დაიწყო ქვევით ვარდნა. მის ერთ ძრავს გაუჩნდა ცეცხლი და თვითმფრინავი ჩამოვარდა მიწაზე, ასაფრენი ზოლის ბოლოდან რამდენიმე კილომეტრში. ეკიპაჟის ყველა წევრი და მგზავრები დაიღუპნენ.

## თვითმფრინავმა პილოტის გარეშე იფრინა

სასწავლო ფრენის შესრულების დროს, რომელიც ტარდებოდა პოლონეთის ტერიტორიაზე პოლკოვნიკმა ნ.სკურიდინმა მიატოვა გამანადგურებელი „მიგ-23“ და კატაპულტით გადმოხტა. თვითმფრინავმა დამოუკიდებლად გააგრძელა ფრენა მფრინავის გარეშე და 800 კილომეტრის ფრენის შემდეგ, როცა გათავდა საწვავი, ჩამოვარდა ბელგიის ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევას საბჭოთა კავშირის პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია.

საჰაერო თავდაცვის გერმანისს რადარებმა დააფიქსირეს საზღვრის დარღვევა. განგაშით ნატოს სამხედრო ბაზიდან ყაერში აფრინდა 2 ამერიკული გამანადგურებელი. მფრინავებმა გადმოსცეს, რომ სამხედრო თვითმფრინავი „მიგ-23“ მიფრინავს მფრინავის გარეშე. სამხედრო სპეციალისტებში ამ ფაქტმა გამოიწვია დიდი გაოცება. მათ მფრინავებს უბრძანეს გაეცილებინათ თვითმფრინავი და ჩამოეგდოთ ის მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

ბელგიის ტერიტორიაზე „მიგ-23-მა“ დაიწყო სიმაღლის კარგვა და ჩამოვარდა საფრანგეთის საზღვართან ახლოს. თვითმფრინავი დაეცა საცხოვრებელ სახლზე და იმსხვერპლა ერთი ახალგაზრდა კაცი.

თვითმფრინავის მფრინავი ნ. სკურიდინი უვნებლად დაეშავ მიწაზე და გააგრძელა სამხედრო სამსახური. მის მონათხრობს თუ დავუჯერებთ, მან თქვა, რომ მოესმა ძრავის უჩვეულო ხმაური, თვითმფრინამვა მოუკლო სიჩქარეს, მას ეგონა, რომ თვითმფრინავი მალე ჩამოვარდებოდა, ამიტომ ის გადმოხტა კატაპულტით.

## მფრინავების ჩაშხამებული დღესასწაული

1990 წლის პირველი მაისის დღესასწაულზე, „ან-2“ თვითმფრინავის ეკიპაჟის 5 წევრს უბრძანეს, ქალაქ გორკის (ახლანდელი ნიჟნი-ნოვგოროდი) თავზე ფრენისას ჩამოეყარათ ქუჩებში სადღესასწაულო ცერემონიის ფურცლები. მფრინავებმა დაიწყეს ფურცლების ჩამოყრა, რამდენჯერმე გადაიფრინეს ქალაქის თავზე, მაგრამ ერთხელ მობრუნების დროს დაეშვნენ ძალზე დაბლა და თვითმფრინავმა

ფრთა წამოსდო ხეებს, რის შედეგად თვითმფრინავი დაენარცხა მიწაზე, მაშინვე აფეთქდა და ეკიპაჟის ხუთივე წევრი დაიღუპა.

## თვითმფრინავის მიერ დაღუპული თვითმფრინავები

1997 წლის 6 დეკემბერს რუსეთის ქალაქ ირკუტსკში ჩამოვარდა „ან-62“ ტიპის თვითმფრინავი „რუსლანი“. თვითმფრინავში იყო მოთავსებული ორი „სუ-27“ ტიპის თვითმფრინავი: „ან-62“ დაეცა ხუთსართულიან სახლს, კატასტროფის შედეგად დაინგრა ხუთი შენობა და ბავშვთა სახლი. გაჩნდა საშინელი ხანძარი, რომელსაც აქრობდა 200-ზე მეტი მეხანძრე. სულ დაიღუპა 100-მდე ადამიანი, ხოლო 200-ზე მეტმა მიიღო სხეულის სერიოზული დაზიანება.

## „ბოინგი“ ატლანტიკის ოკეანეში

1999 წლის 31 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკის აეროდრომიდან კაიროსაკენ გაფრინდა „ბოინგის“ ტიპის თვითმფრინავი, ატლანტიკის ოკეანის გადაფრენისას „ბოინგი“ ჩავარდა ოკეანეში. ცოცხალი არავინ გადარჩენილა. სულ დაიღუპა 217 ადამიანი. მრავალი დღის მანძილზე თვითმფრინავები ეძებდნენ ოკეანეში კატასტროფის ადგილს და ბოლოს იპოვეს თვითმფრინავის ზოგიერთი ნაწილი, მაგრამ თვითმფრინავის ჩამოვარდნის ნამდვილი მიზეზი დარჩა გაურკვეველი.

## დაიმსხვრა მიწაზე დამჯდარი თვითმფრინავი

. ამ წიგნის შედგენის პროცესში 1999 წლის 22 დეკემბერს მოსკოვიდან ახალი ამბების პროგრამამ ტელევიზიით გადმოსცა და უჩვენა, რომ გვატემალაში ქალაქ გვატემალას აეროდრომზე კუბიდან მოფრინდა სამგზავრო თვითმფრინავი, რომლის ბორტზე იმყოფებოდა 314 მგზავრი, მათ შორის უმრავლესობა სტუდენტი იყო, რომლებიც საშობაო არდადეგებზე ბრუნდებოდნენ სამშობლოში. თვითმფრინავი უვნებელი დაჯდა აეროდრომზე, მაგრამ მფრინავს დასაფრენი ზოლიდან გვერდზე გაექცა თვითმფრინავი, რის შედეგად ის შევარდა დასახლებულ ტერიტორიაზე, დაანგრია 5 შენობა.

თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა, საბედნიეროდ, ხანძარი არ გაუჩნდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღო სასწრაფო ზომები ადამიანების გადასარჩენად. სულ დაიღუპა 26 ადამიანი, მათ შორის 2 მფრინავი, სერიოზულად დაშავდა ათობით მგზავრი.

## საფეხბურთო ავიაკატასტროფები

იმის გამო, რომ ფეხბურთელებს ხშირად უწევთ სხვადასხვა ქვეყანაში მატჩების ჩატარება, შეიძლება ითქვას, ცხოვრების ძირითად ნაწილს თვითმფრინავში ატარებენ, რაც მათ სიცოცხლეს ხშირად რისკის ქვეშ აყენებს. ფეხბურთის ისტორიას ბევრი ტრაგედია ახსოვს, რომლებიც ცაში დატრიალებულა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

### „ტორინოს" გლოვა

იტალიის საფეხბურთო კლუბი „ტორინო" დღეს გულშემატკივრებში ინტერესს ნაკლებად იწვევს. არადა 40-იან წლებში „ტორინოს" სახელი მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი და სწორედ ამ კლუბის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული იტალიის საფეხბურთო ნაკრები. მეორე მსოფლიო ომის დროს ერთადერთი ნათელი წერტილი „ტორინოს" მატჩებზე დასწრება იყო. მისი ფეხბურთელები იტალიაში ეროვნული გმირის სტატუსით სარგებლობდნენ. 1942-49 წლებში სუპერკლუბი ხუთჯგის ჩემპიონი იყო. იტალიაში არ არსებობდა ოჯახი, რომელთა სახლის კედლები ამ კლუბის წევრების — ვალენტინო მაცოლას, ჯანლუიჯი ლენტინის, რობერტო კრავეროს, ჯორჯო ფერინის და ჯიჯი მერონის — სურათებით არ ყოფილიყო დამშვენებული.

1949 წლის 4 მაისი კარგად დაამახსოვრდათ იტალიელ და არამარტო იტალიელი ფეხბურთის გულშემატკივრებს. ამ დღეს ლისაბონიდან ამხანაგური მატჩის ჩატარების შემდეგ, „ტორინო" სამშობლოში ბრუნდებოდა. თვითმფრინავში 28 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის — 18 ფეხბურთელი. მოულოდნელად თვითმფრინავმა მართვა დაკარგა, ფრთა ერთ-ერთი ეკლესიის ბაზილიკას წამოსდო და აფეთქდა. ნახევარი საათის შემდეგ მთელი იტალია შემთხვევის ადგილას მივიდა. ავიაკატასტროფაში „ტორინოს" მთელი შემადგენლობა, თვრამეტივე ფეხბურთელი დაიღუპა. ტრაგედიის ადგილას ერთმანეთში არეული ყო ადამიანის სისხლიანი სხეულებისა და თვითმფრინავების ლითონის ნაწილები. ამ კატასტროფის გამო 6 თვის განმავლობაში მთელ იტალიაში გლოვა იყო გამოცხადებული. მას შემდეგ „ტორინომ" ძველი დიდების დაბრუნება ვეღარ შეძლო. მხოლოდ 27 წლის შემდეგ, 1976 წელს, მოიპოვა კლუბმა იტალიის ჩემპიონის ტიტული. დაღუპული ფეხბურთელების მეუღლეებმა შვილებს სტადიონთან მიახლოებაც აუკრძალეს, იტალიაში ფეხბურთელობა ლამის ყველაზე საშიშ პროფესიად იქცა, მაგრამ ეროვნულმა ხასიათმა მაინც იმძლავრა და კლუბის დაღუპულ ფეხბურთელთა შვილები მამების კვალს გაჰყვნენ. ვალენტინო მაცოლას შვილი,

ალექსანდრო, დღეს, პირველი კლასის თაედამსხმელია და მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავს.

## „მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრაგედია

ინგლისურ კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებს დღემდე სჯერათ, რომ კლუბის წარმატება გენერალური მენეჯერის, მეტ ბასბის დამსახურებაა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდნენ „წითელი ეშმაკუნები“ პრემიერლიგისა და ევროპის ჩემპიონები.

1958 წლის 6 თებერვალს კლუბის ფეხბურთელები ბასბისთან და მრავალრიცხოვან ჟურნალისტთა არმიასთან ერთად ბელგრადიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ, რათა პრემიერლიგის მატჩში მიეღოთ მონაწილეობა. ინგლისის კერპებმა თვითმფრინავში 47 ადგილი დაიკავეს. მათ თვითმფრინავს „ელიზაბეტს“ ეძახდნენ, რადგან იგი სამეფო დიზაინის იყო. თვითმფრინავი მიუნხენში საწვავის მარაგის შესავსებად უნდა დამჯდარიყო. ასეც მოხდა. კლუბის წევრებმა ამ შეჩერებისას გამარჯვება მიუნჰენის ბარში აღნიშნეს. ამინდი თანდათან ფუჭდებოდა, მოდიოდა სველი თოვლი, ჰაერის ტემპერატურა კი 0 გრადუსი იყო. აეროდრომიდან აფრენიდან რამდენიმე წუთში ერთ-ერთი ძრავი გამოირთო, რის გამოც მფრინავები კელავ მიუნჰენის აეროდრომზე დასხდნენ, ძრავი მოაწესრიგეს და ხელმეორედ შეეცადნენ აფრენას. ეს მცდელობა საბედისწერო აღმოჩნდა. თვითმფრინავემა, დიდი სიჩქარის განვითარების მიუხედავად, აფრენა ვერ შეძლო და აეროდრომის მახლობლად, დასახლებულ ფერმაში შევარდა. ავარიის შედეგად ნგრევის მასშტაბები ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ თვითმფრინავისაგან თითქმის არაფერი დარჩა. დაშავებული 44 მგზავრიდან 20 ადგილზევე გარდაიცვალა. ლონდონის აეროპორტში კი ამ დროს კლუბის გულშემატკივრები მთელი ინგლისიდან იყვნენ შეგროვილი. როცა ტრაგედიის შესახებ ინფორმაციამ ინგლისში ჩააღწია, მთელ აეროპორტში რამდენიმე წუთი სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

დაღუპული და დაშავებული ფეხბურთელები მიუნჰენის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ავარიის შედეგად წარმოქმნილი ხანძრის გამო მგზავრთა დიდ ნაწილს სერიოზული დამწვრობა ჰქონდა მიღებული. თავად მეტ ბასბი და ბობი ჩარლტონი შედარებით მსუბუქად იყვნენ დაშავებული. ამ ტრაგედიის გამო ინგლისში უკონტროლო სიტუაცია შეიქმნა. ადამიანები უარს ამბობდნენ სამუშაოზე გასვლაზე. გადარჩენილ ფეხბურთელთა მცირე ნაწილმა გუნდის კაპიტან ჩარლტონის მეთაურობით ფიცი დადო, რომ დაღუპული მეგობრების

უკვდავსაყოფად იმ თასს და ტიტულს მოიგებდნენ, რომლისთვისა ისინი ინგლისში ბრუნდებოდნენ. ამ ტრაგედიის შემდეგ სხვადასხვა ინგლისური კლუბის მწვრთნელებმა სათადარიგო ფეხბურთელები „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაიყვანეს. ტრაგედიიდან 10 წლის შემდეგ, 1968 წელს, ჩარლტონმა თავისი სიტყვა შეასრულა და კლუბმა მართლაც მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. „ეს გამარჯვება ჯერ კიდევ ათი წლის წინ, 1958 წელს უნდა გვეზეიმა, მაგრამ ბედისწერამ საუკეთესო მეგობრები წაგვართვა, ხოლო ინგლისს – საუკეთესო ფეხბურთელები. ეს ჩვენი მხრიდან მათთვის უკანასკნელი საჩუქარია. დაე, მშვიდად იყვნენ, რადგან ისინი ნამდვილი ჩემპიონები არიან“, – განაცხადა ჩარლტონმა ჟურნალისტებთან.

მიუნჰენში ამ ავარიის გამო კარგა ხანს მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. პირველი განაჩენით, კატასტროფაში დამნაშავედ ჯერ თოელი და შემდეგ ინგლისელი პილოტები დასახელდნენ. ვერდიქტის შემდეგ ინგლისელმა ჟურნალისტებმა დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატარეს და ხელმეორედ აღძრეს საქმე. ამ შემთხვევაშიც გამარჯვება გერმანელებს დარჩათ.

## ტაშკენტის ცრემლები

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა ფეხბურთის ფავორიტად ტაშკენტის „პახტაკორი“ ითვლებოდა. გუნდის კაპიტან მიხეილ ანას სახელი რესპუბლიკაში სკოლის მოსწავლეებმაც კი იცოდნენ. 1979 წლის 11 აგვისტოს ფეხბურთელები ტაშკენტიდან მინსკში აპირებდნენ გადაფრენას. მოულოდნელად ერთსა და იმავე სიმაღლეზე ორი ლაინერი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში წესით, ავიადისპეტჩერს ერთ-ერთისთვის გეზი უნდა შეეცვალა. ორ თვითმფრინავს შორის მანძილი 170 კმ იყო. რამდენიმე წუთში კი იგი საბედისწერომდე შემცირდა და ორი თვითმფრინავი ერთმანეთს შეეჯახა; დაბა ნიკოლაევსკის მცხოვრებლები ამ კატასტროფის თვითმხილველები გახდნენ. ჩამოვარდნილი თვითმფრინავების ნარჩენებში ადამიანთა ნახევრად დამწვარი სხეულები იყო არეული. თავდაპირველად ეგონათ, რომ მხოლოდ ერთი თვითმფრინავი ჩამოვარდა. მალე გაირკვა, რომ პატარა დასახლება ელიზავეტინკაში მეორე თვითმფრინავიც ჩამოვარდნილა. „ტრაგედიის მომენტში ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი. უეცრად ცა განათდა და დავინახე, როგორ ცვიოდა ლითონის დიდი საგნები მიწაზე“, – ყვება ერთ-ერთი თვითმხილველი.

კატასტროფის შედეგად „პახტაკორი“ მთლიანად განადგურდა. ფეხბურთელების დაკრძალვის დღეს უზბეკეთში გლოვა გამოცხადდა.

მთელი ქალაქი აცილებდა უკანასკნელ გზაზე თავის ფავორიტებს. ამ ტრაგედიის შესახებ სიმართლე კარგა ხანს იმალებოდა. იმ პერიოდში ეს საკმაოდ გასაიდუმლოებული იყო, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას არ სჯეროდა, რომ მათ ქვეყანაში ავიაკატასტროფა შესაძლებელი იყო.

## ფეხბურთელთა ქვრივებმა სიმართლე დღემდე არ იციან

1993 წლის 28 აპრილს ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში დიდი ტრაგედია დატრიალდა. ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, მთლიანობაში 30 ადამიანი, ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა. ზამბიელი ფეხბურთელები სენეგალის ეროვნულ ნაკრებს უნდა შეხვედროდნენ. აფრიკულ ფეხბურთში ზამბიის ნაკრები ყველაზე ძლიერი იყო. მომხდარის შედეგად ერთი კვირის განმავლობაში აფრიკელი ფეხბურთის ფანები, დაღუპულთა მეუღლეები და ნათესავები, რადიომიმღებებს არ ცილდებოდნენ იმ იმედით, რომ რაღაცას მაინც შეიტყობდნენ ამ ტრაგედიის შესახებ. დაკრძალვის წინა ღამით დედაქალაქის ეროვნული სტადიონი სავსე იყო გულშემატკივრებით, ყველას სურდა, უშუალოდ გამომშვიდობებოდა საკუთარ კერპს. სამგლოვიარო პროცესიას ნაკრების კაპიტანი, კალუშა ბვალია მიუძღოდა, რომელიც, საბედნიეროდ, იმ თვითმფრინავში არ იჯდა, რომელმაც კატასტროფა განიცადა.

დაკრძალვიდან ერთი თვის შემდეგ ადგილობრივი ტელევიზია ამ ტრაგედიის კადრებს ატრიალებდა, რაც შექმნილ სიტუაციას უფრო ამძიმებდა. ფაქტობრივად, არსად იყო ინფორმაცია, თუ რა მოხდა იმ დღეს ჰაერში და რა მიზეზით განიცადა კატასტროფა თვითმფრინავმა. მთავრობამ დაღუპულთა ოჯახის წევრებს კომპენსაცია გამოუყო, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მათთვის, ვინც ერთადერთი მარჩენალი დაკარგეს. ფეხბურთელთა ქვრივები ყველანაირად ცდილობდნენ სიმართლის გაგებას. ორი წლის შემდეგ რამდენიმე ქვრივი მოკლული იპოვეს, ხოლო ორი გზაკვალი დღემდე უცნობია. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამყარა ჭორი, რომ ცაში მომხდარი ტრაგედია ხელისუფლების მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული დანაშაული იყო.

## ტრაგედია ინდოეთში

სამშაბათს, ინდოეთის საჰაერო სივრცეში, ერთმანეთს ორი სამხედრო თვითმფრინავი შეეჯახა. ტრაგედია დასავლეთ ინდოეთის გოას შტატში მოხდა. სააგენტო „როიტერის“ ცნობით, ორივე თვითმფრინავის თორმეტივე წევრი დაიღუპა. სხვა წყაროების ცნობით, კატასტროფის შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა და კიდევ 15 მძიმედ

დაშავდა. მათ შორის, არიან ისინიც, რომლებიც თვითმფრინავების ხმელეთზე ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპნენ და დაშავდნენ. ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლის განცხადებით, ტრაგედია მოხდა სამშაბათს დილით, ავიაშოუს დროს, როცა თვითმფრინავები საჩვენებელ გაფრენებს ახორციელებდნენ. ინდოეთის ხელისუფლების ცნობით, ორივე თვითმფრინავი რუსული წარმოების „ილ-38-ის“ ტიპს განეკუთვნებოდა. ინდოეთის საჰაერო ძალებს რუსეთისაგან ხუთი ასეთი საფრენი აპარატი ჰქონდა შესყიდული. ამასთანავე, როგორც ცნობილი გახდა, ინდოეთსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი იყო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, რუსეთს ხუთივე ილ-38-ის მოდიფიცირება უნდა მოეხდინა. ამ სამუშაოში ინდოეთი რუსეთს, დაახლოებით, 100 მილიონ ამერიკულ დოლარს გადაუხდიდა. აღნიშნული ტრაგედიის შემდეგ საეჭვოა, რომ ეს შეთანხმება კვლავ ძალაში დარჩეს და რუსეთმა შეპირებული 100 მილიონი მიიღოს.

## ტრაგედია „ლუჟნიკის“ სტადიონზე

ფეხბურთი არა მარტო ცხოვრების ზეიმია, სპორტის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა საკმაოდ რისკიანი და სახიფათოცაა, უმეტესწილად არა მოთამაშეების, არამედ გულშემატკივრებისათვის. ხშირად ამა თუ იმ გუნდის ფანები მატჩის დროს იმდენად უკონტროლონი ხდებიან, რომ მათი სიხარულისა თუ მწუხარების გამოხატვა სტადიონზე სისხლიანი შეტაკებების მიზეზიც ხდება. სტატისტიკის თანახმად, მეოცე საუკუნეში საფეხბურთო მატჩებში სხვადასხვა შეტაკების დროს დაიღუპა 5896 და სხეულის სერიოზული დაზიანება 7007-მა ადამიანმა მიიღო. ტრაგედიებმა განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ბოლოს იმატა.

მაისის დასაწყისში ფეხბურთის სამყაროში ორი შემზარავი ტრაგედია მოხდა. საგანგაშო ინფორმაციები მოვიდა განიდან და ხორვატიიდან. პოლონეთში „ვისლასა“ და „შლენკის“ მატჩის დროს გულშემატკივართა შეტაკებებისას სხეულის მძიმე დაზიანება ხუთმა პოლიციელმა მიიღო. ხორვატიაში ეროვნული ჩემპიონატის დროს, „ჰაიდუკომის“ და „ზაგრების დინამოს“ თამაშისას, გულშემატკივართა შეტაკებებისა და ჭყლეტის შედეგად 130 ადამიანი სერიოზულად დაშავდა. ჩხუბი მატჩის დამთავრების შემდეგ დაიწყო. აურზაური სტადიონსაც გასცდა. გაბრაზებულმა გულშემატკივრებმა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიები და სხვადასხვა დაწესებულება დაარბიეს. მეორე სისხლიანი ტრაგედია აფრიკაში, განის რესპუბლიკაში დატრიალდა. თამაშისას სტადიონზე ატეხილი აურზაურის დროს 130 ადამიანი დაიღუპა. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე

წაგებით გახელებულმა გულშემატკიერებმა მოედანზე სკამების სროლა დაიწყეს. პოლიცია შეეცადა 40 000 აღელვებული გულშემატკიერის დაწყნარებას, მაგრამ შეღები მაინც საეალალო აღმოჩნდა. ოფიციალური ინფორმაციით, 102 ადამიანი დაიღუპა, თუმცა საავადმყოფოს პერსონალი ამტკიცებს, რომ ეს რიცხვი 130-ს აღემატება. მძიმე მდგომარეობაში 150 ადამიანი იმყოფება.

ზემოაღნიშნულ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე ირანის ქალაქ სარიში სტადიონის თაღის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და 284 მძიმედ დაშავდა. ახლა კი თვალი გადავავლოთ მეოცე საუკუნის ფეხბურთის სისხლიან ეპიზოდებს.

1902 წლის 5 აპრილს გლაზგოს სტადიონზე, „იბროკს პარკში“, ჭყლეტის შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა და 160 დაშავდა. მატჩი შოტლანდიისა და ინგლისის ეროვნულ ნაკრებებს შორის მიმდინარეობდა. ჭყლეტის მიზეზი ის გახლდათ, რომ სტადიონზე, სადაც მხოლოდ 40 ათასი ადგილი იყო, 60 ათასი ადამიანი იმყოფებოდა.

1946 წელს ინგლისის ქალაქ ბოლტონში, სტადიონ „ბიორდენ პარკში“, „ბოლტონ უანდერერზსა“ და „სტოუკ სიტის“ მატჩის დროს ტრიბუნაზე ატეხილი აურზაურისას 44 ადამიანი დაიღუპა და 500-მდე მძიმედ დაშავდა.

1964 წლის 24 მაისს ლიმის ეროვნულ სტადიონზე ოლიმპიური თამაშების დროს, როდესაც პერუსა და არგენტინის ოლიმპიური ნაკრებები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ტრიბუნაზე შეტაკება მოხდა. გულშემატკიერების დასაშოშმინებლად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აურზაური მას შემდეგ ატყდა, რაც მსაჯებმა გატანილი გოლი არ ჩათვალეს. ამ დღეს 301 გულშემატკივარი დაიღუპა.

1967 წელს თურქეთში „კაისერისა“ და „სილვას სპორტის“ მატჩის დროს გულშემატკივართა შორის ატეხილ ჩხუბში 41 ადამიანი დაიღუპა. ამ შემთხვევაშიც პოლიცია უძლური აღმოჩნდა.

1968 წლის 23 ივლისს არგენტინაში, ბუენოს აირესში, „რივერ პლეიტისა“ და „ბოკა ჰუნიორის“ მატჩის დროს ტერორისტულმა დაჯგუფებამ ხალხით გადაჭედილ ტრიბუნაზე ხანძრის გამომწვევი ნივთიერება ისროლა. შექმნილ ქაოსში 10 ადამიანი გადათელეს. ხანძრის შედეგად 73 ადამინი დაიღუპა და 150-მა სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა მიიღო.

1971 წლის 2 იანვარს შოტლანდიაში, „გლაზგო რეინჯერსის“ სტადიონზე, ჭყლეტის შედეგად, რომელიც „გლაზგოს“ კარებში ერთ-ერთი გოლის გატანის შემდეგ შეიქმნა, 66 ადამიანი დაიღუპა და 150 დაშავდა.

. 1974 წლის 11 თებერვალს კაიროს 40 000-ადგილიან სტადიონზე 80 000 გულშემატკივარი იმყოფებოდა. ჭყლეტაში 42 ადამიანი დაიღუპა და 50 დაშავდა.

1981 წლის 9 თებერვალს ათენში, ოლიმპიურ სტადიონზე, შესასვლელი კარის უეცარი დაკეტვის გამო 21 ადამიანი დაიღუპა.

1982 წლის 20 ოქტომბერი იმდროინდელი საბჭოთა კავშირისათვის შავად გათენდა. მოსკოვში, „ლუჟნიკის" სტადიონზე, „სპარტაკსა" და „ჰაარლემის" (ჰოლანდია) მატჩის დროს წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად 340 ადამიანი დაიღუპა, 1000-მა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მკვდრებიც კი დადიოდნენ, რადგან გაგუდული ხალხი ძირს ვერ ვარდებოდა. ამ ინციდენტის შესახებ იმდროინდელმა კრემლის ხელმძღვანელობამ დუმილი ამჯობინა. ეს ამბავი არ გახმაურებულა.

1985 წლის 11 მაისს ინგლისში, ქალაქ ბრენდფორდის სტადიონზე, მატჩის დროს გაჩენილი ხანძრის შედეგად 52 ადამიანი დაიღუპა და 200-მა სხეულის დაზიანება მიიღო. იმავე დროს ბირმინგემში ტრიბუნის ერთი კედლის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და 57 მძიმედ დაშავდა.

1985 წლის 29 მაისს ბრიუსელში ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დროს, რომელიც ინგლისის „ლივერპულსა" და იტალიის „იუვენტუსს" შორის მიმდინარეობდა, ინგლისელი გულშემატკივრების მიერ მოწყობილი დებოშის შედეგად 39 ადამიანი დაიღუპა და 500-ზე მეტი დაშავდა. ამ ინციდენტის გამო ინგლისის კლუბს დისკვალიფიკაცია მისცეს.

1988 წლის 12 მარტს ნეპალში, ეროვნულ სტადიონზე, ელვისა და ძლიერი წვიმის გამო გადაჭედილ ტრიბუნებზე ატეხილი პანიკის შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა.

1989 წლის 15 აპრილს ინგლისის თასის ნახევარფინალის დროს, როდესაც ერთმანეთს „ლივერპული" და „ნოტინგემ ფორესტი" ხვდებოდნენ, უბილეთო გულშემატკივრები სტადიონზე შეცვივდნენ. ჭყლეტის შედეგად 95 ადამიანი დაიღუპა და 170-ზე მეტი მძიმედ დაშავდა.

1990 წლის 7 ივლისს, სომალიში ერთ-ერთი მატჩის დროს, ქვეყნის პრეზიდენტ მოჰამედ სიადა ბარესის პირადმა დაცვამ სროლა დაიწყო. ცეცხლი მას შემდეგ გახსნეს, რაც გულშემატკივრებმა ბოთლები პრეზიდენტის ტრიბუნასაც დაუშინეს. საბოლოოდ, 62 ადამიანი დაიღუპა და 200 დაშავდა.

1992 წლის 4 მაისს კორსიკაში, „ტურიან დე ბასტიას" სტადიონზე,

ტრიბუნის ჩამონგრევის შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა და 2177 ადამიანი მძიმედ დაშავდა.

1996 წლის 26 ოქტომბერს გვატემალის სტადიონ „მატეო ფლორესზე“ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურის მატჩის დროს, სადაც ერთმანეთს გვატემალისა და კოსტა რიკას ეროვნული ნაკრებები ხვდებოდნენ, სტადიონზე 20 000 ზედმეტი ადამიანი აღმოჩნდა. ჭყლეტის შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა. ამ ინციდენტის მიზეზიც გულშემატკივართა გადამეტებული რაოდენობა იყო.

ასე რომ, ტრაგედიების სტატისტიკა კოლოსალურია. ნათქვამია, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო, ალბათ სულ მალე ეს დევიზი ასე შეიცვლება: ფეხბურთის სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს.

## საშინელი ავიაკატასტროფა

2002 წლის 1 ივლისს გერმანიის ტერიტორიაზე ცაში ერთმანეთს შეეჯახა სამგზავრო თვითმფრინავი ტუ-124 და სატვირთო ბოინგ-760. სამგზაერო თვითმფრინავში მგზავრობდნენ 12-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც მიფრინავდნენ ესპანეთში სამოგზაუროდ. ეს ბავშვები იყვნენ ბაშკირეთის დედაქალაქ უფადან, სპეციალურად შერჩეული ნიჭიერი ფრიადოსანი მოსწავლეები. ისინი ჯერ ჩაიყვანეს მოსკოვში, შერემეტიევოს აეროდრომზე, მაგრამ შემდეგ იქიდან გადაიყვანეს დომოდედოვოს აეროდრომზე, სადაც ჩასვეს ჩარტერული რეისის მქონე ტუ-124-ში, რომლის ეკიპაჟი გადაღლილი იყო. ისინი აიძულეს დასვენების გარეშე სასწრაფოდ გაფრენილიყვნენ ესპანეთში.

ავიაკატასტროფაში მოხვედრილი მეორე თვითმფრინავი იყო სატვირთო ბოინგ-760, რომელიც გერმანიაში მოფრინავდა სპარსეთის ყურეში მდებარე არაბეთის მცირე სახელმწიფო ბაჰრეინიდან. ეს ორი თვითმფრინავი მიფრინავდა ერთ სიმაღლეზე და როდესაც ერთმანეთს მიუახლოვდნენ, კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერთი მათგანი უნდა აფრენილიყო მაღლა, მეორე კი დაბლა დაშვებულიყო. მოსალოდნელი კატასტროფა 12 წუთით ადრე რადარის ეკრანზე შენიშნა შვეიცარიის ქალაქ ციურიხის აეროდრომის მორიგე დისპეტჩერმა. მან ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟს არასწორი განკარგულება მისცა, რომელსაც ის ყვირილით იმეორებდა. ორივე თვითმფრინავის სამართავი მოწყობილობის ეკრანზე აინთო სპეციალური საგანგაშო სიგნალი, რომელიც მიუთითებდა თვითმფრინავების ფრენის სიმაღლის სასწრაფოდ შეცვლაზე. საუბედუროდ, ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟმა დაუჯერა ციურიხის აეროდრომის დისპეტჩერის არასწორ განკარგულებას, რის შედეგადაც თვითმფრინავები ერთმანეთს დაე-

ჯახა და ჩამოვარდა გერმანიის ტერიტორიაზე. ერთი მათგანი დაეცა საცხოვრებელ სახლს, რის შედეგადაც დაიღუპა 4 ადამიანი, ხოლო სახლი მთლიანად დაინგრა. კატასტროფის შედეგად დაიღუპა 60 ბავშვი და ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები.

ამ საშინელი ავიაკატასტროფის შესახებ დაღუპული ბავშვების მშობლებმა და ნათესავებმა მეორე დღეს შეიტყეს საინფორმაციო სააგენტოს ტელეგადაცემიდან. გამწარებული და დამწუხრებული მშობლები იმავე დღეს გაფრინდნენ გერმანიაში კატასტროფის ადგილზე დაღუპული შვილების გვამების სანახავად. მაგრამ ისინი გერმანიის სპეცსამსახურის მუშაკებმა არ მიუშვეს, რადგან დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნის გამო გვამები ისე იყო დასახიჩრებული, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელი იყო. დამწუხრებული მშობლები იმავე დღეს უკან დაბრუნდნენ.

ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზების, დამნაშავეთა გამოძიების და დასჯის პროცესი ძალზე გააჭიანურეს. ციურიხის აეროდრომის აეროდრომის დისპეტჩერს სამსახურიდან განთავისუფლება აკმარეს და ის მშვიდად გრძნობდა თავს სახლში.

ამ ავიაკატასტროფაში დაიღუპა მშენებელი ინჟინრის ვიტალი კალოევის მეუღლე და ორი შვილი. ეს ის კალოევია, რომელმაც გროზნოში დიდი ტაძარი ააგო. გამწარებული კალოევი წელიწადნახევარი ელოდებოდა დამნაშავის დასჯას. და მივიდა დამნაშავე დისპეტჩერის სახლში. მან დისპეჩერს მოსთხოვა ახსნა-განმარტება მომხდარი კატასტროფის შესახებ და უჩვენა დაღუპული ცოლ-შვილის და სხვა ბავშვების სურათები. დისპეჩერმა კალოევს ხელი ჰკრა, სურათები მიწაზე დაყარა და დააპირა სახლში შესვლა და კარების შიგნიდან დაკეტვა. გაოგნებულმა კალოევმა მას დაარტყა დანა შიგ გულში, რის შედეგად დამნაშავე დისპეჩერი გარდაიცვალა. ვიტალი კალოევი მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და შერაცხეს ველური ტომის წარმომადგენლად, რომელმაც შური იძია ლინჩის წესით. ამ წიგნის ავტორის და ფართო საზოგადოების აზრით ვიტალი კალოევი მოიქცა სწორედ ისე, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერებოდა.

სახელმწიფოს მეთაურების განკარგულებით, დაღუპული ბავშვებისათვის უფაში მოწყობილია ცალკე სასაფლაო. საფლავები მოპირკეთებულია შავი გრანიტით, სურათებით, წარწერებით და ყვავილების ნარგავებით.

2004 წლის 19 მაისს, ესე იგი კატასტროფიდან თითქმის 2 წლის შემდეგ, შვეიცარიის მთავრობამ განაცხადა, რომ საქმეზე წინასწარი

გამოძიება დამთავრებულია და მალე დამნაშავეები დაისჯებიან სასამართლოს მიერ. შვეიცარიის მთავრობამ აღიარა ციურიხის აეროდრომის დისპეჩერების აშკარა შეცდომები და ბოლოში მოუხადა დაღუპული ბავშვების მშობლებს და ნათესავებს.

## დირიჟაბლ „გინდერბურგის“ დაღუპვა.



1937 წლის 3 მაისის საღამოს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ცაში აუშვეს ვებერთელა დირიჟაბლი. მის გაფრენის ცერემონიალს დაესწრო დიდძალი საზოგადოება. ორკესტრმა დაუკრა მარშები და გერმანიის ჰიმნი. გახსნეს შამპანურის ბოთლები და იქუხა ტაშმა. დირიჟაბლი იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი. მას სახელად დაარქვეს მაშინდელი გერმანიის რეიხ-პრეზიდენტის ცერემონიალის „გინდერბურგის“ სახელი. ის დატენილ იყო წყალბადის გაზით. დირიჟაბლი ავიდა მაღლა 100 მეტრის სიმაღლეზე, შემდეგ ჩართეს ოთხი დიზელის ძრავა და მან გააგრძელა ფრენა ნიუ-ორკისკენ. მასზე იმყოფებოდა 55 ადამიანი. დირიჟაბლს ჰქონდა კომფორტაბელური კაიუტები, პირველი კლასის სამზარეულო, რესტორანი, დასვენების და გარემოს დასათვალიერებელი ოთახები. მგზავრებს წინ ჰქონდათ საკვირველი სანახაობა – 130-150 მეტრიდან მათ უნდა დაენახათ ევროპის ქალაქები, შემდეგ ატლანტიკის ოკეანე, მერე ბოსტონი და ბოლოს ნიუ-იორკი. ეკიპაჟის მეთაური იყო მაქს პრუსტი.

გადაფრენის მე-3 დღეს დირიჟაბლი გამოჩნდა ნიუ-იორკის თავზე. კაპიტანმა მოუკლო სიმაღლეს, მან ცათამბჯენებს გადაუფრინა ახლო მანძილიდან. ბროდვეის და სხვა ქუჩებიდან ადამიანები გაკვირვებულები იყურებოდნენ მაღლა და მხიარულად ესალმებოდნენ გერმანელ საოცრებას. კაპიტანმა „გინდერბურგი“ წაიყვანა დასაჯდომი ადგილისაკენ. აქ ლეიკხერსტში ასობით ნათესავი და ახლობელი ელოდებოდნენ ევროპელებს. მაგრამ ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა და ჭექა-ქუხილმა შეაყოვნა დირიჟაბლის დაჯდომა. თითქმის ერთი საათის მანძილზე დირიჟაბლი დაფრინავდა ირგვლივ და ბოლოს როგორც იქნა ის გაემართა მიმღები კოშკისაკენ. უკვე ჩამოუშვეს ბაგირები, მიწის პირამდე დარჩა 20 მეტრი. უეცრად მოხდა დაუჯერებელი რამ. თავდაპირველად გაისმა ყრუ აფეთქება, შემდეგ გამოჩნდა

ცეცხლის ალი, რომელიც რამდენიმე წამში მოედო მთელ დირიჟაბლს. შემდეგ დირიჟაბლი გაშლილი დაენარცხა მიწაზე. ეს მოხდა მოულოდნელად და სწრაფად. თავდაპირველად ადამიანები დაიბნენ, შემდეგ კი შეიქმნა არეულობა და, იქ მყოფნი გაიქცა აქეთ-იქით. 4 წუთის შემდეგ „გინდენბურგს" მთლიანად წაეკიდა ცეცხლი.

სასწრაფოდ მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანები და მეხანძრეები. ცეცხლის ალი ცაში ადიოდა 150 მეტრზე. 97 მგზავრიდან დაღუპეას გადაურჩა 62 ადამიანი.

დირიჟაბლის კატასტროფის მიზეზად ჩათვალეს წყალბადის აალება. მის ნაცვლად რომ გამოეყენებინათ ჰელიუმი, მაშინ უბედურება არ მოხდებოდა. მაგრამ 1972 წელს გამოთქვეს აზრი, რომ დირიჟაბლი ააფეთქა დივერსანტმა. კერძოდ ეკიპაჟის წევრმა ერიკ სპელმა ჩადო ფოსფორის ბომბი, რომლის აფეთქებამაც გამოიწვია კატასტროფა, რამაც შეარყია მთელი სამყარო. ერიკ სპელი გულგატეხილი იყო ჰიტლერული რეჟიმისაგან.

● 2000 წლის იანვარში დიდ ბრიტანეთში (+შაპი) რკინიგზის ხიდს დაეჯახა თვითმფრინავი „ხოუკ"-ი. 2 მფრინავმა ვერ მოასწრეს კატაპულტირება და ცოცხლად დაიწვნენ. საწვავის ავზების აფეთქების მომენტში. თვითმფრინავის ცეცხლმოდებული ნამსხვრევები მოხვდა გზატკეცილზე მიმავალ ავტომანქანას, რის შედეგად მძღოლმა მიიღო დამწვრობა და ჭრილობები.

● 2000 წლის 31 იანვარს აფრიკის სახელმწიფო კოტ-დივუარის დედაქალაქ იამუსუკროდან აფრინა სამგზავრო თვითმფრინავი A-310, რომლის ბორტზე იმყოფებოდა 199 მგზავრი და 10 ეკიპაჟის წევრი. აეროდრომზე აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ სანაპიროსთან ახლოს, თვითმფრინავი ჩავარდა ატლანტიკის ოკეანეში. თვითმხილველების გადმოცემით, თვითმფრინავის ძრავიდან გამოდიოდა ცეცხლის ალი. სასწაულად გადარჩა ცოცხალი მხოლოდ 10 ადამიანი, რომლებიც მაშველმა გამოიყვანა ნაპირზე.

● 2000 წლის 1 თებერვალს მექსიკის ყურის სანაპიროდან აფრენილი თვითმფრინავი, რომელიც მიფრინავდა სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჟელესთან ახლოს 5 კმ. სიმაღლიდან ჩავარდა ოკეანეში, დაიღუპა თვითმფრინავის ბორტზე მყოფი 88 მგზავრი და ეკიპაჟის 5 წევრი.



● ირანის დედაქალაქის თეირანის აეროპორტში 2000 წლის 15 თებერვალს, ირანის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავი „ჰერკულეს-130" გამოუცნობის ტექნიკური გაუმართაობის გამო აეროდრომის ასაფრენ ზოლზე დაეჯახა სხვა თვითმფრინავს, რომელიც ბუქსირით მიჰყავდა საწევარს. დაჯახების შედეგად ორივე თვითმფრინავს გაუჩნდა ხანძარი და დაიწვა. დაიღუპა ირანის 10 სამხედრო მოსამსახურე, საწევარის მძღოლმა კი მიიღო სერიოზული ჭრილობები.

## ვერტმფრენების შეჯახება

რუსეთის ნახევარკუნძულ სახალინზე მთავარსარდლობა ატარებდა სამხედრო სასწავლო მანევრებს. 2003 წლის 25 აგვისტოს ერთმანეთს შეეჯახა 2 შვეულმფრენი, რის შედეგად ორივე ჩამოვარდა დედამიწაზე და მათში მყოფი 20 ადამიანი დაიღუპა. კატასტროფის ადგილზე გაფრინდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, რომელიც ქალაქ იუჟნი სახალინსკში შეხვდა დაღუპულთა ახლო ნათესავებს და მიუსამძიმრა მათ. ვლადიმირ პუტინმა სასტიკად გაკიცხა სამხედრო მეთაურები და მოითხოვა კატასტროფის მიზეზების ობიექტური სასწრაფო გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

## „კონკორდის" კატასტროფა

1970-იან წლებში საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციაში გამოჩნდა „კონკორდის" ზეჩქარი თვითმფრინავები. „კონკორდი" მრავალი წლის მანძილზე ითვლებოდა საფრანგეთის სიამაყედ. თუ ჩვეულებრივი თვითმფრინავი პარიზიდან ნიუ-იორკამდე ფრენას ანდომებდა 8 საათს, „კონკორდი" 3,5 საათში ფარავდა ამ მანძილს. პარიზის აეროპორტ „ორლში" ამ თვითმფრინავის მგზავრებისთვის გამოყოფილია ცალკე სექცია, სადაც არ უშვებენ სხვა თვითმფრინავის მგზავრებს. „კონკორდი" საათში ავითარებს 2200 კილომეტრს. ის მიფრინავს 18000 მეტრის სიმაღლეზე, თვითმფრინავი მოწყობილია უმაღლეს დონის სერვისით. ბილეთის ღირებულება პარიზიდან ნიუ-იორკამდე და უკან ღირს 8 000 დოლარი, მაგრამ მიუხედავად სიძვირისა, სალონში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის ხოლმე, რადგან „კონკორდის" ძირი-

თადი მგზავრები არიან ისეთი ადამიანები, რომელთათვის დრო დიდი ფულია. ესენი არიან ცნობილი ბიზნესმენები, მსახიობები, სუპერმოდელები – კერძოდ, როგორებიც არიან: რიჩარდ გირი, კლაუდია შიფერი, მაიკლ დუგლასი და სხვები. „კონკორდით“ ხშირად დაფრინავდა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი.

2000 წლის 25 ივლისს პარიზიდან გერმანიისაკენ გაფრინდა „კონკორდის“ ტიპის თვითმფრინავი, რომლის ბორტზე იმყოფებოდა ეკიპაჟის 9 წევრი და 112 მგზავრი, რომელთა შორის უმრავლესობა იყო გერმანიის მოქალაქე შარლ დე გოლის სახელობის აეროდრომის ასაფრენ ზოლზე ცეცხლი გაუჩნდა თვითმფრინავის ბორბალს, შემდეგ კი ცეცხლი მოედო ძრავას. ეს შენიშნეს მფრინავებმა და თვითმფრინავი მოაბრუნეს უკან, აეროდრომზე დასაჯდომად, მაგრამ პარიზიდან 7 კილომეტრის დაშორებით, თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაეცა სასტუმროს სახურავზე. დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი ყველა ადამიანი და სასტუმროს 4 მუშაკი. მესანძრეები 3 საათის მანძილზე აქრობდნენ ცეცხლს.

ეს იყო „კონკორდის“ ტიპის თვითმფრინავის პირველი კატასტროფა 30 წლის მანძილზე.

## ავიაკატასტროფა სპარსეთის ყურეში

2000 წლის 23 აგვისტოს კაიროს აეროდრომიდან ბაჰრეინის დედაქალაქისაკენ გაფრინდა ა-320 ტიპის თვითმფრინავი, რომლის ბორტზე იმყოფებოდა 135 მგზავრი და ეკიპაჟის 8 წევრი. ბაჰრეინის დედაქალაქ მანაგაში თვითმფრინავი შეეცადა აეროდრომზე დაჯდომას, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და სპარსეთის ყურეში ჩავარდა. ქვეყანაში 3-დღიანი გლოვა გამოცხადდა. ავიაკომპანია „გალფ ეარი“ კატასტროფის დროს დაღუპულთა ოჯახებს დაჰპირდა 25000 დოლარის კომპენსაციას. გარკვეული თანხა ამერიკის საელჩომაც გაიღო. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თვითმფრინავის ძრავას გაუჩნდა ხანძარი. გარდაცვლილთა ნათესავები გვამების ამოსაცნობად მანაგაში ჩავიდნენ. დაღუპულთა უმრავლესობა ბავშვები იყვნენ, ისინი არდადეგებიდან ბრუნდებოდნენ. მომხდარ კატასტროფას ზოგიერთი ექსპერტი კომპიუტერული სისტემის შეცდომას უკავშირებს.

## ილ-18-ის კატასტროფა ბათუმთან ახლოს

2000 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამგზავრო თვითმფრინამა ილ-18-მა ბათუმის აეროპორტში დაჯდომამდე განიცადა ავიაკატასტროფა. თვითმფრინავი დაეჯახა

მტირალას მთას, აფეთქდა, ეკიპაჟის ყველა წევრი და მგზავრი დაიღუპა, სულ 84 ადამიანი. ამ ტრაგედიამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. სხვადასხვა სამსახურებმა ჩაატარეს მოხდენილი კატასტროფის გამოძიება. როგორც ცნობილი გახდა, მოსკოვი-ბათუმის რეისით მოფრინაედნენ რუსეთის სამხედრო ნაწილის მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები. როგორც დისპეტჩერის დაკითხვისას გაირკვა, დაახლოებით 18 საათსა და 18 წუთზე ეკიპაჟი დაუკავშირდა ბათუმის აეროპორტის სადისპეტჩეროს და სთხოვა დაჯდომის ნებართვა. თვითმფრინავის ეკიპაჟმა დაჯდომის ნებართვა მიიღო, რის შემდეგაც კავშირი გაწყდა, დისპეტჩერმა თვითმფრინავი მხედველობიდან დაკარგა. როგორც ჩანს, ალბათ, თვითფმრინავმა შეცვალა ფრენის კურსი და 15 კილომეტრით გასცდა აეროდრომს, შეეჯახა მტირალას მთას და აფეთქდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სამხედროების გარდა თვითმფრინავში იმყოფებოდა საქართველოს 11 მოქალაქე. დაღუპულთა შორის არიან ოჯახებით: 6 ორსულიანი ოჯახი, 5 სამსულიანი, ასევე იყვნენ ბავშვებიც. თუ რამ გამოიწვია კავშირის შეწყვეტა ვერ დადგინდა. შავი ყუთი დაზიანებული აღმოჩნდა. ერთი ვერსიით შეცდომა დაუშვა დისპეტჩერმა. მეორე ვერსიით კი შეცდომა ეკიპაჟმა დაუშვა. არ არის გამორიცხული, რომ თვითფმრინავი გადატვირთული იყო. თვითმხილველი ორი მოწმის განმარტებით, ისინი შემთხვევის ადგილთან ახლოს, ტყეში შეშას აგროვებდნენ, გაიგონეს თვითმფრინავის ხმა და დაინახეს, თუ როგორ შეეჯახა თვითმფრინავი მთას, რის შემდეგაც მოხდა აფეთქება.

შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს სხეულის ნაწილები. გამოიცნეს მხოლოდ 12 გვამი. ისინი დანაწევრებული იყო. ყველა გვამის ნაწილი გადაიტანეს ქალაქ როსტოვში. ეკიპაჟის გვამებს ჩაუტარეს ექსპერტიზა, სასმელის ან ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენის მიზნით.

მტირალას მთაზე ავიაკატასტროფა უწინაც მოხდა, ერთი 50-იან წლებში, მეორე — 1975 წელს.

# 5. დაღუპული კოსმონავტები

## ცაში აფეთქებული „ჩელენჯერი“



1986 წლის 28 იანვარს 9 საათსა და 38 წუთზე ფლორიდის შტატის კონცხი კანავერალიდან, კოსმოსში უნდა გაფრენილიყო ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერი“, რომლის ბორტზე იმყოფებოდა 7 კოსმონავტი (2 ქალი და 5 კაცი). მაგრამ სტარტი მოულოდნელად გადაიტანეს შუადღისათვის, აღმოჩენილი მცირე მოუწესრიგებლობის გამო ჩამკეტი ლიუკების ჰერმეტულობაში.

საპატიო სტუმრებს შორის სტარტს ესწრებოდა პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და მისი მეუღლე ნენსი. დადგა სტარტის მომენტი, გაისმა ძრავების ხმაური„ „ჩელენჯერის“ საქშენებიდან გამოვარდა კაშკაშა ალი, ის მოწყდა სასტარტო მოედანს და აფრინდა ცაში. ასობით მაყურებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ხომალდის ფრენას, რომელიც ცაში 17 კილომეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა. სტარტმა უვნებლად ჩაიარა. მაგრამ ფრენის 73-ე სეკუნდზე ცაში აბრიალდა ყვითელი კაშკაშა ალი. „ჩელენჯერის“ კორპუსი ალმოდებულ ღრუბლად გადაიქცა, ხომალდი აფეთქდა ასობით მაყურებლის თვალწინ. წყალბადის და ჟანგბადის 700 ტონა ხომალდის საწვავი 7 კოსმონავტთან ერთად დაიწვა ატმოსფეროში.

ეს იყო უდიდესი ტრაგედია. იმ მომენტში სტარტის მაყურებლებმა, მათ შორის პრეზიდენტმა რეიგანმაც დაკარგა მეტყველების უნარი. ყველა შოკში ჩავარდა. ციდან კი ცვიოდა „ჩელენჯერის“ გავარვარებული ნაწილები. სახელმწიფო მიერ გამოყოფილმა ექსპერტებმა კატასტროფის გამომწვევი მიზეზი ვერ დაადგინა. მათი უმრავლესობის ვერსია იყო ის, რომ აფეთქება შეიძლება მომხდარიყო, მყარი საწვავის პირველი საფეხურის ამაჩქარებლის დაზიანებისაგან, ხოლო შემდეგ ჯაჭვისებურად აფეთქდა საწვავის ავზებიც.

## კოსმონავტი კამაროვის დაღუპვა

კერიმ ალის ძე კერიმოვი საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო კოსმოსური კომპლექსების გამოცდის და ექსპლოატაციაში ჩაბარების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. ის იყო კონსტრუქტორ კოროლიოვის თანამშრომელი. მან სახელი გაითქვა მას შემდეგ, რაც გაამჟღავნა კოსმონავტ კამაროვის დაღუპვის საიდუმლოება:

კამაროვმა ორი ბრუნი რომ გააკეთა კოსმოსში, მიწაზე უკვე იცოდნენ, რომ ხომალდი კამაროვს არ ემორჩილებოდა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ ამ ხომალდის გამოცდის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ასევე გადაიდო მეორე ხომალდის გაშვება, რომელიც უნდა შეპირაპირებულიყო კომაროვის ხომალდთან. მას უბრძანეს მიწაზე დაჯდომა. ხომალდი გადავიდა მიწაზე დასაჯდომ ტრაექტორიაზე, მაგრამ დაშვებისას პარაშუტი არ გაიხსნა. რატომ მოხდა ეს, როცა იყო ორი პარაშუტი, ძირითადი და სათადარიგო? ძირითადი პარაშუტი არ გამოვიდა მეტალის კონტეინერიდან. პროექტის მიხედვით, როცა ლიუკის სახურავი აისდება პიროტექნიკით, გამოსაწევი პარაშუტი იწყებს დიდი პარაშუტის გამოწევას. მაგრამ ეს არ მოხდა. მაშინ ავტომატიკამ ჩართო სათადარიგო პარაშუტი. სათადარიგო გამოვიდა თავის კონტეინერიდან, მაგრამ მას დაეხლართა სტროპები. ამის შედეგად ხომალდი სოლივით ჩაერჭო მიწაში და კოსმონავტი კამაროვი დაიღუპა მიწაზე. რბილი დაჯდომის ძრავამ ვერ შეძლო ასეთი ჩქარი დაშვების შენელება.

კატასტროფის შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ კონტეინერის შიგნითა ზედაპირი იყო გაკეთებული ტექნოლოგიის დარღვევით. ის არ იყო სრიალა, არამედ ხორკლიანი, რის გამოც გამომწევ პარაშუტს არ ეყო ძალა გამოეწია გარეთ ძირითადი პარაშუტი. ხოლო რატომ გადაიგრიხა სტროპები, ამის გამართლება არ შეიძლება.

მიწაზე დაცემისას დასაშვები აპარატი გასკდა. შიგნით გაჩნდა ხანძარი, ცეცხლი მიწით ჩააქრეს და აღმოაჩინეს კოსმონავტის ნეშტი.

## უცნობი ტრაგედია კოსმოსში

საბჭოთა კავშირის კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი“, რომლის ბორტზე იმყოფებოდნენ კოსმონავტები ვიქტორ პაცაევი, გიორგი დობროვოლსკი და ვლადისლავ ვოლკოვი 1971 წელს გაფრინდა კოსმოსში. მათ კოსმოსში დაჰყვეს მთელი ერთი თვე, ორბიტაზე მყოფ პირველ სადგურ „სალიუტში“. დედამიწაზე დაბრუნების პროცესმა ჩაიარა ნორმალურად. კოსმოსური ხომალდი დაჯდა მიწაზე, მაგრამ როდესაც გაალეს ლიუკი, კოსმონავტების სხეული ჯერ კიდევ თბილი



იყო. მაგრამ სამივე კოსმონავტი მკვდარი იყო. მათ მოუვიდათ კესონური ტრავმა — გაუსკდათ ყველა სისხლძარღვეი, იმიტომ რომ ხომალდმა ვადაზე ადრე დაჰკარგა ჰერმეტიზაცია უჰაერო სივრცეში.

როდესაც ხომალდი ატმოსფეროს მკვრივ ფენაში შედის, ავტომატურად გაიღება ვენტილაციის სარქველი და კოსმონავტები იწყებენ მიწის ჰაერის სუნთქვას. მაგრამ 5 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე სარქველი ჯერ კიდევ სიცარიელეში გაიღო, ვადაზე ადრე. მაგნიტოფონის ჩანაწერებით დადგინდა, რომ ხომალდის მეთაური დობროვოლსკი შეეცადა დაეკეტა ეს ხვრელი, რადგან ჰაერი ხომალდიდან სტვენით გადიოდა სიცარიელეში, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ხელი შეუშალა უსაფრთხოების ქამარმა და დეკორატიულმა ასაკრავმა.

ერთ თვეზე მეტი გრძელდებოდა გამოძიება იმისა, თუ რატომ გაიღო სარქველი ვადაზე ადრე. სარქველის ავტორები დაისაჯნენ მხოლოდ ადმინისტრაციული წესით. საბჭოთა მთავრობა მრავალი წლის მანძილზე მალავდა ამ უბედურებას. ხვრელი ხელით ან რაიმე ნივთით რომ დაეხშოთ, კოსმონავტები გადარჩებოდნენ.

## იური გაგარინის დაღუპვა



იური გაგარინი იყო ლეგენდარული პიროვნება, იმიტომ რომ ის იყო პირველი კოსმონავტი მფრინავი მთელ მსოფლიოში, რომელმაც შეასრულა პირველი გაფრენა კოსმოსში. მან თავისი სიცოცხლე წინასწარ შეწირა, რადგან ხომალდი შეიძლება აღარ დაბრუნებულიყო მიწაზე. ის სარგებლობდა დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით მთელი დედამიწის მოსახლეობაში. ხელისუფლებას ის ხელის გულზე უნდა ეტარებინა ღრმა მოხუცებულობამდე, მაგრამ 7 წლის შემდეგ ის ჩასვეს ძველ გაუმართავ თვითმფრინავში და მისცეს უაზრო, არაფრის მომტანი დავალება, რომლის შესრულებისას იური გაგარინი დაიღუპა. მისი

დაღუპვის ნამდვილი მიზეზი დღევანდელ დღემდე არავინ იცის. მთავრობას არ აწყობდა მიზეზის დადგენა. მისი სიკვდილი იყო მძიმე დანაკლისი მთელი მსოფლიოსათვის. ის ნამდვილი გმირი იყო. მის შემდეგ გაფრენილი კოსმონავტები (ავტორის აზრით), აღარ იმსახურებენ გმირობას. რადგან გაგარინმა უკვე დაამტკიცა, რომ კოსმოსური ხომალდით ადამიანს შეუძლია გაფრინდეს კოსმოსში და უვნებელი დაბრუნდეს დედამიწაზე. ყველა დანარჩენი კი ტექნიკის საქმეა და არა ადამიანის გმირული სულისკვეთების.

ყველაფერი მშვენივრად დაიწყო... 1961 წლის 12 აპრილს მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ საბჭოთა კავშირმა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაუშვა კოსმოსური ხომალდი, რომლის ბორტზეც იყო ადამიანი. ეს იყო იური გაგარინი. მან განავითარა იმ დროისათვის არნახული სიჩქარე 28 ათასი კმ საათში. დედამიწას შემოუარა 302 კილომეტრის სიმაღლეზე და უწონობაში დაჰყო 108 წუთი. ეს იყო გაუგონარი სენსაცია. რუსეთმა აჯობა ამერიკას. კოსმოსში პირველად გაფრინდა რუსი ადამიანი. გაგარინი წარმოშობით იყო ქალაქ გჟატსკიდან. მან ჩაიდინა გმირობა მეცნიერების განვითარებისათვის და მთელი კაცობრიობისათვის. ის გახდა მშვიდობის და გმირობის სიმბოლო.

იური გაგარინი მოიწვია მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ. მას შეხვედრები და ბანკეტები მოუწყეს პრეზიდენტებმა, დიპლომატებმა, პარლამენტარებმა, პოლიტიკოსებმა. მას ხალხი უყურებდა როგორც სასწაულს. მას ისეთი მომხიბლავი ღიმილი ჰქონდა, რომ ყველას უნდოდა მისი სიცოცხლე.

მაგრამ 7 წლის შემდეგ შეაშფოთა სხვა სამგლოვიარო ცნობამ, რომ ვლადიმირის ოლქში სოფელ ნოვოსელოვოსთან საწვრთნელი ფრენის დროს საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი.

მისი დაღუპვის შესახებ მრავალი ვერსია გავრცელდა. ზოგი თვლიდა, რომ ეს იყო სპეციალურად მოწყობილი, სხვები ამბობდნენ, რომ პირველ კოსმონავტს ვერ მოუარეს, სპეციალურად შეიტყუეს ხაფანგში, ვინაიდან მისი საყოველთაო დიდება აღიზიანებდა ქვეყნის მთავრობას. ზოგან გამოთქვეს ვერსია, რომ ეს იყო მისი მოშურნეების შეთქმულება, რომლებმაც მას შეაპარეს გაუმართავი თვითმფრინავი. გამოთქვამდნენ აზრს, რომ ეს იყო მტრებისგან მოწყობილი დივერსია.

ხმები ვრცელდებოდა, მაგრამ საბჭოთა მთავრობა მალავდა იური გაგარინის დაღუპვის ნამდვილ მიზეზს. მაგრამ საქმეში ჩაერია დასავლეთ ევროპის ქვეყნები, გამოყოფილ იქნა მრავალი კომისია და მოითხოვდნენ ჭეშმარიტების დადგენას. ბოლოს შეჩერდნენ ერთ ვერსიაზე, რომ

გაგარინს არ უფრენია 7 წლის მანძილზე დამოუკიდებლად, ის კი მოითხოვდა კვლავ კოსმოსში გაფრენას. მას ურჩიეს ჯერ ეფრინა მიგ-15 ტიპის თვითმფრინავზე, რომელიც უკვე მოძველებული იყო, შეიარაღებაში მიღებული იყო 1950 წელს. ასეთ თვითმფრინავებს იყენებდნენ ვარჯიშისთვის. ის დიდი ხნის წინ შეცვალა მიგ-21-მა.

გაგარინთან ერთად თვითმფრინავში ჩასვეს გამოცდილი და ხანგრძლივი ფრენის სტაჟის მქონე სერეგინი, რომელიც დანიშნეს ფრენის მეთაურად. მას უნდა შეემოწმებინა გაგარინი საქმეში და მოეხსენებინა ხელმძღვანელობისთვის მისი მზადყოფნის შესახებ. თვითმფრინავს უნდა ეფრინა 200 კილომეტრი და შემდეგ დაბრუნებულიყო აეროდრომზე.

10 საათსა და 19 წუთზე მიცემული იქნა სტარტი. თვითმფრინავი გაქანდა, აფრინდა ცაში და ჰორიზონტიდან მიიმალა. დისპეტჩერების შეკითხვაზე თვითმფრინავმა არ უპასუხა. დადგენილ დროში თვითმფრინავი არ დაბრუნდა. საწვავის ხარჯვის დრო ამოიწურა და სპეციალისტები მიხვდნენ, რომ მოხდა უბედური შემთხვევა. სასწრაფოდ გაფრინდა შვეულმფრენი საძებრად. აეროდრომიდან 64 კილომეტრის დაშორებით მათ აღმოაჩინეს დამსხვრეული თვითმფრინავის ნაწილები და მისი დაცემის ადგილი.

სახელმწიფო კომისიამ დაადგინა, რომ გაუმართავი იყო სიმაღლის მაჩვენებელი ხელსაწყო. მაგრამ ეს არ არის გამამართლებელი დასკვნა, ვინაიდან მფრინავებს შეეძლოთ თვალის ხედვით განესაზღვრათ მანძილი დედამიწის ზედაპირამდე, ანდა შეეძლოთ კატაპულტით გადმოხტომაც. თუ გაგარინმა დაუშვა შეცდომა სერეგინი ხომ იყო გამოცდილი, ჯერ კიდევ სამამულო ომში მას ჰქონდა 200 საბრძოლო გაფრენა, ის იყო პირველი კლასის მფრინავი. საქმე დახურეს და გამოძიება ბოლომდე არ მიიყვანეს, ალბათ ასე აწყობდა მაშინდელ მთავრობას.

წიგნის ავტორი გამოთქვამს თავის ვერსიას, რომელიც მისი აზრით სინამდვილესთან არის ყველაზე ახლოს: „ორივე მფრინავი მთვრალი იყო და იმიტომ მოახდინეს კატასტროფა. ამის გამხელა კი არ აწყობდა მთავრობას.

იური გაგარინი მთავრობას საცხოვრებლად უნდა გადმოეყვანა მოსკოვში და თვითმფრინავის ან კოსმოსური ხომალდის საჭესთან აღარ უნდა დაესვა. მაგრამ ის დატოვეს საცხოვრებლად კოსმონავტების საცხოვრებელ სპეციალურ დასახლებაში, სადაც ის სხვებთან ერთად გალოთდა. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა და მთავრობის წევრებიც ლოთები არია, ლოთობა არის რუსეთის საერთო ტრაგედია.

# 6. კატასტროფები კოსმოდრომზე

**ნიკიტა ხრუშჩოვის უეცრობით აფეთქებული კოსმოდრომი**

საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი ჩქარობდა პირველი საბჭოთა კონტინენტთაშორისო რაკეტის კოსმოსში გაშვებას. საქმის დასაჩქარებლად მან „ტიურა-ტამის" კოსმოდრომზე, რომელსაც შემდეგ დაარქვეს „ბაიკონური", გააგზავნა სარაკეტო ჯარების მთავარსარდალი მარშალი მიტროფან ნედელინი. ხრუშჩოვი ცდილობდა, რომ არ ჩამორჩენილიყო ამერიკის შეერთებულ შტატებს.

რაკეტის გასაშვები პოლიგონის უფროსი იყო გენერალი გერჩიკი. მან სთხოვა მარშალ ნედელინს, რაკეტის გაწყობის ოპერაციებისა და მისი საწვავით შევსების პროცესისთვის ეცქირა სპეციალური ბუნკერიდან. მაგრამ მარშალმა არ დაუჯერა და მოსამზადებელ სამუშაოებს უცქერდა 10 მეტრის მანძილიდან. ეს მოხდა 1960 წლის 23 ოქტომბერს კვირა დღეს. რაკეტის საწვავით შევსება არის ყველაზე საშიში ოპერაცია, რადგან 160 ტონა მწვავე დამყანგავი სითხე, მზად არის სწრაფად აალდეს მხამიან საწვავთან შეერთებისთანავე. გენერალმა გერჩიკმა იცოდა, რომ ინსტრუქციის მიხედვით რაკეტის საწვავით შევსების პროცესში სასტარტო მოედანზე უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ ჩამსხმელები. სტარტის უფროსმა, წოდებით პოლკოვნიკმა, ასევე სთხოვა მარშალს, წასულიყო ბუნკერში, მაგრამ ის ელაპარაკებოდა რაკეტის (P-16) მთავარ კონსტრუქტორს მიხეილ იანგელს და მას ყურადღება არ მიაქცია.

ამ დროს აღმოჩნდა გაუმართაობა ძრავების ელექტროსქემაში. საჭირო შეიქნა ჩასხმული საწვავის უკან ჩამოსხმა და აეზების დემაქტივიზაცია. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული სარჩილავი სამუშაოების ჩატარება. მაგრამ მარშალს ხრუშჩოვი აჩქარებდა და მან ნება დართო ელექტრიკოსებს სამუშაოები ეწარმოებინათ პარალელურად სხვებთან ერთად. სანამ ელექტრო სქემას გადააკეთებდნენ, დაღამდა. მუშები დაღლილები იყვნენ, რადგან შესვენების გარეშე შრომობდნენ რამდენიმე კვირას. მარშალმა აიღო ტელეფონის ყურმილი და მოითხოვა ნიკიტა ხრუშჩოვთან დაკავშირება. მან ხრუშჩოვს მოახსენა, რომ აღმოჩნდა ზოგიერთი გაუმართაობა, მაგრამ მოკლე დროში გამოასწორებენ დეფექტებს.

კოსმოდრომი დაემგვანა ჭიანჭველების დანგრეულ ბუდეს. 150ზე მეტი ადამიანი ენერგიულად და სწრაფად მუშაობდა 114 მეტრი სიმაღლის რაკეტის ირგვლივ. თითქმის ყველა სამუშაოები დამთავრდა,

მაგრამ არავის მოაგონდა, რომ ყველაფრის შემოწმების შემდეგ ელექტროდენის გამანაწილებელი უნდა გადაყვანილ იქნას „ნოლზე“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ელსადენების მიერთება პიროპატრონებზე. მუშები არავის შეეკითხნენ, ისე მიაერთეს გამომრთველები პიროპატრონებზე. უეცრად გაისმა მჭახე ხმა და ცეცხლი გაუჩნდა პირველი საფეხურის საწვავის ავზებს. ერთმანეთში არეულმა საწვავის და აზოტის მჟავამ სწრაფად იფეთქა. მარშალი და მისი თანმხლებიპირები დაიღუპნენ უეცრად, მათ ტკივილიც კი ვერ იგრძნეს. ცეცხლი მოედო მთელ სასტარტო მოედანს. ალუმინის ცრემლებით დნებოდა რაკეტის კორპუსი. რაკეტის კედლებიდან ჩამოცვენილი ადამიანებიჰაერშივე იწვებოდნენ. ქვევით მიწაზე მყოფი ადამიანების ჯგუფი გაიქცნენ აქეთ-იქით, მაგრამ სასტარტო მოედანი შემოღობილი იყო ეკლიანი მავთულის ღობით, ეიჩაიდან ეს ადგილი იყო განსაკუთრებით გასაიდუმლოებული. ეკლიან მავთულის ღობეზე შეხებულ ადამიანებს მაშინვე უჩნდებოდა ცეცხლის ალი და იღუპებოდნენ.

150 ადამიანისგან დარჩა მხოლოდ ნახშირი და დამწვარი ხორცის ნაჭრები. დაღუპული ადამიანები დამარხეს ჩუმად, ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე. ნათესავებს გაუგზავნეს შეტყობინება, რომ ვითომ დაიღუპნენ სამხედრო ვალის მოხდის დროს. მოსკოვის კრემლის კედელში მოთავსებული მარშალი ნედელინის ურნაში ჩადებული იყო მხოლოდ მისი ნახევრადდამწვარი სამხრეული და სამსახურის სეიფის გამღნარი გასაღები.

ნიკიტა ხრუშჩოვმა ეს კატასტროფა დამალა. ხოლო მარშალის შესახებ მთავრობამ გამოაცხადა, რომ ის ვითომ დაიღუპა საავიაციო კატასტროფაში. სასტარტო პოლიგონის უფროსი გენერალი გერჩიკი გადარჩა ცოცხალი, მაგრამ მიიღო ძლიერი დამწერობა.

## ბრაზილიის კოსმოსური წარუმატებლობა

ბრაზილიის მთავრობა აჰყვა წამყვანი სახელმწიფოების ფეხის ხმას და შეუდგა ფულის ხარჯვას კოსმოსის ასათვისებლად. უპილოტო კოსმოსური რაკეტების ასაგებად ბრაზილიამ 3 წელიწადში დახარჯა 3 მილიარდ დოლარზე მეტი თანხა. 1997 და 1999 წლებში ბრაზილიელების მიერ კოსმოსში გაშვებული 2 უპილოტო რაკეტა ჰაერში აფეთქდა და ჩამოვარდა, გაშვებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ. 2003 წლის 23 აგვისტოს ბრაზილიელები კვლავ შეეცადნენ კოსმოსში უპილოტო რაკეტის გაშვებას, მაგრამ ოთხიდან ერთ-ერთ ძრავს გაუჩნდა ხანძარი, რამაც გამოიწვია დანარჩენი ძრავების მწყობრიდან გამოსვლა და რაკეტის აფეთქება კოსმოდრომზე. ამ მესამე კოსმოსური

რაკეტის აგება სახელმწიფოს დაუჯდა 65 მილიონი ამერიკული დოლარი. აფეთქების შედეგად მაშინვე დაიღუპა 21 ადამიანი.

## „კოლუმბიის“ აფეთქება

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2003 წლის დასაწყისში კოსმოსში გაუშვა ხომალდი „კოლუმბია“. დედამიწაზე დაფრენამდე 12 წუთით ადრე კოსმოსური ხომალდი ჰაერში აფეთქდა 2003 წლის 1 თებერვალს და მისი ნამსხვრევები ჩამოყარდა ტეხასის შტატში.

კოსმოსურ ხომალდში იმყოფებოდა 7 კოსმონავტი აშშ-ის მთავრობამ დანიშნა სპეციალური კომისია ,კატასტროფის გამომწვევი მიზეზების დასადგენად.300-ზე მეტი ადამიანი ტეხასის შტატის ტერიტორიაზე ეძებდა კოსმონავტების სხეულის ნაწილებს და კოსმოსური ხომალდის ნამსხვრევებს. შეგროვილი ნამსხვრევების გამოკვლევის შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ როდესაც კოსმოსური ხომალდი დიდი სიჩქარით შევიდა დედამიწის ატმოსფეროს სქელ ფენებში, მეტისმეტად გახურდა ხომალდის გარეთა გარსი. ხომალდის ფრთებზე გაჩნდა ხანძარი, რომელმაც შეაღწია ხომალდის შიგნით, ხანძარმა გამოიწვია აფეთქება, რის შედეგად ნაფლეთებად გადაქცეული ხომალდის დეტალები და დაღუპული კოსმონავტების სხეულის ნაწილები მიწაზე ჩამოცვივდა.

## ბაიკონურის კოსმოდრომის ავარიები

საბჭოთა კავშირის კოსმოსური რაკეტების და ხომალდების გენერალური კონსტრუქტორი სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი, ვითომ მავნებლობისთვის 1938 წლის 27 სექტემბერს დააპატიმრეს 10 წლით და გადაასახლეს კოლიმაზე. ს. კოროლიოვი ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას, უგზავნიდა წერილებს ი. სტალინს და ლ. ბერიას. ორი წლის შემდეგ მას შეუმსუბუქეს სასჯელი და გადაიყვანეს НКВД-ს განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში, სადაც მუშაობდა განუწყვეტელი თვალყურის და ზედამხედველობის ქვეშ. პატიმრობაში ის სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. ერთხელ ბადრაგის დაუდევრობის გამო, მან დააგვიანა თბომავალ „ინდიგირკაზე“, რომელსაც გადაჰყავდა პატიმრები ნაგაევოს ზღვის უბიდან ვლადივოსტოკში. და მასზე მყოფი ყველა ადამიანი დაიხრჩო.

მკითხველისთვის ასევე საინტერესოა სხვა ამბავიც, კერძოდ 1990 წელს უნგრელმა მწერალმა იშტვან ნემერიმ გამოსცა წიგნი: „გაგარინი – კოსმოსური სიცრუე“. წიგნში ის ამტკიცებს, რომ გაგარინი არასდროს არ ყოფილა კოსმოსში. პირველი რუსი კოსმონავტი უნდა

გამსდარიყო მფრინავი-გამომცდელი ვლადიმირ ილიუშინი. კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკის“ სტარტი შედგა 1961 წლის 12 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე. მიწაზე დაშვების მომენტში ხომალდმა განიცადა ავარია და მფრინავი დაშავდა. მარცხის და წარუმატებლობის დაფარვის მიზნით, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მსოფლიოსათვის წარედგინა ცრუ სამაგიერო პიროვნება. ამოარჩიეს იური გაგარინი. მან გაითამაშა საუკუნის გმირის როლი, კოსმოსში ყოფნის გარეშე. ადრე თუ გვიან კოსმონავტის შეცვლა ცნობილი გახდებოდა საზოგადოებისათვის, ამიტომ გადაწყვიტეს ორივეს მოცილება. 1961 წელს ილიუშინს მოუწყვეს საავტომობილო კატასტროფა, ხოლო გაგარინს 1968 წელს — ტრაგიკული სიკვდილი ცაში.

საბჭოთა მთავრობა და კოსმონავტები ამას უარყოფენ.

1961 წელს გაგარინის კოსმოსში ტრიუმფალური გაფრენის შემდეგ აშშ პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ მიმართა ერს მოწოდებით: „ამერიკამ უნდა გააკეთოს ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელი, რომ 1970 წლამდე მთვარეზე დაჯდეს ადამიანი“. აქედან მოყოლებული სსრკ-ს და ამერიკას შორის გაჩაღდა პაექრობა მთვარეზე პირველად დაჯდომისათვის.

ჯერ კიდევ 1956 წელს ს.ნ. კოროლიოვმა მეცნიერებათა აკადემიაში გააკეთა მოხსენება, რომ „შესაძლებელია რაკეტის გაშვება მთვარეზე და მისი უკან დაბრუნება“. მაგრამ ნ. ხრუშჩოვმა კოროლიოვი ჩამოაცილა ამ საქმეს და მიანდო ვ. ჩელომეის. თავდაპირველად ნ. ხრუშჩოვი და მისი გარემოცვა ცდილობდა დაესწრო ამერიკისათვის მთვარეზე დაჯდომა და თავიანთ წარუმატებლობას დიდი ხნის მანძილზე მალავდნენ. როცა ცნობილი გახდა, რომ პაექრობა წაგებულია, ახალმა ლიდერმა ლ. ბრეჟნევმა და მისმა გარემოცვამ მიიღო ისეთი სახე, თითქოს მთვარეზე დაჯდომისათვის პაექრობას ადგილი არ ჰქონია.

სინამდვილეში კოსმოსური თანამგზავრის გაშვება დაიწყეს 1962 წლის 16 მარტიდან. ეს გამოცხადებული იყო, როგორც სამეცნიერო პროგრამა. ფაქტიურად ზოგიერთი რაკეტა ფეთქდებოდა სასტარტო მოედანზე, ზოგი გაშვებიდან რამდენიმე წამში, ზოგი ვერ გადიოდა ორბიტაზე, იმსხვრეოდა და წყვეტდა მოქმედებას. ასეთი შემთხვევები დაემართა თანამგზავრებს: „მოლნია“, „პოლიოტი“, „კოსმოსი“, „მთვარე“ და სხვა. მაგრამ ამ ძვირადღირებულ წარუმატებლობას მაშინდელი მთავრობა მალავდა. გაშვებული იყო აგრეთვე „ჯაშუში“ თანამგზავრებიც.

1968 წელს აშშ პილოტირებულმა ხომალდმა „აპოლონ-8“

მოახდინა მთვარის გარშემოფრენა. საბჭოთა კავშირში კი „H-1" რაკეტის გასაშვები სამუშაოები და რამდენიმე გამოცდა აფეთქებით დამთავრდა ასაფრენ მოედანზევე და გამოიწვია ადამიანთა დიდი მსხვერპლი.

1969 წელს თებერვალში როგორც იქნა საბჭოთა რაკეტამ პირველად აიღო სტარტი, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. რაკეტის კუდის ბლოკში გაჩნდა ხანძარი და 70 წამის შემდეგ რაკეტამ შეწყვიტა მოქმედება.

1969 წლის ივლისში კი ამერიკელი ასტრონავტი ნეილ არმსტრონგი დაჯდა მთვარის ზედაპირზე. ამ მოვლენაზე ცოტათი ადრე, რუსების რაკეტა „H-1"-მა კიდევ ერთხელ მოსინჯა გაფრენა. მაგრამ ყველაფერი დამთავრდა უძლიერესი აფეთქებით, რის შედეგად მთლიანად განადგურდა სასტარტო კომპლექსი. ხოლო მესამე გაშვებისას 1971 წლის ივლისში რაკეტა დაიძრა, მაგრამ ძრავებმა იმუშავეს მხოლოდ 7 წამი. ბოლო მეოთხე სტარტმა 1972 წლის ნოემბერში, რუსებს კვლავ მოუტანა იმედის გაცრუება – რაკეტა ჯერ აფრინდა, მაგრამ 70 წამის შემდეგ კვლავ აფეთქდა.

ამ მოვლენების პარალელურად წლების მანძილზე ავარჯიშებდნენ და ამზადებდნენ მთვარეზე დასაჯდომად 18 კოსმონავტს. მეცადინეობა მიმდინარეობდა სპეციალურ ტრენაჟორებზე, სტენდებზე, იმიტირებული იყო მთვარის ზედაპირზე მოძრაობა, სადაც მიზიდულობის ძალა 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე, ცენტრიფუგაზე კი ვარჯიშობდნენ ხელით მართვას.

1971 წლის 26 თებერვალს გაუშვეს თანამგზავრი „კოსმოსი-398". ციფრი ლაპარაკობს თუ რამდენი თანამგზავრი იყო გაშვებული მანამდე. ამის უკან იმალება იმის პასუხი, რაც მრავალი წლის მანძილზე იყო გასაიდუმლოებული და იმალებოდა საზოგადოებისაგან.

1974 წლის აგვისტოში დანიშნული იყო „H-1"-ის მე-5 გაშვება. მაგრამ სამხედრო მრეწველობის კომისიის სხდომაზე, რომელიც მიჰყავდა იური უსტინოვს, გამოიტანეს გადაწყვეტილება: „მთვარის პროგრამაზე მუშაობა შეწყდეს". უსტინოვმა მაშინ სთქვა: „ისტორია ამას თქვენ არ გაპატიებს". ასე წააგო რუსეთმა მთვარეზე დაჯდომისათვის ბრძოლა.

ზემოთ მოხსენებული მოვლენების გარდა ასევე ცნობილია, რომ 1966 წლის 28 ნოემბერს 16.00 საათზე სტარტი აიღო კოსმოსურმა ხომალდმა „СОЮЗ-1"-მა. ხომალდი გავიდა ორბიტაზე. მაგრამ მან ვადაზე ადრე დახარჯა საწვავი, ბევრი ეცადეს, მაგრამ ხომალდი მიწაზე ვერ დასვეს. ბოლოს გამოიტანეს დასკვნა, რომ კაბინაში მანეკენის ნაცვლად მფრინავი-კოსმონავტი რომ ყოფილიყო, მაშინ

შეიძლებოდა „СОЮЗ-1“-ის გადარჩენაო, 1966 წლის 14 დეკემბერს გასაშვებად გაამზადეს „СОЮЗ-2“- სასტარტო მოედანზე ავარდა ალი და კვამლი, მაგრამ რაკეტა ადგილიდან ვერ დაიძრა. გაისმა ბრძანება: „წყალი სტარტზე! ბუნკერიდან არავინ გამოვიდეს! სტარტს არ მიუახლოვდეთ!“ ბუნკერში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საშიშროებამ ჩაიარა. გაისმა ბრძანება: „ასწიეთ ფერმები“! ვეებერთელა მეტალის ფერმები შემოეხვია რაკეტას. მაგრამ ამ დროს ცეცხლი გაუჩნდა რაკეტის III საფეხურს. დაიწყო პანიკა. მომსახურე პერსონალი აქეთ-იქით გაიქცა. 100 წამის შემდეგ გაისმა ძლიერი აფეთქების სერიალი. განადგურდა რაკეტა და სასტარტო კომპლექსი. დაიღუპა და მძიმედ დაშავდა ათობით ადამიანი. სახელმწიფო კომისიამ დაადგინა, რომ აფეთქების მიზეზი იყო, რომ პირველი საფეხურის ძრავები ვერ იქნა გაშვებული.

„Н-1“-ის სიმაღლე იყო 114 მეტრი და იწონიდა 3000 ტონას. რუსეთის ფედერაცია ყაზახეთის ყოველწლიურად უნაზღაურებს 158 მილიონ დოლარის თანხას, ბაიკონურის კოსმოდრომის კომპლექსისთვის — მის ტერიტორიაზე.

# 7. კატასტროფები რკინიგზაზე

## ავარია ციმბირის რკინიგზაზე



1989 წლის 3 ივნისს 22 საათსა და 14 წუთზე მოსკოვის დროით, მოსკოვიდან 1710 კილომეტრზე ულუტელიაკის გადასარბენ რკინიგზაზე, ორივე მხრიდან ერთმანეთს უახლოვდებოდა 2 სამგზავრო მატარებელი: ნოვოსიბირსკი-ადლერი და ადლერი-ნოვოსიბირსკი. როდესაც მატარებლები გაუსწორდნენ ერთმანეთს, უეცრად მოხდა ძლიერი აფეთქება. ვაგონებს სწრაფად მოედო ცეცხლი. რამდენიმე ვაგონი აფეთქების ტალღამ გადააგდო გვერდებზე. როგორც გამოირკვა აფეთქდა თხევადი გაზის მილგაყვანილობა, რომელიც გადიოდა რკინიგზის გვერდზე პარალელურად, დაახლოებით 500 მეტრში. მატარებელს მიბმული ჰქონდა ორი ვაგონი ბავშვებით, რომლებიც მიემგზავრებოდნენ „არტეკში".

აფეთქების ტალღამ რელსებიდან 40 მეტრზე გადაყარა 14 ვაგონი, დაანგრია საკონტაქტო ქსელი, სერიოზულად დააზიანა რკინიგზა და კავშირგაბმულობა რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე. მატარებელი იყო გადატვირთული, მგზავრები იყვნენ III იარუსზე და ფეხზე იდგნენ როგორც ტრამვაიში, ბევრი იყო უბილეთოც. ვინაიდან აფეთქება მოხდა გვიან ღამით, მგზავრების უმრავლესობას ეძინა. მრავალი მგზავრი აფეთქების ტალღამ გადმოყარა ვაგონებიდან გარეთ. ეს მოხდა რკინიგზის სადგურ „იშასთან" ახლოს. ამ მილგაყვანილობის გაზით ამარაგებდნენ სამარის, ჩელიაბინსკის და ბაშკირეთის ქიმიურ ქარხნებს. ამ მაგისტრალის სიგრძე იყო 1860 მეტრი.

სპეციალისტების აზრით, ავარიის ადგილზე გაჟონილი იყო პროპან-ბუტანის თხევადი გაზები. დიდი ხნის მანძილზე ეს გაზები დაგროვდა ღრმულში და ამოუცნობი მიზეზით აფეთქდა. ცეცხლის ალი გავრცელდა 2 კილომეტრის სიგრძეზე. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ახლო-მახლო საცხოვრებელ ადგილებში ადამიანები გრძნობდნენ გაზის სუნს, რომელიც ვრცელდებოდა 4-8 კილომეტრის მანძილზე. საღამოს 21 საათზე მილგაყვანილობაში დაფარდა წნევა. იმის ნაცვლად,

რომ გაეგოთ დაზიანების (გაჟონვის) ადგილი, მილგაყვანილობაში გაზარდეს წნევა, რის შედეგადაც გაზმა გააგრძელა დაღვრა.

მომხდარი უბედურების შედეგად დაიღუპა ათასამდე მგზავრი და 200 ბავშვი. თითქმის ყველა ცოცხლად გადარჩენილი მგზავრი მეტ-ნაკლებად იყო დაზიანებული მაღალი ტემპერატურის ცეცხლისაგან, აფეთქების ტალღების დარტყმისგან და მომწამლავი გაზების ტოქსიკურობისაგან.

სასამართლომ 7 მშენებელს გამოუტანა სასჯელი, მაგისტრალის უხარისხო მშენებლობისათვის, მაგრამ ისინი არაკანონიერად გაანთავისუფლეს სსრკ 70 წლისთავის ამინისტიით? – ეს ტრაგედია კი მოხდა 1989 წელს, რომელსაც ამინისტია არ ეხებოდა?

## სარკინიგზო კატასტროფა ბანგლადეშში

1989 წლის 16 იანვარს ბანგლადეშის დედაქალაქი დაკიდან 25 კილომეტრის მანძილზე მოხდა უდიდესი სარკინიგზო კატასტროფა. ერთმანეთს დაეჯახა ორი სამგზავრო მატარებელი. ვაგონები ერთმანეთზე იყო შემჯდარი და გადავარდნილი ლიანდაგიდან.

კატასტროფის ადგილზე ყველაზე ადრე საშველად მივიდნენ ჯარისკაცები, სულ დაიღუპა 120 ადამიანი, რამდენიმე ათეული ადამიანი სერიოზულად დაშავდა. ბანგლადეშში 16 იანვარი გამოაცხადეს ნაციონალური გლოვის დღედ. ტრაგედიის ადგილზე მივიდა ქვეყნის პრეზიდენტი. მან განაცხადა, რომ ყოველი დაღუპულის ოჯახი მიიღებდა დახმარებას 3000 დოლარის ოდენობით.

## ავარია სანკტ-პეტერბურგ-მოსკოვის რკინიგზაზე

1988 წლის 16 აგვისტოს საღამოს 18 საათზე რკინიგზის გადასასვლელზე პოპლავენეცსა და ბერეზაიკას რკინიგზის სადგურებს შორის მოხდა დიდი კატასტროფა. ეს მოხდა ქალაქ ბოლოგოედან 13 კილომეტრის დაშორებით. № 159 სამგზავრო მატარებელი „ავრორა“ მიდიოდა სანკტ-პეტერბურგიდან მოსკოვისაკენ. ერთ-ერთ გადასარბენზე რელსებიდან გადავარდა 15 ვაგონი. ვაგონ-რესტორანში გაჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად მოედო დანარჩენ ვაგონებს. მხოლოდ ლოკომოტივი და 3 ვაგონი დარჩა რელსებზე დამდგარი. ვინაიდან ირგვლივ ადგილები იყო დაჭაობებული, სასწრაფო დახმარების და მეხანძრეების მანქანები დროულად ვერ მივიდნენ კატასტროფის ადგილზე. სანკტ-პეტერბურგიდან შვეულმფრენებით მოიყვანეს ექიმები. დამატებით მატარებლებით მოსკოვისკენ გაამგზავრეს 557 მგზავრი.

კატასტროფამ იმსხვერპლა 28 ადამიანი, ხოლო 106 მგზავრი მოათავსეს ჰოსპიტალში, ავარიის მიზეზი აღმოჩნდა ლიანდაგის უწესრიგობა, მატარებელი მოძრაობდა 150 კილომეტრი სიჩქარით, რამაც გამოიწვია კატასტროფა. მატერიალურმა ზარალმა მიაღწია 420-450 მილიონ დოლარს.

– ამ ტრასაზე 2000 წლის 26 იანვარს კვლავ სამგზავრო მატარებელი დაეჯახა სატვირთოს. ადგილზევე გარდაიცვალა 15 მგზავრი, დაიჭრა 50 მგზავრი, 9 ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან.

## ავტობუსის და სამგზავრო მატარებლის შეჯახება

1989 წლის 9 ივნისს როსტოვის ოლქში რკინიგზის გადასასვლელზე სამგზავრო მატარებელი დაეჯახა სამგზავრო ავტობუსს, რომელიც გადადიოდა გადასასვლელზე, კამენსკოე-პოგორელოვოს გადასარბენზე. ლიაზ-ის ტიპის ავტობუსს მართავდა ახალგაზრდა მძღოლი ი. კისლოვი. გადასასვლელს მორიგის ალმებით სიგნალების მიცემის მიუხედავად, მან გვერდი აუარა ავტომატურ „შლაგბაუმს" და შევიდა რკინიგზაზე, რომელზედაც დიდი სისწრაფით მოდიოდა №395 სამგზავრო მატარებელი ადლერი-ვორონეჟი.

ელექტრომატარებლის მემანქანემ მაკარეევიჩმა დაინახა მანქანა რელსებზე, ჩართო ექსტრა მუხრუჭების სისტემა. მაგრამ მანძილი იყო ძალიან მცირე და დაჯახების თავის არიდება გახდა შეუძლებელი.

სულ დაიღუპა 31 მგზავრი, ხოლო 14 მოათავსეს ჰოსპიტალში.

## ავარია „არზამასის" სადგურზე

1988 წლის 4 ივნისს ნიჟნი-ნოვგოროდის რკინიგზის ხაზზე სადგურ არზამასში დილის 9 საათსა და 30 წუთზე მოხდა დიდი ავარია. სატვირთო მატარებელი მიუახლოვდა თუ არა სადგურს, გაისმა აფეთქების ხმა. ის იყო ისეთი ძლიერი, რომ სადგურიდან 2 კილომეტრის დაშორებით სახლებში დაიმსხვრა მინები. თბომავალი გადაბრუნდა და გადააგდო გვერდზე. სადგურის შენობა სერიოზულად დაზიანდა. ძველი ხის სახლები და საწარმოების შენობები დაინგრა. ბევრგან გაჩნდა ხანძარი. ვაგონები გადავარდა რელსებიდან, რელსები კი დაიღუნა.

აფეთქებას არავინ მოელოდა. აფეთქების ცენტრში აღმოჩნდა მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, რომლებიც იდგნენ რკინიგზის გადასასვლელთან. ავტომანქანები აფეთქების ტალღამ აქეთ-იქით გადაყარა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 91 ადამიანი, ხოლო ასობით ადამიანმა მიიღო სერიოზული ჭრილობები.

20 სახანძრო მანქანა აქრობდა ხანძარს. მთლიანად დაინგრა

151 სახლი, ხოლო 250 შენობამ განიცადა სერიოზული ზიანი. უსახლ-კაროდ დაჩა 600 ოჯახი, ესე იგი დაახლოებით 2800 ადამიანი.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ სამი ვაგონი გავსებული იყო 117 ტონა სამრეწველო ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომელიც გამოიყენება გეოლოგიურ სადაზვერვო სამუშაოებზე. აფეთქების ადგილზე წარმოიქმნა ღრმული რომლის დიამეტრი 53 მეტრი იყო, ხოლო სიღრმე 26 მეტრი. აფეთქების ტალღამ დაანგრია შენობები 2 კილომეტრის მანძილზე. საავადმყოფოში მოათავსეს 229 დაჭრილი ადამიანი, ხოლო სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარება გაუწიეს 700 ადამიანს.

## მატარებლების შეჯახება ავსტრალიაში

1999 წლის 1 დეკემბერს ავსტრალიაში ქალაქ სიდნეიდან 30 კილომეტრის დაშორებით ორი სამგზავრო მატარებელი შეეჯახა ერთმანეთს. ავარიის შედეგად დაიღუპა 29 ადამიანი, სერიოზული დაშავება მიიღო 65 მგზავრმა.

## მატარებლის კატასტროფა ინდოეთში

1995 წლის აგვისტოში ინდოეთის ერთ-ერთ პროვინციაში ლიან-დაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებლის ვაგონები. ავარიის შედეგად დაიღუპა 300-მდე მგზავრი და სხეულის სერიოზული დაზიანება მიიღო ასობით ადამიანმა.

## ტეისის რკინიგზის ხიდის დანგრევა



შოტლანდიაში მდინარე ტეის შესართავთან ფერტ-ოფ-ტეის ყურესთან — ქალაქ ედინ-ბურგსა და დანდს შორის 1878 წელს აგებული იყო სარკინიგ-ზო ხიდი. იმ დროისათვის ეს ხი-დი იყო ყველაზე გრძელი მსოფ-ლიოში, მისი სიგრძე აღემა-ტებოდა 3 კილომეტრს. ხიდის ამ-შენებელი ინჟინერი თომას ბუჩი ამტკიცებდა, რომ თუჯის ფორ-მისა და ბეტონის ფუნდამენტებისაგან აგებული ხიდი იყო ძალზე საი-მედო და გაძლებდა დიდხანს.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ 1879 წლის 28 დეკემბერს, ეს ხიდი

დაინგრა და კატასტროფაში მოჰყვა საფოსტო მატარებელი, რომელშიც იმყოფებოდა 75 მგზავრი. იმ დღეს იყო ძლიერი ქარი და ამიტომ მატარებელი ხიდზე შევიდა ძალზე დაბალი სიჩქარით. ხიდის ფერმებს ქარისაგან ღრჭიალი გაჰქონდა. მდინარე ტეის მეორე ნაპირზე მგზავრები ელოდებოდნენ მატარებელს, მაგრამ ის არ ჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სადგურში მოირბინეს ადამიანებმა, რომლებმაც მდინარის სანაპიროდან დაინახეს, თუ როგორ მოჰგლიჯა ქარმა 74 მეტრი სიგრძის ხიდის ფერმა და გადააგდო წყალში, ამ ფერმასთან ერთად მდინარეში ჩავარდა მატარებელი.

მაშინვე შეუდგნენ მაშველი სამუშაოების და ღონისძიებების ჩატარებას, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან ძლიერმა ქარმა, აქაფებულმა ტალღებმა და ღამის სიბნელემ ხელი შეუშალა სამაშველო ღონისძიებების ჩატარებას. მატარებელში მყოფი მგზავრებიდან ვერავინ გადაარჩინეს, მხოლოდ მეორე დღეს ნახეს მდინარის ნაპირზე გამორიყული რამდენიმე გვამი.

ამ კატასტროფასთან დაკავშირებით ინგლისში შესდგა სასამართლო პროცესი, სადაც ინჟინერი ბუჩი ამტკიცებდა რომ კატასტროფის მიზეზი იყო ამოვარდნილი ძლიერი ქარი და ხიდზე მიმავალი მატარებელი, რომელსაც ვერ გაუძლო ხიდის თუჯის ფერმებმაო. ხიდმა ვერ გაუძლო ორმაგ დატვირთვასო. მან ასევე დაამტკიცა რომ ხიდის ფერმები იყო დამზადებული უხარისხო მეტალისგან. ხიდი აღადგინეს და უფრო გააძლიერეს. ინჟინერი ბუჩი კი 6 თვის შემდეგ გარდაიცვალა გულის ინფარქტით.

## ავარია ნორვეგიაში

2000 წლის 4 იანვარს ნორვეგიაში ოსლოსთან ახლოს, ერთმანეთს შეეჯახა 2 სამგზავრო მატარებელი. ვაგონები დაიმსხვრა და გაჩნდა ხანძარი. ერთი მატარებლის მემანქანემ მატარებელი დაძრა წითელ შუქზე. დაიღუპა 19 ადამიანი და დაშავდა რამდენიმე ათეული მგზავრი.

## ავარია სამხრეთ აფრიკაში

სამხრეთ აფრიკაში იოჰანესბურგიდან 30 კილომეტრის მანძილზე, 2000 წლის იანვარში რკინიგზაზე მოხდა კატასტროფა. სრული სიჩქარით მიმავალი ორი სამგზავრო მატარებელი შეეჯახა ერთმანეთს. ავარია მოხდა დისპეტჩერის დაუდევრობით. დაიღუპა რამდენიმე მგზავრი და მემანქანეები, ხოლო 188 ადამიანმა მიიღო სერიოზული ტრავმა.

## ავარიები გერმანიაში

2000 წლის 6 თებერვალს გერმანიის ქალაქ ბრიულთან სამგზავრო მატარებელი გადავიდა რკინიგზის ლიანდაგებიდან და დაეჯახა საცხოვრებელ შენობას. მემანქანე მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მატარებლის ვაგონები გადავარდა ლიანდაგიდან. დაიღუპა რამდენიმე მგზავრი, ხოლო სხეულის დაზიანება მიიღო ათობით ადამიანმა. ექსპერტების დასკვნით კატასტროფის მიზეზი იყო ნორმაზე 3-ჯერ მეტი სიჩქარის განვითარება.



1998 წელს გერმანიაში მოხდა გაცილებით უფრო საშინელი კატასტროფა. მაშინ სამგზავრო მატარებელი დაეჯახა ხიდს. ავარიის შედეგად დაიღუპა 191 ადამიანი და დაშავდა 300-ზე მეტი მგზავრი. ასევე დიდი იყო მატერიალური ზარალიც, რადგან ლიანდაგიდან გადავარდნილი ელმავალი და ვაგონები დაიმსხვრა და ექსპლოატაციისათვის აღარ გამოდგებოდა.

## ავარია რიგასთან

– 2000 წლის 11 მარტს ლატვიაში, ქ. რიგიდან 70 კილომეტრის დაშორებით, რკინიგზაზე მოხდა კატასტროფა. საწვავით სავსე ვაგონცისტერნებიანი მატარებელი გადასასვლელზე დაეჯახა მსუბუქ მანქანას, რომელიც ჯერ გაათრია 150 მეტრის მანძილზე, შემდეგ გადააგდო გვერდზე. ავარიის შედეგად დაიღუპა მანქანაში მჯდომი ოთხი მგზავრი, რელსებიდან გადავარდა ელმავალი და ვაგონცისტერნები. დაღვრილმა ბენზინმა დატბორა ასობით ჰექტარი ტერიტორია. გაჩნდა ხანძარი, რის გამოც ასობით ჰექტარ ტერიტორიაზე დაიწვა მცენარეულობა.

## ავარია ბელგიაში

– 2000 წლის 9 თებერვალს ბელგიის ქალაქ ჰერენტალსთან ახლოს ორი სამგზავრო მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. ავარიის



შედეგად დაიღუპა რამდენიმე მგზავრი, 35 მგზავრი მოათავსეს საავადმყოფოში. ავარიის მიზეზი გამოუცნობი დარჩა.

## კატასტროფა ირანში

2004 წლის 18 თებერვალს ირანში მოხდა სატვირთო მატარებლის კატასტროფა, რის შედეგად დაიღუპა 200 და მძიმედ დაშავდა 300 ადამიანი. მატარებელი შედგებოდა 51 ვაგონისაგან. ზოგი ვაგონი დატვირთული იყო ბენზინით, ზოგი ქიმიური ნივთიერებით, ზოგი ბამბით და სასუქით. აფეთქება ისეთი ძალის იყო, რომ მისი ხმა გაიგონეს 80 კილომეტრის მანძილზე, ხოლო 10 კილომეტრით დაშორებულ შენობებში ჩაიმსხვრა მინები. კატასტროფის ადგილიდან 5 კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფლები განადგურდა მთლიანად. მეხანძრეებს ცეცხლის ჩაქრობაში ეხმარებოდნენ სამხედრო ვერტმფრენები.

## 8. კატასტროფები მეტროში



სიტყვა მეტროპოლიტენი (metropolitain – ფრან.) წარმოშობილია ბერძნული „მეტროპოლისიდან“, რაც ნიშნავს, დედაქალაქს. მეტროპოლიტენი წარმოადგენს სამგზაერო სარკინიგზო ტრანსპორტის სახეობას. ის ძირითადად აგებულია დიდ ქალაქებში, სადაც გადატვირთულია ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობა. მეტროპოლიტენის სამგზაერო მატარებლებს შეუძლიათ განავითარონ სიჩქარე 50 კილომეტრი საათში და ერთი მიმართულებით გადაიყვანონ 60 ათასი მგზავრი 1 საათში. მეტროპოლიტენის ხაზი შეიძლება იყოს აგებული მიწის ქვეშ, მიწის ზედაპირზე და ესტაკადაზეც. მეტროპოლიტენის პირველი ხაზი აგებული იყო ლონდონში 1863 წელს. ყოფილ საბჭოთა კავშირში კი ქალაქ მოსკოვში 1935 წელს. თბილისში პირველი ხაზი გაიხსნა 1966 წლის 10 იანვარს (თბილისის მეტროპოლიტენის აგებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ წიგნის ავტორსაც, რადგან თბილისის „მეტრომშენის“ სამმართველოს კოლექტივში სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობდა 1965 წლიდან 1995 წლამდე). ზედაპირულ ტრანსპორტთან შედარებით მეტროს აქვს ის უპირატესობა, რომ ის უფრო სწრაფია, გზაზე არ ხვდება ქუჩის წინაღობები, უფრო უსაფრთხო ტრანსპორტია – და ომის პერიოდში მეტროს გვირაბები და სადგურები შეიძლება იქნეს გამოყენებული მოსახლეობის თავშესაფარად.

### ტრაგედია პარიზის მეტროში

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მეტროს პირველი ხაზი გახსნეს 1900 წელს, რომელიც მიუძღვნეს მსოფლიოს სამრეწველო გამოფენას. 1903 წლის 10 აგვისტოს საღამოს 8 საათზე მეტროს მატარებლის ერთ სამგზავრო ვაგონში აღმოჩნდა მოუწესრიგებლობა, ამიტომ ეს ვაგონი ჩახსნეს სადგურ „პლასე დე ნასიონში“ და გადაიყვანეს პარალელურ გვირაბში, მაგრამ გზაში „მეპილმონტანსა“ და „კურონწეს“ სადგურებს შორის ამ ვაგონში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლმოდებულ ვაგონს სასწრაფოდ მოაშორეს ლოკომოტივი, მაგრამ ცეცხლის

ჩაქრობა საკუთარი ძალებით ვერ მოახერხეს. ცეცხლის ჩაქრობას ხელი შეუშალა დიდი რაოდენობის კვამლმა და ცუდმა მხედველობამ. მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ კვამლი გავრცელდა გვირაბში და ხელი შეუშალა სხვა მატარებლების მოძრაობას. შუქნიშნები კვამლში აღარ ჩანდა.



მეტროს გვირაბში მიმავალი მატარებლის მძღოლმა შორიდან ვერ დაინახა კვამლში გახვეული ცეცხლმოკიდებული ვაგონი, ვერ მოასწრო მატარებლის დამუხრუჭება და გაჩერება. მატარებელი მთელი სიჩქარით დაეჯახა ცეცხლმოკიდებულ ვაგონს. დარტყმა იყო ისეთი ძლიერი, რომ ზოგიერთი მგზავრი გადმოვარდა ვაგონებიდან. მემანქანეები შეჯახების შედეგად დაიღუპნენ. მგზავრებმა არ იცოდნენ საით და როგორ წასულიყვნენ. ისინი გაიქვანტნენ გვირაბებში გამოსასვლელის მოსაძებნად. მათ ვერ მიაგნეს გასასვლელს დაკარგეს გრძნობა და დაიღუპნენ მხუთავი კვამლისაგან. სულ დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი, მათი გვამები რელსებზე ეყარა.

ქალაქის მმართველებმა შეაჩერეს მოძრაობა მთელ მეტროში. მოსულმა მეხანძრეებმა დიდხანს ვერ მიაღწიეს ცეცხლმოდებულ ვაგონამდე. კვამლი იყო ისეთი სქელი, რომ გვირაბებში არაფერი ჩანდა. დროულად ვერ მიაგნეს კატასტროფის ადგილს. გადაწყვიტეს გვირაბის თაღის აფეთქება, რის შედეგად წარმოქმნილ ხვრელში ზედაპირზე ამოვიდა კვამლი და ამ ხვრელით ჩავიდნენ გვირაბში მეხანძრეები. მაგრამ ბევრი მგზავრისთვის ეს შველა უკვე იყო დაგვიანებული.

ამ შემთხვევის შემდეგ მეტროს ვაგონებში დაამონტაჟეს ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობა და სიგნალიზაცია.

## ავარია ლონდონის მეტროში

1973 წელს ლონდონის მეტროში მოხდა კატასტროფა, კერძოდ, ერთ-ერთ სადგურში მატარებელი არ გაჩერდა, ისე ჩაუქროლა და გააგრძელა გზა 60 კილომეტრი სიჩქარით. რამდენიმე მანძილის

გავლის შემდეგ მატარებელი შეასკდა ჩიხის კედელს. თვითმხილველმა სადგურში მყოფმა ადამიანებმა დაადასტურეს, რომ მემანქანე გამოიყურებოდა ძალიან უცნაურად: უაზრო თვალებით ის ერთ წერტილს უყურებდა. ყოველად შესაძლებელია, რომ მას მგზავრობის პროცესში მოუვიდა გულის ინფარქტი. ზოგიერთმა გამოთქვა აზრი, რომ მემანქანეს სურდა სიცოცხლე ასეთნაირად დაესრულებინა. ნებისმიერი ვარიანტით მემანქანემ სადგურში არ დაამუხრუჭა და არ შეეცადა მატარებლის გაჩერებას. ამ კატასტროფამ მაშინ იმსხვერპლა 45 ადამიანის სიცოცხლე.

– 1987 წლის 18 ნოემბერს ლონდონის მეტროში კვლავ მოხდა ტრაგედია, ესკალატორზე დაგდებულმა სიგარეტმა იმსხვერპლა 31 ადამიანი.

## კატასტროფა ბაქოს მეტროში

მსოფლიოს ქალაქების მეტროპოლიტენების ისტორიაში ყველაზე საშინელი და დიდი მსხვერპლის მომტანი კატასტროფა მოხდა ბაქოს მეტროში, 1995 წლის 28 ოქტომბერს. ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 286 ადამიანი, 269 ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება, 69 მგზავრი მოათავსეს ჰოსპიტალში.

სადგურ „ნარიმანოვთან" ახლოს ცეცხლი გაუჩნდა მატარებლის ბოლო 2 ვაგონს, შემდეგ ჩაქრა შუქი. ცეცხლი ძალიან სწრაფად გავრცელდა სხვა ვაგონებშიც. შეიქმნა საშინელი არეულობა. ადამიანებმა დაამტვრიეს მინები, კარებები, ჩამოხტნენ გვირაბში და გაიქცნენ სადგურისკენ. კვამლისგან ჰაერი გადაიქცა მძაფრ მომგუდავ გაზად. მედიცინის მუშაკების დასკვნით, უმეტესობა დაიღუპა გაგუდვით. ბევრი მგზავრი დაიღუპა გონებაარეული ბრბოს ჭყლეტაში. ზოგიერთი ოჯახი მთლიანად დაიღუპა. მიღებულ იქნა სასწრაფო სამაშველო ღონისძიებები, დაიღუპა 3 მეხანძრეც.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გ. ალიევმა გასცა განკარგულება, რომ დაღუპულები დაემარხათ სახელმწიფოს ხარჯზე, ხოლო მათი ოჯახებისათვის გამოეყოთ 1 მილიონი მანათი თითოეულ დაღუპულზე.

სახელმწიფო კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ კატასტროფის მიზეზი იყო დაძველებული მეტროს ვაგონები, რომლებსაც არ გააჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა.

# 9. ხანძრები

## ხანძარი კაიროს სასტუმროში



ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში ხუთვარსკვლავიანი უმაღლესი კატეგორიის სასტუმროს „შერატონ ჰელიოპოლისს“ 1990 წლის მარტის დასაწყისში გაუჩნდა ხანძარი. სასტუმრო მდებარეობდა კაიროს აეროდრომიდან ავტომაგისტრალის დასაწყისში. თვითმხილველების თქმით ხანძარი გაჩნდა სასტუმროს ვრცელ ჰოლში, საიდანაც ცეცხლი სწრაფად გავრცელდა სხვა ოთახებში. ისეთი ძლიერი ხანძარი იყო, რომ სასტუმრო მთლიანად განადგურდა. ყველაზე საკვირველი იყო ის გარემოება, რომ ამ თანამედროვე სასტუმროში არ აღმოჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა და რომც ყოფილიყო, მისმა მომსახურე პერსონალმა არ იცოდა ხანძარჩამქრობი მოწყობილობის ხმარება. სასტუმროს მშენებლობის პროექტით არ ყოფილა გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ელემენტარული წესები. ხანძრის შედეგად დაიღუპა 17 ადამიანი, ხოლო 50-ზე მეტი დასახიჩრდა.

## ხანძარი ნავთობმომპოვებელ ბაქანზე

1976 წელს ჩრდილოეთის ზღვაში ინგლისმა მოაწყო ნავთობმომპოვებელი ბაქანი „ალფა-პაიპერი“. მისი მოქმედების ვადა უახლოვდებოდა დაბოლოებას, ვინაიდან წყალქვეშა ნავთობის საბადო ილეოდა. 1988 წლის 7 ივლისს ღამით ბაქანი დაანგრია უეცარი აფეთქებისაგან გაჩენილმა საშინელმა ხანძარმა. მომსახურე პერსონალის ზოგიერთმა წევრმა თავს უშველა გაქცევით და გადახტა ზღვაში. ერთმა მოსამსახურემ მოასწრო და ეთერში გადასცა მომხდარი ხანძარის შესახებ. აქ დასაქმებული იყო 232 ადამიანი. აქედან 160 ადამიანი დაიღუპა, გადარჩენილების უმრავლესობამ მიიღო სერიოზული დამწვრობა.

# ხანძარი სანქტ-პეტერბურგის ზამთრის სასახლეში



სანქტ-პეტერბურგის ზამთრის სასახლეს ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, როგორც მოსკოვისთვის კრემლს. 1837 წლის 17 დეკემბერს რუსეთის იმპერატორი მიხეილი და დედოფალი მარია, თეატრში უცქეროდნენ ბალეტს, იქ მათ შეატყობინეს ხანძრის შესახებ. იმპერატორი თავისი ამალით მაშინვე გაემართა ზამთრის სასახლისაკენ. პირველ რიგში მან ბრძანა გადაერჩინათ ოჯახის წევრები, შემდეგ გამოიძახა ჯარის ნაწილები. სასწრაფოდ გამოიტანეს სასახლიდან ძვირფასეულობა, ხატები, სურათები, იმპერატორის ტახტი, სარკეები, მარმარილოს სტატუები, განძეულობა, ავეჯი, რაც კი მოაგროვეს რუსეთის მეფეებმა მრავალი წლის მანძილზე.

მართალია ბევრი ნივთის და ფასეულობის გადარჩენა მოასწრეს, მაგრამ ხანძრის ცეცხლში დაიწვა ყველა არქიტექტურულ-დეკორატიული მორთულობა საზეიმო დარბაზებში და მეფის პირად აპარტამენტებში.

ხანძარი გაჩნდა სარდაფიდან, სადაც ამზადებდნენ წამლებს. ცეცხლი სწრაფად გავრცელდა და მთლიანად მოიცვა ზამთრის სასახლის მთავარი შენობა. ხანძარი რომ არ გავრცელებულიყო „ერმიტაჟზე", მეფემ უბრძანა დაეშალათ მასთან შემაერთებელი ნაგებობა.

ვეებერთელა ზამთრის სასახლე ბოლავდა და დაემსგავსა გიგანტურ კოცონს. ხანძრის ელვარება ადამიანებმა დაინახეს ქალაქიდან 50 კილომეტრის დაშორებით. სასახლე იწვოდა 3 დღე-ღამის მანძილზე. ხანძრის ჩაქრობას ხელმძღვანელობდა თვითონ მეფე, რომელმაც თვითონაც მიიღო აქტიური მონაწილეობა ხანძრის ჩასაქრობად.

ხანძართან ბრძოლაში დაიღუპა 30 ჯარისკაცი და ათობით

მომსახურე პერსონალი. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ ზამთრის სასახლის ოთახებში და დერეფნებში ეყარა ადამიანების გვამები, ნაწილი იყო დამწვარი, ზოგიერთი კვამლისგან გაგუდული, სხვები კი ნანგრევებში მოყოლილი.

ზამთრის სასახლე აღადგინეს და ხის დეტალები ყველგან შეცვალეს რკინით, თუჯით და აგურით.

## ხანძარი ბაქოს ნავთობსარეწზე

1901 წლის პირველ ოქტომბერს ბაქოდან 6 კილომეტრის დაშორებით ნავთობსარეწზე, იქ, სადაც აწარმოებდნენ ჭაბურღილების ბურღვას და ნავთობის მოპოვებას, მეტალის ჭურჭლებში ინახებოდა 96 ათასი ტონა მაზუთი, ერთმა მოსამსახურემ გადააგდო ცეცხლმოკიდებული საგანი, რის შედეგად იფეთქა მაზუთის ზედაპირზე მყოფმა ორთქლმა, ხოლო შემდეგ ცეცხლი მოეკიდა მთელ თხევად მასას. მაზუთის მასა სიმხურვალისგან გაფართოვდა, დაიწყო ბუყბუყი და აიწია მაღლა. მეტალის ჭურჭელიდან (სათავსებიდან) გადმოიღვარა ცეცხლისგან გათხელებული აალებული მაზუთი, რომელმაც ცეცხლი გაუჩინა ბალახს, ბუჩქებს, ხეებს. ამის გარდა ცაშიც ავარდა ცეცხლის ნაპერწკლები. მაზუთმა დაიწყო შიგნიდან აფეთქება და როგორც ვულკანისგან ამოფრქვეული ლავა, ისე გავრცელდა ახლო-მახლო ტერიტორიაზე, ხოლო ქარმა ცეცხლის ღრუბელი წაიღო დასახლებული ადგილებისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მაზუთის მეტალის ჭურჭლებმა ვერ გაუძლო წნევას მაღალ ტემპერატურას და გასკდა. ხანძარი გავრცელდა ნავთობსარეწის მთელ ტერიტორიაზე. რამდენიმე კვადრატული კილომეტრის ფართობზე დიდი ხნის მანძილზე კვამლმა და ცეცხლმა დაფარა ზეცა. იმ პერიოდში ასეთი გიგანტური ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი იყო. ამიტომ 5 დღე-ღამის მანძილზე მძვინვარებდა ხანძარი, სანამ მთლიანად არ დაიწვა მაზუთის მასა.

ხანძრის შედეგად დაიღუპა 300-მდე ადამიანი. დაიწვა ყველა ახლომდებარე დასახლებული პუნქტი, სკოლა, მაღაზიები. მეხანძრეებმა სასწრაფოდ გათხარეს არხები, მოზიდეს ქვიშა და მეექვსე დღეს შეაჩერეს ხანძრის გავრცელება, ხოლო შემდეგ თანდათან ხანძარი ჩააქრეს, უფრო სწორად თვითონ ჩაქრა, რადგან მაზუთის მთელი მარაგი დაიწვა. საშინელი დასანახავი იყო იქაურობა, გადამწვარი გაშავებული მიწა, სქელი ჭვარტლი და ამყრალებული შავი ტალახი. ეს იყო უდიდესი კატასტროფა. არავის აღარ უნდოდა ამ ადგილებში უკან დაბრუნება.

## ხანძარი ბრიუსელის უნივერმაღში



ბელგიის ქალაქ ბრიუსელის ცენტრში მდებარე უდიდეს უნივერმაღში „ინოვასიონში“ მაისის თვის შუადღეს გაჩნდა ხანძარი. ამ მომენტში 1200 მომსახურე პერსონალი იმყოფებოდა უნივერმაღში. ცეცხლი გაჩნდა მე-4 სართულზე სპორტული ტანსაცმლის სექციაში. ცეცხლის ალი სწრაფად გავრცელდა სხვა სართულებზეც და რამდენიმე წუთში მრავალსართულიანი უნივერმაღი გადაიქცა კვამლიან კოცონად. სიგნალიზაცია და ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატური მოწყობილობა აღმოჩნდა გაუმართავი. ასევე არ ამოქმედდა განგაშის მიმცემი სიგნალიც.

უნივერსამში შეიქმნა პანიკა. გონებაარეული ადამიანები გაიქცნენ აქეთ-იქით, ხელი შეუშალეს ერთმანეთს, შეიქმნა ჭყლეტა, ზოგიერთი ფანჯრიდან გადახტა პირდაპირ ქუჩაში. ხანძრის გამო გაითიშა ელექტროგანათება, ამიტომ გაჩერდა ლიფტები, ხოლო ისინი, ვინც მოასწრო ლიფტებში შესვლა, ცოცხლად დაიწვნენ. ცეცხლში სულ დაიღუპა 330 კაცი, ხოლო ასობით ადამიანი მოათავსეს ჰოსპიტალში.

მეხანძრეებმა ქვემოთ გაშალეს ტილოები, შენობაზე მიადგეს რამდენიმე კიბე. მაგრამ მალე თვითონ კიბეები გაეხვია ცეცხლის ალში. ცეცხლი გავრცელდა სხვა ქუჩებშიც. დადგა საშინელი სიცხე. მიუხედავად მიღებული სასწრაფო ზომებისა, უნივერმაღის სახურავი ჩამოინგრა, ასევე ჩამოიშალა აივნები და ფასადის ნაწილი. ცეცხლი მოედო საფეიქრო ფაბრიკას, საბავშვო ბაღს და სკოლას.

უნივერმაღი „ინოვასიონი“ დაიწვა მთლიანად. დიდი ზარალი განიცადა მაღაზია „პრიბამაც“, დაზიანდა ასევე სხვა შენობებიც. გამოყოფილმა კომისიამ გაკვირვება გამოთქვა, რატომ ვერ გაუძლო მაღალ ტემპერატურას უნივერმაღის შენობის სახურავმა და სხვა კონსტრუქციულმა ელემენტებმა და რატომ აღმოჩნდა თანამედროვე შენობა ხანძრის წინაშე უძლური.

## ხანძარი შობის დღეს

1971 წლის 25 დეკემბერს (ქრისტეს შობის დღეს) სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულის სასტუმრო „დაი-იუნ-კაკში" გაჩნდა ხანძარი. ეს სასტუმრო იყო 3 წლის წინათ აგებული და პასუხობდა სერვისის ყველანაირ მოთხოვნებს.

სასტუმროს მე-13 სართულზე რესტორანში სტუმრებმა აწიეს შობის დღესასწაულის სადღეგრძელოები, მაგრამ ამ დროს მე-2 სართულზე ბარში გაჩნდა ხანძარი. თავდაპირველად ცეცხლი მოედო სამზარეულოში იატაკზე დაღვრილ თხევად პროპანს. აქედან ცეცხლი სწრაფად მოედო ნეილონის ნოხს და ცეცხლის ალი შევარდა დარბაზში, იქიდან კი სასტუმროს ვესტიბიულში. სამზარეულოში პროპანის ბალონის აფეთქებისგან მაშინვე დაიღუპა სამი ოფიციანტი ქალი, ხოლო ერთმა მიიღო მძიმე დამწვრობა.

სასტუმროს ვესტიბიულიდან ცეცხლის ალი გაჰყვა ნოხებს და კედლების პლასტიკურ მოპირკეთებას. ცეცხლი სწრაფად გავრცელდა მთელ შენობაში. მხუთავმა კვამლმა გაავსო კიბეების მოედნები, ლიფტის შახტები და შეაღწია სასტუმროს ნომრებში. მომსახურე პერსონალი და სტუმრები მოიცვა პანიკამ. ადამიანები დარბოდნენ დერეფნებში გასასვლელის მოსაძებნად, ხოლო კვამლი და ცეცხლი თან სდევნიდა მათ ყველგან. ისინი გაიგუდნენ და დაიწვნენ ლიფტებში, დერეფნებში, კიბის საფეხურებზე, ნომრებში. რამდენიმე წუთში 21-სართულიანი შენობა დაემსგავსა ანთებულ ჩირაღდანს. შენობის ფანჯრებიდან ადამიანები მოითხოვდნენ შველას. ზოგიერთმა მათგანმა ვერ გაუძლო მაღალ ტემპერატურას, მხუთავ კვამლს და გადახტა სასტუმროს ფანჯრებიდან. ასფალტზე მონახეს 40 გვამი.

სეულის ყველა სახანძრო ძალები მიყვანილი იყო სასტუმროსთან. ადამიანების ნაწილი გადაარჩინეს სახანძრო კიბეებით, მაგრამ არცერთი კიბე მე-8 სართულზე მაღლა არ წვდებოდა. ხალხის ნაწილი გადაარჩინეს შვეულმფრენებიდან. ცეცხლი ბობოქრობდა 8 საათის მანძილზე და დაიწვა ყველაფერი, რისი დაწვაც შეიძლებოდა. ერთი დიპლომატი გადარჩა წყლით გავსებულ აბაზანაში ჩაწოლილი.

სახელმწიფო კომისიამ დაადანაშაულა დამპროექტებელი ინჟინრები, ვინაიდან სასტუმროს თაღები და კედლები მოპირკეთებული იყო სწრაფად აალებადი მასალებით, კერძოდ, ბრინჯის ქაღალდით, ბრინჯის ჩალით და ხის პანელებით, რის გამოც ასე სწრაფად გავრცელდა ცეცხლი.

სეულის სასტუმროს ხანძარმა იმსხვერპლა 163 ადამიანი, მოიწამლა 64.

# ხანძარი დიუსელდორფის აეროპორტში

1996 წლის 11 აპრილს მთავრდებოდა აღდგომის დღესასწაული, გერმანიაში მხიარულობდა ყველა, სადღესასწაულო ატმოსფერო იყო დიუსელდორფის აეროპორტშიც. უეცრად ერთმა მოსამსახურემ იგრძნო კვამლის სუნი და მაშინვე მოახსენა ხელმძღვანელობას. დაიწყეს კვამლის კერის ძებნა, აღმოჩნდა, რომ კვამლს ახლდა მომწამლავი გაზის სუნი, რომელიც ამოდიოდა სარდაფიდან. დააპირეს ჩაქრობა საკუთარი ძალებით, მაგრამ ქვევით ვერავინ ჩავიდა, რადგან იქიდან ამოდიოდა მომწამლავი კვამლი, ხოლო გაზების საწინააღმდეგო აირწინაღები აეროპორტში არ აღმოჩნდა. ოთახები და დარბაზები თანდათან ივსებოდა მხუთავი გაზით. მოულოდნელად გაითიშა ელექტრო განათებაც.

მოკლე ხანში ცეცხლი ისე სწრაფად გაძლიერდა და გავრცელდა, რომ საჭირო გახდა დიდი ძალების გამოყენება. აეროპორტის შენობა გაეხვია ცეცხლის ალში ისე, რომ გეგონებოდათ თითქოს შენობის გარშემო დაღვარეს აალებადი ნივთიერებაო. მოსამსახურე პერსონალმა და მგზავრებმა პანიკით მიატოვეს აეროპორტის შენობა და გამოვარდნენ გარეთ. ცეცხლი სწრაფად მოედო მოსაპირკეთებელ მასალებს, დადგა ისეთი სიცხე, რომ ქვებიც კი დადნა. გამოიძახეს ქალაქის მეხანძრეები, მაგრამ უკვე გვიან იყო. განგაშის სიგნალი მოისმინეს მფრინავებმა და თვითმფრინავების შეაცვლევინეს ფრენის კურსი. აეროპორტის თავზე ადიოდა შავი კვამლის ღრუბლები.

ათი წუთის შემდეგ ქალაქიდან მოვიდა სახანძრო მანქანები, მაგრამ ცეცხლი უკვე ბობოქრობდა პირველ და მეორე სართულებზე. მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ქვედა სართულზე იმყოფებოდნენ ახლადმოსული მგზავრები, რომლებიც ელოდებოდნენ ბარგს. როგორც კი მათ ჩაყლაპეს კვამლი, მაშინვე დაკარგეს გრძნობა და დაეცნენ იატაკზე, ისინი შეეცადნენ გარეთ გასვლას, მაგრამ კარებები ჩაკეტილი იყო, ხოლო მომსახურე პერსონალი არ იყო ადგილზე, ამიტომ მათ ვერ შეძლეს გაქცევით თავის შველა. აეროპორტის ხელმძღვანელობამ პანიკის გამო დაუშვა სხვა შეცდომაც, კერძოდ, გამორთო ყველგან ელექტრო ძაბვა, რის შედეგად ლიფტებში მყოფმა ადამიანებმა ვერ შეძლეს თავის დაღწევა.

ცეცხლთან ბრძოლა გაგრძელდა 4 საათის მანძილზე. როგორც იქნა ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ აეროპორტის თანამედროვე შენობა, რომელიც აგებული იყო ძირითადად ბეტონის, ალუმინის და მინისაგან, რითაც ამაყობდნენ დიუსელდორფელები, მთლიანად იყო განადგურებული. მატერიალურმა ზარალმა მიაღწია რამდენიმე მილიონ გერმანულ მარკას.

ამ ტრაგედიის შედეგად დაიღუპა 20 ადამიანი, ხოლო 60 ადამიანი გახდა ინვალიდი, სხეულის მძიმე ხარისხის დამწვრობის გამო. გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა, რომ ხანძრის გაჩენის მიზეზი იყო ელექტროშედუღების სამუშაოები, რკინის მოედანზე, საიდანაც ნაპერწკლები ჩაცვივდა სარდაფის საბარგო განყოფილებაში, იქ ცეცხლი გაუჩნდა დაწყობილ ნივთებს, შემდეგ ცეცხლი მოედო ელექტროსადენებს, ხოლო ხანძრის გავრცელებას ხელი შეუწყო სავენტილაციო არხებმა, საიდანაც ცეცხლი აყიდა ზედა სართულებზე.

## ხანძრების ქრონოლოგია

– 1972 წელს იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა 119 ადამიანი;

– 1974 წელს იაპონიის ქალაქ კუმამოტოში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა 99 ადამიანი, ხოლო 100-ზე მეტი დაშავდა.

– 1973 წლის 1 სექტემბერს კოპენჰაგენში დაიწვა სასტუმრო „ხაფნია“, კვამლის და ცეცხლის მსხვერპლი გახდა 34 ადამიანი.

– 1974 წლის თებერვალში სან-პაულოს 25-სართულიანი სასტუმროს „ჯოელმას“ გაუჩნდა ხანძარი. ადამიანების ნაწილი აყიდა შენობის სახურავზე, ნაწილი ჩამოხტა უფრო დაბალი შენობის სახურავზე. სულ დაიღუპა 179 ადამიანი, ხოლო 300 ადამიანმა მიიღო სერიოზული ტრავმა.

– 1863 წლის 8 დეკემბერს სანტიაგო-დე-ჩილეში დაიწვა ეკლესია თავისი 2000 მლოცველით.

– 1876 წლის 5 დეკემბერს ნიუ-იორკის თეატრს („Конвей в Бруклине“ – რუს.) გაუჩნდა ხანძარი, რის შედეგად დაიღუპა 300 მაყურებელი.

– 1881 წლის დეკემბერში ვენის თეატრს გაუჩნდა ხანძარი, პანიკაში დაიღუპა 600 ადამიანი.

– 1883 წლის 13 იანვარს ქალაქ ბერდიჩევეში გაუჩნდა ხანძარი თეატრს და დაიღუპა 150 ადამიანი.

– 1887 წლის 25 მაისს პარიზის ოპერის თეატრის ხანძარმა იმსხვერპლა 200 ადამიანი.

– 1903 წლის 30 დეკემბერს ჩიკაგოს თეატრის „იროკეზის“ ხანძარში დაიღუპა 600 მაყურებელი.

– 1908 წლის 13 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბოიერტაუნეს „როუდ ოპერა ჰაუზის“ ხანძარში დაიღუპა 100 ადამიანი.

– 1909 წლის 15 თებერვალს აკაპულკოს თეატრის „ფლორესის“ ხანძარში დაიღუპა 250 მაყურებელი.

– 1974 წლის 1 თებერვალს ბრაზილიაში სან-პაულოს ერთ-ერთ 24-სართულიან ცათამბჯენს გაუჩნდა ხანძარი, სადაც ცეცხლსა და კვამლში დაიღუპა 189 ადამიანი.

– 1999 წლის 10 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში ხანძარი გაუჩნდა პარლონის საამქროს, სადაც ამზადებდნენ ჰიდრომინაიზოლს. ხანძრის შედეგად დაიღუპა 14 მუშა, ხოლო მრავალმა ადამიანმა მიიღო სერიოზული დამწვრობა.

– 1999 წლის 18 დეკემბერს მოსკოვში უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში გაჩნდა ხანძარი. მართალია ხანძარი ადვილად ჩააქრეს მეხანძრეებმა, მაგრამ 12 ადამიანი დაიწვა. ერთი სტუდენტი IV სართულიდან გადმოხტა და დაიღუპა. სამი დაიწვა ლიფტში.

– 1949 წელს ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის გარეუბანში ხანძრის შედეგად დაიღუპა 1700 ადამიანი, რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მძიმე დამწვრობა, ხოლო 100000 ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

– 1978 წელს ირანის ქალაქ აბადანში დაიწვა კინოთეატრი „რექსი", ხანძარში დაიღუპა 422 ადამიანი.

– 1986 წლის 1 იანვრის ღამეს კუნძულ პუერტო-რიკოზე, სასტუმრო „დიუპონ-პლასაში" (ქალაქ სან-ხუანში) გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც დაიღუპა 96 ადამიანი.

– 2000 წლის იანვარში უნგრეთში, ბუდაპეშტის სპორტულ კომპლექსში დილით ადრე გაჩნდა ხანძარი. სასწრაფოდ მოვიდა მეხანძრეთა ბრიგადა, რომელიც 4 საათი ებრძოდა ხანძარს. შენობის სახურავი მთლიანად დაიწვა და ჩამოინგრა. შენობამ მიიღო მნიშვნელოვანი დაზიანება, ხოლო ხელისუფლებამ განიცადა მატერიალური ზარალი.

– 2000 წლის იანვარში ავსტრიის ქალაქ სანტ-ამატაში, ტექნო-მუსიკის მსხვერპლი გახდა 74 ახალგაზრდა, რომლებიც საღამოს დროს ატარებდნენ „ჯოის" დისკო-ბარში. ახალგაზრდები ფეხზე ხტუნვით ცეკვავდნენ უახლოეს მოდურ ცეკვას. ბარის იატაკზე კოჭის სიმაღლეზე იყო დაყრილი პოლისტიროლის ნაფხვენი.



ერთმა მოცეკვავემ სიგარეტით წაუკიდა ცეცხლი საჰაერო ბუშტს, რომელიც ავსებული ყოფილა წყალბადის გაზით, რის გამოც გაჩნდა ხანძარი.

ასეთივე შემთხვევა მოხდა ქ. ობერდორფის გარეუბანში სხვა დისკოთეკაზე. ხანძარში დაიწვა 10 ახალგაზრდა.

საკვირველი ამბავია, სანამ არ დაიწვა 84 ადამიანი, მანამდე ვერ მიხვდნენ, რომ პოლისტიროლის ნაფხვენი საშიში ნივთიერება ყოფილა.

– რუსეთის ქალაქ პრიმორსკში 2000 წლის იანვარში ხანძარი გაუჩნდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოს შენობას. შენობა აგებული იყო ძირითადად ხის მასალისგან, ამიტომ ხანძარი სწრაფად გავრცელდა მთელ შენობაში. მოსულ მეხანძრეებს საავადმყოფოს შენობის ადგილზე დახვდა ნანგრევების გროვა და ფერფლი. ცეცხლში ცოცხლად დაიწვა 17 ადამიანი, ხოლო რამდენიმემ მიიღო მძიმე დამწვრობა.



– 2000 წლის 23 თებერვალს რუსეთის ქალაქ კემეროვოში ხანძარი გაუჩნდა შინაგანი ორგანოების სამმართველოს 3-სართულიან შენობას. შენობა დაიწვა მთლიანად, ადგილზევე დაიღუპა ორგანოს 7 მუშაკი, ათობით ადამიანმა მიიღო დამწვრობა. გამოძიების ვერსიით ადგილი ჰქონდა განზრახ ცეცხლის გაჩენას შენობის მრავალ ადგილზე ერთდროულად.



– 2000 წლის თებერვლის დასაწყისში სამხრეთ აფრიკაში კეიპტაუნის გარშემო, ტყეებს გაუჩნდა საშინელი ხანძარი, რომელიც სწრაფად გავრცელდა დიდ ტერიტორიაზე და მიაღწია დასახლებამდეც. ასობით მეხანძრე და სამხედრო საზღვაო ძალების ჯარისკაცები 5 დღე-

ღამეს შეუწყვეტლივ იბრძოდნენ ხანძრის ჩასაქრობად. ათასობით ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა საცხოვრებელი სახლები.

– 2003 წლის ოქტომბერში ხანძარი მძვინვარებდა აშშ კალიფორნიის შტატში. ხანძარმა გაანადგურა 300000 ჰექტარი ტერიტორია, დაიწვა 4000 სახლი, დაიღუპა 300 ადამიანი, ზარალმა შეადგინა 2 მილიარდი დოლარი.

## ხანძრები ატომურ ელექტროსადგურებში

– 1975 წლის 22 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების „ბრაუნს ფერის" ელექტროსადგურს გაუჩნდა ხანძარი. მატერიალურმა ზარალმა მიაღწია 10 მილიონ დოლარს. 2 რეაქტორის ბლოკები გამოვიდა მწყობრიდან. საბედნიეროდ, თვითონ რეაქტორები არ დაზიანებულა.

– 1978 წელს რუსეთში ხანძარი გაუჩნდა ბელოიარსკის ატომური ელექტროსადგურს. ჩამოინგრა სამანქანო განყოფილების 960 კვადრატული მეტრი ფართობის სახურავი. სასიკვდილოდ მოიწამლა 25 ადამიანი წვის პროდუქტებით. მატერიალურმა ზარალმა შეადგინა მაშინდელი 280000 რუბლი.

– 1982 წლის 15 ოქტომბერს ხანძარი გაუჩნდა სომხეთის ატომურ ელექტროსადგურს. მეხანძრეები 6 საათის მანძილზე აქრობდნენ ხანძარს. მატერიალური ზარალი იყო 1 მილიონი მანეთი.

– 1984 წლის 27 იანვარს ხანძარი გაჩნდა ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურში. წარმოიქმნა რეაქტორის უსაფრთხოების სისტემის განადგურების საშიშროება. დანახარჯებმა შეადგინა 1,5 მილიონი მანეთი.

## ჯოჯოხეთური ხანძარი სამარაში

1999 წლის 10 თებერვალს რუსეთის ქალაქ სამარაში, ხანძარი გაუჩნდა სამარის ოლქის შინაგან ორგანოების სამმართველოს 5-სართულიან შენობას. ცეცხლი თავდაპირველად წარმოიქმნა შენობის მეორე სართულზე 17 საათსა და 45 წუთზე. ამ დროს შენობაში იმყოფებოდა შინაგანი ორგანოების 300-ზე მეტი მუშაკი. მყრალი სუნის კვამლის თავდაპირველად მუშაკებმა არ მიაქციეს ყურადღება, რადგან ნაგვის ყუთების დაწვის სუნი გარედან ხშირად შემოდიოდა შენობაში. ორგანოს მუშაკებს ეგონათ, რომ ხანძარს ჩააქრობდნენ საკუთარი ძალებით, მაგრამ ხანძარი სწრაფად ვრცელდებოდა და ამიტომ 13 წუთის შემდეგ შეატყობინეს მეხანძრეებს. ხანძრის კერა მდებარეობდა შენობის II სართულის მეორე სადარბაზოში, მილიციის სამმართველოს უფროსის კაბინეტის გვერდით. როცა მოვიდა მეხანძრეთა 3 მანქანა,

ხანძარი უკვე გავრცელებული იყო III სართულზე. რამდენიმე წუთში ხანძარი გაუჩნდა მთელ შენობას, რომელიც გადიოდა კუიბიშევის ქუჩაზე.



თავდაპირველად ხანძრის ჩაქრობას ცდილობდა მეხანძრეთა მხოლოდ ერთი რაზმი. სხვები წყალს ქაჩავდნენ რევოლუციის მოედანზე, ესე იგი ხანძრის კერიდან ერთი კვარტლის დაშორებით. ახლომდებარე სახანძრო ჭა კი აღმოჩნდა ყინულის ქვეშ.

თვითონ შენობაში დაიწყო პანიკა. ადამიანები ეჯახებოდნენ და აქცევდნენ ერთმანეთს კვამლის სქელ ფენაში, გარბოდნენ გასასვლელისკენ. მაგრამ ცეცხლის კერა იყო სწორედ იქ, სადაც იყო კიბის უჯრედი. დერეფნებში უკვე იწვოდა ლინოლეუმი. ცეცხლი მოედო პლასტიკატს. სქელი, მყრალი და ცხელი კვამლისგან ბევრი მუშაკი მოიგუდა.

გარეთ გაქცევა მოახერხა მხოლოდ მთავარ სადარბაზოსთან ახლო მყოფმა ადამიანებმა, მათი უმრავლესობა გადარჩა. ხანძარი უკვე მოედო მილიციის სამმართველოს ორივე ფრთას. ხანძრის ჩაქრობა ან შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ცეცხლი მოკიდა ხის სახურავს და უკვე მთლიანი შენობა გაეხვია ცეცხლში და იქ მყოფთ აღარ დაუტოვა გადარჩენის შანსი. ხანძრის გაჩენის მომენტში, შენობაში სათადარიგო გასასვლელები ჩაიხერგა, ხოლო სახანძრო სიგნალიზაცია გაითიშა. განადგურდა ასობით სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტაცია.

ხალხი მიაწყდა ფანჯრებს. ისინი ითხოვდნენ შველას. მეხანძრეების მაშველი კიბეები არ იყო საკმარისი. ფანჯრებზე ჩამოკიდებულთა ხელებმა დიდხანს ვერ გაუძლეს და ჩამოცვივდნენ ძირს. მეხანძრეებს არ ჰქონდათ ბრეზენტები, ხოლო ახლო-მახლო მოსახლეობისთვის რომ გამოერთმიათ საბნები და ლეიბები, ვერ მოიფიქრეს. რამდენიმე ცეცხლმოდებული და კვამლისგან დარეტიანებული ადამიანი, თვითონ გადმოხტა შენობიდან. მეხანძრეთა კიბეები მისწვდა მხოლოდ მესამე სართულამდე, შენობა კი ხუთსართულიანი იყო. შენობიდან გადმომხტართაგან უმრავლესობა დაიღუპა.

შენობაში მდებარეობდა საგამოძიებო იზოლატორი, იქ მყოფი

პატიმრები სწრაფად გამოიყვანეს გარეთ და გადაარჩინეს დაღუპვას. ქუჩაში გააჩერეს სამგზავრო ავტობუსი, ჩამოსვეს მგზავრები და სალონში შეიყვანეს პატიმრები. ერთ პატიმარზე მოდიოდა ორი ზედამხედველი.

„სანამ ჩვენ მიგვყავდა პატიმრები, ჩვენი თანამშრომლები ფანჯრებიდან ხტებოდნენ და იღუპებოდნენ – ხოლო ჩვენ მათ ვერ ვუშველეთ" – იგონებს ერთი მილიციონერი. რა თქმა უნდა სასაცილოა, პატიმრები გადაარჩინეს, ორგანოს მუშაკები კი დახოცეს.

მე-4 სართულის მოსამსახურე პერსონალიდან ცოცხლად გადარჩენილები ჰყვებოდნენ, რომ როცა ისინი გამოიქცნენ შენობიდან, გადარბოდნენ გვამებზე, შეეცადნენ მათ ფეხზე დაყენებას, მაგრამ ისინი უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები.

ხანძარის კერაში ცეცხლის ტემპერატურა, ისე როგორც ბრძმედში, დაახლოებით 1000 გრადუსი იყო, იქ არსებული გვამებიდან ძვლებიც კი აღარ დარჩა. ვინაიდან მილიციის სამმართველოს შენობა მდებარეობდა ქალაქის ძველ რაიონში, მის ახლო-მახლო შენობები აგებული იყო ხის მასალისაგან. მეხანძრეები ასველებდნენ სხვა შენობებსაც ცეცხლი რომ არ გასჩენოდათ.

მეორე დღეს, შენობიდან გამოიტანეს დაღუპული ადამიანების ნარჩენები, რაც გვამებს აღარც კი ჰგავდა. გაძნელდა მათი ამოცნობაც. ზოგიერთი იცნეს ფოლაქების მიხედვით. დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ცნობები სხვადასხვა იყო. მხოლოდ სამი განყოფილებიდან დაიღუპა 40 ადამიანი. დიდი დანაკლისი განიცადა კრიმინალური ექსპერტიზის და საგამოძიებო განყოფილებებმა, ასევე ვიზების და რეგისტრაციის და სამძებრო განყოფილებებმა. გამოძიების განყოფილების უფროსი და მდივანი დაიღუპა, ისინი ნახეს აირწინაღებში. დაღუპულთა შორის აღმოჩნდა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" რედაქციის კორესპონდენტი ვალენტინა ნევეროვაც.

მილიციის სამმართველოს შენობის წინ მოაწყვეს 2 კარავი, სადაც აგროვებდნენ დამწვარი ადამიანების ნარჩენებს. 12 თებერვალს მოგროვილი იყო 57 ფრაგმენტი. ქალაქის მორგში მოგროვილი იყო ადამიანთა ფერფლი, ხელების და ფეხების ნარჩენები, თავის ქალები, მაგრამ როგორ უნდა ამოეცნოთ გვამები არავინ იცოდა. მთავრობამ გადაწყვიტა იმავე ადგილას აეგო თანამედროვე ახალი შენობა.

## ხანძარი „ოსტანკინოს" ტელეკოშკზე

მსოფლიოში ყველაზე მაღალი სატელევიზიო კოშკი მოსკოვში 1967 წელს ააგეს. კოშკის სიმაღლეა 540 მეტრი. მისი ავტორი იყო ცნობილი

არქიტექტორი ნიკიტინი. ოცი წლის შემდეგ ოსტანკინოს კოშკზე 10 მეტრით მაღალი კოშკი ააგეს კანადის დედაქალაქ ტორონტოში. კოშკს გააჩნია მეტად ორიგინალური უნიკალური კონსტრუქცია და ითვლება არა მხოლოდ მოსკოვის, არამედ მთელი რუსეთის სიამაყედ. კოშკის გარსი მოწყობილია მილის ფორმის რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაგან, რომლის შუაგულში დამონტაჟებულია მრავალი ცეცხლგამძლე მილები, მილებში კი გატარებულია სხვადასხვა დანიშნულების სადენები და ელექტროგაყვანილობა. ასევე დამონტაჟებულია სამგზავრო და სატვირთო რამდენიმე ლიფტი. კოშკს ვერტიკალურ მდგომარეობაში აკავებს 149 დაჭიმული ფოლადის ბაგირი. ხანძარმა გაწყვიტა 127 ბაგირი და მთელი დარჩა მხოლოდ 22. კოშკის შუაგულში, დაახლოებით 270 მეტრის სიმაღლეზე ფუნქციონირებს რესტორანი „მეშვიდე ცა". რომელიც მოპირკეთებულია ცეცხლგამძლე მასალებით.

2000 წლის 27 აგვისტოს დილის 10 საათზე, სადენების მოკლე ჩართვის შედეგად, დაახლოებით 435 მეტრის სიმაღლეზე, კოშკის შუაგულში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც დაიწყო სწრაფად გავრცელება ქვევით. კოშკში მყოფმა მომსახურე პერსონალმა სწრაფად დატოვა კოშკი და ამიტომ დაიღუპა მხოლოდ 3 ადამიანი, რომლებიც აღმოაჩინეს ჩამოვარდნილ ლიფტში. კოშკს ალყა შემოარტყეს მეხანძრეებმა და სამხედროებმა. კოშკის სიახლოვეს 500 მეტრის რადიუსში არავის უშვებდნენ. ვინაიდან წყლის მიწოდება ამ სიმაღლეზე შეუძლებელი იყო, მეხანძრეები ხანძარს აქრობდნენ ხელის ქაფიანი ცეცხლჩამქრობებით, რომლებიც ხელით აჰქონდათ 300-400 მეტრის სიმაღლეზე. ცეცხლი ძირითადად გავრცელდა კოშკის შუაგულში, იქ, სადაც დამონტაჟებული იყო კაბელები და ლიფტები. ხანძარი ჩამოვიდა 160 მეტრის სიმაღლემდე, სადაც მეხანძრეებმა ის საბოლოოდ ჩააქრეს მეორე დღის საღამოს 19 საათისთვის.



როგორც იუწყებოდნენ საინფორმაციო სამსახურები, ხანძრით არ დაზარალებულა რესტორანი „მეშვიდე ცა" და მის ქვემოთ მოთავსებული სატელევიზიო და რადიომაუწ-

ყებლობის აპარატურა, დოკუმენტაცია და აღჭურვილობა. კოშკის ბოლო 120-მეტრიანმა მონაკვეთმა, ცეცხლის მაღალი (1200$^0$C) ტემპერატურის გამო მიიღო უმნიშვნელო გადახრა, რამაც მის შემდგომ ექსპლოატაციას ხელი არ შეუშალა. გამოყოფილმა სახელმწიფო კომისიამ დაადგინა, რომ კოშკი ვარგისია, მხოლოდ საჭიროა მისი კაპიტალური შეკეთება. კერძოდ, უნდა გამოიცვალოს სადენები, ბაგირები და ლიფტები. აღდგენით სამუშაოებს დასჭირდება ერთ წელზე მეტი და 300 მილიონი დოლარი. ასევე საჭიროა დამონტაჟდეს თანამედროვე ხანძარსაქრობი მოწყობილობა.

ხანძრის გაჩენის მიზეზად სპეციალისტებს მიაჩნიათ ელექტროდენის მოკლე ჩართვა, რაც გამოიწვია სატელევიზიო კოშკის მეტისმეტმა გადატვირთვამ მრავალნაირი სადენებით და აპარატურით. როგორც გამოირკვა ოსტანკინოს კოშკით სატელევიზიო გადაცემების სამსახურების გარდა ასევე სარგებლობდნენ: მეხანძრეები, მილიცია, სამხედროები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, რადიომაუწყებლობა, მობილური და პეიჯერული კავშირგაბმულობის სამსახურები, რესტორანი, ტურისტები და რაც მთავარია არ იყო დაცული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები და არ გააჩნდათ ხანძრის ჩასაქრობი თანამედროვე ძვირადღირებული მოწყობილობები.

## ხანძარი სავაჭრო ცენტრში

ვიეტნამის ქალაქ ხო ში მინში 2002 წლის 28 ოქტომბერს ხანძარი გაუჩნდა 5-სართულიან სავაჭრო ცენტრის შენობას. ხანძრის გაჩენისას შენობაში იმყოფებოდა 500-ზე მეტი ადამიანი. ხანძარი სწრაფად გავრცელდა შენობაში. მაღალი ტემპერატურის და მხუთავი კვამლის გამო მეხანძრეები შენობაში ვერ შევიდნენ და ხანძარს გარედან აქრობდნენ; ხანძარი გაჩნდა მეორე სართულზე დისკოთეკის დარბაზში, ელექტროგაყვანილობის მოკლე ჩართვის შედეგად. ვინაიდან მეხანძრეებს არ აღმოაჩნდათ საჭირო რაოდენობის წყალი თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა დაღუპულთა რიცხვმა 200 ადამიანს გადააჭარბა, ხოლო საავადმყოფოებში მოათავსეს 150 დაშავებული. ზოგიერთი დაიღუპა შენობიდან გადმოხტომის შედეგად. ცეცხლის ჩაქრობა მეხანძრეებმა ვერ შეძლეს და სავაჭრო ცენტრი მთლიანად დაიწვა. აღსანიშნავია რომ შენობას ჰქონდა მხოლოდ ერთი გასასვლელი.

## ხანძარი საერთო საცხოვრებელში

2003 წლის 24 იანვარს ღამის 1 საათსა და 30 წუთზე ხანძარი გაჩნდა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერ-

სტუდენტის საერთო საცხოვრებლის 5-სართულიან შენობაში, რომელიც მდებარეობს მიკლუხო მაკლაის ქუჩაზე. ხანძარი გაჩნდა შენობის მეორე სართულზე და სწრაფად გავრცელდა ყველა სართულზე. ხანძრის ჩასაქრობად იბრძოდა მეხანძრეთა 50 რაზმი. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ხანძარი ჩაქრა დილით, შენობა ისე დაზიანდა, რომ ის აღარ გამოდგებოდა, აუცილებელია მისი დანგრევა-აღება და ახალი შენობის აგება. ხანძრის შედეგად ადგილზე დაიღუპა 32 სტუდენტი, 1 გარდაიცვალა საავადმყოფოში, სერიოზული ტრავმები მიიღო 52 სტუდენტმა. საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა 220 სტუდენტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ექსპერტების დასკვნით სტუდენტები ძირითადად დაიღუპნენ მომწამლავი კვამლისაგან. სხეულის კიდურების მოტეხილობა მიიღო შენობიდან გადმომხტარმა სტუდენტებმა. ხანძრის გაჩენის მიზეზად მიიჩნიეს ელექტროგაყვანილობის მოკლე ჩართვა. დაზარალებულებმა აღიარეს, რომ შენობის შიგნით ციოდა და ჩართული ჰქონდათ ელექტროღუმელები.

# 10. ეკოლოგიური კატასტროფები

## ბუნების დაბინძურებით მოწამლული ადამიანები

იაპონიის კუნძულის კიუსიუს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს დასახლება მინამატა. აქ მცხოვრები ადამიანები ძირითადად იკვებებოდა თევზით, ძირითადად აქაურ წყლებში იჭერდნენ კეფალს, ქაშაყს, ქორჭილას, კიბორჩხალას, კრივეტს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მინამოტოში ამოქმედდა ქარხანა, თავდაპირველად თევზების რაოდენობა შემცირდა. შემდეგ დასახლებაში გაცოფდნენ კატები. ისინი თავს ესხმოდნენ ადამიანებს, კნაოდნენ, შემდეგ გარბოდნენ ზღვისაკენ, ხტებოდნენ წყალში და იხრჩობოდნენ. თოლიები ისარივით ეშვებოდნენ წყალში და სამუდამოდ იქ რჩებოდნენ. ნაპირზე გამორიყული თევზები ისეთი დარეტიანებული იყო, რომ მათ ბავშვებიც კი ადვილად იჭერდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაავადმყოფდნენ ადამიანებიც. ექიმებმა დაადგინეს, რომ ადამიანების ტვინი დაზიანებული იყო მძიმე მეტალის ნაწილაკებისაგან. გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა, რომ ავადმყოფობის გაჩენის მიზეზი იყო კონცერნი „ტისოს“ მიერ ზღვაში ჩაღვრილი საწარმოო ნარჩენები. ანალიზებით დადგინდა, რომ ზღვის წყალში აღმოჩნდა სელენი, ტალი, მარგანეცი, სპილენძი, ტყვია, ვერცხლისწყალი.

ექიმების მოთხოვნით ქარხნის მეპატრონეებმა წარმოების ნარჩენები აღარ ჩაღვარეს ზღვაში და ჩაყარეს მდინარეში. სამი თვის შემდეგ ავადმყოფობა გაუჩნდა მდინარის სანაპიროზე მდებარე სოფლების მცხოვრებლებს. წარმოების ნარჩენებით მოწამლული ადამიანების რიცხვმა 1960 წელს მიაღწია 100000-ს. ავადმყოფებს მოეშალათ სმენის, მხედველობის და გრძნობის სხვა ორგანოების ფუნქციები, ბავშვები იბადებოდნენ ეპილეფსიით დაავადებულნი და მეტყველების უნარწართმეულნი.

ექიმებისგან მიწოდებულმა ცნობებმა მთელი იაპონიის მოსახლეობა შეაშფოთა. საერთაშორისო ნორმებით თევზებში ვერცხლისწყლის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,4 ppm-ს. აღნიშნულ მიდამოებში დაჭერილ თევზებში კი ვერცხლისწყლის რაოდენობამ მიაღწია 35,7-ს.

იაპონიის ზღვის ყურე ტოგონურაში არავინ ბანაობს, საწარმოო ნარჩენებისგან წყალი აქ მოყავისფრო-მოწითალო ფერისაა. მეთევზეები სათევზაოდ შედიან ზღვაში 50-60 კმ-ს მანძილზე.

## ზღვაში ჩაღვრილი ნავთობი



1967 წლის 18 მარტს იტალიის გიგანტურმა ტანკერმა „ტორი კანიონმა“, რომლის სიგრძე იყო 300 მეტრი და გადაჰქონდა 120000 ტონა ნავთობი ქუვეიტიდან ინგლისში, განიცადა კატასტროფა, რასაც მოჰყვა უდიდესი ეკოლოგიური უბედურება. გემი მიცურავდა მოცემული კურსით, მაგრამ კაპიტნის ხიდიდან შენიშნეს, რომ გემიდან 25 კილომეტრის დაშორებით პირდაპირ მდებარეობს ბიშოპის კლდე. ვინაიდან გემის რადარების დანადგარმა დააფიქსირა კლდე, ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ უვნებლად გვერდი აევლოთ კლდისათვის. შტურმანის გაანგარიშებით კლდისთვის გვერდი უნდა აევლოთ დასავლეთის მხრიდან, მაგრამ მისი ანგარიში აღმოჩნდა არასწორი.

გემზე შეამოწმეს მისი მდებარეობა ადგილი და გამოირკვა, რომ გემი აცდა კურსს, ის მიცურავდა არა დასავლეთით, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებით. დილის 8 საათზე ტანკერი მდებარეობდა სრუტიდან 14 კილომეტრის მანძილზე. კაპიტანმა პატრენი რუჯიატიმ შეასწორა კურსი ისე, რომ გემს უნდა გაევლო სილის კუნძულებიდან 6 კილომეტრის მოშორებით, მაგრამ წარმოიქმნა საშიშროება, რომ გემი შეიძლება წამოგებოდა წყალქვეშა კლდეებს, რომლებიც მდებარეობდა ამ აკვატორიაში. სწორედ სილის კუნძულებსა და ლენდენდს შორის მდებარეობს „შვიდი კლდე“, რომლებიც გახდა მრავალი გემის დაღუპვის მიზეზი. ნორმალურ ამინდში და მიქცევის დროს ეს კლდეები კარგად მოჩანს და გემები მშვიდად აუვლიან ხოლმე გვერდს. მაგრამ მოქცევის დროს ისინი იმალება წყლის ქვეშ.

დილის ცხრა საათის დასაწყისში ტანკერი „ტერი კანონიდან“ მეზღვაურებმა დაინახეს მცურავი შუქურა, რომელიც იცავს გემებს „შვიდი კლდისაგან“. ისინი მაშინვე მიხვდნენ, რომ თუ გემი გზას გააგრძელებდა იგივე კურსით, ის დაეჯახებოდა კლდეს. შუქურაზე გაშალეს გამაფრთხილებელი დროშა და ისროლეს რაკეტა. მაგრამ ტანკერიდან არავითარი საპასუხო სიგნალი არ მოჰყვა.

გემის კაპიტანმა გათიშა ავტომატური სანავიგაციო მოწყობილობა, მოაბრუნა გემი ცხვირით ჩრდილოეთისაკენ და კვლავ ჩართო მოწყობილობა. მაგრამ მოულოდნელად წინა მხრიდან გამოჩნდა ორი თევზსაჭერი გემი. მოფიქრებისთვის დრო აღარ რჩებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა კაპიტანი რუჯიატი, რომ კატასტროფის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. ის იმედოვნებდა, რომ კლდეებს ზემოდან გადაცურავდა. მაგრამ ტანკერი აღარ ემორჩილებოდა შტურვალს. 8 საათსა და 50 წუთზე „ტორი კანიონი" წამოეგო პირველ კლდეს და გაჩერდა. კაპიტანს ჩაუვარდა ენა. ტანკერიდან ზღვაში იღვრებოდა ნავთობი. ტანკერს ალყა შემოარტყა ნავთობის ლაქებმა. კაპიტანმა უბრძანა ტანკერიდან აეღელვარათ ნავთობი. მას ეგონა, რომ შემსუბუქებულ გემს მოხსნიდა კლდიდან და შეძლებდა ცურვას. 11 საათზე უკვე გამოჩნდა ინგლისის პირველი შვეულმფრენი. ერთი საათის შემდეგ მოცურდა ჰოლანდიის მაშველი ბუქსირი „უტრეხტი". სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გემის ბუქსირით მოხსნა კლდიდან შეუძლებელი იყო.

განგაშის სიგნალი გადასცეს სანაპიროებზე. დღის 2 საათზე ტანკერთან მოცურდა კიდევ სამი ბუქსირი და ორი გემი. საღამოსთვის ზღვაში უკვე ჩაღვრილი იყო 40 000 ტონა ნავთობი. მეორე დღეს უბედურებაში მყოფი ტანკერის გარშემო შეიკრიბა ათობით გემი. 21 მარტს ტანკერში მოხდა აფეთქება, რომელმაც გაგლიჯა მისი კორპუსი. ამოვარდა ქარი და ზღვა აღელდა. შეიქმნა საშიშროება, რომ ნავთობი მიაღწევდა სანაპიროებამდე.

და აი დადგა შავი დღე. 25 მარტს ნავთობმა მიაღწია სანაპირომდე. შავ სქელ ტალახში უმწეოდ ფართხალებდა ათასობით თოლია, ჩვამები და ზღვის სხვა ფრინველები. პარალელურად კი ოთხი ბუქსირი ცდილობდა ტანკერის მოხსნას კლდიდან, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. ერთ-ერთი მცდელობის პროცესში ტანკერი შუაზე გაისლიჩა და ზღვაში ჩაიღვარა კიდევ 50 000 ტონა ნავთობი. 27 მარტს ლენდ-ენდს და ნიუკეს შორის ზღვა და სანაპირო გაშავებული იყო ნავთობით.

ნავთობის ვეებერთელა ლაქები მიუახლოვდა ინგლისის და საფრანგეთის სანაპიროებს. ინგლისელებმა თვითმფრინავებიდან დაბომბეს ტანკერი „ტორი კანიონი", რის შედეგად კატასტროფის ადგილზე გაჩნდა ხანძარი და მთლიანად დაიწვა ტანკერში დარჩენილი ნავთობი.

იტალიის ქალაქ გენუაში ჩატარებულმა სასამართლო პროცესმა, კატასტროფაში დამნაშავედ ცნო კაპიტანი რუჯიატი. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი მასშტაბის ეკოლოგიური კატასტროფა.

## დაღუპული გედები

ინგლისში ლონდონთან ახლოს მდებარე ქალაქ ბატერსთან მდინარე ტემზაში ჩაიძირა მოტობარჟა, რომელსაც გადაჰქონდა 200 ტონა ნავთობი. ასობით გედმა ჩაყლაპა შავი ცხიმიანი ხსნარი. მათ ელოდათ დაღუპვა. მოსახლეობა შეუდგა ფრინველების გადარჩენის ღონისძიებების ჩატარებას. მდინარე ტემზაზე დაცურავდნენ ნავები და კატერები, რომლებიც ნაპირისაკენ მიერეკებოდნენ ფრინველებს, სადაც მათ მაშველები ხვდებოდნენ. ზოგიერთი გედის გადარჩენა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან მათ ჩაყლაპეს ნავთობი.

ცოცხლად გადარჩენილ გედებს ფრთებიდან მოაშორეს ნავთობი და გაუკეთეს საპნიანი აბაზანები.

P.S. ნორვეგიის გამოჩენილი მოგზაური ტურ ჰეიერდალი, რომელმაც ჩაატარა სამეცნიერო კვლევითი მოგზაურობანი სპეციალური ნავებით „რა-1“ და „რა-2“-ით, წერდა რომ 43 დღე-ღამის მოგზაურობის მანძილზე, 4350 კილომეტრი მან იცურა ნავთობით გაჭუჭყიანებულ ოკეანეში. 2 სანტიმეტრი სისქის ნავთობის აპკი 500 კვადრატული კილომეტრის ფართობზე ფარავდა წყლის ზედაპირს. შემდეგ ნავთობი გაიშალა უფრო დიდ ფართობზე.

## კატასტროფა საფრანგეთის სანაპიროზე

სპარსეთის ყურეში 1978 წლის მარტში სუპერ-ტანკერი „ამოკო კადისი“ დაიტვირთა 223 ათასი ტონა ნავთობით და გაცურა ჰოლანდიის პორტ როტერდამისკენ. 16 მარტის შუადღეს შტურმანმა შეატყობინა კაპიტანს, რომ ტანკერი ცუდად ემორჩილებოდა ლა-მანშის სრუტეს, ის იმყოფებოდა ბისკაის ყურესთან, რომელსაც მეზღვაურები ეძახიან „გრიგალის ტომარას“. აქ ბობოქრობდა 10 ბალის სიძლიერის შტორმი. ვეებერთელა ტალღები ილეწებოდა გემბანზე.

კაპიტანმა გამოიძახა შემკეთებლები, რომლებმაც აღმოაჩინეს შტურვალის ჰიდრავლიკური მართვის სისტემაში გაუმართაობა. დრო გადიოდა, მაგრამ მოუწესრიგებლობა ვერ იქნა აღდგენილი. ფაქტიურად ტანკერი მიცურავდა უმართავად, თვინებურად. კუნძულ უესანთან ტანკერმა მთლიანად დაკარგა კურსი და დაიწყო მობრუნება.

სერიოზულად შეშფოთებული კაპიტანი პასკალ ბერდარი რადიოთი დაუკავშირდა ტანკერის მეპატრონეს. ეს ლაპარაკი მოისმინა გერმანიის მაშველმა ბაქსირმა „პაციფიკმა“, რომლის კაპიტანმა შესთავაზა დახმარება, რისთვისაც ის მიიღებდა გარკვეულ გასამრჯელოს. მაგრამ ტანკერის კაპიტანმა უპასუხა, რომ ჯერ არ საჭიროებს დახმარებას, ხოლო ბუქსირებაზე თანახმაა. სანამ ისინი ვაჭრობდნენ

„ამოკო კადისი“ მიუახლოვდა წყალქვეშა კლდეებს კუნძულ უესანთან. როცა დარწმუნდა გამოუვალ მდგომარეობაში ბერნარდი დათანხმდა კონტრაქტის დადებაზე.

შტორმულ ამინდში დიდი წვალების შემდეგ „პაციფიკმა“ სუპერტანკერი აიყვანა ბუქსირზე და მიჰყავდა ის სამი საათის მანძილზე. მაგრამ ამის შემდეგ საბუქსირო ბაგირი გაწყდა. სანამ ხელახლა აიყვანდნენ ბუქსირზე, გავიდა კიდევ 3 საათი. ამ დროის მანძილზე უმართავი „ამოკო კადისი“ კიდევ უფრო მიუახლოვდა წყალქვეშა კლდეებს. რამდენიმე ხნის შემდეგ მეორედ ჩაბმული ბაგირებიც გაწყდა და სუპერტანკერი წაიღო კლდეებისაკენ.

გაისმა საშინელი ღრჭიალი და სუპერტანკერი წამოეგო კლდეზე. კაპიტანმა გასცა ბრძანება გადაეცათ უბედურების სიგნალი „SOS“. სუპერტანკერი ნელ-ნელა გადაიხარა გვერდზე და ჩაჯდა.

მაშველმა ბუქსირებმა და გემებმა ვერ უშველეს სუპერტანკერს. საფრანგეთის შვეულმფრენებმა გადაარჩინეს ეკიპაჟის მთლიანი შემადგენლობა.

17 მარტის დილას სუპერტანკერი გადატყდა შუაზე. ზღვაში ჩაიღვარა ნავთობი, რომელიც ზღვის ტალღებმა წაიღო სანაპიროებისაკენ. ერთ დღეში ზღვაში ჩაიღვარა დაახლოებით 80 ათასი ტონა ნავთობი. 18 მარტს საღამოს მოცურდა ტანკერი „დარინა“, რომ დარჩენილი ნავთობი გადაეტუმბა, მაგრამ ეს ვერ შეძლეს. ზღვის მოქცევამ კი შავი ნავთობით დაფარა სანაპიროები და ზღვის ნაპირის ტერიტორიები.

უნდოდათ ნავთობისთვის ცეცხლის მოკიდება, მაგრამ გადაიფიქრეს, რადგან შეიძლება ხანძარი გაჩენოდა სანაპიროს შენობებს. ათასობით ჯარისკაცი და მოსახლეობა იღებდა ნავთობს ზღვის სანაპიროზე. 21 მარტისთვის გაანგარიშების შედეგად ზღვაში ჩაიღვარა დაახლოებით 170 ათასი ტონა ნავთობი. პრაქტიკულად ყველა 223 000 ტონა ნავთობი ჩაიღვარა ზღვაში, რადგან ვერ მოახერხეს მისი გადაქაჩვა სხვა ტანკერზე. ჟურნალისტებმა ამ უბედურებას უწოდეს საუკუნის კატასტროფა. საფრანგეთის გარდა ძალიან დაზარალდა ინგლისის სანაპიროებიც.

ორი კვირის შემდეგ ნავთობი მთლიანად გაიშალა აღელვებულ ოკეანეში. სულ შეგროვილ იქნა 4500 დაღუპული ფრინველი. ყველაზე მეტი დაიხოცა ალკები. თევზების სხეულში აღმოჩენილ იქნა ნავთობი. დაიღუპა ფლორის და ფაუნის ათასობით წარმომადგენელი.

# აშშ ტანკერის კატასტროფა



1989 წლის 24 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ტანკერი „ექსონ ვალტისი“ ნახევარკუნძულ ალიასკის მახლობლად დაჯდა რიფზე. ის მოხსნეს რიფიდან და ბუქსირით წაიღეს სარემონტოდ. ზღვაში დაიღვარა 53 მილიონი გალონი ნავთობი.

კომისიამ დაადგინა, რომ ტანკერის კაპიტანი ჯონ ჰეიზვულდი მთვრალი იყო და დაარღვია გემის მართვის წესები. მან ჩართო გემის ავტოპილოტი და მიატოვა კაპიტანის სადგომი ხიდი. რამდენიმე ხნის შემდეგ როცა საჭირო გახდა სვლის კურსის შეცვლა მისმა მოადგილემ ვერ მოახერხა, ვინაიდან ავტოპილოტმა არ დაუშვა შტურვალის მექანიზმის გადართვა. სანამ გაიგებდნენ მიზეზს გავიდა 90 წამი, რომელიც აღმოჩნდა საბედისწერო. უზარმაზარი ტანკერი, რომლის სიგრძე იყო 300 მეტრი, მიუხედავად შტურვალის ტრიალისა, მაინც წავიდა ინერციით სხვა მიმართულებით, წამოეგო წყალქვეშა კლდეს, რამაც გაგლიჯა ძირი.



ტანკერიდან ზღვაში ჩაღვრილმა ნავთობმა გააჭუჭყიანა ზღვა 2600 კვადრატულ კილომეტრის ფართობზე, ხოლო 800 კილომეტრის სიგრძეზე გააჭუჭყიანა სანაპიროები. დაიღუპა ათასობით ფრინველი და ზღვის ცხოველი. ზღვის წყლის გაწმენდაში დახარჯეს 100 მილიონ დოლარზე მეტი, ხოლო ზღვის ცხოველების და ფრინველების გადარჩენაზე 2 მილიონი დოლარი. კაპიტან ჯოზეფ ხეიზელვუდს მიუსაჯეს 3 წლით პატიმრობა და 10 000 დოლარის ჯარიმა.

# ომებისგან განადგურებული ბუნება

აქ ლაპარაკი იქნება ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ბუნებას აშკარად განზრახ ანადგურებდნენ, თავიანთი ბოროტი სურვილების აღსასრულებლად, რათა ზიანი და ზარალი მიადგეს სხვა ერებს, დახოცონ ისინი თავიანთი ბედნიერებისათვის

ჰეროდოტე (490-424 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თავის წიგნში „ისტორია" აღწერს სკიფების უკან დახევას „დარია დიდის" ჯარებისაგან: „მათ ამოავსეს წყაროები და ჭები, გაანადგურეს მიწები, გაანადგურეს ყველაფერი, რაც იზრდება... დატოვეს ცარიელი და უნაყოფო მიწები..."

თუკიდიდე (460-399 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ისტორიკოსი წერს, რომ სპარტელები ათენს თავს ესხმოდნენ მოსავლის აღების წინ, რომ გაეოხრებინათ ველები და ვერ აეღოთ მოსავალი. ასეთი ტაქტიკა მათ გამოიყენეს მრავალჯერ, სანამ არ შეარყიეს ათენის ეკონომიკური სიძლიერე დიდი ხნით.

მესამე პუნიკურ ომში (149-146 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) რომაელებმა გატეხეს კართაგენის დამცველთა თავგანწირული წინააღმდეგობა, რომლებიც იბრძოდნენ ყოველი სახლისათვის. ვინც გადარჩა ცოცხალი, გაყიდეს მონად. ქალაქი დაანგრიეს მთლიანად და ნიადაგზე მოაყარეს მარილი. ახალი კართაგენი წარმოიქმნა სხვა ადგილზე (ახლა მას ეწოდება ტუნისი).

ჩინგის ხანმა 1211-1215 წლებში დაიპყრო ჩრდილოეთი ჩინეთ, 1218-1221 წლებში დაიპყრო თურქმენეთი, ავღანეთი და მიაღწია მდინარე ინდამდე, ხოლო 1223 წელს შემოესია რუსეთს. მონღოლები გეგმაზომიერად ანადგურებდნენ ყველაფერს — წვავდნენ მოსავალს, მიერეკებოდნენ საქონელს, რომ ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები დაღუპულიყვნენ შიმშილით. მესოპოტამიაში ჩინგის ხანმა გაანადგურა სარწყავი სისტემა, რომელიც ანაწილებდა მდინარე ტიგროსის წყლებს. ის არხები შენდებოდა ათასი წლის მანძილზე, მაგრამ სისტემა ისეთი სისასტიკით იყო დანგრეული, რომ ნაყოფიერი მიწები გადაიქცა უდაბნოდ და მიწათმოქმედება ამ მიდამოებში ვერ იქნა აღდგენილი.

ამერიკელმა კოლონიზატორებმა ინდიელებს გაუნადგურეს სიმინდის ყანები, ხილის ბაღები, მარცვლეულის მარაგი და ქონება. ასეთი სამხედრო დოქტრინას სათავეში ჩაუდგა გენერალი ფილიპ შერიდანი. ამას ისინი აკეთებდნენ სისტემატიურად. კერძოდ 1861-1865 წლებში გენერალი უილიამ შერმანი ასევე მეთოდურად ანადგურებდა 4 მილიონ ჰექტარ ფართობის მიწას ატლანტას და საევანახოს ქალაქებს

შორის. ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს ამ მიდამოებში ჩაატარეს რამდენიმე საჰაერო თავდასხმა, რომ აალებადი ბომბებით გაენადგურებინათ მოსავალი.

გერმანელებმა 1944 წელს ჰოლანდიაში დატბორეს მღვის მარილიანი წყლით 20 000 ჰექტარი მოსავლიანი ველები. იმავე წელს ნორვეგიაში მათ გააოხრეს 1,2 მილიონი ჰექტარი ტერიტორია და დახოცეს ათასობით სული პირუტყვი.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კორეასთან ომში 1950-1953 წლებში დაბომბა წყალსაცავები, დატბორა დიდი ფართობის ტერიტორიები, ცეცხლი წაუკიდეს ტყეებს და გადაწვეს მოსავლიანი ველები. სამეურნეო ომის ტაქტიკა, ბუნების და გარემო სივრცის მოწამვლა, მიმართული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, წარმოადგენს ამერიკული არმიის ძირითად დოქტრინას. ბუნების მიზნობრივი განადგურების მწვერვალი იყო ვიეტნამის მეორე ომი (1961-1975 წ.წ.). ვიეტნამში ამერიკელებმა გამოიყენეს ეკოლოგიური კატასტროფები. მათ ვიეტნამის მიწა-წყალზე ჩამოყარეს 14 მილიონი ბომბი და არტილერიის ჭურვი. ამერიკელებმა ვიეტნამის მიწაზე მოაფრქვეს 57000 ტონა ჰერბიციდი „ეიჯენტ ორანჯი" და დაახლოებით 23000 ტონა სხვა დეფოლანტები, რის შედეგად ყველა სახის მცენარეულობა განადგურდა. თვითმფრინავებიდან ასევე იყო ჩამოყრილი 170 კილოგრამი მომწამლავი გაზი „დიოქსინი", რომელიც მომაკვდინებლად მოქმედებს ადამიანების სასქესო ორგანოებზე, ხოლო ბავშვები იბადებიან მახინჯები. მათ გადახნეს და გაანადგურეს ტყეები. საერთოდ განადგურებული იყო 17 მილიონი ჰექტარის ფართობის მცენარეულობა. ქიმიური შხამებით მოწამლეს 202 000 ჰექტარი ფართობის ტყე. განადგურდა 19,6 მილიონი კუბომეტრი ხე-ტყე. 1, 11 მილიონ ჰექტარის ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობა შეიძლება იქნეს აღდგენილი 40 წლის შემდეგ. განადგურდა ასევე 85% ფრინველი, თევზი, ცხოველი. განადგურდა კაუჩუკის პლანტაციებიც 135 ათას ჰექტარზე. მოსავალთან ბრძოლის ოპერაციებს ამერიკელები ატარებდნენ ისე, როგორც სამხედრო ოპერაციებს. ამერიკელებმა ბულდოზერებით „დააუთოვეს" ვიეტნამის ასობით ჰექტარი ტერიტორია. მიწის პირისაგან აღგავეს ველები, სარწყავი არხები, სოფლები, სახლები, სამეურნეო ნაგებობები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვა ნაგებობები.

## კატასტროფა სპარსეთის ყურეში

ყველასათვის ცნობილია, რომ 1990 წლის ბოლოს ერაყის სახელმწიფოს მეთაურმა სადამ ჰუსეინმა ომი დაუწყო კუვეიტს, მისი დაპყრობის და ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდების მიზნით. დაპყრობის მიზნით მომპოვებელი 300 სადგურის დაბომბვის შედეგად მოხდა ეკოლოგიური კატასტროფა სპარსეთის ყურეში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიაზე. ცეცხლმოკიდებული ნავთობის ჭაბურღილები და ნავთობსაცავები, მეცნიერების გაანგარიშებით ყოველდღიურად ატმოსფეროში აფრქვევდნენ 177 ტონაზე მეტ აზოტის ჟანგს, ამის გარდა ოკუპირებული კუვეიტის ტერიტორიიდან სპარსეთის ყურის წყლებში იღვრება მილიონობით ბარელი ნედლი ნავთობი.

საუდის არაბეთის სანაპიროებზე გამოჩნდა ნავთობის გიგანტური ლაქები. საშიშროება დაემუქრა ასევე სპარსეთის ყურის ქვეყნების ფლორას და ფაუნას. სერიოზულად დაირღვა მილიონობით ადამიანის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ თუ ომი არ შეწყდებოდა მალე, ნავთობის სარეწი ადგილებიდან ცაში ასული ხანძრების კვამლი, ნაწილობრივ დაფარავდა მზეს და გამოიწვევდა პლანეტის გაციებას.

ევროპის, ამერიკის და აფრიკის თითქმის ყველა სახელმწიფოში, ასევე იაპონიაშიც მოხდა სპარსეთის ყურეში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, მანიფესტაციები.

როგორც კაცობრიობისთვის ცნობილია, სადამ ჰუსიენის სატანკო ჯარები და სარაკეტო დანადგარები 1991 წლის იანვარ-თებერვალში გაანადგურა ა.შ.შ.-ის და ნატოს ჯარების ავიაციამ და დამპყრობელი აიძულეს შეეწყვიტა ომი კუვეიტის წინააღმდეგ. წარმატებით დამთავრებულ ამ საომარ ოპერაციას ეწოდებოდა „ქარიშხალი უდაბნოში“.

## არალის ზღვის კატასტროფა

ახლა ძნელია იმის დამტკიცება, თუ ვინ იყო ის პიროვნება რომელმაც დაადგინა, რომ ძირითადი მესაქონლეები და მეთევზეები უნდა გახდნენ მიწათმოქმედნი და ცხენების, ძროხების მოშენების და თევზის ჭერის ნაცვლად, უნდა მოიყვანონ ბრინჯის და ბამბის მოსავალიო.

ყაზახეთში გადახნეს საძოვრები, გაჩეხეს ტყეები, ამოაშრეს დაჭაობებული და წყლიანი ადგილები, რამაც გამოიწვია ნიადაგის მკვეთრი ცვლილებები ამ მხარეში. მდინარე სირდარიეს ხეობაში გააკეთეს 16 წყალსაცავი. მდინარეში წყლის დენის სიჩქარე შემცირდა 3-4 ჯერ. საგაზაფხულო წყალმოვარდნები, რომლებიც რეცხავდა და ასუფთავებდა მდინარის კალაპოტს, შეწყდა. ბუნებრივი ნაკადულები

და ტბები დაშრა, წარმოიქმნა მლაშობები. მხარეში გაუარესდა ბუნებრივი, კლიმატური პირობები. არალის ზღვის ინტენსიურმა დაშრობამ და მის გარშემო მცენარეულობის დაღუპვამ გამოიწვია ნიადაგის გამოფიტვა.

დასალევი წყლის გაყვანილობა სათავეს ღებულობს მდინარე სირდარიაში და მრავალი სოფელი და ქალაქი სასმელ წყალს იღებს პირდაპირ მდინარიდან, ყოველგვარი გაწმენდის გარეშე. ბაქტერიების გარდა წყალი გაჭუჭყიანებულია მომწამვლავი ქიმიკატებით. მაგრამ ხალხი სვამს, რადგან სხვა წყლები არ არსებობს. ასევე არ არსებობს საკანალიზაციო სისტემები და სახეზე არის მეტისმეტი ეპიდემიური სიტუაცია. ბოლო 15 წლის მანძილზე მუცლის ტიფით დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდა 29-ჯერ. ნაწლავების ძლიერი ინფექციით დაავადებულთა რიცხვმა შეადგინა 70000 ადამიანი. ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული იყო 60000 ადამიანი. ბავშვების 3/4 იღუპება პირველივე წელიწადს.

სოფლის მეურნეობის მესაქონლეობიდან მკვეთრად გადაყვანამ ბრინჯის და ბამბის მოსაყვანოვაზე, ბაღ-ბოსტნების ფართობების მკვეთრად შემცირებამ, გამოიწვია მოსახლეობის კვების რაციონის დეფორმაცია და ზოგიერთი პროდუქტის ქრონიკული დეფიციტი. ბოსტნეული მოწამლულია ნიტრატებით, ამ მხარეში დაჭერილი თევზი საჭმელად უვარგისია, რადგან თევზების ხორცში არის შხამქიმიკატები. ბოლო დროს ბავშვებში 7-ჯერ გაიზარდა ჰიპოტროფია და რახიტი, ასევე გაიზარდა მახინჯი და მკვდარი ბავშვების შობადობა. თანდათან იზრდება ონკოლიგიური ავადმყოფობაც.

იღუპება ზღვა და მასთან, ერთად მოსახლეობა, ცხოველები და მცენარეულობა. ადამიანებში გაძლიერებულია მომავლის წინაშე შიში..

არალის ზღვის დაშრობაში და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიურ კატასტროფაში დამნაშავეებია ის პირები, რომლებიც მოითხოვდნენ უფრო მეტი რაოდენობის ბრინჯის და ბამბის მოყვანას. მათ გამოსცეს დამაშინებელი დადგენილებები, რომელთა შეუსრულებლობის შეთხვევაში, იმუქრებოდნენ პარტბილეთის ჩამორთმევით, დაპატიმრებით.

არალის ზღვა დაიღუპა ადამიანების ქმედებებით, დაწყებული ლენინიდან და დამთავრებული ბრეჟნევით. ყაზახეთში შეიქმნა ასეთი ანდაზები : „არ მოიყვან ბამბას - შენ წაგიყვანენ“, „არ აიღებ ბამბას - შენ აგიღებენ“.

მემინდვრეობაში ბამბის მოყვანამ შეადგინა 75-80%. რამაც მრავალი წლების მანძილზე და ასევე შხამქიმიკატების ზედმეტად

გამოყენებამ, გამოიწვია ნიადაგის გამოფიტვა, არალის ტექნოგენური კატასტროფა და მასიური ეკოლოგიური უბედურებანი ყაზახეთში.

ბამდე უხვი მოსავალის მისაღებად რესპუბლიკაში გაიყვანეს 200000 კილომეტრი სიგრძის არხები პირდაპირ მიწაზე და ქვიშაში, არხის ძირის დაუბეტონებლად, რის შედეგად წყალი იკარგება დიდი რაოდენობით. არალში წყლის დონემ დაიწია 14 მეტრით, ხოლო სანაპიროების ხაზმა დაიხია 60-80 კილომეტრით. არალის გარშემო მიწა მოწამლულია შხამიანი მარილებით, პესტიციდებით, ჰერბიციდებით.

ახლა ეს შხამები ქარს მიაქვს აქეთ-იქით ასობით კილომეტრზე, ადამიანებს არ აქვთ გამოსავალი. ისინი განწირული არიან დასაღუპად. არალის ზღვის დაღუპვა თანდათან ნაცილი ხდება - ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელქმნილი ტექნოგენური კატასტროფა..

## გამწვანებული საჰარა



ყველასათვის ცნობილია, რომ საჰარა არის პაპანაქება უდაბნო – უზარმაზარი „ქვიშის ოკეანე". ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ფართობის უდაბნო, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკაში და უკავია აფრიკის კონტინენტის 1/4 ნაწილი. აფრიკის ქვეყნების (მალი, ლივია, ნიგერია, ჩადი, მაროკო, ტუნისი) ცხოვრება დაკავშირებულია ამ უდაბნოსთან, ხოლო ალჟირის ტერიტორიების 4/5 ნაწილი უკავია საჰარას. მას უკავია 7 მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობი, ევროპაზე ცოტათი ნაკლები.

ფრინველის ფრენის სიმაღლიდან კარგად მოჩანს ამომშრალი დაბლობები მაღალმთიანი პლატო და ხეობები. ზოგიერთ ადგილებში ხარობს ხმელთაშუა ზღვის მცენარეულობა: კიპარისი, ფსტის და ზეთისხილის ხეები. ყოველივე ეს ამჟამად კარგად არის შესწავლილი და შემორჩენილი კულტურების კვალზე შეიძლება ითქვას უწინდელი კლიმატის შესახებ.

საჰარის ტერიტორიის კლდეებზე აღმოჩენილმა ფრესკებმა და ჩატარებულმა სამეცნიერო გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინა საჰარის ისტორიას. ყველაზე ძველ ფრესკებზე აღბეჭდილია ადამიანების მხლებელი ისეთი ცხოველები, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ იქ, სადაც მოდის წვიმა და მიწა დაფარულია ხშირი მცენარეულობით. მაგალითად, გამოსახულ ხარებს შეეძლოთ ეცხოვრათ მხოლოდ საძოვრებზე, ხოლო ნიანგების და ბეჰემოტებისთვის საჭირო იყო მდინარეები და ტბები. ამ სურათების მიხედვით შეიძლება იმსჯელო თუ როგორ იცვლებოდა კლიმატი და ცხოველთა სამყარო.

მეცნიერების გამოკვლევების შედეგად საჰარა უწინ ყოფილა ფართო გამწვანებული დაბლობი, სადაც იკვებებოდნენ ჟირაფები და კამეჩები (ამჟამად ისინი შემორჩენილია მხოლოდ ეგვიპტეში), სპილოები, სირაქლემები და ანტილოპები. ხშირი პალმების კორომებში ბინადრობდნენ მარტორქები და ლომები. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საჰარაში უწინ იყო ველური ფლორა და ფაუნა, მაგრამ შემდეგ დაკარგა ისინი. გვალვებმა და სიცხის მატებამ ზოგიერთი ცხოველი იძულებული გახადა წასულიყო საევანებში, სადაც ისინი ბინადრობენ ამჟამადაც.

არაბეთის ისტორიკოსებმა ელ-ბაქრიმ I საუკუნეში აღწერა ქალაქი სამა, როგორც აყვავებული სოფლის მეურნეობის რაიონი. ამჟამად ეს ადგილი უდაბურია. სენეგალის ქალაქი ლოგა ჯერ კიდევ 70 წლის წინათ ითვლებოდა მიწის თხილის წარმოების ცენტრად. ახლა მცხუნვარე მზის სხივებისგან შეეიწროების შედეგად, ცენტრმა გადაინაცვლა ქალაქ კაოლაკში.

ეს მხარე უწინ რომ იყო გამწვანებული, დამტკიცებულია მრავალი ისტორიული ფაქტით. ძველ დროში საჰარის კლიმატი უფრო ნესტიანი იყო, ვიდრე ახლა. ჩადის ტბის დონე 40 მეტრით მაღლა იყო ახლანდელთან შედარებით, ხოლო თვით ტბა იყო კასპიის ზღვის სიდიდის. აქ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ადამიანები. აქ უხვად მოჰყავდათ ლიმონი, ფორთოხალი, ნუში და სხვა ხილი.

დაახლოებით 1000 წლის წინათ ჩვენ წელთაღრიცხვამდე, საჰარამ თანდათან მიიღო ახლანდელი სახე. საუკუნიდიან — საუკუნემდე უდაბნო გაერცელდა უფრო შორს. ნაყოფიერ მცენარეულობის ნაცვლად იხარა ბუჩქნარმა.

ახლა ცნობილია, რომ საჰარის ტერიტორია უდაბნოდ გადაიქცა არა მხოლოდ კლიმატის ცვლილებებით, არამედ ძირითადად ადამიანების არასწორი ქმედებების გამო. უწინდელი მონადირე ადამიანები შეცვალა მომთაბარე მწყემსებმა. მომთაბარე მწყემსებს ჰყავდათ დიდი

რაოდენობის ჯოგები. ცხოველები არა მარტო ჭამდნენ მცენარეულობას, არამედ ტკეპნიდნენ მას, არღვევდნენ მცენარეულ საფარს, რომელიც თანდათან კარგავდა თავის ძალას. კორდი (дерн – რუს.) გახდა ისეთი სუსტი, რომ ველარ დააკავა ქვიშა. ქვიშა თანდათან აწვებოდა, გადმოდიოდა შეტევაზე და გამწვანებული ადგილები გადააქცია უნაყოფო უდაბნოდ. მეცნიერების გაანგარიშებით, ქვიშები ყოველწლიურად 40 000 ჰექტარი ფართის ტერიტორიას გადააქცევს უდაბნოდ.

საჰარის ტერიტორიაზე ხშირად მიდიოდა ხოლმე აქლემების ქარავნები, ვაჭრებს გადაჰქონდათ სურმა და მარილი. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ტრაგედია, როცა 1805 წელს ტიმბუქტუდან ტაუდენში მიმავალი ვეებერთელა ქარავანი დაიღუპა უწყლოდ, უდაბნოში სამუდამოდ დარჩა 2000 ადამიანი და 1800 აქლემი.

საჰარაში ქვიშა გასწორებული კი არ არის, არამედ წარმოადგენს გრძელ ქვიშის ბორცვებს, რომლებიც ვრცელდება დაუსრულებელ რიგებად. ის არის წვრილი და ფხვიერი და მცირე ნიავის დაბერვისაგან ცოცხავს (ფარავს) მგზავრის ნაფეხურებს. ხოლო უფრო ძლიერ ქარს წინ მიაქვს ქვიშა და ყრის მას გრძელ კვალებად. ასეთ ადგილებს აქვს ზღვის ზედაპირის ფორმა, დაფარულია უძრავი ქვიშის ტალღებით. მაგრამ მათი უძრაობა მოჩვენებითია. ქარი წინ წაიღებს წვრილ ქვიშას და ეს ქვიშის ბორცვები მართალია, ნელა, მაგრამ მუდამ გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე. მზის სხივებში ისინი ბრწყინავენ მოწითალო, ოქროსფერი სინათლით, ხოლო მათ შორის ხან ლურჯდება, ხან შავდება მათი გამყოფი ადგილები.

ხანდისხან ქვიშა ძლიერი ქარისაგან თავს იყრის მაღალ სვეტებად, რომლებიც ასევე გადაადგილდებიან. როდესაც ისინი განათებულია მზის სხივებით, მოგაგონებს კოცონს. თანდათან ქარი ძლიერდება და წარმოიქმნება ქვიშის გრიგალი. ქარი სტვენს და ღრიალებს, მაღლა მიაქვს ქვიშის ღრუბლები, წარმოიქმნება აუტანელი სიცხე. ადამიანს ასხამს ოფლს, მაგრამ ის მაშინვე შრება. ტუჩები სკდება და იწყება სისხლის დენა, ენაზე თითქოს ესხმება ტყვია. შემდეგ სკდომას იწყებს კანი, ხოლო ქარს ჭრილობებში შეაქვს ცხელი სილა და ამით კიდევ უფრო მეტ ტანჯვას აყენებს ადამიანებს. ქვიშის ქარების ეშინიათ გარეულ ცხოველებსაც. აქლემები კი დგებიან ან წვებიან ერთმანეთთან მჭიდროდ. აქლემი აფრიკაში ითვლება ადამიანის საუკეთესო მეგობრად და წარმოადგენს მუსულმანების სიმდიდრეს. აფრიკაში ყველაზე გავრცელებული მცენარეა ფინიკის პალმა, რომელიც უძლებს აქ გავრცელებულ +50$^{0}$ სიცხეს. აქლემისა და პალმის გარეშე ადამიანები ვერ გაძლებდნენ უდაბნოში.

# განადგურებული ტყეები



გასულ საუკუნეებში მონღოლების მომთაბარე ტომებმა, თათრებმა, ყირგიზებმა და კალმიკებმა გაჩეხეს და გადაწვეს რუსეთის ტყეები, ხელოვნურად შექმნეს სტეპები თავისი ჯოგების საძოვრებისათვის და ასევე მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, როგორც მომთაბარე ერდოები მათ არ შეეძლოთ ტყეში ცხოვრება, ვინაიდან ტყეში არ შეიძლებოდა მწყემსობა და აუარებელი საქონლის გამოკვება, თანაც ტყეში საქონელს იტაცებს მტაცებლები, კბენენ კოღოები, ბლმუღლი და ბუზანკალა.

ტიუმენის ახლო-მახლო ტყის განადგურებას ხელი შეუწყო რკინიგზის გაყვანამ. ხე-ტყეს ჰყიდიდნენ სხვა რეგიონებში. ფიცრებისგან მასიურად აკეთებდნენ ყუთებს ჩაის შესანახად.

ტყის ხანძრები იმდენად საშინელია, რომ ტყის გაჩეხვა მასთან შედარებით გამოიყურება უსუსურად. ყოველწლიური ზარალი ტყის ხანძრების გამო არ ექვემდებარება არავითარ დაანგარიშებას. განსაკუთრებით საშიშია ხანძრები დასავლეთ ციმბირში. აქაური ტყის ხანძრები მოგაგონებს ცეცხლოვან ციკლონებს, რომლებიც მოძრაობს სწრაფად და თავის გზაზე წვავს და გუდავს ყოველივე ცოცხალს. ერთ დღეში ასეთ სანძარს შეუძლია გაიაროს 200 კილომეტრამდე მანძილი.

ტყის მდინარეები ძალიან ჩაიხერგებიან ხოლმე ხანძრისგან დაზიანებული ხეებით. ეს ხეები სველდება, იძირება, ლპება და წამლავს წყალს შხამიანი პროდუქტებით, რის შედეგად იღუპება თევზებიც. ტყის მდინარეებს ეს ჭირი გადააქვთ შორეულ ადგილებში.

ამჟამად რუსეთის ტყეებს ანადგურებენ ათობით ახლადშექმნილი ერთობლივი საწარმოები (ან უცხო ქვეყნების ფირმები). უზარმაზარ ტერიტორიაზე ჩეხავენ ძვირფასი ჯიშის ხეებს, ყოველგვარი წესების იგნორირებით, მტაცებლურად, ტოვებენ გატიალებულ ადგილებს, გადატეხილ ახალგაზრდა ნარგაევებს, ნაფოტებს, ტოტებს.......

კაცობრიობისათვის ასევე ცნობილია, რომ ადრე იტალიაში, ფესალისა და ლარისის რეგიონებში, ტბის ამოშრობის შემდეგ შეიცვა-

ლა კლიმატი, აციედა. ამის შედეგად გაქრა ზეთის ხილის ხეები, გაიყინა ვენახები. მას შემდეგ რაც ტყეები გაჩეხეს და დაიწყეს ნიადაგის დამუშაება, მიწა გაშრა.

ამი ს მსგავსი ისტორია მოხდა ლიბანში, სადაც ხარობდა კედარის ვრცელი ტყეები. კედარი მასიურად გაჰქონდათ ეგვიპტეში, სადაც მისგან ამზადებდნენ ზეთს. მეფე სოლომონმა კედარის ხეების მოსაჭრელად გააგზავნა 80000 ტყის მჭრელი, დიდი სატაძრო კომპლექსის ასაგებად. მაგრამ ტყეების გაჩეხვას მოჰყვა ღელეების, წყაროების ქების დაშრობა, დაიწყო ნაიდაგის ეროზია, გატიალდა ვენახები. ლიბანი ახლაც განიცდის ამ დამღუპველ შედეგებს.

გერმანიაში X III საუკუნეში მონადირეთა თარეშის და ხეების გაჩეხვის შედეგად სერიოზულად განადგურდა ცნობილი საქსონის ტყე. მეტყევეებმა მთლიანად გაჩეხეს დაზიანებული ტყე და გააშენეს ახალი ნაძვის ტყე. მაგრამ ახალი ტყე დაავადმყოფდა და დაკარგა ძველი სილამაზე. ტყეების მტერია ასევე ქარხნების კვამლი, რომელიც აზიანებს ტყის 20-25 კილომეტრის მანძილზე. კვამლის გარდა მავნებელია ნაცარი, ჭვარტლი და დაუმწვარი ნაწილაკები. სამრეწველო კვამლი შეიცავს სხვა ქიმიურ ნარჩენებსაც: გოგირდის გაზს, გოგირდმჟავას, ფტორს. ქარს მიაქვს ისინი დიდ მანძილზე და აფენს ხეების ფოთლებზე, რის შედეგად იშლება უჯრედები, რომლითაც ხეები სუნთქავენ. ხეები შეიძლება მოიწამლოს აგრეთვე ფესვებიანადაც.

სამხრეთ საფრანგეთში ტყეების გაჩეხვის შედეგად გაიყინა ზეთისხილის ხეები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლონიზატორებმა გაჩეხეს ქვეყნის ტყეების 80%. ტყის ნაცვლად დათესეს მარცვლეული კულტურები და პირველ ხანებში მოიყვანეს გარკვეული რაოდენობის მოსავალი. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ (1985 წ.) დაიწყო საშინელი გვალვები, ამოშრა ტბები, მდინარეები, წყალსაცავები. მოსახლეობა იძულებული გახდა მიეტოვებინა ის ადგილები.

ბუნება არ არის შურისმაძიებელი, მაგრამ მას გააჩნია თავისი კანონები და ვინც მას დაარღვევს მკაცრად ისჯება. ამერიკელებმა რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გადახნეს ახლად წარმოქმნილი მიწის ზედაპირის ფენა და მიწა კვლავ გახდა დაუცველი. 1934 წელს კვლავ მოხდა საშინელი გვალვა, რასაც დაერთო ძლიერი ქარები. მტვრის გრიგალებმა გაანადგურა მთელი მოსავალი, ბაღები, დაიხოცა საქონელი. მტვერმა შეაღწია ბინებში. ერთი წლის მანძილზე ადრე ნაყოფიერი მიწები გადაიქცა უდაბნოდ: 300 მილიონი ტონა ნიადაგი გაფანტა ქარებმა ვრცელ ტერიტორიაზე.

# მოწამლული მდინარე დუნაი

რუმინეთში ოქროს საბადოს მომპოვებელ შახტადან ამოღებულ მადანს რეცხავენ კალიუმის ციანიდის საწამლავ ხსნარში. ეს საწარმოო პროცესი ტარდება სპეციალურ ქიმიურ ქარხანაში, რომელიც საწამლავ ხსნარს ღვრის წყალსაცავში. 2000 წლის თებერვლის დასაწყისში გაირღვა წყალსაცავის კედელი და საწამლავი ნივთიერების ნაკადი დიდი რაოდენობით ჩაიღვარა მდინარე ტისაში. როგორც ცნობილია მდინარე ტისა რუმინეთის შემდეგ მიედინება უნგრეთის და იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქ ბელგრადთან უერთდება მდინარე დუნაის, რომელიც შემდეგ მიედინება უკრაინის საზღვრის გასწვრივ და ჩაედინება შავ ზღვაში. მოხდა უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა ევროპაში. მდინარე ტისას და დუნაის წყლები მოიწამლა, რის შედეგად მთლიანად დაიღუპა თევზთა სამყარო, ასევე წყლის ფრინველები და ცხოველები, რომლებიც სვამდნენ წყალს ამ მდინარეებში. მეცნიერების გაანგარიშებით 5 წლის მანძილზე არ შეიძლება ამ მდინარეების წყლების გამოყენება. უნგრეთის, იუგოსლავიის და უკრაინის სახელმწიფოებმა უჩივლეს რუმინეთის მთავრობას და მოსთხოვეს მატერიალური ზარალის ანაზღაურება. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოყვეს სპეციალისტების კომისია, მატერიალური ზარალის დასაანგარიშებლად.

20 წლის უკან ბრაზილიაში ააგეს ფოლადჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც მუშაობს ხე-ტყის საწვავზე. ამ მიზნით ქარხნის ხელმძღვანელობამ შეისყიდა 70 მილიონი ჰექტარი ტყე. არადა ბრაზილია ითვლება ,,პლანეტის მწვანე ფილტვებად."

ამის გარდა მდინარე ამაზონკას ხეობაში მასიურად ჩეხავენ წითელ ხეებს, რომელსაც ვერ აკონტროლებს მთავრობა. წითელი ხის ღირსებაა, რომ ის ძალზე მაგარია, დიდხანს ძლებს და აქვს ლამაზი ფერი. ის გამოყენებულია ავეჯის და მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად, ასევე ოთახების მოსაპირკეთებლად და ძვირადღირებული იახტების ასაგებად,. მდინარე ამაზონკის ბასეინში ხარობს მცენარეულობის ერთი მილიონი სახეობა, ფრინველის 1800 სახეობა, 2000 სახის თევზი. ტყის გაჩეხვას ტროპიკებში დიდ ტერიტორიაზე შეიძლება მოჰყვეს წყალდიდობა ან სხვა სტიქიური უბედურება. ლათინური ამერიკის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს დაბლობი 1982-წლის ნოემბრიდან 1983 წლის ივლისამდე იყო მოცული წყალდიდობით. ეკვადორში და პერუში ამ წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 671 ადამიანი, ხოლო უსახლკაროდ დარჩა 1,5 მილიონი ადამიანი. უბედურების მომტანი გახდა მდინარე ელ-ნინიოს ადიდება.

1978 წელს ორ კვირიანი თაესხმა წვიმების შედეგად ადიდდა მდინარეები განგი და ბრაჰმაპუდრა, დაიტბორა 66 სოფელი, დაიხრჩო 2 ათასი ადამიანი და 40 ათასი ცხოველი. ზარალმა შეადგინა 40 მილიონი დოლარი. ეს კატასტროფა გამოიწვეია ჰიმალაის მთებში ტყეების გაჩეხვამ.

1983 წელს დომინიკის რესპუბლიკაში ტყეებს გაუჩნდა ხანძარი, რის შედეგად ტყე განადგურდა 3000 ჰექტარის ფართობზე.

დედამიწის გამელოტება გამოიწვეია ცივილიზაციის განვითარებამ. თავის დროზე წინასწარმეტყველმა ნოსტრადამუსმა თქვა, რომ „ადამიანების მოდგმა მიაბიჯებს უფსკრულისაკენ“.

# 11. აფეთქებები

## აფეთქება ეკატერინბურგის რკინიგზის სადგურზე



1988 წლის 4 ოქტომბერს ღამის 2 საათსა და 30 წუთზე ქალაქ სვერდლოვსკის (ახლანდელი ეკატერინბურგის) რკინიგზის მახარისხებელ სადგურზე ლიანდაგების გადამყვან ისართან სატვირთო მატარებლების შეჯახების შედეგად აფეთქდა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ორი ვაგონი. ადგილზევე დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ხოლო 280 ადამიანმა მიიღო სერიოზული ტრავმები. აფეთქების შედეგად დაინგრა 12 საცხოვრებელი სახლი და 8 ნაგებობა, ხოლო 14 შენობა დაზიანდა სერიოზულად.

კატასტროფის ადგილზე სასწრაფოდ მოვიდა მეხანძრეთა 40 ავტომანქანა. ცეცხლი გავრცელდა სხვა მატარებლის ვაგონებზეც. მეხანძრეები მუშაობდნენ აირწინაღებში. ახლო-მახლო ადგილები გაივსო სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებით. აფეთქების ადგილიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით, ქალაქში ჩაიმტვრა მინები. დღის 12 საათზე ხანძრის მთავარი კერა მეხანძრეებმა ჩააქრეს.

დანგრეული სახლების გასწორება დაიწყო ბულდოზერებმა. დაინგრა რკინიგზის სპეცნაწარმის ქარხანა, სავაგონო დეპო, სატრანსპორტო მილიციის შენობა და სხვა ნაგებობები.

საწვავ-საპოხი მასალების უდიდესი საწყობი აფეთქდა აფრინდა ცაში. 13 სკოლაში ვერ გაგრძელდა მეცადინეობა. 12 სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლებელი გახდა სამსახურის გაგრძელება, ვინაიდან შენობებს ახდილი ჰქონდა სახურავი და ყველა მინა იყო ჩამტვრეული. მთლიანად დაინგრა საბავშვო ბაღიც. ქალაქს დასჭირდა 2 მილიონი კვადრატული მეტრი მინა, და 60 ათასი კვადრატული მეტრი ვიტრინის მინა. ქალაქის სასტუმროებში მოათავსეს უსახლკაროდ დარჩენილი 1170 ადამიანი, სამედიცინო დახმარება გაუწიეს 838 ადამიანს.

# აფეთქება პლუტონის საწარმოში



1957 წლის სექტემბრის ბოლოს ჩელიაბინსკთან ახლოს ახლანდელ ქალაქ ოზიორსკში, განსაკუთრებით გასაიდუმლოებულ სამხედრო ობიექტზე, კერძოდ, ატომური მრეწველობის კომბინატ „მაიაკში“ -ში მოხდა აფეთქება. ეს საიდუმლოება იმალებოდა 30 წელიწადი და ამის შესახებ იცოდა მხოლოდ იმ ადამიანებმა ვინც მაშინ იმყოფებოდა კატასტროფის ადგილზე და სასწაულად დარჩა ცოცხალი.

ქალაქოზიორსკის გარშემო მართლა მდებარეობს მრავალი ტბა. დიდი ხნის წინათ აქ რუსი მრეწველები დემიდოვები აღნობდნენ სპილენძს და თუჯს. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ აქ დაიწყეს განსაკუთრებული საიდუმლო მშენებლობა. საჭირო იყო ატომური ბომბის სასწრაფო დამზადება, ამერიკის შეერთებული შტატების საპირისპიროდ. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მაიაკმა“ დაიწყო პლუტონის დამუშავება. საბჭოთა კავშირის ატომური ბომბის წარმატებით გამოცდას მაშინ ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. 1949 წელს „საიდუმლო ობიექტმა“ მიიღო პლუტონი.

რადიაციული გამოსხივების მოსალოდნელ შედეგებზე მაშინ 1957 წელს ცნობილი იყო ძალიან ცოტა. მეცნიერები ვერ ხედებოდნენ დაუნახავი სიკვდილის მიზეზს. გამოსხივებისაგან კი იღუპებოდნენ შინაგანი ჯარების ოფიცრები და ჯარისკაცები, (რომლებიც იცავდნენ საიდუმლო საწარმოს) იქ მომუშავე პერსონალი და პატიმრები. 1957 წლის 7 ოქტომბერს მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. დუდოროვს წერილობით მოახსენეს , რომ: „სპეციალურ სალექარში (ОТСТОЙНИК - რუს.) აფეთქდა მგრგვინავი გაზი. ჰაერში ამოიფრქვა დიდი რაოდენობის რადიაციული ნაწილაკები, წარმოიქმნა ღრუბელი, რომელიც დიდხანს გაჩერდა აფეთქების ადგილის თავზე“.

ამოვარდნილმა ქარმა ეს ღრუბელი წაიღო კასლინსკის რაიო-

ნისაკენ. აფეთქების ადგილზე და ღრუბელის გავრცელების ტერიტორიაზე ჩამოცვივდა აუარებელი რადიაციული ნაწილაკი.

აფეთქება მოხდა თხევადი რადიაციული ნარჩენების შესანახი სპეციალური ჭურჭლის გახურების შედეგად. 7 წლის მანძილზე ატომური ბირთვის ნარჩენებს ყრიდნენ მდინარე ტეჩასა და ისეტში, ხოლო შემდეგ 14 წლის მანძილზე კარაჩაის ტბაში.

1957 წლის 29 სექტემბერს 16 საათსა და 30 წუთზე საიდუმლო საწარმოში გაისმა აფეთქების ხმა. აფეთქების შემდეგ ერთი კილომეტრის სიმაღლეზე ცაში ავარდა კვამლის და მტვრის სვეტი, რომელიც ბრწყინავდა ნარინჯისფერ-წითელი სიწითლით. ეს ქმნიდა ჩრდილოეთის ციალის ილუზიას. რადიაციულმა ღრუბელმა დაფარა 250 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორია, სადაც ცხოვრობდა 270000 ადამიანი: ქიმიური კომბინატი „მაიაკი", 4-რეაქტორის ქარხნები, რადიოქიმიური ქარხანა, სამხედრო და სახანძრო ნაწილები, სამხედრო მშენებლობის პოლკი და პატიმართა ბანაკები.

აფეთქებიდან პირველ ხანებში ადამიანების თავზეცვიოდა საკმაოდ დიდი ზომების რადიაციული ნაწილაკები, შემდეგ კი ინტენსიურად უფრო მცირე ნაწილაკები, რაც გაგრძელდა - მეორე დღესაც. როცა რადიაციულმა ღრუბელმა დაფარა სამხედრო დასახლება, მაშინვე გამოიძახეს დოზიმეტრისტები და გამოაცხადეს ადამიანების ევაკუაცია. ჯერ ყველა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა სანიტარული პროცედურა აბანოში, სადაც ბანაობდნენ საათობით, მაგრამ ამ ღონისძიებამ ვერ უშველა ადამიანებს.

ძლიერმა ქარმა რადიაციული ღრუბელი გაფანტა ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის, ტიუმენის ოლქებში. გარშემო მდებარე 33 სოფლიდან ევაკუაცია გაუკეთეს მოსახლეობას. 1958 წელს აკრძალეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიწებზე! ჩელიაბინსკის ოლქში 59 ათას ჰექტარზე, სვერდლოვსკის ოლქში 47 ათას ჰექტარზე, ხოლო იმ წლის მოსავალი აიღეს და მთლიანად გაანადგურეს. ვინაიდან მდინარე ტეჩა და ისეტი უერთდება დიდ მდინარე ობს, მაშინდელ მეცნიერებს ეგონათ, რომ ეს მდინარეები რადიაციულ ნარჩენებს ჩაღვრიდა მდინარეებში, ის კი ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ჩაიტანდა, მაგრამ ნარჩენები დაილექა ამ პატარა მდინარეების ძირზე და გვერდებზე, რის შედეგად მოიწამლა წყალი და ნიადაგი დიდ ფართობზე.

ამ აფეთქების შედეგად რადიაციული დასხივება მიიღო და დაღუპა 124000 ადამიანი. 1963 წელს ამ ადგილებში კვლავ მოხდა საშინელი ტრაგედია, ძლიერი გვალვის შედეგად დაშრა კარაჩაის ტბა, რომელშიც ჩაყრილი იყო დიდი რაოდენობის ატომის ბირთვული ნარჩენები.

ქარებმა მტვრის სახით გაფანტა ნარჩენების ნაწილაკები დიდ ფართობზე, ამის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა კიდევ გაიზარდა 40 ათასი ადამიანით. კარაჩაის ტბა ამოავსეს მონგრეული ფუჭი ქანებით და ეს კატასტროფები დამალეს. მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა საზღვარგარეთ. 1960 წელს ა.შ.შ. შემოაგზავნა სპეციალური თვითმფრინავი, იმ ადგილების გადასაღებად. ურალის მიდამოებში. ეს თვითმფრინავი ჩამოაგდეს რუსებმა, მფრინავი პაულიუსი კატაპულტით გადმოხტა და ცოცხალი გადარჩა.

ეს ტრაგედია ბევრად აჭარბებს ჩერნობილის კატასტროფის შედეგებს.

## ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქება



ადამიანებს თავიანთი გრძნობის ორგანოებით, არ ძალუძთ შეიგრძნონ რადიაციის სასიკვდილო საშიშროება. ის მართლა უჩინარია, უხმაუროა, არ აქვს სუნი, არც ფერი, გემო და თავის თავს ამჟღავნებს მხოლოდ მოურჩენელი განუკურნავი ცვლილებებით ორგანიზმში, როგორიცაა კიბო. რადიაციის დოზის გასაგებად გამოყენებულია გეიგერის მექანიკური მრიცხველი. როგორ იმოქმედებდა მშვიდობიანი რეაქტორების ფოლადის გარსში მოქცეული რადიაცია, თუ ის გარეთ გამოჟონავდა, ეს მაშინ არავინ იცოდა.

1986 წლის 25 აპრილს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურის მესამე ენერგობლოკში, დაიწყო გაჟონვა რადიაციამ. ჩერნობილი კიევიდან დაშორებულია 100 კმ-ით. ეს ბლოკი უნდა გაჩერებულიყო ტექნიკური ოპერაციების ჩასატარებლად. მაგრამ ინჟინრების და ტექნიკოსებისაგან მოულოდნელად, ენერგობლოკი მოექცა არასტანდარტულად. არ დაემორჩილა სტანდარტულ ქმედებებს. რეაქტორში უეცრად აიწია ტემპერატურამ. ტემპერატურა თანდათან მატულობდა, მრავალნაირი მცდელობის შედეგად ტემპერატურა ვერ დაწიეს გაჩნდა ხანძარი, ხოლო შაბათს 26 აპრილს მოხდა 2 აფეთქება, რის შედეგად რეაქტორის მკერივი მეტალის გარსი გაგლიჯა, ვერ გაუძლო ბეტონის საფარმაც. დაახლოებით 180 ტონა აალებული ურანი გამოვარდა გარეთ.

საბჭოთა მთავრობამ 3 დღის მანძილზე არ გააკეთა არავითარი ოფიციალური განცხადება, იმედოვნებდა, რომ არაფერი საშიში არ მოხდებოდა. 30 აპრილს ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე შვეციის ატომური ელექტრო სადგურის „ფორომარკ"-ის პერსონალმა დააფიქსრია ძლიერი ბირთვული გამოსხივება, რომელიც გამოდიოდა აღმოსავლეთიდან მომავალი ღრუბლებიდან და მისცეს განგაშის სიგნალი. ყველა მიხვდა რომ გამოსხივება მოდიოდა საბჭოთა კავშირიდან, რადგან მას გააჩნდა მძლავრი ბირთვული რეაქტორები. სწორედ მაშინ ფიზიკოსებმა განსაზღვრეს, რომ უცნობი ბირთვული გამოსხივების ცენტრი იყო კიევთან ახლომდებარე ბირთვული რეაქტორის აფეთქება.

ამ ოთხი დღე-ღამის მანძილზე ჩერნობილის ატომურ ელექტრო სადგურის რეაქტორში იწვოდა 180 ტონა თეთრად გავარვარებული ურანი. იწვოდა ღია ჰაერში და არავინ არ იცოდა პირველ რიგში რა უნდა გაკეთებულიყო - ხანძრის ჩაქრობა, ენერგო ბლოკის დამარხვა, თუ ადამიანების სასწრაფოდ გამოყვანა.

კიევში დაიწყო პანიკა. ადამიანების ნაწილი ცდილობდა წასულიყო ქალაქიდან. ადამიანების უმრავლესობა ჩაიკეტა ბინებში და აღარ გამოდიოდა გარეთ. მხოლოდ ამის შემდეგ მთავრობამ დაიწყო მოქმედება: მოიწვია მეცნიერების კონსილიუმი და შეუდგა მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძებნას.

ხანძრის ჩაქრობის პირველივე დღეებში დაიღუპა 32 ადამიანი, ხოლო 200-მა მიიღო ბირთვული დასხივება. სინამდვილეში ისინი იყვნენ განწირული დასაღუპად. ასევე ცნობილი გახდა, რომ 200 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობიდან, სადაც ცხოვრობდა 130000 ადამიანი, საჭირო იყო ყველას ევაკუაცია, რადგან მათ ემუქრებოდა რადიაციული მოწამვლა. იგივე ემუქრებოდა ცხოველებს და ფრინველებსაც. მთელი ეს ტერიტორია გამოცხადდა მოწამლულ ზონად, რომელიც რამდენიმე ათეული წლების მანძილზე გამოუსადეგარია საცხოვრებლად. კატასტროფის ადგილზე მოვიდა ყოველნაირი სამხედრო ტექნიკა. საჭირო გახდა ალმოდებული რეაქტორის დამარხვა. მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის პრობლემა, რომ რეაქტორის ახლოს ადამიანის გაჩერება არ შეიძლებოდა 1 წუთზე მეტ დროს. ზედმეტად დაყოვნებული წამები ნიშნავდა აშკარა სიკვდილს. ჰაერიდან 30 შვეულმფრენი ყრიდა ბეტონს და დამსხვრეულ ტყვიას. დღე-ღამე თხრიდნენ მიწისქვეშა გვირაბს რეაქტორის ძირისკენ. მიიღეს გადაწყვეტილება ამოექოლათ ბეტონის გარსში მესამე ენერგობლოკი. მის გარშემო შექმნეს მუდმივი სარკოფაგი.

პარალელურად დაიწყეს საცხოვრებელი სახლების და ქუჩების

დეზაქტივაცია. ათასობით ადამიანმა მიატოვა თავიანთი საცხოვრებელი ადგილები. ჩერნობილის რადიაციულმა ღრუბელმა ევროპის ქვეყნებში მოწამლა ნიადაგი, მცენარეულობა და ცხოველები. სკანდინავიის ქვეყნებში დახოცეს 40 ათასი შინაური ცხოველი, ინგლისში კი 30000 ცხვარი. გერმანიაში ათასობით ტონა რძე გადაღვარეს. უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა გააკეთეს პროგნოზი, რომ მომავალ 70 წელიწადში დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი დაიტანჯება კიბოს ავადმყოფობით, ხოლო დასაღუპად განწირული ადამიანების რაოდენობა ევროპაში 10 წელიწადში მიაღწევს 75000 ადამიანს. სარკოფაგი პრაქტიკულად გაკეთდა 7 თვის შემდეგ 30 ნოემბერს, რაზედაც დაიხარჯა 30000 ტონა ბეტონი და 6 ათასი ტონა რკინა.

1991 წლის აპრილში საბჭოთა მეცნიერმა ვლადიმირ ჩერნიშენკომ კაცობრიობას აცნობა, რომ ჩერნობილის კატასტროფაში დაიღუპა არა 32, არამედ 10 ათასი ადამიანი. ისინი ძირითადად იყვნენ სამხედროები და მეშახტეები, რომლებიც ამუშავეს კატასტროფის ლიკვიდაციაზე. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში ახლაც მკურნალობენ ჩერნობილის ბავშვები, რომლებმაც მიიღეს გამოსხივების დოზა. ხილვადი კატასტროფა დიდი ხანია დამთავრდა, ხოლო უხილავი შედეგები კიდევ იჩენს თავს.

## ატომური ბომბებისაგან განადგურებული ხიროსიმა და ნაგასაკი



ამერიკის შეერთებული შტატების ბოროტმა და კრიმინალმა პრეზიდენტმა გარი ტრუმენმა 1945 შლის 31 ივლისს გასცა ბრძანება იაპონიის ქალაქების ატომური ბომბებით დაბომბვის შესახებ.

1945 წლის 6 აგვისტოს 8 საათსა და 16 წუთზე იაპონიის დროით, 8 ათასი კილომეტრი სიმაღლიდან ამერიკის თვითმფრინავი „ენოლა გეი"-დან პარაშუტით ჩამოგდებულ იქნა ატომური ბომბი, რომელიც აფეთქდა ჰაერში დედამიწიდან 550 მეტრი სიმაღლეზე, ქალაქ ხიროსიმას თავზე. ბომბი აფეთქდა პარაშუტის გახსნიდან 1 წუთის მერე, შემდეგ გამოჩნდა აქამდე უნახავი სოკოს მაგვარი ღრუბელი.

ატომური ბომბის აფეთქების შედეგად ქალაქი ხიროსიმა დაემსგავსა ბრძმედის ალს. ქალაქიდან 30-40 კილომეტრის მანძილზე მყოფმა ადამიანებმა გაიგონეს უჩვეულო ძლიერი აფეთქების ხმა, ხოლო შემდეგ დაინახეს დამაბრმავებელი ალი (გამოსხივება).

აფეთქების ცენტრიდან 300 მეტრის მანძილზე მყოფი ადამიანები პირდაპირ აორთქლდნენ, გადაიქცნენ ფერფლად. ისინი დაიწვნენ ისე, რომ ვერ მოასწრეს წაქცევაც. იმ ადამიანებმა ვინც იმყოფებოდა ეპიცენტრიდან 1 კილომეტრის დაშორებით, მიიღო გამოსხივების სასიკვდილო დოზა. დაღუპულებს გადმოეყარათ შიგნეულობა, სახე დამწვრობისაგან გადაექცათ ხორცის ნაგლეჯებად. აფეთქების ცენტრში არ გადარჩა ცოცხალი ისინიც ვინც თავს აფარებდა თავშესაფარს. კილომეტრ ნახევარის მანძილზე მყოფმა ადამინებმა მიიღო უძლიერესი დამწვრობა, ხოლო უფრო შორს მყოფი ადამიანები დაიღუპა დანგრეული სახლების ქვეშ.

აფეთქების შედეგად წარმოქმნილმა ცეცხლის გრიგალმა დაწვა ყველაფერი 10 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე. მცენარეულობაც მთლიანად დაიწვა.

ხიროსიმაში ცოცხლად გადარჩენილ ადამიანები განწირული იყო ტანჯული ნელი სიკვდილისთვის. ხიროსიმა არ გავდა ომის შემდგომ ქალაქს. ასე შეიძლება გამოიყურებოდეს სამყაროს დასასრული. ეს იყო ტანჯვის და წამების ქალაქი, რომელშიც დღისით და ღამით არ წყდებოდა განწირული ადამინების ყვირილი და კვნესა.

ორი დღის შემდეგ 1945 წლის 9 აგვისტოს დილის 10 საათზე, ამერიკელებმა თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს მეორე ატომური ბომბი ქალაქ ნაგასაკში. ეს ქალაქი შუაზე არის გაყოფილი დიდი მთით: ახალ და ძველ ქალაქად. ბომბი დაეცა და აფეთქდა ახალ ქალაქში, ხოლო ძველი ქალაქი ნაკლებად დაზარალდა, ვინაიდან სიკვდილის მომტან გამოსხივებას გადაეფარა მთა. აფეთქების ცენტრში ტემპერატურამ მიაღწია 10000. ასეთ ტემპერატურაზე გაღნა ყველაფერი გაჩენილი ხანძარი სწრაფად გავრცელდა. ხალხი გარბოდა არ იცოდა საით. ცეცხლის ალმა გამოიწვია საშინელი სიძლიერის ჰაერის ტალღა. რომელიც მოძრაობდა 700 მეტრი წამში სიჩქარით.

ადამიანები იღუპებოდნენ საშინელი ტანჯვით. ისინი მაშინვე კვდებოდნენ, თუ დალევდნენ წყალს ან დაბანდნენ ჭრილობას. რადიაციამ შეაღწია ძვლების ტვინშიც. კატასტროფიდან რამდენიმე წლის შემდეგ შესახედად თითქოს ჯანმრთელ ადამიანებს მოულოდნელად ეწყებოდა თმების ცვენა, ღრძილებიდან მოსდიოდათ სისხლი, კანი დაეფარათ მუქი ლაქებით, ამის შემდეგ ისინი იღუპებოდნენ.

ურანის მოქმედებით ადამიანებს დაეშალათ სისხლის წითელი ბურთულები, რომელიც ორგანიზმში დაახლოებით 8 ათასია. ამიტომ, ადამიანებს მოსდიოდათ სისხლი ცხვირიდან, ყელიდან და თვალებიდანაც კი. სხეულის ტემპერატურა იწევდა მაღლა 41-42 გრადუსამდე და 2-3 დღის შემდეგ ადამიანი კვდებოდა.

ატომური ბომბის აფეთქების დროს ,ხიროსიმაში ცხოვრობდა 430 ათასი ადამიანი. 1946 წლის თებერვალში სტატისტიკური მიხედვით, დაიღუპა 78150 ადამიანი, უკვალოდ დაიკარგა - 13983, მძიმედ დაავადმყოფდა- 9428, მსუბუქი დაზიანება მიიღო 27997 ადამიანმა, სხვადასხვა დაშავება მიიღო 176 987,სულ დაზარალდა 306 545.

ქალაქ ნაგასაკში 200 000 ადამიანიდან დაიღუპა 23 345, სხვადესხვა დაზიანება მიიღო-90 000ადამიანმა, ეს ციფრები არის მხოლოდ ქადაქის მოსახლეობის მონაცემები. მათ გარდა, იაპონიის არმიის 200 000 ჯარისკასი დაიღუპა.

ხიროსიმაში არის „მშვიდობის მუზეუმი", სადაც ექსპონირებულია მაშინდელი უბედურების ამსახველი სურათები, მათ შორის სილვდიდის მომტანი სოკოც.

ხიროსიმაში ხელახლა ააშენეს ქალაქი, რომლის ცენტრში შემორჩენილია აღუდგენელი შენობის ნანგრევები -„ატომის სახლი". 1945 წლის აგვისტოში როცა ამ შენობის გარშემო ყველაფერი დაიწვა , ჩირაღდნად გადაიქცა გინგო-ხეც. ყველა ამტკიცებდა, რომ 70 წლის მანძილზე აქ არაფერი არ იხარებდა,მომდევნო წლის გაზაფხულზე კი, მიწიდან ამოიზარდა ყლორტი, რომელიც შემდეგ გაიზარდა 15 მეტრი ხედ. ჩარლზ დარვინმა გინგოს ხეს უწოდა „ცოცხალი წიაღისეული", ხოლო იაპონელები თაეიანთ რელიქვიას „აპოკალიფსის გადატინილ ხეს" უწოდებენ.

## აფეთქებების ქრონოლოგია

— 1917 წლის 6 დეკემბერს კანადის პორტ გალიფაქსში ორთლ-ქმაეალი გემი „ მონბლანი" დაეჯახა ორთქლმაეალ გემ -„იმო"-ს. წარ-მოიქმნა ხანძარი, რის გამოც „ მომბლანის" ტრიუმებში აფეთქდა 200 ტონა ტრინიტროტოლუოლი, 2300 ტოლნა პიკრინის მჟაეა, 35 ტონა ბენზოლი, 10 ტონა ბამბის დენთი., ერთი სიტყვით ქალაქი მთლიანად განადგურდა. „მონბლანის" ნატეხები იპოვეს ქალაქიდან 12 კილომეტრის მანძილზე. დაიღუპა 1963 ადამიანი, ხოლო 2000-ზე მეტი უგზო -უკლოდ გაქრა, 25 000 დარჩა უსახლკაროდ.

— 1942 წლის 12 აპრილს ბომბეის რეიდზე აფეთქდა ინგლისის სატვირთო გემი „ფორტ-სტაიკინ"-ი, რომლის ბორტზე იყო 300ტონა ტრინიტროტოლუოლი, 1395 ტონა საბრძოლო მასალა. აფეთქების შედეგად წარმოქმნილმა ორმა უდიდესმა ტალღამ დაანგრია და დააზიანა 50 დიდი გემი, 12 გემი კი, ხანძარმა დაწვა, განადგურდა პორტი და ქალაქის მნიშენელოვანი ნაწილი. დაიგუპა 1500 და დაიჭრა 300-ზე მეტი ადამიანი.

— 1974 წლის 1 ივნისს ინგლისში ფლიკს-ბოროს ქიმიურ ქარხანაში მოხდა აფეთქება. აფეთქების ცენტრიდან 600 მეტრის რადიუსზე ყველაფერი დაინგრა. დაზიანდა ქალაქის 20 საცხოვრებელი სახლი. დაიღუპა 28 ადამიანი. ზარალმა 36 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

— 1978 წლის 11 ივლისს ესპანეთის დასახლება „სიერა-დელ- მარ"-ის მახლოელად აფეთქდა პროპილენით დატვირთული ავტოცისტერნა. ცეცხლის ალი მოედო გზის პირას მდეეარე კემპინგს. იქ მყოფი ტურისტებიდან დაიღუპა 149 ადამიანი, დამწვრობა და ჭრილობები მიიღო 300-მდე ტურისტმა

—1935 წელს ჩინეთის ქალაქ ლანჯოუში აფეთქდა არსენალი. იპოვეს 2000 დაღუპული, მაგრამ მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო.

—1985 წლის ყაზახეთის თენგიზის ნავთობის საბადოს, აფეთქე-ბისგან გაუჩნდა ცეცხლი. ნავთობის ცეცხლმოკიდევული ფანტანი იყო ყველაზე ძლიერი მსოფლიოს ისტორიაში. ცეცხლის სვეტის სიმაღლე იყო 150 მეტრი. ფაკელი იწვოდა რამდენიმე თვის მანძილზე.

– 1989 წლის მაისში კასპის ზღვის წყალქვეშა ნავთობის სტაციონალურ პლატფორმაზე მოხდა აფეთქება. ხანძარი გრძელდებოდა 9 დღე.

– 1989 წლის ნოემბერში ნორილსკის მახლობლად მესოიახის საბადოზე აფეთქდა მაგისტრალური მილგაყვანილობა. მწყობრიდან გამოვიდა 4 კილომეტრი სიგრძის მილები.

– 2000 წლის იანვარში დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლანკსოლში გაზის აფეთქების შედეგად მთლიანად დაინგრა შენობა. ნანგრევებიდან კი გამოიტანე ს ათობით გვამი, მათ შორის იყვნენ ბავშვებიც.

– საქართველოში ქალაქ გურჯაანში 1991 წლის ოქტომბერში, 5 სართულიან საცხოვრებელ სახლში მოხდა გაზის გაყვანილობის აფეთქება, რომლის შედეგად დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ხოლო ბევრმა მიიღო სერიოზული ტრავმა. შენობის ერთი სადარბაზო მთლიანად დაინგრა



# ნაწილი III
# ტერორისტული აქტები და ტრაგედიები



–1996 წლის 16 ნოემბერს დაღესტანის ქალაქ კასპისკში ტერორისტებმა ააფეთქეს საცხოვრებელი სახლი. დაიღუპა 68 ადამიანი.

– 1995 წლის აპრილში აშშ ქალაქ ოხლაკომა სიტში, რელიგიური სექტის წევრებმა ტერორისტმა მაკლეიმ , ააფეთქა ადმინისტრაციული შენობა, რის შედეგად დაიღურა 168 ადამიანი. შენობა ისე დაზიანდა, რომ იგი მთლიანად ასაღები გახდა.

– 1980 წელს ნეოფაშისტებმა იტალიის ქალაქ ბოლონიაში ააფეთქეს რკინიგზის სადგური. დაიღურა 84 ადამიანი, დაიჭრა 200.

– 1983 წელს „ ისლამის ჯიჰადის" წევრი ე.წ. „მძღოლი კამიკაძე" ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე სატვირთო მანქანით შეიჭრა აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ყაზარმაში (ქალაქ ბეირუთში ) და მოახდინა აფეთქება, რის შედეგადაც დააიღუპა 299 ჯარისკაცი. (კამიკაძე იაპონურად ნიშნავს თავგანწირულ მძღოლს ან მფრინავს).

– 1985 წელს აფეთქდა კომპანია „ეირ-ინდია"-ს „ბოუინგ-747"-ში ჩამონტაჟებული ბომბი – ამით სიკხებმა შური იძიეს ინდუსებზე ყოფილი პრეზიდენტის მღელელობის გამო დაიღუპა 389 მგზავრი.

– 1988 წელს ტერორისტებმა ააფეთქეს კომპანია „პან-ამის“ აეიალაინერი, რომელიც ლონდონიდან ნიუ-იორკში მიფრინავდა. ბომბი მაგნიტოლას ყუთში იყო ჩამალული . თვითმფრინავში იმყოფებოდა გაეროს საბჭოს ნამიბიელი წარმომადგენელი ბრენტ კარისონი, რომელიც ნიუ-იორკში მიფრინავდა, ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების ხელშეკრულების გასაფორმებლად. დიღუპა 267 ადამიანი.

– 1999 წლის 9 და 13 სექტემბერს მოსკოვში ჩეჩენმა ტერორისტებმა ააფეთქეს 2 საცხოვრებელი კორპუსი, ერთი ბულანოვის ქუჩა № 19, მეორე კავშირის გზატკეცილის № 3 კორპუსი. ორივე აფეთქების შედეგად დაიღუპა 200-ზე მეტი ადამიანი და ასობით კი, დაშავდა და დარჩა უსახლკაროდ .

– 2000 წლის 2 იანვარს პაკისტანში, ქალაქ კაშმირის სასოფლო -სამეურნეო ბაზარში, ტერორისტებმა ააფეთქეს ნაღმი. დაიღუპა 12 ადამიანი, დაიჭრა 25.

– 2000 წლის იანვარში კოლუმბიის 4 ქალაქში ნარკომაფიის ტერორისტებმა მოახდინეს აფეთქებები. მათ ქალაქის ქუჩებში დააყენეს მანქანები, რომლებშიც ჩატვირთული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებები. აფეთქებებმა სერიოზულად დააზიანა შენობები და გამოიწვეია დიდი მატერიალური ზარალი. დაიღუპა ათობით უდანაშაულო ადამიანი.

– 2000 წლის 26 იანვარს რუსეთის ქალაქ რიაზანში დამთავრდა ტერორისტების 22 კაციანი ჯგუფის ე.წ. „სპილოების“ სასამართლო პროცესი. რამდენიმე წლის მანძილზე „ქილერების“ ეს ჯგუფი, რუსეთის ფედერაცის სხვადასხვა რეგიონში, არაერთ დანაშაულს ჩადიოდნენ. სასამართლო პროცესზე, მათ მიერ ჩადენილი 168 დანაშაული დადასტურდა, ასევე, იყო 18 წინასწარ შეკვეთილი მკვლელობა... ჯგუფის ხელმძღვანელმა საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხა, ხოლო დანარჩენებს 29 წლით პატიმრობა მიესაჯათ.

– 2000 წლის 6 თებერვალს ავღანეთის დედაქალაქ ქაბულის აეროდრომიდან ქალაქ მაზარი-შარიფისაკენ გაფრინდა „ბოინგი-727“ თვითმფრინავი, რომლის ბორტზე იმყოფებოდა 199 მგზავრი. თვითმფრინავში აღმოჩნდნენ ტერორისტები, რომლებმაც აიძულეს

ეკიპაჟი შეეცვალა კურსი. ტერორისტებს თვითმფრინავში იარაღის შეტანაში დაეხმარა ქალები, რომლებმაც იარაღი დამალეს ტანსაცმლის ქვეშ. თვითმფრინავი თავდაპირველად დაჯდა ტაშკენტში, სადაც ტერორისტებმა გაათავისუფლეს 10 მძევალი, შეავსეს საწვავის ავზები და გაფრინდნენ მოსკოვისაკენ, სადაც თვითმფრინავი დაჯდა შერემეტიევოს აეროდრომზე. ტერორისტებმა აქაც 10 მძევალი გაათავისუფლეს, შეავსეს საწვავის ავზები და გაფრინდნენ ინგლისში, ინგლისის ხელისუფლება 4 დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებდნენ ტერორისტებთან მოლაპარაკებას. 10 თებერვალს დილის 7 საათზე 19 ტერორისტი პოლიციას ჩაბარდა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა ინგლისში. ინგლისის ხელისუფლებამ იმავე თვითმფრინავით მგზავრები უკან, ავღანეთში დააბრუნა, ხოლო ტერორისტები ინგლისის სასამართლომ გაასამართლა. ავღანეთის მთავრობა ტერორისტების უკან დაბრუნება მოითხოვა, სადაც მათ სიკვდილით დასჯა ემუქრება.

## ტერაქტი გროზნოში

2004 წლის 9 მაისს დილის 10 საათზე ქალაქ გროზნოში, ჩეჩენმა ტერორისტებმა ფეხბურთის მოედანზე, სამთავრობო ტრიბუნა ააფეთქეს, სადაც მიმდინარეობდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 59-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი. სტადიონის სკამების ქვეშ წინასწარ დამონტაჟებული ფუგასური ბომბის შედეგად, დაიღუპა 8 და დაიჭრა 50-ზე მეტი ადამიანი. დაღუპულთა შორის იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტი ახმად კადიროვი,რომელიც 6თეის წინ 2003 წლის ოქტომბერში აირჩიეს. აფეთქების შედეგად დაშავდა პრეზიდენტის გვერდით მჯდომი რუსეთის გენერალ-პოლკოვნიკი ვალერი ბარანოვი,რომელსაც ცალი ფეხი მოეგლიჯა და სასწრაფოდ მოსკოვში გადააფრინეს სამკურნალოდ. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ ჩაინგრა სკამების საყრდენი რკინა-ბეტონის ფილა. გამნაღმველებმა ტრიბუნის ქვეშ აღმოაჩინეს გაყვანილობა და მეორე ბომბი, რომელიც რატომღაც არ აფეთქდა. სპეციალისტების აზრით, აფეთქება დისტანციური მართვით განხორციელდა, გაყვანილობა კი ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე იყო ჩამონტაჟებული.

## აფეთქება გლაზგოში

2004 წლის 10 მაისს შოტლანდიის დედაქალა გლაზგოში, ტერორისტებმა, პლასტიკატის ქარხნის ოთხ სართულიან შენობაში აფეთქება მოაწყვეს, რომლის შედეგად დაიღუპა 7 და მძიმედ დაშავდა ათობით ადამიანი. შენობა მთლიანად დაინგრა და მის ქვეშ მოყო-

ლილი ადამიანების გადასარჩენად, მთავრობამ მეხანძრეთა და მაშველთა რაზმი გამოყო.

## სიკვდილის მატარებელი

2004 წლის 11 მარტს დილის 8 საათზე, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის რკინიგზის სადგურში, როცა ბაქანზე ერთდროულად რამდენიმე მატარებელი შეეიდა, ტერორისტებმა ააფეთქეს მგზავრით სავსე ვაგონები. ასევე ააფეთქეს ვაგონები მადრიდის სხვა სადგურშიც. ხუთი ძლიერი აფეთქების შედეგად, ადგილზევე დაიღუპა 198 მგზავრი, ხოლო სხეულის დაზიანებები 100-მდე მგზავრმა მიიღო. ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველის აზრით, ეს ტერორისტული აქტები დაკავშირებული იყო არჩევნებთან,რომელიც 3 დღის შემდეგ იყო დანიშნული ესპანეთში. მაგრამ ისლამურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ალქაიდამ" გამოაქვეყნა ცნობა, რომ „სიკვდილის მატარებლად" წოდებული ეს ტერორისტული აქტი მოწყობილი იყო მათ მიერ, რადგან ესპანეთი მხარს უჭერს აშშ ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ესპანეთში დროშები დაუშვეს და გლოვის დღე გამოაცხადეს. მადრიდის საავადმყოფოებში ათასობით ადამიანი იდგა რიგში დაჭრილებისთვის სისხლის მისაცემად.

## ტერაქტი სტამბულში

2003 წლის 15 ნოემბერს თურქეთის დედაქალაქ სტამბულის ქუჩებში ალქაიდას ტერორისტმა „კამიკაძეებმა", ებრაელების ორ სინაგოგასთან ტერორისტული აქტები მოაწყეეს. მათ ჯერ სინაგოგებთან, ფეთქებადი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანები მიიყვანეს და შემდეგ ააფეთქეს,რომლის შედეგად 24 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 150 დაშავდა. დაზიანდა რამდენიმე შენობა.

## ტერაქტი მატარებელში

2003 წლის 4 დეკემბერს დილით 11 საათზე, რუსეთის სტავროპოლის მხარეში, ესენდუკთან ახლოს ტეტორისტებმა ააფეთქეს ლიანდაგზე მიმავალი, მატარებლის ლოკომოტივიდან მეორე ვაგონი. აფეთქების შედეგად 42 ადამიანი დაიღუპა, 150-მა მგზავრმა კი სერიოზული დაზიანება მიიღო. ვაგონი მთლიანად განადგურდა... ტერაქტის მოწყობა ჩეჩენ „ კამიკაძეებს" დაბრალდა.

## ტერაქტი მოზდოკში

2003 წლის 2 აგვისტოს ჩრდილო ოსეთის ქალაქ მოზდოკში, ჩეჩენმა ტერორისტმა „კამიკაძემ“ ააფეთქა სამხედრო ჰოსპიტალის 3-სართულიანი შენობა, სადაც მკურნალობდნენ ჩეჩნეთის ომში დაჭრილი ჯარისკაცები. ტერორისტი, ავტომანქანა „კამაზით“ ახლოს მივიდა ჰოსპიტალთან და მანქანაში ააფეთქა ჩატვირთული ასაფეთქებელი ნივთიერება, რის შედეგადაც დაიღუპა 50, ხოლო მძიმე ჭრილობა 132-მა ადამიანმა მიიღო. ნანგრევებში კი ათობით ადამიანი მოჰყვა. აფეთქ ება ისეთი ძლიერი იყო,რომ ჰოსპიტალის კაპიტალური შენობა მთლიანად დაინგრა. რუსეთის სამხედრო პროკურატურამ აფეთქების მოწყობა ჩეჩენ ტერორისტებს დააბრალა.

## აფეთქება პაკისტანში

2003 წლის 3 აგვისტოს პაკისტანის ქალაქ კარაჩში აფეთქება საწყობი სადაც ინახებოდა ასაფეთქებელი ნივთიერება. აფეთქება ისეთი ძლიერი იყოლ, რომ შენობა მთლიანად დაინგრა, ნანგრევებში მოყვა ათობით ადამიანი, დაიგუპა 52 კაცი და მძიმედ დაიჭრა 132.

## აფეთქება ჯაკარტაში

2003 წლის 5 აგვისტოს ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში, ტერორისტებმა 33 სართულიანი სასტუმრო „მარიეტი-“ ს პირველი სართული ააფეთქეს, სადაც იყო რესტორანი. აფეთქების შედეგად დაიღუპა 17 და მძიმედ დაშავდა ასზე მეტი კაცი. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ სასტუმროს 18 სართული, სერიოზულად დაზიანდა . გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ სასტუმროს მიუახლოვდა აფეთქებადი ნივთიენებით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ტერორისტი „კამიკაძე“.

## ტერაქტი ნალჩიკში

2003 წლის 16 სექტემბერს ინგუშეთის დედაქალაქ ნალჩიკში ტერორისტებმა ააფეთბეს ფედერალური შინაგანი ორგანოების სამმართველოს 5 სართულიანი შენობა. ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთნლი სატვირთო ავტომანქანა „კამაზი“ ტერორისტმა მიიყვანა შენობასთან ახლოს და ააფეთქა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 10, ხოლო სერიოზული ჭრილობები მიიღო 40-მა ადამიანმა.

2003 წლის მაისში ახლად აშენებული შენობა, რომელიც მდებარეობდა ინგუშეთის მთაერობის სასახლიდან 150 მეტრში, მოლიანად დაინგრა. აგრეთვე, დაინგრა ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლე-

ბიც. რუსეთის მთავრობამ ეს ტერორისტული აქტი და ტერორისტ „კამიკაძის“ მომზადება დააბრალა შამილ ბასაევს.

## რადუევის ტერორისტული აქტები

2000 წლის 13 მარტს ჩეჩენი ტერორისტი სალმან რადუევი რუსეთის სამხედრო ჯარების სადაზვერვო სამსახურმა დააპატიმრა ჩეჩნეთის სოფელ „პერვომაისკში“. იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს მოსკოვში და მოათავსეს ლეფორტოვოს ციხეში.

რადუევი რამდენიმე წლის მანძილზე მეთაურობდა ტერორისტი ყაჩაღების და ბანდიტების რაზმს. ისინი პერიოდულად თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჰყავდათ მძევლები და მოითხოვდნენ დიდი რაოდენობით გამოსასყიდ თანხას. მაგალითად მისი ხელმძღვანელობით რკინიგზის სადგური ააფეთქეს ქალაქ არმავირში, ტერორისტული აქტებიმოაწყვეს ქალაქ პიატიგორსკში, ყველაზე საშინელი დანაშაული მათ ჩაიდინეს დაღისტანში ქალაქ კიზლარში 1999 წლის იანვარში. რადუევის ტერორისტები შეიჭრნენ ქალაქის საავადმყოფოში და სამშობიაროში. მძევლად აიყვანეს ასობით ავადმხოფი და მედიცინის მუშაკი და მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა. საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელს კი, სპირტი შეასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და ალმოდებული ადამიანი გამოიყენეს როგორც ცოცხალი სამიზნე. რუსეთის ჯარმა, როცა ტერორისტების ბანდას ალყა შემოარტყეს, მათ მძევლები ავტობუსში შეიყვანეს და წაიყვანეს ჩეჩნეთის სოფელ პერვომაისკში. ამ ტერორისტული აქტის შედეგად, დაიღუპა 51, ხოლო დაიჭრა 1□3 ადამიანი.1996 წლის რუსეთ-ჩეჩნეთის ომში რადუევს ტყვია მოხვდა თვალში და დაემსხვრა ცხვირის და შუბლის ძვლები. შემდეგ მას განკეთეს ოპერაცია, ჩაუდგეს ხელოვნური თვალი, ცხვირი კი, ტიტანის ფირფიტისგან გაუკეთეს, რის გამოც მას მეტსახელი „ტიტანიკი“ შეარქვეს. სასამართლომ მას მიუსაჯა მუდმივი პატიმრობა, მაგრამ ის 2004 წელს ციხეში გარდაიცვალა.

## კამიკაძე ქალების ტერაქტი მოსკოვში

2003 წლის 6 ივლისს პოდმოსკოვიეს აეროდრომ „ტუშინოში“ , სადაც როკ-ფესტივალი „ფრთები“ მიმდინარეობდა, ორმა კამიკაძე ტერორისტმა ქალმა თავი აიფეთქა, რის შედეგადაც, სამართალდამცავეთა ცნობით სულ ცოტა 16 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოცდაათამდე დაიჭრა. რუსულმა მედიამ, ექიმებზე დაყრდნობით, 20 დაღუპულის

შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. სხვადასხვა საერთაშორისო სააგენტოს ცნობით, დაღუპულთა რაოდენობა 18–20-ს შორის მერყეობს.

სააგენტო ინტერფაქსის ცნობით, ტერორისტი ქალები როკ-კონცერტზე შესვლას შეეცადნენ, მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა მათ ამის ნება არ მისცეს. ამის შემდეგ ერთ-ერთმა ასაფეთქებელი ნივთიერება აამოქმედა. რამდენიმე წუთში კი მეორე აფეთქების ხმა გაისმა. თითოეული ასაფეთქებელი მოწყობილობა, წინასწარი მონაცემებით, სულ ცოტა, 500 გრამ ტროტილს შეიცავდა. ფესტივალზე დასასწრებად მისული 40 ათასამდე მაყურებელი პანიკამ მოიცვა. როგორც გაირკვა, ერთი აფეთქება აეროდრომის შესასვლელთან მოხდა, ხოლო მეორე – ტუშინოს ბაზარში.

ტერაქტს უკვე გამოეხმაურა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის წარმომადგენელი რუსეთში სალამბეკ მაიგოვი. „ძალზე ძნელია ასეთი ტრაგედიის კომენტირება, განსაკუთრებით მოსკოვში. მიუხედავად ამისა, მე ვაცხადებ, რომ იჩქერიის ხელმძღვანელობას ამ ფაქტთან არავითარი კავშირი არა აქვს", – განაცხადა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ეთერში მასხადოვის სპეცწარმომადგენელმა მაიგოვმა. ამასთან, ის იმედოვნებს, რომ რუსეთის ხელისუფლება ამაში ეჭვს არ შეიტანს, რადგან „ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მთელი საომარი მოქმედების მანძილზე პრეზიდენტი მასხადოვი და იჩქერიის ყველა ხელმძღვანელი ყოველთვის აცხადებდნენ, რომ მოქმედების ასეთი ფორმა მათთვის მიუღებელია".–დასძინა მაიგოვმა.

## აფეთქება მოსკოვის მეტროში



2004 წლის 6 თებერვალს დილით მოსკოვის მეტროპოლიტენის გადასარბენ გვირაბში მეტროს სადგურებს შორის „ავტოზავოდსკაია"

და „პაველეცკაია“, მეტროს მატარებლის ვაგონში ტერორისტმა მოახდინა აფეთქება. ოფიციალური მონაცემებით მაშინვე დაიღუპა 39 მგზავრი და მძიმე დაშავდა 150 ადამიანი. ფეთქებადი მასალის დეტონატორი იმართებოდა მობილური ტელეფონიდან. მოსკოვის მილიცია აბრალებს უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს (ФСБ), ხოლო უბრალო ადამიანები აბრალებენ: ავტოინსპექტორებს, საპატრულო-საპოსტო და საპასპორტოს მუშაკებს, რომელთა დაუდევარი და არაკეთილსინდისიერი მუშაობის შედეგად „შახიდები“ უცნებლად თარეშობენ ქალაქში.

ამ საშინელი აფეთქების (ტერაქტის) მხილველი გაზეთ „არგუმენტი და ფაქტის“ კორესპონდენტი ვიქტორ გრიშინი ჰყვება: „მე ჩავჯექი მეტროს მატარებლის მე-3 ვაგონში სადგურ „ცარიცინოზე“. ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი. სადგური „ავტოზავოდსკაია“ რომ გავიარეთ წინა ვაგონიდან გაისმა აფეთქების ხმა. მატარებელი მალე გაჩერდა. ჩემი ვაგონის კარები ორივე მხრიდან გაიღო და მგზავრები სწრაფად ჩავიდნენ გვირაბში, გავმართნენ მატარებლის ბოლოსაკენ. გვირაბი გაივსო ნაცრისფერი კვამლით, რომელსაც ჰქონდა დენთის და გოგირდის სუნი. ცუდად ჩანდა, მაგრამ ცოცხლად გადარჩენილი მგზავრები მივხვდით, რომ ჩვენ მივაბიჯებდით მკვდარი ადამიანების გვამების გვერდით. ჩანდა ცხედრების სხეულის დაგლეჯილი ნაწილები. გვამები იწვნენ მატარებლის ორივე მხარეს. არავინ არ კვნესოდა და არ ყვიროდა. გაგუდული ადამიანები ახველებდნენ. ბევრი სუნთქავდა საყელოთი და კაშნეთი. 150 მეტრის გავლის შემდეგ მგზავრები ავედით სადგურ „ავტოზავოდსკაიას“ ვესტიბიულში. სადგურის სამედიცინო პუნქტში მგზავრებს გაუწიეს პირველადი დახმარება. იგრძნობოდა ნიშადურის და ვოლოკორდინის სუნი...“

აი, რა გვიამბო 20 წლის საშა სოტსკოვმა: „მე ვიყავი იმ მეორე ვაგონის ცენტრში, სადაც მოხდა აფეთქება. ვაგონში გაიარა აფეთქების ტალღამ, მაშინვე ავარდა კვამლი და მგზავრებმა ვიგრძენით დამწვრობის სუნი. ისმოდა დაჭრილების გულშემზარავი კივილი. შემდეგ ვინც მოახერხა, გადაძვრა ვაგონის ჩამტვრეული ფანჯრებიდან. აფეთქების მხარეს ვერ გავიხედე, რადგან იქ ეყარა ალმოკიდებული გვამები. გვირაბში სიარულის დროს მეშინოდა ხალხს არ გაევჭყლიტე. ასევე მეშინოდა მესამე ლიანდაგის, რომელშიც დენი გადის, მაგრამ ის აღმოჩნდა გათიშული. ცუდად მახსოვს როგორ მივაღწიე სადგურამდე“...

პოდპოლკოვნიკმა სერგეი კავუნოვმა კორესპონდენტს უამბო: „მე ვიმყოფებოდი მე-3 ვაგონში. როცა ვაგონები დაიცალა, საჭირო

გახდა დაჭრილების გამოყვანა, რომლებმაც დამოუკიდებლად ვერ შეძლეს სიარული. მე ვთხოვე მგზავრებს დახმარება, მაგრამ დამეხმარა მხოლოდ ერთი მამაკაცი. ორივემ მიცვალებულების გროვიდან გამოვიყვანეთ რამდენიმე ცოცხლად დარჩენილი. ისინი დავაწვინეთ ვაგონის სკამზე, რადგან მათი გადაყვანისათვის საჭირო იყო საკაცეები. მალე მოვიდნენ მაშველები". კიდევ კარგი, რომ აფეთქება მოხდა გვირაბში. სადგურში რომ მომხდარიყო, მაშინ უფრო მეტი მსხვერპლი იქნებოდა.

## ტერაქტი თუ კატასტროფა?



2004 წლის 14 თებერვალს მოსკოვის ერთ-ერთ გასართობ დაწესებულება აკვაპარკ „ტრანსვალში" მოხდა ტრაგედია. ზოგიერთი თვითმხილველის აზრით, „ტრანსვალპარკის" დანგრევა მოახდინეს ტერორისტებმა, ვინაიდან სახურავის ჩამონგრევის წინ გაისმა აფეთქების ხმა. ხოლო რუსეთის მთავრობის და შინაგანი ორგანოების აზრით, მოხდა კატასტროფა. აი, რას წერს ჟურნალისტი ოლეგ კუდრინი: „კატასტროფიდან სამი საათის შემდეგ აკვაპარკი მოგვაგონებდათ რუსეთის ეკონომიკას: განათებისგან გაბრწყინებული ფასადი – და მიგდებული შიდაეზოები. შენობის დანგრეული ნაწილი მიმართული იყო ტყისაკენ, მისასვლელებს ყურადღებით იცავდა მილიცია. ისმოდა ხერხის ხმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნანგრევებში ცოცხალი ადამიანები იყვნენ. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, რადგან ტრუსებში მყოფი ადამიანები დიდხანს ვერ იცოცხლებდნენ – 30°C ყინვაში.

აკვაპარკი „ტრანსვალის" ჩამონგრევა-დანგრევისგან მაშინვე დაიღუპა 25 ადამიანი, ხოლო სერიოზული ტრავმა მიიღო ათობით ადამიანმა. აი რას ამბობდნენ თვითმხილველები: „ჩვენ მივედით დისკოთეკაზე. როგორც ყოველთვის იყო დიდი მხიარულება. ჩვენ ვცეკვავდით. შემდეგ გავიგონეთ აფეთქების ხმა, მაგრამ არ მივაქციეთ ყურადღება და გავაგრძელეთ ცეკვა. უცბად ვიღაც ქალმა გამოაცხადა, რომ ყველას სასწრაფოდ დაეტოვებინა დარბაზი. ჩვენ დავიწყეთ გამოსვლა, კვამლში, მტვერში, ამოყირავებულ სკამებში. მივირბინეთ გასახდელთან, იქ იყო საშინელი ჭულეტა ტანსაცმლის მიღებაზე,



რომელიც იატაკზე ეყარა. ჩვენ ძლივს მოვძებნეთ ქურთუკები. გავედით გარეთ და დავინახეთ ხალხი საცურაო ტრუსებში. ისინი სისხლში იყვნენ გასვრილნი, ერთ ბიჭს მოგლეჯილი ჰქონდა ხელი, ბევრი მათგანს მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სახის ტრავმა. ჩვენი აზრით, შენობა დაინგრა აფეთქების გამო, რადგან კარგად გავიგონეთ აფეთქების ხმა. ჩვენ არ გვჯერა, რომ ამბობენ, თითქოს სახურავი ჩამოინგრა თოვლის გამო, რადგან ვიცით, რომ სახურავიდან თოვლს ჰყრიდნენ ყოველდღე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო ტერაქტი, იმიტომ რომ დისკოთეკა დახურული იყო 2 თვის მანძილზე, იქ მომხდარი ჩხუბის გამო და გააღეს მხოლოდ წინა დღეს დღესასწაულისათვის.

აი, რას ამბობს ჟურნალისტი ირინა ლუკიანოვა: „...ფართო ყველიერი დააბიჯებს რუსეთში: სიმღერები, ცეკვები, გასარჩევი ჩხუბები და სიმაღლიდან სრიალი". თანამედროვე რუსეთი ცხოვრობს შიზოფრენიის მდგომარეობაში, ერთდროულად მუდმივ დღესასწაულებსა და მუდმივ კატასტროფებში. ერთი მხრით მუდმივი არდადეგების, ბედნიერების, ჯანმრთელობით და ადვილად მისაღწევი ოცნებების სამყარო, პრეზენტაციები, დაჯილდოების ცერემონიები და სხვადასხვა დღესასწაულები ყოველ დღე, მეორეს მხრივ კი სიღარიბე, პრობლემები და კატასტროფები. ვეღარ გაიგებ რა ხდება სინამდვილეში და რა არის ილუზიური. ჩვენ ცხოვრებაში ხშირად არის მხიარულება და გლოვა. ერთნი ილუპებიან დისკოთეკებზე, მეორენი როგორც ზღაპარში სულელები ცეკვავენ დასაფლავების დროს. ვერ მოასწრეს მეტროში დაღუპულთა დასაფლავება, რომ მოგრიალდა წმინდა ვალენტინის დღე, უაზრო და ულმობელი, ცოფიანი ჩხუბებით მეტროში, ტრანსვესტიტების შოუებით, სტრიპტიზებით და Love-საღამოებით, დისკოთეკებით და ახალი საოცარი მსხვერპლით. ჯერ კიდევ ყველა დაღუპული არ არის აკვაპარკის ნანგრევებიდან გამოყვანილი, რომ ქვეყანაში უკვე შემოდის ყველიერი, 23 თებერვალი, 8 მარტი, აღდგომა და ა.შ. სხვადასხვა დღესასწაულები ათასნაირი ხარჯებით, თუმცა ქალაქს უფრო სჭირდება შენობის ფასადების, გზების შეკეთება.

ნოდარ ყანჩელის დაპროექტებული ყველაფერი ინგრევა.

## ნიკოლოზ II-ის კორონაცია

1896 წლის მაისში ქალაქ მოსკოვში დანიშნული იყო რუსეთის მეფის 28 წლი ნიკოლოზ II-ის კორონაცია. ნიკოლოზს არ უყვარდა ნესტიანი სანკტ-პეტერბურგი, სადაც დაასაფლავეს მამამისი ალექსანდრე III. მას იზიდავდა მოსკოვი, სადაც მას უნდოდა გამოეჩინა თავი, როგორც მთელი რუსეთის მეფეს და რუსი ხალხისთვის მოეტანა მრავალი სიკეთე. მოსკოველებიც ცდილობდნენ თავის მხრივ, მეფისთვის მოეწყოთ თბილი მიღება. ახალი მეფის ჩამოსვლამდე დაასუფთავეს ქალაქის ქუჩები, შეღებეს სახლები, გამოკიდეს სამფერიანი რუსეთის დროშები.

მოსკოვის გუბერნატორმა დიდმა თავადმა სერგეი ალექსანდრეს ძემ გამოაცხადა, რომ მეფის კორონაციის მეორე დღეს ხოდინკის ველზე შესდგება სახალხო სეირნობა, რომლის პროცესში დარიგებული იქნება მეფის საჩუქრები. ეს იყო სასიამოვნო ცნობა, ასეთი ამბავი ჯერ არ ყოფილა.

მოსკოვის ახლო-მახლო ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდა მრავალი ადამიანი, ყველას უნდოდა ენახა ახალი მეფე, მისი გერმანელი მეუღლე, ეყურებინათ ლამაზი სანახაობისთვის და მიეღოთ საჩუქრები. მოსკოვი თითქოს ხელახლა გამოცოცხლდა, ყველა ლაპარაკობდა მხოლოდ მომავალი მოვლენის შესახებ. მეფის კორონაციასთან დაკავშირებით გასცეს ბრძანება, რომ ქვეყანაში გამოცხადებულია დასვენების 3 დღე. მეფემ ასევე გამოსცა მანიფესტი, რომლის მიხედვით მრავალი პატიმარი იქნა განთავისუფლებული, ხოლო მოსახლეობა განთავისუფლდა ვალებისა და ჯარიმებისაგან.

17 მაისს მოსკოეის ცენტრში დაიწყო საზეიმო სვლა, რომელიც გახსნა საცხენოსნო გვარდიის ესაკდრონმა, მათ მოჰყვა ამხედრებული კაზაკები, შემდეგ ეტლებით ჩამოიარა მოსკოვის დიდგვარომნებმა. მეფე მოდიოდა ცალკე, ის იჯდა თეთრ ცხენზე, მარცხენა ხელში ეჭირა სადაეეები, ხოლო მარჯვენათი აძლევდა სალამს სამხედრო წესით. სვლა დააბოლოეა ეტლებში მჯდომმა მეფის კარის პერსონალმა და უცხო ქვეყნების სტუმრებმა. ყველა მიემართებოდა მიასნიცკის ქუჩით კრემლისაკენ, სადაც კორონაცია ჩატარდა მშვიდად.

სახალხო მასობრიეი სეირნობა დანიშნული იყო 18 მაისისთვის. ხოდინკის ველზე დღის 2 საათზე უნდა მოსულიყო ნიკოლოზ II თავის მეუღლე ალექსანდრასთან ერთად. მათ გარდა დაპატიჟებული იყო მაღალი წოდების პირები და დიპლომატები. ძვირფას სტუმრებთან შესახვედრად იქ წინასწარ ააგეს იმპერატორის პავილიონი. ყველაფერი იყო მზად საპატიო სტუმრების მისაღებად, საჩუქრების დასა-

რიგებლად და სახალხო სეირნობისთვის. ველის ნაპირებზე იყო დადგმული 150 ლამაზი კარავი საჩუქრების დასარიგებლად. იქვე იყო დადგმული ასევე 20 ფარდული, სადაც უმასპინძლდებოდნენ ლუდით და ღვინით. მოედანს ჰქონდა დაახლოებით ერთი კვადრატული კილომეტრის ფართობი შემოღობილი.

იმ დროისათვის „ხოდინკას" ეძახდნენ ფართო ველს, რომელიც გადათხრილი იყო თხრილებით, არხებით და ემსახურებოდა მოსკოვის სამხედრო გარნიზონს სასწავლო მოედნის სახით. აქ ადრე არასდროს არ ჩატარებულა მასიური სახალხო სეირნობა. ზოგიერთი ცნობისმოყვარე ადამიანი აქ მოვიდა წინასწარ, ჯერ კიდევ წინა დღით, მათ რომ არ შესცივებოდა თან ჰქონდათ წამოღებული ალკოჰოლური სასმელები. მაშინდელი მონაცემებით ამ მოედანზე თავი მოიყარა დაახლოებით 1,5 მილიონმა ადამიანმა. ახლომდებარე ქუჩები სავსე იყო ხალხით, ყველას უნდოდა მოხვედრილიყო „ხოდინკას" მოედანზე.

ხალხი ელოდა ძვირფას საჩუქრებს, ამას გარდა ყველას სურდა დაენახა მეფე და მისი ამალა. სინამდვილეში მომზადებული იყო 400000 საჩუქარი. ქაღალდის პარკებში იყო მოთავსებული საიკა, ძეხვის ნაჭერი, თაფლაკვერი, თხილი, შაქარყინული და ემალის ტოლჩა იმპერატორის ინიციალებით.



18 მაისს დილას კარვებთან და ფარდულებთან უკვე დაიწყო არეულობა. პირველი მსხვერპლი გამოჩნდა ჯერ კიდევ სანამ დაიწყებოდა მთავარი პანიკა. დიდი ხნის ლოდინით და ფეხით სიარულით დაღლილი ადამიანები კარგავდნენ გრძნობას და ეცემოდნენ. ზოგიერთი დაიღუპა კიდეც. გვამები გამოჰქონდათ გროვიდან, თავს ზემოთ ხელიდან ხელში გადატანის მეთოდით. მკვდრების გვერდზე გაწევა შეუძლებელი იყო, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ჭყლეტა. ისმოდა ყვირილი, კვნესა, ღრიალი, მაგრამ ჩაკეტილი კვადრატული გროვიდან გამოღწევა ვერავინ შეძლო. არავის უნდოდა მიეტოვებინა თავისი ადგილი. 1800 პოლიციელი უცქეროდა ყველაფერს, მაგრამ არავითარი ღონისძიება არ მიიღეს. შემოღობილი ტერიტორია ასეთი რაოდენობის ადამიანებისთვის აშკარად პატარა იყო, რის გამოც მოხდა ჭყლეტა.

ზოგიერთი კარავი ხალხმა დაშალა და აიღო. შეშინებულმა საჩუქრების დამრიგებლებმა დროზე ადრე დაიწყეს საჩუქრების აქეთ-იქით დარიგება. მაგრამ ამ ქმედებამ ხალხი არ დააწყნარა, პირიქით გამოიწვია უკმაყოფილება. ქაღალდის პარკების მისაღებად ერთმანეთს ასწრებდნენ, ზოგი მათგანი დაეცა მიწაზე, უკან მყოფნი კი აწვებოდნენ, რის შედეგად მიწაზე გაიჭყლიტა ხალხი.

დილის 6 საათზე გავრცელდა ხმები, რომ გამოჩნდა ვაგონები უფრო ძვირფასი საჩუქრებით და დაწყებულია მათი დარიგება. ხალხი გაემართა მოედნის ნაპირისაკენ, სადაც მიმდინარეობდა გადმოტვირთვა. ხის ღობემ ვერ დააკავა ხალხი. ყველა ცდილობდა მიეღო საჩუქრები, ვინაიდან ყველას არ შეხვდებოდა, მიიღებდა ის, ვინც სწრაფად მიაღწევდა ვაგონებთან. ხალხის ბრბო შეშლილივით დაიძრა ადგილიდან. იქ მდგომმა ესკადრონმა ვერ შეძლო ბრბოს შეჩერება, პირიქით ხალხის მასამ ისინი გვერდზე დაწია. წინა ხაზზე მოხვედრილებმა არ გაითვალისწინეს, რომ ტერიტორია გადათხრილი იყო. ნასვამი და მთვრალი ხალხის მასა ადვილად ეცემოდა თხრილებში. ხოლო ადგომას ვეღარ ახერხებდნენ, რადგან ფეხით გადაუარეს უკანა რიგებიდან. ასევე გაჭყლიტეს ქალები და ბავშვები. როცა გვამები აკრიფეს, გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ დაღუპულთა უმრავლესობას გაჭყლეტილი ჰქონდა ნესტოები, ხოლო პირი და ყურები მიწით ჰქონდათ სავსე.

სანამ მომხდარი უბედურების შესახებ გაიგებდა მოსკოვის ხელმძღვანელობა, სანამ მოვიდნენ ჯარისკაცები, ათობით და ასობით ადამიანი იღუპებოდა ჭყლეტვაში. „ხოდინკას“ ველი დაემგვანა გამოუცნობი ომის ველს. ორმოებში ჩავარდნილი და გაჭყლეტილი ხალხის ნაწილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. საჩუქრების მიღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. შუადღისთვის მოსკოვის ყველა საავადმყოფო გაივსო დაჭრილებით.

საყოველთაო პანიკის შედეგად ოფიციალური მონაცემებით „ხოდინკას“ ველზე დაიღუპა 1389 ადამიანი, ხოლო ათას ხუთასმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება. სინამდვილეში რამდენი დაიღუპა არავინ იცის. არაოფიციალური მონაცემებით დაღუპული იყო ოთხი ათასი ადამიანი. მოსკოვის ვაგანკოვის სასაფლაოზე შენარჩუნებულია ძეგლი, რომელიც მიეძღვნა „ხოდინკას“ ტრაგედიაში დაღუპულებს.

მაშინ არა მარტო მოსკოველები, არამედ მთელი რუსეთი შეარყია ამ საშინელმა ამბავმა. ეს იყო საშინელი ტრაგედია. ხალხი ფიქრობდა, რომ მეფე გააუქმებდა ზეიმს, დანიშნავდა საგამოძიებო კომისიას, დააპატიმრებდა დამნაშავეებს, გამოვიდოდა ხალხის წინაშე

სამგლოვიარო სიტყვით, მაგრამ ასეთი არაფერი მომხდარა. იმავე საღამოს ცერემონიალის თანახმად ის ცეკვავდა კადრილს საფრანგეთის ელჩთან. ერთადერთი, რაც მან მოახერხა, მოგვიანებით დაღუპულთა თითოეულ ოჯახს გადასცა ერთი ათასი რუბლი.

## ლონდონის სმოგი



ლონდონის ნისლის შესახებ ცნობილია ჯერ კიდევ გეოგრაფიის სასწავლო წიგნებიდან. განსაკუთრებით დაზარალდნენ ლონდონელები. 1950-იან წლებში, როდესაც ქვეყანაში ძირითადად გამოყენებული იყო ღუმელით გათბობა, ბოლავდა ქარხნების, ფაბრიკების და საცხოვრებელი სახლების საკვამურები. შემოდგომით მდინარე ტემზის თბილი ნესტიანი ჰაერი ირეოდა ავტომობილებიდან გამონაბოლქვ გაზში, ქარხნის მილების კვამლში და საცხოვრებელი სახლების მხუთავ კვამლში და ეს ყველაფერი გარდაიქმნებოდა სქელ ნაცრისფერ აყროლებულ ნარევად, რომელიც ეშვებოდა ციდან ქუჩებში მძიმე ნისლის სახით. ლონდონელების ჭირი გახდა ეგრეთ წოდებული სმოგი კვამლის და გაზის ნარჩენების მომწამლავი ნარევი ნისლთან. ხალხი ახველებდა, ცხვირს იფარავდნენ ცხვირსახოცით, წყევლიდნენ ნისლს. მაშინ არავინ იცოდა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა სმოგი ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

ხალხის სმოგით მოწამვლის პირველი ტრაგიკული შემთხვევა დაფიქსირებული იყო ბელგიაში. ჰაერის ზედმეტად გაჭუჭყიანების (მოწამვლის) შედეგად ქალაქ ლიეჟში 1930 წლის დეკემბერში დაიღუპა 60 ადამიანი, ხოლო ათასზე მეტი დაზარალდა. 1948 წლის დეკემბრის ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დონორში სმოგისგან დაზარალდა 2 ათასზე მეტი ადამიანი.

განსაკუთრებით საშიშია სმოგი შემოდგომით და ზამთარში, როდესაც ის სქელდება. ეს პერიოდი ლონდონის მოსახლეობისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ქალაქში ჩამოეშვა სქელი საბურველი, მძიმე, ბნელი ჰაერი და ხელს უშლიდა მხედველობას ქალაქის ქუჩებში, შედის შენობებში, ყველგან შეაქვს მყრალი სუნი. ბინებში ტანსაცმელს, ქვეშაგებს, საჭმელს და ყველაფერს აქვს სმოგის სუნი.

შემოდგომის დღეებში იწყება პრობლემები: მცირდება ავტომანქანების სიჩქარე, გზაჯვარედინებთან წარმოიქმნება ავტომანქანის

საცობები. მძღოლები აჩერებენ მანქანებს და ელოდებიან, თუ როდის გაიფანტება სმოგი. მაგრამ ხშირად ავტომანქანები ეჯახება ერთმანეთს, ხოლო ფეხით მოსიარულენი უაზროდ გარბიან აქეთ-იქით. ხშირად მდგომარეობა პანიკაში გადაიზრდება, რასაც მსხვერპლიანი ავარიები მოჰყვება-ხოლმე. ასევე ცუდი მდგომარეობა იქმნებოდა რკინიგზებზეც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მატარებლები შედიოდნენ ლონდონში. მემანქანეები რთავდნენ პროჟექტორებს და უკლებდნენ სიჩქარეს. ასეთივე სიტუაცია მეფობდა საზღვაო პორტებშიც, სადაც ათობით გემი შემოდიოდა.

ყველაზე ცუდად მოქმედებდა სმოგი იმ ადამიანებზე, ვინც დაავადებული იყო ასთმით და ფილტვების სხვადასხვა სახის დაავადებებით. ჯანმრთელებიც ამ პერიოდში განიცდიდნენ ჟანგბადის უკმარისობას. შედარებით სუსტები იღუპებოდნენ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებს საავადმყოფოებში უწყვეტად მოჰყავდათ ხველებით და გაგუდვით შეწუხებული ავადმყოფები.

ლონდონი მდებარეობს დაბლობზე, ზღვის დონიდან 5 მეტრის სიმაღლეზე. აქ არის ზღვის კლიმატი, რბილი ზამთრით და გრილი ზაფხულით, წელიწადში მოდის 645 მმ ნალექი. სწორედ ასეთი პირობები ხელს უწყობს ნისლის წარმოქმნას. ლონდონელებისთვის ყველაზე მსხვერპლიანი ნისლი იყო 1952 წლის დეკემბერში. ჰაერი ნაცრისფერი გახდა, გაუარესდა მხედველობა. მოულოდნელად ასობით ადამიანი მოიწამლა. ყველა საავადმყოფო გაივსო ხალხით. ისინი თანდათან უფრო ემატებოდნენ. ექიმები ვერ შველოდნენ პაციენტებს. საჭირო იყო ჟანგბადის ბალიშები, მაგრამ არ იყო საკმარისი რაოდენობის, საჭირო გახდა მზის სხივები და ქარიანი ამინდი. წარმოიქმნა წამლებით მომარაგების პრობლემაც. გახშირდა სიკვდილიანობაც. 1953 წლის პირველ თვეებში დაფიქსირებული იყო 4 ათასი დაღუპული. მთელი წლის მანძილზე სულ დაიღუპა 12 ათასი ადამიანი.

ლონდონი და ევროპის სხვა ქალაქების მოსახლეობა განცვიფრებული იყო ამ ციფრებით. სმოგის ასეთმა საშინელმა შედეგმა ინგლისის მთავრობა იძულებული გახადა გამოეყენებინა გათბობის სხვა სისტემა. პირველ რიგში უარი თქვეს ნახშირის გამოყენებაზე და გადავიდნენ შედარებით უფრო სუფთა მაზუთზე, ნავთზე და გაზზე. მაგრამ ეს ტრაგედია არ იყო საბოლოო. ათი წლის შემდეგ სიტუაცია განმეორდა. 1962 წლის დეკემბერში ლონდონში ჩამოეშვა სმოგის სქელი ღრუბელი. დედაქალაქის ბევრმა მცხოვრებმა აირწინაღი გაიკეთა. იმჟამად დაიღუპა 106 ადამიანი. იმ დროიდან დაწყებული ლონდონელებმა სმოგს უწოდეს „კილერ-სმოგი", ესე იგი მკვლელი-ნისლი.

# სტალინის დაკრძალვა



საბჭოთა ხალხის და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გარდაცვალებამ, დიდად დაამწუხრა ადამიანები ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყველა ფიქრობდა რა იქნება მომავალში, ან ვინ შეძლებს ამ გენიოსი ადამიანის შეცვლას. ამ წიგნის ავტორი მაშინ მეექვსე კლასის მოსწავლე იყო და კარგად ახსოვს თუ როგორ ტიროდა ყველა, სკოლებში კი სწავლება დროებით შეწყდა. ის 1959-1964 წლებში სწავლობდა უკრაინის ქალაქ კრივოი როგის სამთო სამადნო ინსტიტუტში, სადაც მრავალი უკრაინელი და რუსი ადამიანის გამოკითხვით დააზუსტა, რომ 1953 წლის მარტში რუსებიც და უკრაინელებიც ტიროდნენ. ბევრმა მათგანმა თავიანთ ქალიშვილს სახელად სტალინა დაარქვა, ხოლო უმრავლესობას საცხოვრებელ ბინაში თვალსაჩინო ადგილზე ჰქონდათ მოთავსებული სტალინის გადიდებული სურათი. ასევე ყველამ იცის, რომ დიდი სამამულო ომის დროს ჯარისკაცები და ოფიცრები ბრძოლის წინ გაიძახოდნენ ლოზუნგს: „სტალინისათვის, სამშობლოსათვის“.

1953 წლის 5 მარტს საბჭოთა კავშირში გამოაცხადეს ოთხდღიანი საყოველთაო სახელმწიფო გლოვა. ყველა სამინისტრო, უწყება, სამმართველო, ქარხანა, ფაბრიკა იმ დღეებში გაჩერებული იყო. ყველა ელოდებოდა დაკრძალვის დღეს, რომელიც 9 მარტისთვის იყო დანიშნული. სამი დღე ზედიზედ მრავალკილომეტრიანი ხალხის ცოცხალი მდინარე მიიკლაკნებოდა მოსკოვის ქუჩებში პუშკინის გავლით (ახლანდელი დიდი დიმიტროვკა) და მიემართებოდა კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზისკენ. იქ ამაღლებულ ადგილზე, ყვავილებში ჩაფლულ კუბოში ესვენა ბელადის ცხედარი. ბელადთან გამოთხოვებისთვის მოსულ ხალხში ბევრი იყო ჩამოსულიც, მაგრამ სპეციალური შესასვლელიდან პირველ რიგში უშვებდნენ უცხო ქვეყნის დელეგაციებს. მოსკოველები და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილიდან ჩამოსული ადამიანები გრძელ რიგში იდგნენ. მოსკოვის 7 მილიონი მცხოვრებიდან მინიმუმ 2 მილიონს სურდა თავისი თვალით ენახა გარდაცვლილი ბელადი.

საქართველოდან ჩამოვიდა სპეციალური მოტირალები. ამბობდნენ, რომ ტიროდა რამდენიმე ათასი შავებში ჩაცმული ქალი. დაკრძალვის დღეს მათ უნდა ევლოთ სამგლოვიარო პროცესიის უკან და უნდა ეტირათ განუწყვეტლივ. ხოლო ეს ტირილი უნდა გადაეცემულიყო რადიოთი. საბჭოთა ხალხი ამ დღეებში დათრგუნული იყო. ოთხი დღის მანძილზე რადიოთი გადასცემდნენ მხოლოდ ტრაგიკულ მუსიკას. ბევრ ადამიანს გულის ინფარქტი დაემართა და ნერვული სტრესი დაეწყო. სიკვდილიანობა მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ეს მოვლენა არავის დაუფიქსირებია.

ყველა ცდილობდა მოხვედრილიყო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, რომ ერთი წამით მაინც დაენახა ის ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე გახდა ძეგლი. ქალაქი თითქოს გაუკაცრიელდა. თუ პუშკინის და მასთან ახლო მდებარე ქუჩებში და შესახვევებში შეძლეს დაეცვათ წესრიგი, სამაგიეროდ, სხვა უფრო მოშორებულ ადგილებში ადამიანთა მრავალათასიან ჯგუფებში წარმოიქმნა ჭყლეტვა. თავისუფალ ადგილზე გამოსვლა ასეთი ორომტრიალიდან შეუძლებელი გახდა: ყველგან იდგა ჯარი და სამხედრო მძიმე მანქანები. გარემოცვა ბრბოს არ აძლევდა დაშლის საშუალებას. თავისუფალი ადგილები მხოლოდ იმ მხარეს იყო, საიდანაც მოდიოდა და აწვებოდა ბრბო. ყველას უნდოდა შესულიყო ხალხის ცოცხალ მდინარეში და მოხვედრილიყო პუშკინის ქუჩაზე. ადამიანებმა არ იცოდნენ რომელი გზით უნდა მოხვედრილიყვნენ იქ. ყველგან სამხედროები იდგნენ.

ინფორმაცია მსვლელობის მიმართულების შესახებ არ იყო. გავრცელებული ხმების მიხედვით, პუშკინის ქუჩაზე შეიძლებოდა გასვლა „ტრუბის" მოედნის მხრიდან. აი, სწორედ იქით გაემართა ადამიანთა ძირითადი ნაკადი. მაგრამ ყველამ ვერ შეძლო იქ მისვლა. ბევრი ჭყლეტვაში დაიღუპა მისადგომებთან. რამდენი კაცი დაიღუპა, ამას ვერასდროს გავიგებთ. თვითმხილველების ნაამბობით, გაჭყლეტილი გვამები სატვირთო მანქანაზე დააწყეს და გაიტანეს ქალაქგარეთ, ყველა ერთად დამარხეს საერთო საძმო საფლავში. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ გაჭყლეტილთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გონს მოვიდნენ და შველას ითხოვდნენ. მათი გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ სასწრაფო სამედიცინო დახმარება პრაქტიკულად არ მუშაობდა — იმ გლოვის დღეებში მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებში აკრძალული იყო მანქანების მოძრაობა. დაჭრილები არავის აინტერესებდა, არაფერს არ უნდა ჩაეშალა სტალინის დაკრძალვა.

ზოგიერთ ქუჩაზე დატრიალდა ნამდვილი ტრაგედია. ჭყლეტვა ისეთი ძალის იყო, რომ ადამიანები მიასრისეს სახლების კედლებზე.

დაინგრა ღობეები, დაამტვრიეს ჭიშკრები, დაიმსხვრა მაღაზიების ვიტრინები. ხალხი განათების რკინის ბოძებზე ადიოდნენ, ზოგიერთი ახერხებდა ადამიანთა თავებზე ასვლას და გახოხებას. ზოგიერთები ცდილობდნენ სატვირთო მანქანების ქვეშ გაძრომას, მაგრამ მათ იქ არ უშვებდნენ. წაქცეულ ადამიანებზე მოძრაობდა ბრბო, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ირხეოდა ტალღასავით.

ამ ტრაგედიის თვითმხილველი ბიოლოგიის მეცნიერი ი.ბ. ზბარსკი თავის წიგნში წერს, რომ სტალინის დაკრძალვის დღეს ის და მისი მეუღლე ჩაითრია ბრბომ და გამოიყვანა „ტრუბის“ მოედანზე. მან და მისმა მეუღლემ მოახერხეს ცოცხლად გამოსვლა. შემდეგ ის ამბობს, რომ ამ ჟულეტვაში დაიღუპა, არა მარტო ხალხი, არამედ ცხენებიც, რომლებზეც მილიციელები ისხდნენ.

რამდენი ადამიანი დაიღუპა, არ არის ცნობილი. მაშინ მითუმეტეს ამის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა და ვერავინ ბედავდა ამ საკითხის შესწავლასაც კი.

ცნობილმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ, რომელმაც მოგვიანებით გადაიღო ფილმი „Смерть Сталина“, დაწერა, რომ „მე მაშინ იქ ვიყავი, ბრბოს შუაგულში, ამ საშინელ ჟულეტვაში. ეს იყო გიგანტური ბრბო..., რომელსაც ჰქონდა ერთი საერთო სახე – მონსტრის (შემლილის) სახე, ისეთი როგორიცაა უმართავი, მკაცრი ადამიანის დამანჭული სახე. ეს იყო აპოკალიფსის სანახაობა. მოსკოვის კომენდატურამ და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ გასცა განკარგულება გადაეკეტათ „ტრუბის“ მოედანი სამხედრო სატვირთო მანქანებით, მაგრამ სრეტენკის ქუჩის მხრიდან, თავდაღმართიდან წამოვიდა ხალხის „ნიაღვარი“. იძულებული იყვნენ ერთმანეთს მიწოლოდნენ, გადამძვრალიყვნენ სახლებიდან, ბინებიდან. იყო ბავშვების დაღუპვის შემთხვევებიც. ეს წააგავდა იმას, როცა ბრბო იქაჩება ფეხბურთზე, ან ბოქსზე. ხალხი ტიროდა ქუჩებში, სამზარეულოში, სამსახურში, როცა გაიგო ბელადის გარდაცვალების ამბავი. აქ კი ყველაფერი გადაიქცა საკუთარი თავის გადარჩენისათვის ბრძოლად, სიცოცხლისათვის ბრძოლად. სატვირთო ავტომანქანებიდან ხელოვნურად გაკეთებულ კვადრატში შეტენილი ადამიანები იღუპებოდნენ. გარემოცვას უყვიროდნენ: „გაიყვანეთ მანქანები“. მე მახსოვს ერთი ოფიცერი ტირილით ამბობდა, რომ „არ შემიძლია, არ მაქვს მითითება“.

დაღუპული ადამიანების რაოდენობა ალბათ იყო დაახლოებით 1500. საყვარელი ბელადის დაკრძალვაში მონაწილეობის მიღება კი უნდოდა მილიონობით ადამიანს.

# 9 აპრილის ტრაგედია თბილისში



1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათისთვის, საბჭოთა კავშირის ჯარების ნაწილებმა, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სამხედრო მეთაურების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეუბრალებლად დაარბია მშვიდობიანი არასანქცირებული მიტინგი თბილისში, მთავრობის სასახლისა და ტელევიზიის შენობის წინ, რის შედეგად დაიღუპა უდანაშაულო ხალხი, რომელთა უმრავლესობა იყო ქალი და ბავშვი: ასობით ადამიანი კი ჯარისკაცების მიერ მოწამლული იქნა მხუთავი აირით. აღშფოთებულა საზოგადოებამ მოითხოვა მომხდარი ტრაგედიის გამოძიება, სპეციალური კომისიის დანიშვნა, დამნაშავე პირების გამოვლინება და სათანადოდ დასჯა.

9 აპრილის ტრაგედიის შესახებ ბევრი დაიწერა, მისი ეპიზოდები გადაღებულია ვიდეოთი. ხალხში გავრცელდა სხვადასხვაგვარი ხმები, დეზინფორმაცია, ჭორები, ცილისწამება. ავტორი კი ცდება ამ წიგნში შეიტანოს სახელმწიფო კომისიის მიერ გამოკვლეული დასკვნები. მას შემდეგ რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურმა (სსრკ კპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა) მიხეილ გორბაჩოვმა წამოიწყო არსებული წყობილების და სისტემის გარდაქმნა, პლიურალიზმი, დემოკრატიზმი და დაჩქარება, საქართველოში გაძლიერდა ექსტრემისტების და არაფორმალური ორგანიზაციების გამოსვლები, მიტინგები, აქციები, პიკეტები, დემონსტრაციები. ისინი მოითხოვდნენ დავით გარეჯის კომპლექსის დაცვას, ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის შეწყვეტას, ხუდონის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის გაჩერებას, სსრ კავშირის კონსტიტუციაში რესპუბლიკების სუვერენიტეტის შეზღუდვების შეცვლას.

მწვავედ იდგა აგრეთვე საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცების დისკრიმინაციის და მათ მიმართ ძალადობის საკითხი. მანიფესტაციებმა განსაკუთრებით კრიზისული ხასიათი მიიღო 1988 წლის ნოემბერსა და 1989 წლის თებერვალში. თანდათან გამოიკვეთა მაშინდელი ხელისუფლების მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება მიტინგების და დემონსტრაციების მიმართ. იყო აგრეთვე უსანქციო მიტინგების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევები 1988 წლის 22 სექტემბერს და 1989 წლის 18 და 25 თებერვალს. პოლიტიკური მდგომარეობა გაამწვავა ასევე 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებულმა თავყრილობამ, რომელზეც მიიღეს არაკანონიერი, არაკონსტიტუციური დადგენილება საქართველოდან აფხაზეთის ასსრ-ს გასვლის შესახებ.

1989 წლის 4 აპრილიდან ქ. თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მრავალათასიანი უსანქციო მიტინგი, სადაც მიტინგის მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს სსრ გასვლის შესახებ. ეს კონსტიტუციური მოთხოვნები მათ გამოსატეს შიმშილობით. მოშიმშილეებს მხარს უჭერდნენ მოქალაქეთა დიდი ჯგუფები. მიტინგზე გამოჩნდა ისეთი მკვეთრი პლაკატები, როგორიცაა: „ძირს კომუნისტური რეჟიმი“, „ძირს რუსეთის იმპერიალიზმი“, „სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა“, „საქართველოდან გაყვანილ იქნა საოკუპაციო ჯარები“ და სხვა. ამის გარდა რუსთაველის პროსპექტზე მომიტინგეებმა კანონის საწინააღმდეგოდ მანქანებით გადაკეტეს მიმდებარე ქუჩები. წამოყენებული იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომის მოთხოვნაც. ყოველივე ამის მიუხედავად, მიტინგი აშკარა მშვიდობიანი იყო. მომიტინგეებს არ ჰქონდათ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი ან რაიმე სხვა საგნები. საჯაროდ იყო გამოცხადებული, რომ ყველანაირ შემთხვევაში მიტინგი დაიშლებოდა 14 აპრილს.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ძნელი და საშიში საქმეები გაეკეთებინა სხვისი დახმარებით, სხვების ხელით. ასე მოხდა 1989 წლის აპრილშიც. მოსკოვს სთხოვეს ჯარების ნაწილების საქართველოში გამოგზავნა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. 1989 წლის 7 აპრილს მოსკოვში ე. ლიგაჩოვმა ჩაატარა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მაშინდელი მთავრობის წევრები: ნ. სლიუნკოვი, ვ. ჩებრიკოვი, ვ. მედვედევი, ა. ლუკიანოვი, დ. იაზოვი, გ. რაზუმოვსკი, ვ. კრიუჩკოვი, ვ. ბაკატინი. მათი გადაწყვეტილების თანახმად თბილისში გადმოი-

ყვანეს მილიციის და შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, მათ შორის ძერჟინსკის სახელობის სპეციალური დანიშნულების დივიზიის პოლკი (ОМОН – რუს.) და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული სადესანტო პოლკი. თბილისში ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი.

მაშინდელმა საქართველოს სსრ მთავრობამ მოითხოვა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი, ი. სარიშვილი და სხვები) შეხვედრა და დიალოგი. მაგრამ ეს შეხვედრა არ გამართულა, რადგან მათ მოითხოვეს საკავშირო უმაღლეს ხელმძღვანელებთან შეხვედრა.

1989 წლის 7 აპრილს 20 საათსა და 35 წუთზე ჯუმბერ პატიაშვილის მოადგილემ ბ. ნიკოლსკიმ, მოსკოვში გააგზავნა დეპეშა, რომელშიც ის მოითხოვდა თბილისში საგანგებო წესების შემოღებას (კომენდანტის საათს).

სამხედრო ღონისძიებების ჩატარება დაავალეს გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვს. 8 აპრილს დღის 1 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო ცაში დაფრინავდა სამხედრო ვერტმფრენები, მაგრამ მომიტინგეები და მოშიმშილეები არ შეშინდნენ და მოხდა საპირისპირო შედეგი: მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იგრძნო რეალური საფრთხე, რომელიც ახალგაზრდობას ემუქრებოდა და თავი ვალდებულად ჩათვალა გაეზიარებინა მათთან საერთო განსაცდელი.

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე დაიწყო მიტინგის ალყვეთის სამხედრო ოპერაცია. ი. როდიონოვის და მას დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილების მოქმედება არ იყო მიმართული მიტინგის დასაშლელად, რაც მათ დაამტკიცეს დანაშაულებრივი ქმედებებით. მიტინგის დარბევა დაიწყეს მაშინ, როცა მთავრობის სასახლის წინ თავმოყრილი იყო არა 200 მოშიმშილე, არამედ 10000-ზე მეტი მომიტინგე. დარბევის წინ მიტინგზე სრული სიმშვიდე სუფევდა. ადამიანები იდგნენ ხელში ანთებული სანთლებით, ლოცულობდნენ და მღეროდნენ, რაც მსხვერპლის შეწირვას უფრო ჰგავდა, ვიდრე აქტიური წინააღმდეგობის გაწევას. დარბევა ისე დაიწყეს, რომ სამხედროებს მომიტინგეთათვის არ წარუდგენიათ ულტიმატუმი მიტინგის დაშლის მოთხოვნით. არ იყო გამოყენებული ნაკლებად მავნე საშუალება, წყლის ჭავლის მიშვება, ან სხვა უსაფრთხო ღონისძიება. დარბევის დაწყებამდე მთავრობის სასახლის წინამდებარე გასასვლელი ქუჩები რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარეს გადაკეტილი იყო მანქანებით

და ჯარისკაცებით. მომიტინგეებს ფაქტიურად გასაქცევი გზა წინასწარ მოჭრილი ჰქონდათ. სამხედროებმა მომიტინგეები კი არ გამოდევნეს, არამედ ალყაში მოაქციეს და უმოწყალოდ სცემდნენ რეზინის ხელკეტებითა და ნიჩბებით, გამოიყენეს ასევე მომწამლავი და მომგუდავი ქიმიური ნივთიერებები: „ჩერიომუხა", „სი-ესი", „ქლორპიკრინი" და ისეთი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ნერვულ სისტემას უკეთებს ბლოკირებას. სწორედ აკრძალული ქიმიური საშუალებების გამოყენებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი: 19 დაღუპული ადამიანიდან 12 გამოიწვია მხოლოდ გაგუდვამ, მომწამლავი ქიმიური ნივთიერების შესუნთქვამ. 3 ადამიანი დაიღუპა მექანიკური ტრავმების და თავის არეში მიყენებული ჭრილობებისაგან. მოწამვლის გამო სამკურნალო დაწესებულებებს მიმართა 4000-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთა შორის 500-ზე მეტი მკურნალობდა სტაციონარულად, 3328 მოქალაქეს კი გაუწიეს ამბულატორიული მკურნალობა. ძალიან მძიმედ მოწამლული ადამიანები სამკურნალოდ წაიყვანეს გერმანიაში.

9 აპრილს სამხედროებმა ასევე გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღიც, კერძოდ, მოკლეს მანქანის მძღოლი, რომელმაც არ იცოდა კომენდანტის საათის შესახებ; მძიმედ დაჭრეს დავით ფაილოძე თავის არეში, რის შედეგად მან დაკარგა ორივე თვალი და სამკურნალოდ საფრანგეთში წაიყვანეს.

19 დაღუპულიდან 16 ქალი იყო, მათ შორის 2 არასრულწლოვანი და ერთი ორსული, ხოლო მოწამლულთა და დასახიჩრებულთა უმრავლესობა ახალგაზრდა გოგონები იყვნენ.

ჯარისკაცები მისდევდნენ გაქცეულებს, უცვივდებოდნენ შენობებში თავშეფარებულ მოქალაქეებს, ურტყამდნენ წაქცეულებს, არ ინდობდნენ ქალებს, არასრულწლოვანებს, მოხუცებს. ამსხვრევდნენ ვიტრინებს, განზრახ აზიანებდნენ სახელმწიფო და კერძო ქონებას. სამხედროებმა სხეულის დაშავება და დასახიჩრება მიაყენეს მოშიმშილეებს, მედიცინის თეთრხალათიან მუშაკებს, რომლებიც ადგილზე სამედიცინო დახმარებას უწევდნენ დაზარალებულთ, დაზარალდნენ ასევე საქართველოს მილიციის უიარაღო მუშაკები, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ.

ეს იყო არა მიტინგის დაშლა-გარეკვა, არამედ დამსჯელი სამხედრო ოპერაცია, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა უნდა დაკისრებოდა ი. როდიონოვს, როგორც დანაშაულებრივი ოპერაციის ორგანიზატორს. მაგრამ დასჯის ნაცვლად საბჭოთა მთავრობამ ის ჯერ მოსკოვში გადაიყვანა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ქვეყნის

შეიარაღებული ძალების მინისტრად დააწინაურა. მაგრამ მან ამ თანამდებობას თავი აშკარად ვერ გაართვა, აქაც ჩაიდინა მთელი რიგი არაკანონიერი, ბოროტი, თვითნებური ქმედებები, რის გამოც ის გაათავისუფლეს და იძულებით გაუშვეს პენსიაზე.

ქართველმა ხალხმა მშვიდობიანი გზით მაინც მოიპოვა დამოუკიდებულობა, საქართველო გახდა სუვერენული რესპუბლიკა, ~~ევრო-კავშირის წევრი~~. მისი დამოუკიდებლობა აღიარა მსოფლიოს ყველა ქვეყანამ, თვითონ რუსეის ფედერაციამაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. კომუნისტური პარტიის ბილეთები ხალხმა გადაყარა, დაინგრა საბჭოთა კავშირი, უარყვეს კომუნისტური იდეოლოგია და სოციალისტური სისტემა, მართალია ყველაფერი ამის გაკეთებაში უდიდესი წვლილი და მილიარდობით დოლარის ხარჯის გაწევა მიუძღვის არა მიხეილ გორბაჩოვს და მის გარშემო მყოფ პირებს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ЦРУ-ს). მიხეილ გორბაჩოვი ამერიკელებმა მოქრთამეს დოლარებით, გადაიბირეს და იგი გახდა რუსეთის მოღალატე.

## ტრაგედია მინსკში



1999 წლის 30 მაისს, კვირადღეს, მინსკში სპორტის სასახლესთან ახლოს მაშეროვის პროსპექტზე იყო ორგანიზებული ქალაქის დღესასწაული. თავის წლისთავს აღნიშნავდა რადიოსადგური „მირი". ხოლო საღამოს ცხრა საათისთვის ღია ცის ქვეშ დაიწყო ჯგუფი „მანგო-მანგოს" კონცერტი. მთელი დღის მანძილზე ქალაქში წვიმას აპირებდა. უკვე დღესასწაულის წინ ცაზე თავი მოიყარა ღრუბლებმა და ჩამობნელდა. ხშირად ელავდა. მაგრამ არავის არ უნდოდა წასვლა, ყველას უნდოდა კონცერტზე დასწრება. მაგრამ როგორც კი წამოვიდა თავსხმა წვიმა, ორიათას ხუთასი ადამიანი ერთდროულად გაიქცა მეტროს მხარეს. მეტროში ჩასასვლელი კიბის საფეხურებზე წარმოიქმნა საშინელი ჭყლეტვა, რის შედეგადაც დაიღუპა 54 ადამიანი – ძირითადად 15-16 წლის გოგონები. მათ ვერ შეძლეს მათზე ზემოდან დაცემულთა სხეულებიდან თავის დაღწევა. ვინც დაიღუპა, ყველას ერთი და იგივე დიაგნოზი – ასფიქსია (მოგუდვა) დაუდგინდა. რამდენიმე ადამიანი დაიღუპა ხერხემლის ტრავმისაგან. ისინი გათელეს ქუსლებით.

ამ ტრაგედიის შესახებ პირველი ცნობა ეთერში გადასცა რადიოსადგურმა „მირმა". წამყვანის ისტერიული ხმა საშეელად მოუწოდებდა: „გვიშველეთ! მეტროს სადგურ „ნემიგაში" არის ჭყლეტა! იღუპება ხალხი! მოდით მანქანებით, ვისაც შეგიძლიათ!" ცოცხლად გადარჩენილები გამოჰქონდათ გროვიდან, სვამდნენ მანქანებში და მიჰყავდათ საავადმყოფოებში. სულ მუშაობდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების 58 ბრიგადა. მაგრამ მანქანები მაინც არ იყო საკმარისი. ზოგიერთი გოგონას მიყვანა საავადმყოფომდე ვერ მოასწრეს და ისინი გზაში გარდაიცვალნენ. ერთ საავადმყოფოში მიიყვანეს 40 დაშავებული ადამიანი, მაგრამ 6 გოგონა გარდაიცვალა საოპერაციო მაგიდასთან მიყვანამდე. ერთ საწოლზე გაუნძრევლად იწვა გოგონა, რომელსაც ეცვა მაისური დი კაპრიოს და ჯეიტ უინსლეტის გამოსახულებით.

ერთი გოგონა გადაარჩინა ბიჭმა, რომელიც ამ დროს ამოდიოდა მეტროდან. თითქმის ყველა დანარჩენი გოგონებიც ბიჭებმა და კაცებმა გადაარჩინეს, გამოაძვრინეს ადამიანთა გროვიდან.

იმ ტრაგედიის თვითმხილველი ალექსი მამჩიცი ჰყვება, რომ: „ის და სხვა მგზავრები ჩადიოდნენ მეტროში ესკალატორზე, მაგრამ ვიღაცა წაიქცა, მას მიჰყვნენ სხვებიც. შეიქმნა ზედახორა. საბოლოოდ ჩემს სხეულზე ზემოდან იწვა 5-6 ადამიანი, მაგრამ ჩემს ქვემოთაც იყო რამდენიმე წაქცეული. მე გამომათრია ვიღაც ომონელმა. დაზარალებული ნადია მაცულევიჩი მოყვა, რომ მის ფეხებზე ეყარა მრავალი გვამი. უცნობი ბიჭები ცდილობდნენ ჩემ გამოთრევას, მაგრამ მე განვიცდიდი საშინელ ტკივილს და ვეხვეწებოდი თავი დაენებებინათ, მაგრამ მათ ძალით გამომაძვრინეს და გადამარჩინეს". ზედახორის ქვედა ფენებში მყოფ ადამიანებს გრძნობა რომ არ დაჰკარგოდათ ასმევდნენ წყალს. ბრბო გაჰკიოდა: „უკან! უკან!" მაგრამ უკან არავინ მიდიოდა.

კიბის საფეხურებზე დარჩა მრავალი ჩათნა, ფეხსაცმელი, ქოლგა, საფულე, პასპორტი და სხვა დოკუმენტები. დილის 6 საათისთვის აქ ყველაფერი იყო დასუფთავებული და ვერავინ იფიქრებდა, რომ აქ 10 საათის უკან დაიღუპა 54 ადამიანი.

ტრაგედიის ადგილზე მიეიდა ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, რომელმაც თქვა: „ყველაფერი მოხდა 10 წუთში. ეს იყო რაღაც უცნაური და არარეალური მოვლენა, ამიტომ მისი შეფასება შეუძლებელია. დაღუპულთა შორის არავინ აღმოჩნდა მთვრალი. ყველა ხანში შესული დაღუპული ადამიანი ამოდიოდა მეტროდან ზევით. ეს იყო ველურობა, აუხსნელი უცნაურობა".

კონცერტის დროს სპორტის სასახლესთან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად იმყოფებოდა 150 პოლიციელი და სამხედრო პირი. 2 მილიციონერი დაიღუპა, ერთმა მიიღო მძიმე ტრავმა, კიდევ ცხრამ – მსუბუქი დაზიანება.

მედიცინის მუშაკების დასკვნით, ტრავმების ძირითადი სახე იყო – ჭყლეტვის სინდრომი, რომლის დროს ირღვევა ფილტვების ვენტილაცია. თითქმის ყველა მათგანს ჰქონდა შეშუპება და ტვინის შერყევა. ზოგიერთს ჰქონდა საშარდე ბუშტი გამსკდარი და მენჯი დამსხვრეული.

კონცერტის დაწყებისთანავე მოვიდა თავსხმა წვიმა და ძლიერი სეტყვა. ამან აიძულა მოზარდები გაქცეულიყვნენ მეტროსაკენ. კოსმოსური ფაქტორები გაელენას ახდენენ ადამიანთა და ცხოველთა ტვინზე. ასეთ წუთებში ადამიანები ვერ აზროვნებენ, არ იციან თუ რას აკეთებენ.

## ტრაგედია ერევანში

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში დილეტანტმა ტერორისტებმა, ჟურნალისტ ნაირი უნანიანის მეთაურობით, მოაწყვეს საშინელი ტრაგედია. ტერორისტებმა გრძელი ლაბადების ქვეშ დამალეს ცეცხლსასროლი იარაღი – ისარგებლეს დაცვის დაუდევრობით და მოახერხეს სომხეთის მთავრობის სასახლეში შესვლა. ისინი შეცვივდნენ სხდომათა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სომხეთის ნაციონალური კრების სხდომა. ტერორისტებმა გახსნეს ცეცხლი და მოკლეს პირველ რიგში მჯდომი სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე დემირჩიანი, რომელიც უწინ იყო სომხეთის სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მათ ასევე დახოცეს კიდევ 8 დეპუტატი და დაჭრეს პარლამენტის რამდენიმე წევრი. მძიმედ დაიჭრა სომხეთის პარლამენტის სპიკერი სარქისიანი. შემდეგ უბრძანეს, რომ ყველა დაწოლილიყო იატაკზე. ტერორისტები ყვიროდნენ: „ჩვენ ვაწყობთ გადატრიალებას! ძირს კორუფცია! გაუმარჯოს თანასწორობას!" შემდეგ ტერორისტებმა მოითხოვეს სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანთან შეხვედრა და ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გასვლა.

გარეთ თავი მოუყარეს შეიარაღებულ ძალებს, ალყა შემოარტყეს მთავრობის სასახლეს. ყველა ადამიანი ვინც იმ მომენტში იმყოფებოდა სასახლეში გამოიყვანეს გარეთ. მილიციამ დააპატიმრა 4 შეიარაღებული პირი, რომლებიც ტერორისტებს ელოდებოდნენ გარეთ ავტომანქანებით. გენერალმა გრიგორიანმა დაიწყო ტერორისტებთან

მოლაპარაკება. ტერორისტებმა მოითხოვეს, რომ იქან გამოსვლის დროს მათ გვერდში ყოფილიყვნენ დეპუტატები. 18-საათიანი მოლაპარაკების შემდეგ ტერორისტები დააპატიმრეს.

სომხეთის მთავრობის სასახლეში პარლამენტის სხდომათა დარბაზში მომხდარ ტრაგედიას, ტელევიზიით უცქირა მთელმა მსოფლიომ, ვინაიდან იმ მომენტში ჩართული ყოფილა ფარული ვიდეოგადაღების კამერა. ერევანში გამოცხადდა გლოვა, ხოლო დაღუპულების დაკრძალვის დღე – რესპუბლიკაში გლოვის დღედ.

## ტრაგედია მექაში



ერაყის მუსულმანური სარწმუნოების დედაქალაქ მექას ცენტრალურ ტაძარში (მეჩეთში), სხვადასხვა სახელმწიფოებიდან სალოცავად მიმავალმა მუსულმანებმა მოაწყვეს კარვების ბანაკი ქალაქთან ახლოს. ვინაიდან სალოცავად მოსული ადამიანების რაოდენობა რამდენიმე ათასი იყო, მლოცველები ელოდებოდნენ თავიანთ რიგს. მუსულმანური სარწმუნოების წეს-ჩვეულების ყურბან-ბაირამის მიხედვით, ასობით მუსულმანმა დაკლა ცხვარი, შეწირა მსხვერპლი.

1997 წლის 14 აპრილს, რომელიღაც კარავში გაჩნდა ხანძარი. ვინაიდან კარვები ერთმანეთთან ახლოს იყო, ხოლო იმ დღეს ქროდა ცხელი ქარი, ხანძარი სწრაფად გავრცელდა და მასიურად დაიწვა კარვები. შეიქმნა პანიკა, ჭყლეტვა. ბევრმა ადამიანმა ვერ მოახერხა ცეცხლისგან თავის დაღწევა. არავინ მოელოდა ხანძრის ასე სწრაფად გავრცელებას.

მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაიღუპა 300-ზე მეტი სალოცავად მოსული ადამიანი, ხოლო დამწვრობა და ჭრილობები მიიღო ასობით ადამიანმა. მუსულმანების სათაყვანებელმა ღმერთმა მუჰამედმა ვერ დაიცვა მის საფლავთან მისული ადამიანები.

## ტრაგედია სუვენირების მიღებისას

1975 წლის 10 მარტს მოსკოვის სოკოლნიკების სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა კავშირის და კანადის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩი ხოკეიში. კანადელ ბავშვებს თან ახლდა მშობლები და მე-

გობრები, რომლებმაც ხელგაშლილად დაურიგეს გულშემატკივრებს ნიშნები (значки – რუს.), სალტები, ეტიკეტები.

მატჩის დამთავრების შემდეგ ასობით ბავშვი გაიქცა კანადელების ავტობუსებისაკენ სუვენირების მისაღებად. წარმოიქმნა ჭყლეტვა, რის შედეგად დაიღუპა 21 მოზარდი, მათ შორის 13 ბავშვი ჯერ არ იყო 16 წლის.

## ტრაგედია ლუჟნიკების სტადიონზე

მოსკოვის ლუჟნიკების სტადიონზე 1982 წლის 20 ოქტომბერს ჩატარდა ფეხბურთის მატჩი „უეფას" თასზე, მოსკოვის „სპარტაკსა" და ჰოლანდიის „ჰაარლემს" შორის. გამოცემული იყო ბილეთების მთელი კომპლექტი 82 ათასის რაოდენობით. მაგრამ შეხვედრის წინ მოვიდა დიდი თოვლჭყაპი და მატჩის დღეს ჰაერის ტემპერატურა დაეცა $10^{0}C$-მდე. სტადიონის ადმინისტრაციამ თოვლისგან გაასუფთავა ტრიბუნები, მაგრამ მთლიანი სტადიონის გასუფთავება ვერ მოხერხდა და არც იყო საჭირო, ვინაიდან სულ გაიყიდა 16000 ბილეთი.

ტრიბუნა „C", რომელზეც მოხდა ტრაგედია იტევს 23 ათას მაყურებელს. მუშაობდა ასევე ტრიბუნა „A", სადაც მოთავსდა 3-4 ათასი მაყურებელი. „C"-ი ტრიბუნა უბრალოდ უფრო ახლოს არის მეტროსთან და ამიტომ მაყურებელი თვითონ გაემართა იქითკენ. ტრიბუნებზე სიტუაცია შეიქმნა დაძაბული. ბევრი მაყურებელი არყით იყო გამთბარი და თავისუფლად გრძნობდა თავს. მათ მილიციელებს დაუშინეს ყინულები და ბოთლები. განსაკუთრებით გაშმაგებული 150 მაყურებელი მიიყვანეს მილიციის ოთახებში. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. ანგარიში 1:0 იყო „სპარტაკის" სასარგებლოდ. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მაყურებელი გაემართა გასასვლელისაკენ. ორივე მომუშავე ტრიბუნაზე გაღებული იყო ყველა გასასვლელი, მაგრამ ძირითადი მასა დაიძრა მხოლოდ ერთი კიბისაკენ. ხალხს შესცივდა, ბევრი მსუბუქად იყო ჩაცმული, ყველას სურდა სწრაფად მისულიყო მეტრომდე. ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრული ხალხის ნაკადი მოძრაობდა კიბეებზე ქვემოთ. უეცრად დაიწყო ჭყლეტა. კიბის რკინის სახელურები მიწოლისგან გაიღუნა. ადამიანები ჩაცვივდა ქვევით და ამან უშველა ზოგიერთის გადარჩენას. წინა საფეხურზე დაეცა გოგონა, მოინდომეს მისი ფეხზე აღგომა, მაგრამ უკნიდან აწვებოდა ხალხის მასა. წინ მყოფნი ეცემოდნენ მოწოლისგან, მათ ზემოდან დააწვა მომავალი ადამიანების დიდი მასა. სიტუაცია გაამწვავა „სპარტაკის" მიერ ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა. ბევრი მაყურებელი, რომელიც უკვე გასული იყო გალერეაზე, გამოიქცა უკან.

მოხდა საშინელი ტრაგედია: დაიღუპა 66 ადამიანი, ხოლო სერიოზული დაზიანება მიიღო 61-მა.

## ტრაგედია შეფილდის სტადიონზე

1989 წლის 15 აპრილს ინგლისის ქალაქ ჰილსბორის შეფილდის სტადიონზე მიმდინარეობდა დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალის მატჩი, ერთმანეთს ხვდებოდნენ პოპულარული გუნდები „ლივერპული“ და „ნოტინგემ-ფორესტი“. თამაშის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ მატჩი შეწყდა.

იმ სექტორის შესასვლელთან, სადაც იჯდა ლივერპულის გულშემატკივრები, შეიკრიბა 2-3 ათასი მაყურებელი, რომლებსაც არ ჰქონდათ ბილეთები. პოლიციამ გადაწყვიტა ჭიშკრის გაღება, რათა ექსცესების გარეშე შეეშვა ეს ბრბო დასადგომ ადგილებზე. მაგრამ ზოგიერთი თვითმხილველის მონათხრობით სტადიონის ჭიშკარი ფეხბურთის მოყვარულებმა შეანგრიეს. გულშემატკივართა ნაკადი გაექანა პირდაპირ და აღგავა მიწის პირიდან ყველაფერი, რაც კი წინ გადაეღობა. ამის შედეგად მრავალი მოყვარული მიაჭყლიტეს ფეხბურთის სათამაშო მოედნის რკინის ღობეზე, ხალხი ვეღარ სუნთქავდა, დაეცნენ და მიიღეს დაზიანება. მსაჯმა მატჩი შეაჩერა. ჭყლეტა რომ შემსუბუქებულიყო პოლიციელებმა გააღეს ღობის კარები. მაგრამ ამ ვიწრო ღიობმა ვერ უშველა მდგომარეობას. ხალხი ცდილობდა შესულიყო სათამაშო მოედანზე, ცარიელ სივრცეში, რამაც ჭყლეტა უფრო გააძლიერა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაკები ოპერატიულად შეუდგნენ საქმიანობას, მათ დაეხმარნენ მოხალისეებიც, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მკვრივი მასიდან დაჭრილი ადამიანების გამოყვანა.

ეს შემზარავი არეულობა სტადიონზე ტელევიზიამ უჩვენა მოსახლეობას. მთვრალი გონებაარეული მოყვარულები ჯიბეებს უქექავდნენ გარდაცვლილ ადამიანებს, თავს ესხმოდნენ პოლიციელებს, რომლებიც ცდილობდნენ დაშავებულების დახმარებას. მათ პოლიციელებს გაუწიეს სასტიკი წინააღმდეგობა, აგინებდნენ, მუშტებს ურტყამდნენ სახეში, ბევრ პოლიციელს სახე ჰქონდა დალილავებული. მთვრალი გულშემატკივრები მოქმედებდნენ არაადამიანურად, მტაცებელი მხეცებივით, უაზროდ.

შეფილდის ფეხბურთის სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაიღუპა 108 ფეხბურთის მოყვარული, დაიჭრა 200-ზე მეტი ადამიანი, ხოლო მძიმე მდგომარეობაში მყოფი 70 გულშემატკივარი მოათავსეს ჰოსპიტალში. აი რა შეუძლია თურმე მთვრალი ბრბოს ველურობას.

## მეთევზეთა ტრაგედია

ბალტიის ზღვის კურშის ყურეში, რომელიც მდებარეობს კალინინგრადის ოლქში, ყინულქვეშა თევზჭერის ადგილობრივმა მოყვარულებმა მოიყარეს თავი 1995 წლის 13 მარტის წყნარ და მზიან დღეს. ისინი იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ამ წლის ყინულქვეშა თევზჭერის სეზონი ჯერ არ იყო დამთავრებული. მაგრამ შუადღისთვის ქარი გაძლიერდა, წამოვიდა წვიმა. დღის პირველ საათზე სანაპიროს გასწვრივ ათობით კილომეტრის სიგრძეზე წარმოიშვა ყინულის ბზარი. რამდენიმე წუთში კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე ყინულმა დაიწყო დრეიფი (თავისუფალი, ნებისმიერი ცურვა) ლიტვის ტერიტორიისაკენ. ყინული სანაპიროდან დაშორდა ათობით კილომეტრის მანძილით. ამ მომენტში მიწიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა 500-ზე მეტი მეთევზე.

თავდაპირველად მეთევზეებმა ვერაფერი შეამჩნიეს. ეჭვი დაებადათ მხოლოდ მაშინ, როცა ტიკტიკები დაიჭიმა ყინულის ქვეშ. ყველაზე საზრიანებმა მაშინვე გაიხადეს ტანსაცმელი და ნაპირამდე მიაღწიეს ცურვით. მაგრამ უმრავლესობამ გადაწყვიტა ადგილზე დარჩენა. ბევრი მეთევზე ფიქრობდა, რომ მალე მოვიდოდა სასწრაფო დახმარება. მაგრამ მაშველი არ ჩანდა. მეთევზეები ბევრჯერ ჩავარდნენ წყალში და მათი უმრავლესობა დასველდა ცივ წყალში. მთავრობის ოფიციალური მაშველი მოვიდა საღამოს 7 საათზე.

მეორე დღეს ხალხის საშველად მთავრობამ გამოყო მხოლოდ სამი შვეულმფრენი. სამაგიეროდ თავი გამოიჩინეს ადგილობრივი მოსახლეობის მოხალისეებმა. ორი მოტორიანი და 3 ნიჩბიანი ნავით მათ გააკეთეს ათობით რეისი. თითო რეისის გაკეთებას დასჭირდა დაახლოებით ერთი საათი. მხოლოდ ამ ადამიანებმა გაუკეთეს ორგანიზაცია დასაღუპად განწირული მეთევზეების გადარჩენას. ყინულიდან წამოყვანილი შეციებული და დასველებული ადამიანები მათ მიიყვანეს თავიანთ სახლებში.

13 და 14 მარტს განუწყვეტლივ წვიმდა, უბერავდა ძლიერი ქარი. ვეებერთელა ყინულის მასა ტყდებოდა პატარა ნაწილებად. მეთევზეები ეცვათ თბილი, მძიმე ტანსაცმელი და ამიტომ წყალში მალე იხრჩობოდნენ.

ოფიციალური მონაცემებით დაიხრჩო 51 ადამიანი, მაგრამ გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა 80 ადამიანის დაღუპვა და წარმოადგინა გვარები და მისამართები. ამის გარდა ასობით ადამიანი იყო მოყინული და დაშავებული.

– 2000 წლის 27 თებერვალს რუსეთში ლადოგის გაყინულ ტბაზე

თევზს იჭერდა 1000-ზე მეტი მეთევზე. ზოგიერთი მათგანი ყინულზე შედგა მანქანით. დღის 2 საათზე ყინული მოწყდა სანაპიროს და 14 კილომეტრით გაცურდა ჩრდილოეთით. ლენინგრადის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურმა შეეულმფრენებით გადაარჩინეს 911 მეთევზე. 131 ადამიანი დაიხრჩო ტბაში.

## ტრაგედია შახტებში

— კუზნეცკის ბასეინის ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედია მოხდა „პირველი მაისის" სახელობის შახტაში, 1995 წლის 5 სექტემბერს. გაიგონა თუ არა აფეთქების ხმა 30 წლის იური გამანიუკმა სასწრაფო რეაგირება გააკეთა, ჩართო „თვითმაშველი" და გაიქცა შახტის ჭაურისაკენ, მას უკან მიჰყვა ვიაჩესლავ სურკინი. აფეთქების შემდეგ შახტში გაითიშა განათება და მეშახტეები ჭაურისკენ ხელებისცეცებით გაემართნენ. შახტში ავარდა ისეთი მტვერი, რომ 30 სანტიმეტრში არაფერი ჩანდა. გაძნელდა სუნთქვა. მუშებმა ჩაყლაპეს ნახშირჟანგის გაზი. სასწრაფოდ მოვიდა სამთო მაშველი რაზმი. ბევრი მუშა შოკში ჩავარდა.

აფეთქების შედეგად დაიღუპა 15 მეშახტე. ათობით მეშახტემ მიიღო სერიოზული დაზიანება.

სახელმწიფო კომისიამ წამოაყენა აფეთქების მიზეზის სამი ვერსია: 1) მეთანის აალება აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების პროცესში, სანგრევის მოტეხვა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დაიწყეს 5 საათსა და 30 წუთზე, ხოლო შახტში აფეთქება მოხდა 5 საათსა და 45 წუთზე.

2) მეთანის გაზის აფეთქება ელექტროენერგიის ჩართვის მომენტში.

3) სიგარეტის მოწევა. შახტში იპოვეს სიგარეტების ნამწვავები და სანთებელები.

— 1931 წელს ჩინეთში მანჯურიის „ფუშუნის" მაღაროში მოხდა აფეთქება, რის შედეგად დაიღუპა 3000-ზე მეტი მაღაროელი.

— საფრანგეთში 1906 წელს „კურიერსის" მაღაროში მოხდა აფეთქება, რის შედეგად დაიღუპა 1060 მაღაროელი, ხოლო ათასობით ადამიანი დაშავდა.

— აღმოსავლეთ გერმანიაში 1949 წელს ურანის მაღაროში მოხდა აფეთქება და დაიღუპა 3700 მაღაროელი.

## ტრაგედია ტბაზე

კამერუნში სოფელ ნჟიდუნისკენ 1984 წლის აგვისტოს ერთ დილას მოძრაობდა ავტოფურგონი. მანქანას მართავდა ახალგაზრდა მღვდელი ფუბუ ქანი, მის გვერდზე იჯდა შემთხვევითი მგზავრი. უეცრად ქანმა დაინახა გზის პირას მოტოციკლისტი. მას ჰქონდა რაღაც არაბუნებრივი და უცნაური პოზა. მან გააჩერა მანქანა და ორივე ამბის გასაგებად გაემართა. ისინი დარწმუნდნენ, რომ მოტოციკლისტი მკვდარი იყო. უკან გამობრუნებულ ქანს დაემართა პირღებინება, თავბრუსხვევა და დაკარგა გრძნობა. მისი თანამგზავრიც ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ დაეხმარა მღვდელს ავტოფურგონამდე მისვლაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ფუბუ ქანის თანამგზავრი დაიღუპა. ქანმა კი ადგილობრივ ხელისუფლებას მოახსენა მომხდარის შესახებ. დაათვალიერეს ის ადგილები და აღმოაჩინეს ადგილობრივი სოფლის მცხოვრები 40 მკვდარი ადამიანი. ექიმებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ხალხი იღუპებოდა მოწამლული ჰაერისგან. მაგრამ ექიმებისთვის გამოუცნობი დარჩა დაღუპულთა კანზე პირველი ხარისხის დამწვრობა, ეს მაშინ როცა ტანსაცმელი არ იყო დაზიანებული. მაგრამ ცოცხლად გადარჩენილებმა დაადასტურეს, რომ დაინახეს ახლომდებარე ტბიდან მომავალი ღრუბელი, ხოლო ჰაერში დადგა მწარე სუნი, რომლისგან მათ თავბრუ დაეხვათ და აერიათ გული. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა დაათვალიერეს ტერიტორია, აღმოჩნდა, რომ ტყის გარშემო ეყარა მკვდარი ცხოველები, ხოლო მცენარეულობა გამხმარივით იყო.

გამოყოფილმა სახელმწიფო კომისიამ დაადგინა, რომ ტბის სიღრმეში წყალი შეიცავს დიდი რაოდენობის ნახშირორჟანგის მარილის იონებს, ორვალენტიანი რკინის იონებს და რკინის კარბონატებს. ნახშირორჟანგის გაზი მკვეთრად განთავისუფლდა, „აადუღა“ ტბაში წყალი, იმის მსგავსად, გაზიანი წყლით სავსე ბოთლს რომ ხსნიან ხოლმე. წარმოქმნილ ღრუბელში იმყოფებოდა აზოტმჟავა, რამაც გამოიწვია კანის დამწვრობა.

წელიწადნახევრიანი გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ მონუნის ტბის წყალი აამღვრია წყალქვეშა მეწყერმა.

ორი წლის შემდეგ კამერუნის ამ ადგილებში, 1986 წლის 21 აგვისტოს ნიოსის ტბის წყლებიდან წარმოქმნილი გაზების ღრუბელით დაიღუპა ათასხუთასზე მეტი ადამიანი, აგრეთვე შინაური და გარეული ცხოველ-ფრინველი.

## ტრაგედია გვირაბში

ავსტრია განთქმულია საზამთრო სპორტით და ტურიზმით. ტურისტებს აქ ემსახურება საბაგირო გზები და გვირაბები. ერთ-ერთი მათგანია ქალაქ ინსბრუკიდან მდებარე სარკინიგზო გვირაბი. 2002 წლის დეკემბერში სპეციალური მატარებლით მგზავრობდნენ ტურისტები. მოულოდნელად მატარებელში გაჩნდა ხანძარი, როცა ის მიდიოდა გვირაბში. ხანძრის ჩაქრობა გახდა შეუძლებელი, ცეცხლი სწრაფად გავრცელდა ვაგონებში. გვირაბში აიწია ჰაერის ტემპერატურამ, გავრცელდა მომგუდავი, მომწამლავი კვამლი და გაზი. ალმოდებული გვირაბიდან ცოცხალმა გარეთ გამოაღწია მხოლოდ 12-მა ტურისტმა. 155 ტურისტი კი დაიღუპა დამწვრობით და მხუთავი კვამლით. 2004 წლის თებერვალში ამ ტრაგედიის შესახებ ავსტრიაში შედგა სასამართლო პროცესი, მაგრამ მოსამართლეებმა არავინ არ ცნო დამნაშავედ, რამაც გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება.

## 9 მარტის ტრაგედია თბილისში

მთელ მსოფლიოში არის ცნობილი, რომ იოსებ სტალინი ჯერ კიდევ ვ. ლენინის სიცოცხლეში მართავდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს, რადგან ვ. ლენინი ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ იყო დაჭრილი, საშინელი ვენერიული სენით დაავადებული და ბოლო 8 თვე ენაჩავარდნილი იყო. გარდა ამისა, ის იყო ფსიქიკურად არანორმალური უბოროტესი ადამიანი, დაუნდობლად რომ ახოცინებდა მილიონობით უდანაშაულო ადამიანს. რა თქმა უნდა ასეთ მდგომარეობაში არ შეეძლო სახელმწიფოს მართვა.

იოსებ სტალინმა ჩაიბარა დაბამბულ ჯუბებში ჩაცმული გაღატაკებული, მოხეტიალე რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და სხვა ხალხი, რომლებიც ხის სახნისით, ხარებით და ცხენებით ხნავდნენ მიწას. ხოლო მისი გარდაცვალების (მოწამვლის) 1953 წლის 5 მარტის შემდეგ, მან დატოვა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, ტრაქტორებით, ტანკებით, თვითმფრინავებით, გემებით და ატომური ბომბებით აღჭურვილი. 1950-იან წლებში სტალინი ითვლებოდა მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის დიდ ბელადად. მოსწავლეები და სტუდენტები იოსებ სტალინის სიყვარულით იყვნენ აღზრდილნი. მაშინ ბაგა-ბაღებიც კი იდეოლოგიური დამუშავების მძლავრ კერებად იყო ქცეული. თეთრი პური, კანფეტი, შაქარი, რძე, კარაქი, ტანსაცმელი, მხოლოდ იოსებ სტალინმა გაჩუქათო – ჩასჩიჩინებდნენ ახალ თაობას. ამის შედეგად ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი იოსებ სტალინს აღმერთებდა.

საბჭოთა სახელმწიფოს მართვა ხელში ჩაიგდო ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც ბულგანინის და ლ. ბერიას დახმარებით მოწამლა იოსებ სტალინი. ის სტალინის სიცოცხლეში არაფრით გამოირჩეოდა, პირიქით, იოსებ სტალინი მას ამასხარავებდა, არყით ათრობდა მთავრობის წევრების ვახშმებზე და პოპაკს აცეკვებდა ხოლმე, სანდახან ჩიბუხიდან თუთუნის ფერფლს აყრიდა თავზე, რადგან არ მოსწონდა მისი სულელური მოსაზრებები. ნიკიტა ხრუშჩოვი მას თვალებში შესცქეროდა როგორც ფინია ძაღლი. თვითონ რუსმა ხალხმა ხრუშჩოვს შეარქვა ზედმეტი სახელები: „ივანუშკა დურაჩოკი“ და „კუკურუზნიკი“, იმიტომ რომ მან აშკარად ვერ გაართვა თავი სახელმწიფოს მართვას, პირიქით, შეუდგა აწყობილი, წელში გამართული ძლიერი სახელმწიფოს ნგრევას. წელიწადში 300 დღე დაეხეტებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში დროის გასატარებლად. საკუთარი უვიცობა რომ დაემალა და თავისი სულელი თავი ჭკვიანად გამოეჩინა, წამოიწყო იოსებ სტალინის უსაფუძვლო ლანძღვა და მთელი რუსი ხალხისგან სახელმწიფო ორგანოებისა, ვ. ლენინის მიერ ჩადენილი შეცდომები და დანაშაულები, ყველაფერი იოსებ სტალინს გადააბრალა, ვინაიდან ის იყო ქართველი, ეს კი არ აწყობდა მაშინდელი დემაგოგ. ავანტიურისტ და ბიუროკრატ რუსეთის მთავრობას.

იოსებ სტალინის სიყვარულით აღზრდილ ახალგაზრდებს ჩამოუხსნეს ბელადის სურათები და მისი ძეგლის აღებაც მოინდომეს. ადვილი წარმოსადგენია რა დატრიალდებოდა უმანკო ახალგაზრდების გულებში. მათ ჯერ გამართეს საპროტესტო მიტინგები, სადაც ხმის ჩახლეჩამდე გაიძახოდნენ: „დიდება სტალინს“, „ძირს ხრუშჩოვი“. მიტინგების მონაწილე ახალგაზრდები, თავიანთი შეძახილებით, ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით, საბჭოთა წყობილებას არავითარ საფრთხეს არ უქმნიდნენ. ისინი განაწყენებული იყვნენ ნიკიტა ხრუშჩოვზე, რომელიც ცდილობდა გაღმერთებული იოსებ სტალინი გადაექცია სისხლის სამართლის დამნაშავედ.

— ყველაფერი დაიწყო უბრალოდ, 1956 წლის 7 მარტს თბილისის პიონერთა სასახლიდან ბავშვების ერთმა ჯგუფმა მდინარე მტკვრის სტალინის სახელობის მარჯვენა სანაპიროზე, იოსებ სტალინის ძეგლი შეამკეს ცოცხალი ყვავილებით. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა თბილისის სკოლებში და ინსტიტუტებში. დღის 12 საათისათვის თბილისის ცენტრალურ ქუჩებში გამოჩნდა მოსწავლეთა რიგები ყვავილებით ხელში, რომლებიც მიემართებოდნენ იოსებ სტალინის ძეგლისაკენ. ხოლო სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ, ხალხის მასების სვლამ ისეთი დიდი მასშტაბის ხასიათი მიიღო, რომ ქუჩებში

შეწყდა მანქანების მოძრაობა. საღამოს კი ქალაქი გამოეიდა თავისი ძირითადი მდგომარეობიდან.

მეორე დღეს 8 მარტს თბილისის სკოლები აღმოჩნდა დაცარიელებული და გასდა ცნობილი, რომ ეს არ იყო მხოლოდ მოსწავლეების მიერ მოწყობილი აქციები, რადგან მშობლებმა, პედაგოგებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, არავინ არ შეუშალა ხელი ახალგაზრდების მოქმედებას.

8 მარტის დილის საათებში ქუჩებში მიმავალ კოლონებში იოსებ სტალინის სურათებთან ერთად, გამოჩნდა ვ. ლენინის სურათებიც და დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლოზუნგს: „ლენინ, სტალინ!". მთელი ქალაქის მოსახლეობა გამოეიდა რუსთაველის პროსპექტზე. მილიციის თანამშრომელები წყნარად და თანაგრძნობით უცქერდნენ დემონსტრანტებს. მოსწაელეებს შეუერთდნენ სტუდენტებიც. 8 მარტის ღამეს თბილისი ჰგავდა ზღვას, რომლის ტალღებზე ირხეოდა ბელადის პორტრეტები.

9 მარტს ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სკოლები, ტექნიკუმები, პროფტექნიკუმები დაცარიელდა. დემონსტრანტების კოლონა მიადგა მთაერობის სახლს და მოითხოვდა ვასილ მჟავანაძესთან შეხვედრას. ყველასაგან გასაკვირად ის მართლა გამოეიდა მანიფესტანტებთან შესახვედრად. იმ პერიოდში ხალხში გავრცელებული იყო ამბავი, რომ იოსებ სტალინის გვამს ცუდად გაუკეთეს ბალზამირება და ის თანდათან ფუჭდებოდა, ასევე ამბობდნენ რომ ვითომ მაო ძე დუნმა მოითხოვა გვამის ჩატანა ჩინეთში, სადაც მას ჩინელი სპეციალისტები აღადგენენ. დემონსტრანტებმა მოითხოვეს ვასილ მჟავანაძეს მხარი დაეჭირა მაო ძე დუნისთვის, რათა აღედგინათ სტალინის გვამი და მისი ღირსება. ვასილ მჟავანაძე დაპირდა ხალხს, რომ იოსებ სტალინის ღირსებას არავის შეალახვინებდა.

დემონსტრანტები გაემართნენ ლ. ბერიას ყოფილ რეზიდენციისაკენ კრწანისის ქუჩაზე,.სადაც ისვენებდა ჩინეთის მარშალი ჯუდე. ის გამოვიდა დემონსტრანტებთან შესახვედრად. მან პირობა მისცა ხალხს, რომ ის აუცილებლად გადასცემდა მათ თხოვნას მაო ძე დუნს. დემონსტრანტები კრწანისიდან გამობრუნდნენ ისეთი სახით, როგორითაც ბრუნდება ომში გამარჯვებული ჯარი. ხალხით იყო გაჭედილი მარქსის მოედანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა (პლეხანოვი) და მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო. რუსთაველის და ოპერის თეატრთან იდგნენ მსახიობები, მწერლები, ადვოკატები, პედაგოგები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. რუსთაველის ქუჩაზე მყოფი დემონსტრანტები გაემართნენ სატელეფონო კავშირების სახლისკენ, სადაც

მაშინ მდებარეობდა რადიოსადგური, მაგრამ ჯარისკაცებმა ისინი შენობაში არ შეუშვა. დემონსტრანტებს სურდათ მოლოტოვისთვის დეპეშის გაგზავნა. სასტუმრო „თბილისის" სახურავიდან ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშინეს იქ შეკრებილ ხალხს.

კოლმეურნეობის მოედანზე მოწყობილი იყო სახელდახელო ტრიბუნა. სიტყვაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ახალგაზრდები. ისმოდა აკრძალული ქართული ეროვნული ჰიმნის სიმღერა. ჰაერიდან ცვიოდა ქაღალდის პროკლამაციები, მაგრამ წესრიგის დამცველი მუშაკები ართმევდნენ ხალხს ამ ფურცლებს და არ აძლევდნენ წაკითხვის საშუალებას. პროკლამაციის ერთ-ერთ პუნქტში იყო მოთხოვნა სსრკ-ს შემადგენლობიდან საქართველოს რესპუბლიკის გამოსვლის შესახებ. აშკარად იგრძნობოდა, რომ ამ დემონსტრაციებს და მანიფესტაციებს მართავდნენ უცნობი ძალები, რომელთა ვინაობა იცოდა მხოლოდ (КГБ) სუკ-მა. ეს ყველაფერი მარტო იოსებ სტალინის სახელთან არ იყო დაკავშირებული. იგრძნობოდა ქართული ეროვნული მოთხოვნების და გრძნობების დაცვის საკითხები, რომლებიც შებღალული იყო მოსკოვიდან.

გაისმა მძიმე ჯავშნიანი სამხედრო მანქანების მოძრაობის ხმა. შემდეგ კი გაისმა ცეცხლსასროლი იარაღის სროლის ხმები. ბავშვების მრავალრიცხოვანი ჯგუფი იდგა იოსებ სტალინის ძეგლის გარშემო და იცავდა ძეგლს იარაღის გარეშე. სამაგიეროდ თბილისში შემოვიდა შეიარაღებული ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო მანქანების კოლონა. ღამით თუ არა ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს სტალინის ძეგლის გარშემო მყოფ უდანაშაულო მოსწავლეებს და სტუდენტებს, რომელთა შორის იყვნენ გოგონებიც. ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშინეს მომიტინგეებს. ერთი გოგონა ხიშტზე წამოაცვეს. რამდენი ბიჭი და გოგო დაიღუპა იმ ღამეს დღესაც არ არის ცნობილი. ზოგიერთი ცოცხლად გადარჩენილი თვითმხილველის მონათხრობით, მაშინ ძეგლთან დაიღუპა 120-ზე მეტი ბავშვი. კვალის დაფარვის მიზნით, მოკლულები ჩაყარეს მტკვარში. ათობით დაჭრილი ახალგაზრდა მოათავსეს საავადმყოფოებში. მათი ვინაობა დაადგინა, სუკ-მა, მათი გამოჯანმრთელების შემდეგ, ისინი დაკითხეს და ზოგიერთი მათგანი დააპატიმრეს.

ეს ღამე საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენა. ხალხმა მას უწოდა: „ტანკები ბავშვების წინააღმდეგ". სწორედ ამ ღამეს კოლმეურნეობის მოედანზე და რუსთაველის პროსპექტზე დახოცეს და ტანკებით გაჭყლიტეს დაახლოებით 300 ბავშვი და ახალგაზრდა, რომლებსაც ეკეთათ პიონერის

ყელსახვევები და ხელში ეჭირათ იოსებ სტალინის სურათები. სუკ-ის სარდაფებში დასაკითხად ჩაიყვანეს ასობით ახალგაზრდა. იმ ღამეს თბილისის გამწარებული მოსახლეობა შეცვივდა ცკ-ის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობებში. ხალხი წყევლიდა და ემუქრებოდა ვასილ მჟავანაძეს, ნიკიტა ხრუშჩოვს, გიორგი ჟუკოვს და ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტს. შეუძლებელი იყო გამხეცებული, ჭკუიდან შეშლილი და გამწარებული შვილმკვდარი მშობლების და ახლობლების დანახვა. ეს იყო აშკარა უაზრო, უგუნური და ყოვლად გაუმართლებელი ღამის სისხლისღვრა, ჰეკატომბა თბილისში.

რა თქმა უნდა, ხალხმა ვერ გაიგო სრული სიმართლე ამ ტრაგედიის მომწყობ დამნაშავეთა შესახებ. ესენი იყვნენ სსრკ-ს გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი და მისი ქვისლი ვასილ მჟავანაძე, რომელიც ტელეფონით ურეკავდა მოსკოვში ნიკიტას და ატყობინებდა იმ მომხდარ ამბებს. როცა მან მოახსენა, რომ კავშირების სახლში შესვლას ლამობს ხალხი, გააფთრებულმა ხრუშჩოვმა გასცა ბრძანება დაებომბათ თბილისი. მისი მითითებით თავდაცვის მინისტრმა გიორგი ჟუკოვმა, თბილისის გარნიზონის უფროსს უბრძანა დაებომბა თბილისი და დაეხვრიტა დემონსტრანტები. მან ქალაქი არ დაბომბა, მაგრამ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანა მე-8 პოლკი, რომელიც იყო დაკომპლექტებული უღედმამო ჯარისკაცებისაგან, რომლებმაც ყოველგვარი დაფიქრების გარეშე დაუშინეს ცეცხლი უდანაშაულო ბავშვებს. თბილისის საავადმყოფოები იმ ღამეს გაივსო დაჭრილებით და მიცვალებულებით. ეს მოსწავლეების და სტუდენტების წამოწყებული დემონსტრაცია-მანიფესტაცია, თავისით დაიშლებოდა და არ დაიღუპებოდა ასობით ადამიანი.

## ტრაგედია ნოვოჩერკასკში

1960-იან წლებში ნიკიტა ხრუშჩოვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, სახელმწიფოში მოხდა ათობით ტრაგედია, მაგრამ ისინი მთავრობისგან აშკარად გასაიდუმლოებული იყო და საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი. დადიოდა ხმები, ჭორები სხვადასხვა რეგიონებიდან, მაგრამ დაწვრილებით სინამდვილეში რა მოხდა ხალხმა არ იცოდა. მაგრამ კინორეჟისორმა მიხეილ მარიანოვმა შეძლო ქალაქ ნოვოჩერკასკის სისხლის სამართლის საქმიდან ზოგიერთი მონაცემის მიღება საიდუმლო არქივებიდან, რომლის შესახებ 29 წლის შემდეგ გამოაქვეყნა სტატია გაზეთმა „კომსომოლსკაია



პრავდამ" და ამ წიგნის ავტორი შეეცდება გააცნოს საქართველოს მოსახლეობას.

უკრაინის ქალაქ ნოვოჩერკასკში ისევე, როგორც სხვა ქალაქებში, მუშები და მოსამსახურეები იყვნენ უკმაყოფილო, დაბალი ხელფასებით, ხელფასების 2-3 თვით გაუცემლობით, საკვები პროდუქტების უკმარისობით. მათი მოთმინების ფიალა აივსო და 1962 წლის 2 ივნისს, ქალაქში მოაწყვეს მასობრივი სვლა დროშებით და ლოზუნგებით ხელში. ხალხი ძირითადად მოითხოვდა: „Мясо, масло, повышение зарплаты"! დემონსტრაცია იყო მშვიდობიანი, მონაწილეობდნენ ქალები და ბავშვებიც.

სამხედრო პროკურორს იუსტიციის პოლკოვნიკ ალექსანდრე ტრეტეცკისგან ფარულად გადაუღია მაშინდელი სურათების ქსეროასლები. დემონსტრანტებს მაშინ გადაუღეს სურათები და ამ სურათების მიხედვით შემდეგ გამოიძახებდნენ და აპატიმრებდნენ უდანაშაულო ადამიანებს. დემონსტრანტებს აკრძალული ჰქონდათ ქალაქიდან გასვლა.

დემონსტრაციის დასარბევად გამოიყვანეს შეიარაღებული ჯარისკაცები, უბრძანეს გაეხსნათ ცეცხლი, რის შედეგად ასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და სერიოზულად დაიჭრა. გვამები მანქანებით ჩუმად გადაზიდეს ქალაქიდან 120 კილომეტრზე და ვეებერთელა გათხრილ ორმოში ჩაყარეს...

ზოგიერთი თვითმხილველი ამჟამადაც გაჩუმებულია. დემონსტრანტები და ჯარისკაცები მაშინვე გააფრთხილეს: დაიმახსოვრეთ სამუდამოდ, ჩვენთან არავინ გაფიცულა, არავის უსროლია, არავინ მომკვდარა. აი როგორ ხელწერაზე აწერინებდნენ ხელს:

Расписка:

"Я, милиционер Каменского ГОМ даю настоящую расписку в том, что я обязуюсь выполнить правительственное задание и выполнение его хранить как государственную тайну.

Если я нарушу эту настоящую подписку то буду привлечен к высшей мере наказания расстрелу. 16 часов, 30 минут, 4 июня, 1962 г.

Моисеев Анатолий Алексеевич".

დემონსტრაციის 7 აქტიური მონაწილე დახვრიტეს. 29 წლის შემდეგ 6 მონაწილეს გაუკეთეს რეაბილიტაცია. მხოლოდ ერთ დააბრალეს ხულიგნობა, რისთვისაც მას ეკუთვნოდა მაქსიმუმ სამი წლით პატიმრობა. საბრალდებო დასკვნებში ეწერა: „უწესრიგობის აქტიური მონაწილე. ტანკიდან მოხსნა რადიოს ანტენა". „ქალაქის სკკპ კომიტეტის შენობასთან გამოთქვამდა უკმაყოფილებას. მძვინვარე წამქეზებელი". „თავხედურად იქცეოდა. ყვიროდა, რომ ყელს გამოჭრის იმათ, ვინც მას არ აჭმევს ხორცს და კარაქს."

არტიუშენკო ოლღა ეფრემის ასულს მოუკლეს 15 წლის ვაჟი. ის მივიდა მილიციაში და მოთხოვა შვილის გვამი, იმათ გააგზავნეს ქალაქის საბჭოში, იქ უთხრეს, რომ აქ არავის ესროლია და არავინ მომკვდარა. გამწარებული დედა ეძგერა რაიკომის მდივანს, რის შემდეგ ის ძალით მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ამ წიგნის ავტორი 1959-1964 წლებში უკრაინის ქალაქ კრივოი როგის სამთო სამადნო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. 1962 წლის ივნისის ერთ დღეს დილით სტუდენტები გამოგვიყვანეს აუდიტორიებიდან, ჩაგვსვეს სამხედრო ბორტიან მანქანებში და წაგვიყვანეს კრივოი როგის რკინის მადნის აუზის ტრესტის შენობასთან. გზაში გვითხრეს, რომ თუ საჭირო გახდებოდა დაგვირიგებდნენ ავტომატებს. თურმე კრივოი-როგის რკინის მადნის შახტების მუშები გაიფიცნენ, რადგან ორი თვე არ მიუღიათ ხელფასი. მრავალი შახტიდან და სამთო გადამამუშავებელი კომბინატებიდან ტრესტის შენობის წინ გაუმართავთ მშვიდობიანი მიტინგი და წამოუყენებიათ მოთხოვნა ხელფასების სასწრაფოდ გაცემის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებდნენ მუშაობის გაგრძელებაზე.

მიტინგის ადგილზე რომ მიგვიყვანეს, იქ იმყოფებოდა ათასობით მუშა და ასობით შეიარაღებული ჯარისკაცი. მაგრამ როგორც მაშინ გავიგეთ, ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის სროლაზე. მაშინდელი სამხედრო კათედრის ხელმძღვანელობა სტუდენტებს დაგვემუქრა, რომ თუ არ ვისროდით, გაგვრიცხავდნენ ინსტიტუტიდან; ჩვენ სტუდენტებმა ერთმანეთში ფიცი დავდეთ, რომ ხელი არ მოგვეკიდებინა იარაღისთვის. ჩვენდა საბედნიეროდ, მიტინგი დაიშალა და სროლამდე საქმე არ მისულა. მაშინ არაფერი ვიცოდით ნოვოჩერკასკის ტრაგედიის შესახებ.

## სადამ ჰუსეინი და ქურთების ტრაგედია



ჟურნალ „იუ ეს ნიუს“ ერაყის სახელმწიფოს მეთაურს სადამ ჰუსეინს თვლის ყველაზე საშიშ ადამიანად მსოფლიოში. იმ დროს, როცა მსოფლიოში დაიწყო პოლიტიკური დემოკრატიული ძვრები და დედამიწა უფრო უშიშარი და წყნარი გახდა, კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის მესოპოტამიის მიწა-წყალზე, სადამ ჰუსეინი მილიარდობით დოლარებს ხარჯავს იარაღის შექმნასა და შეძენაზე. მან უკვე გამოიყენა თავისი ნერვულ-პარალიტიკური გაზის მოქმედება არა მარტო თავის ირანელ ტრადიციულ მტრებზე, არამედ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ნაწილზე, რის შედეგად ასობით ქურთი ადამიანი დაიღუპა ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად. სადამ ჰუსეინმა თავის თავს დაარქვა „არაბეთის ხმალი“. პირველი მკვლელობა მან ჯერ კიდევ ბავშვობაში 14 წლის ასაკში ჩაიდინა, ხოლო პირველი პოლიტიკური ტერორისტული აქტი მოახდინა 22 წლის ასაკში. წლების მანძილზე მან ბოროტი ჩვევები არ შეიცვალა. ერაყში კვლავ ნახულობენ თავშესაფარს მსოფლიოს ყველაზე სახიფათო ტერორისტები. ის თავისი თავის განდიდების სენითაც არის შეპყრობილი. მისი გადიდებული სურათებით არის მოფენილი ბაღდადის ქუჩები.

ერაყს ამჟამად აქვს რამდენიმე ათასი ტონა ქიმიური მომწამვლავი ნივთიერება და რაკეტები. ამ ქიმიურ იარაღს სხვაგვარად „ღარიბების ატომურ ბომბს“ უწოდებენ.

1990 წელს სადამ ჰუსეინმა სპარსეთის ყურეში გააჩაღა ომი კუვეიტის დაპყრობის და მისი ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდების მიზნით, რასაც შედეგად მოჰყვა უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა. ომის მოქმედების რაიონში, ყოველდღიურად ატმოსფეროში ადიოდა 117 ტონაზე მეტი აზოტის ჟანგი, ხოლო სპარსეთის ყურეში იღვრებოდა მილიონობით ბარელი ნედლი ნავთობი. მაშინ აშშ-მა დაბომბა ერაყის დედაქალაქი ბაღდადი, გაანადგურა ს. ჰუსეინის სატანკო ჯარები და აიძულა ის შეეწყვიტა ომი.

ეს წიგნი გამოქვეყნებული არ იყო, რომ 2003 წლის დასაწყისში

აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა), ინგლისის დახმარებით ომი დაუწყო ერაყს. ომის მიზეზად დასახელდა ის, რომ სადამ ჰუსეინს გააჩნია მასობრივი განადგურების იარაღი. ომი დამთავრდა, სადამ ჰუსეინი დამარცხდა და დაიმალა. აშშ-მ დაიპყრო ერაყი, მაგრამ იარაღი არ აღმოჩნდა: ახლა მსოფლიოს საზოგადოება ალაპარაკდა ჯ. ბუშის საწინააღმდეგოდ, რომ მან გამოიყენა ცრუ პოლიტიკა ერაყის ნავთობის საბადოების ხელში ჩასაგდებად და არა ვითომ ატომური იარაღის გასანადგურებლად.

## ტრაგედია მოსკოვის სასაფლაოზე

1996 წლის 10 ნოემბერს მოსკოვის კოტლიაკოვის სასაფლაოზე ტერორისტმა ააფეთქა ნაღმი, რის შედეგად მაშინვე დაიღუპა სასაფლაოზე მყოფი 14 ქირისუფალი და მძიმედ დაიჭრა 26 ადამიანი, დაიშალა რამდენიმე საფლავის ქვა. ამ არაადამიანური საშინელი ტრაგედიის გამოძიებას, მაშინვე შეუდგნენ მოსკოვის შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკები. მათ წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს ეჭვმიტანილები, ეგრეთ წოდებული „ავღანელები": ვალერი რადჩენკო, მიხეილ სმუროვი და ა. ანოხინი. მათი დაპატიმრებიდან 3 წლის და 2 თვის შემდეგ, მოხდა დიდი სენსაცია: მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, სამივე ბრალდებული გაანთავისუფლა სასამართლოს დარბაზიდან, წაყენებული ბრალდებების დაუდასტურებლობის გამო. ესე იგი 3 წლის მანძილზე უდანაშაულო ადამიანები ჰყავდათ წინასწარ დაპატიმრებული. ნამდვილი დამნაშავე კი ამ ხნის მანძილზე ჯერ არ არის მოკელეული.

## ტრაგედია ინდოეთში

1984 წელს ინდოეთის ქალაქ ბჰოპალის ქარხანაში მოხდა მეთილოციანიდის გაზის გაჟონვა. ამას მოჰყვა 2500 ადამიანის გაგუდვა.

## ტრაგედიები აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 1991-1994 წლებში თარეშობდნენ ტერორისტების ბანდები, რომლებმაც ჩაიდინეს მრავალი საშინელი დანაშაული, კერძოდ: სახელმწიფო გადატრიალების მიზნით მოკლეს მაშინდელი მთავრობის რამდენიმე წევრი, ქალაქ განჯაში (კიროვაბადი) მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა მილიციის განყოფილების შენობაზე და დახოცეს მრავალი მილიციონერი, სუმგაითში და სხვა ქალაქებში დახოცეს სომეხი ეროვნების უდანაშაულო ადამიანები, ბაქოში ააფეთქეს მეტროს მატარებელი, ასევე რკინიგზაზე

ააფეთქეს სამგზავრო მატარებელი. ტრაგედიების მოწყობაში მონაწილეობდა ჯარის ნაწილიც. ამ წლებში მომხდარი ტრაგედიების შედეგად აზერბაიჯანში სულ დაიღუპა 2000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო დაიჭრა და სერიოზული დაზიანება მიიღო ასობით ადამიანმა.

## ტრაგედია საბილიარდოში



2000 წლის იანვრის ერთ დილას მოსკოვის გარეუბნის დასახლება იასენევოში მოხდა საშინელი ტრაგედია. იასენევოში 1999 წლის ზაფხულში გახსნეს საბილიარდო ბარით. აქ ყოველი მხრიდან დროის გასატარებლად მოდიოდა ახალგაზრდობა. იმ ტრაგიკულ დილას საბილიარდო ემზადებოდა დასაკეტად. დარბაზში დარჩენილი იყო რამდენიმე სტუმარი. დაღლილი ოფიციანტები ალაგებდნენ მაგიდებს, ბარმენები ითვლიდნენ შემოსულ თანხას, დარაჯი კი ყვინთავდა. მოულოდნელად საბილიარდოში შემოვიდა ორი ტერორისტი ბენზინის ავზებით ხელში, ერთმა პისტოლეტი დაუმიზნა დარაჯს, მეორე სწრაფად მოაქცია ბენზინი იატაკზე და აანთო ასანთი. უეცრად გაჩნდა საშინელი ხანძარი.

საბილიარდოში შეიქმნა პანიკა. იქ მყოფნი ცდილობდნენ გარეთ გასვლას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, რადგან გასასვლელთან საშინელი ალი მძვინვარებდა. საბილიარდოს კედლები მოპირკეთებული იყო პლასტიკატით, რომელიც სწრაფად იწვოდა, სკდებოდა ნაწილებად და ალმოდებული ხალხს ეცემოდა. სათადარიგო კარი აღმოჩნდა ჩაკეტილი და უკანა მხრიდან ჩახერ-



ცილი. ფანჯრებიდან გასვლაც არ შეიძლებოდა, რადგან გარედან გაკეთებული ჰქონდა რკინის ცისრები.

საბილიარდოში მყოფთა უმრავლესობა დაიღუპა მომწამლავი კვამლით და გაზით. როცა ტრაგედიის ადგილზე მოვიდა სახანძრო რაზმი, საბილიარდოში აღარავინ იყო ცოცხალი. გვამები ისე იყო დამწვარი, რომ მათი ამოცნობა შეუძლებელი იყო. ადგილზე დაიღუპა 11 ახალგაზრდა, ხოლო საავადმყოფოში გარდაიცვალა 7 ადამიანი.

## ტრაგედიები ბერმუდის სამკუთხედში




ბერმუდის სამკუთხედის რეგიონი მდებარეობს ატლანტიკის ოკეანეში პუერტო-რიკოს, ბერმუდის კუნძულებსა და ფლორიდის ნახევარკუნძულს შორის და გამოირჩევა მეტად რთული სანავიგაციო პირობებით. მისი ფართობი შეადგენს 1 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტს. ამ აკვატორიაში ოკეანის ძირის რელიეფი კარგად არის შესწავლილი. ამ ადგილებში ჩატარებულია მრავალი ბურღვა, ნავთობის საბადოს აღმოჩენის მიზნით. ეს რეგიონი მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდება სხვა მსგავსი გეოგრაფიული ადგილებისგან. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირდაპირ ბერმუდის სამკუთხედის რაიონში უკვალოდ იკარგებოდა გემები და თვითმფრინავები.

თავისი სამწუხარო ცნობები ბერმუდის სამკუთხედმა თავი გაითქვა ჯერ კიდევ 1840 წელს, როცა ნასაუს პორტიდან ახლოს, ბაგამის კუნძულების დედაქალაქთან ახლოს ნახეს საფრანგეთის იალქნიანი გემი „როზალი“, რომელიც იმყოფებოდა დრეიფში (უმართავად ცურავდა). მასზე ყველა იალქანი იყო აწეული, ყველა აუცილებელი მოწყობილობა ადგილზე იყო, მაგრამ თვითონ ეკიპაჟის წევრები არსად ჩანდნენ. ეს გარემოება ყველას უცნაურად მოეჩვენა. გემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ გემი იმყოფებოდა ნორმალურ მდგომარეობაში, არავითარი დაზიანება არ გააჩნდა, მისი ტვირთი ადგილზე იყო. მაგრამ სად გაქრა ეკიპაჟი? გემის ჟურნალში არავითა-

რი ჩანაწერი არ აღმოჩნდა. შემდეგი გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გემი ბაგამის კუნძულებთან გაირიყა მეჩეჩზე. ეკიპაჟმა ის მიატოვა კანჯოების, ხოლო მოქცევის შემდეგ გემი ტალღებმა აიტაცა და გაიყვანა ღია ზღვაში.

მაგრამ აღმოჩნდა სხვა ვერსიაც, რომ გემი მოჰყვა წყლის უცნაურ მორევში, სადაც მოქმედებენ არამიწიერი ძალები. ამის გამო ეკიპაჟი დაისრჩო, ხოლო გემი დარჩა უმართავი, ამიტომ ოკეანის ეს რეგიონი მიაკუთვნეს გამოუცნობ და საშიშ სამკუთხედს. ასეთნაირად დაიწყო ბერმუდის სამკუთხედის ისტორიები.

ბერმუდის სამკუთხედში დაკარგული გემების სია თანდათან იზრდებოდა. 1880 წლის იანვრის ბოლოს აქ მიცურავდა ინგლისის სასწავლო იალქნიანი გემი „ატლანტა", რომლის ბორტზე იმყოფებოდა 290 კურსანტი და ოფიცერი. ეს გემი არ დაბრუნებულა სამშობლოში. მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ერთი წლის შემდეგ ინგლისის გემი „ელენ ოსტინი" ღია ოკეანეში ბერმუდის სამკუთხედში შეხვდა „შხუნას", რომელსაც აწეული ჰქონდა იალქნები, მაგრამ იქ ეკიპაჟი არ იყო. დაკარგული გემების რაოდენობამ იმატა XX საუკუნეში. 1902 წლის 20 ოქტომბერს ატლანტის ოკეანეში ნახეს გერმანიის ოთხანძიანი საეაჭრო გემი „ფრეია", რომელშიც არ იყო ეკიპაჟი. სად გაქრა იგი?..

1918 წლის 4 მარტს კუნძულ ბარბადოსიდან გავიდა აშშ სატვირთო გემი „ციკლოპი", რომლის ბორტზე იყო 309 მეზღვაური. ის იყო დატვირთული მარგანეცის მადანით. მისი სიგრძე 180 მეტრი იყო. ეს ვეებერთელა გემი ისე გაქრა, რომ მის შესახებ ვერაფერი გაიგეს.

საუკუნის დაწყებიდან ბერმუდის სამკუთხედის წყლებში დაიღუპა და გაქრა 15 გემი.

მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად დაიწყო გაქრობა თვითმფრინავებმაც. ამის შემდეგ ამ უცნაური და გამოუცნობი სამკუთხედის შესახებ კიდევ უფრო გაიზარდა კაცობრიობის ინტერესი.

ბერმუდის სამკუთხედის საკითხებზე დიდი ყურადღება გაამახვილეს მეცნიერებმა, გეოგრაფებმა, ზღვის ფსკერის მკვლევარებმა, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა. ასევე, რა თქმა უნდა მეზღვაურებმა და მფრინავებმა. მკვლევარების ინტერესი გააძლიერა აშშ დაკარგვამა თვითმფრინავების ჯგუფმა.

1945 წლის დეკემბრის დასაწყისში აშშ საზღვაო სამხედრო ძალების ფორტ-ლოდერდეილის სამხედრო ბაზიდან, რომელიც მდებარეობს ფლორიდაში, აფრინდა ხუთი ბომბდამშენი თვითმფრინავი,

რომლებიც უკან აღარ დაბრუნებულან და არავინ იცის როგორ დაიღუპნენ ისინი.

1953 წლის 2 თებერვალს ბერმუდის სამკუთხედის რეგიონის თავზე მიფრინავდა ინგლისის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლის ბორტზე იმყოფებოდა ეკიპაჟის 39 წევრი და სამხედრო მოსამსახურეები. მოულოდნელად შეწყდა რადიოკავშირი, ხოლო დანიშნულ დროზე თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნდა. სავარაუდო ადგილზე მოსაძებნად გაგზავნილ იქნა გემი „ვუდუორდი“. მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

ერთი წლის შემდეგ იმავე ადგილზე დაიკარგა აშშ საზღვაო-სამხედრო ძალების თვითმფრინავი, რომლის ბორტზე იმყოფებოდა 42 ადამიანი. ათობით გემი დაეძებდა რაიმე ნივთიერ მტკიცებულებას, თვითმფრინავის დაღუპვის შესახებ, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვეს.

1973 წლის მარტში სატვირთო გემი „ანიტა“, რომელიც დატვირთული იყო ნახშირით, ნორფოლკის პორტიდან გაეიდა ატლანტის ოკეანეში გამბურგის მიმართულებით. ბერმუდის სამკუთხედის რაიონში ის მოჰყვა შტორმში და ჩაიძირა. რამდენიმე დღის შემდეგ ზღვაში ნახეს მხოლოდ მაშველი რგოლი „ანიტას“ წარწერით.

## ვ.ი. ლენინი — ტერორიზმის ბელადი



კაცობრიობას დიდი უბედურება მიაყენეს ანგარების, კარიერის და ამბიციების მიზნით ხელისუფლებაში მოსულმა კრიმინალებმა. საბჭოთა სახელმწიფოს პირველი მეთაური ვლადიმერ ლენინი იყო ტერორისტების ბელადი.

„საჯაროობა არის მახვილი, რომელიც თვით განკურნავს მისგან მიყენებულ ჭრილობებს, საჯაროობის გარეშე სასაცილო იქნებოდა ვეელაპარაკა დემოკრატიაზე“. ეს ციტატა ამოღებულია ვ. ლენინის მიერ შეთხზული ფანატიკური და უტოპიური ნაწარმოებებიდან. რომელ საჯაროობაზე და დემოკრატიზაციაზე ლაპარაკობდა ის, როცა მას ჯერ კიდევ ბავშვობაში დასაჭერად დასდევდა რუსეთის მეფის ხელისუფლება. ორჯერ დააპატიმრეს კიდევ და გადაასახლეს, ხოლო მისი ძმა ალექსანდრე 1887 წელს დახვრიტეს მეფეზე თავდასხმისათვის. მაგრამ 1900 წელს მან ხელში ჩაიგდო სხვისი პასპორტი, ჩააკრა თავისი

ფოტოსურათი და 30 წლის ასაკში გაიპარა საზღვარგარეთ, სადაც იმალებოდა 17 წლის მანძილზე ილინის, ტულინის, კარპოვის და სხვათა გვარებით (საფრანგეთში, პოლონეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ფინეთში). 1905 წელს ის შემოიპარა რუსეთში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მაშინდელი აჯანყება მარცხით დამთავრდა და ის კელავ გაიაქცა საზღვარგარეთ. 1914 წელს ის დააპატიმრა ავსტრიის პოლიციამ, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა შვეიცარიაში. 1917 წლის თებერვალში რუსეთში კვლავ მოხდა აჯანყება, ამით ისარგებლა მან და შემოიპარა პეტროგრადში 16 აპრილს. 1917 წლის 6 ნოემბერს სმოლნში ის თავს დაესხა პარლამენტის სხდომას, დაატყვევა ისინი, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. არავითარი რევოლუცია მას არ მოუხდენია. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ 1918 წლის 30 აგვისტოს ის ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს და დიდი ხნის მანძილზე მკურნალობდა. 1922 წელს კი მძიმედ დაავადდა სიფილისით. ლენინის დედის მამა იყო ებრაელი, გვარად ბლანკი, ხოლო დედის დედა შვედური წარმოშობის გერმანელი, გვარად გროსშოპსი. მისი მამის წინაპრები კი მუსულმანები იყვნენ, მონღოლი თათრები კალმიკიიდან. ის არ იყო რუსი. ლენინს სიცოცხლის ბოლო 8 თვეზე მეტ ხანს ენა ჰქონდა ჩავარდნილი. ველარ აზროვნებდა და გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს. ზემოთაღნიშნული ფაქტებით, იურიდიულად დამტკიცებულია, რომ სახელმწიფოსთვის მას არ უხელმძღვანელია და არც შეეძლო, რადგან ფსიქიური ავადმყოფი იყო: ლაპარაკის დროს ერთ თვალს ხუჭავდა და ერთ ხელს გიჟივით აქნევდა შეუჩერებლად.

ახლა მოკლედ გავარჩიოთ მის მიერ შეთხზული თეორიები და იდეები. საკუთარი მას არაფერი გააჩნდა, ძირითადად რუსულ ენაზე გადათარგმნა კ. მარქსის და ფ. ენგელსის ნაწარმოებები. როგორც ცნობილია მარქსიზმი ევროპის და სხვა კონტინენტის ცივილიზებულმა ერებმა არ დაიჯერეს, არ მიიღეს, უკუ აგდეს და კაპიტალისტური სისტემა ამჯობინეს. ლენინმა კი ადვილად მოატყუა გულუბრყვილო, დამჯერე და გაუნათლებელი რუსი ერის მცირე ნაწილი, სხვა ერების მოტყუება მან ვერ შეძლო. გავეცნოთ მაგალითად 1847 წელს კ. მარქსის მიერ წამოყენებულ და ლენინის მიერ გამოყენებულ კომუნისტურ დევიზს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. პროლეტარი ეწოდება არაფრის მქონე ადამიანს. ასეთები მრავალი საუკუნის წინათ მართლა იყვნენ (მაგალითად, მონები), მაგრამ 1917 წლისთვის გლეხებს და მუშებს ჰქონდათ საცხოვრებელი, საკვები, ხელფასი, პირუტყვი, ცოლ-შვილი და სხვა ნორმალური პირობები. კომუნიზმი

საერთოდ აღმოჩნდა უტოპია. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ლენინის ტომები არის ფანატიკური, უტოპიური, მცდარი და ყალბი.

ვ.ი. ლენინის მიერ ჩადენილი ყველა ტრაგედიის აღწერას არ ეყოფა ერთი წიგნი, ამიტომ მე ვეცდები ჩამოვთვალო ზოგიერთი მათგანი: მათემატიკური და დემოგრაფიული გაანგარიშებით 1918-1922 წლებში ვ. ლენინის განკარგულებით დახვრეტილი იყო 15 მილიონზე მეტი უდანაშაულო ადამიანი. მაგრამ ვინაიდან ხალხს ხვრეტდნენ მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს განაჩენის გარეშე, არ დარჩა მაშინდელი წლების არც დოკუმენტები, არც გვარები, არც სიები და არც დახოცილ ადამიანთა რაოდენობაც. არ არსებობს ასევე არქივის დოკუმენტებიც. მონაცემების მოგროვება შეიძლება მხოლოდ იმ წლების ლიტერატურული წყაროების შეგროვებით. მაშინ დახვრეტების შესახებ აკრძალული იყო ლაპარაკი და წერა. ტრაგედიები ისეთი დიდი მასშტაბის იყო, რომ ზოგიერთმა მათგანმა მაინც მოაღწია ჩვენამდე. მაგალითად, მ.ს. ურიცკის მოკელისათვის ბოლშევიკებმა დახოცეს 500 უდანაშაულო ადამიანი. მოაწყვეს „ჰეკატომბა" (ბერძნულად — მსხვერპლის შეწირვა). ურიცკის მოკვლის ტერორისტულ აქტში მონაწილეობდა რამდენიმე ადამიანი.

პოეტი მანდელშტამის მეუღლე წერს, რომ კიევში ფანჯრებიდან ხალხმა დაინახა საზიდარები (телеги —რუს.), რომლებზეც ეწყო მთლიანად გაშიშვლებული მკვდარი ადამიანები, ზემოდან გადაფარებული ჰქონდათ ჭილოფები. გვამები თავხედურად და განზრახ ქალაქის ცენტრის გაელით წაიღეს ქალაქგარეთ, სადაც სისხლის დასაქცევად მოწყობილი ჰქონდათ ღარები.

ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი ივან ალექსანდრეს ძე ბუნინი წიგნში „Окаянные дни", რომელიც გამოიცა ლონდონში 1977 წელს, 94-ე გვერდზე წერს, რომ „ოდესაში შემოიღეს ფეხსადგილში (ტუალეტში) დახვრეტის ახალი წესი. უნიტაზი უფრო ჰიგიენური და მოხერხებული ყოფილა. ჯერ ესვრიან კეფაში, მკვდარს ყურებით დაიჭერენ ხელში, სანამ არ დაიცლება სისხლისგან, მერე დაქცეულ სისხლს ჩარეცხავენ". რა თქმა უნდა ეს ხერხი სჯობია, რადგან ღარების გაკეთება აღარ არის საჭირო.

ახლა გავეცნოთ რა ხდებოდა სხვა რეგიონებში, კერძოდ, მირგოროდში. ჰუმანური და დემოკრატი მწერალი ვლადიმირ გალაქტიონის ძე კოროლენკოს ნაწარმოებში, რომელიც გამოქვეყნდა პარიზში 1922 წელს, ვკითხულობთ, რომ „მირგოროდის ქუჩებში ჩეკისტებმა დახვრიტეს ასობით ეგრეთ წოდებული „კონტრრევოლუციონერები". ადამიანები დასახვრეტად მიჰყავდათ ღამით ქალაქგარეთ და წინასწარ

გათხრილ ღია საერთო სასაფლაოსთან კეფაში სროლით კლავდნენ. ქალაქის ბაზრის მოედანზე დილით კი ნახეს სისხლის გუბეები, რომელსაც ლოკავდნენ ძაღლები... ასეთი უსამართლო დახვრეტები ჩვენთან უკრაინაში ასობით ხდება. დახვრეტის წინ ადამიანებს მთლიანად აშიშვლებდნენ, ქალებს და კაცებს არ აცალკევებდნენ, ერთად ხოცავდნენ. დახვრეტილ ადამიანებს აბრალებდნენ: „პოლონეთ-ინგლისის შეთქმულებაში მონაწილეობას, ქალაქ ოდესის დაპყრობას და მის გადაცემას პოლონეთზე ზღვიდან-ზღვამდე".

ასეთი თვითნებური და ადმინისტრაციული, სასამართლოს გარეშე დახვრეტები სხვა რესპუბლიკებშიც იყო შემოღებული. მაგალითად საქართველოში კერძოდ ზესტაფონში, რკინიგზის ვაგონებში შერეკეს ხალხი ჭიათურიდან, საჩხერედან, ხარაგაულიდან, თვითონ ზესტაფონიდან. ვაგონები შეიყვანეს მდინარე ყვირილას მიმართულებით გაყვანილ რკინიგზის ჩიხში, ახლანდელი საკოლმეურნეო ბაზრის გვერდით და ტყვიამფრქვევების სროლით დახოცეს ასობით ადამიანი. იმ ადგილზე შპალები და რელსები შეღებილი იყო სისხლით. ვაგონები რომ გახსნეს, იქიდან გადმოხტა და ყვირილით გაიქცა სამი ცოცხალი ადამიანი, გამოეკიდნენ და ისინიც ჩახოცეს.

ვ.ი. ლენინის სიცოცხლის პერიოდისგან განსხვავებით, ი.ბ. სტალინის დროს ტარდებოდა გამოძიება, სასამართლო პროცესი, განაჩენი და არსებობდა დოკუმენტებიც. იმ პერიოდში დახვრეტილი ადამიანების უმრავლესობა მართლა დამნაშავე იყო. მაგალითად, ნ.ი. ბუხარინმა 1938 წელს აღიარა სასამართლოზე, რომ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, ხოლო ვ.მ. მოლოტოვის მეუღლემ აღიარა სასამართლოზე, რომ მართლა აწვდიდა საიდუმლო ცნობებს ინგლისის ელჩს.

ასეთი მაგალითები მრავალი იყო. ავტორი არ ამართლებს სტალინურ რეპრესიებს, მაგრამ დასახვრეტი ხალხის სიებს ადგენდნენ ადგილობრივი ბოროტმოქმედი თანამდებობის პირები, რომლებსაც სიებში შეჰყავდათ უდანაშაულო ადამიანებიც, რომლებიც მათ ხელს უშლიდა კარიერის გაკეთებაში.

ვ.ი. ლენინის განკარგულებით 1918 წელს ქალაქ სვერდლოვსკში (ახლანდელი ეკატერინბურგი), აშკარად არაკანონიერად და მხეცურად დახვრიტეს რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ის ოჯახი, ახლო ნათესავები და მოსამსახურე პერსონალიც. ამ წიგნის ავტორი, 1998-1999 წლებში მსახურობდა ეკატერინბურის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე და იქ ნახა მეფის ოჯახის დახვრეტის ადგილი. ახლა იმ ადგილზე აღმართულია გრანიტის სვეტი და პატარა სამლოცველო, რომელშიც

ჩაკრულია მეფის ოჯახის ცხოვრების ამსახველი სურათები. მათი ჩონჩხი კი 1999 წელს გადაასვენეს სანკტ-პეტერბურგში.

რაც შეეხება ვ.ი. ლენინის თანამზრახველ სისხლისმსმელ ი.მ. სვერდლოვს, ის 1919 წელს მოსკოვის ერთ-ერთი ქარხნის მუშებმა თავ-პირში იმდენი ურტყეს, რომ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა, რასაც ადასტურებს მისი დაკრძალვის კინოფირიც, სადაც კუბოში მწოლიარე ი.მ. სვერდლოვს თავი აქვს ბინტებით შეხვეული.

ვ.ი. ლენინის განკარგულებით1919 წელს არაკანონიერად და მხეცურად დახოცეს ერთ მილიონზე მეტი დონის კაზაკი, მათ შორის ბავშვებიც და ქალებიც. ამ ტრაგედიას მაშინ ვ.ი. ლენინმა დაარქვა: „Декрет о расказачивании Росии“.

ისტორიული მონაცემებით რუსეთში რევოლუციამდე იყო 360000 საეკლესიო მსახური, ხოლო 1919 წლის ბოლოს მათგან ცოცხალი დარჩა 40000. ვ.ი. ლენინის მიერ წამოწყებულმა კომუნისტურმა წყობილებამ ხალხი დაყო წითლებად და თეთრებად, მენშევიკებად და ბოლშევიკებად, ხოლო მსოფლიოში 2 სისტემა დაუპირისპირდა ერთმანეთს, რამაც გამოიწვია ჯერ სამოქალაქო ომი, შემდეგ დიდი სამამულო ომი, რის შედეგად დაიღუპა 60 მილიონზე მეტი კაცი.

ცნობილია, რომ თეთრგვარდიელებს ვ.ი. ლენინი დაპირდა, ვინც იარაღს დაყრიდა და გადავიდოდა წითლების მხარეზე, მათ შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს. 200 000-მა თეთრგვარდიელმა დაყარა იარაღი, მაგრამ ვ.ი. ლენინის ბრძანებით ისინი დახოცეს.

ვ.ი. ლენინის განკარგულებით სასწრაფოდ იქნა აგებული 355 პატიმართა ბანაკი ურალზე, ციმბირში, შუა აზიაში, მაგალითად: სოლოვეცკის და უსტ-სისოლსკოეს (ახლანდელი სიკტივკარი) ტყვეთა ბანაკების კომპლექსები. ვ.ი. ლენინის მიერ დამყარებული კომუნისტური რეჟიმის და იდეოლოგიის შედეგად, სულ გასამართლებული იყო 377380, დახვრეტილი 642980, დაპატიმრებული 2369220, გადასახლებული 765180 ადამიანი.

დიდი ხანია დადგა დრო ვ.ი. ლენინს შევხედოთ ფხიზელი თვალით და ანტიადამიანურად, ანტიჰუმანურად მივიჩნიოთ მისი მოღვაწეობა და ნამოქმედარი. ამის დასტურად გამოდგება ქვემოთ მოყვანილი ფაქტები: 1918 წლის იანვრის სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“, ლენინმა ადამიანთა მთელი კატეგორია ჩარიცხა „მავნე მწერების“. „რწყილების“, „მავნე ადამიანების“ ჯგუფში. „რუსეთის მიწაწყალი უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი მავნე მწერებისგან, რწყილებისგან, გაიძვერებისგან, ბაღლინჯოებისგან, მდიდრებისგან და სხვა (იხ. ვ.ი. ლენინი ტ.26, გვ. 482).

ლენინი თეორიულად ამკვიდრებდა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის უკანონობას. „დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ძალდატანებას ეყრდნობა და არავითარი კანონით არ არის შეზღუდული“.

ლენინი ამართლებდა თვითგასამართლებასაც, „შემთხვევით“ შეკრებილთა, ე.ი. ბრბოს თვითნებურ მოქმედებასაც. „ხალხი, მოსახლეობის მასა თვითონ უშუალოდ გამოდის ასპარეზზე, თვითონ ასამართლებს და სჯის, იყენებს ძალაუფლებას, ჰქმნის ახალ რევოლუციურ სამართალს. ბოლოს, ეს არის სწორედ რევოლუციური ხალხის დიქტატურა“ (იხ. ლენინი. ტ.31, გვ.428). მან 1917 წელს გამოსცა დეკრეტი, სადაც მიუთითა, რომ „სპეკულიანტები უნდა დაიხვრიტონ დანაშაულის ადგილზე“. ამით მან სპეკულიანტები ხალხის მტრებად გამოაცხადა. „არც ერთი ფუთი პური, არ უნდა დარჩეს მქონებელთა ხელში. ყველა ვისაც არ მიაქვს პური ჩასაბარებელ პუნქტებში, გამოცხადდეს ხალხის მტრად და გადაცემული იქნან რევოლუციურ სასამართლოზე. დამნაშავეებს მიუსაჯეთ ციხე, არანაკლებ 10 წელი. კონფისკაცია გაუკეთდეს მთელ მათ ქონებას“ (ლენინი, ტ.41, გვ. 310).

ლენინი იყო წითელი ტერორის სულისჩამდგმელი, სავსებით გაუმართლებელი, ზომაგადასული, არაადამიანური ტერორისტი. მაგალითად, ვოლოდარსკი მოკლეს 1918 წლის 21 ივნისს. 26 ივნისს ლენინი წერს ზინოვიევს: „პიტერში მუშებს სურდათ ვოლოდარსკის სიკვდილზე ეპასუხათ მასობრივი ტერორით და თქვენ შეაჩერეთ. გადაჭრით ვაცხადებ პროტესტს. უნდა წავახალისოთ ენერგია და ტერორის მოძრაობა კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ“ (თხზ. სრ. კრებული, ტ.50, გვ. 106). ლენინის ეს მოწოდება ტერორისკენ გამოჩნდა იმავე წლის სექტემბერში, როცა ურიცკის მკვლელობის პასუხად დახვრეტილ იქნა 500 მძევალი.

1918 წლის 9 აგვისტოს ლენინი უგზავნის დეპეშებს გ.ფ. ფიოდოროვს ნიჟნში და ე.ე. ბოშს პენზაში: „ჩაატარეთ დაუნდობელი მასობრივი ტერორი კულაკების, მღვდლების და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. ეჭვმიტანილები ჩაკეტეთ საკონცენტრაციო ბანაკებში. გამოიყვანეთ ასეულობით როსკიპი, მენშევიკი, არასაიმედონი, ყოფილი ოფიცრები და დახვრიტეთ“ (ლენინი, ტ. 35, გვ. 143).

ვ.ი. ლენინის სიცოცხლეში და მის შემდგომ პერიოდშიც, არცერთ სახალხო კომისარს არ ჰქონდა იურიდიული განათლება. აი ყოფილ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისრების სრული სია: ა.ი. რიკოვი, ფ.ე. ძერჟინსკი, ა.გ. ბელობოროდოვი, ვ.ნ. ტოლმაჩოვი, გ.გ. იაგოდა, ნ.ი. ეჟოვი, ლ.პ. ბერია, ს.ნ. კრუგლოვი, ნ.პ. დუდოროვი. ამათგან მხო-

ლოდ ფ.ე. ძერჟინსკი გარდაიცვალა თავისი ბუნებრივი სიკვდილით (ათეროსკლეროზი და ჰიპერტონია). ნ.პ. ლუღოროვი გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან და დააპატიმრეს, 1944 წელს ჩეჩენინგუშების უკანონოდ გადასახლების ორგანიზებისათვის, ხოლო დანარჩენები კი დახვრიტეს.

ლ.პ. ბერია ნამდვილად არ იყო დასასჯელი, პირიქით, მას დიდი დვაწლი მიუძღოდა დიდი სამამულო ომის გამარჯვებაში და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში. НКВД მან გადააქცია მსხვილ სამრეწველო-სამშენებლო უწყებად, რადგან პატიმრების შრომით 1941-1944 წლებში მოპოვებული იყო 315 ტონა ოქრო, 14398 ტონა კალა, 6511 ტონა ნიკელი, 8924 ათასი ტონა ქვანახშირი, 407 ათასი ტონა ნავთობი, დამზადებული იყო 30,2 მილიონი ჭურვი და ნაღმი. მან 1941-1944 წლებში საპატიმროებიდან გაანთავისუფლა 3 მილიონ 400 ათასი პატიმარი. ამის გარდა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ამუშავებდა 2 მილიონ 70000 ტყვეს. ლ.პ. ბერია კურირებას უკეთებდა МВД და МГБ ერთდროულად და იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მან შეწყვიტა უსაფუძვლოდ შექმნილი მოსკოვის კრემლის ექიმების სისხლის სამართლის საქმე: „Дело врачей". მან გამოსცა ამინისტია და გაანთავისუფლა 1181264 პატიმარი, ხოლო ე.წ. „Гулаг"-ი გადასცა იუსტიციის სამინისტროს. ლ. პ. ბერია 30.IX. 43 წელს გახდა სოციალისტური შრომის გმირი, 09. VII 1945 წელს კი სსრ კავშირის მარშალი, ის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით 5-ჯერ, სუვოროვის ორდენით, 2 წითელი დროშის ორდენითა და სსრ კავშირის 7 მედლით. მაგრამ მარშალ ლ.პ. ბერიას ბრწყინვალე კარიერა, 1953 წლის 26 ივნისს უკანონოდ და ბოროტმოქმედებით შეწყვიტა, „ივანუშკა ლურაჩოკმა" და „კუკურუზნიკმა" ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელიც მოიქცა ისე, როგორც ამბობდა მაო-ძედუნი: „გაუნათლებლები ამხობდნენ განათლებულებს". ის მოაკვლევინა თავის აგარაკზე ნიკიტა ხრუშჩოვმა, ხოლო სასამართლო პროცესზე იმყოფებოდა მისი მსგავსი სხვა პიროვნება.

დავუბრუნდეთ ახლა ლენინის მართვის პერიოდს. 1923 წელს მარტო მოსკოვის ციხეებში დაპატიმრებული იყო 79947 უდანაშაულო ადამიანი. ლენინმა მწარედ მოატყუა გლეხები და მუშათა კლასი. მისი თეზისი იყო: მიწები გლეხებს, ქარხნები მუშებს. მაგრამ მოსავალი გლეხებს მთლიანად ჩამოართვა, არ დაუტოვა ოჯახებისთვის საკვები და მომავალი წლის სათესი მასალაც წაართვა. ამან გამოიწვია შიმშილობის კატასტროფა, რის შედეგად რუსეთსა და უკრაინაში დაიღუპა მილიონობით ადამიანი.

პოლიტოლოგმა და НТВ პროგრამის პოლიტიკურმა მიმომხილველმა ევგენი კისელიოვმა და კინორეჟისორმა სტანისლავ გოვორუხინმა ცალკ-ცალკე დამოუკიდებლად გადაიღეს 2-სერიანი დოკუმენ-

ტური კინოფილმები, ლენინის მიერ ჩადენილ ტერორზე, ტრაგედიებზე და დანაშაულებზე. მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვ.ი. ლენინი იყო გამოუსწორებელი განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავე-რეციდივისტი. ის არ იყო რუსი, ხალხის ბედი მას ფეხებზე ეკიდა და ამიტომ დაუნდობლად მილიონობით ხოცავდა უდანაშაულო ადამიანებს. მას რუსეთში და არც სხვაგან ერთი დღეც არ უმუშავია და არავითარი სასარგებლო საქმე არ გაუკეთებია. კენჭისყრაში მან ვერ გაიმარჯვა, რადგან ხმების აშკარა უმრავლესობა მოაგროვა ნამდვილმა რევოლუციონერმა და ნორმალურმა პიროვნებამ მარტოვმა. ვ.ი. ლენინმა ბოლშევიკობა თვითნებურად მიითვისა. ვ.ი. ლენინი როგორც პიროვნება იყო აშკარა ლემაგოგი, ჰომოსექსუალისტი, დაუნდობელი, ავანტიურისტი, ფანატიკოსი, მოღალატე, ფსიქოლოგიურად არანორმალური, სიფილისით დაავადებული, ტერორისტი, წითელი ფაშისტი, პოლიტიკური შულერი. მან საკუთარი ოჯახიც კი ვერ შექმნა და სახელმწიფოს როგორ გაუძღვებოდა.



## თავდასხმა რონალდ რეიგანზე

როგორც ცნობილია 1982 წელს რონალდ რეიგანმა გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში. ერთი თვის შემდეგ მან სასტუმრო ჰილტონის დარბაზში ჩაატარა პრესკონფერენცია. სასტუმროდან გარეთ გამოსვლის შემდეგ, ის გაემართა პრეზიდენტის ბრონირებული ლიმუზინისაკენ. მას თან ახლდა პრესმდივანი და პრეზიდენტის დამცველი სპეციალური სამსახურის მუშაკები. ბაწრებით შემოღობილი ქუჩაში ტროტუარს იქით, პრეზიდენტს ესალმებოდა ხალხის ჯგუფი. უეცრად იქიდან გაისმა სროლის ხმა. მცველები გადაეფარნენ რეიგანს და სასწრაფოდ ჩასვეს ის იქვე 6 მეტრის მანძილზე მდგარ ბრონირებულ ლიმუზინში, მანქანა სწრაფად დაიძრა და გაქანდა. ტერორისტმა გაისროლა ექვსჯერ სროლის შედეგად დაიჭრა პრესმდივანი და სამი დაცვის მუშაკი, რომლებიც გადარჩნენ ცოცხალი. ლიმუზინში რონალდ რეიგანი შეამოწმა მისმა სპეცსამსახურის უფროსმა და აღმოჩნდა, რომ რეიგანს სისხლი მოსდიოდა მკერდიდან. ავტომობილი გაემართა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოსკენ, სადაც მივიდა ორ წუთში. იქ რონალდ რეიგანს სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია და ტყვია ამოუღეს სხეულიდან, რომელიც გულიდან 2 სანტიმეტრით იყო დაშორებული.

რონალდ რეიგანს ტერორისტული თავდასხმა მოუწყო ვინმე უმცროსმა ჰილკიმ, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი პრეზიდენტობის და ეძებდა ხელსაყრელ მომენტს პრეზიდენტის მოსაკლავად.

## თავდასხმა ლეონიდ ბრეჟნევზე



1969 წლის 18 მარტს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი აეროდრომიდან, სადაც ის შეხვდა კოსმონავტებს, მოსკოვის კრემლისაკენ მიემართებოდა მთავრობის მანქანით, მცველი მოტოციკლისტების ესკორტით. მანქანების კოლონაში პირველი ღია მანქანით მიემართებოდნენ კოსმონავტები ვალენტინა ტერეშკოვა ლეონოვი და სხვები. სახელმწიფოს მეთაური ბრეჟნევი იჯდა მე-4 მანქანაში. როდესაც მანქანების კოლონა მიუახლოვდა კრემლის კედელს უეცრად გზის გვერდიდან გაისმა პისტოლეტის სროლის ხმა, რის შედეგად სასიკვდილოდ დაიჭრა კოლონაში მეორე მანქანის მძღოლი, მანქანის საჭის მართვა გააგრძელა მის გვერდით მჯდომმა სპეცსამსახურის მუშაკმა. დაიჭრა ასევე ერთი მოტოციკლისტი. ტერორისტმა სულ 16-ჯერ ისროლა. ის მაშინვე აიყვანეს პატიმრობაში. ტერორისტი აღმოჩნდა ლენინგრადიდან სპეციალურად ჩამოსული საბჭოთა ჯარის ლეიტენანტი ვ. ილინი. მან ტყვიები დაუმიზნა მეორე მანქანას, რადგან ეგონა, რომ ბრეჟნევი იქ იჯდა. საგამოძიებლო მასალებიდან დადგენილია, რომ მან მოსკოვში ჩაიცვა მილიციონერის ფორმა და დადგა გზაზე, სადაც უნდა გაევლო ესკორტს, ვითომ წესრიგის დასამყარებლად. მას ორივე ხელში ეკავა მაკაროვის პისტოლეტი, რომლებიც სახელოებში ჰქონდა დამალული. მის დაკითხვაში მონაწილეობა მიიღო იური ანდროპოვმა. მის კითხვებზე ილინმა უპასუხა, რომ ბრეჟნევის მოკვლა იმიტომ უნდოდა, რომ მას არასწორი გზით მიჰყავდა სახელმწიფო, სახელმწიფოს მეთაურის ღირსეულ პიროვნებად მას მიაჩნდა სუსლოვი. სუსლოვის წინააღმდეგ საქმე, არ იყო აღძრული. ილინი გამოაცხადეს ვითომ ფსიქიურ ავადმყოფად და მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც იმყოფებოდა 20 წელი. 1990 წელს ის გაანთავისუფლეს საავადმყოფოდან. მაშინდელ მთავრობას ასეთნაირად სხვების მანქანები მაშინ არ იყო ბრონირებული და ამიტომ ტყვიებმა ადვილად გახვრიტა მანქანის კორპუსი.

# ნიუ-იორკის ორი ცათამბჯენის დანგრევა



ნიუ-იორკში 1971-1973 წლებში ააშენეს 110-სართულიანი 412 მეტრის სიმაღლის ერთმანეთის გვერდით მდგომი 2 ცათამბჯენი, რომლებშიც განთავსებული იყო საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი. 2001 წლის 11 სექტემბერს საყოველთაოდ ცნობილი ტერორისტების ლიდერის ოსამა ბენ ლადენის მიერ წინასწარ დაფინანსებულმა და ორგანიზებულად მომზადებულმა ტერორისტებმა ააფეთქეს ორივე ცათამბჯენი (ამერიკის სიამაყე), რამაც გამოიწვია რამდენიმე ათასი ადამიანის მსხვერპლი, უდიდესი მატერიალური, ეკონომიური ზარალი და პოლიტიკური ენებათა ღელვა.

2001 წლის 11 სექტემბრის დილას 19 არაბი ტერორისტი-თვითმკვლელი გაიყო 4 ჯგუფად და სინქრონულად გაჩნდნენ აშშ სამ აეროდრომზე. თითოეულ ჯგუფში იყო მფრინავი. ტერორისტების ორი ჯგუფი ბოსტონის ლოგანას სახელობის აეროპორტში ჩაჯდა სხვადასხვა თვითმფრინავში. მესამე ჯგუფი ჩაჯდა თვითმფრინავში შტატ ნიუ-ჯერსის აეროპორტ ნიუარკაში. მეოთხე ჯგუფი – ვაშინგტონის დალესის სახელობის აეროპორტში. ყველა ჯგუფმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიარა თვითმფრინავში ჩასაჯდომი ყველა წინასწარი პროცედურა. არცერთ მათგანს თან არ ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი და ფეთქებადი მასალა. მათ არავითარი ეჭვი არ გამოიწვიეს.

ერთი თვითმფრინავი (რეისი №UA175) 56 მგზავრით და ეკიპაჟის 9 წევრით ბოსტონიდან გაფრინდა ლოს-ანჯელესში დილის 7 საათსა და 58 წუთზე. მეორე თვითმფრინავიც იგივე მარშრუტით გაფრინდა, მისი რეისი იყო №AA11, თვითმფრინავში იმყოფებოდა 81 მგზავრი და ეკიპაჟის 11 წევრი. მესამე თვითმფრინავი 8 საათსა და 01 წუთზე ნიუ-ჯერსიდან გაფრინდა სან-ფრანცისკოში, მისი რეისის ნომერი იყო UA93. ამ თვითმფრინავში იმყოფებოდა 38 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი. მეოთხე თვითმფრინავი ვაშინგტონიდან გაფრინდა ლოს-

ანჯელესში 8 საათსა და 10 წუთზე. მისი რეისის ნომერი იყო AA77. თვითმფრინავში იმყოფებოდა 58 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი.

მაღალკვალიფიციურ დონეზე მომზადებულმა ტერორისტებმა ყველა თვითმფრინავში გათიშეს ყველა კავშირისა და გადაცემის საშუალებები. ყველა მგზავრი გადაიყვანეს თვითმფრინავების ბოლო განყოფილებაში, მათთვის ხელი რომ არ შეეშალათ. მაგრამ ერთმა სტიუარდესამ მოახერხა და მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ავიაკომპანიის ოფისს და შეატყობინა, რომ თვითმფრინავი ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ტერორისტებს. ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობეს FBI-ს (გამოძიების ფედერალურ ბიუროს). დედამიწაზე მყოფ ორგანოს მუშაკებს ეგონათ, რომ როცა ტერორისტები დასხდებოდნენ თვითმფრინავს მიწაზე, ამის შემდეგ წამოაყენებდნენ თავიანთ მოთხოვნებს. მაგრამ ამჯერად ისინი მწარედ მოტყუვდნენ, რადგან ტერორისტები მიწაზე დაჯდომას არ აპირებდნენ.

ტერორისტებმა აიძულეს მფრინავები შეეცვალათ კურსი და როცა ნიუ-იორკს მიუახლოვდნენ, მოკლეს მფრინავები და თვითონ წაიყვანეს თვითმფრინავები მიზნისაკენ, საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის ცათამბჯენებისაკენ. 8 საათსა და 45 წუთზე „ბოინგ-767", რომელიც ასრულებდა № 11 რეისს შეეჯახა ჩრდილოეთით მდებარე ცათამბჯენს. თვითმფრინავი აფეთქდა და ალი მოედო საწვავს. მაშინვე დაიღუპა თვითმფრინავში მყოფნი და შენობის იმ სართულზე მყოფი ადამიანები. შენობის ზემოდან მიწაზე ცვიოდა: სხეულის ნარჩენები, თვითმფრინავის ნაწილები, შენობის მინები, საკანცელარიო ნივთები, ავეჯი და სხვა წვრილმანი. ისინი ვინც ცოცხალი გადარჩა თვითმფრინავის შეჯახების შემდეგ, გადმოცვივდნენ შენობიდან. ცათამბჯენთან თავი მოიყარეს ტელევიზიის გადამღებმა ჯგუფებმა, მეხანძრეებმა, პოლიციამ.

9 საათსა და 06 წუთზე მეორე თვითმფრინავი „ბოინგ-767", რომელიც ასრულებდა № 175 რეისს ტერორისტმა შეაჯახა სამხრეთით მდებარე ცათამბჯენს. შენობა შეირყა მაგრამ არ დანგრეულა.

შენობებში მყოფმა ადამიანებმა პანიკის გარეშე იწყეს ქვევით ჩამოსვლა. მაგრამ ზედა სართულებზე მყოფმა ადამიანებმა ვერ შეძლეს ქვევით ჩამოსვლა, რადგან მათ გადაეღობა ცეცხლის ალი და ნანგრევები. ერთმანეთის მიყოლებით ხტებოდნენ ქვემოთ და იღუპებოდნენ. უმრავლესობას ეგონა, რომ რადგან შენობებმა გაუძლეს შეჯახებას, იქ მყოფნი გადარჩებოდნენ უვნებლები. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ გიგანტი ცათამბჯენი დაინგრეოდა. ნიუ-იორკის მეხანძრეები და პოლიციელები შევიდნენ შენობაში ადამიანების

საშველად. მაგრამ ძლიერი ხანძრის შედეგად გადნა შენობების ფოლადის კონსტრუქციები. როდესაც დაიშალა ზედა სართული, წარმოიშვა დომინოს ეფექტი: თითოეული დანგრეული-დაშლილი სართული მთელი სიმძიმით ეცემოდა ქვედა სართულს, მატულობდა დაწოლის სიმძიმე, რის შედეგად ორივე ცათამბჯენი მთლიანად დაინგრა. შავი კვამლის და მტვრის გიგანტურმა ღრუბელმა შეცვალა ნიუ-იორკის სიამაყე ცათამბჯენები. ერთმა შენობამ გაძლო ერთი საათის მანძილზე, მეორე კი დაინგრა საათნახევრის შემდეგ. ნანგრევებში ჩაიმარხა ათასობით მომსახურე პერსონალი, მეხანძრეები და პოლიციელები.

17 საათსა და 25 წუთზე ხანძრისა და ნგრევის გამო დაინგრა იქვე მდგარი შედარებით დაბალი 5 შენობაც, რომლებიც შედიოდა საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის ერთიან კომპლექსში. სულ დაიღუპა დაახლოებით 6 ათასი ადამიანი.

მესამე თვითმფრინავი „ბოინგ-757“, რომელიც ასრულებდა №77 რეისს, 9 საათსა და 40 წუთზე დაეცა პენტაგონის შენობის დასავლეთ მხარეზე (პენტაგონი ეწოდება აშშ სამხედრო სამინისტროს 5 კუთხიან შენობას, რომელიც მდებარეობს ქ. ვაშინგტონთან ახლოს), რის შედეგად შენობის ეს ნაწილი ჩამოინგრა. დაიღუპა 189 ადამიანი, მათ შორის იყო თვითმფრინავში მყოფი 64 ადამიანი.

მეოთხე თვითმფრინავი რომელიც ასრულებდა №UA93 რეისს, 10 საათსა და 06 წუთზე ჩამოვარდა მიტოვებულ შახტაზე, ქალაქ პიტსბურგთან. თვითმფრინავში მყოფი ყველა მგზავრი დაიღუპა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ეს თვითმფრინავი ჩამოაგდეს „F-16“ გამანადგურებლებმა აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ბრძანებით. ამერიკის პრეზიდენტმა ასევე გასცა ბრძანება, „თეთრი სახლის“, სახელმწიფო დეპარტამენტის, იუსტიციის სამინისტროს და სხვა სამთავრობო დაწესებულებების ევაკუაციის შესახებ. მთელ ამერიკაში ელოდნენ ახალ ტერაქტებს. დაიხურა კოლეჯები და მუზეუმები, გადადეს ბეისბოლის მატჩები.

11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა დაანგრია აშშ სიმდიდრისა და ძლიერების სიმბოლოები. ამ დღეს ამერიკელები მიხვდნენ, რომ ისინი ტერორისტებისაგან დაუცველები არიან.

2006 წლის იანვარში ოსამა ბინ ლადენი ტელევიზიით გამოსვლისას დაემუქრა აშშ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, რომ თუ ის ერაყიდან არ გაიყვანს ჯარებს, კვლავ მოუწყობს დიდი მასშტაბის ტერაქტებს.

## ტერაქტი ბესლანში

2004 წლის 1 სექტემბერს, სწავლის დაწყების დღეს ტერორისტული აქტი მოაწყვეს მუსულმანმა ტერორისტებმა (ბოევიკებმა) ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის № 1 საშუალო სკოლაში, სადაც ყვავილებით და თაიგულებით ხელში მისული იყო 1370 ადამიანი (პედაგოგები, მშობლები და პირველიდან მეათე კლასამდე ყველა მოსწავლე). ზოგიერთ მშობელს ხელში ეკავა 26 ძუძუმწოვარა ბავშვიც. მოსწავლეებს თავი მოეყარეს საზეიმოდ. ცერემონიის დაწყებიდან დაახლოებით 7 წუთის შემდეგ „ГАЗ-66"-ის ტიპის მანქანით მოვიდა კბილებამდე შეიარაღებული 40-მდე ბანდიტი. ინგუშეთის სოფელ „ზილგიდან" და „ხურიკაუს" მხრიდან. მათ უფროსკლასელები შეიყვანეს სააქტო დარბაზში, ხოლო უმცროსკლასელები სპორტულ დარბაზში.

პირველ დღესვე ბოევიკებმა ამოარჩიეს 20 მოზრდილი ბიჭი, დააყენეს ისინი მუხლებზე და დახვრიტეს კეფაში სროლით. შემდეგ მათი გვამები გადაყარეს ფანჯრებიდან, რათა შენობაში სუნი არ დამდგარიყო. ზოგიერთი წვერმოშვებული ბყანდიტი ლაპარაკობდა უცხო ენაზე და დროგამოშვებით ისროდნენ ჰაერში. ბოევიკებმა სპორტდარბაზში კალათბურთის რგოლებზე ჩამოკიდეს ბომბები. ჭერი მთლიანად იყო დამინული, კედელზე ბოევიკებმა მიამაგრეს ჩრდილო ოსეთის დროშა, ხოლო მის გარშემო ჩამოკიდეს ფეთქებადი მასალა. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხიც და დასაჯდომი ადგილიც არ იყო ცარიელი. ისე დაცხა, რომ ყველა იქ მყოფმა გაიხადა ტანსაცმელი და ერთმანეთს აგრილებდნენ რვეულების და წიგნების ქნევით. დატყვევებულ ადამიანებს პირველ დღეს მიაწოდეს დასალევი წყალი, ხოლო მეორე დღიდან წყალი აღარ მიაწოდეს. მესამე დღეს ბავშვებმა ჩააფსეს ბოთლებში და სვამდნენ ამ შარდს. ბავშვებს რომ მოშივდათ დაიწყეს ყვავილების ჭამა.

ბანდიტებმა ყველა ტყვეს ჩამოართვეს მობილურები, ფოტოაპარატები, საათები, ტელეკამერები. ტერორისტები ხმამაღლა იცინოდნენ და სურათებს უღებდნენ ბავშვებს, რომელთაც შიშისაგან ენა ჩაუვარდათ, ისინი შოკში და კონტუზიაში იმყოფებოდნენ. ბანდიტებმა უფროსკლასელი გოგონები გააუპატიურეს, ზოგიერთი მოკლეს, მოაჭრეს თავი, ძუძუები და ყურები.

ბანდიტები კარგად შეიარაღებულები იყვნენ და იარაღის მარაგით შეეძლოთ თავის დაცვა 2 კვირის მანძილზე. ამდენი იარაღი არ მოთავსდებოდა „ГАЗ-66" მანქანაში. როგორც შემდეგში გამოძიებამ გამოიკვლია, იარაღი მათ წინასწარ ჰქონდათ შენახული სკოლის სპორტულ დარბაზში, ბიბლიოთეკაში და სააქტო დარბაზის ხის

იატაკის ქვეშ. იმ ზაფხულს სკოლის ხის იატაკი გამოცვალეს ძალზე იაფად „შაბაშნიკებმა“, რომლებმაც საბრძოლო მასალა და იარაღი წინასწარ დამალეს იატაკის ქვეშ. ამ ტრაგედიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლებმა 2 ტერორისტი ამოიცნეს.

ტერორისტებმა თავიდანვე წამოაყენეს 3 მოთხოვნა:

1) ჩეჩნეთის რესპუბლიკის „იჩქერიის“ აღიარება.

2) რუსეთის ჯარის გაყვანა ჩეჩნეთის ტერიტორიიდან.

3) ნაზრანში 22 ივნისს რუსეთის სამხედროების მიერ ხელში ჩავდებული ბანდიტების განთავისუფლება.

მაგრამ რუსეთის მთავრობა დათმობაზე არ წავიდა. არ შეასრულა ბანდიტების მოთხოვნა. პირიქით სკოლაში მყოფი ბანდიტების გასანადგურებლად გაუშვა სამხედრო შეიარაღებული ძალები, რომლის შემადგენლობაში იყო ტანკები და ბრონიტრანსპორტიორები, მსხვილგაბარიტიანი ტყვიამფრქვევებით. 3 სექტემბერს დაიწყო შტურმი, ტანკების ჭურვების გასროლით შეანგრიეს სკოლის შენობის კედლები და გამონგრეულ ღიობებში შეცვივდნენ „სპეცნაზელები“.

ათიათასობით ბესლანელი მოსახლეობა აცხადებდა, რომ ისინი არ დაუშვებდნენ სამხედროების შტურმს და დადგებოდნენ სკოლის გარშემო ცოცხალ კედლად. მაგრამ რუსეთის მთავრობამ მიიღო მცდარი გადაწყვეტილება: სკოლის შენობის აღება შეიარაღებული შტურმით, რასაც მოჰყვა საშინელი შედეგი, აფეთქებებსა და სროლებში რუსეთის გენერალური პროკურორის ვლადიმერ უსტინოვის განცხადებით ამოცნობილი არის 242 დაღუპული ადამიანი, 84 ცხედარი ამოუცნობია, ამას გარდა 88 ადამიანის სხეულის ფრაგმენტები ლაბორატორიაშია გაგზავნილი.

შტურმის შედეგად 31 ბოევიკი იქნა ადგილზე მოკლული, აქედან გამოცნობილია მხოლოდ 14. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ერთი ბანდიტი ნურფაშა კულაევი.

ინგუშეთის МВД — მუშაკები ამტკიცებენ, რომ ტერორისტების ბანდის ერთ-ერთი ლიდერი ინგუში მაგომედ ევლოევი, ახლო მეგობარი იყო ბასაევის, რომელიც მონაწილეობდა 22 ივნისს ქ. ნაზრანზე თავდასხმაში. ამ ტერორის დროს ეთერში რამდენჯერმე გაისმა „позивной МАГАС“, კვალის დაფარვის მიზნით. რუსეთის გენერალურ პროკურატურაში ამტკიცებენ, რომ გამოცნობილია ბოევიკების მეთაურის გვამი, ჩეჩნეთში დაბადებული პოლკოვნიკის — რუსლან ხუჩბაროვი. მაგრამ ადგილობრივი პროკურატურის მუშაკები ამტკიცებენ, რომ 2 სექტემბერს ღამით ორმა ბოევიკმა დატოვა სკოლის შენობა. ხოლო ბასაევი ამტკიცებდა, რომ სკოლის შენობის ხელში

ჩამგდებ ჯგუფს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ორსტხოევი, რომელიც უვნებლად გამოვიდა სკოლიდან.

სპეციალისტების აზრით, სკოლა წინასწარ იყო დამინული მაღალ პროფესიულ დონეზე. დამინული სისტემის მოქმედებაში მოსაყვანად გამოყენებული იყო ავტომობილის აკუმულატორები. სპორტდარბაზი კი ააფეთქეს სკოლის ეზოდან, მობილური ტელეფონის საშუალებით. აფეთქების სიმძლავრე დაახლოებით 60 კგ ტროტილის ექვივალენტური იყო. თვითნაკეთი ბომბების მეოთხედი არ აფეთქებულა.

საქართველოს რესპუბლიკის საზღვარს იცავს მხოლოდ მესაზღვრე ჯარისკაცები. ჩეჩნეთის და ინგუშეთის ადმინისტრაციულ საზღვარს თვალყურს ადევნებს: მილიცია, მესაზღვრეები, შინაგანი ჯარი, МВД და თავდაცვის სამინისტრო. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მათ სკეპტიკურად უყურებს. ნებისმიერ გზაზე ტერაქტის დღესაც კი შეიძლებოდა მანქანის გაჩხრეკის გარეშე გაგველო 50 მანეთად, ხოლო მესაზღვრეების შესახებ ყველამ იცის, რომ საზღვარზე ნახევარი წლის სამსახურის შემდეგ მესაზღვრეები ყიდულობენ საკუთარ ავტომანქანებს. ასე რომ ყველაზე უკეთესი დაცვის საშუალებაა კალაშნიკოვის ავტომატი.

მაშინ აშშ გაზეთი „ვაშინგტონ ტაიმსი“ წერდა: „კრემლმა ვერ შეძლო დაემყარებინა წესრიგი საკუთარ სახლში“.

I სკოლაში სწავლობდა 885 მოსწავლე. 8 სექტემბრისთვის 95 მოსწავლის გვამი ამოიცნეს და დაასაფლავეს. 102 მოსწავლის ბედი ვერ იქნა გარკვეული. დაღუპულთა შორის აღმოჩნდა 15 მასწავლებელი. ცოცხლად დარჩენილთა შორის აღმოჩნდა შენიღბული ჩეჩენი ბოევიკი ნურფაშა კულაევი. დაღუპულ ტერორისტებში კი აღმოჩნდა მისი ძმა ხანფაშა. 32 ბოევიკიდან შესაძლებელი გახდა 12-ის ამოცნობა, მათ შორის არის ოსი ეროვნების ვლადიმერ ხოდოვი, რომელიც იყო „ვახაბისტი“.

200 ბავშვი ვერ იქნა აღმოჩენილი და ჩათვალეს როგორც დაკარგულები. 70 ცხედარის ამოცნობა შეუძლებელი გახდა (დამწვრობის გამო). ამოუცნობი ცხედრების ფრაგმენტები გააგზავნეს ექსპერტიზაზე. 27 მოკლულ ტერორისტს შორის იყვნენ: სირიელები, იორდანიელები, მათ მომზადება გაიარეს „ალ-ქაიდას“ ბანაკებში.

ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს შესვლა სპორტულ დარბაზში, რადგან შესასვლელთან იატაკზე ეყარა აუფეთქებელი ყუმბარები და ფეხოსანთა საწინააღმდეგო მინები. დამწვარ იატაკზე ეყარა ტყვეების დამახინჯებული გვამების ნარჩენები: ხელები, ფეხები, დამწვარი ხორცის საშინელი და აუტანელი სუნი იდგა.

ტყვედ აყვანაში მონაწილეობა მიიღო ჩეჩნებმა, ინგუშებმა, არაბებმა, რუსებმა და ოსებმა. ზოგიერთმა ტერორისტმა ჩაიცვა სამოქალაქო ტანსაცმელი და ცდილობდა შერეულიყო მშვიდობიან მოსახლეობაში. 32 ბოევიკიდან ამოცნობილია 12. მორგებში არის ცხედრები, რომლებსაც მოჭრილი აქვთ: თავი, ხელი, ფეხი, ძუძუები, ცხვირი, ყურები.

ამ შტურმში დაიღუპა 5 რუსი ოფიცერი და დაიჭრა 27 „სპეცნაზელი“. მათ ცეცხლით იცავდა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, ჯავშანტრანსპორტიორები ანადგურებდნენ „ბოევიკების“ სნაიპერებს და მეტყვიამფრქვევეებს.

ძირითადი ვერსიის თანახმად ტერორისტებისთვის გამოყოფილი იყო 3 დღის თანხა, რომელიც თან ჰქონდა მათ მეთაურს, მეტსახელად „МАГАС“, რომელიც 2 სექტემბრის ღამეს ფულთან ერთად გაიპარა სკოლის შენობიდან.

თითოეულ დაღუპულზე მთავრობამ ოჯახს გადაუხადა 25000 მანეთი. რეგიონალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გვამთა დასაფლავებისთვის გადაუხადეს 3000 მანეთი. ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის ფონდიდან გადაუხდიან 100000 მანეთს. ასევე, თითოეულ მძიმედ დაჭრილზე გადაიხადეს 50000 მანეთი. ხოლო მსუბუქად დაჭრილ ტყვეებს გადაუხადეს 25000 მანეთი.

ქალაქ ბესლანში დაგეგმეს 2 საშუალო სკოლის აგება, 150 საცხოვრებელი ბინის, საავადმყოფოს და ვინც გადაიტანა ეს ჯოჯოხეთი, მათთვის რეაბილიტაციის ცენტრი. დაზარალებულთა სულიერი ჯანმრთელობისათვის № 1 საშუალო სკოლა აიღეს.

ქ. ბესლანის ტრაგედიის შედეგების ფინანსური დახმარებისათვის, რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან სპეციალურ ფონდში შევიდა ნახევარი მილიარდი მანეთი, 200000-ზე მეტი დოლარი და 40000 ევრო.

დღეს შემოვიდა მოდაში ლაპარაკი ქრისტიანულ და მუსულმანურ ცივილიზაციებს შორის გაჩაღებული ომის შესახებ. ტერორისტული ისლამი ცდილობს მსოფლიოში რადიკალურად შეცვალოს წყობა, რომელიც შეუძლებელია რუსეთის დამხობის გარეშე.

# ტერორისტები



სიტყვა ტერორი ლათინურად ნიშნავს შიშს (საშინელებას). ტერორისტული აქტი ითვლება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულად, რომელიც გამოვლინდება სახელმწიფოს მეთაურის, საზოგადო მოღვაწის, ადამიანთა ჯგუფის მკვლელობით ან საწარმოს, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო საშუალების აფეთქებით, მაღაზიის ან ბანკის გაძარცვით, ნაგებობის, ნარკოტიკების გავრცელებით, თვითმფრინავების გატაცებით. ტერორისტული აქტის მიზანია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის დასუსტება, ძირის გამოთხრა, საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, ან ომის დაწყების პროვოცირება. ტერორისტების მიზნის მისაღწევი ძირითადი მეთოდია ტყვეების აყვანა. მაგრამ გამოჩნდა ტერორისტების ახალი თაობა, რომლებსაც არ აჭყავთ ტყვეები, ისინი ტანზე შემოირტყამენ ბომბებს და თვითონაც იღუპებიან მსხვერპლთან ერთად. ახლით ტიპის ტერორისტებმა მიიღეს იაპონური სახელწოდება „კამიკაძე", რადგან პირველად ის წარმოიშვა იაპონიაში 1941-1945 წლებში, როცა წელზე ბომბებშემორტყმული იაპონელი მფრინავები პიკირებას აკეთებდნენ აშშ საზღვაო სამხედრო გემებზე და თვითონაც ფეთქდებოდნენ. „კამიკაძეების" ხელმძღვანელებს თვითონ არ უნდათ სიკვდილი. ისინი სასიკვდილო დავალებებზე აგზავნიან სხვებს, თვითონ კი ტერორით შოულობენ დიდ თანხებს და თავისთვის იწყობენ კომფორტულ ცხოვრებას. ტერორისტების სტრატეგია დამყარებულია მოულოდნელი დარტყმის მიყენებაზე იქ, სადაც ამას არავინ ელოდება. ამჟამად მსოფლიოში ყველგან გავრცელებულია ფულადი ჯილდოს გადაცემა პიროვნებაზე, რომელიც ტერორისტს აღმოაჩენს.

ტერორიზმი დედამიწაზე შორეული წარსულიდან არსებობს. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი 323 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 33 წლის ასაკში ტერორისტმა მოწამლა, რის შედეგად იგი გარდაიცვალა, მის მიერ შექმნილი იმპერია დაიშალა. ზოგიერთი პოლიტიკოსის და მწერლის აზრით, ტერორისტობა წარმოიშვა 1960-იან წლებში პალესტინელ არაბებსა და ისრაელის ებრაელებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, რაც დღემდე გრძელდება, ვინაიდან ებრაელებმა შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, რომელიც არ ცნეს პალესტინელმა არაბებმა, რომელთა ლიდერი „იასირ არაფატი" (Абу аль - Рахман Абу аль - Рауф Арафат аль - Кудва аль

- Хуссейн) – თვითონ იყო არაბი ტერორისტების მეთაური. დღემდე ვერ მოიძებნა ტერიტორია პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად.

ტერორისტობისკენ მიდრეკილება უფრო მეტად გააჩნიათ მუსულმანებს, ვინაიდან მუსულმანური სახელმწიფოების მეთაურები და ისლამური რელიგიის ფანატები ადვილად აბრიყვებენ და ატყუებენ უცოდინარ ახალგაზრდებს: თუ ისინი მოკლავენ ურწმუნოებს (მათ ვისაც სწამს სხვა რელიგია), ამასთან ტერორისტული აქტის მოწყობის დროს თვითონაც დაიღუპებიან, მოხვდებიან სამოთხეში და ბედნიერად იცხოვრებენ ალაჰთან ახლოს). ადამიანთა საუბედუროდ ასეთი უაზრო რწმენის მქონე ფანატიკოსი ადამიანის მსგავსი არსებანი ბლომად არის მუსულმანურ სამყაროში (არაბები, თურქები, სპარსელები, ჩეჩნები, ლეკები, თათრები). დედამიწაზე ცხოვრობს 1 მილიარდზე მეტი მუსულმანი. 35 სახელმწიფოში ცხოვრობს მუსულმანების უმრავლესობა. 28 სახელმწიფოში ისლამი მიღებულია სახელმწიფო რელიგიად. მუსულმანებში დამკვიდრებულია თავის შეწირვის მისწრაფება ისლამური რელიგიისთვის ურწმუნოებთან ბრძოლაში. ასეთმა უაზრო ადამიანებმა არ იციან, რომ დედამიწიდან 20 კილომეტრის ზევით ზეცაში არის ოზონის ფენა, რომლის იქით ჰაერში ჟანგბადი საერთოდ აღარ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ოზონის ფენის შემდეგ ცოცხალი არსებები აღარ არიან. ხოლო 20 კილომეტრის სიმაღლეზე ადამიანების მიერ სრულყოფილად არის შესწავლილი სივრცე: თვითმფრინავების, კოსმოსური ხომალდების, თანამგზავრების, რაკეტების და სხვა მეცნიერული აპარატების გამოყენებით დამტკიცებულია, რომ კოსმოსში სიცოცხლე არ არის. ადამინების, ცხოველების, ფრინველების და სხვა ცოცხალი არსებების სიცოცხლე მთავრდება მათი სიკვდილის შემდეგ.

ტერორისტი-კამიკაძე ჩვეულებრივ ეს არის სიღარიბეში გაზრდილი ახალგაზრდა, რომელმაც გაიარა სასწავლო ბანაკები, ეს არის რელიგიური ფანატიკოსი, შახიდი, ის დარწმუნებულია რომ თვითმკვლელური მისია არის ყველაზე მართალი გზა სამოთხეში მოსახვედრად. ტერორი – ეს არის მცდელობა მცირე სახსრებით სწრაფად მიაღწიო დიდ მიზნებს: ხელისუფლების, ქონების, იარაღის, ფულის და სხვა სიმდიდრის ხელში ჩაგდება. ყველაზე დიდი მასშტაბის № 1 ტერორისტი იყო მონღოლოი თათარი ვლადიმერ ლენინი, რომლის სიბოროტეს შეეწირა 40 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. მეორე ადგილზე იყო მისი მოწაფე ადამიანების ხოცვაში გერმანელი ადოლფ ჰიტლერი, რომელმაც მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკებში დახოცა 6 მილიონზე მეტი ადამიანი. ამჟამად, XXI საუკუნის დასაწყისში ტერორისტობით თავი გამოიჩინა არაბმა ოსამა ბენ ლადენმა.

ტერორისტების მიერ დახოცილი პრეზიდენტები

ამერიკის შეერთებული შტატების XVI პრეზიდენტი იყო აბრაამ ლინკოლნი 1861-1865 წლებში. ის წარმოშობით ფერმერის ოჯახიდან იყო. მან ჩაატარა რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნები: მიიღო კანონი „გომსტედის" (კარ-მიდამოს) შესახებ, რომელიც თითოეულ ამერიკის მოქალაქეს აძლევდა უფლებას ჰქონოდა საკუთარი მიწის ნაკვეთი. ამ კანონმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობაში ამერიკული გზით კაპიტალიზმის განვითარებას. მანვე მიიღო კანონი მონობის გაუქმების შესახებ და სამხედრო ძალების გამოყენებით გაანადგურა მონათმფლობელები. პლანტატორებმა შური იძიეს პრეზიდენტზე, დაიქირავეს ტერორისტი, რომელმაც მოკლა პრეზიდენტი 1865 წელს.

აბრაამ ლინკოლნს ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „გარკვეული ხნით შეიძლება მოატყუო ყველა, ზოგიერთ შეიძლება ატყუებდე მუდამ, მაგრამ შეუძლებელია ატყუებდე ყველას და ყოველთვის".

● ამერიკის შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტი იყო ჯონ კენედი (1961?1963 წწ.). მან განახორციელა პროგრამა სოციალურ-ეკონომიური შეზღუდვების რეფორმის შესახებ. ილწოდა აშშ სამხედრო ბლოკების და შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის. ის იყო მომხრე რეალისტური კურსისა საბჭოთა კავშირის მიმართ, რაც არ მოსწონდათ აშშ რეაქციულ წრეებს. მათ დაიქირავეს ტერორისტი გვარად ოსვალდი, რომელმაც სამიზნიანი თოფით მოკლა ჯონ კენედი, როდესაც ის სამთავრობო „ლინკოლნის" მარკის ღია მანქანით მოძრაობდა ქალაქ დალასის ქუჩებში.

● მოჰამედ ანვარ ალ სადათი იყო ეგვიპტის პრეზიდენტი 1970-1979 წწ. აშშ ეგიდით ის იყო ინიციატორი ისრაელის სახელმწიფოსთან სეპარატისტული მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებაზე 19ძ9 წელს, რომელიც მიმართული იყო არაბი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი პალესტინელი არაბების წინააღმდეგ. არაბებმა ეს არ აპატიეს მას და ის მოკლეს ავტომატების და ყუმბარების სროლის შედეგად, როდესაც ის 1979 წლის ოქტომბერს ატარებდა სამხედრო აღლუმს. მოგვიანებით ცნობილი გახდა ანვარ სადათის მკვლელის ვინაობა – ხალედ ალ ისლამბული. ამ ტერორისტის სახელი დაარქვეს ქუჩას ირანის დედაქალაქ თეირანში. ირანელები განაწყენებულნი იყვნენ ანვარ სადათზე, რადგან მან 1979 წელს თავშესაფარი მისცა გამოქცეულ ირანის შაჰს მოჰამედ რეზა ფეხლევს, რომლის მიღება არავის უნდოდა.

● ლიბანის პრეზიდენტი ბაშირ უმაელი მოკლა ტერორისტმა ხაბიბ შარტუნიმ მისი პრეზიდენტობის 23-ე დღეს. 1982 წლის 14 სექტემბერს დილით პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა ბეირუთთან ახლოს მდებარე მონასტერში, სადაც მისი და იყო მონაზონი. იქიდან ის წავიდა ფალანგისტების რეზიდენციაში, ავიდა საკონფერენციო დარბაზში. დაახლოებით დღის 4 საათზე მან დაიწყო სიტყვის წარმოთქმა. ათი წუთის შემდეგ ტერორისტმა ხაბიბ შარტუნმა, რომელიც იჯდა ავტომანქანაში, დააჭირა ხელი ასაფეთქებელ დისტანციური მართვის ღილაკს. აფეთქების ხმა გაიგონა მთელმა ბეირუთმა. სამსართულიანი შენობა ჰაერში ავარდა და დაიშალა ნამსხვრევებად. პირველ რიგში ამოთხარეს პრეზიდენტის სხეული, რომელიც საშინლად იყო დამახინჯებული. ის ამოიცნეს ბეჭდით და დის წერილით, რომელიც ჯიბეში ედო.

ტერორისტი შარტუნი დაიჭირეს, მან თქვა, რომ ბაშირი იყო გამყიდველი, რადგან ის მეგობრობდა ისრაელთან. გამოძიებამ დაადგინა, რომ ტერორისტი იყო სირიის აგენტი.

## თავდასხმები პრეზიდენტებზე

● საფრანგეთის პრეზიდენტს შარლ დე გოლს რამდენჯერმე მოუწყვეს შეიარაღებული თავდასხმა ლიკვიდაციის მიზნით. მაგრამ ის გადარჩა უვნებელი. ფარნგები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ალჟირის დამოუკიდებლობისა და მიტოვებისათვის. 1961 წლის 9 სექტემბერს ღამით პარიზში აჯანყებულმა ოფიცრებმა მოინდომეს დე გოლის მანქანის აფეთქება. პრეზიდენტის გარდა მანქანაში იმყოფებოდა მისი მეუღლე, ადიუტანტი და მცველი. მანქანას მოედო ცეცხლი, მაგრამ 10 კგ ფეთქებადი მასალა არ აფეთქდა. 1962 წლის 22 აგვისტოს დე გოლის მანქანას გაუხსნეს ცეცხლი, როცა ის მოძრაობდა თვითმფრინავისკენ მიმავალ გზაზე. მანქანაში იმყოფებოდა მისი მეუღლე, სიძე და მძღოლი. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა. მისი თანამემამულეთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ალჟირიდან წამოსვლა ეს იყო საფრანგეთის დამარცხება. ამჟამად კი ნათელი გახდა რომ დე გოლმა მუსულმანურ ალჟირზე უარის თქმით გადაარჩინა საფრანგეთი.

● 1995 წლის ივნისში „ჯამაა ალ ისლამიას" ბოევიკები შეეცადნენ მოეკლათ ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი, რომელიც ჩავიდა ადის აბებაში, რათა მონაწილეობა მიეღო თათბირში (აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია). მუბარაქზე თავდამსხმელი სამი ტერორისტი დაიჭირეს, ხოლო 5 მოკლეს სროლისას.

● 1981 წელს ბომბის აფეთქებით ტერორისტებმა დაჭრეს ირანის პრეზიდენტი აიათოლა ხომეინი.

● 2005 წლის მაისში აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მცირე ხნით ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს. მიხეილ სააკაშვილმა მას მოუწყო პომპეზური, ფეშენებელური შეხვედრა. თბილისის თავისუფლების მოედანზე დაამონტაჟეს სპეციალური ტრიბუნა პრეზიდენტებისათვის. ასევე მოაწყვეს მოედანი მოცეკვავეების და ესტრადის მომღერლებისთვის, ტრიბუნა მაყურებლებისათვის. მოედანი აჭრელებული იყო დროშებით, ლოზუნგებით და სურათებით. 10 მაისს მოედანზე გამოიყვანეს 30 ათასამდე მაყურებელი. ტრიბუნაზე გამოსულ პრეზიდენტებს ხალხი ტაშით და ოვაციებით შეხვდა. ორივე პრეზიდენტი სიტყვით გამოეიდა. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა და ერთმა მაყურებელმა ტრიბუნისაკენ ისროლა ხელყუმბარა, რომელიც ტექნიკური დეფექტის გამო არ აფეთქდა. დაცვის ერთმა მუშაკმა ყუმბარას სტაცა ხელი და სწრაფად წაიღო მოედანთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელისაკენ. ტერაქტის მცდელობა ჩაიშალა და პრეზიდენტთან შესვედრის ცერემონია მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდა.

ამ ინციდენტის მეორე დღეს, საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელმაც თქვა, რომ ვინც ამხელს ხელყუმბარის მსროლელ პიროვნებას, ის დაჯილდოვდება 150 ათასი ლარით. ამ ფულადი ჯილდოს მსურველი აღმოჩნდა ორი ადამიანი, რომლებმაც შუაზე გაიყვეს ეს თანხა. მათ აცნობეს ტერორისტის ვინაობა და მიუთითეს მისი საცხოვრებელი ადგილი. ტერორისტი აღმოჩნდა სომეხი ვლადიმერ (ვოვა) არუთინიანი. მის მიერ ნასროლი ხელყუმბარაც ასევე სომხური ნაწარმი იყო.

ტერორის ვლადიმირ არუთინიანის ასაყვანად გამოყენებულ იქნა სპეცდანიშნულების რაზმი. შეიარაღებული რაზმელები არუთინიანს თავს დაესხნენ ღამით. ტერორისტი არ დანებდა და კალაშნიკოვის ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა თავდამსხმელებს, მან დააპირა გაქცევა. ორმხრივი სროლის პროცესში ტერორისტმა ერთი რაზმელი მოკლა და ერთი დაჭრა. თვითონ ტერორისტი დაიჭრა მკლავში და იძულებული გახდა დანებებოდა.

არუთინიანის ბინის ჩხრეკისას მის სარდაფში აღმოჩენილ იქნა ფეთქებადი მასალები: ფოსგენი, ამონალი, ტროტილი და ასევე მომწამლავი ქიმიური ნივთიერებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დავით

ჯუღელმა მას მიუსაჯა მუდმივი (უვადო) პატიმრობა. სასამართლო პროცესს უპრეცენდენტო რეზონანსი ახლდა. მას ესწრებოდნენ: „ბიბისის“, „როიტერის“, „ასოშეიტედ პრესის“, „ნტვ-ს“, „ოერტ-ს“, ქართული ტელეკომპანიებისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის გავრცელების წარმომადგენლები.

## იოსებ სტალინის სიკვდილი

1953 წლის 5 მარტს 21 საათსა და 50 წუთზე სსრ კავშირის სახელმწიფოს მეთაური იოსებ სტალინი გარდაიცვალა. ის ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა. იგი მოწამლა „ივანუშკა დურაჩოკმა“ და „კუკურუზნიკმა“ პოლიტბიუროს წევრმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელსაც იოსებ სტალინი მასხარად იგდებდა, დასცინოდა, ათრობდა, გოპაკს აცეკვებდა და ჩიბუხიდან თუთუნს აყრიდა მოტვლეპილ უტვინო თავზე. ნიკიტა ხრუშჩოვი სასწაულით გადაურჩა დახვრეტას ჯერ კიდევ 1941 წელს, როდესაც მან 2 დღე-ღამეში დათმო და ჩააბარა გერმანელებს უკრაინის დედაქალაქი კიევი (კიევის განთავისუფლებას შემდეგში კი დასჭირდა ორთვიანი თავგანწირული სისხლისმღვრელი ბრძოლები).

1952 წლის ოქტომბრის პლენუმზე იოსებ სტალინმა პოლიტბიუროს წევრობიდან გაანთავისუფლა: მოლოტოვი, მიქოიანი, ვოროშილოვი, ბულგანინი, კაგანოვიჩი. პოლიტბიუროს შემადგენლობაში დარჩენილმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დაიყოლია, თავის მხარეზე გადაიყვანა მალენკოვი და ლავრენტი ბერია, რომლებიც დაარწმუნა, რომ იოსებ სტალინი მათაც მალე დაითხოვდა კრემლიდან. ნიკიტა სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას და 1953 წლის 1 მარტს, საღამოს, იოსებ სტალინთან ვახშმობისას, სადაც ხვდებოდათ გაშლილი მაგიდა მრავალნაირი საჭმელებით და სასმელებით, ნიკიტამ სტალინს ღვინის ჭიქაში ჩაუყარა პრეპარატი დიკუმარინი, რომლის ზედმეტი დოზა იწვევს სისხლის მოწამვლას, ინსულტს (სისხლის ჩაქცევას). ეს წამალი ამჟამად ამოღებულია ხმარებიდან მისი მაღალი ტოქსიკურობის გამო. იოსებ სტალინი რომ მართლა მოიწამლა ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი: პირველ რიგში ის რომ კუჭში მოხვედრილი საწამლავის მოქმედების შედეგად პირიდან გადმოსდიოდა დორბლი (ქაფი) და სისხლი. ჩეხოსლოვაკიის მაშინდელმა პრეზიდენტმა კლიმენტი გოტვალდმა, რომელიც იმ დღეებში სტუმრად იმყოფებოდა კრემლში, გრძნობადაკარგულ იოსებსტალინს ცხვირსახოცით მოუწმინდა პირიდან გადმოდენილი სისხლიანი დორბლი და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო. თვითონ კლიმენტი გოტვალდი პროფესიით ექიმი იყო და როცა პრაღაში დაბ-



რუნდებოდა, გააკეთებდა ქიმიურ ანალიზს და ადვილად დაადგენდა, რომ იოსებ სტალინი მოწამლული იყო. მაგრამ გოტეალდი პრაღაში ვერ დაბრუნდა, რადგან მისი თვითმფრინავი ცაში ააფეთქა ნიკიტა ხრუშჩოვმა.

იოსებ სტალინის აშკარად მოწამვლა მტკიცდება ასევე მისი ავადმყოფობის და გარდაცვალების ყალბი სამედიცინო დასკვნითაც, რომლის მიხედვით მას ვითომ „სისხლი ჩაექცა ტვინში ჰიპერტონიული ავადმყოფობისა და ათეროსკლეროზის ნიადაგზე. მას აეწია ტემპერატურა, აღენიშნა მომატებული ლეიკოციტოზი, განუვითარდა ფილტვების ანთება. ელექტროკარდიოგრამამ გამოავლინა სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა“. ამ ყალბ სამედიცინო დასკვნას ხელს აწერდა მაშინდელი სსრკ-ს ჯანდაცვის მინისტრი ა. ტრეტიაკოვი და ათი მაღალჩინოსანი მედიცინის მუშაკი.

რა იყო ეს? პროფესიული შეცდომა თუ მოწამვლის ფაქტის შეგნებულად დაფარვა, შიშისა და ზეწოლის გამო, რასაც ისინი შეთქმულების ორგანიზატორის ნიკიტა ხრუშჩოვისგან განიცდიდნენ. იოსებ სტალინის სხეულის გაკვეთის შედეგად მიღებული პათანატომიური დასკვნის შედეგები აშკარად არ შეესაბამება მაშინ გამოქვეყნებულ სამედიცინო დასკვნას. კერძოდ, „ფილტვებში ანთებითი კერების“ არსებობა, გაკვეთამ არ დაადასტურა. ხოლო ლეიკოციტების რაოდენობის გაზრდა მიაწერეს ფილტვებში ანთებითი კერების არსებობას და მათ ვითომ ჩასაქრობად იოსებ სტალინს პენიცილინითაც მკურნალობდნენ.

სინამდვილეში ლეიკოციტების რაოდენობის გაზრდა და პირიდან სისხლის დენა კი გამოწვეული იყო კუჭში მომწამლავი ნივთიერების მოხვედრისას ლორწოვანი გარსის სისხლძარღვების ტროფიკული დაზიანების შედეგად.

სისხლის ანალიზი შეესებული იყო ბელადის დაცვის უფროსის ხრუსტალიოვის გვარზე. ხრუსტალიოვი იყო ბოლო ადამიანი, ვინც სტალინი ჯანმრთელი ნახა ტრაგედიის დაწყების წინა სალამოს. ის დააპატიმრეს სტალინის დაკრძალვის დღეებში, რომ არაფერი ელაპარაკა და რამდენიმე დღეში გაანთავისუფლეს. მალე ეს კაციეით

ჯანმრთელი ადამიანი მოულოდნელად მოკვდა (სინამდვილეში მოკლეს).

ნიკიტა ხრუშჩოვმა მოაკვლევინა აგრეთვე იოსებ სტალინის დაცვის სხვა წევრებიც: ლოზგაჩოვი, სტაროსტინი და ხრული დაცვის უფროსი გენერალი ვლასიკი. საკუთარ აგარაკზე თავს დაესხნენ და მოკლეს ლავრენტი ბერია, კრემლიდან შორს ციმბირში მოიშორა მალენკოვი. ის 1957 წელს გაამწესა უსტ-კამენოგორსკის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორად. ნიკიტა ხრუშჩოვმა 1953 წლის აპრილში დააპატიმრა იოსებ სტალინის შვილიც ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვასილი, აშკარა ყალბი ბრალდებით 58-10 მუხლით (საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდისთვის). მას მისჯილი ჰქონდა 8 წლით პატიმრობა და სასჯელს იხდიდა ვლადიმირის ოლქის N 2 ციხეში. 1961 წლის აპრილში ის გადაასახლეს ქ. ყაზანში 5 წლით, სადაც 1962 წლის 19 მარტს, ნიკიტა ხრუშჩოვის დავალებით, ის მოწამლა КГБ-ს მიერ ყითიმ სამკურნალოდ მიმაგრებულმა მედიცინის დამ. ვასილ სტალინის ნეშტი მისმა შვილებმა ტატიანამ და ლიუდმილამ, 2005 წელს გადაასვენა მოსკოვში ტროეკუროვის სასაფლაოზე.

გამოჩენილმა ფრანგმა მხატვარმა და პოლიტიკოსმა, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის მფლობელმა პაბლო პიკასომ იოსებ სტალინის შესახებ თქვა: „სტალინში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭერმეტყველება და აზრის გადმოცემის სისხარტე, მაგრამ ის მათზე ბევრად უფრო მაღლა დგას, მასში არიან ყველა ისინი. თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანის სახელი დარჩება, ერთ-ერთი მათგანი სტალინი იქნება“.

საბჭოთა კავშირის მთავრობაში აღმოჩენილი, ვლადიმერ ლენინის თანამოაზრე მასონ ებრაელი ჰომოსექსუალისტებს 1935-1938. წლებში ი. სტალინმა ჩაუტარა „დიდი წმენდა“ – ნაწილი დახვრიტა, ნაწილი ციმბირის ციხეებში ამოხოცა, ხოლო მექსიკაში გაქცეული ლ. ტროცკი, ჩაქუჩის თავში ჩარტყმით მოკლა შეგზავნილმა აგენტმა,

იოსებ სტალინი საბჭოთა კავშირს მართავდა ჯერ კიდევ ვლადიმერ ლენინის სიცოცხლეში, რადგან ლენინს არ შეეძლო სახელმწიფოს მართვა. მან ჩაიბარა დახეულ დაბამბულ ჯუბებში ჩაცმული მოხეტიალე (бродяга-რუს.) რუსების ბრბოები. ისინი გააერთიანა და დიდ რუს ხალხად აქცია. მან ჩაიბარა ხის სახნისიანი, ხარ-ურემიანი რუსეთი და დატოვა: ტრაქტორებიანი, ტანკებიანი, თვითმფრინავებიანი, გემებიანი და ატომური ბომბებით შეიარაღებული ძლიერი სახელმწიფო. მან მოიგო დიდი სამამულო ომი და მიიღო უმაღლესი

სამხედრო წოდება – გენერალისიმუსი.

იოსებ სტალინის მიერ გაძლიერებული სახელმწიფო აშკარად დაასუსტეს, დაშალეს და განადგურებამდე მიიყვანეს ბოროტმა დიქტატორმა კრიმინალებმა, სულელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, ლებილმა ლეონიდ ბრეჟნევმა, ავანტიურისტმა მიხეილ გორბაჩოვმა, ლოთმა და ალკოჰოლიკმა ბორის ელცინმა.

## თავდასხმები ედუარდ შევარდნაძეზე

„გარკვეული ხნით შეიძლება მოატყუო ყველა, ზოგიერთის შეიძლება ატყუებდე მუდამ, მაგრამ შეუძლებელია ატყუებდე ყველას და ყოველთვის". ეს აზრი ეკუთვნის აშშ მე-16 პრეზიდენტს აბრაამ ლინკოლნს, მაგრამ ახასიათებს ედუარდ შევარდნაძის პიროვნებას. აბრაამ ლინკოლნი იყო კეთილი და პატიოსანი პიროვნება. მან ბევრი სიკეთე გაუკეთა აშშ მოსახლეობას. მაგალითად, გააუქმა მონობა და დაარიგა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. მიუხედავად ამისა ის 1865 წ. მაინც მოკლა ბოროტი და განაწყენებული პლანტატორებისაგან დაქირავებულმა ტერორისტმა.

ასევე კეთილი პიროვნება იყო აშშ 35-ე პრეზიდენტი ჯონ კენედი. მაგრამ სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების მცდელობისთვის, ის 1963 წელს ქალაქ დალასში, როცა ის მოგზაურობდა ღია მანქანით, მოკლა დაქირავებულმა ტერორისტმა ოსვალდმა.

ედუარდ შევარდნაძე კი იყო ბოროტი, მავნებელი, მოღალატე, ავანტიურისტი პიროვნება. მას მრავალი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რის გამოც საქართველოს პატრიოტების მხრიდან ნებისმიერ მომენტში მოსალოდნელი იყო მისი მოკვლა. ამიტომ მან სახელმწიფოს ხარჯზე აიყვანა შეიარაღებული პირადი დაცვა და მოძრაობდა ბრონირებული მერსედესით და პირადი დაცვის ესკორტით. მისი მოძრაობის ტრაექტორიის ქუჩები წინასწარ იყო ხოლმე ჩაკეტილი ავტოინსპექციის და პოლიციის მიერ.

ქართველმა პატრიოტებმა მისი ლიკვიდაციის მიზნით მოაწყვეს მასზე თავდასხმა. პირველად 1995 წლის 29 აგვისტოს დისტანციური მართვის საშუალებით შორი მანძილიდან ააფეთქეს „იმელის" შენობასთან მდგარი დანაღმული „ნივა", როცა პრეზიდენტის „მერსედესი" „იმელის" შენობის შიდა ეზოდან გამოვიდა და „ნივას" ჩაუარა. მაგრამ ტერორისტებმა აფეთქება წამით დააგვიანეს, რის გამოც „მერსედესის" მხოლოდ საბარგული აფეთქდა. მძღოლმა შეძლო გაჭედილი

კარების სწრაფად გაღება და ელდარ შევარდნაძე უვნებელი გადარჩა.

"საქართველოს მთავრობის სასახლის ეზოში მდგარი ელდარ შევარდნაძის საპრეზიდენტო ბრონირებული მერსედესი. მაგრამ ის ცოცხალი და უვნებელი გადარჩა, რადგან მანქანასთან ახლოს მისული არ იყო. მერსედესის მინის ნამსხვრევებით მსუბუქი ნაკაწრები მიიღო სახის კანზე,

მაშინ საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ ეს თავდასხმა მან თვითონ მოუწყო თავის თავს, პირადი ავტორიტეტის აწევის მიზნით. მეორედ მას თავს დაესხა 16 კბილებამდე შეიარაღებული საქართველოს პატრიოტი მებრძოლი. 1998 წლის 9 თებერვალს, ღამის 23 საათზე, როდესაც ბრონირებულ მერსედესში მჯდარი, პირადი



დაცვის ესკორტის მანქანებს თანხლებით, მიემართებოდა ლაერენტი ბერიას დროინდელ კრწანისში მდებარე სამთავრობო რეზიდენციაში. თავდასხმას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი გოჩა ესებუა. ბრონირებულ მერსედესს ესროლეს „მუხას" ტიპის რაკეტები, ხელყუმბარები და ავტომატის ტყვიები. მხოლოდ ერთი რაკეტა მოხვდა მერსედესის წინა მხარეს, რის შედეგადაც დაზიანდა მანქანის ძრავა, დაიმსხვრა საქარე მინა, მერსედესს გაუჩნდა ცეცხლი და კვამლი. ერთ საბურავს მოხვდა ტყვია, დაეშვა საბურავი, რის გამოც მერსედესი სწრაფად შემოტრიალდა, მაგრამ მძღოლმა შეძლო მანქანის უვნებლად გაჩერება. ედუარდ შევარდნაძემ შეძლო მერსედესის კარების სწრაფად გაღება. გადმოვიდა მანქანიდან, გადაჯდა იქვე შემთხვევით მისულ „06" მარკის ჟიგულში და უვნებელი მივიდა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, რომელიც მან პირადად დაისაკუთრა.

უვნებელი დარჩნენ მერსედესში მჯდომი მძღოლი და დაცვის უფროსიც. პრეზიდენტის დაცვის ჯიპები სწრაფად გაჩერდნენ, დაცვის წევრები გადმოვიდნენ მანქანებიდან და საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს თავდამსხმელებს და სანამ ვაზნები არ გაუთავდათ, არ მისცეს მერსედესის მანქანასთან მიახლოების საშუალება. როცა გაუთავდათ ვაზნები, მაშინ შეწყვიტეს სროლა და დანებდნენ. ამ შეტაკებაში დაიღუპა ერთი თავდამსხმელი და 2 დაცვის წევრი. თავდამსხმელებს ეგონათ, რომ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მკვდარი იყო, რადგან მერსედესი ცეცხლის კვამლში იყო გახვეული და ისინი სწრაფად წაეიდნენ სახლებში. მაგრამ მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ღამის 12 საათის ტელევიზიის საინფორმაციო ცნობებში ის ნახეს სრულიად უვნებელი. თავდამსხმელებმა დაუშვეს შეცდომა, მათ მერსედესის კორპუსი არ დაცხრილეს ავტომატების ჯერით. მესრედესის კაპოტზე მოხვედრილმა ერთმა რაკეტამ („მუხამ") არ შეაღწია მანქანის სალონში და ამიტომ სალონში მჯდომი პირები გადარჩნენ უვნებელნი.

ედუარდ შევარდნაძემ შური იძია და თავდამსხმელების უმრავლესობა დააპატიმრა, ზოგიერთი მათგანი კი დაიღუპა აყვანის პროცესში. მას გერმანელებმა აჩუქეს ახალი ბრონირებული მერსედესი. ისინი ტრაბახობდნენ, რომ გერმანული მერსედესები უძლებენ რაკეტებს. სინამდვილეში რაკეტა მერსედესის სალონს არ მოხვედრია, თორემ რაკეტის აფეთქებით იქ სწრაფად წარმოქმნილი მაღალი ტემპერატურით, ყველა შიგ მყოფი აშკარად დაიღუპებოდა. ედუარდ შევარდნაძეს ბედი სწყალობდა, მაგრამ მან ბოლომდე მაინც ვერ შეინარჩუნა საქართველოს პრეზიდენტობა და ავღანეთის ხელისუფ-

ლებაში მოსული ახალგაზრდა უსაქმური გამოუცდელი და უცოდინარი თალიბებიეით, საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ახალგაზრდებმა მას მოუწყვეს მთაერობის სახლიდან გაგდების ინსცენირება, რაც წინასწარ იყო შეთანხმებული ედუარდ შევარდნაძესთან და ამას დაარქვეს „ვარდების რევოლუცია". ამის დამამტკიცებელია ის ფაქტები, რომ ჩადენილი მრავალი დანაშაულისთვის ის არ მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, არ დააპატიმრეს. პირიქით მეფესავით ამყოფებენ და აცხოვრებენ ამ მართლა კრიმინალს. თალიბებმა კი ავღანეთის პრეზიდენტი ნაჯიბულა მოკლეს და ცხედარი მთაერობის სასახლესთან მოედანზე ჩამოკიდეს. რუმინეთშიც მართლა მომხდარი რევოლუციის შედეგად მოკლეს ბოროტი პრეზიდენტი ჩაუშესკუ. იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი კი გაასამართლეს და 65 წლის ასაკში ციხეში გარდაიცვალა.

ედუარდ შევარდნაძემ პირველი თავდასხმა საქართველოს КГБ-ს მაშინდელ ხელმძღვანელს იგორ გიორგაძეს დააბრალა. მეორე თავდასხმა კი საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. სინამდვილეში ეს თავდასხმები მან თავის თავს უნდა დააბრალოს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის, ბოროტებისთვის, მოღალატეობისთვის, აფერისტობისთვის, მავნებლობისთვის, ავანტიურისტობისთვის, დიქტატორობისთვის, ტერორისტობისთვის და სხვა მრავალი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომელთა ჩამოთვლას არ ეყოფა ერთი წიგნის მასალა, მაგრამ საჭიროა ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლა მაინც.

პიროვნების გამოცნობა შეიძლება მისი ავტობიოგრაფიითაც. მისი წინაპრები იყვნენ უცხოეთიდან საქართველოში შემოპარული ბერძენი და ებრაელი. ამის დამადასტურებელია ის ფაქტები, რომ მისი ოჯახის წევრებს ერქვა ბერძნული სახელები: ამბროსი, ევგრაფი, ევტიხი, ედუარდი. მისი წინაპრები ქართველები რომ ყოფილიყვნენ, ერთ მათგანს მაინც ექნებოდა ქართული სახელი. შეხედულებითაც ის არ ჰგავს ქართველს, რადგან გაფართოებული (გაბუშტული) ცხვირის ბოლო ქართველებს არ ახასიათებთ.

ედუარდ შევარდნაძე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა საბებიოზე (ბებია ქალობას), შემდეგ მოისურვა გამხდარიყო ისტორიკოსი. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დიპლომი ისე მიიღო, რომ არცერთი საგანი არ უსწავლია. ის დაკავებული იყო კომკავშირული საქმიანობით, უშვებდა და აბეზღებდა სტუდენტებს ადმინისტრაციაში, სამაგიეროდ, მას უწერდნენ ნიშნებს. ამას ადასტურებენ ინსტიტუტის თანაკურსელები. მას პედაგოგად ერთი დღეც

არ უმსახურია. ინსტიტუტი დაამთავრა 40 წლის ასაკში.

აშკარად უცოდინარმა ედუარდ შევარდნაძემ გააგრძელა კომკავშირული საქმიანობა და რაიკომის მდივნობამდეც მიაღწია. შემდეგ ხელი მოჰკიდა კომუნისტური პარტიის საქმიანობას. არც ერთი და არც მეორე რაიმე პროფესიონალურ ცოდნას არ მოითხოვდა. შემდეგ მან კვლავ შეიცვალა სპეციალობა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ისე გახდა და ისე მიიღო გენერლის წოდება, რომ საბჭოთა ჯარში ჯარისკაცადაც არ უმსახურია (მან გააკეთა სამედიცინო სამხედრო კომისიის ყალბი ჯანმრთელობის ცნობა მისი ფიზიკური უვარგისობის შესახებ), ეგრეთწოდებული „თეთრი ბილეთი" და არავითარი უმაღლესი სამხედრო განათლებაც არ მიუღია. მისი შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის წლებში, მილიციონერები და ავტოინსპექტორები გამდიდრდნენ საქართველოს მოსახლეობიდან გამოძალული ქრთამების აღებით.

უსწავლელად და უშრომელად მიღწეულმა კარიერამ ის გაათამამა და შემდეგ გახდა საქართველოს კპცკ პირველი მდივანი. სსრ კავშირის მაშინდელი КГБ-ს თავმჯდომარესთან – ანდროპოვთან ჩაუშვა და დააბეზღა მართლა პატიოსანი, კეთილი და ქართველი ხალხის პატრიოტი ვასილ მჟავანაძე და ვერაგულად დაიკავა მისი ადგილი. ედუარდ შევარდნაძის საქართველოს კპცკ პირველ მდივნად ყოფნის წლებში, საქართველოში ფრთები შეისხა, აყვავდა კორუფცია და მექრთამეობა. „სტავკები" გაძვირდა ყველაფერზე, მაგალითად: რაიკომის პირველი მდივნის ადგილი ღირდა 20 ათასი რუბლი, ხაზინადარად და ქრთამების ამღებად მას ჰყავდა ცკ მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი, რომელიც ყოველ 2 წელიწადში ხსნიდა და ნიშნავდა ახალ-ახალ რაიკომის მდივნებს. ქრთამს იღებდა ყველა მაღალი თანამდებობის პირი; სამუშაოზე მიღებისთვის, ავტომანქანის მიღებაში, მთავრობის ჯილდოსთვის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისთვის, იმპორტული ავეჯის მიღებისათვის. უმაღლესი სასწავლებლის რექტორები ყიდდნენ დიპლომებს, ხოლო ლექტორები იღებდნენ ქრთამებს ნიშნების დაწერაში. საქართველო გაივსო ასობით უცოდინარი დიპლომირებული ვითომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებით. ქრთამს იღებდნენ საწარმოების პარტკომებიც, კომუნისტური პარტიის წევრად გახდომისათვის. იმ წლებში გამდიდრდნენ პოლიციელები, გამომძიებლები, პროკურორები, მოსამართლეები, რომლებიც კრიმინალებს კი არ აპატიმრებდნენ, არამედ სძალავდნენ ფულს. გამოძიების საპროკურორო ზედამხედველობის და სასამართლოს განაჩენების გეგმებს ასრულებდნენ პატიოსანი მუშაკების დაჭერით, აშკარა განზრახ წინას-

წარ გაყალბებული, ფალსიფიცირებული საბრალდებო მასალებით. ამის დასამტკიცებლად გამოდგება მაშინდელი სატრანსპორტო მილიციისა და პროკურატურის მიერ (სატრანსპორტო მილიციის უფროსი რობინზონ თუშურაშვილი, პროკურორი რეზო (სოსო) ყიფიანი, გამომძიებლები: რუდიკ გრიკიანი, დავით ბაქრაძე, უშანგი იარაჯული). ამ წიგნის ავტორის, მაშინდელი „თბილგვირაბმშენის" № 1 საამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს უფროსის მურადი შოთას ძე ლომინაშვილის წინააღმდეგ 1984 წლის ივნისში, აშკარად უსაფუძვლოდ და უკანონოდ, მაშინდელი 96 პრიმა მუხლით აღძრული საქმე, რაც ითვალისწინებდა 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ან დახვრეტას, ქონების კონფისკაციით. ეს ის ყიფიანია, რომელმაც შევარდნაძის განკარგულებით დააპატიმრა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი გელბახიანი, რადგან მან ინსტიტუტში არ ჩარიცხა შევარდნაძის ქალიშვილი. აშკარა მექრთამე ვირსალაძეს და სხვა რექტორებს ხელი არ ახლო.

მაღალი თანამდებობის პირის 96 პრიმა მუხლით დაშინებით და მუქარით, მათ მოინდომეს დიდი რაოდენობის თანხის გამოძალვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეასრულებდნენ მაღალი თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დატაცების მუხლით დაპატიმრების გეგმას და მიიღებდნენ გენერლის წოდებას. მაგრამ ამ კრიმინალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რადგან ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ჰქონდა, ხოლო ბრალდებული აღმოჩნდა პატიოსანი მუშაკი და მცოდნე პიროვნება, რომელმაც შეძლო გაებათილებინა 63 ტომი ფალსიფიცირებული, შეთხზული და ყალბი საბრალდებო მასალები. პროკურორმა რეზო ყიფიანმა 5-ჯერ დაამტკიცა ყალბი საბრალდებო დასკვნა, რასაც მოჰყვა 5 სასამართლო პროცესი. საბოლოო შედეგი კი იყო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს (მოსამართლეები: ლენგერი ბოჭორიშვილი, გივი ბახტაძე) მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, ბრალდებულისთვის 24 ათასი რუბლის მატერიალური ზარალის ანაზღაურება და მისი წინანდელ დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. ამას უნდა მოჰყოლოდა კრიმინალი პროკურორის და გამომძიებლების დაპატიმრება, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ძმაკაცმა და თანამზრახველმა, არაკომპეტენტურმა მაშინდელმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ ეს კრიმინალები არ დააპატიმრა – „ძაღლმა ძაღლების ტყავი არ დახია". იოლად მიღწეულ მაღალ თანამდებობას კარიერისტი ედუარდ შევარდნაძე არ დასჯერდა, კვლავ გამოიცვალა პროფესია და ისე გახდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ არც ერთი უცხო ენა არ იცოდა, ხოლო რუსულად დამახინჯებით ლაპარაკობდა.

მექრთამემ, მავნებელმა, მოღალატემ, ავანტიურისტმა მიხეილ გორბაჩოვმა ის იმიტომ აიყვანა მინისტრად, რათა უსიტყვოდ და მორჩილად გამოეყენებინა აფერისტი, მლიქვნელი და უცოდინარი „თეთრი მელა“ (ასე უწოდა მას რუსმა ხალხმა) არაკანონიერ, მოღალატურ და მავნებლურ საქმეებში (რუსი კი არ შეასრულებდა და უჩივლებდა).

ედუარდ შევარდნაძე იმ წლებში ხშირად იმეორებდა, რომ უცხო ქვეყნების ლიდერები: გენშერი, შულცი, ანდრიოტი და სხვები, ჩემი პირადი მეგობრებიაო, თავ-თავიანთ ქვეყნებში, ისინი აღიარეს კრიმინალებად. უცხო ქვეყნებში კი გავრცელებულია გამონათქვამი: „Скажите Вы кто ваш друг и я скажу Вам, кто ты такой!!!“

მიხეილ გორბაჩოვმა უღალატა რუს ხალხს, სამშობლოს და კაპიტალისტებიდან აღებული დიდი ოდენობის ქრთამების სანაცვლოდ დაშალა სსრ კავშირი, რასაც დაარქვა „перестройка“. ამას მოჰყვა გერმანიის გაერთიანება, ევროპის ქვეყნებიდან რუსის ჯარების გამოყვანა, იუგოსლავიის სახელმწიფოს 7 სამთავროდ დაშლა, შეიარაღებული კონფლიქტები მოლდავეთში, ჩეჩნეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში. ამას მოჰყვა რუსეთის დაკნინება, აშშ. გაძლიერება და მთელ მსოფლიოს ქვეყნებზე გაბატონება, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტების მიერ საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების მიტაცება და 300 ათასი ქართველი ადამიანის ლტოლვილად გადაქცევა და სხვა მრავალი უბედურება.

რუსმა ხალხმა მოგვიანებით აღმოაჩინა მიხეილ გორბაჩოვის და ედუარდ შევარდნაძის პიროვნება, როგორც კრიმინალი, მავნებელი, მოღალატე, ავანტიურისტი, ამიტომ ორივე გააგდეს კრემლიდან, მაგრამ არ დასაჯეს. არაკეთილსინდისიერი იყო მიხეილ გორბაჩოვის მეუღლე რაიაც. სტუდენტობის დროს მას 2 წელიწადი ყვარობდა რუსი გენერლის ვაჟი, რომლის დედამ გარყვნილი და თათარი რაია არ შეუშვა ოჯახში. შემდეგ რაია ეარშიყებოდა, ეცეკვებოდა არიფ სტუდენტს მიხეილ გორბაჩოვს, რომელსაც შეეტენა ცოლად.

უმუშევრად დარჩენილმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი შეუწყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებას, რისთვისაც გააჩაღა სამოქალაქო ომი, დაანგრია თბილისის ცენტრალური ნაწილი, დახოცა უდანაშაულო ადამიანები და უკანონოდ ხელში ჩაიგდო საქართველოს პრეზიდენტობა. მის მავნებლურ, მოღალატურ და ბოროტ ქმედებებს მოჰყვა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების სეპარატისტული ძალების მიერ დროებით ხელში ჩაგდება და 300 ათასი ქართველი ადამიანის ლტოლვილად გადაქცევა. ამდენი დანაშაულების ჩადენა მას არ აპატია ქართველმა ხალხმა და ჯერ მოუწყო თავდასხმები

მისი ლიკვიდაციის მიზნით, შემდეგ კი გააგდო ხელისუფლებიდან.

ედუარდ შევარდნაძემ კვლავ მერამდენედ (მერვედ) შეიცვალა პროფესია და ბოლოს შეუდგა მემუარების წერას. ბოროტების, დანაშაულების, სიცრუის, მოღალატეობის, ტყუილების მეტი რა უნდა დაწეროს მან. ან ვინ დაიჯერებს და ვინ წაიკითხავს მის შეთხზულ და გაყალბებულ მასალებს. ალბათ, დაწერს, როგორ ელაქუცებოდა დებილ ლეონიდ ბრეჟნევს, როგორ უმტკიცებდა მას, რომ „საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო“, როგორ მოატყუა ქართველი ხალხი“ „თუ სოხუმი დაეცემა, მე პრეზიდენტობიდან გადავდგებიო“. აფხაზეთის ტერიტორიის დაკარგვის მიზნით, როგორ შეიყვანა ბორის ელცინთან წინასწარ შეთანხმებით, აზერბაიჯანის ქალაქ განჯიდან რუსეთის 345-ე პოლკი გუდაუთაში და მას დაუპირისპირა დამარცხებისათვის წინასწარ განწირული ცუდად შეიარაღებული, გაუწვრთნელი ქართული ჯარები აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს, ვითომ რკინიგზაზე დისციპლინის დასამყარებლად. როგორ დანიშნა ჯარების სარდლად არაკომპეტენტური კაპიტანი გია ყარყარაშვილი, რომელმაც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. სინამდვილეში მან დამალა და უკან გამოყვანა საომარი მძიმე ტექნიკა (ტანკები, ქვემეხები, ჯავშანტრანსპორტიორები), აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოიყვანა ჯარები, აფხაზ სეპარატისტებს ჩააბარა სოხუმი, თვითონ კი ბორის ელცინის მიერ მირთმეულ თვითმფრინავში ჩაჯდა და გამოიქცა თბილისში, სადაც მასთან დაახლოებული უსინდისო ადამიანების: გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეების, იზა ორჯონიკიძის, ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანის, თენგიზ სიგუას, ლანა ღოღობერიძის, ელდარ შენგელაიას, ძმაკაცი კომუნისტების დახმარებით და მხარდაჭერით, კვლავ დაიკავა საქართველოს პრეზიდენტის ადგილი. შემდეგ კი საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა გასანადგურებლად, ბოროტი და ალკოჰოლიკი რუსეთის პრეზიდენტისაგან ბორის ელცინისგან მიიღო რუსი ადმირალის ბალტინის კბილებამდე შეიარაღებული დივიზიის დახმარება, საქართველო კი შეიყვანა „დსთ-ს“ შემადგენლობაში და სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში რუსეთის „სამშვიდობო ჯარები“ ჩააყენა. დაწერს, თუ როგორ გააკეთა ყველაფერი იმისათვის, რათა დაკარგულიყო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები. თავის პრეზიდენტობას როგორ ანაცვალა ყველაფერი. უაზრო და უშედეგო ომებში როგორ დაღუპა 15 ათასზე მეტი ქართველი ახალგაზრდა. როგორ ამტკიცებდა, რომ „აზიაში მდებარე საქართველო ევროპული სახელმწიფოაო“, როგორ ატყუებდა საზოგადოებას, რომ „აზიიდან მომავალი აბრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდაო“ (სინამდვილეში კი ეს გზა აზიის ქვეყნებიდან მიდიოდა კასპიის ზღვამდე, შემდეგ სამხრეთისკენ გაჰყვებოდა ზღვის სანაპიროს სპარსეთამდე, შემდეგ თურქეთის ტერიტორიის გაელით შედიოდა ევროპის ქვეყნებში). ალბათ დაწერს, თუ როგორ მოაკვლევინა მან თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჟიული შარტავა, ზურაბ პატარიძე, მამუკა ასლანიკაშვილი, გია ჭანტურია, გიორგი სანაია,

ანზორ ბარაბაძე, ძმები ლაზიშვილები, მიხეილ გოგიჩაიშვილი, დემურ დვალიშვილი, ნუგზარ საჯაია, ფარნა ანანიაშვილი, მიხეილ ქურდაძე, გია გულუა, პაატა დათუაშვილი, ომარ ეარძელაშვილი, ვიქტორ შარაშენიძე, სოლიკო ხაბეიშვილი და სხვები და თვითონ როგორ გახდა ტერორისტი. „მომღიმარე მკვლელი" — ასე უწოდა მას მარგარეტ ტეტჩერმა. ალბათ დაწერს, თუ როგორ დაასხერეტინა ადამიანთა ჯგუფი თვითმფრინავის გატაცების მცდელობისთვის, დაწერს როგორ დაასხერეტინა აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე ქრთამის აღებისათვის, როგორ აპატიმრებდა მღვდლებს და მშენებლებს, როგორ აპატიმრებდა და სამსახურიდან ათავისუფლებდა სალოცავად და სანთლის ასანთებად ეკლესიებში შესულ კომკავშირელებს და კომუნისტური პარტიის წევრებს. დაწერს თვითონ წითელი ფაშისტი და კომუნისტი, ვითომ როგორ გარდაიქმნა რელიგიურ ადამიანად, ედუარდი როგორ გახდა გიორგი.

ასეთი პიროვნება პირველ რიგში გამოუსწორებელი კრიმინალი რეციდივისტია, მეორეს მხრივ პოლიტიკური შულერი. ასეთი ადამიანების ადგილი მხოლოდ ციხეშია. სულ მალე ქართველი ისტორიკოსები და მწერლები იძიებენ მასზე შურს და მის მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის შესახებ ობიექტურ მასალებს მიაწვდიან საზოგადოებას.

## ტერაქტები თვითმფრინავზე

2004 წლის ზაფხულში ნაზრანსა და გროზნოში ახალი მომხდარი იყო ტერორისტული თავდასხმები ჩეჩენი ბოევიკების მიერ, რის შედეგად დაიღუპა ორასამდე რუსი მილიციონერი, სამხედრო და ადგილობრივი ჩინოვნიკი. იმავე წელს მოსკოვში მეტროში სადგურ „Рижская"-ზე მოხდენილი ტერაქტების შედეგად დაიღუპა 40 ადამიანი ამდენი მსხვერპლის შემდეგ ახალი ტერაქტებს არავინ ელოდა, მაგრამ 2004 წელს რუსეთში ჩეჩენმა ტერორისტმა ქალებმა ა. ნაგაევამ და ს. ჯებირხანოვმა ააფეთქეს 2 თვითმფრინავი ТУ-134 და ТУ-154, რის შედეგად დაიღუპა 90 ადამიანი. ქალებს უფრო ადვილად შეაქვთ თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობა, რადგან მას აქვს „ტამპაქსის" ფორმა და ქალები მას სასქესო ორგანოში მალავენ. რუსეთის აეროპორტში ბაგაჟის უკონტროლოდ გატანა ჯდება 50 მანეთი, რომელსაც პასპორტში ჩადებენ და ტვირთს აწვდიან დამთვალიერებელ სამსახურის გოგოებს. ასაფეთქებელი „შაშკა" კი ჰგავს სარეცხ საპონს, ხოლო ბომბის თვითაწყობა არ არის რთული საქმე. ამის გარდა ხელის ტვირთიდან არასდროს არ ხდება ბომბის კომპონენტების ჩამორთმევა, ისეთი საგნებისა, როგორიცაა მაგალითად, ელემენტები, მობილური ტელეფონები, საყოფაცხოვრებო ტექნიკის დასამუხტი მოწყობილობები და სხვა.

2004 წლის 25 აგვისტოს დილით მოსკოვიდან ქალაქ ვოლგოგრადში გაფრინდა ТУ-134 თვითმფრინავი. ქალაქ ტულასთან ახლოს იგი ააფეთქა ჩეჩენმა ტერორისტმა ქალმა ამანტა ნაგაევამ.

ТУ-154 თვითმფრინავი გაფრინდა დომოდედოვოს აეროდრომიდან. ის ააფეთქა ტერორისტმა ჩეჩენმა ქალმა ს. ჯებირხანოვამ 10000 კმ სიმაღლეზე, ქალაქ დონის როსტოვთან ახლოს.

ამჟამად ნებისმიერი ასაფეთქებელი საშუალების გამოსაცნობად აეროპორტში გამოყენებულია გაზოანალიზატორები.

1988 წლის 21 დეკემბერს შოტლანდიის სოფელ ლოკერბის თავზე ცაში აფეთქდა ამერიკული თვითმფრინავი „ბოინგ-707", რის შედეგად დაიღუპა 259 მგზავრი და ეკიპაჟის 11 წევრი, ხოლო დანგრეული შენობების ნანგრევებში კიდევ დაიღუპა 11 ადამიანი. მრავალი წლის გამოძიების შედეგად დამტკიცდა, რომ ეს ტერორისტული აქტი მოწყობილი იყო ლიბიის აგენტების მიერ. ეს თვითმფრინავი ლონდონიდან მიფრინავდა ნიუ-იორკში. თვითმფრინავში წინასწარ იყო ჩადებული ბომბი. ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი ამერიკელმა გამომძიებლებმა იძულებული გახადეს, საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაეცა თავისთან დაახლოებული ტერორისტები.

სამხრეთ კორეის ავიაკომპანიის თვითმფრინავი „ბოინგი", რომელშიც იჯდა 115 მგზავრი, აფეთქდა ცაში ბირმასა და ტაილანდს შორის. თვითმფრინავი აფეთქებულ იქნა 350 გრამი პლასტიკური ფეთქებადი მასალისაგან, რომელიც მოთავსებული იყო საათის მექანიზმთან რადიომიმღებში, რომლის აღმოჩენა ძალიან ძნელია ჩვეულებრივი დეტექტორებით. თვითმფრინავი ააფეთქეს ჩრდილოეთ კორეის მიერ დაქირავებულმა ტერორისტებმა, კიმ სუნ ილმა და კიმ ხენ ხიმ.

1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა გადამჭერმა (Перехватчик-რუს.) თვითმფრინავმა „Су-15"-მა 2 გასროლილი რაკეტით ჩამოაგდო სამხრეთკორეის სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგ-747", რის შედეგად 269 მგზავრი დაიღუპა. ამ ტრაგედიამ შეაშფოთა მთელი მსოფლიო.

1970 წლის 30 მარტს იაპონიის ავიაკომპანიის „ჯაპან ერლაინის" სამგზავრო თვითმფრინავი ტოკიოდან მიფრინავდა ფუკუოკში. ტერორისტები შეცვივდნენ მფრინავების კაბინაში და მოითხოვეს კურსის შეცვლა ჩრდილოეთ კორეისაკენ. მფრინავებმა უპასუხეს, რომ საჭიროა საწვავის დამატება. თვითმფრინავი დაჯდა ფუკუოკის აეროდრომზე. ჩაამატა საწვავი და კურსი აიღო ფხენიანისკენ. მაგრამ დაფ-

რენის დროს აეროპორტი არ ჰგავდა ფხენიანის აეროდრომს, რადგან არსად არ იყო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და მისი ბელადის კიმ ირ სენის პორტრეტები. ფაქტიურად თვითმფრინავი დაჯდა სამხრეთ კორეის კიმპოს აეროპორტში. თვითმფრინავის გამტაცებლები აღმოჩნდნენ იაპონიის ტერორისტული ორგანიზაციის „წითელი არმიის ფრაქციის" წევრები.

1968 წლის ივლისში პალესტინელმა არაბმა ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს ისრაელის „ბოინგ-707", რომელიც რომიდან მიფრინავდა თელ-ავივში. ტერორისტებმა მფრინავებს უბრძანეს ალჟირში დაჯდომა. მათ თვითმფრინავის მგზავრები გაცვალეს ისრაელის ციხეებში მყოფ 15 პალესტინელზე.

1969 წლის აგვისტოში პალესტინელმა ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს აშშ თვითმფრინავი, რომელიც დასვეს დამასკოში. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა 26 წლის ქალი ლეილა ხალედი. მაშინ ყველა ქვეყნის გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ახალგაზრდა ქალის სურათი „კალაშნიკოვის" ავტომატით ხელში.

1984 წლის ზაფხულში ერთმა ირანელმა და ორმა ლიბანელმა შიიტმა, ხელში ჩაიგდო თვითმფრინავი „ეარ ფრანსი", რომელიც გაფრინდა ფრანკფურტის აეროდრომიდან და დასვა თეირანში.

იმავე წლის დეკემბერში შიიტებმა კვლავ ჩაიგდეს ხელში ამერიკის ავიაკომპანიის თვითმფრინავი „TBA", რომელიც ათენიდან მიფრინავდა რომში. ტერორისტებმა ამით აშშ მთავრობის მოთხოვნით, მიაღწიეს 500 შიიტის განთავისუფლებას ისრაელის ციხეებიდან.

1988 წლის აპრილში ტერორისტული ორგანიზაციის „ხეზბოლას" შიიტებმა ხელში ჩაიგდეს კუვეიტის თვითმფრინავი და მიაღწია თავისი 17 ტერორისტის განთავისუფლებას კუვეიტის ციხეებიდან.

## ტერორისტი ნიკიტა ხრუშჩოვი

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ნიკიტა ხრუშჩოვი სიმთვრალეში აფრენდა. იოსებ სტალინი თავის აგარაკზე გამართულ ქეიფებზე მას ათრობდა, ამასხარავებდა, მოტვლეპილ თავზე ჩიბუხში დარჩენილ თუთუნის ნამწვავებს აყრიდა და უკრაინულ ეროვნულ ცეკვას გოპაკს აცეკვებდა

(აბუქნაეებდა).



დიდ სამამულო ომში გერმანიის ჯარმა უკრაინის დედაქალაქი კიევი 2 დღე-ღამეში აიღო. ნიკიტა ხრუშჩოვი მაშინ იყო უკრაინის კპცკ პირველი მდივანი. მაშინ ეს მავნებლობა და დაუდევრობა მას იოსებ სტალინმა რატომღაც აპატია. კიევის განთავისუფლებას და უკან დაბრუნებას საბჭოთა ჯარებმა მოანდომა 2 თვე. როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცა, ნიკიტა ხრუშჩოვი არც ისეთი სულელი იყო, როგორც იქცეოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვმა უხელმძღვანელა იოსებ სტალინის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას. მოუწყო ტერორი, მოწამლა იოსებ სტალინი და ვერაგულად ხელში ჩაიგდო სსრ კავშირის სახელმწიფოს მეთაურობა. მანვე მოკლა ლავრენტი ბერიაც, ხოლო განზრახ მოწყობილ სასამართლო პროცესზე, ბერიას დუბლიორი ამბობდა მხოლოდ ჰოს და არას. ლავრენტი ბერია რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის ნამდვილად გაიმართლებდა თავს, რადგან მან ბევრი მნიშვნელოვანი საქმეები გააკეთა საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით. ხრუშჩოვის განკარგულებით დაატერორეს და დახოცეს ასობით უდანაშაულო ადამიანი. ქალაქ თბილისში, იოსებ სტალინის სახელისა და ღირსების დასაცავად მოწყობილ მშვიდობიანი დემონსტრაციის და მიტინგის დროს. ხოლო უკრაინის ქალაქ ნოვოჩერკასკშიც, ასობით უდანაშაულო ადამიანი დახოცეს მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს, რომელიც ჩატარდა ხელფასების გაუცემლობის გამო. იმავე წელიწადს ხელფასების გაცემა დაუგვიანეს უკრაინის ქალაქ კრივოი როგის მეტალურგებს და მეშახტეებს. რის გამოც გაიფიცნენ მუშები და მოსამსახურეები. გაფიცულთა მიტინგების დასაშლელად, ნიკიტა ხრუშჩოვის განკარგულებით გამოიყვანეს შეიარაღებული ჯარისკაცები და კრივოი როგის გასამხედროებული სამთო სამადნო ინსტიტუტის სტუდენტები, რომელთა რიგებში იმყოფებოდა ამ წიგნის ავტორიც. მაშინ ცეცხლის გახსნამდე საქმე არ მივიდა, რადგან შეიარაღებული ჯარისკაცების დანახვაზე გაფიცულები დაიშალნენ და განაახლეს მუშაობა.

ნიკიტა ხრუშჩოვმა ვერ გაართვა თავი ვეებერთელა სახელმწიფოს მართვას. ის წელიწადში 300 დღე საზღვარგარეთის ქვეყნების დასათვალიე-

რებლად და მხიარულად დროის გასატარებლად დასეირნობდა. მან ჩააგდო სახელმწიფოს ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, სოციალური, კულტურული, ხელოვნების და განათლების საკითხები. ის აშკარად ლანძღავდა და ებრძოდა მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს და სხვა ინტელიგენციას, კერძოდ: ვ. დუდინცევს, ბ. პასტერნაკს, ე. ნეიზვესტნის, ა. ვოზნესენსკის, ა. სახაროვს და სხვებს.

ის გამუდმებით უშვებდა პოლიტიკურ შეცდომებს. მაგალითად, აშშ ემუქრებოდა, რომ ატომური ბომბებით ჩაძირავდა ატლანტის ოკეანეში, ხოლო 1960 წლის 23 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XV სხდომაზე, ტრიბუნაზე სიტყვის წარმოთქმისას გაიხადა ფეხსაცმელი და ურტყამდა მიკროფონს, რადგან დარბაზში მყოფი საზოგადოება აღარ უსმენდა მის უაზრო ლაყბობას.

მან მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო სსრ კავშირი ეკონომიკური გაკოტრების და შიმშილობის ზღვრამდე მიიყვანა, რის გამოც 1964 წელს ის გააგდეს კრემლიდან.

ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ, მაშინ გავრცელებული იყო ანეკდოტები; მაგალითად: სომხეთის რადიოს ჰკითხეს – შეიძლება თუ არა გაზეთში სპილოს გახვევაო. სომხეთის რადიომ უპასუხა: შეიძლება, თუ გაზეთში დაბეჭდილია ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვაო“. ნიკიტა ხრუშჩოვი ათვალიერებდა ღორების ფერმას. ღორები ღრუტუნებდნენ: „ხრუ, ხრუ,“. ხრუშჩოვმა ჰკითხა ფერმის გამგეს, რამდენი კილოგრამი სიმინდია ერთი ღორის დღიური ნორმაო! მან უპასუხა 8 კილოგრამიო! ხრუშჩოვმა უბრძანა: დღიური ნორმა გაეზარდათ 2 კილოგრამით, რათა ღორებს ბოლომდე ამოეღრუტუნებინათ „ხრუშჩოვ, ხრუშჩოვ“.

მას ზედმეტსახელად დაარქვეს „კუკურუზნიკი“, რადგან მისი განკარგულების შედეგად ხორბლის ნაცვლად ყველგან დათესეს სიმინდი, მაგრამ სიმინდის მოსავალი ვერ მიიღეს და რუსეთი პირველად გახდა იძულებული ხორბალი შეეძინა საზღვარგარეთ. მისი განკარგულებით სსრ კავშირის რესპუბლიკებში ააშენეს დაბალჭერიანი (2,4 მ) საცხოვრებელი სახლები („ხრუშჩოვკები“), რომლებიც ადამიანების საცხოვრებლად აშკარად უვარგისი იყო. ამჟამად „ხრუშჩოვკებს“ ყველგან ანგრევენ, რითაც საბოლოოდ დასამარდება ხრუშჩოვი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და კიდევ უფრო გაშიშვლდება ის დიდი სიცრუე სტალინის „პიროვნების კულტის და მისი შედეგების“ შესახებ, რომლითაც მან საზოგადოებრივი აზრი მოწამლა.

## XXI საუკუნის №1 ტერორისტი ოსამა ბენ ლადენი

საუდის არაბეთის მილიონერი არაბი ოსამა ბენ ლადენი დაიბადა 1957 წლის 28 ივნისს, საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდეში. დიდ ოჯახში ის იყო მე-17 შვილი. მამამისს მოჰამედს ოცამდე ცოლი ჰყავდა და 50-

მდე ბიჭი და გოგო. დედამისი წარმოშობით სირიელანაა. ოჯახი ოსამას მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, ამის გამო ის ოჯახს ჩამოსცილდა 1994 წლიდან. მას ჰყავს 4 ცოლი და 10 შვილი. ოსამა ბენ ლადენის ოჯახი საუდის არაბეთში ითვლება გავლენიან და მრავალრიცხოვან კლანად. ოჯახის ქონება შეადგენს 5 მილიარდ დოლარზე მეტს. მამამისი იყო საუდის არაბეთის ყველაზე ბრწყინვალე საამშენებლო კონცერნის მფლობელი. მან ქვეყანაში გაიყვანა თითქმის ყველა გზა, ააგო მრავალი სავაჭრო ცენტრი და რეკონსტრუქცია გაუკეთა ტაძრებს მექასა და მედინაში. ამით მან მოიპოვა არა მხოლოდ დიდძალი ფული, არამედ დიდი ღირსებაც. ის დაიღუპა ავიაკატასტროფაში, როცა ოსამა 11 წლის იყო. მამის მემკვიდრეობიდან მას წილად ერგო 300 მილიონი დოლარი. ეს თანხა მან დააბანდა კომერციულ საქმეებში, რითაც დიდი მოგება მიიღო. მას აქვს საინჟინრო განათლება. როდესაც საბჭოთა ჯარი შეეიდა ავღანეთში, ის წავიდა ავღანეთში და მოჯახედებისთვის აშენებდა გზებს და თავშესაფრებს. თავდაპირველად მან დაიწყო ნებაყოფლობით „ბოევიკების" შეგროვება არაბულ ქვეყნებში და შეჰყავდა ისინი ავღანეთში. შემდეგ კი თვითონაც მოჰკიდა ხელი იარაღს. ხშირად იმყოფებოდა ბრძოლის წინა ხაზზე. ავღანეთის ომმა ის აქცია ძალზე რელიგიურ ადამიანად. ის დღეში ხუთჯერ ლოცულობდა მუსულმანურ ტაძრებში. ალაჰის რწმენასთან ერთად მას გაუჩნდა პოლიტიკური ექსტრემიზმი და ის გადაიქცა ისლამურ რადიკალად. მან პაკისტანის ქალაქ ფეშავარში გახსნა კანტორა „მაქთაბ ალ ჰიდმათ" (მომსახურების ბიურო). ეს იყო „ვერბოვკის" კანტორა, ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის მსურველებისთვის. მსურველს თვეში უხდიდნენ რამდენიმე ასეულ დოლარს. ამას გარდა მან გახსნა „ისლამის გადარჩენის ფონდი" და მუსულმანური ქვეყნებიდან აგროვებდა თანხებს – მასშტაბური ტერორისტული აქტებისთვის. ეს ფონდი შემდეგ გადაიქცა ბენ ლადენის პირად ორგანიზაციად „ალ ქაიდად" (ბაზად).



ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის შემდეგ, ოსამა ბენ ლადენმა გადაწყვიტა, რომ ახლა ისლამის მთავარი მტერია აშშ.

თავისი პირველი ტერორისტული აქტი აშშ-ის წინააღმდეგ მან მოაწყო 1995 წლის 13 ნოემბერს საუდის არაბეთში. მაშინ ააფეთქეს ფეთქებადი მასალით დატვირთული ავტომობილი, ამერიკელების მიერ მოწყობილ ჯარისკაცების მომზადების ცენტრში. დაიღუპა 6 და მძიმედ დაიჭრა 60 ამერიკელი სამხედრო. 1996 წლის 25 ივნისს ამერიკელების წინააღმდეგ მან კვლავ მოაწყო ტერაქტი. კვლავ ააფეთქა ავტომობილი, დაიღუპა 19 და მძიმედ დაშავდა 500-მდე ამერიკელი სამხედრო. ამის გამო მას ჩამოართვეს საუდის არაბეთის ქვეშევრდომობა და ის გადავიდა სუდანში. იქ მან გახსნა სამშენებლო ფირმა და ფერმა. მაგალითად მისმა ფირმამ გაიყვანა გზატკეცილი ხართუმიდან პორტსუდანამდე. აქვე მან შექმნა ტერორისტების მოსამზადებელი 3 ბანაკი, სადაც ამზადებდნენ ტერორისტებს: ეგვიპტიდან, ალჟირიდან და ტუნისიდან. შემდეგ ის გადავიდა ავღანეთში, სადაც ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს მისმა მომხრე თალიბებმა.

ოსამა ბენ ლადენი თანხებს ხარჯავდა ისლამური ტაძრების და სკოლების მშენებლობაზე ავღანეთში, პაკისტანში, ბოსნიაში, სომალიში. მაგრამ მისი ძირითადი თანხები იხარჯებოდა ტერორისტებზე. მის მიერ გამოქვეყნებულ „ფეტვეში", ის ამბობს: „ალაჰის სახელით მოვუწოდებთ ყველა მუსულმანს შეასრულოს ვალი ალაჰის წინაშე – მოკლას ამერიკელები სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი".

ავღანეთში მან ააშენა პატარა ქალაქი ავღანეთის ომის ვეტერანებისთვის. 1998 წელს მან შექმნა „მსოფლიო ისლამის ფრონტი იუდეების და ჯვაროსნების წინააღმდეგ საბრძოლველად". მისი განკარგულებით 1998 წლის 7 აგვისტოს ააფეთქეს ამერიკელების საელჩოები ტანზანიასა და კენიაში. მაშინ დაიღუპა 224 ადამიანი, მათ შორის იყო 12 ამერიკელი.

2000 წლის 12 ოქტომბერს, ტერორისტმა „კამიკაძემ" იემენის პორტადენში ააფეთქა ამერიკის სამხედრო კატერი „კოული", მაშინ დაიღუპა 17 მეზღვაური.

ბენ ლადენი მუდმივად გადადის ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე, ის 5 დღეზე მეტს არ ჩერდება ერთ ადგილზე. დაცვა თან დაჰყვება მას. მის საცხოვრებელ სახლებს მუდმივად იცავს საზენიტო იარაღები. მისი პირადი განკარგულების ქვეშ იმყოფება 3000-ზე მეტი ტერორისტი.

ბენ ლადენის მთავარი პოლიტიკური მიზანია, მსოფლიო ისლამური სახელმწიფოს შექმნა, ამიტომ ის ეხმარება ისლამისტებს ყველა სახელმწიფოში.

2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერაქტების სერიალი, რასაც მოჰყვა 6000-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა და ასობით მილიონი

დოლარის მატერიალური ზარალი, ბენ ლადენის ხელმძღვანელობით იყო ჩადენილი. აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამის საპასუხოდ საჰაერო თავდასხმები მოაწყო ავღანეთში, ბენ ლადენის სავარაუდო სამყოფელზე, მაგრამ ის უვნებელი გადარჩა. 2006 წლის იანვარში ტელევიზიის საშუალებით ის კვლავ დაემუქრა აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომ თუ ის არ გაიყვანს ჯარებს ერაყიდან, კვლავ მოუწყობს ამერიკას მასშტაბურ ტერაქტებს. ამჟამად მას მფარველობენ ავღანელი თანამზრახველი თალიბები.

## არაბი ტერორისტი იასირ არაფატი

იასირ არაფატი პირველ რიგში იყო კარგი ორატორი და მოქნილი პოლიტიკოსი. ის ადვილად იცვლიდა შეხედულებებს, მეკავშირეებს, მეგობრებს და პარტნიორებს. ის წარმოშობით იყო ცნობილი. მდიდარი ოჯახიდან, მას ჰქონდა ინჟინრის განათლება. ახალგაზრდობაში



ეგვიპტის არმიაში მსახურობდა ოფიცრად. ცოლი შეირთო 63 წლის ასაკში. მან შექმნა პალესტინელების ცნობილი საბრძოლო ორგანიზაცია (ФАТХ), რაც არაბულად ნიშნავს „დიდების კარების გაღებას". მისი ცხოვრება იყო ძნელი და საშიში. ის მუდმივად ემალებოდა მკვლელებს. ის დაიბადა „პერანგში", ვინაიდან მრავალჯერ გადაურჩა მრავალრიცხოვან თავდასხმას. მაგალითად როდესაც თავდამსხმელები შეეარდნენ მის საცხოვრებელ სახლში, მან მოასწრო ფანჯრიდან გადახტომა და შეძლო იორდანიაში გაქცევა ქალის ტანსაცმელში გამოწყობილმა და სხვისი პატარა ბავშვით ხელში.

1972 წელს გერმანიის ქალაქ მიუნხენში სადაც ტარდებოდა მსოფლიო ოლიმპიური თამაშები, მისი ორგანიზაციის „შავი სექტემბრის" ტერორისტებმა ოლიმპიურ სოფელში დახოცეს 11 ებრაელი სპორტსმენი, და ერთი გერმანელი პოლიციელი. 1973 წელს არაფატის ბოევიკმა მადრიდში მოკლა ისრაელის აგენტი. 1985 წელს არაფატის პირადმა მცველებმა მოკლეს 3 ებრაელი, რომლებიც ისვენებდნენ კვიპროსში. ამის პასუხად ისრაელის პრემიერ-მინისტრმა შიმონ პერესმა გასცა ბრძანება დაებომბათ „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის" შტაბ-ბინა ტუნისში, სადაც არაფატს უნდა ჩაეტარებინა თათბირი.

დაბომბვის შედეგად დაიღუპა 73 ადამიანი, მაგრამ არაფატი ცოცხალი გადარჩა, ვინაიდან მან დააგვიანა თათბირზე. ალბათ მას ბედი სწყალობდა.

იასირ არაფატს ჰქონდა თავისი სტრატეგია: თავს დასხმოდა ებრაელებს ისრაელის საზღვრებს გარეთ, თვითმფრინავების ხელში ჩაგდებით და ტყვეების აყვანით ცდილობდა მიეპყრო სხვა ქვეყნების ყურადღება. მაგრამ 1978 წელს ეგვიპტემ და ისრაელმა კემპ-დევიდში დადეს ხელშეკრულება. პალესტინელებისთვის ავტონომიური ტერიტორიის მიცემის შესახებ. მაშინ პალესტინელებმა უარი განაცხადეს, დათანხმდნენ 15 წლის ბრძოლების შემდეგ 1993 წელს. და შეუდგნენ საკუთარი მიწა-წყლის (კვრიას) შექმნას. მაგრამ იასირ არაფატმა ვერ შეაჩერა ტერორი. არაბები კვლავ ხოცავდნენ ებრაელებს, მათ ისრაელში მრავალი ტერორისტული აქტი ჩაატარეს. არაბები ვერ შეურიგდნენ ებრაელების სახელმწიფოს არსებობას. მათი აზრით პალესტინის ტერიტორია ეკუთვნის მხოლოდ არაბებს. ამას ხელს უწყობენ ახალგაზრდა უცოდინარი პალესტინელების ორგანიზაციები: „ხამასი“ და „ძმები-მუსულმანები“. ფულს და იარაღს ეს ორგანიზაციები იღებენ ირანიდან, ხოლო ბოევიკებს ამზადებენ ლიბანში. პალესტინის სპეცსამსახურის წევრები ხვრეტენ არაბებს, ვინც მიჰყიდის მიწის ნაკვეთს ებრაელს.

2006 წლის იანვარში გარდაიცვალა იასირ არაფატი. ის ისტორიაში შევიდა, როგორც ტერორისტი. მისი ნამდვილი სახელი იყო: „აბდ ალ რახმან აბდ ალ რაუფ არაფატ ალ კუდვა ალ ხუსეინი“.

## მდიდარი ტერორისტი

პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აბუ ნიდალმა უფრო მეტი არაბი პალესტინელები დახოცა, ვიდრე ისრაელი



ებრაელები. მეოთხედი საუკუნე გავიდა, რაც ინტერპოლი დაეძებს მას, მაგრამ ის პროფესიონალურად იმალება სხვადასხვა ქვეყნებში. აბუ ნიდალისთვის ტერორი გახდა ბიზნესი. მან იშოვა ასობით მილიონი დოლარი.



თავდაპირველად, ის იყო იასირ არაფატის ქვეშევრდომი, შემდეგ კი რამდენჯერმე შეეცადა მის მოკვლას. პალესტინელი არაბები მას ეძახიან ფსიქოპატს, რომელიც ჭკუიდან შეიშალა ტერორისტობაზე. ის თავის თავზე ამბობს: „წარმატებები მას მოუტანა აბსოლუტურმა გასაიდუმლოებამ, ჩემმა ქალიშვილმაც კი არ იცის თუ ვინ ვარ მე სინამდვილეში". ის არასდროს არ ლაპარაკობს ტელეფონით და არ იყენებს რადიოკავშირს. მისი ნამდვილი გვარია საბრი ხალილია ელ ბანა. ის დაიბადა ქალაქ იაფეში. მისი დედა იყო მამამისის მერვე ცოლი. ჩინეთში და ჩრდილო კორეაში ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მან შეისწავლა დივერსიული მოქმედების ტაქტიკა.

თავისი პირველი დამოუკიდებელი აქცია მან მოაწყო 1973 წლის 5 სექტემბერს. მისმა ხუთმა ბოევიკმა ხელში ჩაიგდო საუდის არაბეთის საელჩო პარიზში. ორი თვის შემდეგ მისმა თანამზრახველებმა გაიტაცეს თვითმფრინავი. მან ჰყავდა 400-მდე თანამზრახველი ტერორისტი. მათი საწვრთნელი ბაზა მდებარეობდა ლიბანში ბექას ხეობაში.

1976 წლის სექტემბერში ტერორისტებმა ქალაქ დამასკოში სასტუმრო „სემირამისში" დაატყვევეს რამდენიმე ადამიანი და მოითხოვეს თავიანთი პატიმრების განთავისუფლება სირიის ციხიდან. იმავე წლის ოქტომბერში აბუ ნიდალის ბოევიკებმა ხელში ჩაიგდეს სირიის საელჩოები იტალიაში და პაკისტანში.

1983 წელს ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა დააკავა აბუ ნიდალი და დაცვის ქვეშ ის გადაიყვანეს სირიაში. მაგრამ ასადმა ის ჩააყენა თავის სამსახურში. ნიდალის ბოევიკებმა 6 თვეში ჩაატარეს 50-მდე საომარი ოპერაცია. შემდეგ ის წავიდა ლიბანში სადაც მას დავალებებს აძლევდა კადაფი. მაგალითად 1985 წლის ნოემბერში ნიდალმა მოაწყო ეგვიპტის თვითმფრინავის გატაცება, რომელიც ათენიდან მიფრინავდა კაიროში. გამტაცებლებმა თვითმფრინავი დასვეს მალტაში და დახვრიტეს ყველა მგზავრი. იმავე წლის დეკემბერში ნიდალის ბოევიკებმა ვენის და რომის აეროპორტებში დახოცეს ებრაელი მგზავრები.

შემდეგ ნიდაილ იმალებოდა ირანში და სუდანში. ის არამარტო ტერორისტების ხელმძღვანელია, არამედ ვაჭრობს იარაღით და გახდა მულტიმილიონერი.

ამ წიგნის ავტორის აზრით, ტერორისტები ვირთხებივით უნდა ამოჟლიტოს ყველამ.

## ავღანეთის პრეზიდენტის სიკვდილი

საბჭოთა ჯარები იმყოფებოდნენ ავღანეთში 5 წლის განმავლობაში. 1989 წლის 15 თებერვლამდე იქ მყოფი მე-40 არმიის მეთაური იყო გენერალი ბორის გრომოვი. მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უკანდაუბრუნებელი ეკონომიური დახმარება ავღანეთზე საბჭოთა სახელმწიფოს აღარ შეეძლო, ხოლო სამხედროების იქ გაჩერება ამორალური იყო. ავღანეთში უაზროდ დაიღუპა 15 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი. სოციალისტური წყობილება იქ ვერ დამყარდა.

1990 წლის გაზაფხულზე ავღანეთის თავდაცვის მინისტრი შახ ნავაზ ტანაი შეეცადა მოეხდინა სამხედრო გადატრიალება და ჩამოეგდო ტახტიდან პრეზიდენტი ნაჯიბულა, მაგრამ არმია დარჩა პრეზიდენტის მხარეზე. ავღანეთში მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკებები სხვადასხვა კლანებს შორის. ნაჯიბულას მთავრობა არსებობდა 6 წელი, სანამ ეყო მოსკოვის მიერ დატოვებული რესურსები. შემდეგ კი ის ჩავარდა გამოუვალ მდგომარეობაში. 1992 წლის 25 აპრილს მოჯახედები სისხლისღვრის გარეშე შევიდნენ ქაბულში. პაკისტანიდან და ირანიდან დაბრუნდნენ დევნილები. მაგრამ შემდეგში მოჯახედები დაერივნენ ერთმანეთს, პირდაპირ ქალაქში აწყობდნენ ბარიკადებს და აწარმოებდნენ ბრძოლებს. მთავრობის პრეტენდენტები იყვნენ ახალი პრეზიდენტი რაბანი, თავდაცვის მინისტრი შახ მასუდი, პრემიერმინისტრი ხეკმატიარი და გენერალი დუსტუმი. მოჯახედების ლიდერები ქაბულს ესროდნენ რაკეტებს. ხალხი გარბოდა ქალაქიდან. ქვეყანაში აგმეფდა ქაოსი და ბანდიტიზმი. ამ ბრძოლებში გაიმარჯვეს თალიბებმა. ისინი შევიდნენ ქაბულში 1996 წლის 27 აპრილს. ბრძოლების დროს მხოლოდ ქაბულში დაიღუპა ათი ათასობით ადამიანი. თალიბები დაჰპირდნენ ქალაქის მოსახლეობას რომ დაამყარებდნენ წესრიგს, გაანადგურებდნენ კორუფციას და დაამყარებდნენ ისლამზე დამყარებულ სამართლიან რეჟიმს. თალიბები არიან ახალგაზრდა უცოდინარი და უვიცი მებრძოლები. მათ იარაღი დააყრევინეს მოსახლეობას. ხალხი ხალისით შედიოდა მათ რიგებში. ბრძოლები მიმდინარეობდა ავღანეთის სოფლებშიც, ერთმანეთის ხოცავდნენ მოჯახედები, თალიბები და მუსულმანური სხვა კლანები.

ჩამოგდებულმა პრეზიდენტმა ნაჯიბულამ ვერ მოასწრო ინდოეთში გაქცევა, სადაც თავს აფარებდა მისი ოჯახი. მოჯახედებმა ის დააკავეს ქაბულის აეროპორტში. მაგრამ მაშინ მას ხელი არ ახლეს.

ის შეიფარეს ქაბულის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობაში (OOH), სადაც მან გაატარა 4 წელიწადი თავის ძმასთან ერთად. მას სჯეროდა, რომ კვლავდაბრუნდებოდა დიდ პოლიტიკაში. მაგრამ ის არ დაინდეს ახალგაზრდა თალიბებმა. ის მიიყვანეს პრეზიდენტ ის სასახლეში, საიდანაც ის 6 წლის მანძილზე მართავდა სახელმწიფოს, ჯერ აწამეს, სცემდნენ კონდახებით, მოაჭრეს სასქესო ორგანოები, შემდეგ მოკლეს ცეცხლსასროლი იარაღით და მისი სხეული ჩამოკიდეს მოედანზე. მის გვერდით ჩამოახრჩეს მისი ძმაც. ამ საზარელმა კადრებმა მოიარა მთელი მსოფლიო.

## ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოსპობილი მილიონობით ადამიანი

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ წითელი არმია გაათავისუფლებდა პოლონეთის ტერიტორიას, ზემო სილეზიაში, საგანგებო სახელმწიფო კომისიას მოსდიოდა მრავალრიცხოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქ ოსვენციმის ირგვლივ არსებობდა დატყვევებული საბჭოთა ადამიანების მოსასპობად გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილი უდიდესი ბანაკი. საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის სილეზიის გათავისუფლების შემდეგ, წითელი არმიის ნაწილებმა აღმოაჩინეს ეს ბანაკი.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის დავალებით უკრაინის I-ლი ფრონტის პროკურატურამ საგანგებო სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლებთან ერთად 1945 წლის თებერვალ-მარტის განმავლობაში გულმოდგინედ გამოიკვლია გერმანელების მიერ ოსვენციმის ბანაკში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდნენ სპეციალური საექსპერტო კომისიები.

ოსვენციმის ბანაკში წითელი არმიის მიერ გადარჩენილ პატიმართა დაკითხვისა და სამედიცინო შემოწმების საფუძველზე და ამ ბანაკში აღმოჩენილი გერმანული დოკუმენტების, გერმანელების მიერ უკანდახევისას აფეთქებული კრემატორიუმებისა და გაზის კამერების ნაშთების, გერმანელების მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გაჟლეტილ ადამიანთა ბანაკის ტერიტორიაზე ნაპოვნი გვამების, ნივთებისა და დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

I.

ოსვენციმის ბანაკი, რომელიც ბანაკთა მთელ სისტემას წარმოადგენდა, აგებულ იქნა 1939 წელს სს-ელთა რაიხსფიურერ ჰიმლერის ბრძანებით სპეციალურად იმისათვის, რომ მოესპოთ ევროპის ოკუპირებული ქვეყნების დამონებული მოქალაქეები. აქ მუდამ ყავდათ 180-დან 250 ათასამდე პატიმარი. ყველა ბანაკს გარშემოვლებული ჰქონდა ღრმა თხრილები და ეკლიანი მავთულის ხშირი ქსელი, რომელშიც მაღალი ძაბვის დენს უშვებდნენ.

1941 წელს დახოცილ ადამიანთა გვამების დასაწვავად ერთ-ერთ ბანაკში ააგეს 3-ღუმელიანი პირველი კრემატორიუმი. კრემატორიუმთან იყო ეგრეთწოდებული „განსაკუთრებული დანიშნულების აბანო“, ესე იგი გაზის კამერა ადამიანთა მოსახრჩობად. პირველი კრემატორიუმი არსებობდა 1943 წლის შუახანებამდე. 1942 წლის ზაფხულში ჰიმლერმა ოსვენციმის ბანაკის საინსპექციო შემოწმება მოახდინა და განკარგულება გასცა გაეფართოებინათ იგი გიგანტურ მასშტაბამდე და ტექნიკურად

გაეუმჯობესებინათ. ახალი მძლავრი კრემატორიუმის მშენებლობა დაევალა ერფრუტის გერმანულ ფირმას „ტოპფსა და შეილებს", რომელმაც დაუყოვნებლივ დაიწყო ბირკენაუში 4 მძლავრი კრემატორიუმისა და გაზის კამერების აგება.

„განსაკუთრებული დანიშნულების აბანოები" მოთავსებული იყო სარდაფებში ან კრემატორიუმთა განსაკუთრებულ მინაშენებში. გარდა ამისა, ბანაკში იყო კიდევ ორი ცალკე „აბანო", აქედან გვამებს სწვავდნენ განსაკუთრებულ კოცონებზე. კამერების კარები ჰერმეტულად იხურებოდა და იქ მყოფ ადამიანებს „ციკლონით" წამლავდნენ. ადამიანები კვდებოდნენ 3-5 წუთის შემდეგ; 20-30 წუთის შემდეგ გვამები ამოჰქონდათ და კრემატორიუმთა ღუმელებში გზავნიდნენ. დაწვის წინ დანტისტები ოქროს კბილებსა და კბილის გვირგვინებს აძრობდნენ გვამებს.

„აბანოების" — გაზის კამერების ნაყოფიერება გაცილებით აღემატებოდა კრემატორიუმთა ღუმელების გამტარუნარიანობას და ამიტომ გვამების დასაწვავად გერმანელები უდიდეს კოცონებსაც იყენებდნენ. ამ კოცონებისთვის ამოთხრილი იყო 25-30 მეტრი სიგრძის სპეციალური თხრილები. თხრილების ფსკერზე გაყვანილი იყო განსაკუთრებული არხები, როგორც ქვესაბარები. გვამები მიჰქონდათ კოცონებთან, ალაგებდნენ თხრილებში ფენა-ფენად შეშასთან,ასხამდნენ ნავთს და წვავდნენ. 1943 წლიდან გერმანელებმა დაუწვავი ძვლების სამრეწველო გამოყენების მიზნით იწყეს ძვლების დაფხვნა და „შტრემის" ფირმისათვის მიყიდვა სუპერფოსფატად გადასამუშავებლად. ბანაკში ნაპოვნია დოკუმენტები „შტრემის" ფირმის მისამართით 112 ტონა და 600 კილოგრამი ადამიანთა გვამების დაფხვნილი ძვლის გაგზავნის შესახებ. სამრეწველო მიზნებისათვის გერმანელები იყენებდნენ აგრეთვე იმ ქალთა თმას, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ მოსასპობად.

ოსვენციმის ბანაკში გერმანელები ყოველდღე ხოცავდნენ და სწვავდნენ 10-დან 12 ათასამდე ადამიანს, აქედან 8-10 ათასს მისული ეშელონებიდან და 2-3 ათასს ბანაკის პატიმრებიდან.

## II.

ოსვენციმის ბანაკში გერმანელი ფაშისტი პროფესორები და ექიმები ფართოდ აწარმოებდნენ „სამედიცინო" ცდებს ცოცხალ ადამიანებზე და ამასთან შესაზარ გამომგონებლობას იჩენდნენ.

წითელი არმიის მიერ გადარჩენილმა ყოფილმა პატიმრებმა ექიმებმა: პარიზელმა შტეინბერგმა, ვილნიუსელმა გორდონმა, იუგოსლაველმა პროფესორმა გროსმანმა, ბერლინელმა მედიცინის დოქტორმა ვალენტის ერეინმა, უნგრელმა ანა კეპიხმა, ჰოლანდიელმა ედუარდ დე-ვინდმა,

პარიზელმა ალბერტ ფლესნერმა განაცხადეს, რომ მათ საკუთარი თვალით ნახეს გერმანელ ფაშისტ პროფესორთა და ექიმთა უამრავი „სამედიცინო“ ექსპერიმენტი ბანაკის პატიმრებზე.

ქირურგიული ოპერაციები ხდებოდა იმ გერმანელ ექიმთა ნებასურვილით, რომლებიც ვარჯიშობდნენ ოპერატიული ტექნიკის ათვისებაში. ახალგაზრდა გერმანელი ექიმი კენიგი შეარჩევდა პატიმრებს, რომლებსაც კიდურთა ანთებითი პროცესი ჰქონდათ და ვარჯიშობდა ამ კიდურთა ამპუტაციაში. გერმანელი ექიმები ტილო და ფიშერი თავს უყრიდნენ პატიმართა დიდ მასებს და სრულიად უმიზეზოდ კვეთდნენ თიაქარს. საავადმყოფოს მთავარი ექიმი ენბერსი, როგორც კი ვინმე ოდნავ დაიჩივლებდა მუცლის ტკივილს, მუცელს გაუკვეთდა და ვარჯიშობდა კუჭის წყლულის ოპერაციაში.

აუშვიცის ბანაკის საავადმყოფო განყოფილებებში ექსპერიმენტები სწარმოებდა ქალებზე. ბანაკის მე-10 ბლოკში ერთდროულად იყო 400-მდე პატიმარი ქალი, რომლებზეც სტერილიზაციის ცდებს ახდენდნენ საშვილოსნოს ყელის კიბოს შეყრის, ნაძალადევი მშობიარობის და სხვა ცდებს. №21 ბლოკში აწარმოებდნენ მამაკაცთა კასტრაციის მასობრივ ცდებს იმ მიზნით, რომ შეესწავლათ რენტგენის სხივებით სტერილიზაციის შესაძლებლობა. კასტრაციას ახდენდნენ გაშუქებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

გერმანელი მთავარი ექიმის ენდერსის ბრძანებით, 1941-დან 1944 წლამდე ბანაკის საავადმყოფოში წარმოებდა პატიმართა დახოცვა გულში ფენოლის შეშხაპუნებით. პირველ შეშხაპუნებას აკეთებდა ექიმი დერინგი, შემდეგ კი სანიტრები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყოფილი მეწაღე გერმანელი კლერი, რომელმაც ამ მეთოდით ათასობით მსხვერპლი დახოცა. პოლონელმა პატიმარმა ვინმე პანშჩიკმა 12 ათასი კაცი დახოცა ფენოლის შეშხაპუნებით (შემდეგ იგი თვითონ პატიმრებმა მოკლეს). გერმანელმა შტასმა ასეთი შეშხაპუნებით 10 ათასი კაცი მოსპო.

პატიმრებზე წარმოებული არაადამიანური ცდების ფაქტებს ადასტურებენ აგრეთვე ბანაკის კანცელარიაში ნაპოვნი მთელი რიგი დოკუმენტები. გერმანელი ექიმები ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეგრეთწოდებულ „სელექციებში“, ესე იგი პატიმართა შერჩევაში გაზით მოსახრჩობად და საკრემაციოდ. ისინი „სელექციას“ ყველგან ახდენდნენ: კრემატორიუმებთან, საავამყოფოებში, ბარაკებში, ქანცგამოლეულ, ავადმყოფ, სამუშაოდ გამოუსადეგარ ადამიანებს გერმანელი ექიმები გაზის კამერაში გზავნიდნენ. ოსვენციმის ბანაკთა გაერთიანების გერმანელი მთავარი ექიმის ვირტსის ბრძანებით, პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის დროს ადამიანებს მთელი ბარაკობით ხოცავდნენ გაზით მოწამვლის საშუალებით.

როგორც გერმანელმა ექიმმა მედიცინის დოქტორმა ვალენტინ ერვინმა აჩვენა, იყო შემთხვევა, როცა გერმანიის ქიმიური მრეწველობის წარმომად-

ვენლებმა შლაუბერმა, ექიმმა გინეკოლოგმა კენიგსჰიუტედან და ქიმიკოსმა გებელმა სპეციალურად იყიდეს ბანაკის ადმინისტრაციისგან 150 ქალი, რათა იმათზე შეესწავლათ სხვადასხვა ქიმიური პრეპარატის მოქმედება.

ძალიან ბევრი სხვა ცდა მთავრდებოდა საცდელ პატიმართა საშინელი წამებითა და მტანჯველი სიკვდილით. ექსპერიმენტებისათვის საბოლოოდ გამოყენების შემდეგ პატიმრებს ხოცავდნენ და წვავდნენ. ამ გზით გერმანელები ცდილობდნენ მოესპოთ თავიანთი არაადამიანური ცდების მოწმეები.

## III

როგორც კვლევა-ძიების გამოირკვა, ოსვენციმში ყოველდღე მიდიოდა 3-დან 5-მდე სარკინიგზო ეშელონი დასახოცად განკუთვნილი ადამიანებისა; თითო ეშელონში 1.500-3.000 კაცი იყო. განწირულნი ჩაჰყავდათ ევროპის ყველა ქვეყნიდან. თითოეული ჩასული ეშელონიდან გერმანელები შეარჩევდნენ 200-დან 500-მდე ყველაზე უფრო შრომისუნარიან ადამიანს ბანაკებში სამუშაოდ, დანარჩენთ გზავნიდნენ პირდაპირ გაზის კამერებისა და კრემატორიუმებისაკენ.

ქალაქ ვილნიუსის მკვიდრმა, მოწმე იაკობ გორდონმა აჩვენა: „ოსვენციმის ბანაკში 1943 წლის 22 იანვარს მიმიყვანეს. სულ ჩვენს ეშელონში 3.650 კაცი იყო, აქედან ბანაკში შეიდა 265 მამაკაცი და 80-მდე ქალი. ყველა დანარჩენი მაშინვე გაგზავნეს კრემატორიუმში, გაზით მოახრჩეს და დასწვეს, მათ შორის დასწვეს ჩემი ცოლი მატილდა, სპეციალობით ექიმი, ოთხნახევარი წლის ვაჟიშვილი, 73 წლის მამა და 64 წლის დედა".

პრაღის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორმა პროფესორმა ბერტოლდ ეპშტეინმა კომისიას უამბო: „-გადარჩეულ პატიმრებს გაზის კამერებში გზავნიდნენ დასახოცად. რამდენიმე თვის განმავლობაში ვხედავდით ადამიანთა გრძელ წყებებს, რომლებიც კრემატორიუმში სასიკვდილოდ მიჰყავდათ. განსაკუთრებით დიდ ჯგუფებს სპობდნენ 1944 წლის მაის-ივნისში. ამ დროს კრემატორიუმებში დღედაღამ სწვავდნენ ადამიანებს. ჩვენ ხშირად ვგრძნობდით დამწვარი ხორცის, თმის ან ფრჩხილის სუნს. ამ დროს ჩვენ კრემატორიუმთა მილების ცეცხლს გარდა ვხედავდით ორ დიდ კოცონს, რომლებსაც ღამის ვეებერთელა ალი ასდიოდა. ბანაკში მთელ ღამეს ისმოდა გოდება და გმინვა, აგრეთვე ს-ელთა სადარაჯო ძაღლების ყეფა. დაახლოებით ყოველ ორ კვირაში ბანაკი ექიმი, დოქტორი მენგელე აწარმოებდა გადარჩევას, რის შემდეგაც გადარჩეულ მსხვერპლთ კრემატორიუმში გზავნიდნენ მოსასპობად. ასე მოსპეს ერთ-ერთ დღეს 500 ბავშვი".

## IV

ოსვენციმის ბანაკებში, ცდებისათვის გათვალისწინებულ ადამიანებს გარდა, მუდმივად ჰყავდათ 200 ათასამდე პატიმარი ყველაზე ქანცგა-

მომლეველ კატორღულ სამუშაოებზე საექსპლოატაციოდ. ამ სამუშაოებზე ადამიანებს საბოლოოდ გამოულევდნენ ხოლმე ქანცს, შემდეგ კი, როგორც უვარგისებს, ჟლეტდნენ. მათი ნაცვლად პატიმართა საერთო შემადგენლობას მუდმივად შეავსებდნენ ხოლმე შემოსული ეშელონებიდან გამორჩეული ადამიანებით. ეს იყო ორგანიზებული სისტემა სიკვდილის საშინელი კონვეიერისა: ზოგს ხოცავდნენ, სხვებს კი მათ ადგილზე აყენებდნენ, ულმობელი ექსპლოატაციით გამოფიტვამდე და აუდმყოფობამდე მიიყვანდნენ და შემდეგ მათაც გაზის კამერებში აგზავნიდნენ.

1941 წელს გერმანელებმა ოსვენციმით ახლოს გააჩაღეს ი.გ. ფარბენინდუსტრიის დიდი სამხედრო ქიმიური ქარხნის, აგრეთვე ბომბისა და ყუმბარის ასაფეთქებლებისა და ფალიების სამხედრო ქარხნის მშენებლობა. ოსვენციმის სხვადასხვა ეროვნების ათეულათასობით პატიმარი, მხეცური ექსპლუატაციით ქანცგამოლეული, მუშაობდა ამ მშენებლობაზე, აგრეთვე ჭაობების დაშრობაზე, შახტებზე, შახტებში, გზების მშენებლობაზე.

მუშაობის პროცესში სს-ელები, ზედამხედველები და ოსტატები მხეცურად სცემდნენ ყველას — ზოგს იმისათვის, რომ წელში გაიმართოს, ზოგს იმისათვის, რომ ნიჩბით ცოტა მიწა აიღოო, ზოგს ნელი მუშაობისთვის, ზოგს კი ცემით აიძულებდნენ ქანით დატვირთული საზიდარი რბენით წაეღო.

ვინც ქანცგამოლევისგან დაეცემოდა, მას იქვე ხვრეტდნენ.

მუშაობის ადგილები ამავე დროს პატიმართა მასობრივი დახოცვის ადგილები იყო. ბანაკის უფროსები ყოველნაირად აქეზებდნენ პატიმართა დახოცვას. ობერ-შტურმბანფიურერმა ლიბეჰენშელმა ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით სს-ელებს 60 მარკას აძლევდნენ ყოველი მოკლული პატიმრისთვის: „თუ ეს უკანასკნელი გაქცევას დააპირებდა“. ამ პრემიის მისაღებად მცველები დაუსჯელად ხოცავდნენ ადამიანებს.

ოსვენციმის სამშენებლო უბნებზე პატიმართა გაჟლეტის შესახებ მოგვითხრო ყოფილმა პატიმარმა, ბელგიელმა მორის შტაზმაიმ: „...1943 წლის აგვისტოში მე ი.გ. ფარბენინდუსტრის ქარხნის მშენებლობის მოედანზე ვმუშაობდი. ერთ დღეს სს-ელებმა ამ მოედანზე მოიყვანეს 400 პატიმარი, რომელთა შორის იყვნენ იუგოსლაველები, ბერძნები, ფრანგები და ბელგიელები, ამოთხრილ ორმოებში ჩარეკეს ისინი და ცოცხლად დამარხვა დაუწყეს. განწირულნი სხვადასხვა ენაზე ითხოვდნენ შველას, იქვე გვერდით კი სს-ელები ჩვენ გვეუბნებოდნენ: „უყურეთ და კარგად იმუშავეთ, თორემ თქვენც ეგ მოგივათო“. ორი კვირის შემდეგ ჩვენ აუშვიცის ბანაკის ერთ-ერთი შენობის მოედნის მოსამზადებლად გადაგვიყვანეს. სს-ელმა ლოსმანმა სხვა სს-ელთა ჯგუფის დახმარებით გამოარჩია 30 კაცი, ამოთხრილ ორმოში ჩარეკა და მხრებამდე მიწაში ჩაფლო, შემდეგ სს-ელები ცხენებზე შესხდნენ, მოედანზე ჭენება დაიწყეს და ოცდაათივე კაცი გასრისეს“.

ოსვენციმის ჭაობების ვეებერთელა ფართობი სხვადასხვა ეროვნების მრავალი ათასი ადამიანის სამარე გახდა, ვერც ერთი მომუშავე 2-3 თვეზე მეტ ხანს ვერ სძლებდა.

განსაკუთრებით მხეცურად ეპყრობოდნენ გერმანელი ჯალათები საბჭოთა ტყვეებს, რომლებსაც, როგორც წესი, ბანაკში მიყვანისთანავე სპობდნენ და მხოლოდ გამონაკლისის სახით სტოვებდნენ მათგან ყველაზე შრომისუნარიანებს.

## V

ასეულათასობით ბავშვი — ძუძუმწოვრებიდან 16 წლამდე ასაკისა გაჟლიტეს ჰიტლერელმა მტარვალებმა ოსვენციმის ბანაკში. ეშელონებით მოსულ ბავშვებს გერმანელები, როგორც წესი, მაშინვე გზავნიდნენ გაზის კამერებში და იქ ჟლეტდნენ. ჯანსაღ მოზარდთა მხოლოდ მცირე ნაწილს ტოვებდნენ ბანაკში სამუშაოდ. 8-დან 16 წლამდე ასაკი ბავშვებს გერმანელები დიდებთან ერთად ულევდნენ ქანცს მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე. აუტანელ შრომას, წამებასა და ცემას მალე მიჰყავდა ყოველი ბავშვი სრულ გამოფიტვამდე და მაშინ მას ჰკლავდნენ.

ყოფილმა პატიმარმა იაკობ გორდონმა, ექიმმა ბალაბ ვილნიუსიდან, აჩვენა: „...1943 წლის დამდეგს ბირკენაუს ბანაკში შეარჩიეს 164 ბიჭი და წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გულში კარბოლის მჟავის შეშხაპუნებით ყველანი დახოცეს". ყოფილმა პატიმარმა ქალმა ეაკაშ ველდტრაუტმა, ქალაქ დიუსელდორფიდან (გერმანია), აჩვენა: „1943 წელს, როდესაც № 5 კრემატორიუმს ღობეს ვუკეთებდით, მე თვითონ ვნახე, რომ სს-ელები გაჩაღებულ კოცონებში ცოცხალ ბავშვებს ჰყრიდნენ".

ბანაკში დაბადებულ ბავშვებს სს-ელები დედებს ართმევდნენ და ხოცავდნენ. თუ ბანაკში მოსული ქალი ორსული აღმოჩნდებოდა, მას დაუყოვნებლივ წაიყვანდნენ ცალკე ბარაკში, სადაც ნაადრევად მოამშობიარებდნენ. თუ ორსული ქალი წინააღმდეგობას გაუწევდა, მას გაზის კამერაში გზავნიდნენ.

## VI

ოსვენციმის ბანაკში გერმანელებმა მოსპეს სხვადასხვა ქვეყნის ათეულათასობით გამოჩენილი მეცნიერი და ინტელიგენციის წარმომადგენელი.

საგანგებო სახელმწიფო კომისიაში შემოვიდა „მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებისადმი" სამ ენაზე — გერმანულ, უნგრულსა და ფრანგულზე, რომელსაც ხელს აწერს ოსვენციმის ბანაკის ყოფილი 27 პატიმარი — პროფესორები, დოქტორები, ინჟინრები, ადვოკატები, სტუდენტები და სხვადასხვა ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლები. მიმართვა იწყება

შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, რომლებიც დიდმა წითელმა არმიამ გაგვათავისუფლა პირსისხლიანი ნაცისტური ბატონობისაგან, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ბრალსა ვდებთ გერმანიის მთავრობას ადოლფ ჰიტლერის ხელმძღვანელობით იმაში, რომ იგი სჩადიოდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს მასობრივ მკვლელობასა და მხეცობას და გერმანიის მონობაში მიერეკებოდა ხალხს".

ეს მიმართვა შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ჩვენ მივმართავთ მეომარი და ნეიტრალური სახელმწიფოებით საერთაშორისო საზოგადოებრიობას და მათს მთავრობებს ჰუმანურობის სახელით და ვთხოვთ გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლოა, რომ ნაცისტების მხეცობა და დანაშაულობა მომავალში აღარ განმეორდეს, რომ მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლის სისხლის ამაოდ დაღვრილი არ აღმოჩნდეს."

## VIII

ოსვენციმის ბანაკში ჰიტლერელებმა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაფშკარავეს თავი არა მარტო როგორც უმწეო ადამიანთა პირსისხლიანმა მკვლელებმა, არამედ, როგორც თავიანთ მსხვერპლთა ხარბმა მძარცველებმაც. სხვადასხვა ქვეყნებიდან ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოყვანილ მილიონობით ადამიანს, იქ ყოფნის პირველ საათშივე ორგანიზებულად ძარცვავდნენ. ნივთები მთლიანად მიჰქონდათ სს-ელებსა და გერმანიაში გზავნიდნენ. შრომისუნარიან ადამიანთა ნაწილი, რომელიც კატორღულ სამუშაოზე რჩებოდა, თავისი ნივთების ნაცვლად პატიმრის ზოლებიან ტანსაცმელს იღებდა.

ოსვენციმის ბანაკის ტერიტორიაზე 35 სპეციალური საწყობი იყო ნივთებისა და ტანისამოსის დასახარისხებლად და შესაფუთავად. აქედან 29 საწყობი გერმანელებმა წითელი არმიის შეტევის გამო თავისი უკანდახევის წინ დაწვეს იქ მყოფ ნივთებიანად. დანარჩენ 6 საწყობში აღმოჩენილია 348.820 კომპლექტი მამაკაცის ზედა და ქვედა ტანსაცმელი, 836.255 კომპლექტი ქალის ზედა და ქვედა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ხალიჩები.

ოსვენციმის ბანაკის ტყავეულის ქარხანაში 1945 წელს 7 მარტს კომისიამ აღმოაჩინა 293 შეკვრა შეფუთული ქალის თმა, რომლის საერთო წონა 7 ათას კილოგრამს უდრის. საექსპერტო კომისიამ გამოარკვია, რომ ეს თმა შეჭრილი აქვს 140 ათას ქალს.

## VIII

გერმანელები გულდასმით ფარავდნენ ოსვენციმში მათ მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულობათა კვალს და თავიანთი უკანდახევის წინ გულმოდგინედ მოსპეს ყველა დოკუმენტი, რომლებითაც შეიძლებოდა მთელ მსოფლიოს

შეეტყო მათ მიერ ბანაკში მოსპობილ ადამიანთა ზუსტი რაოდენობა. მაგრამ გერმანელების მიერ ბანაკში აგებული მძლავრი ტექნიკა კაცისმკვლელობისა, წითელი არმიის მიერ გათავისუფლებულ ოსვენციმის პატიმართა ჩვენებანი, 200 დაკითხული მოწმის ჩვენება, ცალკეული ნაპოვნი დოკუმენტები და სხვა ნივთიერი საბუთები, საკმაოდ ამხილებენ გერმანელ ჯალათებს იმაში, რომ ოსვენციმში მათ მილიონობით ადამიანი მოსპეს, მოწამლეს და დაწვეს. ტექნიკურმა ექსპერტო კომისიამ გამოარკვეია, რომ ოსვენციმის ბანაკის არსებობის განმავლობაში, გერმანელმა ჯალათებმა იქ სსრ კავშირის, პოლონეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების სულ მცირე 4 მილიონი მოქალაქე მოსპეს. ბუხენვალდის, ზაქსენჰაუზენის, მაიდანეკის, ტრებლინკეს და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში სულ მოსპობილ იქნა 11 მილიონზე მეტი ადამიანი. ეს იყო უდიდესი ტრაგედია და დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

# ქვეყნების ლიდერთა მკვლელობანი

1900-2006 წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე მყოფი 94 მოღვაწე მოკლეს, უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვალნენ, ან ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულეს.

1900 წლის 29 ივლისს იტალიის მეფეს უმბერტო I-ს იტალიელმა ემიგრანტმა აშშ-ში, ანარქისტმა გაეტანო ბრეშიმ სამი ტყვია დაახალა მაშინ, როცა მეფე ქალაქ მონცაში იყო ჩასული. ბრეში აღშფოთებული იყო იმით, რომ უმბერტო I-ის სანქციით დახვრიტეს მილანში დემონსტრაციაზე გამოსული გაჭირვებული გლეხები, ხოლო გენერალი, რომელმაც ეს უბედურება დაატრიალა, მეფის ბრძანებით დააჯილდოვეს.

56 წლის მონარქი ადგილზე გარდაიცვალა. ბრეშთ სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი კუნძულ ვენტოტენეს სანტო სტეფანოს საპყრობილეში გარდაიცვალა, სადაც სასჯელს იხდიდა. ციხის ადმინისტრაციის მტკიცებით, მან თავი მოიკლა.

1901 წლის 14 სექტემბერს მიყენებული მძიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა აშშ-ის პრეზიდენტი უილიამ მაკკინლი. ისტორიკოსების შეფასებით, სწორედ მის დროს ჩამოყალიბდა აშშ მსოფლიო სახელმწიფოდ. ეს გახდა მის მიმართ ანარქისტების სიძულვილის მიზეზი, რომელთა რიგებში ლეონ ჩოლგოშიც იყო. 1901 წლის 6 სექტემბერს ლეონ ჩოლგოშმა ორჯერ ესროლა პრეზიდენტს, რომელიც პანამის გამოფენაზე ჩავიდა ბუფალოში. მაკკინლის ოპერაცია ადგილზე ექიმმა გინეკოლოგმა გაუკეთა, რადგან იმ დროს იქ ქირურგი ვერ მონახეს. მან პაციენტს მუცლის ღრუდან ტყვია ვერ ამოუღო. რამდენიმე დღეში პრეზიდენტი განგრენით გარდაიცვალა.

1901 წლის 29 ოქტომბერს სასამართლოს დადგენილებით ჩოლგოში ელექტროსკამზე სიკვდილით დასაჯეს.

1903 წლის 30 მაისს შეთქმულ ოფიცერთა ჯგუფმა მოკლა სერბიის მეფე ალექსანდრე ობრენოვიჩი. ოფიცრებმა, რომლებიც 30 მაისის ღამეს საძინებელში შეიჭრნენ, მას სერბეთის თავადების ძველი დინასტიის მეთაურის პეტრე ყარაგეორგიევიჩის სასარგებლოდ გადადგომა მოსთხოვეს. მეფემ უარი განაცხადა და დაჭრა სერბეთის გენშტაბის კაპიტანი დრაგუტინ დიმიტრიევიჩი. ოფიცრებმა დაცხრილეს და აკუწეს მეფე. მას 6 ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს, 40 ჭრილობა — ცივი იარაღით, ხმლებით.

ქვეყნის სათავეში ყარაგეორგიევიჩების დინასტია მოვიდა.

1917 წლის 27 ივლისს დიმიტრიევიჩი დახვრიტეს 1914 წლის ივნისში ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით. ეს მკვლელობა, როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის კატალიზატორი გახდა.

1908 წლის 1 თებერვალს სასიკვდილოდ დაჭრეს პორტუგალიის მეფე კარლუშ I. არმიასა და ფლოტში რესპუბლიკელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ კარლუშ I-მა პრემიერ მინისტრად დანიშნა გენერალი ჟუან ფრანკუ, რომელსაც სამხედრო დიქტატორის უფლებამოსილება მიანიჭა, დაითხოვა პარლამენტი, რამაც საზოგადოებრიობის უკმაყოფილება გამოიწვია. ლისაბონში ტერეირა დუ-პა-სუს მოედანზე ანარქისტმა — კანტორის მოსამსახურე ალფრედო კოსტამ მიბჯენით ესროლა მონარქს, ხოლო მეორე ანარქისტმა — სკოლის მასწავლებელმა მანუელ ბუისამ სახეში ესროლა მემკვიდრე მეფისწულს ლუიშ ფილიპს. ორივე თაედამ სხმელი ადგილზევე მოკლეს: კოსტა ხალხმა გათელა, ბუისა გვარდიის ოფიცერმა აკუწა.

1911 წლის 18 სექტემბერს სასიკვდილოდ დაჭრეს პეტრე სტოლიპინი, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ეს მოხდა კიევის ოპერის თეატრში, სპექტაკლ „ზღაპარი მეფე სალთანზე" შესვენების დროს. პირველ რიგში მჯდომ სტოლიპინს მიუახლოვდა ტერორისტი დიმიტრი ბოგროვი (მორდკო გერშონის ძე ბოგროვი) და ორი ტყვია დაახალა.

ერთ-ერთი ვერსიით, ბოგროვი სოციალ-რევოლუციონერების დავალებით მოქმედებდა. მიზეზი — სტოლიპინის მიერ მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიციები, „რომლებმაც მუშათა და გლეხთა სისხლით მორწყეს მთელი ქვეყანა".

სამხედრო საოლქო სასამართლოს განაჩენით, 1911 წლის 25 სექტემბერს ბოგროვი ჩამოახრჩვეს.

1913 წლის 18 მარტს ქალაქ თესალონიკში მოკლეს საბერძნეთის მეფე გეორგ I. ტერაქტი განახორციელა ბერძენმა ალექსანდრე სქინასმა მაშინ, როცა მეფე ქალაქის ქუჩებში სეირნობდა. 67 წლის გეორგ I კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა: მსხვილკალიბრიანი პისტოლეტის ერთადერთი ტყვია სასიკვდილო აღმოჩნდა.

ანარქისტი აღმოჩნდა, ციხიდან საგამოძიებო საკანში გადაიყვანეს. მას ბორკილები ახსნეს. სქინასმა გატეხა ფანჯარა და 10 მეტრის სიმაღლიდან გადახტა. გამოძიებამ მონარქის მკვლელობის დამკვეთები ვერ დაადგინა.

1920 წლის 21 მაისს მოკლეს მექსიკის პრეზიდენტი ვენსუსტიანო კარანსა დე ლა გარსა. იგი ემსხვერპლა მისი ყოფილი მხარდამჭერის, გენერალ ალვარო ობრეგონის მიერ მოწყობილ ამბოხს. 21 მაისის ღამეს იგი ძილში მოკლეს. ამ დროს მაღალმთიან სოფელს აფარებდა თავს. ერთი ვერსიით, მკვლელი სწორედ ამ სოფლის კომუნის მეთაური როდოლფო ერერო იყო, ხოლო მეორე ვერსიით, მისიანები, რომლებსაც პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების დაბრუნების იმედი ამოეწურათ.

1922 წლის 16 დეკემბერს მოკლეს პოლონეთის პირველი პრეზიდენტი გაბრიელ იუზეფ ნარუტოვიჩი. 1921 წლის მარტში მიღებული კონსტიტუციით შემოღებული იქნა პოლონეთის პრეზიდენტის ინსტიტუტი. მანამდე ამ მოვალეობას „სახელმწიფოს უფროსი" ასრულებდა. ეს პოსტი იუზეფ პილსუდსკის ეკავა. 1922 წელს პილსუდსკიმ ხელი სუფლება გადააბარა ნარუტო ვიჩს, რომელსაც ნაციონალ დემოკრატების პარტიის წევრებმა „ებრაელთა პრეზიდენტი" და „მასონი" შეარქვეს. სწორედ ამ პარტიის აქტივისტმა, მხატვარ მაელიგიუშ ნევიადომსკიმ სამჯერ ესროლა 57 წლის პრეზიდენტს, რომელიც ვარშავის გალერეა „ზახენტაში" მოწყობილ გამოფენას ეწვია.

30 დეკემბერს მკვლელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და ერთი თვის შემდეგ ვარშავის ციხე ციტადელში დახვრიტეს.

1932 წლის 7 მაისს მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა საფრანგეთის პრეზიდენტი პოლ დუმერი. 75 წლის პრეზიდენტი თავის პოსტზე მხოლოდ ერთი წელიწადი იმყოფებოდა. მკვლელი აღმოჩნდა რუსი ემიგრანტი, 39 წლის ლიტერატორი პაველ გორგულოვი.

გორგულოვმა პრეზიდენტს რამდენჯერმე ესროლა მაშინ, როცა ეს უკანასკნელი წიგნის ბაზრობას ხსნიდა. დაჭრილმა პრეზიდენტმა გონება დაკარგა. კლინიკაში იგი გონს მოიყვანეს, მაგრამ მალე კვლავ გაითიშა. 7 მაისს, დილის 4 საათზე იგი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ტერორისტმა განაცხადა, რომ ფაშისტთა მწვანე პარტიის წევრი იყო. 1932 წლის ივნისის ბოლოს სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა. 14 სექტემბერს გორგულოვს გილიოტინაზე მოჭკვეთეს თავი. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „რუსეთო, ჩემო ქვეყანავ!"

1933 წლის 29 დეკემბერს მოკლეს რუმინეთის პრემიერ-მინისტრი იონ გეორგე დუკა. მკვლელობის მიზეზი გახდა მის მიერ სანქცირებული აკრძალვა, რომლის ძალითაც საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო ნაციონალისტურ პარტ-

იას — „მთავარანგელოზ მიქაელის ლეგიონის“. „ლეგიონის“ საბრძოლო ფრთის „რკინის გვარდიის“ სამმა ტერორისტმა რევოლვერებით დაცხრილა დუკა კურორტ სინაას რკინიგზის სადგურის ბაქანზე. მკვლელები პოლიციას უმალვე ჩაბარდნენ. სამივეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. 1938 წლის 30 ნოემბერს რუმინეთის ნაციონალისტები, რომლებსაც ჰიტლერი უჭერდა მხარს, დააპატიმრეს, ხოლო სამი ტერორისტი პოლიციამ ბუქარესტის მახ ლობლად, ტყეში დახვრიტა.

1934 ᲬᲚᲘᲡ25 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ცეცხლსასროლი იარაღით მი ენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა ავსტრიის კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის გერმანიასთან შეერთებას. ამ დღეს ჰიტლერის ხელშეწყობით ორგანიზებული ფაშისტური ამბოხის შეიარაღებული მონაწილენი მთავრობის მეთაურის ფედერალურ კანცელარიაში შეიჭრნენ. დოლფუსი ყელში დაიჭრა. თავდამსხმელებმა პერსონალს ნება არ დართეს,მას დახმარებოდნენ. დოლფუსი სისხლისგან დაიცალა.

1934 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მოკლეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე I ყარაგეორგიევიჩი. ხორვატი სეპარატისტების ბრძოლის აღსაკვეთად და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით მეფემ დაამტკიცა კონსტიტუცია, რომლითაც იუგოსლავიაში დამყარდა უნიკალური რეჟიმი: სამხედრო მონარქისტული მართლმადიდებლური დიქტატურა. ქვეყანა საფრანგეთთან და სსრ კავშირთან ერთად ანტიჰიტლერულ კოალიციაში შესვლას ისწრაფოდა. ხორვატმა „ბოევიკმა“ ვლადო ჩერნოზემსკიმ (ნამდვი ლი სახელი კერინ ველიჩკო გეორგიევი) რამდენჯერმე ესროლა მარსელში ჩასულ ალექსანდრე I-ს და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბარტუს, რომლებიც ესკორტირებულ მანქანაში ისხდნენ. ჩერნოზემსკი ადგილზე დახვრიტეს. 45 წლის მეფე და 72 წლის მინისტრი გარდაიცვალნენ. ალექსანდრე I-ის დაკრძალვას ბელგრადში მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ. გერმან გერინგის გამოგზავნილ გვირგვინს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჩვენს ყოფილ გმირ მოწინააღმდეგეს ღრმა მწუხარებით“. 1950 60-იან წლებში დამტკიცდა, რომ ეს მკვლელობა, კოდური სახელწოდებით „ტევტონური მახვილი“, ორგანიზებული იყო მესამე რაიხის სპეცსამსახურების მიერ, რომელთაც გერმან გერინგი კურირებდა.

1945 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ იტალიელმა პარტიზანებმა დახვრიტეს იტალიის ყოფილი დიქტატორი (დუჩე) ბენიტო ამილკარე ანდრეა მუსოლ-

ინი.

ეს მოხდა 16 საათსა და 10 წუთზე, როცა თავისუფლების მოხალისეთა კორპუსის სარდლობის ბრძანებით იტალიელ მა პარტიზანებმა პოლკოვნიკ ვალერიოს (ვალტერ აუდიზიოს) მეთაურობით სოფელ მეზაგრას მისადგომებთან აღასრულეს იტალიელი ხალხის ნება. მუსოლინის, მისი საყვარლის კლარა პეტაჩის და ექვსი სხვა ფაშისტი ლიდერის გვამები პარტიზანებმა მილანში ჩაიტანეს და ლორეტოს მოედანზე ბენზინგასამართ სადგურთან თავდაყირა დაკიდეს.

1950 წლის 13 ნოემბერს მოკლეს ვენესუელის სამხედრო ხუნტის თავმჯდომარე კარლოს რომან დელგადო ჩალბო გომესი.

ხუნტამ დაითხოვა ნაციონალური კონგრესი, გააუქმა კონსტიტუცია და ლიბერალური პარტიები კანონგარეშედ გამოაცხადა. 41 წლის დელგადო მოიტაცეს და გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. ვარაუდობენ, რომ იგი მოიცილა მისმა კონკურენტმა პერეს ჰიმენესმა, რომელიც 1952 წლიდან ვენესუელის პრეზიდენტი გახდა.

1951 წლის 20 ივლისს მოკლეს იორდანიის მეფე აბდალა I (აბდალა ბინ ჰუსეინი). 69 წლის მონარქი ისრაელთან სეპარატული მშვიდობის დამყარებას აპირებდა, რამაც განარისხა არაბული სამყაროს სხვა ლიდერები და იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ამ გეგმაზე.

იერუსალიმში, ალ-აქსას მეჩეთში შესვლისას მას სამი ტყვია ესროლა თავსა და მკერდში პალესტინელმა ტანსაცმლის მკერავმა მუსტაფა შაქრიმ, რომელიც იატაკქვეშა დაჯგუფებაში „არაბულ დინამიტში" შედიოდა. მკვლელი და ხუთი სხვა მონაწილე (ყველა იერუსალიმის მცხოვრები), დახვრიტეს.

1951 წლის 16 ოქტომბერს მოკლეს პაკისტანის პრემიერ-მინისტრი ლიაკათ ალი ხანი, რომელსაც არაოფიციალურად მინიჭებული ჰქონდა „ერის მამის" წოდება. 55 წლის პრემიერს ქალაქ რავალპინდში მიტინგზე ყოფნის დროს ესროლეს. ტერორისტი — წარმოშობით ავღანელი შაად აკბარი — ალი ხანის დაცვამ ადგილზევე ჩაცხრილა.

ძიებამ ვერ გაარკვია მკვლელობის მოტივი და მონაწილე თავინაობა.

1955 წლის 2 იანვარს მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა პანამის პრეზიდენტი ხოსე ანტონიო რემონ კანტერა.

47 წლის პრეზიდენტი იპოდრომზე ყოფნისას ტყვიამფრქვევით

დაცხრილეს. ვერც პანამელმა გამომძიებლებმა, ვერც აშშ-დან მოწვეულმა სპეცია ლისტებმა ვერ გასხნეს ეს საქმე. ვარაუდობენ, რომ კანტერა მოკლეს ამერიკელი ბიზნესმენების დაკვეთით, რადგან მან პანამის არხით სარგებლობის იჯარის ფასი, აშშ ის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, 430 დოლარიდან 1,9 მილიონ დოლარამდე გაზარდა.

1957 წლის 26 ივლისს მოკლეს გვატემალის პრეზიდენტი კარლოს კასტილიო არმასი. იგი ქვეყნის სათავეში 1954 წლის 8 ივლისს, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს მიერ ორგანიზებული გადატრიალების შედეგად მოვიდა. მან დაუყოვნებლივ შექმნა კომუნიზმისგან დაცვის კომიტეტი, სრული თავისუფლება მიანიჭა დამნაშავეობის გზით მოპოვებული მოგების ლეგალიზებას.

1957 წლის 26 ივლისს იგი იარაღიდან გასროლით მოკლა სასახლის დაცვის თანამშრომელმა რომეო ვალდეს სანჩესმა, რომელმაც იქვე მოიკლა თავი. არმასის მემკვიდრეებმა მკვლელობა არ გამოიძიეს.

1958 წლის 14 ივლისს რესპუბლიკური რევოლუციის დროს მოკლეს ერაყის უკანასკნელი მონარქი ფეისალ II.

იგი ემსხვერპლა ალტერნატიული ერაყისა და იორდანიის ფედერაციის შექმნას. 23 წლის ფეისალი სათავეში ჩაუდგა ამ ფედერაციას, როგორც ჰაშიმიტების დინასტიის უფროსი წევრი. მმართველობამ ხუთ წელიწადს გასტანა. მისი არმიის გენერალმა აბდელ ქერიმ ყასემმა მოაწყო გადატრიალება, შეეიდა ბაღდადში, აიღო მეფის რეზიდენცია და დახოცა ფეისალ II და ტახტის მემკვიდრე აბდულა. ყასემმა ერაყი რესპუბლიკად გამოაცხადა.

1959 წლის 26 სექტემბერს მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა ცეილონის (ამჟამად შრი-ლანკის) პრემიერ-მინისტრი, თავისუფლების პარტიის ლიდერი სოლომონ ბანდარანაიკე.

25 სექტემბერს მას თავს დაესხა სინგალელი ბუდისტი ბერი თალდუვე სომარამა, რომელიც პრემიერის რეზიდენციაში შეყიდა და 60 წლის ბანდარანაიკეს ესროლა. პრემიერმა, სანამ სული ამოხდებოდა, ითხოვა, არ დაესაჯათ სიკვდილით ტერორისტი. მაგრამ მოსამართლეებმა მას ერთსულოვნად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. სომარამა, რომელმაც ციხეში ქრისტიანობა მიიღო, ჩამოახრჩვეს.

1960 წლის 29 აგვისტოს მოკლეს იორდანიის პრემიერ-მინისტრი ჰ აზაა ალ-მაჯალი. იგი შენელებული მოქმედების ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა, რომელიც მის სამუშაო მაგიდაში იყო ჩადებული.

1960 წლის 31 დეკემბერს აჯანყებაში ბრალდებულები ამანში საჯაროდ ჩამოახრჩეს.

1961 წლის 30 მაისს მოკლეს დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი, გენერალ-სიმ·ესი რაფაელ ლეონიდას ტრუჰილიო მოლინასი. მისი ოფიციალ·ური ტიტ·ული იყო „საპატიო პრეზიდენტი, ერის მწყალობელი და დამოუკიდებელი ეკონომიკის შემქმნელი". მმართველობის ბოლო პერიოდში მან მოინდომა გადატრიალების მოწყობა ვენეს·უელაში, რითაც მოკავშირეთა და თავისი არმიის ·უკმაყოფილება გამოიწვია. მისი მანქანა დაცხრილეს ქალაქ სან-კრისტობალის მახლობლად. ვარაუდობენ, რომ ტრუჰილიო აშშ-ის სპეცსამსახ·ურების ოპერაციის დროს მოკლეს.

1963 წლის 2 ნოემბერს მოკლეს სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტი ნგო დინ დიემი. მოსახლეობის ·უკმაყოფილება გამოიწვია მისმა კათოლიციზმის გავრცელებისკენ მიმართულმა პოლიტიკამ. პარტიზანთა გააქტიურებამ მისი მმართველობა უეფექტო გახადა. დიემის შეცვლა აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ კენედის მიერ იყო სანქცირებული. სამხედრო გადატრიალების მონაწილეებმა პრეზიდენტი დააპატიმრეს და 2 ნოემბერს კეფაში გასროლით მოკლეს. სამხრეთ ვიეტნამის დაბნეულმა სარდლობამ ვერ შეძლო პარტიზანების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარმოება. 1964 წელს დაიწყო საომარი მოქმედება ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

1965 წლის 27 იანვარს მოკლეს ირანის პრემიერ-მინისტრი ჰასან ალ-მანსური.

მისი მითითებით ითრგ·უნებოდა შიიტი რადიკალების მოძრაობა. როცა ირანის შაჰთან აუდიენციის დროს, რომელსაც ალ მანსურიც ესწრებოდა, შიიტების სულიერმა ლიდერმა განაცხადა, რომ არ შეწყვეტდა რეჟიმის კრიტიკას, პრემიერ მინისტრმა მას სილა გააწნა. შემდეგ ჰომეინი შინაპატიმრობაში გამოამწყვდიეს და ბოლოს ირანიდან გაასახლეს. თავიანთი ლიდერის შეურაცხყოფისა და მისდამი რეპრესიების განხორციელებისთვის ორგანიზაცია „ფე დაიან ისლამის" („ისლამისათვის თავგანწირულები") წევრებმა ბოხარაიმ, ჰარანდიმ და ნიკნეჯადმა თითქმის მიბჯენით ესროლეს 32 წლის მანსურს. ეს მოხდა თეირანში ბოქარესთანის მოედანზე. მკვლელები დააპატიმრეს და შეთქმ·ულების სხვა 10 მონაწილესთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

1966 წლის 6 სექტემბერს დანით მოკლეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჰენდრიკ ფრენს ფერვურდი. 64 წლის პოლიტიკოსი, რომელიც „აპარტეიდის რეჟიმის არქიტექტორად" ითვლებოდა, სახელმწიფო ასამბლეის შენობაში მოკლა პარლამენტის შიკრიკმა, მულატმა დიმიტრიო ცაფენდასმა. 48 წლის მკვლელი სიკვდილით დასჯას გადაურჩა, რადგან შეურაცხადად მიიჩნიეს: იგი ამტკიცებდა, რომ პრემიერ-მინისტრის მოკვლა უბრძანა დიდმა ჭიამ, რომელიც მის კუჭში იყო ჩასახლებული. ცაფენდასი 1999 წელს ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა.

1971 წლის 28 ნოემბერს მოკლეს იორდანიის პრემიერ-მინისტრი ვასფი ტელი (ალტელი). 1970 წელს ტელი ერთ-ერთი პასუხისმგებელი გახდა იორდანიის ტერიტორიაზე პალესტინელი პარტიზანების ბაზების ლიკვიდაციაზე. პალესტინის განთავისუფლების პარტია იასირ არაფატის წინამძღოლობით 1967 წლის ისრაელ არაბების ომის შემდეგ იორდანიას შეკედლებული ათასობით პალესტინელი ლტოლვილის მხარდაჭერით ცდილობდა, ეს ტერიტორია ისრაელზე შეიარაღებული თავდასხმის პლაცდარმად გამოეყენებინა. პარტიამ, ფაქტობრივად, შექმნა პალეს ინის ავტონომია იორდანიაში, მისი ხელმძღვანელობა კი ცდილობდა, თავის კონტროლს დაექვემდებარებინა ადგილობრივი ნავთობის ბიზნესი და იორდანიელებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ მოუ წოდებდა. იორდანიის არმიამ 1970 წლის 17-27 სექტემბერს განხორციელებული ოპერაციის შედეგად პალესტინელი არაბები ქვეყნიდან განდევნა.

1971 წლის 28 ნოემბერს ოთხმა მოთარეშემ კაიროში, სასტუმრო „შერატონის" შესასვლელში ავტომატებით დახვრიტა პრემიერი, რომელიც აქ არაბული ქვეყნების სამიტზე ჩავიდა. იორდანიის ხელისუფლებამ ტერაქტის ორგანიზატორებად მიიჩნია პალესტინური დაჯგუფებების — „რაზმი-17" და „შავი სექტემბერის" — ლიდერები აბუ ჰასანი და აბუ იადი. პირველი მათგანი 1979 წლის 22 იანვარს მანქანის აფეთქების დროს დაიღუპა, მეორე იასირ არაფატის მოთარეშემ 1991 წლის 14 იანვარს მოკლა.

1973 წლის 11 სექტემბერს სამხედრო გადატრიალების დროს დაიღუპა ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ისაბელი ნოსავრადო კორაზონ დე ხეზუს ალიენდე გონსალესი. 1970 წლის 5 სექტემბერს არჩეული ალიენდე იყო პირველი მარქსისტი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, რომელიც ხელისუფლების სათავეში კანონიერი გზით მოვიდა.

ალიენდეს ხელისუფლებამ მოახდინა სპილენძის საბადოების და ბუნების სხვა სიმდიდრეების ნაციონალიზაცია, რამაც აღაშფოთა მრეწველები და მათთან დაახლოებული სამხედროები. 1973 წლის 11 სექტემბრის დილით ჩილეს ფლოტის სარდლობამ დაიწყო ამბოხი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენშტაბის უფროსი აუგუსტო პინოჩეტი. მან წინადადება მისცა ალიენდეს, ოჯახთან და უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად დაეტოვებინა ქვეყანა, მაგრამ პრეზიდენტმა არ მიიღო ასეთი შემოთავაზება. 11.00 საათზე ჯარის ნაწილებმა შეუტიეს პრეზიდენტის სასახლე „ლა მოღენას". ალიენდეს და მის მომხრეებს 70-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი იცავდა.

ალყაშემორტყმული სასახლიდან პრეზიდენტმა მიმართა ხალხს და მოუწოდა, არგამოსულიყვნენ ქუჩებში და „თავი არ გაეწირათ" მისი სიცოცხლის დასაცავად.

როცა პუტჩისტების დასახმარებლად სასახლეს შეუტიეს ტანკებმა და ავიაციამ და ამბოხებულებმა პირველი სართული დაიკავეს, ალიენდემ თანამებრძოლებს ცეცხლის შეწყვეტა უბრძანა და თავი მოიკლა ოქროთი ინკრუსტირებული ავტომატით, რომელიც ფიდელ კასტრომ აჩუქა.

პუტჩისტებმა დაცხრილეს უკვე მკვდარი ალიენდე. მისი სხეულიდან 13 ტყვია ამოიღეს.

ჩილეს ლიდერის სიკვდილის შესახებ მხოლოდ ერთი დღე-ღამის შემდეგ გამოაცხადეს.

1973 წლის 20 დეკემბერს მადრიდში აფეთქების შედეგად დაიღუპა ესპანეთის პრემიერ მინისტრი, ადმირალი ლუის კარერო ბლანკო. მის დაჯავშნულ ავტომანქანაში ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტომანქანა ზემოდან გადაევლო წმინდა ფრანცისკოს ტაძარს, სადაც პრემიერი წირვაზე დასასწრებად მიდიოდა, და ორსართულიანი სახლის სახურავს დაენარცხა.

მკვლელები ვერ იპოვეს. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა იკისრა ბასკების სეპარატისტულმა ორგანიზაცია ETA-მ. დიქტატორ ფრანკოს მმართველობის პერიოდში, 1939 წლიდან ბასკები ყოველმხრივ იდევნებოდნენ, ბასკური ენა აკრძალული იყო ყოფითი ურთიერთობის დროსაც.

კაუდილიო, რომელიც პირადად ჩაუდგა მთავრობას სათავეში, ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრე არ დაუტოვებია, თუმცა, ყველაფერი გააკეთა ესპანეთში მონარქიის აღსადგენად. 1975 წლის ნოემბერში სახელმწიფოს მეთაურად გამოაცხადეს ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი.

1975 წლის 25 მარტს მოკლეს საუდის არაბეთის მეფე ფეისალ ბინ აბდელაზიზ ალ საუდი. იგი მოკლა მისმა ძმისწულმა და სეხნიამ, 31 წლის პრინცმა ფეისალ ბინ მუსადმა, რომელიც იმავე წამს დააკავეს. თავდამსხმელმა განაცხადა, რომ აღასრულა ალაჰის ნება. მოსამართლეებმა იგი სულიერ ავადმყოფად მიიჩნიეს. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ხელისუფლების მესვეურებს, 1975 წლის ივნისში ელ რიადში მისთვის საჯაროდ მოეკვეთათ თავი.

1975 წლის 15 აგვისტოს მოკლეს ბანგლადეშის პირველი პრეზიდენტი, ბენგალიის ეროვნული მოძრაობის ლიდერი შეიხ მუჯიბურ რახმანი. რახმანის მემკვიდრეს არ გამოუძიებია პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე.

1977 წლის 18 მარტს ბრაზავილში, რეზიდენციაში დახვრიტეს კონგოს პრეზიდენტი, კონგოს შრომის პარტიის მეთაური მარიენ ნგუაბი, რომელიც ხელისუფლების სათავეში ალფონს მასამბადებას რეჟიმის დამხობის შედეგად მოვიდა. მან კონგო „სახალხო რესპუბლიკად“ და „აფრიკის პირველ მარქსისტულ ლენინურ სახელმწიფოდ“ გამოაცხადა.

ტრიბუნალის განაჩენით სიკვდილით დასაჯეს ექსპრეზიდენტი მასამბა დება, რომელიც ხელისუფლებამ შეთქმულთა ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნია.

1978 წლის 27 აპრილს მოკლეს ავღანეთის პრეზიდენტი სარდარ მუჰამედ დაუდ-ხანი. ხუთი წლით ადრე მან დაამხო თავისი ბიძაშვილი, მეფე მუჰამედ ზახირ შახი და ავღანეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. დაუდის მმართველობის ბოლო წლებში გააქტიურდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია, რომელსაც სსრ კავშირი უჭერდა მხარს. 24 აპრილს დაწყებულ აჯანყებას ბიძგი მისცა ზემოაღნიშნული პარტიის ლიდერების წინააღმდეგ პოლიციელთა მიერ მოწყობილმა რეპრესიებმა. საბჭოთა დაზვერვის მონაცემებით, ავღანეთში რეპრესიები აშშ ელჩის დაბეჯითებული მოთხოვნით დაიწყო. დააპატიმრეს პარტიის ლიდერები ნურ მუჰამედ თარაქი, ხაფი ზულა ამინი, ბაბრაქ ქარმალი და სხვები. დაპატიმრების წინ ამინმა მოასწრო, გადაეცა ერთგული ჯარის ნაწილებისთვის ბრძანება აჯანყების დაწყების შესახებ.

27 აპრილის დილისთვის ამბოხებულთა ჯგუფმა ტანკებისა და ავიაციის მხარდაჭერით დაძლია გვარდიის წინააღმდეგობა, რომელიც პრეზიდენტის სასახლეს იცავდა. დაუდი და მისი ოჯახი ბომბარდირების

დროს დაიღუპნენ. დღის მეორე ნახევარში პარტიის დაპატიმრებული ლიდერები გაათავისუფლეს. ძალაუფლება ხელთ იგდო ავღანეთის რევოლუციურმა საბჭომ ნურ მუჰამედ თარაქის მეთაურობით.

1979 წლის 26 ოქტომბერს მოკლეს სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პაკ ჯონ სი, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა 1961 წელს, როგორც სამხედრო ხუნტის ლიდერი. შემდეგ სამჯერ აირჩიეს ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე. მან სამხრეთ კორეაში დიქტატორული რეჟიმი დაამყარა. პაკ ჯონ ხი მოკლა 62 წლის პრეზიდენტის ყველმა მეგობარმა, კორეის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფმა კიმ ე ჯუმ. 1980 წლის მაისში მკვლელი სიკვდილით დასაჯეს.

1979 წლის 27 დეკემბერს მოკლეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ხაფიზულა ამინი.

1979 წლის 12 დეკემბერს სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა, სსრკ უშკომის თავმჯდომარე იური ანდროპოვმა, თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი უსტინოვმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი გრომიკომ მიიღეს გადაწყვეტილება ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის შეყვანის შესახებ. გადაწყვეტილება კონსტიტუციის დარღვევით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სკკპ ცკ და პოლიტბიუროს წევრების გვერდის ავლით იქნა მიღებული. ჯარის შეყვანა მოტივირებული იყო „1978 წლის აპრილის რევოლუციის სოციალისტური იდეალების დაცვის", აგრეთვე, სსრკ სამხრეთის საზღვრების დაცვის აუცილებლობით.

27 დეკემბრის 18.00 საათისათვის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ქვედანაყოფებმა ალყაში მოაქციეს ტაჯ ბეკი და მე-40 არმიის ბატალიონთან ერთად შეუტიეს სასახლეს.

გარედან სასახლეს იცავდნენ ავღანეთის დემოკრატიული არმიის მოტორიზებული ქვეითთა ნაწილები და არმიის სატანკო ბატალიონები. თავდამსხმელები შეიჭრნენ სასახლეში. ამინი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ ხელყუმბარის აფეთქებით დაიღუპა. დაიღუპა მისი ორი ვაჟიც და საბჭოთა სამხედრო ექიმი, რომელიც მას მკურნალობდა. 27 დეკემბრის ღამეს შეიქმნა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი რევოლუციური საბჭო და მთავრობა. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ბაბრაკ ქარმალი.

ამინის დასამხობად განხორციელებული ოპერაციისთვის სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის 400 თანამშრომელი ორდენებითა

და მეძლებით დააჯილდოეეს.

1980 წლის 12 აპრილს აკუწეს ლიბერიის პრეზიდენტი უილიამ რიჩარდ ტოლბერტი.

ტოლბერტი ემსხვერპლა მისი პირადი დაცვის 17 წევრის მიერ ორგანიზებულ გადატრიალებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა 19 წლის სერჟანტი სემუელ დოუ.

დოუ ჯერ სათავეში ჩაუდგა „ეროვნული გადარჩენის საბჭოს", შემდეგ გახდა ლიბერიის პრეზიდენტი.

1981 წლის 24 მაისს ავია-კატასტროფაში დაიღუპა ეკვადორის პრეზიდენტი ხაიმე როლდოს აგილერი. 2004 წელს საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა ჯონ პერკინსმა გამოსცა წიგნი „ეკონომიკური ქილერის აღიარება", რომელშიც ამტკიცებს, რომ როლდოსი აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად დაიღუპა.

1981 წლის 30 მაისს მოკლეს ბანგლადეშის მთაერობის მეთაური ზია ზიაულ რახმანი.

1981 წლის 31 ივლისს ავიაკატასტროფაში დაიღუპა პანამის ფაქტობრივი ხელმძღვანელი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ომარ ეფრაინ ტორიხოს ერერა. იგი ხელისუფლების სათავეში გადატრიალების გზით 1968 წელს მოვიდა. დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ ტორიხოსი დაიღუპა აშშ-ის პრეზიდენტად რონალდ რეიგანის არჩევიდან ექვსი თვის შემდეგ: რეიგანი მკვეთრად აკრიტიკებდა კარტერის საგარეო პოლიტიკას. მაგრამ პანამისა და აშშ-ის ხელმძღვანელებმა ამ მოსაზრებებს პოლიტიკური სპეკულაცია უწოდეს.

1981 წლის 18 დეკემბერს ოფიციალურმა სააგენტო ატა-მ განაცხადა, რომ მოულოდნელად თავი მოიკლა ალბანეთის მთავრობის მეთაურმა მეხმედ შეჰუმ. პრემიერი ალბანეთის შრომითი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ენვერ ხოჯას უახლოეს თანამებრძოლად ითვლებოდა, რომლის ხელმძღვანელობით 25 წელიწადი იმუშავა.

დასავლეთის მედიის ცნობით, შეხუ შეეწირა პარტიის ხელმძღვანელობაში კონფლიქტს, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში გავრცელებული ხმების მიხედვით, ენვერ ხოჯამ შეხუ პირადად მოკლა მთაერობის სხდომის დროს.

შემდეგ პერიოდში ენვერ ხოჯამ შეხუ უცხოეთის მთელი რიგი სპეცსამსახურების აგენტად გამოაცხადა. 1985 წლის მარტში გაკეთებული ოფიციალური განცხადებით, მეხმედ შეხუ იყო „იუგოსლავიის, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის აგენტი", რისთვისაც ლიკვიდირებულ იქნა.

1984 წლის 31 ოქტომბერს მოკლეს ინდოეთის პრემიერ მინისტრი ინდირა განდი. მისი დაღუპვის მიზეზი გახდა ფენჯაბის შტატში სიქჰების სეპარატისტული ბაზის ლიკვიდირება. 1984 წლის დასაწყისიდან ექსტრემისტებს, რომლებსაც სათავეში ედგა მათი რელიგიური ლიდერი ბჰინდრან ვალე და რომლებიც ფენჯაბის შტატის ინდოეთიდან გამოყოფას მოითხოვდნენ, იარაღი და ტყვია წამალი შეჰქონდათ სიქჰების მთავარი სიწმინდის ქალაქ ამრიტსარის ოქროს ტაძრის საცავებში. 1984 წლის 5 ივნისს (ეს დღე სიქჰთა დიდი რელიგიური დღესასწაულია) განდიმ ნება დართო, შტურმით აეღოთ ოქროს ტაძარი, რომელიც მანამდე ქვემეხებით დაანგრიეს. დაჯგუფების ყველა ლიდერი, ბჰინდრანვალეს ჩათვლით, და რამდენიმე ასეული მომლოცველი დაიღუპა. ამან აღაშფოთა 18 მილიონი სიქჰი, რომლებიც ინდოეთში ცხოვრობენ. პრემიერმა, გაფრთხილების მიუხედავად, თავისი დაცვიდან არ დაითხოვა ამ რელიგიურ-ეთნიკური ჯგუფის წევრები. 31 ოქტომბერს, დილით, ტელეინტერვიუზე წასვლის წინ ინდირა განდიმ არ ჩაიცვა ჯავშანჟილეტი. ამ დროს მცველი სიქჰები ბეანტ სინგჰი და სატვანტ სინგჰი ერთ-ერთ საგუშაგოზე იდგნენ სწორედ იმ გზის გაყოლებით, რომლითაც პრემიერი რეზიდენციიდან ოფისში მიდიოდა. როცა ინდირამ მათ ჩაუარა, ბეანტმა პისტოლეტიდან ესროლა, სატვანტმა ავტომატის ჯერი მიუშვა. სხვა მცველებმა ცეცხლი გაუხსნეს თავდამსხმელებს: ბეანტ სინგჰი ადგილზევე მოკლეს, სატვანტ სინგჰი მძიმედ დაჭრეს.

ინდირა განდის მკვლელობის შემდეგ დაიწყო სიქჰთა მასობრივი განადგურება: რამდენიმე დღეში 3 ათასი ადამიანი დაიღუპა, ათობით მათი ტაძარი დაიწვა. სამოქალაქო ომი მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც ინდირას ვაჟმა რაჯივ განდიმ მოუწოდა მოსახლეობას შეეწყვიტათ შურისძიება.

1986 წლის 1 მარტს სასიკვდილო ჭრილობით გარდაიცვალა შვედეთის პრემიერ-მინისტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ულოფ პალმე.

1986 წლის 28 თებერვალს მას სტოკჰოლმის ცენტრში ესროლეს, მაშინ როცა იგი ფეხით, დაცვის გარეშე, მეუღლესთან ერთად კინოთეატრიდან ბრუნდებოდა. 2006 წლის დასაწყისიდან შვედეთის მასმედია

განიხილავს ვერსიას, რომლის თანახმად, ქილერებმა ულოფ პალმე შეცდომით მოკლეს, იგი მსხვილ ნარკოვაჭარ სიგ სედერგრენში აერიათ.

მთავარი ეჭვმიტანილი კრისტერ პეტერსონი 2004 წელს 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. შვედეთის კანონმდებლობით, გამომძიებლებს, რომლებიც განაგრძობენ ამ საქმის გამოძიებას, დარჩათ ხუთი წელიწადი. ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე არქივს ჩაბარდება. მკვლელობა ჯერჯერობით გაუხსნელად ითვლება.

1986 წლის 19 ოქტომბერს ავიაკატასტროფაში დაიღუპა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოისეს მაშელი. თვითმფრინავი, რომლითაც მაშელი ზამბიიდან ბრუნდებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოვარდა. სასწრაფოდ შექმნილმა სამმხრივმა კომისიამ (მოზამბიკი, სსრკ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) დაადგინა, რომ თვითმფრინავი ტექნიკურად გამართული იყო, მაგრამ ეკიპაჟს ძველი ნავიგაციური რუკები ჰქონდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ ცალკე შექმნილი კომისიის დასკვნით, კატასტროფა ეკიპაჟის ბრალი იყო, ამიტომაც შეეჯახა თვითმფრინავი მთას. ამ ვერსიას არც მოზამბიკის, არც საბჭოთა მხარე არ დაეთანხმა. მოგვიანებით ე. წ. შავი ყუთის ციურიხში გაშიფვრის შედეგად დადგინდა, რომ ტუ-134-ის ეკიპაჟმა VOR სისტემის ყალბი რადიოშუქურის სიგნალი მიიღო, მაგრამ ვერ შეძლო მასზე სწორად რეაგირება. საბჭოთა სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ დივერსია, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ეკიპაჟი აგდებულად მოეკიდა მას, რამაც გამოიწვია ტრაგედია. 2003 წლის აგვისტოში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო დაზვერვის აგენტმა ჰანს ლოუვმა, რომელიც 28-წლიან სასჯელს იხდის, განაცხადა, რომ მონაწილეობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპეცსამსახურების ოპერაციაში სამორა მაშელის სალიკვიდაციოდ.

1988 წლის 17 აგვისტოს ავიაკატასტროფაში დაიღუპა პაკისტანის არმიის მთავარსარდალი, ქვეყნის ფაქტობრივი მეთაური ზიაულ ჰაკი. მასთან ერთად 130 ჰერკულესის ტიპის თვითმფრინავში ისხდნენ აშშ ელჩი პაკისტანში და აშშ არმიის 2 გენერალი, სულ 36 მგზავრი. ტერაქტის ორგანიზატორები ვერ იპოვეს.

1989 წლის 22 ნოემბერს აფეთქების შედეგად დაიღუპა ლიბანის პრეზიდენტი რენე ანი მუავადი. არჩევიდან მე-17 დღეს, როცა მუავადის კორტეჟი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესასწაულიდან დასავლეთ ბეირუთში ბრუნდებოდა, გზაზე მდგარი მანქანა აფეთქდა. 64 წლის პრეზ-

იდენტთან ერთად დაიღუპა 23 ადამიანი. ტერორისტები ვერ დააკავეს, გამოძიება არც ჩაუტარებიათ.

1989 წლის 25 დეკემბერს რევოლუციური აჯანყების დროს დახვრიტეს რუმინეთის პრეზიდენტი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის გენერალური მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ. 21 დეკემბერს ჩაუშესკუ შეეცადა სიტყვით გამოსულიყო რუმინეთის კომპარტიის ცკ-ის შენობის აივნიდან და ქალაქ ტიმიშოარეში მიმდინარე არეულობა „უცხოეთის დაზვერვის სამსახურებისა და ჯაშუშთა მიერ მოწყობილ პროვოკაციად" გამოეცხადებინა. მის გამოსვლას საწინააღმდეგო რეაქცია მოჰყვა, ხალხი სკანდირებდა: „ძირს ტირანი!", „ძირს კომუნიზმი!", ფეხებით თელავდნენ ჩაუშესკუსა და მისი ცოლის ელენას პორტრეტებს. 22 დეკემბერს ჩაუშესკუ მეუღლესთან და ორ მცველთან ერთად პრეზიდენტის პირადი ვერტმფრენით, რომელიც ცკ-ის შენობის სახურავზე დაჯდა, გაიქცა. ჩაუშესკუ და მისი თანამგზავრები ქალაქ ტირგოვიშტეში ჩავიდნენ. 22 დეკემბერს ამ ქალაქში პოლიციამ დააპატიმრა ჩაუშესკუ მეუღლითურთ და ადგილობრივი გარნიზონის ყაზარმაში გადაიყვანა. აქ ცოლ-ქმარმა 3 დღე დაჰყო. ტრიბუნალის სხდომა 25 დეკემბერს ტიაგოვისტეს სამხედრო ბაზაზე გაიმართა. ცოლ-ქმარ ჩაუშესკუს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ჩაუშესკუმ და მისმა ცოლმა სასამართლო არაკანონიერად მიიჩნიეს და თავი დამნაშავედ არ ცნეს. იმავე დღეს 14 საათსა და 50 წუთზე ისინი დახვრიტეს. სიკვდილის წინ 74 წლის ნიკოლაე ჩაუშესკუმ „ინტერნაციონალი" წამოიწყო. როცა რუმინეთის ტელევიზიით დახვრეტის ჩანაწერი აჩვენეს, დიქტორმა წარმოთქვა: „ანტიქრისტე შობის დღეს მოკლეს!"

1990 წლის 9 სექტემბერს მოკლეს ლიბერიის პრეზიდენტი სემუელ კენონ დოუ. იგი პუტჩის შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში, დაამყარა პარტნიორობა აშშ-სთან და ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან. 1989 წელს დოუს დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს გამოყოფილი ერთი ჯგუფი იედუ ჯონსონის წინამძღოლობით, რომელიც თავის თავს „პრინც იორმის" უწოდებდა, ერთდროულად იბრძოდა დოუსა და ნაციონალურ პატრიოტული ფრონტის წინააღმდეგ. 1990 წლის სექტემბრისთ ვის მონროვიას ჯონსონის რაზმები მიუახლოვდნენ. ჯონსონმა ვითომ მოსალაპარაკებლად დოუს გაეროს მისიაში შეხვედრა შესთავაზა. აქ დოუ ხელთ იგდეს აჯანყებულებმა, აწამეს, დაკოდეს და აიძულეს, შეეჭამა საკუთარი მოჭრილი ყური. ბოლოს მოკლეს. პრეზიდენტის სიკვდილი, რომელიც ვიდე-

ოფისში ჩაწერილი, მრავალმა ტელეარხმა გაღასცა: გამარჯვებული „პრინცი იორმი“ ლუდს მიირთმევს და ხელში დოჟს მეორე მოჭრილი ყური უჭირავს.

1992 წლის 29 ივნისს მოკლეს ალჟირის უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ალჟირის რევოლუციური სოციალისტური პარტიის მეთაური მოჰამედ ბუდიაფი. ქვეყანას იგი დაახლოებით ნახევარ წელიწადს მართავდა. 29 ივნისს, დილით, როცა უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ქალაქ ანაბას კულტურის სახლის დარბაზში სიტყვას წარმოთქვამდა, სცენაზე ავტომატით ხელში ავარდა მისი პირადი დაცვის თანამშრომელი, 26 წლის ლეიტენანტი ლემბერკ ბუმარაფი და 73 წლის ბუდიაფს კეფაში ესროლა. საქმის გამოძიება და შემდეგ სასამართლო 3 წელიწადზე მეტს გაგრძელდა. 1995 წლის ნოემბერში ბუმარაფი შერკადის ციხეში დახვრიტეს.

1993 წლის 1 მაისს აფეთქების დროს დაიღუპა შრი-ლა-ნკის პრეზიდენტი რანასინგხე პრემადასა. ქალაქ კოლომბოში გამართული საპირველმაისო დემონსტრაციის დროს, როდესაც პრემადასა თავისი მომხრეების გვერდით მიაბიჯებდა, კოლონაში მოულოდნელად ველოსიპედით შეიჭრა ტერორისტი-კამიკაძე. მან აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რასაც 68 წლის პრეზიდენტთან ერთად 30 ადამიანი ემსხვერპლა. ხელისუფლებამ ტერაქტში დაადანაშაულა „თამილ ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვების“ მოძ რაობის მოთარეშეები.

1993 წლის 21 ოქტომბერს მოკლეს ბურუნდის პრეზიდენტი მელხიორ ნდადაიე. ამან გამოიწვია ქვეყანაში ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ომი 2005 წლის აგვისტომდე გრძელდებოდა. გაეროს წინასწარი მონაცემებით, ამ დაპირისპირებას 250 ათასიდან 300 ათას ადამიანამდე ემსხვერპლა.

1994 წლის 6 აპრილს რუანდის ქალაქ კიგალის აეროპორტის მახლობლად რაკეტით „მიწა ჰაერი“ ჩამოაგდეს თვითმფრინავი, რომელშიც ისხდნენ მეზობელი ქვეყნების ბურუნდისა და რუანდის პრეზიდენტები სიპრიენ ნტარიამირა და ჟიუვენალ ჰაბიარიმანა. ნამსხვრევები ჩამოვარდა აჯანყებული ტუტსის ხალხის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. პრეზიდენტის სიკვდილმა, რომელიც ხუტუს ხალხის წარმომადგენელი იყო, საერთო ეროვნული დაპირისპირება გამოიწვია. რუანდის არმიამ, რომელიც ხუტუელებისგან

შედგებოდა, ტუტსის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები დაიწყო. ხოცვა ჟლეტის დაწყებიდან ერთ თვეში გაერომ შექმნა რუანდაში დანაშაულებათა გამო მკვლევი საერთაშორისო ტრიბუნალი.

1995 წლის 4 ნოემბერს მოკლეს ისრაელის პრემიერ მინისტრი იცხაკ რაბინი. ეს მოხდა თელ-ავივში ისრაელის მეფეთა მოედანზე გამართული მიტინგის შემდეგ, რომლის დევიზი იყო „მშვიდობას – კი, ძალადობას – არა!“, რაბინი თავისი მანქანისკენ მიდიოდა. გამოძიების მონაცემებით, მკვლელობა ჩაიდინა ექსტრემისტმა, ბარილანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 27 წლის სტუდენტმა, ულტრა-ნაციონალისტური „ებრაელთა საბრძოლო ორგანიზაციის“ წევრმა იგალ ამირმა. ოფიციალური ვერსიით, ამირი 21 საათსა და 50 წუთზე მიუახლოვდა რაბინს და ზურგში ორჯერ ესროლა პისტოლეტიდან „ბერეტა“, მესამე ტყვიამ პირადი მცველი დაჭრა. ამირი ადგილზევე დააკავეს, 73 წლის რაბინი კი გადაიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც 23 საათსა და 30 წუთზე ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიის თანახმად, იცხაკ რაბინი ისრაელის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ შეთქმულებას ემსხვერპლა. მესამე ვერსიით, ამირი ფუჭი ვაზნებით ისროდა, რაბინი კი თავის მანქანაში, ჰოსპიტლისკენ რომ მიდიოდა, მაშინ მოკ ლეს.

1996 წლის 27 მარტს სასამართლომ იგალ ამირს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. პლუს 6 წელიწადი რაბინის მცველის დაჭრისათვის.

ამჟამად იგი სასჯელს იხდის ქალაქ რამლას აიალონის ციხეში.

2005 წლის ივნისში სასამართლომ ნება დართო ამირს, შეუღლებოდა ლარისა ტრემ ბოელერს, მოსკოველ რეპატრიანტსა და 4 შვილის დედას.

1999 წლის 27 ოქტომბერს მოკლეს სომხეთის პრემიერ მინისტრი ვაზგენ სარქისიანი. იგი მაშინ დაიღუპა, როცა ბრუნდებოდა სომხეთის ეროვნული კრების სხდომათა დარბაზში, სადაც ხუთმა ტერორისტმა ავტომატებით დახვრიტა ქვეყნის ხელმძღვანელები და პარლამენტის წევრები. ტერაქტის დროს პრემიერთან ერთად დაიღუპნენ: ეროვნული კრების თავმჯდომარე კარენ დემირჩიანი, ორი ვიცე-სპიკერი, ოპერატიული საკითხების მინისტრი და ორი დეპუტატი. ტერორის ტებმა მძევლებად აიყვანეს დეპუტატებისა და მთავრობის წევრების უმრავლესობა. აქციას ხელმძღვანელობდა ყოფილი ჟურნალისტი ნაირი

უნანიანი, რომელიც „დაშნაკცუტუნის“ პარტიიდან „პარტიის სახელის შემბღალავი ქცევისათვის“ გარიცხეს. თავდამსხმელთა ჯგუფში იყვნენ მისი ბიძა არამი და ძმა კარენი, რომელსაც ეს სახელი მშობლებმა დემირჩიანის პატივისცემის ნიშნად დაარქვეს. დაპატიმრების შემდეგ ტერორისტებმა განაცხადეს, რომ ისინი მინისტრებისა და დეპუტატების მოკვლას კი არ აპირებდნენ, არამედ „მხოლოდ მათი დაშინება“ ჰქონდათ განზრახული, რათა იძულებული გაეხადათ მმართველი ბლოკი, გადამდგარიყო, ხოლო სროლის პროვოცირება პარლამენტის დაცვამ მოახდინა. თავდასხმის მოტივი, როგორც ტერორისტებმა განაცხადეს, „საბოლოო დაღუპვისგან სამშობლოს გადარჩენის სურვილი“ იყო.

ტერორისტებთან მოლაპარაკება, რომელსაც სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი აწარმოებდა, მთელ ღამეს გრძელდებოდა. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ თავდამსხმელებმა მძევლები გაათავისუფლეს და ხელისუფლებას ჩაბარდნენ.

სასამართლო პროცესი 2001 წლის 15 თებერვალს დაიწყო, განაჩენი გამოცხადდა 2003 წლის 2 დეკემბერს. ტერორისტებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს – 14 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე.

ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოკლეს ნეპალის მეფე ბირენდრა ბირ ბიკრამ შაჰიო. მკვლელი იყო მისი უფროსი შვილი და ტახტის მემკვიდრე დიპენდრა. ოფიციალური ვერსიით, 1 ივნისს, კატმანდუს სასახლეში ვახშმობის დროს დიპენდრა მშობლებს იმის გამო წაეჩხუბა, რომ ისინი ნებას არ რთავდნენ, ცოლად მოეყვანა პარლამენტის დეპუტატის ქალიშვილი, წარმოშობით ინდოელი. გაბრაზებული დიპენდრა გავიდა თავის აპარტამენტში, გამოეწყო სამხედრო ტანსაცმელში, დაბრუნდა სასადილო დარბაზში და ავტომატური შაშხანის M-16-ის 80 ტყვიით დაცხრილა ოჯახი. შემდეგ დიპენდრა გავიდა ბაღ ში, საფეთქელში დაიხალა ტყვია და კომაში ჩავარდა.

4 ივლისს დიპენდრა გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

2003 ᲬᲚᲘᲡ 12 მარტს სერბიის მთავრობის სახლის შესასვლელთან მოკლეს სერბიის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი. გამოძიების მონაცემებით, იგი მოკლა სნაიპერმა, რომელიც ერთ-ერთ მეზობელ მრავალსართულიან სახლში იყო ჩასაფრებული. პოლიციამ დააპატიმრა ათასზე მეტი პირი, რომელთაც ბრალი წაუყენეს 400-ზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

მკვლელობა აღიარა სერბიის შსს სპეცდანიშნულების რაზმის „წითელი ბერეტების“ უფროსის ყოფილმა მოადგილემ ზვეზდან იოვანოვიჩ-

მა. სასამართლო პროცესი 2003 წლის დეკემბერში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ჯინჯიჩის მკვლელობის ბრალდება წაყენებული აქვს 36 კაცს, მათ ერთ ნაწილზე ძებნაა გამოცხადებული.

2005 წლის თებერვალში ჯინჯიჩის ყოფილმა თანამებრძოლმა ვლადიმერ პოპოვიჩმა წამოაყენა ახალი ვერსია: მკვლელობა ძალოვნების შეთქმულების შედეგია, რომლებიც დაშინებულნი იყვნენ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობაში შესაძლო ცვლილებებით.

2004 წლის 26 თებერვალს ავიაკატასტროფაში დაიღუპამაკედონიის პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი. პრეზიდენტის თვითმფრინავი, რომელიც 30 წელიწადზე მეტ ხანს იყო ექსპლუატაციაში, ბოსნიის ქალაქ მოსტარას მახლობლად ჩამოვარდა. ტრაიკოვსკისთან ერთად მისი გარემოცვიდან დაიღუპა 6 ადამიანი და ეკიპაჟის ორი წევრი.

2004 წლის 5 მაისს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ტრანსპორტის მინისტრმა ბრანკო დო კიჩმა საგამოძიებო კომისიის მუშაობის შედეგები გამოაცხადა: „აეიაკატასტროფა გამოიწვეია ეკიპაჟის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა ფრენის დროს და დაშვების წინ მანევრირებისას".

2005 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. ოფიციალური ვერსიით, 41 წლის პრემიერი მეგობართან სტუმრობისას მხუთავი გაზით მოიწამლა. გამოძიების მონაცემებით, წვის პროდუქტები ოთახში ირანული წარმოების გაზის ღუმელ „ნიკალას" არასწორად დამონტაჟების გამო დაგროვდა. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია დამმონტაჟებლის წინააღმდეგ მუხლით „დანაშაულებრივი გულგრილობა, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები", მაგრამ მისი მოძებნა შეუძლებელი შეიქნა. პათოლოგანატომებმა ჟვანიასა და მისი მეგობრის ცხედრებზე ფიზიკური დაზიანებები ვერ აღმოაჩინეს. საქართველოს მრავალმა მოქალაქემ არ დაუჯერა ოფიციალურ დასკვნას, გამოძიებაში ჩართეს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალისტები, რომლებმაც დაადასტურეს უბედური შემთხვევის ვერსია. დაღუპულთა ოჯახების წევრებმა განაცხადეს, რომ მტკიცებულებები გაყალბებულია და ჟვანიაც ძალმომრეობითაა მოკლული. ნათესავები იმასაც ამტკიცებენ, რომ იმ ბინაში, სადაც ჟვანია და მისი მეგობარი გაგუდულები იპოვეს, ვერ აღმოაჩინეს მათი თითების ანაბეჭდები და მიაჩნიათ, რომ ცხედრები იქ მოკვლის შემდეგ იყო გადატანილი.

# შინაარსი

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

ნაწილი I
ბუნებრივი კატასტროფები

I. მიწისძვრები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7
მიწისძვრები საქართველოში . . . . . . . . . . . . . . . . . 9
შანსი (ჩინეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9
დვინი (სომხეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
ერევანი (სომხეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
პორტ-როიალი (იამაიკა) . . . . . . . . . . . . . . . . . . 11
ლისაბონი (პორტუგალია) . . . . . . . . . . . . . . . . . . 12
მესინა (იტალია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 13
კუჩანი (თურქმენეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14
სან-ფრანცისკო (აშშ) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15
განსუ (ჩინეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
ტოკიო (იაპონია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 17
აშხაბადი (თურქმენეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 18
აგადირი (მაროკო) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
არაუკო (ჩილე) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20
სკოპლე (იუგოსლავია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 21
ანკორიჯი (აშშ) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22
ხონ სიუ (იაპონია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22
ინანგახუა (ახალი ზელანდია) . . . . . . . . . . . . . . . 23
უასკარანი (პერუ) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
სან-ფერნანდო (აშშ) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
მანაგუა (ნიკარაგუა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24
გვატემალა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24
ფრიული (იტალია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25
ტანშანი (ჩინეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25
ლენინაკანი, სპიტაკი (სომხეთი) . . . . . . . . . . . . . 25
გისარი (ტაჯიკეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 26
კოტორი (იუგოსლავია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 27
ბუქარესტი (რუმინეთი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 27
ნიუ-კასლი (ავსტრალია) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 27
ირანი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 28

კობე (იაპონია) . . . . . . . . . . 28
ნეფტეგორსკი (რუსეთი) . . . . . . . . . . 29
ავღანეთი . . . . . . . . . . 30
კოლუმბია . . . . . . . . . . 30
თურქეთი . . . . . . . . . . 30
მიწისძვრების წინასწარმეტყველება და მისგან დაცვა . . . . . . . . . . 31
დანართი I . . . . . . . . . . 34
დანართი II . . . . . . . . . . 36
მიწისძვრა ირანში . . . . . . . . . . 38

2. ვულკანები . . . . . . . . . . 39
ვეზუვი (იტალია) . . . . . . . . . . 42
კრაკატაუ (ზონდის არქიპელაგი) . . . . . . . . . . 44
სენ-პიერი (მარტინიკა) . . . . . . . . . . 46
კრიტი (ეგეოსის ზღვა) . . . . . . . . . . 47
კატმაი (აშშ) . . . . . . . . . . 48
პარიკუტინი (მექსიკა) . . . . . . . . . . 49
ტაალი (ფილიპინები) . . . . . . . . . . 50
ეტნა (იტალია) . . . . . . . . . . 50
კელუდი (იავა) . . . . . . . . . . 51
სუფრიერი (ანტილის კუნძული) . . . . . . . . . . 52
ჰეკლა (ისლანდია) . . . . . . . . . . 52
ლაკი (ისლანდია) . . . . . . . . . . 53
ჰელგაფელი (ისლანდია) . . . . . . . . . . 53
მასაი-ნინდირი (ნიკარაგუა) . . . . . . . . . . 53
უსუ (იაპონია) . . . . . . . . . . 54
მონ-ლამინგტონი (ახალი გვინეა) . . . . . . . . . . 54
ტომბორა (ინდონეზია) . . . . . . . . . . 55
კამჩატკა (რუსეთი) . . . . . . . . . . 55
სენტ-ჰელენსი (აშშ) . . . . . . . . . . 56
მერაპი (ინდონეზია) . . . . . . . . . . 56
რუისი (კოლუმბია) . . . . . . . . . . 57
ნიოსი (კამერუნი) . . . . . . . . . . 58
აკატენანგოს ახალი ამოფრქვევა (გვატემალა) . . . . . . . . . . 59
ვულკანის ამოფრქვევის პროგნოზი და გაფრთხილება . . . . . . . . . . 60
დანართი III . . . . . . . . . . 61

3. მეწყერები . . . . . . . . . . 62
განდლოვე (ჩეხოსლოვაკია) . . . . . . . . . . 63
ელმე (შვეიცარია) . . . . . . . . . . 64

იუნგაი, რანრაგირსკი (პერუ) .......... 65
აბერფანი (უელსი) .......... 65
სან-მარტინი, ლონგარონე (იტალია) .......... 65
მურგაბის ხეობა (რუსეთი) .......... 66
განსუ (ჩინეთი) .......... 66
ალმა-ატა (ყაზახეთი) .......... 66
მატმარკა (შვეიცარია) .......... 67
მადისონის კანიონი (აშშ) .......... 67
შერმან-გლეიშერი (აშშ) .......... 67
წუნუთი (საქართველო) .......... 67
მეწყერი ფილიპინებზე .......... 68
მეწყერისაგან თავდაცვა .......... 69

4. ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲖᲕᲐᲕᲔᲑᲘ .......... 70
ტიროლი (ავსტრია) .......... 71
ველინგტონი (აშშ) .......... 71
უასკარანი (პერუ) .......... 71
კემპ-ლედიუკი (კანადა) .......... 72
ქდიარი (ჩეხეთი) .......... 72
პოპენშტეინი (შვეიცარია) .......... 72
ალპების მთები .......... 73
ზვავები საქართველოში .......... 73
დიდი მსხვერპლის მომტანი ზვავები .......... 73
თოვლის ზვავებისაგან თავდაცვა .......... 74

5. ᲡᲐᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲔᲑᲘ .......... 75
დაკოტა (აშშ) .......... 76
ფრეიზერი (კანადა) .......... 76
ტიგროსი და ევფრატი (ერაყი) .......... 76
ნილოსი (ეგვიპტე) .......... 76
არნო (იტალია) .......... 77
ხუანხე (ჩინეთი) .......... 77
მისისიპი (აშშ) .......... 77
ნევა (რუსეთი) .......... 78
რეინი (გერმანია) .......... 78
წყალსაცავი (საფრანგეთი) .......... 79
დუბროვენკა (ბელორუსია) .......... 79
წყალდიდობა ვენესუელაში .......... 80
წყალდიდობა მოზამბიკში .......... 80

წყალდიდობა ჰაიტზე ........................................ 81
სამდინარე წყალდიდობისაგან თავდაცვა ........................................ 81

6. საზღვაო წყალდიდობები ........................................ 83
წყალდიდობა ჰოლანდიაში ........................................ 83
წყალდიდობა ბანგლადეშში ........................................ 84
ვენეცია (იტალია) ........................................ 84
ჰამბურგი (გერმანია) ........................................ 85
მადაგასკარი ........................................ 85
მადრასი (ინდოეთი) ........................................ 85
დანართი IV ........................................ 86

7. ცუნამები ........................................ 88
იავას და სუმატრას სანაპიროები ........................................ 89
ჩილეს და ჰავაის კუნძულების სანაპიროები ........................................ 89
კალიაო და ლიმა (წყნარი ოკეანე) ........................................ 89
იაპონიის სანაპიროები ........................................ 90
კამჩატკა, კურილიის კუნძულები (რუსეთი) ........................................ 90
ბანგლადეშის ყურე ........................................ 91
პაკისტანის სანაპირო ........................................ 92
ცუნამების ქრონოლოგია ........................................ 93
დიდმსხვერპლიანი ცუნამი ........................................ 94
მსოფლიო წარღვნა ........................................ 96

8. ციკლონები ........................................ 101
მისისიპის შტატი (აშშ) ........................................ 102
აღმოსავლეთი ვიეტნამი ........................................ 102
სანტა-დომინგო (დომინიკა) ........................................ 102
ჩეტუმალი (მექსიკა) ........................................ 102
ჰონკონგი ........................................ 102
„ბონი“ (აშშ) ........................................ 102
„დიდი ურაგანი“ (აშშ) ........................................ 103
„ენდრიუ“ (აშშ) ........................................ 103
„ფლორა“ (ანტილიის კუნძულები) ........................................ 104
„ლონგ-აილენდის“ და „ნოვოი ანგლიის“ სანაპიროები ........................................ 104
ტაიფუნი კუნძულ ხონსიუზე ........................................ 105

9. ქარბორბალები ........................................ 106
ფორცჰეიმი (გერმანია) ........................................ 107

მისური, ილიონისი, ინდიანა (აშშ) .............................. 107
კანზასის შტატი (აშშ) .............................. 108
მოსკოვი (რუსეთი) .............................. 108
ივანოვო (რუსეთი) .............................. 109
გეტინგენი (გერმანია) .............................. 109
სენტ-ლუისი (აშშ) .............................. 109
ბრანდენბერგი (აშშ) .............................. 109
პარიზი, ბორდო, მარსელი (საფრანგეთი) .............................. 110
ჯორჯიას შტატი (აშშ) .............................. 110

10. მტვრიანი ქარები .............................. 111
უდაბნოში გამქრალი არმია .............................. 112
გაუკაცრიელებული კანზასის შტატი (აშშ) .............................. 113

11. გვალვები
ღელედ გადაქცეული ნილოსი .............................. 114
შიმშილობა ირანში .............................. 115
რუსეთის გვალვები .............................. 115
შიმშილობა იაპონიაში .............................. 115
ხუთი წელი წვიმის გარეშე .............................. 116
გვალვა ზიმბაბვესა და ზამბიაში .............................. 116

12. კალიების შემოსევები .............................. 117
სარანჩისგან განადგურებული ნათესები .............................. 118
შიმშილობა ბაღდადში .............................. 118
სარანჩა ეთიოპიაში .............................. 118

13. შავი ჭირი .............................. 119

14. მეტეორიტები .............................. 122

ნაწილი II
ტექნოგენური კატასტროფები

1. გადამწვარი ქალაქები
გადამწვარი ჩიკაგო .............................. 126
იმპერატორ ნერონის მიერ გადამწვარი რომი .............................. 127
ხანძრები მოსკოვში .............................. 128

ხაბაზის მიერ გადამწვარი ლონდონი ........................ 129
დამწვარი ქალაქების მოკლე მიმოხილვა ........................ 131
ხანძარი ციხეში ........................ 132
ტრაგედია ფუნიკულიორზე ........................ 132
300 ადამიანის თვითმკვლელობა უგანდაში ........................ 133

## 2. ჩაძირული გემები

„ტიტანიკის" პირველი და უკანასკნელი რეისი ........................ 134
რატომ ჩაიძირა „ვაზა"? ........................ 136
ტრაგედია ფრეგატა „მედუზაზე" ........................ 137
„ლუზიტანიას" დაღუპვა ........................ 138
„მონბლანმა" გაანადგურა გალიფაქსი ........................ 139
სამხედრო გემი „ნოვოროსიისკის" ტრაგედია ........................ 141
ხანძარი „ვოლტურნოზე" ........................ 143
„ემპრეს ოფ აირლენდის" შავი პარასკევი ........................ 143
„ვესტრისი" დაზიანებული გავიდა პორტიდან ........................ 144
პატარა გემმა იმსხვერპლა 500 ადამიანი ........................ 145
„ნორჯის" კაპიტნის შეცდომა ........................ 146
კატასტროფა მდინარე მისისიპზე ........................ 147
ტრაგედია მდინარე ტემზაზე ........................ 149
მექანიკოსის მიერ დაღუპული „ისტლენდი" ........................ 150
აფეთქება სამხედრო გემ „აიოვაზე" ........................ 151
„ესტონეთის" დაღუპვის საიდუმლო ........................ 152
ხანძარი ბორან „სკანდინავიან სტარზე" ........................ 152
საუკუნის უდიდესი საზღვაო კატასტროფა ........................ 153
თიბომაეალ „ნახიმოვის" ტრაგედია ........................ 154
მონღოლების დაღუპული ფლოტი ........................ 155
ესპანეთის დაღუპული არმადა ........................ 156
„პამირის" უკანასკნელი ცურვა ........................ 157
სტამბოლთან ჩაძირული ტანკერი ........................ 158
„ყირგიზეთის კომკავშირელი" უბედურების ტალღაზე ........................ 158
ბორანი „პრინცესა ვიქტორიას" დაღუპვა ........................ 160
ფოლადის აკლდამა ჩრდილოეთის ზღვაში ........................ 162
ლონდონის ცენტრში დაღუპული „მარკიზი" ........................ 163
„გროსვენორის" ტრაგედია ........................ 163
„სან-ტომეს" დაღუპვა ........................ 165
„მერი სელისტის" გამოუცნობი ბედი ........................ 166
„როზებომის" ბედისწერა ........................ 168
გემების დაღუპვის ქრონოლოგია ........................ 170

## 3. ჩაძირული წყალქვეშა ნავები

„ტრეშერის" ჩაძირვის საიდუმლოება ........................ 171
მარადისობაში ჩაძირული „კომკავშირელი" ........................ 172
„Ê-129" დაღუპვის საიდუმლოება ........................ 173
წერილები საიქიოდან ........................ 174
უცნობი საბჭოთა ნავი ........................ 175
საკუთარი ტორპედოსგან დაღუპული ნავი ........................ 175
ატომური წყალქვეშა ნავი „კურსკის დაღუპვა" ........................ 176

## 4. ჩამოვარდნილი თვითმფრინავები

„მაქსიმ გორკი" ........................ 180
უკვალოდ გამქრალი ესკადრილია ........................ 181
დაღუპული „ტუ-144" ........................ 182
ტრაგედია ანდის მთებში ........................ 183
„ბოინგების" საბედისწერო შეჯახება ........................ 184
რუსების მიერ ჩამოგდებული „ბოინგი" ........................ 185
ტრაგედია სამხედრო ბაზაზე ........................ 186
ბავშვის მიერ დაღუპული თვითმფრინავი ........................ 188
ავიაკატასტროფა აზორის კუნძულებზე ........................ 188
დაჯდომისას დამსხვრეული „ბოინგ-737" ........................ 189
დაღუპული „ტუ-134" ........................ 189
მთას შეჯახებული რუსეთის სამი „სუ-27" ........................ 189
დაკარგული თვითმფრინავი ........................ 190
„ტუ-154-ის" სამარცხვინო დაღუპვა ........................ 191
ქარბუქში ჩამოვარდნილი „ან-24" ........................ 191
თვითმფრინავმა პილოტის გარეშე იფრინა ........................ 191
მფრინავების ჩაშხამებული დღესასწაული ........................ 192
„ან-62-მა" დაღუპა ორი „სუ-27" ........................ 193
„ბოინგი" ატლანტიკის ოკეანეში ........................ 193
დაიმსხვრა მიწაზე დამჯდარი თვითმფრინავი ........................ 193
საფეხბურთო ავიაკატასტროფები ........................ 194
„ტორინოს" გლოვა ........................ 194
„მანჩესტერ იუნაიტედის" ტრაგედია ........................ 195
ტაშკენტის ცრემლები ........................ 196
ტრაგედია ინდოეთში ........................ 197
ტრაგედია „ლუჟნიკის" სტადიონზე ........................ 198
საშინელი ავიაკატასტროფა ........................ 201
დირიჟაბლ „ჰინდენბურგის" დაღუპვა ........................

ვერტმფრენების შეჯახება . . . . . 205
„კონკორდის“ კატასტროფა . . . . . 205
აეიაკატასტროფა სპარსეთის ყურეში . . . . . 206
ილ-18-ის კატასტროფა ბათუმთან ახლოს . . . . . 206

5. დაღუპული კოსმონავტები
ცაში აფეთქებული „ჩელენჯერი“ . . . . . 208
კოსმონავტი კამაროვის დაღუპვა . . . . . 209
უცნობი ტრაგედია კოსმოსში . . . . . 209
იური გაგარინის დაღუპვა . . . . . 210

6. კატასტროფები კოსმოდრომზე
ნ.ს ხრუშჩოვის უეცრობით აფეთქებული კოსმოდრომი . . . . . 213
ბრაზილიის კოსმოსური წარუმატებლობა . . . . . 214
„კოლუმბიის“ აფეთქება . . . . . 215
ბაიკონურის კოსმოსური ავარიები . . . . . 215

7. კატასტროფები რკინიგზაზე
ავარია ციმბირის რკინიგზაზე . . . . . 219
სარკინიგზო კატასტროფა ბანგლადეშში . . . . . 220
ავარია სანკტ-პეტერბურგ-მოსკოვის რკინიგზაზე . . . . . 220
ავტობუსის და სამგზავრო მატარებლის შეჯახება . . . . . 221
ავარია „არზამასის“ სადგურზე . . . . . 221
მატარებლების შეჯახება ავსტრალიაში . . . . . 222
მატარებლის კატასტროფა ინდოეთში . . . . . 222
ტეისის რკინიგზის ხიდის დანგრევა . . . . . 222
ავარია ნორვეგიაში . . . . . 223
ავარია სამხრეთ აფრიკაში . . . . . 223
ავარიები გერმანიაში . . . . . 224
ავარია რიგასთან . . . . . 224
ავარია ბელგიაში . . . . . 224
კატასტროფა ირანში . . . . . 225

8. კატასტროფები მეტროში
ტრაგედია პარიზის მეტროში . . . . . 226
ავარია ლონდონის მეტროში . . . . . 227
კატასტროფა ბაქოს მეტროში . . . . . 228

9. ხანძრები


ხანძარი კაიროს სასტუმროში . . . . . 229
ხანძარი ნავთობმომპოვებელ ბაქანზე . . . . . 229
ხანძარი სანქტ-პეტერბურგის ზამთრის სასახლეში . . . . . 230
ხანძარი ბაქოს ნავთობსარეწზე . . . . . 231
ხანძარი ბრიუსელის უნივერმაღში . . . . . 232
ხანძარი შობა დღეს . . . . . 233
ხანძარი დიუსელდორფის აეროპორტში . . . . . 234
ხანძრების ქრონოლოგია . . . . . 235
ხანძარი ატომურ ელექტროსადგურებში . . . . . 238
ჯოჯოხეთური ხანძარი სამარაში . . . . . 238
ხანძარი „ოსტანკინოს" ტელეკოშკზე . . . . . 240
ხანძარი სავაჭრო ცენტრში . . . . . 242
ხანძარი საერთო საცხოვრებელში . . . . . 242


10. ეკოლოგიური კატასტროფები


ბუნების დაბინძურებით მოწამლული ადამიანები . . . . . 244
ზღვაში ჩაღვრილი ნავთობი . . . . . 245
დაღუპული გედები . . . . . 247
კატასტროფა საფრანგეთის სანაპიროზე . . . . . 247
აშშ ტანკერის კატასტროფა . . . . . 249
ომებისგან განადგურებული ბუნება . . . . . 250
კატასტროფა სპარსეთის ყურეში . . . . . 252
არალის ზღვის კატასტროფა . . . . . 252
გამწვანებული საჰარა . . . . . 254
განადგურებული ტყეები . . . . . 257
მოწამლული მდინარე დუნაი . . . . . 259


11. აფეთქებები


აფეთქება ეკატერინბურგის რკინიგზის სადგურზე . . . . . 261
აფეთქება პლუტონის საწარმოში . . . . . 262
ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქება . . . . . 264
ატომური ბომბებისგან განადგურებული ხიროსიმა და ნაგასაკი . . . 266
აფეთქებების ქრონოლოგია . . . . . 269

ნაწილი III . . . . . 271
ტერორისტული აქტები და ტრაგედიები . . . . . 273
ტერაქტი გროზნოში . . . . . 273
ტერაქტი გლაზგოში . . . . . 273

სიკვდილის მატარებელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 274
ტერაქტი სტამბულში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 274
ტერაქტი მატარებელში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 274
ტერაქტი მოზდოკში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 275
აფეთქება პაკისტანში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 275
აფეთქება ჯაკარტაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 275
ტერაქტი ნალჩიკში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 275
რადუევის ტერორისტული აქტები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 276
„კამიკაძე" ქალების ტერაქტი მოსკოვში . . . . . . . . . . . . . . . . 276
აფეთქება მოსკოვის მეტროში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 277
ტერაქტი თუ კატასტროფა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 279
ნიკოლოზ მეორის კორონაცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 281
ლონდონის სმოგი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 284
სტალინის დაკრძალვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 286
9 აპრილის ტრაგედია თბილისში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 289
ტრაგედია მინსკში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 293
ტრაგედია ერევანში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 295
ტრაგედია მექაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 296
ტრაგედია ლუჟნიკების სტადიონზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 297
ტრაგედია შეფილდის სტადიონზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 298
მეთევზეთა ტრაგედია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 299
ტრაგედია შახტებში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 300
ტრაგედია ტბაზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 301
ტრაგედია გვირაბში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 302
9 მარტის ტრაგედია თბილისში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 302
ტრაგედია ნოვოჩერკასკში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 306
სადამ ჰუსეინი და ქურთების ტრაგედია . . . . . . . . . . . . . . . . . 309
ტრაგედია მოსკოვის სასაფლაოზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 310
ტრაგედია ინდოეთში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 310
ტრაგედია აზერბაიჯანში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 310
ტრაგედია საბილიარდოში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 311
ტრაგედიები ბერმუდის სამკუთხედში . . . . . . . . . . . . . . . . . . . 312
ვ.ი. ლენინი ტერორიზმის ბელადი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 314
თავდასხმა როლანდ რეიგანზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 321
თავდასხმა ლეონიდ ბრეჟნევზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 322
ნიუ-იორკის 2 ცათამბჯენის დანგრევა . . . . . . . . . . . . . . . . . . 323
ტერაქტი ბესლანში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 326
ტერორისტები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 330
ტერორისტების მიერ დახოცილი პრეზიდენტები . . . . . . . . . . . . . 332

თავდასხმები პრეზიდენტებზე .............................. 334
იოსებ სტალინის სიკვდილი .............................. 335
თავდასხმები ედუარდ შევარდნაძეზე .............................. 338
ტერაქტები თვითმფრინავებზე .............................. 346
ტერორისტი ნიკიტა ხრუშჩოვი .............................. 349
XXI საუკუნის №1 ტერორისტი ოსამა ბენ ლადენი .............................. 351
არაბი ტერორისტი იასირ არაფატი .............................. 353
მდიდარი ტერორისტი .............................. 355
ავღანეთის პრეზიდენტის სიკვდილი .............................. 356
მსოფლიო ლიდერთა მკვლელობანი .............................. 366
შინაარსი .............................. 385

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სტიქიური დამანგრეველი პროცესები მთებში ე.ფ. პეროვი (მოსკოვი, 1976 წ.)
2. კატასტროფები მდინარეების ნაპირებზე. ს.ს. გინკო (ლენინგრადი, 1977 წ.)
3. გეოლოგიური სტიქიები. ს.ა. ბოლტი (მოსკოვი, 1978 წ.)
4. უდიდესი კატასტროფები დედამიწის ისტორიაში ი.ა. რეზანოვი (მოსკოვი, 1980 წ.)
5. მიწისძვრები ბ. ბოლტი (მოსკოვი, 1982 წ.)
6. მეწყერები (მოსკოვი, 1981 წ.)
7. ბუნებრივი კატასტროფები ზდენეკ კუკალი (მოსკოვი, 1985 წ. თარგ. ჩეხურიდან)
8. კატასტროფები და ავარიები ე. ე. კუდრიაშოვი (მინსკი, 1996 წ.)
9. 100 უდიდესი კატასტროფა ნ. იონინა, მ. კუბეევი (მოსკოვი, 1999 წ.)
10. რუსულ-ქართული ლექსიკონი თბილისი, 1993 წ.
11. ტექნიკური ტერმინოლოგია რ. დვალი (თბილისი, 1989 წ.)
12. ენციკლოპედიური ლექსიკონი ა.მ. პროხოროვი (მოსკოვი, 1990 წ.)
13. ბიბლია (საქართველოს საპატრიარქო) თბილისი, 1989 წ.
14. მითოლოგიური ლექსიკონი მოსკოვი, 1991 წ.
15. ჟურნალები „მეცნიერება და ტექნიკა“, „სამყარო“, „ცოდნა“
16. გაზეთები „არგუმენტი ი ფაქტი“, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“
17. ზვავების ნაკვალევზე კ.ს. ლოსევი (ლენინგრადი, 1983 წ.)
18. 9 აპრილი გ. გვერდწითელი (თბილისი, 1990 წ.)
19. ზვავები (ბრატისლავა, 1967 წ.)
20. კავკასიის სეისმოლოგიური პირობები, I და II ტომი. ე.ი. ბიუსი (თბილისი, 1948, 1952 წ.წ.)
21. ქართლი სეისმოლოგიურად აქტიური ზონაა. ი. აივაზაშვილი, რ. ნაფეტვარიძე (თბილისი, 1994 წ.)
22. კოსმოსური კატასტროფები მ. რებროვი, მოსკოვი, 1996 წ.
23. ვინ ააფეთქა ამერიკა? (ლეონიდ მლეჩინი, მოსკოვი, 2002 წ.)